

1180
1993

133

ISSN 0206-2100
საქართველოს
საბჭოთავო

ქართული
საბჭოთავო
კულტურა

VIII

7
«მეცნიერება»

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



ქართული წყაროთმცოდნეობა

VIII

274



თბილისი
„მეცნიერება“
1993

კრებული ეძღვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის და წყაროთმცოდნის რევაზ კენაძის ხსოვნას, მისი დაბადების 70 წლისთავს. აქ მოთავსებული სტატიები ასახავს შვედეთის ინტერესთა სფეროს და წარმოაჩენს ქართული წყაროთმცოდნეობის დღევანდელ დღეს. შესაბამის განყოფილებებში სტატიები დაჯგუფებულია ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით.

კრებულში იბეჭდება რევაზ კენაძის გამოქვეყნებული შრომების სრული ბიბლიოგრაფია.

გამოცემა გამიზნულია ფართო ჰუმანიტარული საზოგადოებრიობისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი გიული ალასანიძე

რეცენზენტები აკადემიკოსები: მ. ლორთქიფანიძე, გ. გიორგაძე



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



მ. გომიანი

რ. პ. პ ი ბ ნ ა ძ ე

(1923—1989)

1993 წელს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს რევაზ კიკნაძეს 70 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, დღეს მასზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი, მერამდენედ მოგონებების გაცოცხლება და მერამდენედ იმაში დარწმუნება, რომ ვერავითარი მეხსიერება, ვერავითარი სიტყვა დაახლოვებითაც კი ვერ აღადგენს ამ პიროვნების განუმეორებელ სახეს, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩვენს გვერდით იყო და მუდმივი თვითგანახლების უნარით დაჯილდოებული, ახალი წამოწყებებით სავსე, თვითვე ქმნიდა თავის სამყაროს და ჩვენც გაამდიდრებდა მასთან თანაზიარებით.

255/6

ოთხმოცდაათამდე ნაშრომის, მათ შორის რვა მონოგრაფიის ავტორის, ოცი წლის მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქტორის მოადგილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარეების მოადგილის რ. კიკნაძის სიცოცხლე იმ დროს შეწყდა, როდესაც მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო.

რევაზ კანდიდის ძე კიკნაძე დაიბადა თბილისში, 1923 წლის 7 ივნისს. იგი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლის ცხოვრებაში გასვლას სამამულო ომი გადაელობა. თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, სადაც რ. კიკნაძე გამორჩეულ მოსწავლედ ითვლებოდა, მან სამამულო ომის დაწყების წინა დღეს, 1941 წლის 21 ივნისს დაამთავრა, ამიტომ მისი ბიოგრაფია რამდენადმე ჰკავს იმ წლების ჭაბუკთა ცხოვრებას. 1941 წლის სექტემბრიდან 1946 წლის თებერვლამდე რ. კიკნაძე სამხედრო-საჰაერო ძალთა რიგებში მსახურობდა. ამ წლებიდან მას შემორჩა არაერთი მოგონება, რომელთაც ძალზე იშვიათად გვიზიარებდა, და მეგობრები, რომლებიც ტრადიციულ, ყოველწლიურ შეხვედრებზე იწვევდნენ.

იმ წლებს თითქოს არაფერი ჰქონდათ საერთო ბ-ნ რევაზის შემდგომ მშვიდობიან მოღვაწეობასთან მეცნიერებაში, მაგრამ იქაც და აქაც ჩანს იგივე მთლიანი, ჰარმონიული პიროვნება, საოცრად ორგანიზებული, მომთხოვნი პირველ რიგში საკუთარი თავისადმი, რომლისთვისაც საქმე მუდამ პირველ ადგილზე იყო, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მის ინტერესებს ექვემდებარებოდა.



ჯარში გაწვევის გამო ბ-ნი რევაზი დაგვიანებით, 1946 წელს ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა სერთაშორისო ურთიერთობათა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით. სტუდენტობისას სახელობითი სტიპენდიატი, 1951—54 წწ. რ. კიკნაძე სწავლობდა თსუ ასპირანტურაში მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით, ხოლო 1956 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ჰულაგუიდთა სახელმწიფოში“.

ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება ერთ დაწესებულებას უკავშირდება — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. მისი განსწავლულობა და ორგანიზატორული მონაქმეები არ დარჩენილა შეუმჩნეველი და 1961—63 წწ. რ. კიკნაძე უკვე ასრულებდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობას, ხოლო 1969 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებას. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე მის ყოფნას 20 წლის განმავლობაში უკავშირდება წყაროთმცოდნეობითი მეცნიერების თვალსაჩინო წარმატებები. ამ ხნის მანძილზე ამ დარგში ჩატარებული ყველა ღონისძიების ორგანიზატორი და განმახორციელებელი იყო რ. კიკნაძე.

არჩეული სპეციალობისადმი ერთგულებას და კიდევ ალბათ დიდი პასუხისმგებლობის გამო რ. კიკნაძეს არასოდეს უმუშავია შეთავსებით თვით სასწავლო დაწესებულებაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე ლექტორი იყო და თავისი ბუნებრივი მონაქმეებით ნამდვილი აღმზრდელი. მისთვის არ იყო დამაზასიათებელი ყველაფრის გაკიდება, ან მხოლოდ მოვალეობისათვის, ფორმალურად რაიმეს კეთება. თანმიმდევრულად და უხმაუროდ ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, არ ესწრაფვოდა მაღალ ტიტულებს. მაგრამ ამ ერთადერთ საქმეში რ. კიკნაძის მოღვაწეობა იშვიათი მრავალმხრივობით და თავდადებათ გამოირჩეოდა.

წყაროთმცოდნეობის დარგის ხელმძღვანელობას რესპუბლიკის მასშტაბით ერთგვარად უწყობდა ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისია (1974 წლამდე, რეორგანიზაციამდე, უცხო წყაროების კომისია). რ. კიკნაძე ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მისი ორი სერიის — ქართული წერილობითი ძეგლების და ქართული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის — ხელმძღვანელი იყო. მისი თაოსნობით ყოველწლიურად იმართებოდა წყაროთმცოდნეთა რესპუბლიკური, ხოლო სამ წელიწადში ერთხელ — საკავშირო სამეცნიერო სესიები, რომელთა მონაწილეები უზიარებდნენ ერთმანეთს თავის გამოცდილებას, საზაფხულო ახალ გეგმებს. სესიებზე წაკითხული მოხსენებები ძირითადად იბეჭდებოდა რ. კიკნაძის რედაქტორობით გამოცემულ კრებულებში: „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“ რუსულ ენაზე და „ქართული წყაროთმცოდნეობა“.

მიუხედავად იმისა, რომ რ. კიკნაძის მეცნიერული ინტერესები უკვე სტუდენტობის დროს გამოიკვეთა, შემდგომი ნაშრომები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი შემოქმედების როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ცვლილებებზე. განათლებით აღმოსავლეთმცოდნე რ. კიკნაძე თავიდანვე არ



ივწყებდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყარომცოდნეობის სხვადასხვა საკითხებს. იმ წლებში მისი კვლევის საგანია სელჩუქი, ხორეზმშაჰთა, მონღოლთა, ილხანთა სახელმწიფოები, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა, შესაბამისი ტერმინოლოგია, ინსტიტუტები, მაგრამ ამავე დროს თბილისის ისტორია, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობათა საკითხები. ამ გამოკვლევებმა შეადგინა ერთ-ერთი სოლიდური მონაკვეთი კრებულისა „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“ (თბ., 1957). აღნიშნული კრებული დღემდე ერთადერთ სახელმძღვანელოდ რჩება თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. მოგვიანებით მათი ნაწილი შევიდა წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III (თბ., 1979). ეს გამოკვლევები წყაროთა მდიდარ ბაზას ემყარება და წარმოაჩენს მათ ავტორს არა მხოლოდ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტს, არამედ იმავეთვე როგორც დაკვირვებულ წყარომცოდნეს.

ნებისმიერი ისტორიული პრობლემის კვლევა წყაროების შესწავლით იწყება და ასეთი გზის კანონზომიერი შედეგი იყო რამდენიმე სპეციალური ნაშრომის გამოქვეყნება, რომელთა მიზანია ქართული, სპარსული და არაბული წყაროების შესწავლა. მეცნიერის ყურადღებას იქცევს ფაღლალაჰ ბინ რუზბეჰანის და ქართველი ყამათაღმწერლის, ჰამდალაჰ ყაზვინისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებები და სხვა. ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი XIII ს. ირანელი ავტორის ათა მალიქ ჭუვეინის ნაშრომით დინატერუსებასაც, რასაც საქართველოს შესახებ მისი ცნობების და მათი თარგმანის კომენტარებული გამოცემა მოჰყვა (1974 წ.). რამდენიმე წლის შემდეგ (1978 წ.) გამოიცა ამავე საუკუნის კიდევ ერთი ირანელი ანონიმის თხზულების „სამყაროს საკვირველებათა“ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ.

მაგრამ რ. კიკნაძის დამსახურება სპარსული წერილობითი ძეგლებს ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანის თვალსაზრისით მარტო ამ გამოცემებით არ ამოიწურება. არ გამოქვეყნებულა იმ წლებში სპარსული საისტორიო თხზულება, რომ მის მომზადებაში რ. კიკნაძეს მეტ-ნაკლები წვლილი არ მიუძღოდეს. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ ბ-ნი რევაზის კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი თვისება — მისი ყურადღება თავისი პედაგოგებისა და კოლეგების საქმიანობისადმი და მათი წვლილის დაფასების უნარი. იგი მუდამ ფიზიკურად ადევნებდა თვალს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყარომცოდნეობის დარგში გამოცემულ ნაშრომებს და აქტიურად ეხმარებოდა მათ. ეს კარგად ჩანს მისი რეცენზიებიდან და იმ სტატიებიდან, რომლებიც მან უძღვნა თავისი პედაგოგებისა და კოლეგების შემოქმედებას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომები ვ. დონდუაზე, ნ. ბერძენიშვილზე, ვ. ფუთურიძეზე, ვ. გაბაშვილზე, ს. კაკაბაძეზე, გამოკვლევა ი. ჯავახიშვილის წყარომცოდნეობით პრინციპებზე. განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა მეცნიერი მათი გამოუქვეყნებელი ნაშრომების მიმართ. ხშირად მას საკუთარი ნაშრომები გადაუღია და უფრო მნიშვნელოვნად მათი გამოქვეყნება მიუჩნევია. დიდი ამაგი დასდო მან ცნობილი ირანისტის, სპარსული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის გამოჩენილი სპეციალისტის ვ. ფუთურიძის მეცნიერული მემკვიდრეობის გამოქვეყნებას. ნაშანდობლივია, რომ სპარსული წყაროების გამოქვეყნება



რ. კიკნაძემ სწორედ ვ. ფუთურძის თარგმნილი ირანელი ავტორის მან რუმულს ცნობათა გამოცემით დაიწყო (1966 წ.). ამ ნაშრომს მან რედაქცია გაუკეთა, არამედ შენიშვნებიც დაურთო. მისივე რედაქციით გამოქვეყნდა კვლავ (1969 წ.) ვ. ფუთურძის მიერ თარგმნილი ირანელი ავტორის ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. მოგვიანებით (1977 წ.) რ. კიკნაძის ინიციატივით, რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა სპარსული ისტორიული საბუთების მორიგი IV ნაკვეთი, რომლის გამოცემა მთარგმნელმა ვ. ფუთურძემ სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

გარეგნულად დინჯი და გაწონასწორებული ბ-ნი რევაზი მდიდარი ემოციური ბუნების ადამიანი იყო და ეს მკაფიოდ გამოვლინდა მის სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში „უღუღბეგი“ (თბ., 1968). წიგნი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ამ ქანრის ნაშრომები. წერის მაღალი კულტურით და საკითხების ღრმა ცოდნით არის გაშუქებული თემურ-ლენგის და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა, აღმოსავლეთის კულტურის და მეცნიერების, კერძოდ, ასტროლოგიის ისტორია. ავტორი საოცარი დამაჯერებლობით ქმნის ისტორიულ პორტრეტებს, გადმოგვცემს თემურ-ლენგის შვილიშვილის, ცნობილი მეცნიერის და მთარგმნლის გამგებლის უღუღბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნაშრომი დაწერილია წყაროების ღრმა ცოდნით, მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე და დიდი ინტერესით იკითხება.

თანდათან რ. კიკნაძის შემოქმედებაში წყაროები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს, ხოლო ვარკვეული ხანიდან ისტორიის წამყვანი დარგი — წყაროთმცოდნეობა — მთელი მისი მრავალფეროვნებით შემოდის მკვლევრის ინტერესთა სფეროში. მისი სპეციალური დაკვირვების ობიექტი ხდება წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკა, საისტორიო წყარო, წყაროთმცოდნეობის საგანი, მისი ამოცანები და ადგილი მეცნიერებათა ისტემაში. ვინაიდან მის ნაშრომებში წყაროთმცოდნეობა განიმარტება როგორც კომპლექსური დარგი, რომელიც გამოავლენს, შეისწავლის, გამოსცემს ისტორიულ წყაროებს და შემუშავებს შესაბამის თეორიასა და მეთოდოკას, დიდი ადგილი ეთმობა მასთან ტექსტოლოგიისა და არქეოგრაფიის პრობლემატიკას. მისი შედგენილი ქართულ წერილობით ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის წესები (1977) სახელმძღვანელოდ რჩება ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. ბ-ნი რევაზი ძალზე წუხდა, რომ არ არის შემუშავებული ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის პრინციპები. მაგრამ სწორედ მისი ნაშრომები ამზადებდა საფუძველს იმისათვის, რომ ასეთი წესები შედგენილიყო. ყველგან და ყოველთვის რ. კიკნაძე იბრძოდა იმ მოთხოვნის გასატარებლად, რომლის მიხედვითაც წერილობითი ძეგლის გამოცემა მხოლოდ მისი ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ არის შესაძლებელი. რ. კიკნაძის გამოცემული ყველა ძეგლი ამის მაგალითს იძლევა.

ი. ჯავახიშვილის ანდერძის თანახმად, მეცნიერი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი თხზულებების გამოცემას და თვითონვე ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამ თხზულებათა გამოცემა რ. კიკნაძის მომზადებული XIV ს. ანონიმი ავტორის ე. წ. ჟამთაღმწერლის „ასწლოვანი მატიათი“ დაიწყო, რასაც წინ ძეგლის 35 წლიანი კვლევა უძღოდა. არცთუ ვრცელი მოცულობის შესავალი ამომწურავ ცოდნას იძლევა ძეგლის შესახებ. აქ განხილულია თხზულების შესწავლის ისტორია, მისი მიზანი, კომპოზიცია, ავტორის ვინა-

ბა, განათლება, თხზულების სათაური, შედგენის და „ქართლის
ბაში“ შეტანის დრო და სხვა. რ. კიკნაძე ისტორიული თხზულებების გამო-
ქვეყნებისას მათთვის ვრცელი შენიშვნების დართვის წინააღმდეგი იყო და
თვით იცავდა ამ პრინციპს, მაგრამ მისი ძენწი, დაწერილი განმარტებები მდი-
ლარ ინფორმაციას გვაწვდის როგორც წყაროზე, ასევე მონღოლთა ხანის
საქართველოს ისტორიის შესახებაც. აქვე დაცულია მის მიერ კრიტიკული
გამოცემებისათვის ჩამოყალიბებული სხვა პრინციპებიც. მეცნიერის აზრით,
ასეთ გამოცემებში ტექსტი იბეჭდება ერთი ძირითადი ნუსხის მიხედვით, და-
ნარჩენი ნუსხების წაკითხვები კი შენიშვნებშია ნაჩვენები. „ასწლოვანი მა-
ტიანის“ ახალი გამოცემის საფუძველი ე. წ. მარიაამისეული ნუსხაა, ხოლო
ყველა სხვა ნუსხის განსხვავებული ჩვენება სქოლიოშია ჩატანილი. ამასთანავე
ი. ჯავახიშვილის კვალდაკვალ რ. კიკნაძესაც დასაშვებად მიაჩნია ნაწილობრი-
ვი რეკონსტრუქცია, „ვინაიდან შუა საუკუნეთა წერილობითი ძეგლების დიდი
ნაწილი დამახინჯებით არის შემონახული გვიანდელ ნუსხებში“. ძეგლის ამ
გამოცემაში არაერთი ბუნდოვანი ადგილი გაიმართა და დაზუსტდა.

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც სულ უფრო ნაკლებია ძველი და
შუა საუკუნეების ისტორიის დარგში ახალი წყაროს აღმოჩენის შესაძლებ-
ლობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკვე ნაცნობი წყაროს ხელახალ ინტერ-
პრეტაციას, რასაც ხელს უწყობს კვლევის ახალი მეთოდოლოგია ან ტრადიციული
მეთოდების სრულყოფა. წყაროთმცოდნეობით მეთოდებს რ. კიკნაძე დიდ
ყურადღებას უთმობდა. მისი ხელმძღვანელობით ინერგებოდა მათემატიკური
მეთოდების გამოყენება წყაროების კვლევის საქმეში.

წყაროს ახლებურად წაკითხვისათვის მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნე-
ლობას ანიჭებდა „მეორად“ წყაროს. „ქართლის ცხოვრების“ ორი თხზულებ-
ის — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ასწლოვანი მათიანი“ —
ტექსტის გამართვაში ნაყოფიერი აღმოჩნდა XVII საუკუნის მოღვაწის ფარ-
სადან გორგიჯანიძის ნაშრომის გამოყენება, ვინაიდან ისტორიკოსი, როგორც
გამოირკვა, კრებულის უკეთეს ხელნაწერებს იცნობდა. კონკრეტულ მაგალი-
თებზე მოხდა აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების კომპილაციური
მონაკვეთის რეაბილიტაციაც, რომელიც დღემდე გამოცემულიც კი არ არის
იშის გამო, რომ თავის დროზე ზედმეტად მკაცრად შეფასდა. რ. კიკნაძის ამ
გამოკვლევების მნიშვნელობა მხოლოდ ტექსტოლოგიით არ განისაზღვრება. ამ
წყაროების შინაარსის დაზუსტებით შესაძლებელი გახდა საქართველოს XII—
XIII სს. ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის ახლებურად გააზრება,
ხოლო ზოგ შემთხვევაში საყურადღებო მოსაზრებების ან ვარაუდების გამო-
თქმა მათ დათარიღებასთან დაკავშირებით. მიღებულ ტექსტოლოგიურ შესწო-
რებებზე დაყრდნობით მკვლევარს წყაროთა მთელი არსენალის მოხმობა და
მათი ხელახალი შეჯერება მოუხდა.

ვინაიდან ყოველგვარი პროგრესი მეცნიერებაში წარსულ გამოცდილებას
ემყარება, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას რ. კიკნაძის შემოქმედებაში
საგანგებო ადგილი ეთმობა, სპეციალურ თუ ნებისმიერ ნაშრომში.

რ. კიკნაძის მოწაფეობის ნიჭი, როგორც აღინიშნება, გამოიხატა მისი და-
მოკლებულებით თავისი პედაგოგების შემოქმედებითი შემკვიდრებისადმი.
მას უნდა ვუმაღლოდეთ ჰუმანიტართა ძველი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო
წარმომადგენლის ვარლამ დონდუას ნაშრომთა დიდი ნაწილის გარდაცვალების
შემდეგ გამოქვეყნებას და აგრეთვე ვ. დონდუას სახელობის კაბინეტის შექმ-



ნას ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ექვეყნებოდა ბიბლიოფილი მეცნიერის უნიკალური და მდიდარი ბიბლიოთეკა. 1969 წლის ცხელ ზაფხულს წყართმცოდნეობის განყოფილებაში ხდებოდა ამ წიგნების დახარისხება და პარალელურად ვ. დონდუას არქივზე მუშაობა. კაბინეტზე ფიქრი და მისი ახალი წიგნებით შევსება ბ-ნ რევაზს არც შემდგომში შეუწყვეტია. ყველა თანამშრომელს ავალდებულებდა ახალი გამოცემული წიგნის ერთი ეგზემპლარი კაბინეტისათვის ეჩუქებინა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ზრუნვა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაზეც.

განსაკუთრებული იყო ბ-ნი რევაზის დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ. ამიტომაც იზიდავდათ მათ წყართმცოდნეობის განყოფილება, რომლის ძირითად ნაწილს სწორედ ახალგაზრდები შეადგენენ. განყოფილების გამგე მათ დიდი ყურადღებით და პატივისცემით ექცეოდა, თავიდანვე რთულ დავალებებს ანდობდა, მათი წარმატებები საკუთარ წარმატებებზე მეტად ახარებდა. მის გვერდით მუდამ საქმიანი ატმოსფერო იყო და ამას იგი ყოველგვარი სიმკაცრის გარეშე, მხოლოდ საკუთარი მაგალითით აღწევდა.

რ. კიკნაძე შეუღარებელი რედაქტორი იყო. იშვიათად შეგზვდებოდა ადამიანი, ასე რომ იცნობდეს საგამომცემლო საქმეს. სტუდენტობის წლებშივე იგი უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიაში სამეცნიერო განყოფილებას განაგებდა. მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები მაღალი აკადემიურობით და გემოვნებით გამოირჩევა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ იგი წლების მანძილზე უნარიანად უძღვებოდა ინსტიტუტში საგამომცემლო საქმეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქურნალ „მაცნეს“ გამოცემაში. გარდა ამისა, მის მაგიდაზე მუდამ იდო წასაკითხად რომელიმე ნაშრომი, რომლის არც რედაქტორი და არც ხელმძღვანელი არ იყო. ყველასი და განსაკუთრებით დამწყების თანადგომა ცხოვრების წესად ჰქონდა ქცეული.

ერთთავად სხვებზე და საერთო საქმის ინტერესებზე ზრუნვაა იმის მიზეზი, რომ რ. კიკნაძეს არაერთი დაწყებული ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა. უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა ფარსადან გორგიჯანიძის რუსულ თარგმანზე, რომელიც მან დაუმთავრებელი თავისი პედაგოგისაგან ვ. ფუტურჩიძისაგან მიიღო. სამწუხაროდ, ნაშრომი კვლავ დაუსრულებელი დარჩა და ასეთივე სახით, შენიშვნების გარეშე გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ (1990). დასანანია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაზე მრავალწლიანი მუშაობა მისი გამოქვეყნებით ვერ დაგვირგვინდა.

ბ-ნი რევაზი არაჩვეულებრივად ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ. ჩვენი გასაჭირი ზოგჯერ ჩვენზე კარგად ახსოვდა და ყოველთვის ცდილობდა დახმარებას. მაგრამ მისი ადამიანური სითბო არასოდეს არ გადადიოდა ფაშოლარობაში. დისტანცია, რომელიც მუდამ რჩებოდა მასთან ახლო ურთიერთობის დროსაც კი, არავითარ შემთხვევაში არ იყო გამოწვეული საკუთარი თავის დაცვით, არამედ, პირიქით, ოპონენტის, თანამშრომლის, მეგობრის პატივისცემით და მათა გაფრთხილებით.

ჩვენი 20-წლიანი თანამშრომლობის და მეგობრობის მანძილზე მას არცერთხელ არ დაუსვენია და ამიტომაც უმტყუნა ჯანმრთელობა.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ბ-ნი რევაზი — ნათელი პიროვნება, რომელიც მუდამ დარჩება ინტელიგენტურობის და მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურის, მაღალი ადამიანური თვისებების მთავალითად.

ნანა ხაზარაძე

სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი
გვიანხეთურ სამეფოებში

(წყაროთა ცნობების ინტერპრეტაციისათვის)


სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი ხეთური ხანის ანატოლიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი¹. იგივეს ვერ ვიტყვით ხეთების შემდგომი ხანის (ძვ. წ. X—VI სს.) სამეფოებში, ფრაგიასა და ლიღიაში არსებული სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში ამ თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა².

განსახილველი საკითხის შესწავლის ძირითად პირველწყაროს ძვ. წ. IX—VIII სს. იეროგლიფურ-ლექსიური წარწერები წარმოადგენენ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წარწერების სიმრავლისა და გავრცელების ფართო არეალის მიუხედავად, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია ძალზე მჭირია. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში გვხმარება — გვიანხეთური ხანის მეფეთა და ე. წ. „მსახურთა“ გენეალოგიებია. სწორედ ისინი გვაძლევენ საშუალებას განვსაზღვროთ მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. IX—VIII სს.) სამეფოებში.

ცნობილია, რომ ხეთების სამეფოს დაცემის შემდგომ ეპოქაში, ე. წ. „ბნელი ხანის“ (ძვ. წ. XII—X სს.) დასასრულსავე ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიაში რამდენიმე სამეფო წარმოიქმნა. ესენია: მუშქების, თაბალის, ქუეს,

¹ იხ. მაგალითად, Менабде Э. А. Наследственно-правовые отношения в хеттском обществе. — Восточный сборник, I, Тбилиси, 1960; он же. О характере придворных смут в хеттском обществе (XVII—XVI вв. до н. э.). — КБС, II, Тбилиси, 1965; Довгяло Г. И. О характере наследования царской власти у хеттов в эпоху древнего царства. — ВДИ, 1964, № 1; он же. К истории возникновения государства, Минск, 1968; он же. Становление идеологии раннеклассового общества, Минск, 1980; Гиоргадзе Г. Г. О престолонаследии в древнехеттском царстве. — ВДИ, 1969, № 4; он же. Наследование царской власти в древнехеттском царстве (до Телепину), — КБС, III, Тбилиси, 1970 и т. д.

² Довгяло Г. И. Становление..., с. 103 и сл.; Хазарадзе Н. В. Царская власть в позднихеттских политических образованиях. — Труды ТГУ, 227, 1982, с. 180 и сл.; Моисеева Т. А. Царская власть у фригийцев (К интерпретации легенды о Гордиевом узле). — ВДИ, 1982, № 1, с. 119—129.



ხილაქუს, თუნას, თუხანის, მელიდი-ქამანუს, ქუმუხის, გურგუმის, ქარხეპის და სხვა სამეფოები. ისინი ძირითადად წინარე, ხეთური ხანის, კულტურულ ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ. ძვ. წ. IX—VIII სს. და ჩრდილოეთ სირიაში ფართო გავრცელებას პოვენს ხეთურის მონათესავე ლუვეური (resp., იეროგლიფურ-ლუვეური) ენა, იეროგლიფურ-ლუვეური დამწერლობა, ღვთაებათა პანთეონი და კულტურის სხვა ელემენტები³.

ხეთური ტრადიციები სხვა მნიშვნელოვან მოვლენებშიც იჩენენ თავს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გვიანხეთური ხანის ოფიციალური იდეოლოგია, რომლის ძირითად ქვაკუთხედს, ისევე როგორც წინარე ეპოქაში, სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეა წარმოადგენს⁴.

ზემოთ აღნიშნა, რომ ერთადერთი სადღეისოდ არსებული წერილობითი წყარო გვიანხეთურ სამეფოებში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესის რეკონსტრუქციისათვის იეროგლიფურ-ლუვეურ წარწერებში დამოწმებული მეფეთა გენეალოგიებია, რომელთა ურთიერთშეჯერებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სამეფო ხელისუფლებას გვიანხეთურ სამეფოებში მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა. იგი, როგორც წესი, მამიდან ვაჟიშვილზე გადადიოდა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას შემდეგი მონაცემები იმსახურებენ: იეროგლიფურ-ლუვეურ წარწერებში ხშირად იხსენიებიან ქვეყნის სათავეში მდგომი მეფეების (LUGAL), ქვეყნის მპყრობელების (KUR.NA), მბრძანებლების (tarwanas) წინაპრები, რომლებიც, როგორც წესი, მამისეული ხაზით არიან წარმოდგენილი (შვილი, მამა, პაპა და ა. შ.).

ასე, ყიზილ-დაღის წარწერებში (ყიზილ-დაღი III, IV) იხსენიება დიდი მეფე და გმირი ხართაფუ, დიდი მეფისა და გმირის მურსილის შვილი⁵; ტოპა-დას წარწერაში ნათქვამია, რომ დიდი მეფე ვასურმა დიდი მეფისა და გმირის თუვათის შვილი იყო⁶; ბოღჩას წარწერის თანახმად, ქურთია „აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელის“, გმირის, ასკვასის ვაჟი იყო⁷; მალატისთან ახლო მდებარე პუნქტში აღმოჩენილ წარწერაში იხსენიება მეფე არნუვატისი,

³ ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978, გვ. 3 და შმდ.

⁴ Хазарадзе Н. В. Царская власть..., с. 182.

⁵ Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi—2^a E 3^a Serie, Roma, 1975, p. 267—271; ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 106 და შმდ.; Bittel K. Hartapus and Kizildağ. Ancient Anatolia, Aspects of Change and Cultural Development, Essays in Honor of M. Mellink, The University of Wisconsin Press, 1986, p. 103—111; Хазарадзе Н. В. Лувийско-неероглифические надписи Хартану.—КБС, Тбилиси, 1988, с. 84—93.

⁶ Meriggi, P. Manuale..., Parte II: Testi—1^a Serie, Roma, 1967, p. 122—123.

⁷ Meriggi P. Manuale, Parte II: Testi—1^a Serie, p. 106—108. ი. დაკონოვის აზრით, ბოღჩას ზემოთ მითითებულ წარწერაში მოხსენიებული ქურთია (Ku-r-ti-a-s²) ფრიგიის მეფის მიდას I-ის მამა გორდიოსი უნდა იყოს (იხ. Дьяконов И. М. Мала Азия и Армения около 600 г. до н. э. и северные походы вавилонских царей.—ВДИ 1981, № 2, с. 51, прим. 82). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთარი სახელი „ქურთია“ (Ku-r-ti-a) დღევ. კაისერის მახლობლად მდებარე Hisarcik-ში აღმოჩენილ ერთ-ერთ იეროგლიფურ-ლუვეურ წარწერაშიცაა (Hisarcik II) დამოწმებული. პ. მერიჯის თვალსაზრისის თანახმად, მამაკაცის ეს სახელი შესაძლოა ძველბერძნულ Γορτία-თან იქნეს იდენტიფიცირებული (იხ. Meriggi P. Manuale..., Parte II, Testi—2^a E 3^a Serie, p. 24—25).



მალატის ქვეყნის მბრძანებლის სულემილის შვილი და შვილიშვილი მეფე ქვეყნის
რომლის სახელი ტექსტში დაზიანებულია; ქარხემიშის (დღევ. ჯერაბუღის) შვილი
წარწერები გვაცნობენ ქვეყნის მპყრობელსა (KUR. NA) და მბრძანებელს
(tarwanas) ქათუეასს, სუხისის ვაჟსა და ასტივატ-მამისის შვილიშვილს⁹; თელ-
ახმარის ერთ-ერთ წარწერაში (თელ-ახმარ I) საუბარია ქვეყნის მპყრობელზე;
მეფე ხაფათილასის შვილიშვილზე და მბრძანებლის არიახინასის შვილზე¹⁰;
ჰამათის ჩვენთვის საინტერესო წარწერის ავტორი მეფე ურატამია, მეფე უსხი-
ლინას ვაჟი¹¹ და სხვა. უფრო დეტალურადა დაფიქსირებული გურგუმის მეფის
ხალფარუნთიას გენეალოგია, რომელიც მეფის მამის, პაპის, პაპის მამის, პაპის
პაპის და პაპის პაპის მამის სახელებს შეიცავს. ასე მარაშში აღმოჩე-
ნილი ერთ-ერთი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა (მარაში IV) გვამცნობს:
„მე ვარ გურგუმის მეფე და მბრძანებელი (ხალფარუნთია, შვილი გამირისა და
TAPAR-r-á-liEa]-s²-ისა (...), შვილიშვილი (...), ხალფარუნთიასი, შვილი-
შვილის შვილი (...) მუვათალისა, შვილიშვილის შვილიშვილი მბრძანებლისა
ხალფარუნთიანის, შვილიშვილის შვილიშვილის შვილი გამირისა და (...) მუ-
ეასი“¹².

არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებიც ასევე ლაპარაკობენ მამისეული
ხაზით სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესის ფართო გავრცელებაზე
გვიანეთურ სამეფოებში. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს ის გარემოება,
რომ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მეფეებთან ერთად ხშირად მათი
მემკვიდრეებიც იხსენიებიან. როგორც წესი, მეფის მემკვიდრეები მისი ვაჟები
არიან. ასე მაგალითად, ქარხემიშის მბრძანებლის იარისის წარწერაში ნათ-
ქვამია, რომ ქამანასი ქარხემიშის სამეფო ტახტის მემკვიდრეა. ამავე ქვეყნის
შეორე მეფის ქათუეასის წარწერა გვამცნობს, რომ ღვათაბამ მას მამისეული
კვერთხი და ძალაუფლება უბოძა¹³.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგ წარწერაში საუბარია „მამი-
სეული სახლისადმი“, „მამისეული მიწა-წყლისადმი“ ანა თუ იმ მეფის კუ-
თვნილების შესახებ. ხანდახან ისიც აღინიშნება, რომ მეფის მემკვიდრე „მამა-
თა სისხლის მატარებელია“, მეფე და მისი მემკვიდრე „წინაპართა თესლიდან
არიან წარმოშობილნი“¹⁴. აღნიშნულთან დაკავშირებით არანაკლებ საყურად-
ღებოა ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ასურულ ლურსმულ წარწე-
რებში შემონახული ცნობებიც, სარგონ II-ს რომ ეკუთვნის. წარწერებში

⁹ Meriggi P. Manuale ..., Parte II: Testi.—2^a E3^a Serie, p. 43—46.
¹⁰ Meriggi P. Manuale..., Parte II: Testi—1^a Serie, p. 53, 58; Hawkins J. D. Marpuo Davies A., Studies in Hieroglyphic Luwian.—AnSt, XXIV, 1974, p. 70.
¹¹ Hawkins J. D. The „Autobiography of Ariyahinas's Son“: An Edition of the Hieroglyphic Luwian Stelae Tell Ahmar I and Aleppo II.—An St, 1980, XXX, p. 139—159; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, გვ. 241.
¹² Meriggi P. Manuale..., Parte II: Testi—1^a Serie, p. 17.
¹³ Meriggi P. Manuale ..., Parte II: Testi—1^a Serie, p. 129—131.
¹⁴ Хазарадзе Н. В. Царская власть ... с. 181; იხ. აგრეთვე, Hawkins J. D. Some Historical Problems of the Hieroglyphic Luwian Inscriptions.—An St, 1979, XXIX, p. 157—160.
¹⁴ Хазарадзе Н. В. Царская власть..., с. 181.

საუბარია ასურელთა მიერ თაბალის მეფის, მისი ოჯახის (შვილების, მეუღლის), „მამის სახლის თესლით ნათესავთა“ და დიდებულთა დატყვევება¹⁵. გვიანხეთურ სამეფოებში სამეფო ხელისუფლების მამიდან განდევნა კვიდრეობის წესის არსებობა სხვა მონაცემებითაც მოწმდება. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ისაა საინტერესო, რომ გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში დინასტიური სამეფო სახელებიც დასტურდება და სამეფო დინასტიებიც.

ზემოთ დავინახეთ, რომ გურგუმის მეფის გენეალოგიურ სქემაში, რომელიც ექვსი თაობითაა წარმოდგენილი, მეფის მხოლოდ ორი სახელი გვხვდება: სამეფოს HALPA და RUWA—RU(ni) კომპონენტის (ჰალფარუნთია, ჰალფარუნთია) და ორგუმის — muwa კომპონენტის (მუვათალი, მუვა)¹⁶. ასეთივე ვითარებას ვხვდებით თაბალის მეფეთა სიაშიც, სადაც მეფეთა სახელები „ვასუსარუმა“ — „ვასურმა“ და „თუვათი“ ერთიმეორეს რამდენიმეჯგუფის ენაცვლება¹⁷. თაბალის მეფეთა იგივე სახელებს („უასურმესა“ და „თუათის“ ფორმით) ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების ასურული წერილობითი წყაროებიც იცნობენ¹⁸.

რაც შეეხება გვიანხეთურ სამეფოებში სამეფო დინასტიების არსებობის საკითხს, შემდეგი შეიძლება ითქვას: როგორც დავინახეთ, გვიანხეთური ხანის გურგუმში ერთი და იგივე სამეფო დინასტია სულ ცოტა ექვსი თაობის მანძილზე მართავდა ქვეყანას. ხანგრძლივი იყო თაბალის ერთ-ერთი სამეფო დინასტიის ისტორიაც: ტობადას წარწერაში თაბალის მეფე ვასურმა აცხადებს, რომ იგი მეცხრე მეფეა „წინაპართა ტახტზე“¹⁹. ასურული წყაროების ჩვენებით, უასურმე-თუათის სამეფო დინასტია თაბალში დაახლოებით ძვ. წ. 728 წლამდე არსებობდა. თიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745—727 წწ.) წარწე-

¹⁵ Luckenbill D. Ancient Records of Assyria and Babylonia (შედეგ: ARAB), II, Chicago, 1926—1927, № 24, 25, 55; ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 99.

¹⁶ როგორც „ჰალფარუნთია“ — „ჰალფარუნთია“, ასევე „მუვათალი“ — „მუვა“ იეროგლიფურ-ლუვიური ონომასტიკონის კუთვნილებას წარმოადგენს. პირველი („ჰალფარუნთია“ — „ჰალფარუნთია“) ორი საკუთარი სახელისაგან შედგება: „ჰალფა“ — ქალაქ ალუპოს სახელი, „რუვა“ — „რუ(ნთ)“-ი ლუვიური ღვთაებისა, რომელსაც გ. გიუტერბოკის ვარაუდით ლერსმულ დამწერლობაში იდენტურადაა DLAMA შეესატყვისებოდა (იხ. Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, London, 1963. p. 128; ნ. ხაზარაძე, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კავკასიის ანთროპონიმიკისათვის. — ონომასტიკა, 1, თბ., 1987. გვ. 366) „მუვათალი“ — „მუვა“ ერთი და იგივე muwa-სიტყვის შემცველია, რომელიც იეროგლიფურ-ლუვიურში „ძღვევამოსილს“, „მძღვევლს“, „მყარობელს“ ნიშნავს. საინტერესო ისიცაა, რომ „მუვათალი“ Muwa(t)alis) ზეთი მეფეების დინასტიური სახელი იყო. იგივე სახელი ქუმუხის მეფეთა სიაშიც ვხვდებით. ასე ვრქვა, კერძოდ, ქუმუხის ერთ-ერთ მეფეს, თარხულარას შვალს (იხ. Merigi P. Hieroglyphisch—Hethittisches Glossar, Wiesbaden, 1962, s. 85).

¹⁷ ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 20—22. იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე „ვასუსარუმა“ — „ვასურმა“ „კეთილ ღვთაებას სარუმას“ ნიშნავს, ხოლო „თუვათი“ იეროგლიფურ-ლუვიურ, ლუვიურ და ლიკიურ tuwa სიტყვას უკავშირდება, რომელიც ისეთ ცნებებს გამოხატავს, როგორიცაა: „დაარსება“, „დასმა“, „გინმეს მეთაურობის ქვეშ ყოფნა“ (იხ. Laroche E. Recueil D'Onomastique Hittite, Paris, 1952, № 1196, 1198).

¹⁸ ARAB, I, 582, 674; II, 24, 25, 55.

¹⁹ Хазарадзе Н. В. Царская власть..., с. 182.



რების თანახმად, როდესაც თაბალის მეფე უასურმეს ასურეთის ქვეშევრდომი მობისაგან გათავისუფლება განუზრახავს, იგი მკაცრად დასჯილა. ლად თიგლათფილესერ III-ს თაბალის სამეფო ტახტზე „არავის შვილი“ — ჰული (ე. ი. პირი, რომელიც უასურმე-თუათის სამეფო დინასტიას არ ეკუთვნოდა) დაუსვამს. ასურულისავე წყაროების მოწმობით, „არავის შვილის“ — ჰულის სამეფო დინასტიას, სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) მეფობის ხანაში შეუწყვეტია არსებობა, ჰულის შვილი ამბარიდუ „ურჩობისათვის“ სამაგალითოდ დაურბევიათ. სარგონ II-ის წარწერების თანახმად, იგი ოჯახის წევრებთან, „მამის სახლის თესლით ნათესავეებთან“, დიდებულებთან და 100 საბრძოლო ეტლთან ერთად ასურში გადაუსახლებიათ, ხოლო თაბალის მართვა-გამგებლობა ასურელი მოხელეებისათვის დაუკისრებიათ²⁰.

მოყვანილ ცნობებში ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ისაა, რომ, როგორც ვასურმა-თუვათის (უასურმე-თუათის), ასევე ჰული-ამბარიდუს სამეფო დინასტიამი ხელისუფლება მემკვიდრეობითი იყო. იგი მამიდან შვილზე გადადიოდა. გვიანხეთურ სამეფოებში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესის ისტორიისათვის არაპირდაპირი ხასიათის მონაცემებიც იმსახურებენ ყურადღებას. ირკვევა, რომ მამისეული ხაზით წინაპრების ჩამოთვლა მეფეთა ქვეშევრდომების, ე. წ. „მსახურთა“ (miti (as)) წარწერებისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგალითად, პორსუკში აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში, რომელიც საზოგადოების სოციალურად გაბატონებული ფენის წარმომადგენელს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „მე ფარაპვარასი, ატისის ვაჟი, ნუნასის შვილიშვილი ვარ. ჩემს მიმართ ღვთაება სარმა, ჩემი მბრძანებელი (...) კეთილგანწყობილი იყვნენ. და ჩემს მიმართ მეფეები (ასევე) კეთილგანწყობილი იყვნენ. და ჩემს მიმართ მეფე მასაურპასისი კეთილგანწყობილი იყო. მე არმიის სარდალი ვიყავი“²¹. ასეთივე ვითარებას ვხვდებით თუვანუვას მეფე ვარპალავას ქვეშევრდომის („მსახურის“) თარხუნაზის წარწერაშიც, სადაც ამ უკანასკნელის მამა თარხუვარა იხსენიება²².

ამგვარად, მოყვანილი მონაცემები, რომლებიც ფაქტობრივად პირველადაა თავმოყრილი, სიმცირის მიუხედავად, აშკარად ლაპარაკობენ იმაზე, რომ გვიანხეთურ სამეფოებში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის დაკანონებული წესი არსებობდა. იგი მამიდან შვილზე (ვაჟზე) გადადიოდა.

სამწუხაროდ, სადღეისოდ არსებული წერილობითი პირველწყაროები საშუალებას არ გვაძლევს უფრო ღრმად ჩაეწვდეთ წინამდებარე ნარკვევში განხილული საკითხის ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს. კერძოდ, ჭერჭერობით ვერაფერს ვიტყვით იმაზე, განირჩეოდნენ თუ არა მეფის ვაჟები ასაკობრივი

²⁰ ARAB, II, 24, 25, 55, 99, 118.

²¹ Hawkins J. D. A. Hieroglyphic Hittite Inscription from Persuk.—An St, 1969, XIX, p. 107; Meriggi P. Manuale..., Parte II: Testi—2^a E3^a Serie, p. 8—10; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 240.

²² Meriggi P. Manuale..., Parte II: Testi — 1^a Serie, p. 100; ნ. ხაზარაძე. აღმოსავლეთ შირე აზიის..., გვ. 44. არანაკლებ საინტერესოა გვიანხეთური ხანის ერთ-ერთ პუნქტში (დღევ. შეიზარი) აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერაც, 100 წლის ასაკში გარდაცვლილ ქუთადიას რომ ეკუთვნის. ამ წარწერაში ჩამოთვლილი არიან ქუთადიასა და მისი მეუღლის შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და შვილიშვილის შვილიშვილები (იხ. Hawkins J. D. Late Hittite Funerary Monuments, Death in Mesopotamia, Copenhagen, 1980, p. 219.



პრინციპით, ჰქონდა თუ არა უფლება მეფის უკანონო შვილს დაეკავებინა სამეფო ტახტი, როგორც იყო ის იურიდიული ნორმები, რომლებიც საგანგებო ვითარებაში — ტახტის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში — მოქმედებდა, ვის ირჩევდნენ მომავალი მეფის რეგენტად მემკვიდრის მცორეწლოვანების ვითარებაში და ა. შ. ამ და სხვა მნიშვნელოვან არაერთ კითხვას ახალი წერილობითი წყაროების აღმოჩენისა და გამოცემის შემდეგ გაეცემა პასუხი.

Н. В. ХАЗАРАДЗЕ

ПОРЯДОК НАСЛЕДОВАНИЯ ЦАРСКОЙ ВЛАСТИ
В ПОЗДНЕХИТТИТСКИХ ЦАРСТВАХ

Резюме

На основе анализа и сопоставления данных иероглифическо-лувийских надписей позднихиттских царей (LUGAL), владык (KUR.NA), правителей (tagwanas) и их т. н. «слуг» (miti(as)), автор предлагаемой заметки приходит к заключению, что в позднихиттских царствах (Табал, Хилакку, Туна, Тухан, Куз, Гургум, Мелид, Каркемиш и др.) царская власть имела наследственный характер: как правило, она переходила от отца к сыну.

N. KHAZARADZE

ORDER OF INHERITANCE OF ROYAL POWER IN
LATE-HITTITE KINGDOMS

Summary

On the basis of analysis and comparison of hieroglyphic—luvian inscriptions of late—Hittite kings, rulers, and their so-called servants the author of the note comes to the conclusion that the Royal power in late—Hittite kingdoms (Tabal, Hilakku, Tuna, Tuhun, Kua, Gurgum, Melid, Karkemish etc.) had a hereditary character; as a rule it was inherited from father to the son.

თინათინე ჯაფარიძე

საირხის ბერძნული გრაფიკა

საქართველოს ზელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ, რომელიც მუშაობს საჩხერის რაიონში ჯ. ნადირაძის ზელმძღვანელობით, 1988 წლის ზაფხულში, საირხეში, ქალის მდიდრულ სამარხში სხვა მონაპოვართა შორის გამოავლინა სპეციალისტთა მიერ ძვ. წ. V—IV ს-ით დათარიღებული შავლაკიანი კლიკის ფრაგმენტი.

ამ ფრაგმენტზე საგულდაგულოდ არის გამოყვანილი ორი ბერძნული გრაფიკა. ერთი, უფრო მსხვილი ასოებით შესრულებული, წარმოადგენს ორი ასოსაგან შემდგარ მონოგრამას. ამ ასოთაგან ერთი არის E, დაწერილი ჩვეულებრივ, მარცხნიდან მარჯვნივ. ხოლო მეორე მიწერილია მარცხენა მხრიდან ისე, რომ ის უნდა წავიკითხოთ როგორც მარჯვნიდან მარცხნივ წარმართული P, მონოგრამის ასეთი გამოყვანა შავიზღვისპირეთის გრაფიკოთა შორის ერთადერთი არაა. ი. ტოლსტოის ნიმფეონის გრაფიკოთა შორის მოპყავს ერთი, ძვ.

წ. VI ს-ით დათარიღებული ლიგატურა, სადაც წერია X (= KE ან LE); ϵ

დაწერილი მარჯვნიდან მარცხნივ, K — მარცხნიდან მარჯვნივ. თანაც პირველი ასო ამ ლიგატურაში არის ის, რომელიც II ადგილზე დგას. ამ დროისათვის ასოთა მარჯვნიდან მარცხნივ წერა მოულოდნელი არაა.

გვაქვს შემდეგი ხანის ნიმუშიც: ე. სოლომონიკის მიერ გამოქვეყნებულ ბერსონესის გრაფიკოთა შორის არის ერთი, ძვ. წ. III ს-ის, სადაც წერია:

P (= AP), აქაც P ასეთივე მარჯვნიდან მარცხნივ არის დაწერილი, ხოლო α პორიზონტულად. ე. სოლომონიკს ასეთი მონოგრამა იშვიათი მოხაზულობისად მიაჩნია (редкой формы).

ასეთივე იშვიათი ფორმისაა საირხის მონოგრამა E რომელიც საკუთარი სახელის დასაწყისს უნდა წარმოადგენდეს (უძველეს ბერძნულ წარწერებში სიტყვათა შემოკლებისას რჩება სიტყვის დასაწყისი. შემდეგი დროის, ძირითადად ქრისტიანულ წარწერებში სიტყვის შემოკლებისას რჩება დასაწყისი და ბოლო, ან ამასთან დამატებით კიდევ რომელიმე შუა ბგერა).

საირხის მონოგრამა შეიძლება იყოს ნებისმიერი EP ან EP-მარცვლით დაწყებული სახელი, მაგ. $\text{E}\rho\mu\eta\varsigma$, $\text{E}\rho\text{:}\nu\acute{\alpha}\zeta$ (ღმერთების სახელები), $\text{E}\rho\mu\alpha\gamma\acute{\epsilon}\nu\eta\varsigma$, $\text{E}\rho\mu\alpha\delta\acute{\iota}\omega\varsigma$, $\text{E}\rho\mu\acute{\alpha}\nu\chi\omicron\varsigma$, $\text{E}\rho\mu\epsilon\nu\acute{\epsilon}\rho\iota\chi\omicron\varsigma$, $\text{E}\rho\acute{\alpha}\tau\omega\varsigma$, $\text{E}\rho\omega\tau\acute{\iota}\varsigma$, $\text{E}\rho\acute{\alpha}\sigma\tau\epsilon\varsigma$, $\text{E}\rho\acute{\alpha}\rho\iota\chi\omicron\varsigma$ და სხვა მრავლისაგან მრავალი მამაკაცისა და ქალის სახელი, რომელთა გამოჩენა ძნელია, რადგან ძველი კოლხეთის ონომასტიკონი საერთოდ არაა საგანგებოდ შესწავლილი: აი, ასეთი მასალის მოპოვების შედეგად შეიძლება მისი თანდათანობითი შევსება.



მეორე გრაფიტო მოთავსებულია აღნიშნული მონოგრამის მხოლოდ ფრაგმენტის საპირისპირო კიდეზეა შესრულებული — ოთხჯერ უფრო მცირე ზომის ასოებით. მიუხედავად იმისა, რომ ასოები ძალიან მკაფიოდ არის გამოყვანილი, წარწერაში ვარკვევა გამოჭირდა. წინასწარი მოსაზრება, რაც მის შესახებ გამოვთქვი (ამის შესახებ ვაზეთშიც იყო ცნობა), ასეთი იყო: ის შეიძლება იყოს როგორც საკუთარი არაბერძნული სახელი, ასევე რაიმე არაბერძნული სიტყვა ბერძნული ასოებით დაწერილი.

დღესდღეობით ამ წარწერის მიმართ ასეთი დაკვირვება მაქვს: იგი დაწერილია ბერძნული ასოებით და იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. მისი ასეთი წაკითხვა გამართლებულია ამ ფრაგმენტზე EP-მონოგრამის მდებარეობით — მწერალმა გამოიყვანა მსხვილი ასოებით ძირითადი წარწერა (EP-მონოგრამა, სადაც P მარჯვნიდან მარცხნივაა მიმართული) და კილიკის ფეხის მეორე ნაპირზე, ერთგვარი სიმეტრიის დაცვით გამოიყვანა უკვე უფრო მცირე ზომის ასოებით მთელი სიტყვა, მიმართული მარჯვნიდან მარცხნივ. I ნიშანი არის ლიგატურა, შემდგარი ორი ასოსაგან, Y-სა და Δ-სგან, ზუსტად ასეთივე ლიგატურა ვერ მოვძებნე გამოქვეყნებულ შრომებში, მაგრამ Y სხვადასხვა კომბინაციებით გვხვდება შავიზღვისპირეთის მასალაში. მაგ., Y შიგ ჩაწერილი T-თი გვაქვს პანტიკაპეონიდან ძვ. წ. V ს-ის მიწურულის ჭურჭელზე: EYΘ (-εαθ ან εαθ), თუმცა ი. ტოლსტოი აქ მხოლოდ εαθ-ს კითხულობს, რაც მიაჩნია რომელიმე სახელის მაგ., E. Μάρτυριος ან E. Μάρτυρας დასაწყისად. პანტიკაპეონის გრაფიტო სახელის შემოკლებული ვადმოცემაა, მაგრამ ეს სახელი, ჩემი აზრით, იწყება ან εαθ ან εαθ — კომპლექსით. ასე დაწყებული სახელები ხშირი არაა, მაგრამ ნიმუშის მოყვანა მაინც შეიძლება: პაპირუსებში დაცულია ქალის საკუთარი სახელი — Ἐπιθαράξ, პანტიკაპეონის გრაფიტოზედაც შეიძლება ეწერა Ἐπιθαράξ, რაც პაპირუსებიდან მოტანილი მაგალითის ფონეტიკური ვარიანტია.

იმავე პანტიკაპეონის ახ. წ. I ს-ის გრაფიტოში გვაქვს ნიშანი Y რაც ი. ტოლსტოის ესმის როგორც ლიგატურა ou, მე კი მგონია, რომ ეს არის კომპლექსი YP ან YA (მითუმეტეს, რომ წარწერის პუბლიკაციაში სახელი, რომლის დაბოლოებაც ეს ნიშანია, *ψηλααα*, მიჩნეულია არაბერძნულ სახელად, ე. ი. ის შეიძლება იყოს როგორც *ψηλααα*, ასევე *ψηλαααρ* ან *ψηλαααθ*). კიდევაც თუ მე მესლება და მართალია ი. ტოლსტოი, Y ნიშანი v-იანი ლიგატურაა.

შემდეგი ნიშანი საირხის გრაფიტოში არის P. მსგავსი მოხაზულობის R გვაქვს სამივე ჩვეულის არქაულ ბერძნულ წარწერებში. საერთო ბერძნულ ანბანში ის უკვე სხვა მოხაზულობისაა, აღარაა აქვს ქვემოთა ფეხი (P).

მომდევნო ორი ასოს, Π-სა და X-ს შესახებ მინდა შევნიშნო, რომ მათ მარჯვენა შტრიხები უფრო ძლიერად აქვთ ამოკაწრული, ვიდრე მარცხენა და ესეც ბუნებრივია — წერისას პირველი შტრიხი ჩვეულებრივ უფრო მეტი ძალით სრულდება, ვიდრე მეორე (პირიქით იქნებოდა მარცხნიდან მარჯვნივ რომ შესრულებულიყო ეს წარწერა, მაშინ მარცხენა ნაწილი იქნებოდა აქცენტირებული).

ისმის კითხვა — შეიძლება თუ არა ამ დროს ბერძნულად წერა მარჯვნიდან მარცხნივ. მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. IV ს-ში ბერძნულში გაბატონ-

ნებულა წერა მარცხნიდან მარჯვნივ, კოლხეთის უძველეს ბერძნულ ტექსტებში გვაქვს მარჯვნიდან მარცხნივ წერის შემთხვევები. ასეთებია: ვანის ძვ. წ. III ს-ის წარწერებში საკუთარი სახელი, არსანს-ი, ორჯერ ამგვარად დაწერილი. ასევეა წებელდის ახ. წ. III ს-ის მაგიური დანიშნულების ფირფიტაზე ორივე მიმართულებით დაწერილი მრავალი ასო (B, E, P), ამ ფირფიტაზე F-ც კი გვხვდება. ამგვარადვეა აღმ. საქართველოში ციხიაგორის ძვ. წ. IV ს-ის კრამიტებზე გამოყვანილი ასოები (Π, Ρ)...(სულ ერთია, ის მოსულმა ბერძენმა დაწერა, თუ ადგილობრივმა ხელსაწმამ). ე. ი. საქართველოში შემონახულია არქაული დამწერლობის სახეობა და, თუ მის გამოყენებას თუნდაც კრიპტოგრაფიული მოსაზრებით ავხსნით, თვით ასეთი კრიპტოგრამაც არქაიკისადმი მიღრეკილებად უნდა გავიგოთ.

ამგვარად, ჩემი დაკვირვებით, საირხის II გრაფიტო უნდა წავიკითხოთ ბერძნულად მარჯვნიდან მარცხნივ და ვიღებთ დაწერილობას YAPHX. როგორც ვხედავთ, სიტყვა დაწერილია ხმოვნების გარეშე. კიდევაც რომ დავუმატოთ ხმოვნები, არ გვაქვს ასეთი არც ბერძნული და არც ქართული სიტყვა.

ასეთ პირობებში დასაშვებად მივიჩნევ, რომ ეს დაწერილობა გადმოსცემს რომელიმე ირანულ სიტყვას

ირანისტიკაში ჩემმა მუდმივმა კონსულტანტმა, მზია ანდრონიკაშვილმა, მომწოდდა რამდენიმე სიტყვა და საკუთარი სახელი, რომელთაც შეიძლება საერთო გამოყენებოს საირხის გრაფიტოსთან.

ეს სახელებია: ძვ. სპარსული Vidarna (Vidar მინიჭება, წყალობა, განაწილება, გაყოფა) და ორი ელემენტისაგან შემდგარი Vidarpak (= სიწმინდის მიმნიჭებელი, მწყალობელი), ავესტური — Vadarpah (= იარაღის მცველი, აბჯრისმტვირთველი), ინდური — Vidura (ავის წინააღმდეგ მებრძოლი). სახელი Vidarna ბერძნულ წყაროებში სშირად გვხვდება ფორმით: Ὡδάρης (პეროდოტე, სტრაბონი, არიანე, პავსანია), ე. ი. საირხის წარწერის პირველი ნაწილი ბერძნულად მთლიანად, ხმოვნებით წაიკითხებოდა, Ὡδარ, რაც შეეხება მეორე ნაწილს, ΠΧ, ის ან იმავე ირანული pavak||pak-ის გადმოცემაა (მაშინ სახელი იქნება Ὡδάρπαχ), ან მინდა მეორე შესაძლებლობაც დავუწვავ, ხომ არაა ის p+uhi-სუფიქსის შემცველი, რაც მამაკაცთა სახელისაგან ქალის სახელს აწარმოებს (ეს ირანული სუფიქსი გავრცელებულია სომხურშიც. შდრ. ამზასპ — ამზასპუჰი; აზატ — აზატუჰი; ავავ — ავავუჰი და სხვ.). ე. ი. ხომ არ ყო გრაფიტოში მამაკაცი^ს სახელისაგან „ჰვდარპისგან“ წარმოებული ქალის სახელი — ვთქვათ, „ჰვდარპუხი“?

(uhi-სუფიქსის ბერძნულად გადმოცემასთან დაკავშირებით უნდა შეინიშნოს, რომ ყველაზე ადრინდელი მისი ტრანსკრიფცია აქამდე იყო ევსპასიანეს წარწერაში, ე. ი. ახ. წ. I ს-ში, სადაც წერია „ამზასპოი“, ე. ი. uhi ბერძნულად გვაძლევს oí დაწერილობას, მაგრამ ეს ახ. წ. I საუკუნეა, როდესაც ბერძნულში „h“ რეალურად აღარაა, ხოლო o და ó აღრეულია. მასზე ხუთი საუკუნით ადრე კი იქნებ სხვა კანონზომიერებით uhi ბერძნულად uxi-ს გვაძლევდა გარკვეულ უცხოენოვან გარემოში? ხოლო რაკლა საირხის გრაფიტო უხმოვნოდაა დაწერილი, მთელი ამ კომპლექსიდან შემოგვრჩა მარტო x (hi-სათვის)? მე ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შემიძლია. წარწერაში ქალის სახელის ძიება იმან მაფიქრებინა, რომ სამარხი ქალისა და ნივთი მის მფლობელს ჩააყოფეს — დაბეჯითებით ლაპარაკი იმაზე, თუ

2. ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII



რომელია ქალი, EP — მარცვლით აღნიშნული, თუ YAPIX-კომპლექსით არ შეიძლება, მაინც მგონია, რომ ნიეთის ძირითადი მფლობელი ენა-ნიეთის მონოგრამა მსხვილდაა გამოყენილი ცენტრალურ ადგილას, ხოლო ის, ვისაც ჩააყოლეს ნიეთი საფლაგში, იყო ქალი და მას ერქვა YAPIX, სამარხი ხომ ქალისაა. მისი სახელი უფრო მომცრო ასობით არის გამოყენილი, მაგრამ წერია სრულად.

როდესაც ერთსა და იმავე საგანზე გვხვდება ორი გრაფიტო, ორი საკუთარი სახელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიეთის პატრონმა, მფლობელმა დაწერა თავისი სახელიც და იმისიც, ვისაც მან ეს ნიეთი გადასცა, აჩუქა.

ასე ხსნის ი. ტოლსტოი ძვ. წ. IV ს-ის I ნახევრის კლიკის გრაფიტოებს ოლევიდან — ერთსა და იმავე კლიკზე წერია:

I Ενεφονός ειμ: (ევეფონისა ვარ)

II Κολανθίκης χαλός (მშვენიერი კოლანდაკესი),

ე. ი. კლიკი ეკუთვნოდა ევეფონს და მან ის აჩუქა კოლანდაკესს (ჩუქების აქტი აღნიშნული არაა).

თუ ჩემი მოსაზრება სწორია და საირხის გრაფიტოში ერთი სახელი ირანულია, ძველი კოლხეთისათვის ირანული სახელის ხმარების ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის. არიან 131 წელს შედგენილ რაპორტში, რომელსაც ის იმპერატორ ადრიანეს უგზავნის, შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ტომთა მეფეების სახელებს ჩამოთვლის. ესენი არიან Μαλάσσα — ლაზთა მეფე (ეტიმოლოგია უცნობია. ეს სახელი მხოლოდ ამ წყაროს მეშვეობით არის ცნობილი); Σιαδάγας — სანიგების მეფე; Φησιμάγας — აბასკების მეფე (ყველანი ადრიანეს მიერ დაყენებული მეფეებად).

ამ სახელთაგან Σιαδάγας და Φησιμάγας ირანული წარმოშობისანი არიან, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ტომითაც ირანელები არიან (იქვეა აფსილების მეფედ დასმული ტრაიანეს მიერ Ίουλιανός. აქ უკვე სახელიც ბერძნულ-რომაულია).

ამას ვარდა, უკვე 20 წელზე მეტია, რაც ცნობილია ლამიდარული წარწერა ვანიდან, სადაც ორჯერ სრულდაა დაწერილი სახელი Ἀρσავ. ლიტერატურაში დადასტურებულია ამავე ძირის სახელები: Ἀρσავ, Ἀρσάδης, Ἀρσავი, Ἀρσάτης, Ἀρσამένης... რაც მიჩნეულია ირანული წარმომავლობის სახელებად (არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზოგი ფორმა აქ გრეციზებულია. Ἀρσავ: არაა გრეციზებული). ასევე ირანულია სახელები ვანის ადგილობრივი წარმოების კრამიტის დამღებზე — Μηλαβη, Χορσων, Οριζი დათარიღებული ძვ. წ. II ს.

არ ვიცი, რამდენად მართებულია ჩემგან ამ შემთხვევისათვის სანკტ-პეტერბურგში „ერმიტაჟში“ დატული ერთი ნიმუშის დამოწმება: 1888 წელს მუზეუმმა შეიძინა კენია შერვაშიძისგან ნიეთები, „как найденные на Кавказе“, როგორც წერია დავთარში. ამ ნიეთებს შორის არის სერდოლოკის გემა, ზედ გამოსახული სამი პორტრეტით და ბერძნული წარწერებით. სპეციალისტებს გემა ქართულ ნახელავად მიაჩნიათ და ათარიღებენ ახ. წ. III—IV სს-ით.

რაკილა კავკასიაში მოპოვებული ნიეთი შერვაშიძის მიერაა „ერმიტაჟში“ მიტანილი, შესაძლებელია დავუშვათ, რომ მას ძველ კოლხეთთან ჰქონდა კავ-



შირი (ეგებ სულაც აღმ. საქართველოში იყო ნაპოვნი და დამზადებული ვინც იცის). მაშინ ის წარწერები, რაც ამ გემაზეა — მამაკაცის სამი სახელია: Νίνας, Οση-
ჯავი; და Οσαρυσე. ამ სახელთაგან ორი ირანული Οσηჯავი იგივეა, რაც ირანული Vajana, Bizan (ძვ. ქართ. — „ვეზან“, ახ. ქართ. „ბეჟანი“), ხოლო Οσαρυσე ირანული Varuna, Varanava-ის გადმოცემაა ბერძნულად.

ვიმეორებ, რადგან ნივთის მხოლოდ მფლობელი (შერვაშიძე) ვიცით და არა მისი აღმოჩენის ადგილი, ამიტომ ეს მაგალითი სასხვათაშორისოდ მომყავს.

ამგვარად, დასავლეთ საქართველოში გვხვდება ირანული წარმოშობის სახელები (არიანესთან, წარწერებში — ვანიდან, საირხიდან, „ერმიტაჟის“ გემაზე, მაგრამ აქ უკვე წარწერის წარმოშობაა საეჭვო), აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბერძნულ წარწერებში დიდი რაოდენობით გვხვდება ირანული სახელები. აღმოსავლეთ საქართველოსთვის ეს გაცილებით უფრო ორგანულია, რადგან მისი კავშირი ირანულენოვან სამყაროსთან დასავლეთ საქართველოსთან შედარებით სრულიად გარკვეულად სხვა ხასიათს ატარებს მთელი ისტორიის მანძილზე.

Т. С. КАУХЧИШВИЛИ

ГРЕЧЕСКИЕ ГРАФФИТЫ ИЗ САИРХЕ

Резюме

На фрагменте чернолакового килика, найденном в 1988 г. в Саирхе, в женском богатом погребении, экспедицией Музея искусств Грузии и датированном V—IV вв. до н. э., тщательно выведены два греческих граффито. Одно, сделанное более крупными буквами, представляет собой монограмму, составленную из двух графем (E и P), из коих первая (E) читается слева направо, а вторая (P) — справа налево.

Данную монограмму можно расшифровать как любое греческое и негреческое, как мужское, так и женское собственное имя, начинающееся на EP или EP (напр., EPμης, EPουνης — имена богов; EPμαγνης, EPμαδων, EPμης, EPμενης, EPδτων, EPωτης, EPδστο, EPριχος и др.).

Второе граффито, сделанное над монограммой более мелкими, но четкими буквами, как видно, составляет целое слово; первые две буквы представляют собой лигатуру, следующие три написаны в отдельности. Данное граффито следует читать справа налево: YΔPΠX. Слово написано без гласных; если даже восполнить его гласными, то такого слова нет ни в греческом, ни в грузинском. В таком случае полагаю, что слово — иранское; оно, скорее, — имя собственное и расшифровывается как Yδαρπαχ, или же, предположительно, производное от Yδαρπ (женское имя Yδαρπουχ). Так как погребение женское и килик был захоронен вместе с владелицей, можно допустить, что ее, умершую, звали Yδαρπουχ, а прежним владельцем и дарителем килика был некий EP (EP...).



საქართველოს
რესპუბლიკის
საქართველო
საქართველო

Имена иранского происхождения в Западной Грузии периода известны и по другим памятникам материальной письменным источникам, что свидетельствует о взаимоотношениях Колхиды с ираноязычным миром.

В саирхских граффити IV в. до н. э. привлекает внимание архаическое направление письма справа налево, что засвидетельствовано и в некоторых надписях примерно этого же времени (и в более поздних) из Колхиды, тогда как в греческом этого периода узаконено направление письма слева направо.

T. KAUKHCHISHVILI

GREEK GRAFFITI FROM SAIRKHE

Summary

On the fragment of black—varnished kylik found in Sairkhe, in 1988 in a rich female tomb by the expedition of the Museum of Art of Georgia, and dated by V—IV cc B. C. two Greek graffiti are accurately traced out. One made with capital letters is a monogram consisting of two graham's (E and P), from which the first (E) can be read from left to the right, second (P) — from right to the left.

The monogram can be deciphered as any Greek and other than Greek proper name beginning with Ep or (Ep). Ερμής, Ερυνίς — name of gods; Ερμαγένης, Ερμαδίων, Ερμαχός, Ερμενέργος, Εράτων, Ερωτίς, Εράστος, Εράτχος and others.

The second graffiti, made above the monogram with smaller but legible letters seems to be composed of one whole word: the first two letters are written together; the following three—are written separately. The given graffiti should be read from right to the left: ΥΔΡΠΧ. The word is written without vowels; even if we add the vowels we can't find such a word neither in Greek nor in Georgian. In such case, I suppose, that the word is Iranian; it is rather a proper name and is deciphered as Υδραρχ or presumably derivating from Υδραρχη (feminine name Υδραρχου). As tomb is female and kylik was buried together with the proprietor, we can assume, that the name of the defunct was El (El ..) and that the previous proprietor and grantor of kylik was certain Ep (Ep). In antique period western Georgian names of Iranian derivation are known by other monuments of the material culture and by written sources. This can be an indicator of existing links between Kolkhida and Iranian—speaking world.

In graffiti of Sairkhe of IV c. B. C. archaic direction of writing from right to the left, our attention attracts the fact that it is testified in some inscriptions approximately of the same time (and of the later period) from Kolkhida, while in the Greek writing of that period the direction from left to the right is spread.

მარიკა ნანიძე

ბიენოსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრაფიტოს
შესწავლისათვის

ქ. ოჩამჩირის მახლობლად, მდინარე მოქვის შესართავთან, ანტიკურ ხანაში მდებარეობდა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქი, რომელიც ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში ნახსენებ ქალაქ გიენოსთანაა გაიგივებული. ამ ნახსებარმა სპეციალისტთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. მასზე წლების მანძილზე მუშაობდნენ მ. ივაშჩენკო, ბ. კუფტინი, ლ. სოლოვიოვი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, თ. ლორთქიფანიძე, ნ. მათიაშვილი, დ. კაჭარავა, ს. შამბა. ძველის გათხრისას გამოვლინდა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები მთელ ანტიკურ ხანას მოიცავს¹. მათ შორის აღმოჩენილია რამდენიმე ჭურჭელი და კერამიკის ნატეხები, რომელზეც შემონახულია ბერძნული ნაკაწრი წარწერები — გრაფიტო.

ქალაქი ამ სახელით ბერძნულ მწერლობაში ნახსენებია ძვ. წ. IV საუკუნის ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში „დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვის გარშემოვლა“, სადაც ნათქვამია: „ამათ (ე. ი. გელონების) შემდეგ არის ტომი — კოლხები, ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გვენოსი, მდინარე გვენოსი, მდინარე ქერობიოსი, მდინარე ქორსოსი, მდინარე არიოსი. მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი“ (აზია, ფრ. 81)².

ეს ქალაქი ცნობილი იყო ახ. წ. I საუკუნის ავტორის, პომპონიუს მელასისაც, რომელიც სხვა წყაროებს შორის იყენებს ძველ წყაროებსაც. იგი თავის „გედამაწის აღწერილობაში“ (ფრ. 110) წერს: „სანაპიროს მოსახლევის დასაწყისში ქალაქია, რომელიც, როგორც ამბობენ, ბერძენი ვაჭრების დაარსებულია და კიკინოსი ჰქვია, რადგან, როცა ბნელი ქარიშხალი მიაჭროლებდა მათ და არ იცოდნენ, საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცათ ნიშანი“ (1.110)³.

კლავდიოს პტოლემეოსის (ახ. წ. II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ნახსენები აქვს მდინარე კიანეოსი⁴.

სტეფანე ბიზანტიელთან (ახ. წ. IV ს.) „გეოგრაფიულ ლექსიკონში“

¹ დ. კაჭარავა. გიენოსი ანტიკურ ხანაში. საღისერტ. ნაშრ., თბ., 1972, გვ. 4.

² თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1, თბ., 1967, გვ. 48.

³ ა. გამყრელიძე. პომპონიუს მელასი ცნობები საქართველოს შესახებ. — ქწ. 1, თბ., 1965, გვ. 29.

⁴ ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ცნობები საქართველოს შესახებ. — მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 45.



დოსკუტრისგან განსხვავებით, ფაზისი და გიენოსი ბერძენ ავტორებთან ელენურ ქალაქებად არიან მიჩნეულნი. დღეს მეცნიერთა შორის აღიარებულა, რომ პომპონიუს მელას ქალაქი — კიკნოსი, პლინიუსისა და კლავდიოს პტოლემეაიოსის თხზულებებში ნახსენები მდინარე კიანეოსი და სტეფანე ბიზანტიელის ტიენისი — ჰიენისი ფსევდო-სკილაქსის გიენოსია⁷.

წლების მანძილზე არ წყდება დავა იმის თაობაზე, თუ რა დროს დააარსდა ეს დასახლება და ვინ იყვნენ პირველი კოლონიზატორები ამ ტერიტორიაზე, მილეტელები თუ ათენელები. ო. ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ გიენოსი ჩაითვალოს ბერძნული ტიპის დასახლებად და მითუმეტეს პოლისად⁸. იგი ვარაუდობს, რომ ეს ადგილები ბერძენმა აითვისეს ძვ. წ. V—IV საუკუნეებში, რასაც ადასტურებს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი თანადროული ბერძნული კერამიკა. ო. ლორთქიფანიძე მიდის დასკვნამდე, რომ ამ ტერიტორიაზე ათენელებს უნდა დაეარსებინათ ემპორიონი ანუ სავაჭრო ფაქტორია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ბერძენთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მთელ კოლხეთთან⁹.

ვინაიდან ფსევდო-სკილაქსს გიენოსი ელინურ ქალაქად აქვს ხსენებული, მ. ინაძეს მიაჩნია, რომ ეს ცნობა მას აღებული აქვს ძვ. წ. VI საუკუნის წყაროდან (ანუ სკილაქს კარიანდელისაგან), რის გამოც იგი გიენოსის დაარსებას უკვე ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებისთვის ვარაუდობს¹⁰.

ნ. ლომოურის აზრით, გიენოსი მეორეხარისხოვანი დასახლებაა, დააარსეს მილეტელებმა და დაარსების თარიღი უნდა ემთხვეოდეს ბერძენების დამკვიდრებას კოლხეთის სხვა ქალაქებში ანუ ძვ. წ. VI საუკუნეს¹¹.

დ. კაჭარავა, რომელმაც მიუძღვნა სადისერტაციო ნაშრომი გიენოსის არქეოლოგიური მასალის შესწავლას, დასახლების დაარსებისა და აღმავლობის ხანად ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარს — IV ს. მიიჩნევს. მისი აზრით, არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილი, კერძოდ, იმპორტული კერამიკა, მოწმობს გიენოსის საკმაოდ აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ანტიკურ სამყაროსთან. განსაკუთრებით კი ატიკასთან, ხოლო კერამიკის მეორე ნაწილი, ასევე ოქრომჭედლობის ნიმუშები, ანალოგიას პოულობს ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთის ნამოსახლარების მასალებთან. მისი ვარაუდით, გიენოსი კოლხეთის ერთ-ერთი ქალაქია, სტადე უდავოდ ჩანს ადგილობრივთან ერთად ბერძნული მოსახლეობის კვალი¹¹.

გიენოსის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კერამიკის ცალკეულ ჯგუფებზე მუ-

5 სტეფანე ბიზანტიელი Ethnica Διοσκουριδης, φ254; გამოყენებულია გეორგიკა III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყუბჩიშვილმა. თბ., 1936, გვ. 278, შენიშვნა 1.

6 იხ. იქვე, გვ. 274.

7 ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1967, გვ. 64.

8 იქვე, გვ. 58.

9 Инадзе М. П. Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси. 1968, с. 124.

10 ნ. ლომოური. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 36.

11 დ. კაჭარავა. დასახ. ნაშრომი, თბ., 1972, გვ. 180.



შაობდა ნ. მათიაშვილი. იგი კერამიკის მონაცემებით ნასახლარს ძვ. წ. VI საუკუნეში ათარიღებს¹².

ს. შამბას აზრით (რომელიც დღეს აწარმოებს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ამ ტერიტორიაზე), ოჩამჩირის ნავსაყუდელში არსებობდა ქალაქის ტიპის დიდი დასახლება, რომელიც დაარსდა არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრისა და ამ ქალაქის არსებობის ყველაზე აქტიური პერიოდი მოდის ძვ. წ. VI—V ს-ზე. იგი აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით იმპორტული, კერძოდ, იონიური წარმოების კერამიკა, თუმცა უხვადაა მათი მიწაბაძებიც, დამზადებული ადგილობრივი თიხისაგან¹³.

როგორც ვხედავთ, ბერძენი ავტორების ცნობების სიმცირის გამო, გენოსის ნამოსახლარის ისტორიაში წერილობითი წყაროების მიხედვით ბევრი რამ არის უცნობი. დასაზუსტებელია თუ როდის, როგორ, რა პირობებში დასახლდნენ ბერძენები ამ ტერიტორიაზე. რა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნეს, რა როლს თამაშობდა აქ ადგილობრივი მოსახლეობა (რომელიც ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდა)¹⁴ და რა ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ძირითადი წყარო ყოველივე ამის დასაზუსტებლად არის არქეოლოგიური მასალა და ის მცირეოდენი ბერძნული ნაკაწრი წარწერები, რომლებიც აქ არის აღმოჩენილი.

პირველი გრაფიტო, რომელზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, არის ყავისფერლაკიანი იმპორტული კილიკი. კილიკი ქუსლიანია. ძირი გამოყვანილი აქვს. ძირის გარე ზედაპირზე მოთავსებულია ორი გრაფიტო. ს. შამბა ამ ჭურჭელს ათარიღებს ძვ. წ. VI საუკუნით. საფიქრებელია, რომ B და II ასოები სახელის აღმნიშვნელი უნდა იყოს, თუმცა საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია ამ ორ თანხმოვანზე დაწყებული საკუთარი თუ ზმნური სახელი. ვინაიდან ამ სახის ნაკაწრ წარწერებში ძირითადად სიტყვის ზედმიყოლებული ასოები იკაწრებოდა და ასოგამოტოვებული სიტყვები ან სახელები თითქმის არ გვხვდება.



ზუსტად ანალოგიური მოხაზულობის, ზემოთ დიდი, კუთხოვანი მუცლით, ქვემოთ კი პატარა მუცლით B აღწერილი აქვს მ. ლენგს და იგი მას ძვ. წ. V საუ-

¹² ნ. მათიაშვილი. ელინისტური ხანის კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან. — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1969, გვ. 42.

¹³ Шамба С. М. ГЮЭНОС, 1, 1988 г., с. 63.

¹⁴ Качарова Д. Д., Квирквелиა Г. Т. Города и население Причерноморья античной эпохи. Тбилиси, 1991, с. 77.



კუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (491—451 წწ.)¹⁵. ე. სოლომონის გრაფიტო დათარიღებული აქვს ძვ. წ. IV საუკუნით¹⁶. ქობულეთში აღმოჩენილია ნეკროპოლზე აღმოჩენილია სამი შავლაკიანი ჯამი, რომელთა ძირზე მოთავსებულია მსგავსი მოხაზულობის B — იგი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნით¹⁷.

ასო Π, როგორც ნაკაწრ, ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ძირითადად გვხვდება ერთი გრძელი, ხოლო მეორე მოკლე ფეხით. აქ კი Π-ს ორივე ფეხი ერთი ზომისაა და ზევიტყენ ოდნავ შევიწროებულია. ქერსონესის მასალებში არის ზუსტად ასეთი Π, რომელიც ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება¹⁸.

ასეთი Π გამოქვეყნებული აქვს მ. ლენგსაც (ზემოთ შევიწროებული, თანაბარფეხიანი). იგი მას შემდგენიარად ათარიღებს: ერთს ძვ. წ. IV საუკუნის შუახანებით, ხოლო მეორეს ძვ. წ. IV ს. ბოლო — III საუკუნის დასაწყისით¹⁹.


ი. ტოლსტოისთან ვხვდებით თანაბარფეხიან Π-ს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზევიტყენ იგი შევიწროებული არ არის, სწორკუთხა ფორმა აქვს²⁰.

საერთოდ შეიმჩნევა საინტერესო კანონზომიერება. ასეთი თანაბარფეხიანი Π ძვ. წ. V საუკუნეზე ადრე საერთოდ არ გვხვდება, თვით ძვ. წ. V საუკუნეში თანაბარფეხიანი Π გვხვდება ხოლმე, მაგრამ იშვიათად, თუმცა ძვ. წ. IV საუკუნეში გვაქვს თანაბარფეხიანი Π, რომელიც ზევიტ შევიწროებულია, ხოლო შემდგომ საუკუნეებში Π-ს უკვე მხოლოდ ცალი ფეხი აქვს გრძელი, ხოლო მეორე — მოკლე.

ამავე ქუთჯლის ძირზე ამოკაწრულია კიდევ ერთი გრაფიტო. ეს არის ლიგატურა **Μ** ტიტყვის ასეთი შემოკლება საკმაოდ გავრცელებულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და იკითხება, როგორც MENE „დარჩი“²¹.

ბერძნული ასოები საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ სახეცვლილებას. ამის მიხედვით შეიძლება დადგენა, ამა თუ იმ საუკუნეში როგორი მოხაზულობის ასოები იხმარებოდა. ვფიქრობთ, B და Π ასოები საკმაო საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ ზემოხსენებული გრაფიტო დათარიღდეს ძვ. წ. V—IV სს.

¹⁵ Lang M. Graffiti and dipinti of the Athenian Agora. VOLUME XXI Princeton 1976. F. 65, 33. 34.
¹⁶ Соломоник Э. И. Граффити с горы Херсонеса, Киев, 1984, № 154.
¹⁷ ქ-ფ. 67/10 — ძვ. წ. V ს. ქ-ფ. 67/8 — ძვ. წ. V ს.
¹⁸ Соломоник Э. И. დასახ. ნაშრომი, № 439, № 167 ძვ. წ. IV ს. 286—ძვ. წ. III ს.
¹⁹ Lang M. დასახ. ნაშრომი.
²⁰ Толстой И. И. Греческие граффити древних городов северного Причерноморья, М.-Л., 1953.
²¹ Толстой И. И. დასახ. ნაშრომი, № 104, № 152.



ასეთივე ყავისფერლაკიანი კილიკის ძირზე მოთავსებულია გრაფიტო, რომელიც დათარიღებულია ასევე ძვ. წ. VI საუკუნით. ვფიქრობთ, ეს არის საკუთარი სახელის აღმნიშვნელი ასოები, როგორცაა, მაგალითად, პანტიკაპეიონში დამოწმებული სახელები: Φυλακισ, Φυλακίδη, ფυλακίαν, Φυλακίανος.²²

შავლაკიანი კილიკის ძირზე, ქუთაისის გარეთა ზედაპირზე X გრაფიტო. ძვ. წ. VI—V სს. ასეთი აღნიშვნები საკმაოდ ხშირად იხმარებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

კილიკის ქუთაისის ძირის გარეთა ზედაპირზე მოთავსებულია გრაფიტო Δ|. ასეთი გრაფიტო დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში²³. მას მიიჩნევენ ღმერთისადმი მიძღვნად („ეძღვნება ზევსს“).

ამ გრაფიტოს ანალოგიური აღწერილია ი. ტოლსტონისთან, მაგრამ იგი მას დატოვებული აქვს ისევე, როგორც მას შიფრავდა პრიდიკი — „ზევსს“ და შემდგომ არავითარ კომენტარს არ უყეთებს. ჩვენი აზრით, აქ კვლავ საკუთარი სახელის აღმნიშვნელი ასოებია, ვინაიდან ისინი მოთავსებული არიან ჭურჭლის ძირზე. აქ უნდა იყოს საკუთარი სახელი, დაწყებული ამ ორ ასოზე. მაგალითად: ქალის სახელი Διδა ან სახელები Διονμαχη, Διογύνης, Διονσται, Δίος.

გიენოსის ტერიტორიაზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით მონოგრამიანი ლეკითოსები, რომელთაც მხარზე, გამოწვამდე აქვთ ამოკაწრული სხვადასხვა ნაშრომები. **Β Α W** ასევე ბევრია ავური, რომლითაც ამოყვანილი

იყო სამარხის კედლები: **X N Λ Y Ϝ Υ X**

რაიმე კონკრეტული დასკვნების გამოტანა გიენოსის გრაფიტოების მიხედვით ვერაქვრებით ჭირს, ვინაიდან მასალა საკმაოდ მცირერიცხოვანია. კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრაფიტოს ერთიანი კლასიფიკაციის შექმნა და გარკვეული დასკვნების გამოტანა მხოლოდ იმის შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა მასში კოლხეთის სხვადასხვა რეგიონის მასალა მთლიანად იქნება გათვალისწინებული.

²² Z g u s t a. Die Personenamen. Pape-Benseler.

²³ Толстой И. И. დასახ. ნაშრომი.

К ИЗУЧЕНИЮ ГРАФФИТИ, ОБНАРУЖЕННЫХ НА
 ТЕРРИТОРИИ ГИЭНОСА

Резюме

В районе нынешнего города Очамчире локализуется упомянутый Псевдо-Скилаксом «эллинский город Гиэнос». Гиэнос (и схожие с ним названия) встречается также и у других античных авторов, хотя эллинским городом его больше никто не называет.

О наличии здесь греческого населения говорят находки многочисленной импортной керамики, хотя в большом количестве найдены также изделия местного производства и остатки, отражающие быт и культуру коренного населения. Считается, что здесь существовала греческая торговая фактория.

На территории Гиэноса найдены греческие граффити, правда в очень малом количестве, но их изучение в едином комплексе со всеми граффити, обнаруженными на территории древней Колхиды, даст возможность создания цельной классификации греческих граффити Колхиды.

M. NASIDZE

 STUDY OF GRAFFITI DISCOVERED ON THE TERRITORY
 OF GIENOS

Summary

Mentioned by Pseudo-Skilaks „Hellenic town Gienos“ is localized in the area of the present town of Ochamchire. Gienos (and some other similar names) can be found in the writings of other authors, but nobody calls it Hellenic town any more. The discovery of a large number of ceramics can serve as an indicator of the presence there of a Greek population although numerous locally produced items and remains, that reflect the way of life and culture of local population were also discovered there. It was presumably a Greek trading center.

Greek graffiti were discovered on the territory of Gienos, although in a small number, but their study, together with that of all graffiti discovered on the territory of ancient Kolhida, makes it possible to formulate one classification of Greek graffiti of Kolhida.

მერი ინაძე

სტრაბონის მართი ცნობის ინტერპრეტაციისათვის

(ფრიქსოპოლისი-იდეესა)

ანტიკურ მწერლობას სათავე მითიურ თქმულებებში უდევს. ლეგენდებში ასახული საგმირო საქმენი, გადმოცემები ღვთაებრივი წარმომავლობის გმირებზე, საფუძვლად დაედო უძველეს ბერძნულ პოეზიას. ამ მასალით უხვად საზრდოობდნენ ასევე მომდევნო ხანის ბერძნული მწერლობის ყველა ქანრის წარმომადგენელი. როგორც ცნობილია, ძველ ბერძნულ გადმოცემათა შორის გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდა არგონავტების ციკლის თქმულებები. „არ დარჩენილა ამ ეპოქის არა თუ მწერლობის, არამედ საერთოდ ხელოვნების არცერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად ან ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს“¹.

არგონავტების თქმულების მხატვრული დამუშავების დროს მწერლები ლეგენდარულ ამბებს ავსებდნენ რეალური ცნობებით, სინამდვილიდან აღებული ფაქტებით და დეტალებით. ამიტომ არის, რომ არაერთმა საინტერესო ცნობამ ძველი სამყაროს ხალხთა ზნე-ჩვეულებების, რელიგიური წარმოდგენებისა თუ ცხოვრების წესის შესახებ ჩვენამდე მითიური გადმოცემების სახით მოაღწია. ეს გარემოება ჯერ კიდევ ელინისტური ხანის დიდ გეოგრაფს სტრაბონს ჰქონდა შენიშნული. სტრაბონი წერს, რომ ძველ ბერძენ ავტორთა მონათხრობს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესახებ მითიური ელფერი დაჰკრავს. ამის გამოა, რომ მათ გადმოცემებში ძალზე ძნელია ჰეშმარიტების ამოცნობა, მაგრამ ეს შეუძლებელი არ არის, თუ ყოველ მათგანს გამოვამხეურებთ და ერთად თავმოყრილს გამოვიკვლევთ (Strabo, X, 2, 23). მართლაც, სტრაბონის ნაშრომში არაერთხელ შეხვდებით ძველ ავტორთა ლეგენდარულ გადმოცემებში რეალური სინამდვილის მიკვლევის ცდას. ასე, დიდი გეოგრაფის დაკვირვებით, ჰომეროსისათვის ცნობილი იყო ტროას ომი, როგორც ისტორიული ფაქტი, მაგრამ პოეტი თავის თხზულებაში ტროას წინააღმდეგ აქეველთა ლაშქრობის ამბავს საგანგებოდ ურთავდა მითიურ ეპიზოდებს. ანალოგიური შეხედულებისა სტრაბონი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ. მისი აზრით, ამ ლაშქრობასაც ნამდვილი ფაქტები და მიზეზები ედო საფუძვლად.

სტრაბონი აღნიშნავს: „ფაზისში მგზავრობა სარწმუნოა თავიდანვე და ის პელიასმა მოაწყო (სარწმუნოა აგრეთვე) უკან დაბრუნება და ზოგი კუნძულის დაპყრობა, ვფიცავ ზევსს, რომ (ნამდვილად იყო) ეს შორეული მო-

¹ ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964, გვ. 13.



გზაურობა, ისევე როგორც ოდისეოსისა და მენელაოსისა... ამა სომ მეფეთი-
ბენ ქალაქ ფაზისთან, ხოლო აეტი სარწმუნოა, რომ კოლხიდაში მეფე-
ურებში ეს სახელი ადგილობრივია“.

„გარძნული მედეას შესახებ მოგვეთხრობენ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისაგან შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქსემ მოაწყო თავისი მგზავრობა“², შემდეგ იაზონმა.

მოყვანილი ცნობიდან სრულიად ნათელია სტრაბონის დამოკიდებულება არგონავტების თქმულებისადმი. ის საეხებით სარწმუნოდ მიიჩნევს თესალიელი გმირის კოლხეთში მოსვლის ამბავს და ცდილობს გამოქმენოს ამ ამბის სინამდვილესთან დამაკავშირებელი ძაფები, ხსენებული ლაშქრობის გამომწვევი რეალურა მიზეზები და მისი დამადასტურებელი ფაქტები (ჯერ ფრიქსემ და შემდეგ იაზონმა იმიტომ ილაშქრეს ამაში, ქალაქ ფაზისთან, რომ აიეტის ქვეყანა ძალიან მდიდარი იყო სხვადასხვა ლითონით და სხვ.), მაგრამ უდავოა ისიც, რომ ძველი თქმულებებისადმი რაციონალისტური მიდგომის მიუხედავად, სტრაბონი მაინც თავს ვერ აღწევს მითოლოგიურ წარმოდგენებს. ლეგენდარულ გადმოცემებს ის ხშირად აღიქვამს როგორც სინამდვილეს, ხოლო მათი პერსონაჟების შესახებ ისევე მსჯელობს, როგორც ისტორიულ პიროვნებებზე.

ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა, რომელშიც მკიდროდ არის გადაჯაჭვული ლეგენდარული ამბავი რეალურთან, არის ცნობა კოლხეთში ფრიქსეს მოსვლისა და მისი აქ მოღვაწეობის შესახებ.

როგორც სტრაბონის ცნობებიდან ჩანს, ფრიქსეს მიეწერებოდა მოსხიკეში ლევკოთეას სამლოცველოსა და სამისნოს აგება, ხოლო კოლხეთისა და იბერიის საზღვრებთან მისა სახელის მატარებელი ქალაქის — ფრიქსოპოლისის დაარსება.

ჩვენ აქ არ შევეხებით გადმოცემას ლევკოთეას სამლოცველოს შესახებ, რადგან მასში ასახული ვითარება ამ გადმოცემის კრიტიკულ შეფასებასთან ერთად საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში³.

ამჟამად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ცნობაზე ფრიქსოპოლისის შესახებ. გეოგრაფიის წ. XI, თ. 2, §§ 17, 18-ში, სადაც სტრაბონი გადმოგვცემს კოლხეთის აღწერილობას და მის მოკლე ისტორიას, იქვე მოგვეთხრობს ფრიქსეს მოღვაწეობის ამბავსაც მოსხიკეში და ამის შემდეგ განაგრძობს: „იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეზლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე“ (Strabo, XI, 2, 18)⁴.

მოყვანილი გადმოცემის კრიტიკული შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მასში შემონახული სხვადასხვა ისტორიული ეპოქის დანაშრევის ერთმანეთისაგან გამოყოფას და ცალ-ცალკე განხილვას.

² Strabo, 1, 2, 39; თ. ყაუხჩიიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 70, 71.

³ Лордкипанидзе О. Д. К локализации ТО ТΗΣ ΛΕΥΚΟΘΕΑΣ ἹΕΡΟΝ, —ВДИ, 2, 1972, გვ. 108—110; ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 57—63.

⁴ თ. ყაუხჩიიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 125.



თავდაპირველად შევეხებით საკითხს თვით ფრიქსოპოლისის რაობის შესახებ. მისი რეალური შინაარსის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ გადმოცემის შემდგომი ინტერპრეტაციისათვის.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სტრაბონთან დაკუთლებული მეორე ცნობაც, რომელშიც ფრიქსეს იმავე საქმიანობაზე და მის შედეგებზეა საუბარი. წ. I, თ. 2, § 39-ში, ავტორი მოგვითხრობს ჯერ ფრიქსეს, ხოლო შემდეგ არგონავტების ლაშქრობის რეალური მიზეზების შესახებ და იქვე დასძენს: „ორივე ლაშქრობის ძეგლები მოიპოვება: ფრიქსესას მიუთითებენ კოლხიდისა და იბერიის საზღვრებზე, ხოლო იაზონისას ბევრგან: არმენიის, მიდიისა და მიდამო ქვეყნების ადგილებში“⁵.

როგორც ვხედავთ, თ. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული თარგმანის მიხედვით არ ჩანს, რა იგულისხმება კონკრეტულად ფრიქსეს მიერ დაარსებულ ძეგლში (ბერძნული ტექსტის „τὸ ἱπποκυμαίον“-ში). თარგმანში წერია მხოლოდ: „ფრიქსესას მიუთითებენ“....

რაც შეეხება გ. ა. სტრაბანოვსკის, ის ამ ადგილს შემდეგნაირად თარგმნის: «Кроме того, существуют памятники обоих походов: святилище Фрикса, расположенное на границах Колхиды и Иберии, и святилище Иасона»...⁶.

ტექსტის ასეთ ინტერპრეტაციას, ე. ი. „τὸ ἱπποκυμαίον“-ის გაგებას „ტაძრის“, „სამლოცველოს“ მნიშვნელობით, მხარს უჭერს ის გარემოება, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის“ სხვა ადგილების მიხედვით, ფრიქსეს და იაზონს კოლხეთის მახლობლად მდებარე ქვეყნებში სწორედ სამლოცველოების და ტაძრების დაარსებას მიაწერდნენ. ასე მაგალითად, მოსხივეში ფრიქსეს აუგია სამლოცველო და სამისნო, ხოლო, იმავე სტრაბონის სხვა ცნობის თანახმად, იაზონის სახელთან დაკავშირებულ „ბარბაროსთავან ფრიად პატივცემულ ტაძრებს“ (ბერძნულ ტექსტში „τὰ ἱπποκυμαία“-ს) მიუთითებდნენ კასპიის კარების ზემოთ და არმენიაში (XI, 13, 10)⁷. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია, კოლხეთისა და იბერიის საზღვრებთან ფრიქსეს საქმიანობის შედეგად დაარსებულ „ძეგლშიც“, ანუ იმავე ფრიქსოპოლისში ვივარაუდოთ ტაძარი.

შემდეგი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ფრიქსოპოლისის შესახებ სტრაბონის გადმოცემის განხილვის შედეგად, არის ის, რომ, თუმცა სტრაბონი მას ახასიათებს როგორც პატარა ქალაქს (παλιχίον), მაგრამ აღრეულ ხანაში ფრიქსოპოლისი, როგორც ჩანს, ქალაქს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს გადმოცემაში სტრაბონის მიერ მისი პოლისად ხსენება (იბერიის დიდი ქალაქების სევსამორას და ჰარმონიკეს მსგავსად)⁸. აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ თავის არსებობას აღრეულ ეტაპზე ფრიქსოპოლისი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც თავისთავად არ გამოორიცხავს იმთავითვე აქვე სამლოცველოს არსებობასაც.

⁵ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 71.

⁶ Страбон. География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, М., 1964, с. 54.

⁷ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

⁸ Strabo, XI, 3, 5.



ამასთან სტრაბონის მიერ ლევკოთეას სამლოცველოს გვერდით ქუჩაზე ფრიქსოპოლისის გამორჩეულად მოხსენიება საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ, ლევკოთეას ტაძრის მსგავსად, მასაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კოლხეთისა და მისი მიმდებარე ქვეყნების ძველი საკულტო ცენტრებს შორის.

სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობები სხვა მხრივაც საქიროებს კვლევას. სახელდობრ, ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ სტრაბონი ფრიქსოპოლისს ხან „კოლხეთისა და იბერიის საზღვრებთან“ ათავსებს, ხან კი იბერიაში, მაგრამ მაინც კოლხეთის საზღვრების ახლოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სტრაბონს ან საერთოდ არ ჰქონდა უფრო ზუსტი ცნობები ფრიქსოპოლისის ადგილმდებარეობის შესახებ, ანდა ის ემყარებოდა სხვადასხვა დროის წყაროებს, რომელთა ერთი, უფრო ძველი ინფორმაციის მიხედვით ფრიქსეს საქმიანობის ასპარეზს კოლხეთი წარმოადგენდა და მისი ამ საქმიანობის მოწმე „ძველი“ კოლხეთში უნდა ყოფილიყო; მეორე მხრივ, მას ჰქონდა უფრო გვიანდელი მონაცემები, რომელთა თანახმად, ძველი ფრიქსოპოლისი, მისი დროისათვის სახეშეცვლილი, მცირე გამაგრებულ ქალაქად ქცეული, უკვე იბერიას ეკუთვნოდა, რამაც საფუძველი მისცა სტრაბონს (უფრო სწორედ მის წყაროს), ფრიქსოპოლისი იბერიაში მოეთავსებინა. ზემოთ გამოთქმული ორი ვარაუდიდან, ჩვენ უფრო მეორე შესაძლებლობისკენ ვიხრებით და, ვფიქრობთ, რომ ფრიქსოპოლისის ადგილსამყოფელი თავდაპირველად კოლხეთში იყო, ხოლო უფრო გვიან (ძვ. წ. III ს-დან), ქართლის სამეფოს წარმოქმნისა და მისი მიწების დასავლეთით გაფართოების შემდეგ, ეს ქალაქი იბერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, თუმცა იბერიაში შესვლის შემდეგაც, როგორც ჩანს, იგი კოლხეთის საზღვრებისაგან დიდად არ იყო დაშორებული.

ამის შემდეგ ისმის საკითხი, თუ რამ განაპირობა ხსენებული სამლოცველოს წარმოქმნის დაკავშირება ფრიქსეს სახელთან, რა ნიშნავს აღმოცენდა გადმოცემა ლეგენდარული გმირის ფრიქსეს მიერ მისი სახელის მატარებელი ქალაქისა და სამლოცველოს დაარსების შესახებ.

პასუხი ამ კითხვაზე უპირველესად თვით ბერძნულ მითოლოგიაში უნდა ვეძიოთ.

დადგენილია, რომ აგრონავტიკა წარმოშობით თესალოურ-ბეოტიური თქმულებაა (უფრო გვიან, იონიურ ნიშნავზე გადამუშავებული). აგრონავტიკა ლაშქრობაზე ბერძნულ თქმულებას საფუძველად უდევს ბეოტიური ლეგენდა ორქომენის მეფის შის ფრიქსეს შესახებ. ძვ. წ. II ს-ის ავტორმა აპოლოდორემ ფრიქსეზე შემდეგი გადმოცემა შემოგვინახა: ბეოტიის გამგებელ ათამანტს ნეფელესაგან შეეძინა ვაჟი ფრიქსე და ქალიშვილი ჰელე. შემდეგ ათამანტმა თავის შვილებს დედინაცვალი იწო მოუყვანა. იწომ თავის გერის-ფრიქსეს მიმართ ვერაგობა განიზრახა და ქალებს დასათესი ხორბალი მოახალინა. მოხალული ხორბლით დათესილმა მიწამ ყოველწლიური ნაყოფი აღარ გამოიღო. იწომ შეაგონა ხალხს, თითქმის უნაყოფობა შეწყდებოდა, თუ ფრიქსეს (სხვა ვერსიით ფრიქსესა და ჰელეს) მსხვერპლად დაუკლავდნენ ზევსს. იმ ქვეყნის მცხოვრებთაგან ძალდატანებულმა ათამანტმა ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა დაუპირა და იგი საკურთხეველთან დააყენა. მაშინ ნეფელემ მისცა დამძას ოქროსსაწმისიანი ვერძი, რომელმაც ისინი აღმოსავლეთისკენ წამოიყვანა. შუა გზაში ჰელე ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა, ხოლო ფრიქსემ მიადწია კოლხებს, რომლებზედაც მეფობდა აიეტი (პელიოსის ძე). აიეტმა ფრიქსი



შეიფარა და ერთი ქალიშვილითაგანი — ქალკიოპე ცოლად მისცა. მისი ოქროს საწმისიანი ვერძი მსხვერპლად შესწირა ფიქსიოს ზევსს, ხოლო მისი ტყავი კი აიეტს უბოძა. ამან საჩუქარი არესის ჭალაში მუხას მიაქედა.

ამ თქმულებასთანაა დაკავშირებული ლეგენდა ოქროს საწმისის კვლავ საბერძნეთში დაბრუნების შესახებ, რაც გახდა მიზეზი აიეტის ქვეყანაში არგონავტთა ლაშქრობისა.

ამრიგად, ოქროს საწმისიანი ვერძის მიერ ფრიქსეს გადმოყვანა კოლხეთში და მის მიერ მსხვერპლად შეწირული ვერძის ოქროს ტყავის ბოძება აიეტისათვის არის მთავარი თემა, რომლის საფუძველზედაც აიგო თქმულება არგონავტთა ლაშქრობის შესახებ. ამას სხვა ძველი ბერძენი ავტორებიც ადასტურებენ.

ფრიქსეს მიერ ვერძის მსხვერპლად მოტანისა და მისი ტყავის ზევსისათვის ან არესისათვის შეწირვის შესახებ გვამცნობენ ჰესიოდეს (ძვ. წ. VIII ს.) „ასტრონომიის“ სქოლიონებში⁹, პინდარეს სქოლიონებში¹⁰. ფრიქსეს მიერ ვერძის შეწირვის ამბის სხვადასხვა ვერსიებს ვხვდებით აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებშიც: „დიონისიოსი კი მეორე წიგნში გადმოგვცემს, ვერძი ფრიქსეს აღმზრდელი იყო და მასთან ერთად გაემგზავრა კოლხებისაკენ; ამიტომ მოგვიტბრობენ მითს იქ ვერძის შეწირვის შესახებ“¹¹. დიოდორე სიცილიელის ცნობით, ოქროს საწმისი არესის ტაძარში იქნა მოთავსებული წეს-ჩვეულებების შესაბამისად¹².

ამრიგად, ძველი ბერძნული წერილობითი ტრადიცია ფრიქსეს სახელს დაუკავშირებს ოქროს საწმისის ზევსისათვის (მეორე ვერსიით არესისათვის) შეწირვას, არესის ჭალაში ან არესის ტაძარში მის შენახვას. ვერძით ფრიქსეს მოგზაურობის წყალობით, ოქროს საწმისი საბერძნეთიდან კოლხეთში ინაცვლებს და მისი გამგებელის აიეტის კუთვნილი ხდება.

ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად, ვერძი ფრიქსეს მფარველია; მეორე მხრივ, თვით ვერძი, ცხვარი და ოქროს საწმისი მცირე აზიისა და კავკასიის ხალხთა უძველეს წარმოდგენებში სიმბოლოა ნაყოფიერების, ღოვლათიანობის, მოსავლიანობის და ძლიერების¹⁴, ამდენად, ფრიქსოპოლისის და ლევკოთეას სამლოცველოთა დაარსების დაკავშირება ოქროს საწმისის მომტან ლეგენდარულ გმირ ფრიქსესთან სახეებით შესაძლებელია მეტყველებდეს ნაყოფიერების კულტის დიდ მნიშვნელობაზე ამ ტაძრებში.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ნიშანდობლივი უნდა იყოს ბერძენ ავტორებთან (პეროდორე, სტრაბონი) დაცული სხვა ტრადიცია; ამ გადმოცემის მიხედვით, ფრიქსეს ვაჟიშვილს, რომელიც მას აიეტის ასულის ქალკიოპესაგან ჰყავდა, კიტისორისი ეწოდებოდა (Her., VII, 7, 197; Strabo, XII, 3, 10). ამ სახელწოდების ფუძე „კიტ“, „კეტ“, ასევე უკავშირდება ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში შემორჩენილ სიტყვას „კოტ“ — „კოტრა“ და „კიტ“. რომლებიც თავის მხრივ შეესატყვისება იმერულ, რაჭულ დიალექტებში და მეგრულ ენაში ფალოსის აღმნიშვნელ სიტყვებს „კუტას“ და „კუტს“. ხოლო

9 ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 350—351.
 10 იქვე, გვ. 188.
 11 იქვე, გვ. 223.
 12 იქვე, გვ. 244.
 13 იქვე, გვ. 390, 392.
 14 გ. გიორგაძე, „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიური პარალელები. — თსუ შრომები, 227, 1982, გვ. 287—293.



ფალოსის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს, მონაწილეობა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილ ქვეყნულ (ანუ ბოსელ-კოტის) საკულტო რიტუალში დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს არაერთი კუთხის ეთნოგრაფიაში¹⁵. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ოქროს საწმისის მომტანი ფრიქსე, ისევე როგორც მისი ვაჟი — კიტისორისი, ანტიკურ მწერლობაში დაცული ტრადიციის თანახმად, კოლხეთში ნაყოფიერების მომტან სიმბოლოებად განიხილებოდნენ. ამდენად, ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი უძველესი საქალაქო-სატაძრო ცენტრების დამაარსებლად ფრიქსეს მიჩნევა კოლხეთში საესეებით კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაფერი ეს კარგად ეთანხმება არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილ უძველეს საკულტო ცენტრებში (ვანი, საირხე და სხვ.) დადასტურებულ ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

გარდა ამისა, არგონაეტების ლაშქრობის წინარე ხანის გმირის — ფრიქსესთვის ასეთი განსაკუთრებული როლის მინიჭება კოლხეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში სამლოცველოების დაარსების საქმეში, ვფიქრობთ, იმ რეალური ვითარების გამოძახილიც უნდა იყოს, რომ ეს ტაძრები შორეულ წარსულში იყვნენ აღმოცენებულნი¹⁶.

მთელი ზემოთ განხილული მასალა სტრაბონთან დაცული საორიენტრო მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის ფრიქსოპოლისის გავიგევით ყვირილის ხეობაში აღრენანტიკური ხანიდან არსებულ ქალაქ საირხესთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ საირხე, როგორც საქალაქო ცენტრი, კოლხურ სამყაროში წარმოიქმნება. წინანტიკურ ხანაში ის კოლხური კულტურის არეალში შედის და მის მომდევნო პერიოდშიც (ძვ. წ. VI—IV—III სს.) კოლხეთის სამეფოს ეკუთვნის (მისი ერთ-ერთი განაპირა საგამგეო ერთეულის ცენტრია). მაგრამ შემდეგ, ქართლის ძლიერი სამეფოს ჩამოყალიბების კვალდაკვალ (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი) საირხე ამ სამეფოს ფარგლებში ექცევა და მთელი მომდევნო ხანის განმავლობაში იბერიის შემადგენლობაში რჩება. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ისიც ირკვევა, რომ ელინისტური ხანიდან (ძვ. წ. III ს-ის მეორე მეოთხედი) საირხე კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას, როგორც დიდი საქალაქო-სატაძრო ცენტრი და ამიერიდან წარმოადგენს შედარებით უფრო მცირე დასახლებულ ადგილს¹⁷. ეს გარემოებაც ერთხელ კიდევ უნდა ადასტურებდეს იმას, რომ ფრიქსოპოლისში მართლაც შეიძლება ვიგვივებას ქალაქ საირხესთან არაერთი სხვა გარემოება უჭერს მხარს.

საირხეს მახლობლად აღმართულ გორებზე (საბადურის გორა, სახოვლე და სხვ.) მოპოვებული მასალისა და ლომინაურში აღრე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებულ

¹⁵ Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, с. 178, 179.

¹⁶ შ. ინაძე. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. — მაყენ, ისტორიის სერია, 1986, № 4, გვ. 51—53.

¹⁷ ჯ. ნადირაძე. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, წ. 1, თბ., 1990, გვ. 152, 153; შ. ინაძე, ვერისისა და ქართლის ურთიერთობისათვის. — მნათობი, 1989, № 8, გვ. 161; ზ. ბრეგვაძე. ფარნავაზის პოლიტიკა კოლხეთის მიმართ და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. — მაყენ, ისტორიის სერია, 1991 წ., № 3, გვ. 86—87.



ქნა დებულება, რომლის თანახმად, ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში იქმნება არა მხოლოდ დიდი ქალაქური ტიპის წარმოქმნის პირობები, არამედ აქვე აღმოცენდება ყვირილის ხეობის უმნიშვნელოვანესი საკულტო-რელიგიური ცენტრიც ძლიერი სატაძრო ორგანიზაციით, რომელიც ძველ საკულტო ტრადიციებს ემყარება¹⁸.

საირხის მახლობლად საბადურის, ვეშაპიძის და სხვა გორებზე წინა და ადრეანტიკური ხანების ფენებში გამოვლენილი თიხისაგან ვაკეთებული ქალღვთაების ქანდაკებები, მისდამი შეწირულ ცხოველთა მცირე გამოსახულებები, ლომ-ნაურში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები — თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან გამოქერაწილი ლომის, თავის ფრავმენტები, აქვე მოპოვებული საკულტო საგნები, იმასაც მოწმობს, რომ საირხის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე მიწათმოქმედ საზოგადოებაში და მის სატაძრო ცენტრში უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ვარკვევით იკვებება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების დიდი ღვდის კულტი, რომელიც ციურ მნათობთა (მზე, მთვარე) თაყვანისცემასთან არის შერწყმული¹⁹.

გარდა ამისა, ლომინაურში ნაპოვნი საკულტო საგნების — ქვისაგან გამოკეთალი სიმბოლოების, განაყოფიერების აქტისა და სტილიზებული სიცოცხლის ხის გამოსახულების მიხედვით გამოითქვა აზრი, რომ საირხის სატაძრო ცენტრში არსებობდა ხის კულტიც, რომელიც ორგანულად ერწყმოდა ნაყოფიერების ქალღვთაების კულტს²⁰. ამასთან დაკავშირებით მკვლევარ ჯ. ნადირაძის უტრადლება მიიქცია სოფ. საირხის ეკლესიის კედელში ჩატანებულმა გვიანფეოდალური ხანის საფლავის ქვაზე შემორჩენილმა სახელწოდებამ — სარხე, რომელიც მისი ვარაუდით, საირხის არქაული სახელწოდება უნდა იყოს²¹. მართლაც, ეს სახელი ორი სიტყვისაგან შედგება („სარი“ და „ხე“) და ორივე ზეს აღნიშნავს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიტყვა „სარი“ სწორედ დოვლათის და ნაყოფიერების სიმბოლოს — ვაზის შესაყენებელ ზეს ეწოდება.

სტრატონისეული ვადმოცემების რეალურ-ისტორიული შინაარსის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფრიქსოპოლისის მეორე სახელწოდების — „იდეესა“-ს წარმომავლობის საკითხის გარკვევას. ვადმოცემაში ეკითხულობთ: „...ფრიქსოპოლისი, ვხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებთან“. მაგრამ სტრატონის მიერ ფრიქსოპოლისის „ვხლანდელ იდეესად“ გამოცხადება არ ნიშნავს იმას, რომ მეორე სახელი მას მაინცდამაინც სტრატონის ხანაში შეერქვა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრიქსოპოლისის მეორე სახელწოდების — იდეესას წარმოქმნა, სხვა მონაცემების მიხედვით, უფრო ადრეა სავარაუდო, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ბერძენი ავტორის მიერ ამ ადგილას ნახმარი დროის აღმნიშვნელი სიტყვა — „vuv“ —

18 ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 80, 83—84; მისივე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 143—4; მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 46—52.

19 მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 42—52; მისივე, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 46 და შემდ.

20 ჯ. ნადირაძე, საირხე... გვ. 107—108. როგორც ქართულ, ასევე ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ რელიგიებში ხის კულტი უმთავრესად თან ახლავს ნაყოფიერების ღვთაებისათვის განკუთვნილ რიტუალს.

21 იქვე.



„ახლა“, „ამჟამად“, „ახლანდელი“ — უპირველესად, გულისხმობს მსაქმეებს, ოდესღაც უთუოდ მნიშვნელოვანი ქალაქის (ფრიქსოპოლისის) სტრაბონის (უფრო სწორედ მისი წყაროს) დროისათვის პატარა საქალაქო ცენტრად. კარგად გამაგრებულ ადგილ იდევსად გადაქცევას, ე. ი. თვით ქალაქის ტრანსფორმაციას.

სტრაბონის ცნობის ასეთ გაგებასთან ერთად დგება მისი წყაროს საკითხიც.

რომელი ავტორისაგან აიღო სტრაბონმა ცნობა მის დროს (ძვ. წ. I ს-ში) იბერიაში, კოლხეთის საზღვრებთან მდებარე გამაგრებული ადგილის (αἰλί-χτιστῶν) იდევსას შესახებ, დანამდვილებით ძნელია თქმა, მაგრამ ყველა მონაცემის მიხედვით ეს ავტორი იყო თეოფანე მიტილენელი, ამიერკავკასიის ქვეყნებში პომპეუსის ლაშქრობების თანამონაწილე და მისი ძლევამოსილი ომების ისტორიის აღწერი. როგორც ვარაუდობენ, სწორედ თეოფანეს ცნობებით უნდა ენარგებლა სტრაბონს მეზობელი ქვეყნებიდან იბერიაში შემოსასვლელი გზების აღწერილობის დროს²². აქედან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია, ცნობაც გამაგრებულ ადგილ იდევსას შესახებ სტრაბონს იმავე ავტორისაგან ესესხა.

თვით თეოფანეს ხელში ეს ინფორმაცია უთუოდ აღმოჩნდა იბერიიდან მდ. ყვირილის ხეობით კოლხეთში პომპეუსთან ერთად მისი გადასვლის დროს, რადგან იდევსა (ძველი ფრიქსოპოლის-საირხე) სწორედ ამ მნიშვნელოვან საგზაო მაგისტრალზე მდებარეობდა²³. ეს გზა ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ, მთავარ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენდა პომპეუსის ლაშქრობის ხანაშიც, რის გამო ქართლის სამეფოს ხელისუფალთა მიერ იგი საიმედოდ იყო ციხე-სიმაგრეებით დაცული და გამაგრებული (Strabo, XI, 3, 4). თეოფანეს მიერ იდევსას კარგად გამაგრებულ ადგილად მოხსენიებაც, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ამდენად, ვფიქრობთ, პომპეუსის ლაშქრობების აღწერილობის ისტორიკოსის ეს ცნობა სავსებით სწორად უნდა ასახავდეს მდ. ყვირილის ამ მნიშვნელოვანი პუნქტის შორეულ წარსულს და შემდეგ, ძვ. წ. I ს-სათვის აქ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ოდესღაც კოლხეთის დიდი სატაქრო-საქალაქო ცენტრის დამცობას და მის ადგილას კარგად გამაგრებული, უკვე იბერიის ფარგლებში შემავალ პატარა საქალაქო ცენტრთან სტრატეგიული დანიშნულების სიმაგრის გაჩენას.

სურათი, რომელიც გვხვატება სტრაბონის წყაროს გადმოცემის განხილვის შექმნე, სავსებით სარწმუნო ჩანს საირხის მიმდებარე ტერ-ტორიის არქეოლოგიური დაზვერვებით მიღებული შედეგების მიხედვით²⁴. თუმცა აშკარაა ისიც, რომ სტრაბონს ეს ინფორმაცია ძალზე მოკლედ და ლაკონიური ფორმით აქვს გადმოცემული, რის გამო სავსებით შესაძლებელია, ამ პირველწყარომ სტრაბონის ხელში გარკვეული ცვლილება განიცადა.

დავუბრუნდეთ მთავარ საკვლევ საკითხს — სახელწოდება იდევსას, რომელიც ფრიქსოპოლისის მეორე, თითქოს სტრაბონისდროინდელ სახელს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრაბონის სიტყვები „ფრიქსოპო-

²² თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 7.
²³ ჯ. ნადირაძე, საირხე... გვ. 150—152.
²⁴ იქვე, გვ. 122—137, 149—151.



ლისი — ეხლანდელი იდეესა“ არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ წოდება ფრიქსოპოლისს მაინცდამაინც სტრაბონის ხანაში შეერქვა.

რამდენადაც ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები მოწმობენ, სახელი იდეესა წარმოქმნილი უნდა იყოს გაცილებით უფრო ადრეულ ხანაში, საიხის არქაული სახელის — საიხეს ბერძნულად გააზრების შედეგად. სახელდობრ, ეს სახელწოდება შედგება სიტყვისაგან „იდე“ — „Ιδη“, რაც ნიშნავს ტყიან მთას, ტყეს და „ესა“ („εσα“), რომელიც თვისობრიობის მაწარმოებელი ფორმანტია. მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი ამ ბერძნულად გააზრებულ სახელწოდებაში ეს არის, რომ „Ιδη“ აღნიშნავდა არამართო განყენებულად ტყიან მთას, ან ტყეს, არამედ ამავე დროს მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, ტროას მახლობლად მდებარე მთის მასივს — იდეს, სადაც ძველიაგანვე თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერების ქალღმერთს — ცხოველთა მფარველ დედალფთაებას. იდეს ხსენებას ჯერ კიდევ პომპროსთან და პესიოდესთან ეხვდებით, როგორც ფრიგიის მახლობლად მდებარე მთის სახელწოდებას. პომპროსთან მისი ებითეტებია „ქარიანი“, „ტყიანი“, და, რაც მთავარია, პომპროსი მას უწოდებს „ცხოველთა დედის“ მთასაც (μῆτηρ μηρῶν)²⁵.

მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და დაწვრილებითი ცნობები მცირეაზიულ იდეზე სტრაბონს აქვს დაცული.

ძველ ბერძენ მწერალთა (დემეტრიოს სკეფსისელის, სტესიმბროტე თაზოსელის და სხვათა) ცნობებზე დაყრდნობით, სტრაბონი აგვიწერს ღმერთების დედისადმი მიძღვნილ იმ საკრალურ რიტუალებს, რომლებიც ტროასთან მდებარე იდეს მთაზე და ფრიგიისში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიალებზე სრულდებოდა. ამავე ავტორის ცნობით, ფრიგიისში იდეს მთის დედალფთაების შესატყვისი ქალღმერთი კობელეს სახელს ატარებდა, ხოლო კრეტაზე იგივე ღვთაება რეას სახელით იყო ცნობილი. თუმცა, სტრაბონის ჩვენებით, კრეტაზე რეა არ წარმოადგენდა ადგილობრივ ღვთაებას, ასეთი ადგილობრივი ხასიათი ამ ქალღმერთის კულტს ჰქონია მხოლოდ ტროას იდესა და ფრიგიისში. რაც შეეხება რეას, მისი კულტის გაჩენა კრეტაზე, სტრაბონის აზრით, შესაძლებელია გამოიწვიო იმან, რომ იდე ეწოდებოდა არა მხოლოდ ტროასთან, არამედ კრეტაზე მდებარე მთასაც (Strabo, X, 2, 7, 19, 20).

სტრაბონმა შემოგვიანა აგრეთვე ფრიად საინტერესო გადმოცემები ღმერთების დედის იდე-კობელესადმი მიძღვნილ რიტუალებში ქურუმ-მეომართა ე. წ. კორიბანტებისა და კაბირების მონაწილეობის შესახებ. კორიბანტებს, რომელთაც რეას მხლებელ და ზევსის მფარველ კურეტებთან აიგივებდნენ მათი ფუნქციის მიხედვით, მიჩნევდნენ ქალღმერთის მსახურებაში მყოფ ღვთიშობაგონებულ აპროსან მეომრებად. დედალფთაებისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალებში ეს მიმედ შეიარაღებული მეომრები ასრულებდნენ სამხედრო ცეკვას (Strabo, X, 2, 19, 20). სტრაბონს დაცული აქვს ის მეტად საგულისხმო გადმოცემაც, რომ ზოგიერთი ძველი ბერძენი ავტორი კორიბანტებს კოლხურ სამყაროს უკავშირებდა და კოლხებისაგან წარმომდგარად სახავდა (X, 2, 19). აღწერილი რიტუალები, მისივე სიტყვით, ახლო მსგავსებას აძლავნებდა სამოთრაკიაზე, ასევე ლემნოსზე და მცირე აზიის სხვადასხვა ადგილებში შესრულებულ საღმრთო ცერემონიალებთან (Strabo, X, 2).

²⁵ იხ. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий. Ред. С. И. Соболевский, Том I, М., 1958, с. 809.

მცირეაზიულ იდესთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ძველი ბერძენი ავტორების ჩვენებები იმის შესახებ, რომ იდეს მთაზე მცხოვრებმა, ღმერთების დედის მსახურმა დაქტილებმა პირველად წამოიწყეს რკინის წარმოება (X, 2, 22). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი კორიბანტებს სწორედ ამ დაქტილების ჩამომავლებად მიიჩნევდა, ზოგი კი კოლხებს უკავშირებდა. სტრაბონის ნაშრომში შემონახულ ყველა ამ გადმოცემას ტროას იდებზე „ღმერთების დედის“ თავყვანისცემის შესახებ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრიქსოპოლის — საირხის მეორე სახელის იდეასა წარმომავლობის გარკვევისა და მცირეაზიულ იდესთან ამ სახელწოდების ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისათვის, რადგან, საირხის ნაქალაქარზე, საბადურის გორაზე არქეოლოგიური გათხრებით დამოწმებულია ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების — „დიდი დედისადმი“ — მიძღვნილი საკრალური რიტუალები, რომელთა შესრულებაში ღვთითშთავონებულ ქალებთან ერთად მონაწილეობდნენ „დიდი დედის“ მსახურნი, აბჯროსანი მეომრები. საბადურის გორაზე ნაპოვნია მათი აბჯრის ფირფიტები როგორც ქურუმ ქალთა და მათ თანმხლებ პირთა სამარხების ზემოდან გაცეთებულ ქვაყრილებში, ისე ამავე გორაზე გათხრილ დიდ სარიტუალო ორმოში²⁶. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი რიტუალები დადასტურებულია ვანის საეპიტო ცენტრებშიც, „ახვლედიანების“ გორის წვერზე, სადაც წარჩინებულა მეომრები დაუკრძალავთ ნაყოფიერების ღვთაებათა ქანდაკებებთან ერთად, ანდა მათ გვერდით²⁷.

როგორც ჩანს, მცირე აზიასა და კოლხეთში დედღვთაების მომსახურე ამ ქურუმ მეომართა მონაწილეობით შესრულებული მსგავსი რიტუალების არსებობათ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კორიბანტებს ერთი მხრივ უკავშირებდნენ იდეს მთის თავდაპირველ მოსახლეობას, მეორე მხრივ კი კოლხურ სამყაროს და კოლხებს. ამითვე უნდა ყოფილიყო განპირობებული იმ წერილობითი ტრადიციის წარმოქმნაც, რომ თითქოს რეა-პიბელე-იდეს ღვთაებათა მომსახურე ეს მეომრები (კურეტები, კორიბანტები, კაბირები) ერთმანეთის მონათესავე ტომებისაგან იყვნენ წარმომდგარნი (მცირე განსხვავებით) (Strabo, X, 2, 7).

მსგავსება იდეს მთასა და საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (საბადურის გორაზე) მოსახლე საზოგადოებების რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებს შორის უფრო მნიშვნელოვნად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საირხე (და მისი მიმდებარე საბადურის გორა), ისევე როგორც ტროას იდე, ძველთაგანვე წარმოადგენდა რკინის წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. მეტალურგიული წარმოების კონცენტრაცია საირხეში დაწყებული ჩანს წინარეანტიკურ ხანაში, ხოლო განსაკუთრებულ აღყვებას იგი ძვ. წ. VI—V სს-ში²⁸ აღწევს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე ხანას განეკუთვნება საბადურის გორაზე ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დიდი საკრალური ცერემონიალების შესრულებაც. აღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ როგორც მცირე აზიის იდებზე, ისე საირხეში, სი-

²⁶ მ. ი. ნაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, გვ. 49.

²⁷ იქვე.

²⁸ ჯ. ნაღირაძე, საირხე..., გვ. 18, 19.



ცოცხლის მფარველი „დიდი დედის“ თაყვანისცემა და რკინის წარმოქმნის მუშაობასთან დაკავშირებული კულტი მჭიდროდ ერწყმოდა ერთმანეთს. ამრიგად, მთელი ზემოთ მოტანილი მასალის განხილვის შეუქმე ტროსი იდესა და საირხის იდეებსა ურთიერთმიმართების საკითხების კვლევამ შემდეგ დასკვნამდე შეიძლება მივიყვანოს.

უპირველესად ყოვლისა, უფრო დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ უკვე ადრეანტიკური ხანის დასაწყისში ბერძნებს სრულიად რეალური წარმოდგენა ჰქონდათ კოლხეთის შიდა რეგიონების საზოგადოების სულიერი სამყაროსა და ცხოვრების წესის შესახებ. სახელდობრ, ამ ხანაში ბერძნები საკმაოდ კარგად იცნობდნენ კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთი მხარის (ყვირილის ხეობის) საკულტო ცენტრის — საირხის მოსახლეობის კულტებს და საწესო რიტუალებს, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებდნენ მცირე აზიის მთის — იდეს მცხოვრებთა რელიგიურ რწმენებთან. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ რეალური მსგავსების საფუძველზე შეიძლება დასარჩევად წოდებული საბადურის გორა და მასზე არსებული სამლოცველო. სადაც ერთმანეთს ერწყმოდა სიკოცხლის ხის, ნაყოფიერების მფარველი „დიდი დედის“ და რკინის ჰედვასთან დაკავშირებული კულტი, ბერძნებს აღეკვათ, როგორც მცირეაზიული იდე, რომელიც ძველთაგანვე განთქმული იყო ცხოველთა მფარველი ღვთაების თაყვანისცემით და რკინის წარმოებით. ადგილობრივ სარჩევს ასეთ გააზრებას და მისთვის სახელწოდება „იდესა“-ს შერქმევას, ჩანს, ისიც განაპირობებდა, რომ მცირეაზიური იდე წარმოადგენდა არა მხოლოდ ღმერთების დედის სალოცავ, მისი სახელობის ადგილს, არამედ აღნიშნავდა ტყიან მთასაც, ანდა ტყეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საირხის ამ გაბერძნულებულ სახელწოდებაში — „იდესა“ იგულისხმებოდა მთა იდეს მსგავსი, მისი შესადარი ადგილი. გარდა ამისა, ზემოთქმული ნათელყოფს, რომ სახელწოდება იდესა სარჩევს უნდა შერქმეოდა ადრიდანვე, სახელდობრ, არაუგვიანეს ადრეანტიკური ხანისა, როდესაც საბადურის გორაზე არსებობდა ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი, ფრიქსეს მიერ დაარსებულად ცნობილი სატაძრო ცენტრი. რადგან ამის მომდევნო ეპოქაში საირხის საკულტო ცენტრი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას, მასთან ერთად ქრება ის რიტუალებიც, რომლებსაც იქ არსებული ტაძრის მომსახურე პერსონალი ასრულებდა.

როგორც სტრაბონის ზემოთ განხილული ცნობიდან ჩანს, მის დრომდე მოუღწევია როგორც სახელწოდებას იდესა, ისე ფრიქსოპოლისს. ფრიქსოპოლისი, რომელიც ლეგენდარული პერსონაჟის, ფრიქსეს სახელს უკავშირდებოდა, ბუნებრივია, უფრო შორეულ წარსულში წარმოქმნილ სახელწოდებად იქნა გააზრებული.

ყვირილის ხეობაში მდებარე საირხის საკულტო ადგილის ასე ადრე გაცნობა ბერძენთა მიერ და მისი სახელწოდების თავისებური — იდეს მსგავს ადგილად გააზრება დიდ ინტერესს იწვევს ბერძნულ-მცირეაზიული და კოლხური სამყაროს უძველესი კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტების კვლევის თვალსაზრისითაც, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან გვექნება საუბარი.

К ИНТЕРПРЕТАЦИИ ОДНОГО СООБЩЕНИЯ СТРАБОНА

(Фриксополис — Идеесса)

Резюме

Исследуется сообщение Страбона 'XI, 2, 18' о Фриксополисе (городе Фрикса), той же Идеессе, находившейся в период жизни этого автора (I в. до н. э.) в Иберии, на границе Колхиды, и являвшейся в указанное время хорошо укрепленным пунктом — небольшим городом.

Установлено, что в этом сообщении историческая действительность тесно переплетается с мифическим преданием о Фриксе. Анализ сведений приводит к выводу, что под названиями Фриксополис и Идеесса, по всей вероятности, подразумевается раннеантичный город Саирхе (Сарикхе), где (на территории нынешней горы Сабатура и местности Ломинаури) одновременно существовал крупный религиозный центр, со сложной системой сакральных ритуалов, посвященных божеству плодородия. С III века до н. э. город Саирхе, тот же Фриксополис-Идеесса, попадает под влияние Картлийского царства, как храмовый центр утрачивает былое значение и превращается в небольшой укрепленный город.

Название Идеесса, так же, как и Фриксополис, греческого происхождения. Оно было перенесено на Саирхе греками (искателями природных богатств Колхиды) с Северо-Западного побережья Малой Азии, в частности из региона горы Иде, где также совершались аналогичные культовые ритуалы, посвященные Матери богов — хранительнице природы и животных.

M. INADZE

FOR THE INTERPRETATION OF ONE EVIDENCE BY STRABO

(Friksoполис—Ideessa)

Summary

The article reviews evidence provided by Strabo about Friksoполис (town of Friks) the same Ideessa that in the times of the author (I c. B. C.) was situated in Iveria, on the borders of Kolkhida and was then a well-fortified small town.

The work determines that in this information historic reality is closely interwoven with mythical legends about Friks. The analysis of evidence leads to the conclusion that under the name of Friksoполис and Ideessa probably the early antique town of Sairkhe (Sarikhe) is meant, where (in the territory of the present mountain Sabatura and Lominauri) at the same time great religious center with complicated system of sacral rituals, devoted to the deity of fertility was situated.

From III c. B. C. the town of Sairkhe, the same Friksoполис, fell under the influence of the kingdom of Kartli and lost its former importance as a temple town and turned into a small fortified town.



საქართველოს
წიგნების ეროვნული
არქივი

The name Ideessa as well as Friskopolis are of Greek derivation (the name of Ideessa was transformed into Sairkhe by Greeks (by explorers of natural resources of Kolkhida) from the north-west coast of Minor Asia in particular from the region of mountain Ide, where analogous rituals devoted to the Mother of Gods—keeper of Nature and animals were also performed.

ბიოგრაფიული

ეთნოგრაფიული „ხაზარის“ მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში“

„ქართლის ცხოვრების“ ავტორები საქართველოსა და კავკასიის წარსულის აღწერისას, ცალკეულ შემთხვევებში, მათთვის ნაკლებად ცნობილი ხალხების აღსანიშნავად იყენებდნენ თავისი დროისათვის ან წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილ ეთნიკურ სახელებს. კერძოდ, ხშირია ეთნონიმ „ხაზარის“ ხმარება სხვადასხვა პერიოდში მცხოვრები და განსხვავებული წარმომავლობის ტომების აღსანიშნავად¹. წინამდებარე წერილის მიზანია შეძლებისდაგვარად იმის გარკვევა, თუ ამ სახელწოდების ქვეშ „ქართლის ცხოვრებაში“, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი რეალურად არსებული ხალხი თუ ეთნიკური ერთობა უნდა ვიგულისხმოთ.

ქართულ მატერიალში „ხაზარები“ პირველად ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ ჩნდება². კავკასიის ადრეული ისტორიის გადმოცემისას ამ ობიექტებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი „ხაზართა“ შემოსევების ამბავი, რომლებმაც პირველი დარტყმა ლეკანის და კავკასიის შთამომავლებს (ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობას) მიაყენეს, შემდეგ კი, თანდათანობით, თავისი ყაჩაღური თავდასხმები კავკასიონის სამხრეთით მდებარე ოლქებზეც გაავრცელეს³. ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობა საოცრად ემთხვევა ძველ აღმოსავლურ და ძველ ბერძნულ წყაროებში დაცულ მასალებს წინა აზიის ქვეყნებში სკვითთა ლაშქრობების შესახებ ძვ. წ. VII—VI ს-ის დასაწყისში. ჩვენ აღარ შევჩერდებით ამ დამთხვევათა ჩვენებაზე, რადგანაც ამის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი დაწერილია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ მსგავსებას ჯერ კიდევ XIX ს-ის პირველ ნახევარში მიაქცია ყურადღება პ. კლაპროთმა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ „ხაზარების“ ქვეშ, ამ შემთხვევაში, სკვითური ტომებია საგულისხმო⁴. ამ აზრს მალე მომხრეები გაუჩნდა⁴. მას იზიარებს აგრეთვე თანამედროვე

¹ ეთნონიმ „ხაზარის“ ასეთი ფართო მნიშვნელობით ხმარება დამახასიათებელია აგრეთვე სომხური და აღმოსავლური წერილობითი წყაროებისათვის.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაულხიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 11—13.

³ Klaproth J. Mémoire dans lequel on prouve l'identité des Ossetes, peuplade du Caucase, avec les Aïnes du moyen âge. Paris, 1822, p. 3—5.

⁴ De Saint-Martin V. Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase, Paris, 1847. p. 149—152; Миллер Ф. В. Осетинские этюды, ч. III. М., 1887, с. 15—33; Джанашвили М. Г. «Картлис цховრება» — Жизнь Грузии. — СМОМПК, вып. 35, Тифлис, 1905, с. 195.

მკვლევართა დიდი ხაწილი. ამრიგად, დაბეჭიბებით შეიძლება ითქვას, რომ ლეონტი მროველის თხზულებებში დაცული მოთხრობა — „გამოსვლა ხაზარებში“ მნიშვნელოვანწილად დამყარებულია რეალურ ისტორიულ ფაქტებზე და ასახავს სკვითების ლაშქრობებს კავკასიასა და წინა აზიის ქვეყნებში ძვ. წ. VII—VI სს-ში. ე. ი. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ხაზარების“ პირველი ტალღა — ირანულენოვანი სკვითები არიან.

მაგრამ ლეონტისეული ხაზარები მხოლოდ სკვითებს როდი მოიცავენ. უეჭველია, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ ამ სახელწოდების ქვეშ იმალებიან აგრეთვე სკვითების ახლო მონათესავე სავრომატები ანუ სარმატები, როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. VII—VI სს-ში თანამედროვე დასავლეთ ყაზახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სავრომატების ცალკეული რაზმები უკვე სკვითების სამხრეთულ ლაშქრობებში მონაწილეობდნენ, ძვ. წ. V სს-ის დამდეგისათვის კი სავრომატულმა (სარმატულმა) ტომებმა ჩრდილო კავკასიის ველები დაიკავეს და მდ. დონამდე გავრცელდნენ. ამით სარმატები გაუმეზობლდნენ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას და მას სკვითებთან უშუალო ტერიტორიული კონტაქტი მოუსპეს, ვინაიდან სკვითების ხელში მხოლოდ მდ. დონის დასავლეთით მდებარე მიწები დარჩა. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ კავკასიელ აბორიგენებს და, მათ შორის, აღმოსავლურ ქართულ ტომებს, სარმატებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები ექნებოდათ, ვიდრე ჩრდილო შავიზღვისპირეთში განდევნილ სკვითებთან. ამიტომ, „მეფეთა ცხოვრებაში“ ძვ. წ. უკანასკნელი და ახ. წ. პირველი საუკუნეების ამბების აღწერისას მოხსენიებული ხაზარების ქვეშ სწორედ სარმატული ტომები უნდა ვიგულისხმოთ.

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში ძირითადი ყურადღება, როგორც ცნობილია, სამხედრო-პოლიტიკურ ამბებზეა გამახვილებული. ის მცირერიცხოვანი ცნობებიც, რომლებიც ხსენებულ კრებულში სარმატ „ხაზარებს“ ეხება, სწორედ ამ ხასიათისაა. კერძოდ, ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ ქართლში საურმაგის მეფობის (ძვ. წ. III ს.) წინა პერიოდში ჩრდილო კავკასიელმა დურძექებმა მოიგერიეს „ხაზართა“ თავდასხმა. სავსებით დასაშვებია, რომ ეს ცნობა განეკუთვნება იმ ისტორიულ ეპოქას, როდესაც სარმატებმა ჩრდილო კავკასიის ველებიდან განდევნეს სკვითები და კავკასიელ მთიელებს შეეჯახნენ.

სხვადასხვა სახის კონტაქტები ჰქონდათ „ხაზარებს“ ქართლის მოსახლეობასთანაც. მაგალითად, მეფე ასფავურ ფარნავაზიანი (ახ. წ. III ს.) ოსების, ლეკებისა და „ხაზართა“ დახმარებით ებრძოდა სპარსელებს⁷.

ეს ცნობები რომ სწორედ ჩრდილო კავკასიის ველებზე მოსახლე სარმატებს ეხება და არა შორეულ სკვითებს, მოჩანს იგივე ლეონტი მროველის

⁵ Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, с. 35; Виноградов В. В. О скифских походах через Кавказ (по письменным источникам). — Чечено-ингушский научно-исследовательский институт, Труды, т. IX, Сборник статей, Грозный, 1964, с. 39—41; Тогушвили Г. Д. Леонтий Мровели о происхождении осетинского народа. Орджоникидзе, 1967, с. 243—246; Ковалевская В. Б. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем, по данным Леонтия Мровели. — Матне. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1975, № 3, გვ. 62—73.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 27.

⁷ იქვე, გვ. 59.



თხზულებიდან. მისი ცნობით, ქართლის გამგებელმა აზონმა „მეფის მისიონარს“⁸ ცხადია, აქ საუბარია ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაზე. ახ. წ. III ს-ის აღწერისას კი მემატინეს უკვე პირდაპირ აქვს აღნიშნული „ხაზართა“ და ოსთა მცხეთასთან „მახლობელობა“⁹.

გეოგრაფიულად „ხაზართა“ ქვეყანა, ლეონტი მროველის მიხედვით, ოსეთის გადაღმა მდებარეობდა. მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში ქართლის მეფე მირიანის ლაშქრობის აღწერისას მემატინე აღნიშნავს: „ხოლო მირიან გარდავიდა... ოსეთს, მოტყუენა ოსეთი და მიუწია ხაზარეთამდი“¹⁰.

ამ ცნობებში ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ქართველი ისტორიკოსი „ხაზარებისაგან“ გამოჰყოფს ოსებს, თუმც იცის მათი კავშირის შესახებ „ხაზარულ“ სამყაროსთან. ლეონტის მიხედვით, ოსები არიან შთამომავალი „ხაზართა“ მიერ ქართლიდან და სომხეთიდან წასხმული ტყვეებისა, რომლებიც „ხაზარების“ მეფემ დაასახლა თურგის დასავლეთით, კავკასის (ვიანხების) ქვეყანაში და სათავეში ჩაუყენა თავისი ვაჟი — უობოსი¹¹.

მართლაც, როგორც ცნობილია, ალანების ერთი ნაწილი, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებში ცენტრალურ წინა კავკასიაში დამკვიდრდა (ქართული წყაროების ოსები) სხვა სარმატულ ტომებზე უფრო მეტად შეერია ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას და მისი შემდგომი ისტორია უკვე ძირითადად ამ მხარესთან იყო დაკავშირებული. ლეონტი მროველის დროისათვის ალან-ოსები კულტურულად კარგა ხანია კავკასიელები იყვნენ. ამრიგად, ქართველ მემატინეს საკმაოდ სწორად, თუმც კი გამარტივებული სახით, აქვს წარმოდგენილი ოსი ხალხის წარმოშობა, როგორც სტეპიდან მოსული ტომებისა და ადგილობრივი კავკასიელების შერწყმის შედეგი¹². მისი კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომ ოსები თარგამოსიანებთან უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე „ხაზარებთან“, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდნენ კავკასიის აბორიგენული მოსახლეობისაგან. ამიტომ გამოჰყოფს ლეონტი ოსებს ჩრდილოეთის სხვა ირანულენოვანი ტომებისაგან.

ადრეული ოსების გამოიჭნა „ხაზარებისაგან“ განაპირობა აგრეთვე იმ მომენტმა, რომ XI ს-ის ქართველი ისტორიკოსები იცნობდნენ ნამდვილ ხაზარებს, როგორც თურქულენოვან ხალხს და, ალბათ, ასეთებად მიაჩნდათ ჩრდილოეთის ველების ადრინდელი მომთაბარეებიც. ხოლო, რაც შეეხება ოსებს, ისინი, როგორც ცნობილია, სულ სხვა ეთნიკური წარმომავლობისანი არიან.

„მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, „ხაზართა“ შემოსევების ახალი სერია იწყება ახ. წ. III—IV სს-ის მიჯნაზე, როდესაც „ხაზარებმა“ შეიკავშირეს აღმოსავლეთ კავკასიის მთიელი ტომები — ლეკები, დურძუკები, დიდოელები — და დარუბანდის გზით დაიწყეს თავდასხმები სასანური ირანის საზღვრებზე. ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ მომხდურების წინააღმდეგ ბრძოლა ირანის შაჰმა ქართლის მეფე მირიანს დააკისრა. მისი ცნობით: „მივიღიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფარ-

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 19.

⁹ იქვე, გვ. 63.

¹⁰ იქვე, გვ. 68.

¹¹ იქვე, გვ. 12.

¹² იხ. Тогошвили Г. Д. Леонтий Мровели о происхождении осетинского народа, с. 245.



თო, და მუნიტ იწყეს გასვლად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდინა ხარხარის დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე ურომოდ მიპრიდიან ხაზართა მათ მირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის¹³. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დარუბანდის მხრიდან წამოსული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში მირიან მეფის მონაწილეობა სინამდვილეს უნდა ასახედეს, მაგრამ დაუდგენელი იყო ამ რაზმების ეთნიკური კუთვნილება¹⁴. 1990 წელს გამოცემულ ჩვენს მონოგრაფიაში გატარებულია აზრი, რომ მირიანთან მეზობელი „ხაზარების“ ბირთვის შეადგენდა ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთის სარმატულ-ალანური მოსახლეობა, რომელსაც, როგორც ჩანს, დროდადრო ემატებოდა ვოლგის გადაღმა მდებარე ველებიდან გადმოსული მომთაბარეების ახალი ჯგუფები¹⁵. გამრავლებული ნომადები თანდათანობით სამხრეთისაკენ იწევენ და ზღვისპირა დაღესტნის ტერიტორიებს ითვისებენ. მომთაბარეთა განსახლებას, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, თანსდევდა თავდასხმები და ლაშქრობები მეზობელ ქვეყნებზე, ამ შემთხვევაში კი, კერძოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილო-დასავლეთ ირანზე. რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებში.

დარუბანდის „კარზე“ მომდგარ ნომადებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მასქუთები, ალანთა მონათესავე ირანულენოვანი ტომი. მათი სახელწოდება, რომელიც ეთნონიმ „მასაგეტის“ ფონეტიკური ვარიანტია, მიუთითებს, რომ ისინი შუა აზიიდან იყვნენ გამოსულები. მასქუთების დასავლეთისაკენ გადმოსახლების მიზეზი შეიძლება იყო ჩრდილო არალისპირეთში II ს-ის მეორე ნახევარში ჰუნთა ურდოების შეჭრა. კავკასიაში გადმოსულმა მასქუთებმა არაუგვიანეს III—IV სს-ის მიჯნისა მოაღწიეს თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილამდე. შუა საუკუნეების სომხური და აღმოსავლური წყაროების მიხედვით, მათი ქვეყანა მდებარეობდა დარუბანდის სამხრეთით, კუსარის ველზე. იქ დასახლებულმა მასქუთებმა ადგილობრივ ტომებთან კავშირში ჩამოაყალიბეს ძლიერი კონფედერაცია, რომლის სამხედრო პოტენციალზე ნათლად მიუთითებს გამანადგურებელი თავდასხმა სომხეთზე IV ს-ის 30-იან წლებში¹⁶.

ასეთ გაერთიანებას ძალა შესწევდა დამუქრებოდა (და ემუქრებოდა კიდევ) ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს. კერძოდ, ბუზანდის ცნობით, მასქუთთა რაზმები ადარბადაგანის ქალაქ განძაკამდე აღწევდნენ¹⁷.

ამრიგად, სპარსეთზე ამხედრებული „ხაზარები“, რომლებსაც მირიან მეფე ებრძოდა, იყვნენ დასავლეთ კასპიისპირეთის სარმატულ-ალანურ-მასაგეტური ტომები. ჩანს, რომ სწორედ მათ გულისხმობდა ლეონტი მროველი, როდესაც

¹³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 66. ცნობები დარუბანდის მხრიდან ჩრდილოელი ტომების შემოსევების შესახებ IV ს-ის პირველ ნახევარში შემონახულია აგრეთვე სომეხი ისტორიკოსების ფავსტოს ბუზანდის, მოსე ხორენელის და მოსე კალანკატუელის თხზულებებში.

¹⁴ ლ. დავლიანიძე. ლეონტი მროველის ერთი ცნობის განმარტებისათვის. — ქვ, IV, თბ., 1973, გვ. 7.

¹⁵ Анчабадзе Г. З. Источниковедческие проблемы военной истории Грузии. Тбилиси, 1990, с. 29—31.

¹⁶ История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарии М. А. Геворгияна. Ереван, 1953, с. 15—16.

¹⁷ იქვე, გვ. 16.



წერდა: „მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს... და მუნიქს... სვლა სპარსთა ზედა“.

ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური ტერმინი გვხვდება აგრეთვე ჭუანშერის თხზულებაში — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც VIII ს-ის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი¹⁸. ჭუანშერისეული „ხაზარები“ ოსების მოკავშირენი იყვნენ მათი ვახტანგ გორგასალთან ომის დროს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მდ. თერგზე მომხდარ ბრძოლაში 458 წ.

ძალზედ სექვეთა, რომ ჭუანშერის თხზულებაში ნამდვილ, ისტორიულ ხაზარებთან გვქონდეს საქმე. ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ცნობები მათ შესახებ VI ს-ზე ადრეულ ხანას არ სცილდება¹⁹. ამიტომ უნდა ვთვლიყოთ, რომ ამჯერადაც „ქართლის ცხოვრებაში“ ხაზარების სახელწოდებით რაღაც სხვა ტომია ნაგულისხმევი. თუ გავითვალისწინებთ ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ველებში V საუკუნისათვის შექმნილ ეთნო-ლინგვისტურ და პოლიტიკურ ვითარებას, მივალთ დასკვნამდე, რომ ოსების მოკავშირე „ხაზარები“ ერთ-ერთი თურქულენოვანი, ჰუნური მოდგომის ტომი იყო. რუსი მეცნიერი ა. ვაძლო ეთნონიმთა მსგავსების საფუძველზე ვარაუდობს, რომ ჭუანშერისეული ხაზარების ქვეშ უნდა დავინახოთ აკაცირები — აღმოსავლეთ ევროპაში დარჩენილი ჰუნების ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება²⁰. თავისთავად ამ მოსაზრებაში წარმოუდგენელი არაფერია. აკაცირები კავკასიის ჩრდილო პერიფერიაზე სახლობდნენ და თავისუფლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ოსებისა და ქართელების ომში. მაგრამ ჭუანშერის თხზულება არ იძლევა საშუალებას ასე დავაკონკრეტოთ ოსთა მოკავშირეების ტომობრივი კუთვნილება, სხვა წყაროები კი ამ ბრძოლის შესახებ ჩვენ არ გვაგანია. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ტერმინი „ხაზარები“ ჭუანშერთან, ისევე როგორც ლეონტი მროველთან, კრებიითა და აღნიშნავს სტეპების მომთაბარე ტომების დიდ მასივს კავკასიიდან დუნაისპირეთამდე. რომ ჭუანშერისეული „ხაზარეთი“ მხოლოდ ჩრდილო კავკასიის ველებს არ მოიცავს და თითქმის ცენტრალურ ევროპამდე ვრცელდება, საქმალად ნათლად მოჩანს მისივე თხზულებიდან. მაგალითად, 484 წლის ამბების აღწერისას ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიას არ შეეძლო დახმარების აღმოჩენა ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ვახტანგისათვის, ვინაიდან „წარსულ იყო კეისარი ქუთეყანთ ხაზარეთით კერძო, რომლისგან ვერ მოიცალედა მოსვლად ქართლად“²¹. ჭუანშერის ცნობით, „ხაზართა“ წინააღმდეგ წამოწყებულ ლაშქრობაში იმპერიის მთავარი ძალები მონაწილეობდნენ, რის გამოც აღმოსავლეთის პროვინციები დაუცველად იყო დატოვებული. იგი წერს: „რამეთუ ეშინოდა ბერძენთა — ნუ უკუე შევიდენ საბერძნეთად სპარსნი და მოაოხრონ იგი, რამეთუ სპანი საბერძნეთისანი ყოველნი იყვნეს ხაზარეთს“²². ცხადია, რომ ასეთი მასშტაბის სამხედრო მოქმედებების ასპარეზად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ დუნაისპირეთი და ბალკანეთის ნახევარკუნძული და არა ყირიმი — ბიზანტია-„ხა-

¹⁸ ვ. ანჩაბაძე. ჭუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1987, № 4, გვ. 164—187.

¹⁹ Артамонов М. Н. История хазар. Л., 1962, с. 116.

²⁰ Гадло А. В. Этническая история Северного Кавказа IV—X вв. Л., 1979, с. 47.

²¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 179.

²² იქვე, გვ. 182.



ზარების“ შეხების მეორე ადგილი. ამრიგად, ჭუანშერის მიხედვით, „საქართველო“
 ქვეყანა დასავლეთით ვრცელდებოდა მდ. დუნაიმდე, სადაც იგი ტერიტორიულ
 სამფლობელოებს ესაზღვრებოდა.

ახლა რაც შეეხება საკითხს, თუ სახელდობრ რომელი საბრძოლო მოქმედებები იფულისქმება ბერძენ-„ხაზართა“ ომის ქვეშ ჭუანშერის თხზულებაში. ჩვენი აზრით, ქართული წყაროს ეს ცნობები გამოძახილია V ს-ის 60—80-იანი წლების იმ ომებისა, რომლებსაც ბიზანტიის იმპერია აწარმოებდა დუნაისპირეთსა და ბალკანეთის პროვინციებში ჯერ ჰუნთა ურდოების, შემდეგ კი ერთ დროს ჰუნების ტომთა კავშირში შემავალი ხალხების (მაგალითად, ოსტგუთების) წინააღმდეგ.

ჭუანშერთან შემონახულია აგრეთვე ცნობა ირანში „ხაზართა“ მოციქულის ჩასვლის შესახებ, რომელიც სპარსელებს ბერძენების წინააღმდეგ აქეზებდა²³. თუ ამ ცნობას საფუძვლად რაიმე რეალური ფაქტი უღევს, საფიქრებელია, რომ ეს მოციქული გამოგზავნილი იქნებოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთის რომელიმე ჰუნურ-ბულღარული გაერთიანების მესვეურთა მიერ.

ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულია აგრეთვე მასალები ნამდვილი ანუ ეთნიკური ხაზარების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ თურქულენოვანმა ხალხმა VII ს-ის შუა ხანებში შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც არსებობდა X ს-ის მეორე ნახევრამდე და მოიცავდა ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიებს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ეთნიკური ხაზარების შესახებ მოთავსებულია ამ კრებულის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, რომელსაც პირობითად ეწოდება „მატიანე ქართლისა“. ეს ცნობები ძირითადად ეხება ხაზართა ურთიერთობებს საქართველოსთან და არაბთა სახალიფოსთან VIII—IX სს-ში²⁴.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის თხზულებებში (მეფეთა ცხოვრება“, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“) ეთნიკური სახელი „ხაზარი“ აღნიშნავს არა მარტო ისტორიულ ხაზარებს, არამედ ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ველებში მათზე უფრო ადრე მცხოვრებ არაერთ ირანულ და თურქულენოვან ტომს, რომელთა ნამდვილი სახელწოდებები VIII—XI სს-ის ავტორებმა აღარ იცოდნენ. ამ ტომებზე იმხანად კარგად ცნობილი ეთნონიმის — „ხაზარის“ გავრცელება, როგორც ჩანს, განაპირობა მათი და ეთნიკური ხაზარების სამეურნეო-კულტურული ტიპის მსგავსებამ, დღესდღეობაში მომთაბარე მესაქონლეობაზე, და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ყველა ეს ტომი თავის დროზე გადმოსული იყო ვოლგის გადაღმა მდებარე ველებიდან და ცხოვრობდა ტერიტორიებზე, რომლებიც VII—X სს-ში ხაზართა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ხაზართა სახელმწიფო X ს-ის მეორე ნახევარში დაეცა. ისტორიულ წყაროებში ეთნიკური ხაზარები კანტიკუნტად კიდევ მოიხსენიებიან XI ს-ის 80-იან წლებამდე და შემდეგ მათი ხსენებაც ქრება. როგორც ჩანს, ისტორიული ხაზარეთის ტერიტორიებზე XI ს-ის მეორე ნახევარში თურქულენოვანი მომთაბარე ტომების ახალი ტალღის — ყივჩაყების შემოქრამ გამოიწვია ხაზართა სრული დეეთნიზაცია და მათი ყივჩაყების მიერ ასი-

²³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 182, 183.

²⁴ იქვე, გვ. 245—251, 256, 257.



მილირება. მიუხედავად ამისა, ქართულ და აღმოსავლურ წყაროებში მისი ხალხის სახელი კიდევ კარგა ხანს ფიგურირებს, როგორც კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხების ერთ-ერთი სახელწოდება. ამ მხრივ საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“) მოხსენიებული დარუბანდელი ხაზარების ეინობა, რომლებსაც 1173 წ. შეებრძოლა გიორგი III²⁵. ხაზართა ისტორიის ცნობილი სპეციალისტი მ. არტამონოვი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში ქართველ მემკვიდრეებს შესაძლებელია მხედველობაში ჰყავდა დარუბანდის მეზობლად მცხოვრები ხაზარული მოსახლეობა, რომელიც XII საუკუნისათვის უკვე მნიშვნელოვანწილად გაყიფჩაყებული იყო²⁶. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ თამარის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული დარუბანდელი ხაზარები იყვნენ ჩრდილო დაღესტნის თურქულენოვანი ტომები, რომლებმაც შემდგომში მონაწილეობა მიიღეს თანამედროვე ყუმუხი ხალხის ფორმირებაში, როგორც ერთ-ერთმა ძირითადმა კომპონენტმა.

თამარის პირველი ისტორიკოსი ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მოიხსენიებს ხაზარებს, „მაშორიით მალრიბამდე“ მცხოვრები ხალხების ჩამოთვლისას²⁷. მაგრამ ეს ჩამოთვლა მნიშვნელოვანწილად პირობითი ხასიათისაა. აქ დასახელებული ხალხების ნაწილი (კერძოდ: სკვთები, მიდიელები, ელამიტელები) თხზულებაში აღწერილ ამბებამდე დიდი ხნით ადრე გაქრნენ ისტორიის სცენიდან და მათი XII ს-ში მოხსენიება აშკარა ანაქრონიზმაა. ასევე ანაქრონიზებული უნდა იყოს ამ ცნობაში ხაზართა დასახელებაც. რეალურად ქართველი ისტორიკოსი ამ „ხაზართა“ (ისევე როგორც „სკვთთა“) ქვეშ ყიფჩაყთა ქვეყნის მოსახლეობას გულისხმობდა (მღრ. „ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვთამდის“²⁸).

XIV ს-ის ავტორი ქამთაალმწერელი უკვე საერთოდ აღარ მოიხსენიებს ხაზარებს, თუმცა „ხაზარეთი“, როგორც გეოგრაფიული ცნება, მას რამდენიმეჯერ აქვს ნახმარი²⁹. უეჭველია, რომ ქამთაალმწერლის „ხაზარეთი“ მისი თხზულების იმავე კონტექსტებში მოტანილი „დიდი საყიფჩაყეთის“ ანუ „ყიფჩაყეთის“ სინონიმს წარმოადგენს და აღნიშნავს ევრაზიის სტეპებს იმ ნაწილს, რომელსაც აღმოსავლური და რუსული წყაროები უწოდებენ „ყიფჩაყთა ველს“ (დაშთ-ი კიფჩაკ, პოლე პოლოვეცკოე).

„ხაზარების“ უკანასკნელი ხსენება გვხვდება „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ დაახლოებით 1720-იან წლებში შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში, სადაც XVI ს-ის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერისას ნათქვამია: „ხოლო ამას გარდა საქართველონი რომელნიმე თავისუფალ შექმნილიყვნენ, რომელნიმე სპარსთა მიეტაცნეს, რომელიმე ხონთქარსა და რომელიმე ხაზართა“³⁰. რადგანაც ამ კონტექსტში იხსენიებიან როგორც სპარსები, ასევე ხონთქარი, ცხადია, „ხაზართა“ ქვეშ ირანსა და ოსმალეთს ვერ დავინახავთ; რჩება ისევ საქართველოს ჩრდილოეთით მოსახლე

25 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959, გვ. 17.
 26 Артамонов М. Н. История хазар, с. 445.
 27 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 23.
 28 იქვე, გვ. 34.
 29 იქვე, გვ. 163, 181, 196, 229, 234.
 30 იქვე, გვ. 349.



ხალხები. მაგრამ, თუ „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ბეტ-ნაკლებად იცნობდნენ ნამდვილ ხაზარებს და, ამიტომ, მათი სახე-მთხრობები მხოლოდ სტეპების მომთაბარე მოსახლეობას — უცხო კავკასიური სამყაროსათვის, — XVIII ს-ში მცხოვრები „სწავლული კაცებისათვის“ ეს ნიუანსი შეუმჩნეველი დარჩენილა. „ხაზარების“ ქვეშ ისინი, როგორც ჩანს, იმიერკავკასიის მთიელებს გულისხმობენ, რომელთა მოწოლა საქართველოს საზღვრებზე XV ს-ის შემდეგ მართლაც იზრდება. რაც შეეხება სტეპების მომთაბარე ურდოებს, ისინი ამ პერიოდში საქართველოსათვის არავითარ რეალურ საშიშროებას აღარ წარმოადგენდნენ და ამიტომ ზემოთ მოტანილი ცნობის მათთან დაკავშირება არ შეიძლება. მაშასადამე, XVIII ს-ის ავტორებს ეთნიკური ტერმინი „ხაზარი“ ნახმარი აქვთ მხოლოდ უცხოტომელის შინაარსით. განსხვავებით ადრეული პერიოდის ქართველი ისტორიკოსებისაგან, რომლებიც ამ სახელწოდების ქვეშ გარკვეული ტიპის სამეურნეო, კულტურულ და აგრეთვე ეთნო-პოლიტიკურ ერთობებს გულისხმობდნენ.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრებაში“ ხაზართა შესახებ არსებული ცნობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კრებულის სხვადასხვა ნაწილებში ამ ეთნიკური სახელის ქვეშ იხსენიებიან: ა) ძვ. წ. I ათასწლეულისა და ახ. წ. დასაწყისის აღმოსავლეთ ირანული ჯგუფის ტომები (სკვითები, სარმატები, მასქეთები და სხვ.); ბ) შუა საუკუნეების დამდეგის ჰუნური ეთნო-პოლიტიკური მასივის ტომები; გ) ეთნიკური ხაზარები; დ) ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე ყივჩაყები და ჩრდილოკავკასიელი მთიელები.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

ЗНАЧЕНИЕ ЭТНОНИМА «ХАЗАР» В ЛЕТОПИСНОМ СВОДЕ «КАРТЛИС, ЦХОВРЕБА»

Резюме

В некоторых грузинских исторических сочинениях VIII—XVIII вв., входящих в состав летописного свода «Картлис цховреба», имеются сообщения о народе «хазаров». Анализ этих сведений показывает, что под данным названием в разных частях свода скрываются: а) племена восточно-иранского происхождения — скифы, сарматы, маскуты и др.; б) племена гунского этнополитического массива; в) этнические хазары; г) в отдельных случаях — кипчаки и северокавказские горцы.

G. ANCHABADZE

THE MEANING OF „KHAZAR“ IN THE CHRONICLE „KARTLIS TSKHOVREBA“

Summary

In several Georgian historic works of VIII—XVIII cc. making part of the chronicle „Kartlis Tskhovreba“, there is some evidence related to the



people of „Khazars“. Analysis of this evidence shows, that in different parts of the chronicle with this name the following is meant:

- a) the tribes of Iranian origin—Scythians, Sarmatians, Maskuthians and others;
- b) the tribes of the ethnopolitical massive of Huns;
- c) ethnic Khazars;
- d) in some cases: Kipchaks (Cumans) and North-Caucasian mountaineers.



people of „Khazars“. Analysis of this evidence shows, that in different parts of the chronicle with this name the following is meant: ՅՈՅ՝ՈՐԴՈՅՅՅ

- a) the tribes of Iranian origin—Scythians, Sarmatians, Maskuthians and others;
- b) the tribes of the ethnopolitical massive of Huns;
- c) ethnic Khazars;
- d) in some cases: Kipchaks (Cumans) and North-Caucasian mountaineers.

ზურაბ რატიანი

„ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“ როგორც საქართველოს
საზოგადოებრივი აღნაგობის შესწავლის წყარო

„ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“ ქართული მწერლობის ჩვენამდე მო-
ღწეულ მეორე უძველეს ძეგლად არის მიჩნეული. იგი „შუშანიკის წამების“
დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგ არის შექმნილი, როგორც ვარაუდობენ¹,
VI საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ვერც მხატვრული ღირსებებით და ვერც
ცნობათა სიუხვით იგი „შუშანიკის წამებას“ ვერ შეედრება, და მაინც, ამ
წყაროშიც არის დაცული საყურადღებო ცნობები. კერძოდ, მნიშვნელოვან
ცნობებს შეიცავს წყაროს შემდეგი მონაკვეთი:

„შეკრებს იგინივე მეჯადაგენი და მეჯამლენი და ზრახვა ყვეს წინაშე
უსტამისა, მცხეთელ ციხისთავისა და თქუეს: აქა კაცი ერთი არს ჩუენისა
რჩულისაგანი... და ჩუენსა რჩულსაცა ჰგმობს და ჩუენ გუაგინებს და იტყჳს:
„ვითარმედ მე ქრისტიანე ვარო“. ხოლო აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ
ამას ქალაქსა შინა კელმწიფე ხარ“².

აქედან ჩანს, რომ „მცხეთელი ციხისთავი“ ყოფილა იგივე მცხეთის „კელ-
მწიფე“. მართალია, ეს სპარსელი მოხელეა და, ამდენად, სპარსული სამოხე-
ლეო წყობილების წარმომადგენელია, მაგრამ აქ საყურადღებო ისაა, რომ მისი
მოხელეობა ქართული ტერმინით „ციხისთავი“ აღინიშნება, ასევე ქართული
ტერმინით აღნიშნავს ჩვენი წყარო ამ ციხისთავის მოხელეობის ხარისხს: „ამას
ქალაქსა შინა კელმწიფე ხარ“, ე. ი. ამ ქალაქის სრულუფლებიანი, გვიანდელი
ტერმინოლოგიით, ბატონ-პატრონი ხარო. შემდეგ ირკვევა, რომ ეს მცხეთის
ციხისთავი უსტამი, ვითარცა კელმწიფე, სულაც არ ყოფილა დამოუკიდებელი
მმართველი, ვინაიდან, როცა, იგი დარწმუნდა, რომ ეკსტატი უთუოდ უნდა
დაისაჯოს, ამბობს: „ამის კაცისა პატიუი მე არარაჲ კელმწიფეების, არცა აღბჳაჲ
ძელსა, არცა პურობილებჳა, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილის ქალაქსა არ-
ვანდ გუშნასჳს, ქართლისა მარზაპანსა და რაჲ იგი შეჰგვარდეს, მან უყოს,
რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლს მას კელმწიფეების სიკუდილი და ცხორე-
ბაჲ“³.

როგორც ვხედავთ, მცხეთის ციხისთავი უპირველესი პირია — კელმწი-
ფე მცხეთისა, თვითონვე განმარტავს თავის უფლება-მოვალეობას, მაგრამ ამ
შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ქართლის ჭეშმარიტი ხელმწიფე ჩვენს

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1946, გვ. 44.

² იქვე, გვ. 45.

³ იქვე, გვ. 46.



წყაროში ნახსენებია არა ქართული, არამედ სპარსული ტერმინი პანი, თვით ეს ტერმინი აღნიშნავს სახელმწიფოს (ცხადია, სპარსული სახელმწიფოს) განაპირა მხარის მმართველს, ამ მხარეში მეფის ნაცვალს და, ბუნებრივია, რომ იმ პოლიტიკურ ვითარებაში ამ ტერმინს ქართული ტერმინით ვერ შეცვლიდა ჩვენი წყაროს ავტორი, მაგრამ ამ მარზაპანს დაქვემდებარებული მოხელის, აქ — მცხეთის ციხისთავის ქართული ტერმინით მოხსენიება კი შრავლისმეტყველო ფაქტია; თითქოს აქაც მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ციხისთავის ნაცვლად მისი სპარსული შესატყვისი ეხმარა ავტორს, მაგრამ არა, ქართული ტერმინი უწერია. ეს ფაქტი კი უთვოდ იმის უტყუარი ნიშანია, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართლის სამეფოს თავისი სოციალური სტრუქტურა არ დაუკარგავს და დამპყრობელს ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ სასოვადობრივ ინსტიტუტებზე დაყრდნობით მოუწყვია, რაც მას ქართლში დახვდა. ასე რომ თვითონ მცხეთელი ციხისთავის კელი ანუ თანამდებობა სპარსელების ქართლში შემოსვლამდე არსებულა და ეს ციხისთავი მაშინ, ცხადია, ქართლის მეფის ხელქვეითი იყო, თუმცა თვით მცხეთაში იგი თვითონ იყო კელმწიფე, მაგრამ არა სრულუფლებიანი, არა დამოუკიდებელი.

დამოუკიდებელი მთავარი ანუ კელმწიფე რომ ტერმინ უფალით იწოდებოდა, ამაში დავრწმუნდით „შემანიკის წამებიდან“ ვარსკენის მაგალითზე. აქ იგივე სურათი გვაქვს მარზაპანის მიმართ, რომელსაც მცხეთელი ციხისთავი, დამოუკიდებელი კელმწიფე მიმართავს: „ესე კაცი ჩუენისა იყენეს, და აწ ქრისტიანთა რჩელი უპყრიეს, ხოლო მე შევიპყარ და შენ, უფალსა, მოგიძღუანენ, რამეთუ შენ კელგეწიფების მათი განკითხვაჲ“⁴. ასე რომ აქ ციხისთავი მხოლოდ კელმწიფეა, ხოლო მარზაპანი უფალი — კელმწიფე ანუ უზენაესი კელმწიფე.

სოციალურად ვინ უნდა ყოფილიყვნენ ასეთი ციხისთავი კელმწიფე და მარზაპანი უფალი — კელმწიფე? ვფიქრობ, ამ კითხვის პასუხსაც შეიცავს ჩვენი წყარო და ეს ჩანს იქიდან, როდესაც ევსტათის ეტყვიან — ციხისთავი ვერბარებსო, იგი ამბობს: „ესე მოყუასნი ჩემნი არიან, ამათგანდა შევიშინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე“⁵.

აქ ნათქვამია: ვინც მე მიჩვილა, დამასმინა, ისინი ჩემი ახლობლები, ჩემიანები („მოყუასნი“) არიან (მართლაც ევსტათი მეჩადაგებებმა და მეკამღებებმა ანუ ისეთვე ფეხსაცმლის მკერაებებმა, როგორც თვითონ იყო, დაასმინეს) და, თუ ამით შემეშინდა, მაშინ დიდი მთავრების წინაშე როგორღა წარვდგეო. და ეს „დიდი მთავრები“, ჩვენი წყაროს თანახმად, არიან ჯერ მცხეთელი ციხისთავი და შემდეგ ქართლის მარზაპანი. რა თქმა უნდა, ამ „მთავრებს“ შორის დიდი განსხვავებაა, რაც ზემოთ აღვნიშნე, მაგრამ აქ ყურადღასაღებია ის, რომ თვითონ ევსტათისათვის ყველა ხელისუფალი არის დიდი მთავარი. ესეც კია, ტექსტში „მთავართა“ წინ „დიდთა“ ისეა ნახმარი, რომ ამით თვითონ ევსტათის „მოყუასთა“ კნინობას გაესვას საზი და ამიტომ აქ „დიდთა მთავართა“ მაინც და მაინც მთავართა უმადლეს ფენას არ გულისხმობს, მაგრამ მთავარი და არსებითი აქედან კარგად ჩანს: ხელისუფლების სათავეში მდგომი მოხელეები, ჩვენი წყაროს თანახმად, სოციალურად იწოდებიან მთავრებად. უკვე ნახსენები მთავართაგან ერთი — ციხისთავი, მართა-

4 ძველი ქართული ლიტერატურის კრესტიმათია, გვ. 46.
5 იქვე, გვ. 45.

ლია. კელმწიფეა, მაგრამ არა დამოუკიდებელი, მეორე — მარზაპანი უფლებიანი, ქართლის მიმართ დამოუკიდებელი კელმწიფეა და სწორედ ამის გამო ასეთ მთავარ მარზაპან-კელმწიფეს ჩვენი წყარო უფალს უწოდებს. ამის გარდა დამოწმებულისა, ჩვენი წყაროს სხვა მონაკვეთიც ადსტურებს: „შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზაპანისა მის ჯმნად მოვიდეს“⁶. „აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს: „გვედრებით შენსა მავას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ“. ხოლო მან ჰრქუა მათ: „თქვთ რაიცა ვნებავს...“ ხოლო მათ ყოველთა ჰრქუეს: „გვედრებით შენ, ჯერ გიჩნდინ შენ, უფალო, განტევებაჲ კაცთაჲ მათ. რომელნი იგინი მცხეთელნი ქრისტიანობისათვის საპყრობილედ მიცემულ არიან“⁷.

ამრიგად, მარზაპანი არის უფალი, არსებითად იგი მეფის განსახიერებაა. დამოწმებულ მონაკვეთში საყურადღებოა „გრიგოლ ქართლისა მამასახლისისა“. ასევე „არშუშა ქართლისა პიტიახშის და სხუანი სეფეწულნის“ მოხსენიება. აი, ყველა ეს პირი და უეჭველად მათთან ერთად ნახსენები „სამოელ ქართლისა კათალიკოზი“ ერთად, ამის წინ დამოწმებულ წინადადებაში, იწოდება მთავრად: „შეკრბეს ქართლისა მთავარნი“. ასე რომ უმაღლესი სოციალური წოდება „ევესტათი მცხეთელის მარტილობის“ მიხედვით, ისევე მთავრად მოიხსენიება, როგორც ეს დასტურდება „შუშანიკის წამების“ თანახმად და აქაც ზოგი მთავარი დამოკიდებულია, ზოგი დამოუკიდებელი სოციალური გაგებით და მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურად სრულუფლებიან მთავარს უწოდებს ჩვენი წყარო უფალს, ასეთი უფალი „შუშანიკის წამებაში“ არის ვარსკენი, ხოლო ამ წყაროში ჯერ ერთი მარზაპანი, შემდეგ — მეორე.

შემდეგი, იერარქიულად უფრო დაბალი სოციალური წოდების აღმნიშვნელი ტერმინი ჩვენს წყაროში არის მსახური: მარზაპანმა „უბრძანა მსახურთა თვსთა პირსა ცემაჲ ნეტართაჲ მათ (ევესტათის და კიდევ შვიდი ახლად გაქრისტიანებულის) და გარე განუყვანება მათი ყოველთაჲ და უბრძანა: „დაჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუჭურტენით მაგათ ცხვრნი და ჯაჰჲ დასდევით ქელსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერჯთა და შესხენით ეგენი საპყრობილესა...“ ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებაჲ მარზაპანისაჲ მის“⁸. აქედან კარგად ჩანს მსახურთა როგორც სოციალური სახე, ისე მათი საქმიანობა, ტექსტის ფორმა „უბრძანა მსახურთა თვსთა“ პირდაპირ მიგვიითითებს, რომ ეს მსახურები ისეთივე „თვსნი“ ყოფილან მარზაპანისა, როგორც „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული მსახურები — ვარსკენის „მიხნი“. ასე რომ მსახურები აქაც სოციალურად დამოკიდებულ წოდებას შეადგენენ და, ამის გამო, ცხადია, ისინი აქაც უაზნონი, ე. ი. სოციალურად არათავისუფალნი, არიან. ასევე ზუსტად ემთხვევა ორივე წყაროს ცნობები მსახურთა საქმიანობის შესახებ, არც ერთგან მსახურები მწარმოებლებად არ იხსენიებიან და ორივე წყაროს თანახმად, ისინი პოლიციელი მოხელეები ანუ აღმინისტრაციული, დამსჯელი ორგანოების მოხელეები არიან.

ერთი სიტყვით, მსახურთა ხსენება ჩვენს წყაროში ყოველთვის დასჯასთან,

⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 46.
⁷ იქვე, გვ. 47.
⁸ იქვე, გვ. 46.



იძულებასთან არის დაკავშირებული და ამ დამსჯელის ფუნქციის შესრულება მსახურები ახორციელებენ: მაგრამ მარზაპანმა „უბრძანა მსახურთა: „წარვიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იღუმალ ღამით თავი წარჰკუეთეთ... ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილედ“⁹. ანდა: ევსტათიმ „ჰრქუა მსახურთა მათ მარზაპანისათა: აწ აღასრულეთ განჩინებული იგი ბრძანება ჩემ ზედა“¹⁰.

ამრიგად, მსახურნი „შუშანიკის წამებისა“ და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ საპოლიციო-ადმინისტრაციული მოვალეობის აღმსრულებელნი არიან და ამით განსხვავდებიან მოგვიანო X—XVIII საუკუნეების მსახურებისაგან, რომლებსაც ძირითადად სამხედრო სამსახური ევალუბოდათ, თუმცა არც ძველი ვალდებულება ჰქონდათ მოშლილი და ეს გარემოება უთუოდ ქვეყნის განვითარების თავისებურებით უნდა აიხსნას, კერძოდ, ვინაიდან საუკუნეების განმავლობაში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება ისე გადაეჭლო ერთმანეთს, რომ ბევრი რამ საერთო გახდა, ამის გამო უთუოდ მსახურთა მოვალეობაც ამგვარად გამოიხატა.

ჩვენი წყარო, მსახურთა გვერდით, თითქმის იმავე შინაარსით ასხენებს მხედრობას: „ცნისთავმან მცხეთისამან... მიავლინა ერთი მკედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა“¹¹ ანდა: „უბრძანა ციხისთავმან მცხეთელისამან ორთა მკედართა წარყვანება ნეტარისა ევსტათის ტფილისს“¹². შემდეგ: „და უბრძანა ეყენ ბუზმირ ორთა მკედართა წარსლვად და მოწოდებად წმიდისა ევსტათისი და სტეფანესი. და ვითარცა მივიდეს მკედარნი იგი, ჰრქუეს ევსტათისა და სტეფანეს: „გოწეს თქუენ მარზაპანი“¹³. შემდეგ: „წარემართნეს ტფილისს, იგი და სტეფანე მკედართა მათ თანა“¹⁴. შემდეგ: „და ვითარცა მივიდეს მკედარნი იგი წარადგინეს ევსტათი და სტეფანე წინაშე... მარზაპანისა“¹⁵.

ეს მხედარნი არსებითად იგივე მსახურები არიან, მაგრამ მათ შორის განსხვავება რომ არ ყოფილიყო, რაღა საჭირო იყო ასე დაყინებით მათი ცალკე ტერმინით მოხსენიება? განსხვავება კი ჩვენი წყაროს მიხედვით მხოლოდ ის ჩანს, რომ მხედარნი, როგორც წესი, აქ მებადრაგეებად არიან დასახელებულნი, ხოლო მსახურები უშუალოდ საპყრობილეს მცველებად და განაჩენის აღმასრულებლად — ჯალათებად. ასე რომ ამ ნიშნების მიხედვით ძნელია მათი უფროს-უმცროსობის დადგენა. და მაინც, ჩანს, მსახური უფრო მაღლა იდგა იერარქიულ კიბეზე და, რადგან ორივეს ძირითადი ნიშნები ერთნაირი ჰქონდათ, მსახური და მხედარი ერთი წოდების ორი სხვადასხვა ფენა უნდა ყოფილიყო.

ღიდად საყურადღებოა ჩვენი წყაროს შემდეგი ცნობა: „და ვითარ წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევსტათი სიდედრსა თვსსა და ცოლსა და შვილთა თვსთა და მონა-მკეველთა თვსთა. „ჩმნულმცა ვარ მე

⁹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 53.
¹⁰ იქვე, გვ. 54.
¹¹ იქვე, გვ. 45.
¹² იქვე, გვ. 46.
¹³ იქვე, გვ. 47.
¹⁴ იქვე.
¹⁵ იქვე.



თქუენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ¹⁶. აქ ნათქვამია, მე ვეღარ დავბრუნდებო, გშორდებითო და ასე დაემშვიდობა ევსტათი შვილს, სიდედარს, ე. ი. ყველაზე ახლობელ ადამიანებს, და მათ გვერდით ნახსენებია მონა-მკველელებიც, თანაც ისეთი ფორმით, რომ „მონა-მკვევალთა თვსთა“, ეს მონები (მამაკაცებიცა) და მკვევლები (დედაკაცები) აშკარად მისი — ევსტათის საყუთარნი არიან, ანუ აქ ევსტათი არის ამ მონათა მფლობელი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ევსტათის ჰყოლია არა ერთი მონა, რაც შეიძლებოდა შემთხვევითი ან გამონაკლისი ყოფილიყო, არამედ „მონა-მკვევლები“, ე. ი. მთელი ოჯახები ჰყოლია მონებად. აქ ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ თვით ევსტათი, მართალია, ერთი რიგითი მეხამლეა, ე. ი. ხელოსანია, მწარმოებელია, მატერიალური დოვლათის შემქმნელია, იგი თავისი ხელით, პირადად შრომობს და მაინც, ჩვენი წყაროს თანახმად, პირადად თავისუფალი ჩანს. ევსტათის უშუალო უფალი არ გააჩნია, სოციალური დამოკიდებულების თვალსაზრისით იგი არავისი არ არის, იგი არც ვინმეს „თვსი“ და „მისი“ არაა. ამიტომ იგი თავისუფლად ტოვებს სამშობლოს (რაც, მართალია, არაქართული სოციალური სამყაროს თავისებურებებით აიხსნება), მაგრამ მცხეთაში დამკვიდრების შემდეგ რომ მას უშუალოდ უფალი არ უჩნდება და რომ აქ იგი შეიძენს მონა-მკვევლებს, ეს უკვე ქართლის სოციალური ურთიერთობის ანარქელია. ასე რომ, ჩვენი წყაროს თანახმად, თვით მწარმოებელი საზოგადოება ორად იყოფა, ერთნი უშუალოდ თავისუფალნი არიან და მათ თვითონ ჰყავთ მონები (ასეთებია ჩვენი ევსტათი და, ჩანს, მისი მტერ-მოყვარე ხარაზები); მეორენი პირად თავისუფლებას მოკლებულნი არიან, რადგან მათ უშუალო უფალი ჰყავთ, ხოლო თვითონ ამ უფალის მონა-მკვევლები არიან (ასეთები ჩანან, ჩვენი წყაროს თანახმად, ევსტათის „მონა-მკვევალნი თვსნი“, და ეტყობა, ასეთივე მონები ჰყავდათ ევსტათის დამღუპველ თანამომკმეებსაც, რადგან ისინი სოციალურად ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ).

აღნიშნულის გამო, ცხადია, მსახურებსა და მხედრებს და მით უმეტეს ნთავრებს, მწარმოებელი მონები უთუოდ ჰყავდათ, ვითარცა მონათა უფალთ და ამ ინსტიტუტს ტერმინი უფალ-მონობა მიესადაგება.

ყოველივე აღნიშნული ქართული ფეოდალიზმის ადრინდელი ეპოქის თავისებურებებს შეადგენს და ამდენად „ევსტათი მცხეთელის მარტილობის“ ცნობები საყურადღებო ნიუანსებით ავსებს და აძლიერებს „შუშანიკის წამების“ შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომლებსაც აქ აღარ გავიმეორებ.

3. П. РАТИАНИ

«МУЧЕНИЧЕСТВО ЭВСТАТИ МЦХЕТЕЛИ» КАК ИСТОЧНИК ПО ИСТОРИИ СОЦИАЛЬНОЙ СТРУКТУРЫ ГРУЗИИ

Резюме

Произведение, датируемое второй половиной VI века, содержит ценные сведения:

1. Господствующий класс именуется мтавари.
2. Мтавари являются владельцами (упали) мсахური и мхедари —

¹⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 47.

непроизводителей, служилых людей и мона — პროდუქტორები
лей-рабов. ზნობიერები

3. Мсахური и мхедари также имеют мона.

4. Ремесленники (по источнику обувщики) составляют свободный слой и также владеют мона.

Z. RATIANI

THE „MARTYRDOM OF EVSTATI MTSKHETELI“ AS A HISTORICAL
SOURCE FOR THE SOCIAL STRUCTURE OF GEORGIA

Summary

This source of the second half of the VI century contains valuable information:

I. Members of ruling class are called mtavari;

II. Mtavari is proprietor (upali) of msakhuri and mkhedari — people who don't take part in productive process—of military people and мона — producer, slaves;

III. Msakhuri and mkhedari have also мона;

IV. Artisans (according to the source, shoe-makers) form free social stratum and also own мона.

მარინა ჩხარტიშვილი

„არაპი სინღთა მეფისა“

ძველქართულ ისტორიულ თხზულებათა კრებულში „ქართლის ცხოვრება-ში“ განსაკუთრებული ადგილი უკავია ქმნილებას სათაურით „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და შემდგომად თვთ მის დიდისა და ღმერთის-მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტეს გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“¹.

როგორც აღნიშნული კრებულის ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორია ჯუანშერ ჯუანშერიანი — არჩილ მეფის (668—718 წწ.) ძმისწულის ქმარი². ამგვარად, ჯუანშერ ჯუანშერიანს უნდა ეცხოვრა VIII საუკუნის პირველ ნახევარში³.

„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ქართლის სახელოვანი მეფის მოღვაწეობის სრული, სისტემური აღწერილობაა. მისი ისტორიოგრაფიული დანიშნულება ექვს არ იწვევს, თუმც გარეგნულად (ყოველ შემთხვევაში, ერთი თვალის გადავლებით) განსახილველი თხზულება მცირედ ჰგავს ისტორიულ ნაშრომს: აქ ვერ შეხვდებით თარიღებს, წყაროთა კრიტიკასთან დაკავშირებულ ავტორისებულ რემარკებს, ჟამთააღმწერლობისათვის ნიშანდობლივ სხვა ატრიბუტებს. სამაგიეროდ, დიდი ადგილი ეთმობა პერსონაჟთა ემოციურად უაღრესად დამუხტულ მონოლოგებს, დიალოგებს, ეპიკურ სტილში გადაწყვეტილ

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, ტ. 1, გვ. 139—204.

² იქვე, გვ. 248.

³ ჯუანშერ ჯუანშერიანის ცხოვრების ხანის შესახებ სპეციალისტებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ი. ჯაუხიშვილს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი XI ს. მოღვაწედ მიაჩნდა (იხ. მისი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა: თხზ. 12 ტომად. თბ., 1977, ტ. VIII, გვ. 189—194). დღეს სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს მეცნიერებათა უმრავლესობა. VIII ს. II ნახევარს ასახელებს გ. ანჩაბაძე ჯუანშერ ჯუანშერიანის მოღვაწეობის ეპოქად (იხ. გ. ანჩაბაძე, ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, გვ. 1987, № 4, 184—188). ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“ (თბ., 1990) ახალი მასალების მოშველიებით ვ. გოილაძემ ჯუანშერის ვახტანგის თანამედროვეობის შესახებ ჯერ კიდევ ი. ჟორდანიას მიერ გამოთქმული თვალსაზრისის აღორძინება სცადა. წინამდებარე შრომის მიზანდასახულება საშუალებას არ გვაძლევს ვრცლად განვიხილოთ მითითებული თვალსაზრისები და კონკრეტულად გამოვთქვათ მათ მიმართ აღძრული ჩვენი კრიტიკული შენიშვნები. ესეც რომ არა, პრობლემის ხელოვნურად გართულება იქნებ არც ღირდეს. სიტუაცია მარტივია: წყარო არაორაზროვნად გვაძმცნობს, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ ჯუანშერ ჯუანშერიანმა აღწერა, რომ ეს ჯუანშერი არჩილ მეფის უმცროსი თანამედროვეა.

ბატალურ სცენებს. სახეობრივად მეტად შთამბეჭდავია ვახტანგის ხილვა-სიზმარი, სინდთა მეფესა და ვახტანგს შორის სიტყვისგებისას მოხმობილნი არსებები.

„ჯუანშერის მიერ დაწერილი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლის“⁴ უნდა იქნებოდეს ერთ-ერთი არის გამსჭვალული და იმგვარი დაუჭერებელი ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“, — სამართლიანად შენიშნავს ი. ჯავახიშვილი⁵. მაგრამ ასევე სამართლიანი როდია არსებითად აღნიშნული დაკვირვებით ნასაზრდოები მეცნიერის შეხედულება იმის თაობაზე, რომ „ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთ მცირეოდენ ცნობას გარდა, თითქმის გამოუსადეგარია“⁶.

უკანასკნელი დროის გამოკვლევებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ ისტორიული რეალების საკმაოდ ზუსტი ამსახველია⁷. ამგვარად, ჯუანშერი, მართალია, ზღაპრის ენით გვესაუბრება, მაგრამ ისტორიულად „უტყუველ“ ამბავს გვიყვება და არა ზღაპარს⁷. ჯუანშერი არ არის მეზღაპრე, მაგრამ რატომ აურჩევია მას ზღაპრის „კილო“, ეს ხომ არაა ძველი ქართული ისტორიოგრაფიის უნივერსალური მახასიათებელი?!

ჯუანშერი მასალის ირეალისტურ, ლიტერატურულ გაფორმებას მიმართავს სამ შემთხვევაში: 1. ვახტანგის მიერ ჩატარებული ბრძოლები. ისინი, როგორც ითქვა, „გამოჭრილია“ საგმირო ეპოსის „თარგზე“; 2. ცვლილება ვახტანგის პოლიტიკურ კურსში, კერძოდ, ორიენტაციის ალება ბიზანტიაზე. ეს ფაქტი ასახვას პოულობს ვახტანგის სიზმარში; 3. ვახტანგის მონაწილეობა ირანის მიერ ჩატარებულ ლაშქრობებში. ამ ლაშქრობების ერთ ეპიზოდს უკავშირდება სიტყვისგება არაკებით.

ის გარემოება, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ „განმსჭვალულია ზღაპრული სადევგმირო სულითა და ხასიათით“⁸, ბევრ სპეციალისტს ავარაუდებინებს ჯუანშერის დამოკიდებულებას ფოლკლორისაგან. ამგვარ კავშირზე

4 ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 191.

5 იქვე, გვ. 194.

6 მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ვ. გილიაძის დასახელებული ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვიზიარებთ მეკლვერის თვალსაზრისს ჯუანშერის აღწერილი მოვლენების თანამედროვეობის შესახებ, სრულიად აშკარაა, რომ მეცნიერმა შეძლო „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მაღალი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების გამოვლენა ძველის დათარიღებისაგან დამოუკიდებელი ფართო საკონტროლო მასალების დაძებნის საფუძველზე. შეჯამებულად გამოკვლევის შედეგები იხ. დასახელებული ნაშრომის დასკვნით ნაწილში, გვ. 203—204.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯუანშერის შრომის ინფორმაციული სისავსისა და კორექტულობის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში ადრეც იყო ყურადღება გამახვილებული: „გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ რამდენიმე აშკარად გაზვიადებული ცნობის და გაზრდილი ციფრობრივი მონაცემის გარდა, ძნელია არასარწმუნო ადგილის პოვნა. ის ცნობები, რომლებსაც ადრე მეკლვერები ეჭვის თვლით უყურებდნენ, ან ავტორის ფანტაზიის ნაყოფად თვლიდნენ, ახლა დადასტურებას პოულობენ სხვა წყაროებში, ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული ახალი შეხედულებების შექმნე“ (გ. ანჩაბაძე, ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, გვ. 197).

7 „ზღაპარი“ გამოიყენება „გამონაგონის“ და არა ზეპირსიტყვიერების კონკრეტული ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინის აზრით.

8 კ. კეკელიძე. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1957, ტ. IV, გვ. 192.



მეტყველებს სწორედ ბატალური სცენები, რომელთა პარადიგმას, საგმირო ეპოსის ნიმუშები წარმოადგენენ⁹.

ზოგიერთი მკვლევარი აკონკრეტებს კიდევ ფოლკლორულ წყაროს და მიუთითებს, რომ ჭუანშერი ვახტანგის პიროვნების განსახოვნებისას ამოდის ღვთაება ვარათრაგნის საიდუმლო მისტერიებიდან: „თხზულება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ ლეგენდურ ასპექტში წარმოგვიდგენს V საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის თავგადასავალს... ავტორი იძლევა ვახტანგის აპოთეოზს, იგი წერს ეპიკურ-საისტორიო მოთხრობას და მას მოთხრობის პირველ ნაწილში გადააქვს ვახტანგ მეფის პიროვნებაზე წარმართული ღვთაება ვარათრაგნი-ვახტანგის ეპოსის ელემენტები“¹⁰.

ლიტერატურაში დასახელებულია მრავალი ფაქტი, რომელიც ასაჩინოებს ვახტანგ გორგასლის მიერ გარდახდილი ბრძოლების აღწერილობის მორფოლოგიურ მსგავსებას ვარათრაგნი-ვახტანგის საგმირო თავგადასავლის მოთხრობასთან. ამ მასალას მხარს უჭერს ირანული სამყაროდან მომდინარე აღნიშნული ეპოსის ფართო პოპულარობა ძველ საქართველოში ვრცელ ისტორიულ გადასარბენზე, რის შესახებაც პირდაპირ მიგვიითობენ წყაროები: „ჩვენ თვით გაგვიგონია თუ როგორ მღეროდნენ ამას ქნარის აყოლებით. შემდეგ სიმღერაში უმღეროდნენ ვაჰანის (ვარათრაგნის) ბრძოლას ვეშაპებთან... და ვაჰანის მათზე გამარჯვებას. ყოველივე, რასაც მღეროდნენ მგონები... დიდად ემსგავსებოდა პერაკლეს გმირობათა მოთხრობას. მღეროდნენ აგრეთვე მის აპოთეოზს, და იქ ივერთა... ქვეყანაში ამართული იყო კერპი... მისი სიმაღლისა, რომელსაც მსხვერპლით პატივსცემდნენ“, — იოწუმებს პ. ინგოროყვა მოსე ხორენელს¹¹.

„მეორე მწერალი — გრიგოლ მაგისტროსი — აგრეთვე მოგვითხრობს, რომ ქართველი მგონები ვარათრაგნის (ვაჰრანის) შესახებ ლექსებსა თხზავდნენ და სიმღერით ღმერთსავით ადიდებდნენ“¹².

მოსე ხორენელი V საუკუნის, ხოლო გრიგოლ მაგისტროსი XI საუკუნის მოღვაწეებია. ამრიგად, საქართველოში აღნიშნული ეპოსის გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ვრცელია. ყოველივე თქმული, ვფიქრობთ, აჩვენებს, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყარო სწორად არის დაკონკრეტებული. მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, ამჯერად ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. წინამდებარე გამოკვლევის მიზნისათვის მთავარია არა ის, თუ ზუსტად რომელ ეპიკურ ქმნილებას მისდევს თავის თხრობაში ჭუანშერი, არამედ თავად ფაქტი ეპოსთან მისი დამოკიდებულებისა, ის, რომ ისტორიკოსი რეალური ბრძოლების აღსაწერად იყენებს ფოლკლორის ენას. ეს უეჭველია და სწორედ აღნიშნული გარემოება აღძრავს კითხვას: რატომ?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა გვქონდეს რამდენიმე ფაქტი: 1. ჭუანშერის მოღვაწეობის ხანა, მიუხედავად წერილობითი ლიტერატურის აღმავლობისა, მაინც ზეპირსიტყვიერების უპირატესი გავლენის ხანაა, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ დამკვეთი საზოგადოება ფოლ-

⁹ გ. ახვლედიანი, ჭუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1979, № 1, გვ. 126, 128.

¹⁰ პ. ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: თხზ. კრებული 7 ტომად. თბ., 1978, ტ. IV, გვ. 266.

¹¹ იქვე, გვ. 265.

¹² იქვე.



კლორული ხილვებით არის გამსჭვალული. 2. ყოველი საზოგადოებისთვის მახასიათებელია კოლექტიური ფსიქიკა, რომელიც აყალიბებს ტრადიციულ კურს ეტალონების თუ მხატვრული თხრობის სტერეოტიპების სისტემებს. 3. საზოგადოებაში, რომლის მსოფლხატის ფორმირებაში ფოლკლორის როლი წამყვანია, ბუნებრივია, რომ ხმარებაშია სწორედ ფოლკლორული სტერეოტიპები — ფოლკლორული პოეტური ლექსიკონი, განსახოვნების ფოლკლორული ხერხები, ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური სქემები, სიმბოლოები, სტილი.

გმირთა შერკინება, ომი ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამუშავებული, კლიშედ ქცეული ეპიზოდია. კლიშე საზოგადოებრივი ფსიქიკის, კოლექტიური ცნობიერების პროდუქტია, ამიტომ მისაღებია საზოგადოების წევრთა უმრავლესობისათვის. აქედან გასაგებია, რატომაც მიმართავს ჯუანშერი სინამდვილის ათვისების საუკუნეთა განმავლობაში ნაცად გზას. ჯუანშერის მკითხველმა იცის, როგორი უნდა იყოს გმირი მეფის შერკინება მტერთან, ისტორიკოსიც იმგვარ აღწერილობას ქმნის, როგორსაც სტერეოტიპულად მოაზროვნე საზოგადოება ელოდება მისგან.

კოლექტიური ფსიქიკა დაღს ასევე შემოქმედს, ფაქტობრივად განაპირობებს ნაწარმოების იერსახეს. საბრძოლო ეპიზოდების ფოლკლორული გაფორმება ჯუანშერს, ერთი მხრივ, უიოლებს საქმეს, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მის წარმატებას.

სტერეოტიპის გაცნობიერება ძნელია ინდივიდისათვის თვით ამ სტერეოტიპის მოქმედების არეალის შიგნით. სტერეოტიპის დაფიქსირება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დისტანციიდან. ამიტომ, საფიქრებელია, ვახტანგის ბიოგრაფიის ხელოვნური ზღაპრული ელფერი ისე თვალში საცემი არ იყო ჯუანშერის თანამედროვეების თუ არაერთი მომდევნო თაობისათვის, როგორც ეს ხელშესახებია დღეს ჩვენთვის.

სტერეოტიპი უნივერსალური მოვლენაა, აზროვნების უნივერსალური წესია. სტერეოტიპისაგან თავისუფალი, ცხადია, არც ჩვენი საზოგადოებაა. ჩვენ, ისევე, როგორც ჯუანშერი და მისი თანამედროვე მკითხველი, ვცხოვრობთ სტერეოტიპთა სამყაროში. ის ისტორიკოსები, რომლებიც არ გაუბიან რეფლექსიას, ალბათ არცთუ იშვიათად „იჭერენ“ თავს როგორ ძალუმად უბიძგებთ საზოგადოების კოლექტიური ფსიქიკა ისტორიული სურათის რეკონსტრუქცია მოახდინონ გავრცელებული შაბლონის მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ არაერთგვაროვან სოციუმებში სტერეოტიპთა განსხვავებული სისტემები მოქმედებს¹³. აი, რატომ გვხვამუშება ჯუანშერის ზღაპრული „კლო“ და ქვეცნობიერად იგი ისტორიული შემეცნების გზაზე გადაულახავ ბარიერად წარმოგვიდგენია.

ამგვარად, ჯუანშერის მიერ ფოლკლორის წყაროდ¹⁴ გამოყენებას აპირო-

13 შესაძლოა სამართლიანიც იყოს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კულტურის ისტორია სხვა არაფერია თუ არა სტერეოტიპთა ერთი სისტემის მეორე სისტემით შეცვლა (Курносоев А. А. К вопросу о повторяющихся явлениях («стереотипах») в источниках личного происхождения. Тезисы докладов Всесоюзной научной сессии (г. Кутанси, октябрь, 1988 года). — АПИИПИИ, Тбилиси, 1988, с. 78.

14 ზოგი მკვლევარი აღიარებს რა ჯუანშერის დამოკიდებულებას ფოლკლორული წყაროებისაგან, უნდობლად ეკიდება თხზულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. უნდა დაზუსტდეს: ფოლკლორი განსახილველ შემთხვევაში რიგი ეპიზოდების ფორმის და არა შინაარსის წყა-



ბებს ისტორიული აღწერილობის ადაპტირების სურვილი. მაგრამ გამოთქმის ფორმას ისტორიკოსს უთუოდ კარნახობდა „კვლევის ობიექტი“ ვახტანგ გორგასალი — ხალხის მებსიერებაში ლეგენდად შესული პიროვნება, რომლის შესახებ საუბარი გარკვეული ამაღლებული სტილის გარეშე, მხოლოდ ყოფითად, საქმიანად ვერ მიიღწევდა მიზანს, არ მოუხდებოდა ვახტანგის უკვე ჩამოყალიბებულ „ეპიკურ იმიჯს“. ალბათ, არც შემოქმედლის გემოვნების უგულვებელყოფა შეიძლება სრულად. ჩანს, ჯუანშერის გარკვეულად იზიდავდა, ხიბლავდა სინამდვილის ზღაპრად თქმა, მან ხომ სწორედ ხალხური ზეპირსიტყვიერების საყვარელ პერსონაჟს მიაპყრო ყურადღება და არა მხოლოდ ქრონიკის მიერ მშრალად მოხსენიებულ ქართლის ერთ-ერთი მეფის სახელს.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ირეალურ სიბრტყეში საკითხების გაშუქების მეორე შემთხვევა, როგორც ითქვა, უკავშირდება ცვლილებას ვახტანგის პოლიტიკურ კურსში. აღნიშნული ფაქტის წარმოჩენისათვის ავტორი მინართავს ხილვა-სიზმრის ქანრს. ისტორიული კონტექსტი შემდეგია: ვახტანგი, როგორც სპარსეთის მოკავშირე, მონაწილეობას იღებს ანტიბიზანტიურ კამპანიაში. ვახტანგი ენთუზიაზმით იბრძვის, ოღონდ ესაა, არ ივიწყებს, რომ ქრისტიანია და ტყვეებს ათავსუფლებს. აი, ორი მათგანი სასულიერო პირნი პეტრე და სამოელი მის წინაშე მადლიერების გამოსაცხადებლად წარსდგებიან. გაიმართება საუბარი, რომლის დროსაც ვახტანგს არაორაზროვნად მიუთითებენ, რომ არაქრისტიანულ საქმეს სჩადის, როცა ბიზანტიის წინააღმდეგ ირანელთა ლაშქარში იბრძვის, რომ მეგობრობა და სიყვარული მას, ვითარცა ქრისტეს სჯულის მიმდევარს, სწორედ ბიზანტიელებთან უნდა ჰქონდეს და არა ირანელებთან. ვახტანგი შენიშნავს, რომ ამის წინააღმდეგი იგი არაა, ოღონდ სურს დარწმუნებული იყოს, რომ მისი ამგვარი ნაბიჯი მართებული იქნება. დადასტურებას მეფე მოითხოვს სასწაულოთ. სასწაულად მას ევლინება წინასწარმეტყველური სიზმარი, რომელშიც სიმბოლურად გაცხადებულია ბიზანტია-ქართლის ურთიერთობის ნათელი პერსპექტივა¹⁵.

აღნიშნული სიზმარი-ხილვა სპეციალური განხილვის საგნად აქცია ბელგი-ცლმა ორიენტალისტმა მ. ვან ესბროკმა, რომელშიც აჩვენა ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურული ფენომენის მიმართება ტიპოლოგიურად ანალოგიურ უცხოურ მასალასთან. ამასთანავე ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ხილვის ლიტერატურული ქანრი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ იქცევა ისტორიული ინფორმაციის გადაცემის საშუალებად, კერძოდ, გვამცნობს ცვლილებებს რელიგიურ და პოლიტიკურ კურსში¹⁶.

როდ გვევლინება, რეალური ფაქტი ფორმდება ფოლკლორულად. აი, რა გავებით შეიძლება საუბარი ჯუანშერის ფოლკლორულ წყაროებზე. რაც შეეხება ფაქტობრივ ისტორიულ მონაცემებს, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მათ ჯუანშერი ვახტანგისდროინდელი ისტორიული აღწერილობიდან კრებდა. ამგვარი ძეგლის არსებობას გვევარაუდებინებს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაღალი დონე V საუკუნეში, კერძოდ ის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თავდაპირველი რედაქცია სწორედ ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანას უკავშირდება (აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქართული პეიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. „ცხოვრება წმიდისა ნინოასი“, თბ., 1987, გვ. 81—88).

¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159—169.
¹⁶ M. van Esbroeck. La Vision de Vakhtang Gorgasali et sa signification. — წიგნში: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. — თბ., 1988, გვ. 221—230.



წინასწარმეტყველური სიზმარი ფოლკლორულ ქმნილებათა სიუჟეტის ერთ-ერთი ძირითადი, შეიძლება ითქვას, კანონიკური, ელემენტია. ჯერჯერობით დამახასიათებელია შუა საუკუნეების მწიგნობრული ლიტერატურისთვისაც, განსაკუთრებული ადგილი უკავია მას ფოლკლორთან ისე მჭიდროდ დაკავშირებულ ჟანრში, როგორც პავოგრაფიაა. ზეპირსიტყვიერ თუ წერილობითი ლიტერატურის ძველთა სტრუქტურაში სიზმრის დანიშნულება შეიძლება მრავალგვარად იქნეს გააზრებული, მაგრამ აშკარაა, რომ ნაწარმოების იდეის გახსნისათვის მისი უმთავრესი ფუნქცია მოტივაციაა. სიზმარი განაპირობებს პერსონაჟის ქცევას ცხადში, სიზმარი გვიხსნის ამ ქცევის მიზეზს. ქართული პავოგრაფიის უპირველეს ქმნილებაში „ნიონოს ცხოვრებაში“, მაგალითად, მოთხრობილია მირიან მეფის სიზმრის შესახებ. საქმე ეხება ჯვრის აღმართვის ადგილის შერჩევას. ვერა და ვერ გადაწყვიტეს სად აღმართათ ჯვარი, გამოითქვა მრავალი აზრი. ბოლოს მირიან მეფემ სიზმრად ნახა ადგილი, რომელიც ყველას მისაღები ეჩვენა¹⁷. აშკარაა, ავტორი ამ სიზმრით გვიხსნის, რატომ კონკრეტულად მტკვრისგალმა ბორცვზე და არა სხვაგან აღმართა ჯვარი, ე. ი. ფაქტობრივად საქმე გვაქვს მცხეთის ჯვრის აღმართების ადგილის არჩევანის მოტივირებასთან სიზმრის საშუალებით.

ვახტანგის პოლიტიკურ კურსში მკვეთრი ცვლილების ჩვენებისას ჯუანშერს დადგა ძნელად გადასაწყვეტი ისტორიოგრაფიული ამოცანის წინაშე. ვახტანგმა ომის მსვლელობაშივე მიატოვა მოკავშირე. ჯუანშერს უნდა დავერწმუნებინეთ, რომ აღნიშნული ნაბიჯი ქართლის მეფის წერილმანი პოლიტიკური ანგარიშიანობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ განპირობებული ქრისტიანის მორჩილებით უზენაესი ნებისადმი. სიზმრის ლიტერატურული ჟანრის გამოყენებამ ისტორიულ თხრობაში ისტორიკოსი გაათავისუფლა მრავალ კითხვაზე პირდაპირი პასუხისაგან, საშუალება მისცა პოეტურად სხარტი და ნათელი სიტყვით შეემოსა ისტორიული რეალები. მოტივირება და შესაბამისი გამოთქმის ფორმის მოძიება — აი, სიზმრის ჟანრის გამოყენების მიზეზი ამ შემთხვევაში.

ამგვარად, ამჯერადაც, თანამედროვე ისტორიკოსისაგან განსხვავებული მახნები არ ამოძრავებდა ჯუანშერს. ოღონდ ესაა, ზერხი, რომელსაც მან ჩვენთვის ნაცნობი ამოცანის გადაჭრისათვის მიმართა, თავისი გამოვლენის ფორმით თანამედროვე ისტორიული აზროვნებისათვის უჩვეულოა.

ავტორის სურვილს დროდადრო გვესაუბროს ზღაპრის ენით, ამქალაქებს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ჩართული არაკებიც. ეს მომცრო ლიტერატურული ერთეულები ტექსტში სათაურებიტაც არის გამოყოფილი: 1. არაკი სინდთა მეფისა; 2. არაკი ვახტანგ გორგასლისა.

სინდთა მეფე და ვახტანგი პაექრობენ ამ არაკებით. საქმე ის არის, რომ ვახტანგს მოუხდა ხანგრძლივი დროით მონაწილეობა მიეღო ირანის მიერ მოწყობილ საბრძოლო ოპერაციებში. ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ვახტანგმა, ვითარცა ირანელთა სარდალმა, დალაშქრა, იყო სინდეთი. სინდთა მეფემ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მომხდურთ. იგი თავის სატახტო ქალაქიდან გამოდიოდა, ბრძოლას უმართავდა ვახტანგის რაზმს და მერე იკეტებოდა ისევ ქალაქში. აი, ამგვარ ვითარებაში ითქვა სინდთა მეფის არაკი. მან უგუნური უწო-

¹⁷ ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, წ. I, გვ. 153—154.



და გორგასალს იმის გამო, რომ მტერს დასდგომოდა მონად თავისივე ქვეყნის მიწის მავიერ, რომ ესარგებლა სპარსთა დასუსტებით და მოესპო ისინი სიმართლის დასადასტურებლად სინდთა მეფემ მოიშველია იგავი ყვავისა და ქორის შესახებ:

„მაშინ სინდთა მეფე გამოდგა კართა ქალაქისათა, და ჳმა ყო ჳმითა მალ-ლითა და რქუა: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ ყუავისა მის უგუნურისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული და გაგლეჯილი არწივისაგან, რომელსა ვერ ეძლო აფრენა და მიაზლებულ იყო სიკუდილსა. და არა ჳმნა ყუავმან მან ვითარცა არს წესი ყუავისა. რამეთუ სხუამან ყუავმან ოდეს იხილის ქორი, იწყის ჳმა-მალლად ყვილი, და ასმინის სხუათაცა, და დაესხის სიმრავლე ყუავთა ქორსა, რათამცა განიოტეს საყოფელთაგან მისთა, და უშოშადმცა დაყვენს დღენი მათნი. რამეთუ პირუტყუთაცა იციან სარგებელი თავისა მათისა.

არა ჳმნა ყუავმან ესევითარი, არამედ შეიწყალა ქორი იგი, ვითარცა კეთილისყოფელი მისი; დაუტევა ზრდა მართუეთა თვისთა, და მარადის უკრებნ მკალსა და გუელსა, რამეთუ სხესა შეპყრობა არ ძალ-უც ყუავსა, და მით ზრდიდა ქორსა. ვითარცა მოეზარდნეს ქორსა მას ფრთენი, თქუა გონებასა თვისსა: „ესერა დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა, და არა მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთა, რამეთუ მკალითა ვერ განვძლიერდები. თუმცა ძალ-მედვა მიწვენა მფრინველთა და მით გამოზრდა თავისა ჩემისა, არამედ შევიპყრა ყუავი ისი, მზრდელი ჩემი, შეეჳამო და განვისუენო ორ დღე: მომცეს ძალი და ვიწყო წესისაებრ ნადირობად, მამათა ჩუენთაებრ“. რომლის-თვისცა აღასრულა ესე, შეიპყრა ყუავი იგი და შეეჳამა. მიერთგან იწყო ნადირობად დიდთა და მალეთა მფრინველთა. არა მიეცა ყუავსა მას ქება მოწყალეებისა მისთვის, არამედ უგუნურად და თავისა მკვლელად ითქმის. არცა მიეცა ქორსა მას ყუედრება უწყალოებისა და კეთილის-უჳსენებლობისა; რამეთუ იგი არს გუარი და წესი ქორისა: განილეოდა და მოკუდებოდა მკალითა, და ჳმნა წესისაებრ, და განერა სიკუდილისაგან. ხოლო ყუავმან მან არა წესისაებრ ჳმნა, და მითცა მოკუდა.

აჳ სპარსნი, რომელნი პირველთაგან მოაჳამომდენ და წადმართ მიუტუნისამედ მტერნი არიან ჳუარის-მსახურთანი, ჳამსა შინა, უღონობით, ლიქნით ყვიან სიყუარული; და ოდეს ეცის ჳამი, არა ყვიან წყალობა და კეთილის-ჳსენება. ესე, ბევრისბევრეულჯერ ჳმნილი, გუასმიეს წიგნთაგან. და ოდეს იხილენ სპარსნი ჩემ მიერ შეკნინებულნი, არა ჳყავ იგი, რომელი ჳერ იყო შენდა საქმედ, სიხარული და მადლისა შეწირვა ლმრთისა შენისა, და ჳრაახება სხუათაცა ნათესავთა, და მტერთა აღზრუნა სპარსთა ჳედა, და შეწივნა მტერთა სპარსეთისათა. არა ჳყავ ესევითარი, არამედ დაგიტეობიეს საყოფელი მამათა შენთა, და წინამძღუარ ჳმნილ ხარ სპასა დიდსა საქრისტიანოსა საბერძნეთისასა, და მოგივლია ორისა წელიწადისა გზა, და მოსრულ ხარ ძალად სპარსთა. რათამცა განძლიერდეს, და მოიწყუნეს, და წარგწყმიდეს შენ და ქუეყანა შენი, და დაიპყრეს წარსაწყმედელად ყოველთა ჳუარის-მსახურთა. ჳეშმარიტად ამას იმზადებ თავისა შენისათვის და ყოველთა ჳუარის-მსახურთათვის. რად ვთქუ მე შენთვის ყუავისა იგავი? რამეთუ მეფე ხარ თვთმპყრობელი და ახოვანი, და ნებითა შენითა მიგიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა. და ვითარ არა უგუნურად ვთქუა თავი შენი“¹⁸⁹



ვახტანგმა სინდთა მეფე თხუენელას შეადარა, რომელიც არაქვეყნისა და ამიტომაც ყველა თავისი მსგავსი ჰგონია. მისი ბრძოლა ქარში სწორედ რომ ქრისტიანებისათვის არის აუცილებელი. სპარსელები რომ ახლა ბრძოლებით დაკავებულნი არ იყვნენ, ქრისტიანებს უბედურებას შეამთხვევდნენ¹⁹.

როგორც უკვე ვნახეთ, ეპიკურ სტილს, ხილვა-სიზმრის ლიტერატურულ ნოტივს ჯუანშერი სრულიად მიზანდასახულად მიმართავს. ცხადია, იგავური ნათქვამიც შემთხვევით არ გაჩნდებოდა მის თხზულებაში. მაგრამ რა ფუნქცია შეიძლება ეკისრებოდეს იგავ-არაკთა უძველეს ჟანრს ისტორიოგრაფიულ ქმნილებაში?

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ჩართულმა არაკებმა კარგა ხანია მიიბურო სპეციალისტთა ყურადღება. რ. ბარამიძის აზრით, ისტორიკოსი არაკებს მოიხმობს იმისათვის, რომ თხრობა მიზნადგული და ემოციური გახადოს, გაამრავალფეროვნოს, ხატოვანება მიანიჭოს, ამავე დროს შეანელოს დამატულობა და დაასვენოს იგი იარაღის განუწყვეტელი ელარუნისაგან²⁰.

როგორც ვნახეთ, ჯუანშერი, მართლაც, საგანგებოდ ზრუნავდა თხზულების სახეობრივ მხარეზე. ამიტომ გამორიცხული როდია, რომ მას არაკები თხრობისათვის თავისებური ხიბლის მინიჭებისათვისაც გაემიზნა. მაგრამ საქმეა არაკთა შინაარსი, პირველ რიგში, სინდთა მეფის არაკისა. იგი, როგორც ვნახეთ, ვახტანგის მიმართ დაუნდობელი კრიტიკის შემცველია. აი, ამგვარი შინაარსის ლიტერატურული ერთეული რად უნდა ვაჩენილიყო ტექსტში? თხრობის გასახლისებლად სხვაგვარი სიუჟეტი, ცხადია, უფრო უპრიანი იყო. თანაც გასათვალისწინებელია, რომ იგავ-არაკთა ჟანრის უპირველესი მოზანია მნიშვნელოვანი აზრის წართულებად გამოთქმა, სიბრძნე სიცრუისა, და არა მკითხველის შექცევა ზღაპრით.

ჯუანშერის თხზულებაში არაკთა გაჩენის ფაქტის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არსებობს. მაგალითად, კ. ზ. გამსახურდიას აზრით, არაკთა ფუნქციის გარკვევისათვის აუცილებელია მხედველობაში გვექონდეს, რომ ვახტანგის ჰიპერბოლიზებული სახე ვართრავანის ეპოსის მიხედვით იკვეთება. სწორედ ამ ეპოსის, ირანული კულტურული წრის კონტექსტში უნდა იქნას წაიკითხული განსახილველი არაკები: „სწრაფ გონებას და საზრიანობას კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭებოდა არიელთა უძველეს საზოგადოებაში. ასეთი გონებით დაჯაღდოებული ადამიანი გამარჯვებული გამოდიოდა თრატორული პაექრობიდან... იმ ნიჭთა შორის, რომელიც ვერჯთრავანმა მიჰპაძლა ზარათუშტრას, გვხვდება გამარჯვებულს უნარი კამათში. მფარველი სულების... შემწეობით იზადება ადამიანი, რომელიც იმარჯვებს კამათში.“ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ აღწერილია დიდი ბრძოლის წინ ვახტანგსა და სინდთა მეფეს შორის, სადაც უნდა ამოვიცნოთ ერთგვარი პაექრობა: ორივე მხარე ცდილობს მოწინააღმდეგის გამტყუნებას და თავისი მოქმედების გამართლებას... მარჯვედ სიტყვისგება თითქოს საწინდარია იმ გამარჯვებისა, რომელიც მოიბოვება ვახტანგმა სინდთა მეფის წინააღმდეგ“²¹.

¹⁹ „ქართლის ცხოვრება“, 1, გვ. 191—193.

²⁰ რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971, გვ. 52.

²¹ კ. ზ. გამსახურდიას, ვერჯთრავან, თრატონა და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შტაბი, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, № 1, გვ. 119.

შეიძლება ანგვარადაც გვეფიქრა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვახტანგის სულაც არაა დამაჯერებელი. ფაქტობრივად ვახტანგი იგავს არც ჰყვესა, რის მხოლოდ მიგვანიშნებს თხუენელას შესახებ იგავზე. ქართველი მეფე უარყოფითი ეპითეტებით „ამკობს“ მოწინააღმდეგეს და იშველიებს არაღამაჯერებელ არგუმენტს — თურმე ქრისტიანებისათვის ვახტანგ გორგასლის ირანელთა ლაშქრობებში მონაწილეობა იმით არის სასარგებლო, რომ ამ დროს ირანელები დაკავებული არიან და ვერ ვნებენ საქრისტიანოს. როგორც ვხედავთ, გაბათილებული არაა მთავარი ბრალდება, ვახტანგი ვერ უარყოფს, უფრო ზუსტად, გვერდს უვლის საკითხს იმის შესახებ, რომ მისი თანადგომა მოსხავე დაუძინებელ მტერს აძლიერებს. კიდევ მეტ გაციებასა და უნდობლობას იწვევს ვახტანგის მსჯელობა სინდთა რელიგიის შესახებ, რომელსაც გორგასალი უპირისპირებს სპარსელთა რელიგიას და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებს. ვახტანგი განაზავს, რომ ქრისტიანთათვის შემწეობის აღმოჩენის სურვილიც რომ არა, იგი მარტო ამ უპირატესობის გამო დაეხმარებოდა სპარსელებს სინდთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არგუმენტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქრისტიანულ თვალსაზრისით, რომლითაც ყოველივე არაქრისტიანული მიუღებელია, წარმართულია. მით უმეტეს, წამგებიანია მახდენაობის აპოლოგია ქრისტიანობის წინააღმდეგ მისი მძლავრი შეტევის ეპოქაში.

ამგვარად, ვახტანგის მსჯელობა მოკლებულია საბუთიანობას, თუმცა როგორც თხუენლების წინა პასაევიდან ვიცით, ვახტანგ გორგასალს საერთოდ სიტყვა უშრიდა. ასეთად გვიხატავს მას ჟუანშერი. განსახილველ შემთხვევაში კი მას მოაუქრე სჯაბნის. რას მიგვანიშნებს ავტორი, იმას ხომ არა, რომ ქართველთა მეფის პოზიცია დაუცველია? მოვლენათა შემდგომი განვითარება სწორედ ამ დასკვნისათვის იძლევა საფუძველს: ქართველთა წინამძღოლის მიერ პოტენციური მტრის მხარეზე ბრძოლა შეცდომა იყო.

საქმე ისაა, რომ სპარსელები სულ მალე თვით ვახტანგს უწყებენ ომს: ხანგრძლივ ლაშქრობათა შემდგომ სამშობლოში ის-ის იყო დაბრუნებულს ბიზანტიის წინააღმდეგ კამპანიაში მონაწილეობას მოსთხოვენ. როცა უარს მიიღებენ, გამოემართებიან ქართლის ასაოხრებლად. ვახტანგი მედგრად დაუხვდება, მაგრამ ეს შეკრინება მტერთან მისთვის აღმოჩნდება საბედისწერო. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი მცირე დროის გასვლის შემდეგ გარდაიცვლება. „და ვითარცა წარქდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, მოკლდა ხუასარი, მეფე სპარსთა, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხუასარი. და განძლიერებულ იყვნეს სპარსნი, რამეთუ ყოველნი მტერნი მათნი დაემორჩილნეს შესლვითა ვახტანგისითა. და წარმოემართა იგი ბრძოლად ბერძენთა, და მოუვლინა გორგასალსა მოციქული და რქუა“²². — ასე იწყებს ვახტანგის უკანასკნელი ომის შესახებ თხრობას ჟუანშერი. „განძლიერებულ იყვნეს სპარსნი, რამეთუ...“ წინადადება საშუალებას გვაძლევს უკვე ცალსახად განვმარტოთ ავტორის პოზიცია. იგი ემთხვევა „არაქს“ პოზიციას: ვახტანგის მიერ ირანელთა ლაშქრობაში მონაწილეობა შეცდომა იყო.

ამგვარად, სინდთა მეფის არაკით ფაქტობრივად გამოთქმულია თვით ისტორიკოსის დამოკიდებულება თხუენლების მთავარი პერსონაჟის გარკვეული ქმედებისადმი. არაკის ფორმა ავტორს საშუალებას აძლევს აზრი გამოხატოს

²² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199 (ხაზი ჩვენია).



მკვეთრად, უკომპრომისოდ, რაც სხვაგვარად, პირდაპირ, „ლია ტექნიკური ნებრეზია, გაუჭირდებოდა ჭუანშერს. ვახტანგ გორგასლის ლეგენდებში როგორცაა აღწერილი, თუ თავს გამოვუტყუდებით, არათუ თორმეტი საუკუნის წინ, დღესაც გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა არის შესაძლებელი. ბიოგრაფიული ქანრის თხზულებებში შუა საუკუნეებში მთავარ პერსონაჟზე კრიტიკული მსჯელობა ლიტერატურული ეტიკეტითაც არ იყო მიღებული. ამგვარ ვითარებაში ჭუანშერმა, როგორც ვხედავთ, თავისი დამოკიდებულების მკაფიოდ გამოსახატავად მეტად ორიგინალური გზა გამონახა. იქნებ იგავური ენა თანამედროვე ქამათალმწერლებსაც ბევრი სირთულის დაძლევის, ობიექტურობის დაცვის გარანტიად მოეწინებოდა?! აღნიშნულ კითხვას ისტორიული პრაქტიკა გასცემს პასუხს. ჩვენ კი, ვიდრე წერტილს დავსვამდეთ, გავარკვიოთ, რატომ მოხდა, რომ ვახტანგ გორგასალი სპარსელთა ომების მონაწილე აღმოჩნდა.

ეს საქმოდ დახლართული ამბავია. როგორც ითქვა, ვახტანგი ირანს განუდგა და ბიზანტიაზე აიღო კურსი. მაშინ ირანი იძულებული იყო დამარცხებას შერიგებოდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ვახტანგის დასასჯელად ქართლს მოაშურა სპარსელთა ლაშქარმა. როგორც ჭუანშერი გვამცნობს, ბიზანტიელთა მოუცლევლობის გამო, ქართველები ერთხანს მარტო უმკლავდებოდნენ ირანელებს. ბიზანტიის ჩარევამ ომის ბედი გადაწყვიტა. ირანელები დაზავდნენ გუნებაზე დადგნენ. ვახტანგმა, რომელიც შუამავლის როლში გამოვიდა, დიდად შეუწყო ხელი ამ დაზავებას. ბიზანტიელები და ირანელები შეთანხმდნენ გავლენის სფეროებზე. ორივემ დათმო, თუმც ირანმა მეტად: „მაშინ მოიღო სპარსთა მეფემან ქარტა და დაწერა კელითა თვსთა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა, და ჩინება საზღუართა, და სიკლიისა უკუცემისათჳს. მისცა ფილისტიმი საზღვრითა იერუსალემისათა. და თქუა, ვითარმედ: „ქალაქი სჯულისა თქუენისა არს იერუსალემი“. და მისცა გორგასალსა ნიჭი: ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბარი ლიტრა ხუთასი. მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიკი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“²³.

მაგრამ დაზავების მეორე დღესვე ვახტანგს ირანელებმა მოთხოვნები წაუყენეს: ითხოვეს ვახტანგის და შაჰსათვის ცოლად და გორგასლის მონაწილეობა მათ ლაშქრობებში. ეს, მათი განმარტებით, აუცილებელი იყო საგარეო პოლიტიკაში უკანდახევის კომპენსირებისათვის, იმისათვის რომ აღნიშნული ფაქტის გამო შაჰს სპარსელ იერარქთა ოპოზიცია არ გასჩენოდა²⁴.

ვახტანგი მოეთათბირა დაახლოებულ პირებს. ბიზანტიის წარმომადგენელმა ურჩია დათანხმებოდა შაჰის წინადადებას: „მაშინ ვახტანგ მოუწოდა თანამზრახველთა თვსთა, და ეზრახა ლეონ ანთიპატი ესრეთ, ვითარმედ: „დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა, რამეთუ შენ დასცევ ქალაქი პონტოსა შემუსრვისაგან, და შენ მიანიჭე შუდას ოთხმოცი ათასი სული, და დღეს შენ მიერ მიეცემის ჭაზირა და ფილისტიმი, რომელი მშვიდობით არა რომელსა მეფესა ბერძენთასა შეუბყრიეს. და მართალ არს ზუასრო, უკეთუ არა ჰყო მის თანა სათნოება, უკმრად შერაცხოს იგი ერმან მისმან. დაღაცათუ მან არა გითხრა, მიღმართ ვძლიოთ, რამეთუ ესე არს სრული სიყუარული; მე მიგცე ლაშქრისა ჩემისაგან ათი

²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 183.

²⁴ იქვე, გვ. 184.



ათასი ჭურვილი და მე წარვყვე მიაციქულთა შენთა თანა წინაშე კეისრისაჲსა²⁵
 მუნთ გამოგერთო ჯაზირას სპითა ძლიერითა²⁶.

ვახტანგს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ქვეყნის დატოვება უმძიმეს ვითარებაში მისთვის ხელსაყრელი არ იყო. რვა წელი დაჰყო ვახტანგმა ქართლისაგან შორს. ჩანს, ითვალისწინებდა ირანელთა მიერ წამოწყებული ომების ხანგრძლივობას, საფრთხესაც, რომელიც ემუქრებოდა მას საბრძოლო ოპერაციების დროს. ამიტომ იყო, რომ თავისი ზუთი წლის მემკვიდრე დაჩი გაამეფა და ისე დატოვა. განკარგა სხვა სახელმწიფოებრივი საქმეებიც²⁶. რჩევას ბიზანტიელებს ვახტანგი, ცხადია, იმიტომ კი არ ეკითხებოდა, რომ ვერ გადაეწყვიტა მისთვის სასარგებლო იქნებოდა ირანელთა მოთხოვნების შესრულება თუ არა, არამედ იმიტომ, რომ უნდოდა სცოდნოდა, ირანელებისათვის უარის თქმის შემთხვევაში ჰქონოდა თუ არა ბიზანტიელთა დანხარების იმედი. როგორც დავინახეთ, ბიზანტიელებმა ურჩიეს დაჰყოლოდა შაჰის ნებას, ე. ი. ამგვარი იმედი არ მისცეს. ამგვარაა, რომ ბიზანტია და ირანი შეთანხმდნენ ქართლის ზურგს უკან. ამგვარად, ვახტანგი მოტყუვდა, როცა ბიზანტიას აქტიურად დაუჭირა მხარი. თუმც, ვინ იცის, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ მას, ისევე როგორც ქართველი ერის ბევრ მესვეურს უძველესი დროიდან დღემდე, სხვა გზა არ ჰქონდა: ვადამწყვეტ მომენტში დასავლეთი ტოვებდა აღმოსავლეთის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს. მაგრამ ვახტანგი, ჭუნაშერის აზრით, შეცდა არა მაშინ, როცა კურსი ბიზანტიაზე აიღო, არამედ მაშინ, როცა უკომპრომისო პოზიცია არ დაიკავა ირანისადმი, მიუხედავად იმისა, რომ მართლ დარჩა. აი, ეს აზრი მიანდო ისტორიკოსმა არაქს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჭუნაშერ ჭუნაშერიანს თავისი კრიტიკული განწყობილების გამხელა არ სურდა მისი თანამედროვე საზოგადოებისათვის. იგავთა ენა მათთვის გაცილებით უფრო გასაგები იყო, ვიდრე ჩვენთვის. არაქსის მოშველებით ჭუნაშერი თავის პოზიციას კი არ მალავდა, არამედ გამოხატავდა მას მისაღები ფორმით, ისე, როგორც ეს შეეფერებოდა საგანს, რომლის შესახებაც იგი წერდა. „არაქი სინდთა მეფისა“ ისტორიკოსის მიერ ფაქტის კომენტარების მეტად შთაბეჭედავი ხერხია.

კაცობრიობის ისტორია განფენილია ჰერმენევტიკულ უნივერსუმში, ამიტომაც, რომ მის ბინადართ, მიუხედავად ქრონოლოგიური თუ სივრცული დისტანციებისა, შესწევთ უნარი სოციალური კომუნიკაციები დაამყარონ ურთიერთთან. და ეს შესაძლოა, თუმც ადამიანის სულიერება განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას, გარდაისახება მენტალობა, მოდიფიცირდება მსოფლხატი, კულტურული კატეგორიები იცემა ახალი შინაარსით, ძველი შინაარსი ფორმდება ახლებურად. გამოთქმული აზრი, რომელიც თეორიულად აღბათ უკლებლევ ყველა მკვლევარისათვის არის მისაღები, პრაქტიკულად ხშირად დაეწყებულა: ბევრ სპეციალისტს წარსულის სოციუმებთან შეხვედრისას ეუფლება გაუტყობების გრძნობა. ეს გრძნობა, რომელიც თავისი წარმოშობით უკავშირდება ქვეყნობიერ შრეებს. არცთუ იშვიათად იმდენად ძლიერია, რომ მის გამო დამკვირვებელი არათუ ვერ ხედავს, არც კი ცდილობს წარსულში თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურულ ფენომენთა ტიპოლოგიური ანალიზებას დაქებნას. მკვლევარი თავის კვლევის ობიექტს — გარდასულ საზოგადოებას — უტყერს ერთგვარი უპირატესობით. ამგვარი დამოკიდებულება

25 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 184—185.
 26 იქვე, გვ. 185—186.



კი პრინციპულად მცდარია, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ისტორიული შემეცნება.

ისტორიკოსი ქედმაღლურად არ უნდა განიხილავდეს წარსულიდან მოღწეულ კულტურულ ტექსტს, მან ამ ტექსტის შემქმნელ ადამიანთან, როგორც თანასწორთან, უნდა წარმართოს დიალოგი, — გახაზავს სავსებით სამართლიანად თანამედროვე კულტუროლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ი. გურგენიჩი²⁷.

გარდასული ეპოქების შემოქმედთა მიმართ თანამედროვე სპეციალისტების მიერ დაკავებული არასწორი პოზიცია ხშირად გამხდარა ჩვენ ეროვნულ ფასეულობათა უმართებულო ინტერპრეტაციებისა თუ ნიჰილისტური შეფასების მიზეზი. წინამდებარე წერილს მიზანი იყო ქართველოლოგიაში დამკვიდრებული აღნიშნული ტენდენციის დაძლევა ქართული კულტურის ისტორიის ერთ მცირე მონაკვეთზე, კერძოდ, ჩვენება იმისა, რომ ჯუანშერი, რომელსაც მრავალი საუკუნე ამორებს ჩვენგან და რომლის „კილო“ ასე ზღაპრულია, არსებითად ისეთივე ლოგიკით აგებს ისტორიულ შრომას, როგორითაც ვიხელმძღვანელებდით შესაბამის პირობებში ჩვენ — მისი მეოცე საუკუნის კლდეები.

М. С. ЧХАРТИШВИЛИ

«ПРИТЧА ЦАРЯ СИНДОВ»

Резюме

Сказочная окраска повествования давала повод многим специалистам усомниться в исторической достоверности сообщений «Жизни царя Вахтанга Горгасала» Джуаншера Джуаншеряни (I пол. VIII в.). Однако исследования последних лет выявили, что представленная в данном памятнике информация находит подтверждение в других источниках. Что касается фольклорного оформления отдельных эпизодов, включения в исторический нарратив видений, притч, то подобные факты, как выясняется в настоящей статье, отнюдь не связаны с незрелостью исторического мышления средневекового автора, а вызваны его сознательным стремлением рационально и в соответствии с действовавшей в той эпохе системой стереотипов решить сложные историографические задачи. Например, при помощи «Притчи царя синдов» Джуаншер Джуаншеряни выразил свое негативное отношение к определенному внешнеполитическому шагу Вахтанга Горгасала. Прямая критика уже утвердившегося в общественном сознании эпического образа царя героя была бы неприемлемой для читателей «Жизни царя Вахтанга Горгасала». Проявление авторской позиции через призму притчи очень удачный, этически и художественно вполне выдержанный способ критической оценки историком деятельности исторической личности, со временем превратившейся в национальный символ.

²⁷ Гуревич А. Я. Средневековый мир: культура безмолвствующего большинства. — М., 1990, с. 9.

M. CHKHARTISHVILI

„THE PARABLE OF THE KING OF SINDS“

Summary

The fairytale style of narration prompted many experts to doubt historic trustworthiness of information provided by „The Life of the King Vakhtang Gorgasali“ by Juansher Juansheriani (I half of the VIII century), but researches led during the last years revealed that information represented in this monument is confirmed by other sources. Concerning folkloric character of separate episodes, inclusion in historic narrative of apparitions, parables—such facts, as it turned out in the present article, are not connected with immaturity of historic thought of medieval author, but are due to his conscious desire to solve complicated historic problems rationally and accordingly to the contemporary systems of stereotypes. For example, with the help of „The Parable of the King of Sinds“ Juansher Juansheriani expresses his negative attitude towards the definite foreign political step taken by Vakhtang Gorgasali. Frank criticism of the already established in public consciousness epic image of the heroic—king would hardly have been acceptable for the readers of „The Life of the King Vakhtang Gorgasali“. The author's position expressed by means of a parable is a very successful, etically and artistically justified way of critical assessment by a historian of the activity of the historic personality who has been turned with time into national symbol.

ბენიამინ სილაგაძე

ალ-მას'უდის თხზულების „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ
ალ-ჯავჰარ“-ის მართი ცნობის გაბეზისათვის

აბუ ლ-ჰასან 'ალრ იბნ ალ-ჰუსაინ იბნ 'ალრ ალ-მას'უდი (+ 956) X ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე არაბი ლიტერატორი, მოგზაური, ისტორიკოსი და გეოგრაფია. ვარაუდობენ, რომ დაბადებული უნდა იყოს ბაღდადში, განათლებულ ოჯახში, რამაც თავიდანვე განსაზღვრა მისი მომავალი.

ალ-მას'უდი პატარობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა ლიტერატურისადმი და კარგადაც აითვისა თავისდროინდელი ტრადიციები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგრამ მალე შეიცვალა პროფესია და იგი შეუდგა მოგზაურობას, რათა უშუალოდ გასცნობოდა სხვადასხვა ქვეყნებს, მათ მოსახლეობას, კულტურას, სოციალურ ფენებს, ჩვევებს, მთებს, ზღვებს, მდინარეებს და სხვ. მან მოიარა ქვეყნები ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე, მეწამული ზღვიდან კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროებამდე. იყო აგრეთვე ჩინეთსა და მაღაის არქიპელაგზე.

ხანგრძლივი და რთული მოგზაურობიდან დაბრუნებული ალ-მას'უდი ერთ-ხანს პალესტინაში და სირიის საზღვრისპირა სხვადასხვა ოლქში ცხოვრობდა, მერე ბასრაში გადავიდა, ხოლო იქიდან ეგვიპტეში წავიდა, ფუსტატში დასახლდა და 956 წელს იქვე გარდაიცვალა.

გარდა იმისა, რომ ალ-მას'უდი ბევრს მოგზაურობდა და ყოველივე მისთვის საინტერესოს აღნუსხავდა, ბევრსაც კითხულობდა, რათა თვითნაწიხი, განცდილი და მოსმენილი სხვადასხვა წყაროთა მონაცემებით შეემოწმებინა, ჭეშმარიტება დაედგინა და წინ წაეწია მეცნიერება, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „განუწყვეტლივ ვითარდება იმის გამო, რომ უქანასკნელი პოულობს იმას, რაც ვერ იპოვა პირველმა“¹.

დაახლოებით 943 წელს ალ-მას'უდი დაგროვილი სხვადასხვა ხასიათის ზღვა მასალის სისტემაში მოყვანას და წერას შეუდგა. მის კალამს ეკუთვნის ორ ათეულზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან პირველი და ყველაზე ვრცელი იყო „ახზარ აზ-ზამან“ („უამთა ისტორია“), სხვანაირად „მირა'ათ აზ-ზამანის“ („უამთა სარკე“-ს) სახელისადაც რომაა ცნობილი და 30 წიგნად იყო დაწერილი. მეორე ვრცელ თხზულებას „ალ-ქითაზ ალ-აესაქ“ („საშუალო წიგნი“) ეწოდება. ამას მოჰყვა მთელი რიგი სხვა თხზულებებისა, მათ შორის „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ“ („ოქროს სარეცხელები და ძვირფას ქვათა საბადოები“) და „ქითაზ ათ-თანბიჰ ვა ლ-იშრაჰ“ (გაფრთხილებისა და გადასინჯვის წიგნი“).

¹ Крачковский И. Ю. Избранные сочинения, т. IV, М.—Л., 1957, 83. 180.



ამ თხზულებებიდან პირველი ორი, კერძოდ, „ახბარ აზ-ზამან“ და „ქიბრათ ალ-ავსატ“ ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. მეცნიერები მთელი მუშაობის დღემდე მოღწეული მცირე ნაწივებებისა და სათაურების მიხედვით. რაც შეეხება „მურუჯ აზ-ზაჰაბ“ და „ქითაბ ათ-თანბიჰს“..., ისინი შემონახულია სრულად, სხვადასხვა ვარიანტებად და დიდი ხანი მეცნიერულ მიმოქცევაშია. „მურუჯ აზ-ზაჰაბის...“ ტექსტი პირველად გამოსცა და ფრანგულად თარგმნა ბარბი დე მინარმა 1861—1877 წლებში². 1867 წელს იგივე თხზულება გამოქვეყნდა ბულაკში, ხოლო 1978 წელს ბეირუთში ნაშრომი მესამედ გამოსცა იუსუფ ას'ად დალირიმ³.

1894 წელს დაიბეჭდა „ქითაბ ათ-თანბიჰის...“ სრული ტექსტიც ცნობილი მეცნიერის დე გუეს ხელმძღვანელობით⁴. ხოლო სამი წლის შემდეგ იგი ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა კარა დე ვომ⁵.

„მურუჯ აზ-ზაჰაბი“ ისტორიული ტიპის ნაშრომია, „ქითაბ ათ-თანბიჰი“ კი გეოგრაფიული ხასიათისა. თუმცა ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან თითოეულ მათგანში თითქმის ერთი ზომითაა მოცემული ისტორიაც და გეოგრაფიაც. ეს უფრო მეტად ითქმის „ქითაბ ათ-თანბიჰზე...“ რომელიც წარმოადგენს ალ-მას'უდის ბოლო შემაჯამებელ ნაშრომს, სადაც გადასინჯულია ბევრი რამ, რაც წინა ნაშრომებში იყო განხილული, და ამდენად მასში თანაბრად არის მოცემული გეოგრაფიაც და ისტორიაც.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თხზულებები ავტორის მიერ შეგროვილ მასალებზეა აგებული, მათში მაინც სჭარბობს სხვა წყაროებიდან მოხმობილი მასალები. ამიტომ ისინი სპეციალისტთა მიერ ძირითადად კომპილაციურ ნაშრომებად არიან მიჩნეული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ-მას'უდიმ ხანგრძლივი მოგზაურობის დროს სხვადასხვა ხასიათის ზღვა მასალა დააგროვა. მისი სისტემაში მოყვანა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა და, ეტყობა, ავტორი ამ სიძნელეს ყოველთვის ვერ ართმევს თავს. ამით აიხსნება, რომ მისი თხრობა დახლართულია. ხშირად იგი გადაუხვევს ხოლმე ძირითადი თემიდან, ჰყვება სულ სხვა ამბებს და შემდეგ უბრუნდება მთავარ სათქმელს; არ ერიდება ერთი და იმავე ამბის რამდენჯერმე განმეორებას. ცდება საკუთარი სახელების გადმოცემაში, უშვებს სხვა ხასიათის შეცდომებსაც, რომლებიც იმდენად თვალში საცემია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ის თავის ნანახს კი არა, მხოლოდ სხვა წყაროებიდან ამოღებულ ამბებს ჰყვება.

მიუხედავად ასეთი ხარვეზებისა, ალ-მას'უდი მაინც მკვლევართა მალალ შეფასებას იმსახურებს მასალის სხვადასხვაობისა და სიუხვის გამო. ფრანგი ორიენტალისტი ე. ქატრმერი განცვიფრებულია იმ ამოცანების მრავალმხრივობითა და სირთულით, რასაც ალ-მას'უდი იხილავს თავის თხზულებებში. ავსტრიელი არაბისტი ა. კრემერი (1828—1889) ამ არაბ შწერალს ჰეროდოტეს

² A l-M a ო u d i. Les Prairies d'or. Texte et traduction par C. Barbier de Meynard et Pavet de Courteille, t. I—IX, Paris, 1861—1877.

³ ალ-მას'უდი. მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ. ალ-მუჯალად ალ-ავვალ (ატტაბ'ა ას-სალისა), თუნჭარადუ ჰაზიჰი ტ-ტაბ'ა ბი ლ-ჰაჰარის ვა დაკაჰა ვა დაბატაჰა ჰუსუფ ას'ად დალირი. ბაარუთ, 1978.

⁴ Kitab at-tanbih wa' l-ischraf autor a l-M a s u d i.—BGA, t. VIII, ed. M. J. de Goeje. Lugduni—Batavorum, 1894.

⁵ M a ო u d i. Le Livre de l'avertissement et de la revision. Traduction par B. Carra de Vaux. Paris. 1897.



ადარებს⁶ ამის გამო, რომ ის არ კმაყოფილდება არაბეთის ისტორიით და დიდ ინტერესს იჩენს ბერძნების, რომაელებისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების⁷ სადმო, მსოფლიო რელიგიებისადმი და სხვ.⁷ X ს-ის ყველაზე უფრო მკვლევარად გეოგრაფ მწერლად თელის ალ-მას'უდის არაბული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად მთვარდელი არაბისტი ი. კრამერსი (1891—1951). ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევენ მას'უდის აგრეთვე ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი ე. რენანი (1823—1892), ბარბიე დე მენარი, ვ. მინორსკი (რომელთა შესახებ ქვემოთაც ვეჭქნება საუბარი) და ე. კრაჩკოვსკი, რომელიც მთლიანად იზიარებს ამ არაბი ავტორის შესახებ გამოთქმულ ი. კრამერსის თვალსაზრისს⁸.

თუ რაოდენ დიდი და მრავალფეროვანი იყო ალ-მას'უდის მიერ შეგროვილი მასალა და მისთვის საინტერესო საკითხთა სფერო, ამის წარმოსადგენად, ალბათ, მისი ბოლო ნაშრომის — „ქითაბ ათ-თანბის“ მარტო შესავლის გაცნობაც საკმარისია. და თუ მან თავის თხზულებებში ყველა საკითხი ისე ვერ გააშუქა, როგორც საჭიროა, სამაგიეროდ, მის მიერ მოხმობილი უხვი მასალა ფასდაუდებელია სხვა წყაროთა მონაცემების შესამოწმებლად.

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარის“ ის ადგილები, სადაც ვრცელი მსჯელობაა კავკასიის ქვეყნების, მათი გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, რელიგიის, მთების, ზღვების, მდინარეებისა და სხვა მრავალი საინტერესო საკითხის შესახებ.

ალ-მას'უდის ეს ცნობები დიდი ხანია ჩვენში მეცნიერულ მიმოქცევაშია, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ნ. კარაულოვს მიუძღვის. სწორედ მან თარგმნა ეს ცნობები რუსულად და გამოაქვეყნა 1908 წელს. ქართველ მეცნიერებს კარგი სამსახური გაუწია აგრეთვე ვ. მინორსკიმ, რომელმაც თავის ნაშრომს „История Ширвана и Дербенда X—XI веков“, მოსკოვში რომ დაიბეჭდა 1963 წელს, ალ-მას'უდის ცნობებიც დაურთო.

მაგრამ, როგორც თვით მემატრანის თხზულების ტექსტში, ისე მის თარგმანებში შეიმჩნევა ზოგერთი უზუსტობა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად მიგვაჩნია „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარის“ ის ადგილი, სადაც ავტორი აფხაზეთის სამეფოს მეზობლად მდებარე ქვეყანაზე საუბრისას ამბობს:

ثم يلى ملك لا يخاز ملك الجورزية و هى امة عظيمة منقادة الى دين النصرانية تدعى خزران و لها ملك فى هذا الوقت يقال له الطيبعى و فى مملكة هذا الملك موضع يعرف بمسجد ذى القرنين⁹

ეს ცნობა რუსულად თარგმნილი აქვთ ნ. კარაულოვსა და ვ. მინორსკის, ხოლო ქართულად — დ. მუსხელიშვილსა და მ. ცინცაძეს.

ნ. კარაულოვის თარგმანი: „...Около Абхаз находится царство Джуррия, населенное большим племенем христианского вероисповеда-

⁶ Крымский А., Масъудий (Энциклопедический словарь, СПб., 1896, т. XVIII — А, 33-776).

⁷ Караулов Н. А. Сведения арабских географов IX—X веков о Кавказе, Армении и Азербейджане — СМОМПК, вып. 38, Тифлис, 1908, с. 29—30.

⁸ Крачковский И. Ю. Избранные сочинения, т. IV, с. 171.

⁹ Al-Mas'oudi. Les Prairies..., t. II, 33-65. იხ. აგრეთვე ბეირუთის 1978 წ. გამოცემა, ტ. I, გვ. 226.



ნია; зовут их „хазран“. Царь, управляющий ими в настоящее время называется Таби и живет в месте, называемом Масджид-д-Зил-Карнайи¹⁰.

ვ. მინორსკის თარგმანი: „К ним (абхазцам — ბ. ს.) примыкает царство Джурзийа (Грузия). Это большой народ, они—христиане и называют их джурзайа. Они теперь имеют царя, он зовется ат-Таби'и, а столица этого царя называется Масджидом дзил- Карнайи“¹¹.

დ. მუსხელიშვილისა და მ. ცინცაძის ქართული თარგმანები ერთნაირია და ასე გამოიყურებიან: „აფხაზთა გვერდით არის სამეფო ჭურზია. ეს არის ძლიერი ხალხი, ქრისტიანები, რომელთაც ჭურზანს უწოდებენ. მათ ამჟამად მეფე ჰყავთ, რომელსაც ეწოდება ათთაბი'ი, ხოლო დედაქალაქს ამ მეფისას ეწოდება მესჯიდ ძილ-კარნაინ“¹².



დაკვირვებული თვალი უმალ შეამჩნევს, რომ არაბი მწერლის ცნობის აქ წარმოდგენილი თარგმანები ერთნაირი არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელებს ცნობის არაბული ტექსტი სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვადასხვანაირად ესმით და გაუგებარი ხდება მკითხველისათვის, თუ რომელს მიანიჭოს უპირატესობა.

როგორც ნ. კარაულოვის თარგმანიდან ჩანს, ალ-მას'უდის ცნობით, აფხაზეთის მახლობლად იმყოფებოდა „ალ-ჭურის სამეფო“. თხზულების არაბული ტექსტის იმ გამოცემაში კი, რომლითაც ნ. კარაულოვი სარგებლობს, დაბეჭდილია **الجزيرة** („ალ-ჯურზია“) ანუ „საქართველო“ და არა **الجزيرة** („ალ-ჯურია“), რაც მთარგმნელისავე სწორი განმარტებით „გურიას“ ნიშნავს¹³.

თავად ნ. კარაულოვი არაფერს იუწყება იმის შესახებ, თუ რატომ ამჯობინა მან „ალ-ჯურზიის“ მაგიერ „ალ-ჯურის“ წაკითხვა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბათ, მას აქეთვე უბიძგა შემდეგმა გარემოებამ: **ბირველი**, იმან, რომ „მურუჯ აზ-ზაჰაბის“ ზოგიერთ ხელნაწერში, რომელთაგან ერთ-ერთი საფუძვლად უდევს 1978 წლის ბეირუთის გამოცემას, ალბათ, გადამწერლის დაუდევრობით არაბულ ტექსტში ალ-ჯურზია“-ს ნაცვლად წერია „ალ-ჯურია“.

მეორე, მან ანგარიში არ გაუწია ცნობის საერთო შინაარსს, საიდანაც ეჭვიმიუტანლად ჩანს, რომ მემატთან გულისხმობს არა საკუთრივ გურიას, არამედ საერთოდ „ქართველთა სამეფოს“, უფრო სამხრეთით, მდინარე ჭოროხის აუზ-

¹⁰ Караулов Н. А., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 56.

¹¹ Минорский В. Ф. *История Ширвана и Дербенда X—XI веков*. М., 1963, с. 209—210.

¹² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, თბ., 1980, გვ. 194; მ. ცინცაძე. საქართველო და ქართველები X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში, — მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1984, № 4, გვ. 85.

¹³ Караулов, Н. А. *დასახ. ნაშრ.* გვ. 74, შენიშვნა 108.



ში რომ იყო და ბავრატონთა ქართული დინასტიის სამფლობელოში აღგენდა¹⁴. და მესამე, რომ გურია მაშინ აფხაზთა სამეფოში შედგებოდა.

* * *

აღნიშნული უზუსტობის გარდა, რამაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ნ. კარაულოვი, ალ-მას'უდის ცნობაში სხვა შეცდომებიც შეიმჩნევა.

„მურუჯ აზ-ზაჰაბ“-ის... არაბული ტექსტის გამოცემებში, რომლებზედაც ზელი მიგვიწვდა, იმ ადგილას, სადაც ნამდვილად უნდა ეწეროს جرزان (ჯურ-ჯან), ე. ი. „ქართველები“, გარკვევით წერია جرزخ („ხაზარან“). „ხაზარან“ კი ხაზარების არაბული შესატყვისის სახელია და გამოდის, რომ „ქართველთა სამეფოს“ ძირეული მოსახლეობა ხაზარები ყოფილან, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება¹⁵.

თუ პირველ შეცდომაში, სადაც „ალ-ჯურზიას“ ნაცვლად ტექსტში „ალ-ჯურია“ არის, შეიძლება ბრალი მიუძღოდეს გადამწერს, რომელმაც დაუდევრობით, ალბათ, აჩქარების გამო, თანხმოვანი, (რ) ასოს ადგილზე, (ვავი) დაწერა, ზოლო მესამე თანხმოვანს თავზე წერტილი დააკლო, — ამას ვერ ვიტყვით მეორე შეცდომის შესახებ. ის უთუოდ ალ-მას'უდის ეკუთვნის. ამას გვაფიქრებინებს ის საყურადღებო გარემოება, რომ სხვაგანაც, სადაც საუბარია, მაგალითად, ქართველების მიერ თბილისის არაბი გამგებლებისადმი გადასახადის მოცემაზე, ანდა იმაზე, თუ საიდან იღებს სათავეს მდინარე მტკვარი, ალ-მას'უდი جرزان-ის („ჯურზან“-ის) ანუ ქართველების მაგიერ ყველგან წერს جرزخ („ხაზარან“-ს, ანუ „ხაზარებს“). გარდა ამისა, მისთვის კასპიის ზღვაც ხაზართა ზღვაა და შავი ზღვაც. თქმა არ უნდა, რომ ასეთ რამეს ტექსტის გადამწერთა ან რედაქტორ-გამომცემელთა ნახელავად ვერ მივიჩნევთ. ეტყობა, ჩვენი ავტორი ბრმად იმეორებს იმ შეცდომებს, რაც მის წინამორბედ არაბ მწერალთა, კერძოდ, IX ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე გეოგრაფისა და ისტორიკოსის მუსლიმ იბნ აბუ მუსლიმ ალ-ჯარმის (ალ-ჰურამი-ს), ცნობილი გეოგრაფის აბუ ლ-კასიმ 'უბაიდალლამ იბნ 'აბდალლამ იბნ ხურდაზბიძის (820—912/13), ფილოსოფოსისა და ლიტერატორის აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ატ-ტაიბ ას-სარახსის (გარდ. 899 წ.) და სხვათა თხზულებებშია და რითაც ის უხვად სარგებლობს. ეს ფაქტი კი იმის მაუწყებელია, რომ ალ-მას'უდი პირადად არ იცნობდა ამიერკავკასიას და მის ქვეყნებზე, ხალხზე, მთებსა და მდინარეებზე საუბრისას ეყრდნობოდა სხვათა ნაამბობს, რომელიც ყოველთვის უზადო როდი არის. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ „მურუჯ აზ-ზაჰაბის...“ არც ერთ ხელნაწერსა და გამოცემაში გარკვევით არ იკითხება ჩვენთვის საინტერესო ცნობაში დასახელებული ქართველი მეფის სახელი.

¹⁴ Marquart J. Osteuropäische und ostasiatische Streifzüge. Leipzig. 1903, გვ. 176. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, თავი VI, რუკა V; მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

¹⁵ სწორედ ამ გაუგებრობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნ. კარაულოვი თავის თარგმანში „ხაზარან“-ს უცვლელად ტოვებს.

ბარბიე დე მენარი ვარაუდობს, რომ ცნობაში მოხსენიებული ქართველი მეფის სწორი სახელი უნდა იყოს الطبيعي („ალ-ტაბი'ნ“) და თავისი გამოცემის ძირითად ტექსტში მან სწორედ ეს სახელი შეიტანა.

ი. მარკვარტმა, რომელიც აგრეთვე დაინტერესებული იყო ამ საკითხით, ეკვი შეიტანა ბარბიესეული წაკითხვის სისწორეში და უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია „ალ-ტაბი'ნ-ს“ შესწორება المنبغى („ალ-მანბილღ“) ფორმით, რაც, მისი აზრით, სრულიად მიესადაგება ქართულ „მამფალს“¹⁶.

ი. მარკვარტის ამ ჰიპოთეზას მხარს უჭერს ვ. მინორსკი იმის გამო, რომ მ ბროსესაც იგივე სახელი აქვს დამოწმებული, ოღონდ დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე¹⁷.

რაც შეეხება ნ. კარაულოვს, ის უცვლელად ტოვებს ბარბიე დე მენარის მიერ შემოთავაზებულ ქართველი მეფის სახელს „ალ-ტაბი'ნ“-ს. ხოლო დ. მუსხელიშვილისა და მ. ცინცაძის წაკითხვით, ქართველ მეფეს „ეწოდებოდა „ათ-თაბი'ი“.

მაგრამ, თუ ისტორიას მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთი შემოთავაზებული წაკითხვა არ იმსახურებს სერიოზულ ნდობას. ისეთ შემთხვევას, რომ საქართველოს რომელიმე მეფეს X ს-ში კი არა, საერთოდ „ალ-ტაბი'ნ“ რქმევოდა, ქართული (და არა მარტო ქართული) ისტორიოგრაფია არ იცნობს. არც ისაა ცნობილი, „მამფალი“ ოდესმე მეფის სახელი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია „მანბილი“ „მამფალის“ არაბული ფორმა იყოს.

რაკი ალ-მას'უდის ცნობაში საერთოდ იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ კი ჭოროხის აუზის შუა წელი — „ქართველთა სამეფო“, სადაც X ს-ში უკვე მეფობდნენ ქართველი ბაგრატიონები, მათ შორის ტაოს შტოს წარმომადგენლები დავით II (923—937) და დავით III (გ. 1000), ამიტომ უფრო სავარაუდებელი ის არის, რომ ალ-მას'უდის ცნობის ხელნაწერ ტექსტში თავიდან الطبعى („ალ-ტაბი'ნ“) ანდა المنبغى („ალ-მანბილღ“) კი არა, اودا („დნუდ“) ან ამის სხვა შესაძლო არაბული ვარიანტები: طب („ტაბით“) , تبت („თაბით“) და تبت („საბით“) ეწერა.

ასეთი წაკითხვა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ ცნობაში მოხსენიებული ქართველი მეფე არის ტაოს მფლობელი დავით II მაგისტროსი. ხოლო ამის დადგენით ისიც გაიკრევა, რომ ცნობაში მოთხრობილი ამბავი ალ-მას'უდის თავისი მოგზაურობის ბოლო ხანებში, X ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, 937 წლამდე (დავით II-ის გარდაცვალებამდე) ჩაუწერია. უფრო ვეიან ამის გაკეთებას ის, ალბათ, ველარ მოახერხებდა, რადგან ცნობილია, რომ 943 წელს თავისი მთავარი ნაშრომის წერას შეუდგა, ხოლო მანამდე შეგროვილი მასალის კლასიფიკაციით იყო დასაქმებული.

¹⁶ Marquart J. დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

¹⁷ Минорский В. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 210, შენ. 95.



ალ-მას'უდის ცნობაში მოხსენიებული „ქართველთა მეფის“ კვევასთან ერთად ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „მასჯიდ ზნ ლ-კარნაინის“ მნიშვნელობა-რაობის საკითხიც.

ნ. კარაულოვის თარგმანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქართველთა მეფე მაშინ ცხოვრობდა „მასჯიდ ზნ ლ-კარნაინ“-ად სახელდებულ ადგილას“. იგი განმარტავს, რომ „ზნ ლ-კარნაინი“ ალექსანდრე მაკედონელის ეპითეტია, რომელიც ნიშნავს „ორი რქის მფლობელს“, ანუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, მოკლედ, მსოფლიოს მპყრობელს¹⁸. რაც შეეხება „მასჯიდს“, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს მუსლიმთა სათაყვანო-საკულტო ნაგებობას — მეჩეთს (მიზგითს), მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომ სხვა რამეს აღნიშნავს, ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს.

სამაგიეროდ, ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ვ. მინორსკი. მისი ვარაუდით, არაბი მწერლის ცნობაში მოხსენიებული „მასჯიდი“ უნდა იყოს ქ. მცხეთის შესაძლო არაბული ფორმა, რომლისთვისაც ალექსანდრეს ეპითეტის — „ზნ ლ-კარნაინი“-ს შერქმევა ავტორს, ალბათ, იმიტომ დასჭირდა, რომ ამით ხაზი გაესვა მისი სიძველისათვის¹⁹.

აღნიშნულ მოსაზრებებს ამ რამდენიმე წლის წინ მიემატა კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომლის ავტორი მ. ცინცაძე მიიჩნევს ალ-მას'უდის ცნობის „მასჯიდი“ მცხეთა კი არა, „მესხეთი“ და ამავე სახელწოდების მისი პროვინცია-ქალაქი უნდა იყოსო²⁰.

ამრიგად, ნ. კარაულოვის მიხედვით, ალ-მას'უდის ცნობაში დასახელებული „მასჯიდი“ არის ქართველთა მეფის ადგილსამყოფელი, რომელიც, ვ. მინორსკის ვარაუდით, მცხეთა უნდა იყოს, ხოლო მ. ცინცაძის მიხედვით, — მესხეთი და მისი დედაქალაქი.

მაგრამ, ვფიქრობთ, აქ ყველაფერი რიგზე ვერ არის. „მასჯიდი“ ზოგადი გაგებით არის სამლოცველო-სათაყვანო ადგილი, ნაგებობა მეჩეთის (მიზგითის) სახით. გარდა ამისა, მას აქვს ციხე-სიმაგრის მნიშვნელობაც. მუსლიმურ აღმოსავლეთში „მასჯიდი“ წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ საკულტო ნაგებობას, რომელშიც შესვლა და რელიგიურ-საწესჩვეულებო რიტუალის შესრულება არამუსლიმს ეკრძალება. ამიტომ, თუ ჩვენთვის საინტერესო ცნობაში მას ასეთი მნიშვნელობით გავიგებთ, ცხადია, ქართველი ქრისტიანი მეფის რეზიდენციად ვერ მივიჩნევთ. ასეთ ადგილად „მასჯიდი“ მაშინ გამოდგება, თუ მას ტაძრის ან ციხესიმაგრის მნიშვნელობით გავიგებთ. ტაძარი კი, როგორც ცნობილია, მარტო ღვთისმსახურებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებელ საკულტო ნაგებობას კი არა, ხელმწიფის ადგილსამყოფელსაც წარმოადგენდა. მეფის რეზიდენციად გამოიყენებოდა ციხესიმაგრეც. ამიტომ ნ. კარაულოვის მიერ მისი („მასჯიდის“) უთარგმნელად და უშენიშვნოდ დატოვება მკითხველში გაუგებრობას იწვევს.

¹⁸ Караулов Н. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 56, 74, შენ. 109.

¹⁹ Минорский В. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 210, შენ. 96.

²⁰ მ. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 86.



ეს ნაკლი ნაწილობრივ გასწორებულია ვ. მინორსკისთან. „მასჯილდ“ იგი კონტექსტის მიხედვით „დედაქალაქად“ (СОЛНЦА) თარგმნის და შინაარსს ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც გადმოსცემს, მაგრამ კომენტარების დროს უშვებს რამდენიმე შეცდომას. „მასჯილდ“-ს ქ. მცხეთასთან აიგივებს, ხოლო მცხეთას „სამხრეთ-დასავლეთ ბაგრატიონთა“ სამფლობელოდ აცხადებს, რაც საფუძველს მოკლებულია. ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე დადგენილია, რომ მცხეთა XII საუკუნემდე ბაგრატიონთა სამფლობელოში კი არა, კახეთის სამთავროში შედიოდა²¹. და ამდენად, ის ვერ იქნებოდა ბაგრატიონ მეფეთა დედაქალაქი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთშია საძებარი.

რაც შეეხება „მასჯილდ“-ის წაკითხვას „მასხილდ“-ად („მესხეთად“), არც ის იმსახურებს ნდობას. მართალია, ეს სახელები გრაფიკული მოხაზულობით კი ჰგვანან ერთმანეთს და ამის გამო შეიძლება გვეფიქრა, რომ აქაც გადამწერმა თუ რედაქტორ-გამომცემელმა თავისი ხელი ჩარია და მესამე თანხმოდენის თავზე მოთავსებული წერტილი შეცდომით მის ქვეშ დასვა, მაგრამ ასეთი რამ გამორიცხული ჩანს. საქმე ისაა, რომ ცნობაში „მასჯილდ“ მკიდრად უკავშირდება „ზნ ლ-კარნაინს“. რასაც მისი ტრადიციული ვაგებით მესხეთი არასდროს არ ატარებდა. ამასთან, ხომ ცნობილია, რომ „მესხეთი“, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, გაცილებით გვიანდელი წარმონაქმნია. ალ-მას'უდის ცნობაში ფიქსირებული „მასჯილდ ზნ ლ-კარნაინი“ ან იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ქართველი მეფის სახელოში იყო მაკედონელის სახელობის მუსლიმური გამორჩეული სალოცავი ადგილი — მეჩეთი და ავტორი სავანებოდ ამ ფაქტს უსვამს ხაზს, ანდა უფრო იმას გვაუწყებს, რომ ადგილს, სადაც „მასჯილდ“ ანუ ტაძარი თუ ციხესიმაგრე იყო აშენებული და მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა, — „კარნაინი“ ეწოდებოდა.

თუ მემატანიანს წამდვილად ამ უკანასკნელის თქმა სურს, რაც სრულიად მოსალოდნელია, მაშინ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცნობაში მოხსენიებული „კარნაინი“ მაკედონელის ეპითეტს კი არ უნდა აღნიშნავდეს, როგორც ეს ალ-მას'უდის ცნობის ტექსტის მთარგმნელთ ესმით, არამედ კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში დასახელებულ „კარნატაის“ („καρνατῆ“) უნდა უკავშირდებოდეს.

კონსტანტინე პორფიროგენეტის „კარნატაი“ იბერიის კურაპალატის ხელქვეითი საერისთავოა („შრკაივა“) თვით იბერიაში. მაგრამ მისი ლოკალიზაციის საკითხი დღესაც არაა საბოლოოდ დადგენილი. ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, კარნატაის საერისთავოს სახელწოდება რომელიმე ციხის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს და ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მისი ციხითურთ მესხეთის ქვეყანაშია საგულისხმო, კერძოდ, შავშეთში, ტაოში ან კოლაში²³.

21. დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, I, გვ. 194, შენ. 1, 178; მისი ივე. კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XI—XIII სს-ში. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967, III, გვ. 70—71.

22. Constantini Porphyrogeniti imperatoris. De ceremoniis aulae Bizantinae libri duo, rec... Reiske. Bonnae, 1829 — 1830, გვ. 687 — 688; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. 11, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებანი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952, გვ. 291.

23. ი. ჯავახიშვილი. თხზ., ტ. II, თბ., 1983, გვ. 114.



ი. ჯავახიშვილის ამ ვარაუდს უჭერს მხარს დ. მუსხელიშვილიც, მიუხედავად კვირეებითაც „კარნატიის საერისთავო უნდა იყოს დამახინჯებული და დაქვავებული მთელი სახელი კოლა-არტაანის საერისთავოსი“²⁴ (ხაზი ჩვენია — ბ. ს.).

იმავე საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრისაა შ. ბადრიძე. იგი დარწმუნებულია, რომ „კარნატი“ იგივე კარინია, ქვეყანა, რომლის ცენტრიც იყო კარსუ-ქალაქი... შემდგომი დროის ერზერუმი“, რომელიც X ს-ის დასაწყისიდან ქართველებს ეკუთვნოდათ²⁵.

მოსმობილ ავტორთა მოსაზრებებიდან შ. ბადრიძის მტკიცება ნდობას არ იმსახურებს. კარნატიის საერისთავო არ შეიძლება კარინის ქვეყანა იყოს. გვირგვინოსანი ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, კარნატიის საერისთავო იბერიის სამეფოშია, კარინი კი, როცა ცნობა იწერებოდა, იბერიის სამეფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. იგი, ასოლოკის გადმოცემით, დავით III კურაპალატს კეისარმა მხოლოდ 978 წელს გადასცა და ისიც დროებით²⁶. ასოლოკის ამ ჩვენებას შ. ბადრიძე კარგად იცნობს, იმოწმებს, ეთანხმება კიდევაც და ამდენად წინააღმდეგობაში ვარდება. თუ ეს სომეხი მემკვიდრე მართალია, მაშინ გამოდის, რომ X ს-ის დასაწყისში, როცა, მკვლევრის აზრით, პორფიროგენეტის ცნობაში ასახული ამბავი ხდებოდა, კარინის ქვეყნის მიწებზე ქართველებს ხელი არ მიუწვდებოდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ V საუკუნიდან XI ს-ის პირველი ნახევრის დასასრულამდე (ზუსტად 1049 წლამდე) კარინს ბიზანტიელნი თეოდოსიოპოლისს უწოდებდნენ იმპერატორ თეოდოსიუს II-ის (401—450) პატივსაცემად და გამოირიცხებოდა, კონსტანტინე პორფიროგენეტს (905—959) ეს არ სცოდნოდა და ის კარნატიად მოენათლა.

არასწორი უნდა იყოს აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობის დ. მუსხელიშვილისეული ინტერპრეტაცია და კარნატიის საერისთავოს კოლა-არტაანის საერისთავოსთან გაიგივება²⁷. კეისრის ცნობაში, რომელიც იუწყება, რომ „ივერიის კურაპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო, მათ შორის კარნატიის საერისთავოც“, დ. მუსხელიშვილი ყურადღებას ამახვილებს სიტყვა „სხვა“-ზე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი ასხვავებს კურაპალატის საკუთარ სამთავროს ანუ ქართველ ბაგრატიონთანა მკვიდრ მიწა-წყალს, ტაო-კლარჯეთს (და ჯავახეთს?) „სხვა“ ტერიტორიებისაგან, რომელთაც კურაპალატი აგრეთვე ერისთავების მეშვეობით მართავს²⁸.

მაგრამ იბერიის კურაპალატისადმი მიმართვის ფორმულის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბერძნული „ἐπίρρα“ („ეპიტერას“), რომელიც საერთოდ „სხვა“-ს ნიშნავს, ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ „სხვა და სხვა“ ან „შემდეგი“-ს მნიშვნელობით. ყოველ შემთხვევაში, ტექსტიდან ჩანს, რომ მასში საუბარია ერთ საკურაპალატოში შემავალ და კურაპალატს დაქვემ-

24 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 184.

25 შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ვეროპასთან (X—XIII სს.), თბ., 1984, გვ. 9.

26 Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия, Переведена с армянского и объяснена Н. Эминим, М., 1864, гв. 135.

27 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 184.

28 იქვე, გვ. 181.



დებარებულ საერისთავოებზე. ვფიქრობთ, სწორედ ამას გულისხმობს ე. წ. კენსელი, რომელიც, როცა ამბობს: „თუმცა ამოტ დიდ კურაპალატის შთამომავლობა მრავალრიცხოვანი იყო, რომელთა შორის ბევრი ერისთავთ-ერისთავობის, მაგისტრობის და სხვაგვარი ღირსებით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ყველას თანასწორი უფლება არ ჰქონია და მათ შორის ერთი ყოველთვის სხვებზე უფროსად ითვლებოდა; მას ემორჩილებოდნენ, ან უნდა დამორჩილებოდნენ და-ნარჩენი გვარიშვილები²⁹. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობის ასეთი გააზრება საფუძველს იძლევა „კარნატის საერისთავო“, რომელსაც დ. მუსხელიშვილი კოლა-არტანის საერისთავოდ მიიჩნევს, ამ უკანასკნელის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტაოსკარს დავუკავშიროთ, როგორც ამას კ. თუმანოვი და ა. ბოგვერაძე ვარაუდობენ. მათი აზრით. „კარნატი“ „კარნი ტაოს“-გან წარმოდგება და ტაოს-კარს ნიშნავს³⁰. ტაოსკარი კი ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იგივე ტოპონი-მია, რაც სომხური „ტაოც ქარ“, რომელიც ს. ერემიანის ვარაუდით იყო ტაოს ძველი ცენტრი³¹ ანუ თავდაპირველი ტაო³² და ე. თაყაიშვილის აღწერით, მდებარეობდა „ფართო დაბლობში ანუ ქვაბულში იქ, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სალაჩურას წყალს. ეს ქვაბული ყოველი მხრით შემოზღუდულია მა-ღალი კლდოვანი მთებით...“³³ აღმოსავლეთით ტაოსკარისა... ზეკარისა... და ჰქვია ქიშკარი. ამის ზემოთ მეორე კარია და სახელ დევს საჩინო“. ასე რომ, ტაოსკარი „ზედ გამოჭრილი სახელია ამ ადგილისათვის, ვინაიდან, ტაოში ვიწრო კლდოვან გამოსასვლელს მდინარისას თუ ჯვესას კარს უწოდებენ“³⁴. ეს აღწერილობა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც იმაზე, რომ ტაოს-კარი („კარნატი“) თავდაპირველი ტაოა, ისე ამ სახელწოდების ეტიმოლო-გიაზე და იმაზეც, თუ სად მდებარეობდა იგი. ვარდა ამისა, ის კონსტანტინე პორფიროგენეტისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებთან ერთად გვიჩვენებს იმასაც, რომ ტაოსკარი-კარნატი წარმოადგენდა ტერიტორიულ-ადმინისტრა-ციულ ერთეულსაც (ხევის³⁵, სამთავრო-საერისთავოს³⁶) და მის პოლიტიკურ ცენტრსაც, რომელიც გაშენებული უნდა ყოფილიყო სალაჩურის წყლის შე-სართავთან, იქ, სადაც ე. თაყაიშვილის მოგზაურობის დროსაც (1907 წ.) არ-სებობდა სოფელი „კარანი“ (კარანი) დიდი ციხესიმაგრითა და ორი ქართული

29 ი. ჭავჭავიძევილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 114—115.

30 Toumanoff G. The Bagratids of Iberia from the eighth to the eleventh Cen- tury, part II, Museon, 74, 1933, გვ. 309. კ. თუმანოვის ამ ვარაუდის სისწორეს საეჭვოდ თვლის შ. ბაღრიძე და აღნიშნავს: „ეს მსჯელობა საინტერესო მოსაზრებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ, რადგანაც ...ძველი წარმოსადგენია“, ნამდვილად ასეა თუ არა (შ. ბაღრიძე, „ქართულთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. — თსუ შრომები, ტ. 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, თბ., 1965, გვ. 223). მაგრამ, ვფიქრობთ, კ. თუმანოვი მარ- თალია.

31 ს. ერემიანი, სომხეთი „გეოგრაფიის“ მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 84 (სომხურ ენაზე).

32 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

33 ამიტომაც, რომ სომხეთის სსრ ატლასის ისტორიულ რუკაზე და ს. ერემიანის გამო- ცემულ VII ს-ის სომხეთის რუკაზე იქ, სადაც უნდა იყოს ტაოსკარი, აღნიშნულია მისი სომ- ხური შესატყვისი სახელწოდება — „ტაოც ქარ“, რაც ნიშნავს „ტაოელთა კლდეს“ ან ბუნებ- რივ „სიმაგრეს“.

34 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, გვ. 67—68.

35 იქვე, გვ. 67; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

36 გეორგიძე, IV (II), გვ. 291.



ეკლესიით. ამ ორი ეკლესიიდან ერთი უფრო დიდია და მრგვალი: გვესმის მისი ხედვით, ის უბაღლოა მთელ საქართველოში და აგებული ჩანს I ს-ის ბოლოში ან II ს-ის დასაწყისში. მეორე ეკლესია და ციხე-სიმაგრეც, რომელსაც თამარ მეფის პირველი ისტორიკოსიც მოიხსენიებს. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ სოფელი „კარანი“, რაც „კარნი“-ს დამახინჯებული ფორმაა, თუ აღრე არა, X ს-ის დასაწყისისათვის მაინც წარმოადგენდა მნიშვნელოვან მსხვილ დასახლებულ პოლიტიკურ ცენტრს, რომელსაც ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს „ტაოსკარი“-ს ან „ტაოს კარის“ სახელწოდებით, სომხური — „ტაოც ქარ“-ის, „ტაუსქერი“-ს სახელით. ხოლო X ს-ის ბერძნული საისტორიო მწერლობა — „კარნატი“-ს (სიტყვებგადაადგილებული „ტაოს კარნი“-ს) სახით.

თუ ჩვენი ეს მსჯელობა რაიმე ეჭვს არ ბადებს და მისაღებია, მაშინ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალ-მას'უდის სწორედ ეს ტოპონიმი აქვს მხედველობაში. და, როცა ამბობს *و في مملكتنا هذا الملك موضع يعرف بـ كرنين* იმასე კი არ ამახვილებს ყურადღებას ამ მეფის ქვეყანაში მაკედონელის სახელობის მეჩეთი დგასო, არამედ ჩვეულებრივ მიუთითებს მეფის რეზიდენციაზე და ქართული „ტაოსკარი“-ს პორფიროგენეტიკულ ფორმას — „კარნატი“-ს არაბულ ორობით რიცხვად (ორი კარი) გააზრების გამო აღნიშნავს: „და ამ მეფის სამეფოშია კარნანის ციხე-სიმაგრედ ცნობილი ადგილიო“. ანუ სხვანაირად: ამ მეფის სამეფოს დედაქალაქს ადგილი კარნაინი წარმოადგენსო³⁷.

დაბოლოს, ერთი უზუსტობის შესახებაც. ეს შეეხება ალ-მას'უდის ცნობის ვ. მინორსკისეული თარგმანის იმ ადგილს, სადაც ვკითხულობთ: „Они (ე. ი. ქართველები — ბ. ს.) теперь имеют царя, он зовется ат-Табини“. ამ ფრაზაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „теперь“, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს X ს-მდე ქართველებს მეფე არ ჰყოლიათ. ეს იგრძნობა აგრეთვე ქართულ თარგმანებშიც, სადაც აღნიშნულია: „მთ ამჟამად მეფე ჰყავთ, რომელსაც ეწოდება ათთაბინი“. არაბი მემატიანე კი იუწყება, რომ *كلمة كرنين* — „მთ ახლანდელ მეფეს ალ-ტაბინი“ ჰქვიაო³⁸.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნა ასეთი იქნება: 1. ალ-მას'უდის „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ“-ის იმ ადგილას, სადაც საუბარია „საქართველოს სამეფოზე“, ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში წერია „ჯურზია“. ზოგში კი „ჯურია“. ასეა თარგმანებშიც, რაც იწვევს გაუგებრობას. „ჯურია“ შეცდომაა. მის ნაცვლად აღნიშნულ ცნობაში ყველგან უნდა იყოს „ჯურზია“. 2. იმავე ცნობაში ვხვდებით სიტყვა „ხაზარანი“-ს („ხაზარებს“), საუბარი კი არის ქართველებზე. ამიტომ „ხაზარანი“ საჭიროა შესწორდეს „ჯურზანი“-ად („ქართველებად“). 3. გაუმართლებელია ქართველი მეფის სახელად „ალ-ტაბინი“-ს ან „ალ-მანბილი“-ს გამოცხადება. ყველაფრიდან ჩანს, რომ ტექსტში უნდა იყოს „დავითი“. 4. შეუძლებელია „მასჯიდის“ იდენტიფიკაცია მცხეთასთან. კარინთან ან მესხეთთან. ასევე გამორიცხულია „ზი ლ-კარნაინის“ მიჩნევა ალექსანდრე მაკედონელის ეპითეტად. ის „მასჯიდთან“ ერთად,

37 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69.

38 შესაძლებელია ისიც, რომ „მისჯიდ ზი ლ-კარნაინი“ ორგუმბათიან ტაძარს ან ორბურჯიან ციხესიმაგრეს აღნიშნავდეს.



ამ შემთხვევაში, არის ადგილი (ქალაქი) და უნდა უკავშირდებოდეს მურჯუნის ტარს“, ხოლო ეს უკანასკნელი — „ტაოსკარს“, ანუ „ტაოს“³⁹.

ამ შესწორებების შემდეგ ცნობის არაბული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი ასეთი იქნება: *ثم يلي ملك الابخاز ملك انجورزية و هي امة عظيمة متقاة الى دين النمرانية تدعى [جرزان] و لها ملك في هذا الوقت يقال له [داود] و في مملكة هذا الملك موضع [مدينة التي] يعرف بمسجد ذي القرنين*
 „აფხაზეთის სამეფოს ეკვრის ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი [ქართველების] ძლიერი ხალხით დასახლებული საქართველოს სამეფო, რომლის ახლანდელი მეფეა [დავითი], ხოლო მისი ადგილსამყოფელი — ცნობილი კარნაინი (ანუ ქ. ტაო)“.

В. Г. СИЛАГАДЗЕ

К ВОПРОСУ ПОНИМАНИЯ ОДНОГО СВЕДЕНИЯ ТРУДА
 АЛ-МАС'УДИ «МУР'УДЖ АЗ-ЗАХАБ ВА МА'АДИН АЛ-ДЖАВХАР»

Резюме.

В труде ал-Мас'уди встречаются следующие географические термины, касающиеся Грузии: Джуриа, Хазаран и Масджид зи ал-Карнайн. Имя грузинского царя дано в форме «ал-Табий'и» и «ал-Манбигй».

Автору настоящей статьи представляется, что «Джуриа» следует читать как «Джурзиа» (Грузия), «Хазаран» — как «Джурзани» (Картли), а Масджид зи ал-Карнайн является городом Тао.

Под искаженно написанными именами грузинского царя надо понимать царя Давида (923—937 гг.).

В. СИЛАГАДЗЕ

TO THE QUESTION OF INTERPRETATION OF AN EVIDENCE
 CONTAINED IN THE WORK OF AL-MAS'UDI „MURUJ AZ-ZAHAB
 VA MA'ADIN AL-JAVHAR“

Summary

In the work of Al-Mas'udi one can find some geographical terms, related to Georgia—Juria, Hazaran and Masjid zi al-Karnayn. The name of the Georgian king was given in the form of „al-Tabi'i i'al-Manbigi“.

³⁹ ამასზე აშკარად მიგვანიშნებს ალ-იაკუბის (IX ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ მესამე არშინიაში მყოფი საქართველოს ქალაქებია: „...ქალაქი თბილისი და მასვიდ ზი ლ-კარნაინად სახელდებული ქალაქი ტაო — مدينة تقيس و المدينة التي تعرف بمسجد ذي القرنين (Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане. Перевод и примечания Н. А. Караулова. — СМОМПК, вып. XXXII, Тифлис, 1903, с. 60—61).



The author of the present article considers that „Juria“ should be interpreted as „Jurzia“ (Georgia), Hazaran as „Jurzan“ (Kartli), „Masjid al-Karnayn“ is a town of Tao.

Under the distorted name of the Georgian king—king David (923—937) can be recognized.

ედიშია ხოშტარია-ბროსი

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესავლის შედგენი და
ბეჭდვითი არსებული მინაწილების ინტერპრეტაციის ცდა

(ამოსავალი დებულებები და არგუმენტები)

„ქართლის ცხოვრება“, რამდენადაც ქართული კულტურის საშუალო საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, ამდენადვე რთულია შესასწავლად. მარი ბროსედან მოცილებული, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის ფუძემდებლად გვევლინება, ამ ძეგლს მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია (დ. ბაქრაძე, თ. ყორღანია, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა და სხვები). „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და ამ ძეგლის გამოსაცემად 50-იან წლებამდე ჩატარებული მუშაობა დაგვირგვინდა ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით განხორციელებული ტექსტის ორტომიანი პუბლიკაციით¹, რომელიც დღემდე ყველა ისტორიკოსისა და ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრის სამაგიდო წიგნია.

ბუნებრივია, რომ მუშაობა ამ ძეგლის შესწავლაზე მისი პუბლიკაციის შემდეგაც, და მნიშვნელოვანწილად სწორედ მასზე დაყრდნობით, გაგრძელდა, მაგრამ დროთა ვითარებაში მის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები კი არ კლებულობს, არამედ მატულობს. ეს კარგად ჩანს იმ ლიტერატურის გაცნობით, რომელიც იქმნება „ქართლის ცხოვრების“ გარშემო².

დღითი-დღე სულ უფრო აშკარა ხდება, რომ „ქართლის ცხოვრება“ შემდგომ კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, ლიტერატურის ისტორიკოსთა ერთობლივი ძალებით. ძეგლის ტექსტის კრიტიკული დადგენა მთელ იმ სამუშაოს გათვალისწინებით, რაც მეცნიერთა თაობების მიერ გაეთქა და დღეს კეთდება, ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

წინამდებარე წერილის მიზანია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლაზე ჩატარებული მუშაობის შედეგების შეჯამების საფუძველზე ზოგად ხაზებში წარმოადგინოს ჩვენი დაკვირვებანი, რომელნიც ტექსტის წყა-

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959.

² „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის შედეგების შესახებ იხ. რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982, მ. ლორთქიფანიძე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1982 [აქვეა საკითხის ბიბლიოგრაფია].



რომეოდნეობით-ტექსტოლოგიურ ანალიზს ემყარება. საგანგებო ყურადღე-
ბას ვუთმობთ ტექსტში არსებულ მინაწერთა ინტერპრეტაციას, რასაც მინაწერ-
თი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლის შედგენილობისა და ავტორ-რედაქტორთა
ვინაობის გარკვევისათვის. ეს მინაწერები დიდი ხანია იქცევა მკვლევართა
ყურადღებას. ი. ჯავახიშვილი მათ საყრდენად იყენებდა კიდევ ძეგლის ცალ-
კეულ ნაწილთა გამოცემისას, ან მათ ავტორთა ვინაობის გასარკვევად, და მისი
თვალსაზრისი საფუძვლად დაედო ს. ყაუხჩიშვილის პუბლიკაციას, ხოლო ბო-
ლო დროს გაჩნდა ტენდენცია მათი უსარგებლოდ გამოცხადებისა იმ საფუ-
ძველზე, რომ ისინი ბუნდოვანი და ძნელად გასაგები არიან. მაგრამ, ვფიქრობთ,
რომ ჩვენ არა ვვაქვს უფლება ამ მინაწერების იგნორირებისა და ვალდებულ-
ნი ვართ მათ ასხნა მოვუძებნოთ. ჩვენ ცდას, ბუნებრივია, არა აქვს საკითხის
გადაჭრის პრეტენზია, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით გადადგმული ყო-
ველი ნაბიჯი, თუნდაც საკითხის დასმის თვალსაზრისითაც, მიგვაახლოებს ქეშ-
მარიტებასთან.

სადღეისოდ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლაზე ჩა-
ტარებული მუშაობის პოზიტიური შედეგები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის (იგულისხმება ლეონტი
მროველის სახელთან დაკავშირებული ნაწილი) თხზულებებიდან პირველის —
„ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამთა და ნათესავთა“ —
ავტორი თვით XI ს. მოღვაწე ლეონტი მროველია. ლეონტის მიერ შექმნილი
ეს ორიგინალური (არსებითად კომპილაციური) თხზულება ნინოს მიერ ქართ-
ლის მოქცევამდე ვრცელდება. ამასთან ლეონტი მთლიანად „ქართლის ცხოვ-
რების“ დასაწყისი ციკლის (ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი პირველი
კრებულის) შემდგენელ-რედაქტორიცაა.

2. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შექმნისას ქართული მასა-
ლიდან ლეონტის ხელთ უნდა პქონოდა: ა) საქართველოს უძველესი ისტორი-
ის ცალკეული პერიოდების თუ ცალკე მეფეების ცხოვრების ამსახველი შე-
დარებით მცირე თხზულებანი, რომელნიც წარმოადგენენ ლეგენდარულ მო-
თხრობათა თანადროულ თუ მოგვიანო ჩანაწერებს (მაგალითად, ფარნავაზის
ან მირიანის ცხოვრებები და სხვა). ბ) VII ს. შედგენილი (ამ საუკუნის შუა-
ხანებამდე მოტიანილი) მატთანე თუ ვრცელი ქრონიკა, რომლის შემოკლებულ
ვარიანტს წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა (ალექსანდრე მაკე-
დონელის დროიდან სტეფანოზ ერისმთავრამდე). გ) გაბმული თხრობის სახით
არსებული თხზულებანი, როგორცაა „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (შემო-
ნახული „შატბერდულ“ და „ქელიშურ“ ნუსხებში), ვახტანგ გორგასალის ცხოვ-
რება, რომელიც ტრადიციულად ჟღანშერს მიეწერება (მხოლოდ, ამ მეფის

3 ჩვენი მოსაზრებანი პრობლემის ირგვლივ იხ.: Хоштарна-Броссе Э. В. Терминологическая основа источниковедческого изучения начального цикла «Картлис ცხოვრება». — ИР. 1985. Тбилиსი, 1988. с. 157—162. ე. ხო შტარიანი-ბროსე. „ქარ-
თლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის კომპოზიციის შესახებ. — მაცნე, ისტორიის სერია,
4. 1987, გვ. 180—183; მისივე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ვანრული თავიანთურე-
ბების შესახებ, თეზისები, ი. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეც-
ნიერო სესია. — „ძველი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989; მისივე, ლეონტი მროველის წყა-
როების და „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შედგენილობის საკითხისათვის. —
„მრავალთავი“ — ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XVI, თბ., 1991 (მოსხენებად წაი-
თხულ იქნა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიაზე და თე-
ზისებიც დაიბეჭდა 1988 წ.).

(ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფარგლებში), არჩილის ცხოვრება თუ „წამება“ რომელიც თავისთავად ერთ ნაწარმოებად უნდა ყოფილიყო დაწერილი, საიდანაც შემდგომ საეკლესიო მიზნებისათვის გამოიყო საკუთრივ „წამების“ ნაწილი. ეს წყაროები ან მათი კვალი დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობითი და ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად, რაც უკვე აისახა სპეციალურ ლიტერატურაშიც.

3. დასახელებულ წყაროთაგან ლეონტი მროველი „მეფეთა და პირველთა მამათა და ნათესავთა ცხოვრების“ დასაწერად იყენებს VII ს. შუახანებამდგ მოტან-ლი მათიანის თუ ვრცელი ქრონიკის მის ხელთ არსებულ ვარიანტს, აგრეთვე ცალკეულ მეფეთა ცხოვრების შესახებ ლეგენდარული მოთხრობის ჩანაწერებს (ფარნავაზის, მირიანის და სხვათა). რაც შეეხება ისეთ კომპაქტურ თხზულებებს, როგორიც იყო ნინოს მეტრ ქართლის მოქცევა, ვახტანგის ცხოვრება და არჩილის ცხოვრება (თუ „წამება“), ეს თხზულებანი მას ძირითადად უცვლელად, მხოლოდ რედაქტირებული სახით შეაქვს „ქართლის ცხოვრებაში“. ხარვეზებს მათ შორის, ე. ი. ნინოს გარდაცვალების შემდგომ — ვახტანგამდე, ვახტანგის გარდაცვალებიდან არჩილის და მირის გამეფებამდე, ლეონტი ავსებს მონაცემებით ზემოთ დასახელებული „მატიანიდან“ თუ ვრცელი ქრონიკიდან, რის გამოც გვაქვს შეხვედრები „ქართლის ცხოვრების“ სწორედ ამ ნაწილებსა „მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკასთან. თუმცა საამისოდ ლეონტი უთუოდ მიმართავდა სხვა მასალებსაც.

4. „მოქცევა ქართლისაჲს“ შემქმნელის (IX საუკუნე) მიზანი იყო ნინოს კულტის განმტკიცება, რისთვისაც აიღო ნინოს ცხოვრების მის ხელთ არსებული ვარიანტი (V ს. ?) და ისტორიულ ფონად წინ წარუმიძღვარა VII ს. მათიანის თუ ვრცელი ქრონიკის შემოკლებული ტექსტი. ამ უკანასკნელის გაგრძელებისას (ერისმთავართა და კათალიკოსთა ნუსხის სახით) მას ხელთ არ ჰქონდა ცნობები არაბთა შემოსევისა და არჩილის მეფობის შესახებ, რომელიც მოცემულია არჩილის ცხოვრებასა და „წამებაში“.

5. „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილის „წამების“ შემდეგ დართული მინაწერის დასაწყისი ფრაზა: „წიგნი ესე წამებისა მისისა იბოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა“ მიუთითებს არჩილის ცხოვრების შემქმნის დროინდელ რთულ ვითარებაზე, ჩანს, არაბთა ბატონობის გამო, რამაც, ეტყობა, ხელი შეუშალა ამ ძეგლის ფართოდ გავრცელებას. იგი შემდგომიც ძნელად თუ „იბოვებოდა“ და შესაძლოა ამიტომ ვერ მოხვდა „მოქცევა ქართლისაჲს“ შემდგენელის თვალსაწიერში.

6. „ქართლის ცხოვრების“ იგივე მინაწერის მომდევნო ფრაზა: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერანამა, მძისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან“... შინაარსობრივად უშუალოდ პირველ ფრაზას უკავშირდება და მიუთითებს იმაზე, რომ მისი დამწერი ერთგვარად აჯამებს „ქართველთა ცხოვრების“ (და არა „ქართლის ცხოვრების“ როგორც ეს შემდგომ (XIII ს.) სომხურ თარგმანშია მოცემული), ანუ საქართველოს ისტორიის („წიგნი“) შემქმნაზე მის დროსათვის ჩატარებულ მუშაობას. ჩანს, მას მხედველობაში აქვს ცალკეული ლეგენდარული საისტორიო მოთხრობათა ჩანაწერები, უპირატესად გამორჩეულ მეფეთა ცხოვრებისა (ფარნავაზის, მირიანის და სხვათა), რომელიც შემდგომ ლეონტი მროველსაც უნდა ჰქონოდა ხელთ. ეს არის სწორედ ის,

რაც ვახტანგის მეფობამდე „ჟამითი ჟამად“ იწერებოდა და „ვახტანგის მეფობის“ რედაქციის მიერ „წიგნად“.

7. მინაწერის ავტორი ვახტანგის ისტორიის შექმნას ჯუანშერ ჯუანშერიანს მიაწერს. სიტყვები: „ვახტანგ მეფისთჳან ვიდრე აქამომდე“ უნდა გავიგოთ, როგორც არჩილის ცხოვრებამდე („წამებამდე“), რომელზედაც წინა ფრაზაში იყო ლაპარაკი, მაგრამ ფაქტობრივად ნიშნავს საკუთრივ ვახტანგის ისტორიის, რადგან იმ სახით, რომლითაც ვახტანგის ცხოვრება „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენამდეა მოღწეული და უშუალოდ ამის მომდევნო ხანის ქრონიკალური ხასიათის თხრობა (არჩილის ცხოვრების დაწყებამდე), თავისი ხასიათით არ შეიძლება ერთი და იმავე ავტორის ერთიანი თხზულება ყოფილიყო. ვახტანგის სიკვდილის შემდგომი ნაწილი „ქართველთა ცხოვრების წიგნში“, როგორც ცალკეულ მეფეთა ცხოვრებათა „ჟამითი-ჟამად“ დაწერილ კრებულში, თავიდან არც კი იყო და იგი ლეონტი მროველს „ქართლის ცხოვრებაში“ VII ს. მატრიანიდან თუ ვრცელი ქრონიკიდან აქვს შეტანილი.

8. თუ ზემოთ მოყვანილი მინაწერის ორივე ნაწილი, რომელიც შეიცავს ცნობებს არჩილის წამების „წიგნის“ და „ქართველთა ცხოვრების წიგნის“ დაწერის შესახებ, ერთდროულია და ერთ და იმავე პირს ეკუთვნის, გამოდის, რომ მინაწერის ავტორი ცხოვრობდა არჩილის წამების და თვით „წამების წიგნის“ დაწერის დროის შემდგომ პერიოდში.

ამასთან, თვით მინაწერიდან გამომდინარე, მინაწერის ავტორი ცხოვრობდა ჯუანშერ ჯუანშერიანის დროს ან, უფრო საფიქრებელია, ცოტა მოგვიანებით, ვინაიდან იგი ახსენებს ჯუანშერს და აღნიშნავს მის როლს ვახტანგის ცხოვრების აღწერის საქმეში. დასახელებული ჯუანშერ ჯუანშერიანი კი იყო არჩილის ძმისწულის ქმარი, ე. ი. არჩილის უმცროსი თანამედროვე. ეს იქიდან ჩანს, რომ არჩილის ცხოვრების თანახმად, არჩილმა ჯუანშერ ჯუანშერიანს, როგორც თავის სიძეს, მისცა მზითვად გარკვეული ტერიტორია (ქ. ც. I, 242). ე. ი. მინაწერის ავტორი ცხოვრობდა არა უადრეს არჩილის უმცროსი თანამედროვის ჯუანშერ ჯუანშერიანისა (ე. ი. VIII ს. ბოლოს).

მეორე მხრივ, მინაწერში აღნიშნულია, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანმა „აღწერა“ ისტორია „ვახტანგ მეფისთჳან ვიდრე აქამომდე“ (ე. ი. არჩილის დრომდე), ხოლო ამის შემდგომი დროის ისტორიის დაწერა მომავალ თაობათა საქმედ მიიჩნია, მათი უნარისა და შეხედულებებისამებრ („მეორითჳან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა“), ე. ი. მინაწერის ავტორი ცხოვრობდა მაშინ, როდესაც არჩილის ცხოვრების მომდევნო ხანის ისტორია ჯერ დასაწერი იყო. ამასთან, ეს არ უნდა მომხდარიყო იმაზე დიდი ხნის შემდეგ, რაც შეწყდა წინარე ისტორია, ე. ი. მინაწერის შექმნის დროდ ისევ არჩილის ცხოვრების მომდევნო პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ (VIII ს. მიწურული — IX ს. დასაწყისი).

9. მინაწერის არსებობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში (იგი სომხურ თარგმანშიც არის დაცული), რომლის შემდგენელ-რესტავრატორად გვევლინება ლეონტი მროველი, ექვს არ ბადებს იმაში, რომ უკანასკნელისათვის ცნობილი იყო ეს მინაწერი და მან დატოვა იგი შესაბამის ტექსტთან ერთად (იგულისხმება „წიგნი ესე წამებისა მისისა“ — ე. ი. არჩილის და „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა“). „ქართლის ცხოვრებაში“ მართლაც სახეზეა არჩილის ცხოვრების თუ „წამების“ ტექსტი. ხოლო რაც შეეხება „ქართველთა ცხოვრების წიგნს“, ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს „წიგნი“ წარმოადგენდა კრებულს, სადაც თავმოყრილი იყო ცალკეულ მეფეთა ისტორიები,



რომელიც „უამითი-ჟამად“ იწერებოდა და თვით ვახტანგის ცხოვრებას, დაწერილი ჭუნაშვირ ჭუნაშვირის მიერ. ყველაფერი ეს შეადგენდა „წიგნი ქვეყნისა თველთა ცხოვრებისა“.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში (XIII ს.) მინაწერების ცნობები არჩილის წამების და „ქართლის ცხოვრების“ დაწერის ვითარების შესახებ ერთი თხზულების შექმნადაა გააზრებული. სომხური თარგმანის მიხედვით, „მოკლე თხრობა“ არჩილის წამების შესახებ კი არ დაიწერა, არამედ „მოპოვებული იქნა არეულობის დროს და დაიდგა წიგნში“ — ე. ი. „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც წარმოადგენდა ქართლის ისტორიას. ეს ისტორია, „დაწერილი ვახტანგ მეფემდის“ სომხური თარგმანის მიხედვით, ჭუნაშვირმა ანუ ჭუნაშვირმა „იპოვა“ და „აქამდის“, ე. ი. არჩილამდე „თვით შემატა“.

10. რადგან კრებულმა, რომლის სახელწოდებაც იყო „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ — გაიარა ლეონტი მროველის ხელში და მისი კვალი გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“ — უპირველეს ყოვლისა, მინაწერის სახით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კრებულიც შეადგენდა ერთ-ერთ წყაროს, რომელსაც იყენებდა ლეონტი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შექმნისას. ამასთან დაკავშირებით კა ისმის საკითხი, ხომ არ ისარგებლა ლეონტიმ ვახტანგამდელი მეფეების ისტორიებით და თვით ვახტანგის ცხოვრებითაც ამ კრებულიდან. ეს არ გამოირიცხავს იმასაც, რომ ლეონტის ხელთ შესაძლოა ჰქონდა ამ ძეგლების (ზოგიერთი მათგანის მაინც) დამოუკიდებლად არსებული ვარიანტებიც.

თავის მხრივ „არჩილის ცხოვრება“ (თუ „წამება“) და „ქართველთა ცხოვრება“ მინაწერში ცალ-ცალკე „წიგნებად“ არის მოხსენიებული, ერთად აღებულიც შესაძლოა აგრეთვე კრებულად წარმოგვედგინა, რომელიც უშუალოდ მინაწერის ავტორის ხელიდანაა გამოსული; ასეთი კრებულის არსებობა კი ამ სახით უკვე საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ შედგენის ერთ-ერთ ეტაპად უნდა იქნას მიჩნეული. შესაძლოა სწორედ ამ გაგებითაა ნახმარი სომხურ თარგმანში „ქართლის ცხოვრება“ ანუ ისტორია, რომელიც ერთ „წიგნადაა“ გააზრებული.

11. „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ განხილული მინაწერის გამოთქმები: „ვიდრე ვახტანგისამდე“ და „ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე“ ანალოგის ჰპოვებს „ქართლის ცხოვრებაში“ უფრო ადრე ჩართულ ფრაზებთან, კერძოდ კი ჯერ ვახტანგის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათხი. და წელიწადნი ასორმოცდაჩვიდმეტნი, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ჭიშმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხვანი შემშლელნი წესისანი“ (ქ. ც. I, გვ. 159), შემდეგ კი ქრონიკალური ცნობების რიგში წერია: „და ვახტანგისითგან მოაქამომდე ესე მეფენი მშვიდობით იყვის და შვილნი მირდატისნი ჰმონებდეს შვილთა დაჩისათა“ (იქვე, გვ. 206). ქვემოთ, ასურელ მამათა ქართლში მოსვლის შესახებ ცნობის შემდეგ აღნიშნულია: „და მეფობითგან მირიან მეფისათა ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდაცდეს წელი ორას ორმოცდაათნი. და მეფენი გარდაიცვალნეს იდ. და ვახტანგისითგან კათალიკოსნი გარდაიცვალნეს რვანი და მოკუდა ფარსმან და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ“ (იქვე, გვ. 215). შესაძლოა ეს ფრაზები ეკუთვნის სწორედ ზემოთ განხილული მინაწერის ავტორს, რომელიც აწარმოებს ქრონოლოგიურ აღთვლებს „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“ არა მარტო მინაწერში, არამედ მისი ხელიდან გამოსულ ტექსტში (კრებულში), რომლიდანაც უნდა მოხვედ-



რილიყო ისანი უკვე ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ციკლში. ვახტანგის ცხოვრების მიხედვით ქრონოლოგიური აღთვლა შესაძლებელია დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაშიც, სადაც აღწერილია ლისსმობს პერიოდს გაქრისტიანებიდან ვახტანგამდე. კერძოდ იქ, სადაც ლაპარაკია ვახტანგის მოღვაწეობაზე და გვაქვს დამამთავრებელი ფრაზა: „და აღაშენა ქუე მომ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი“, ავტორი უშუალოდ განაგრძობს: „და ესე იყო ქართლის მოქცევიდგან რაო წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარებისკოპოსნი ათცამეტნი, ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე“. ეს ფრაზა ძალზე გვაგონებს „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ კი ვახტანგის ისტორიაში, გაკეთებულ ზემოთ მოტანილ ჩანაწერს (შესაძლოა ჩართულსაც კი). მიმართება ქრონოლოგიური აღთვლის მოტანილ მაგალითებს შორის საგანგებო შესწავლის საგანი უნდა ვახდეს.

12. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ პირველ მინაწერს, რომელიც არჩილის ცხოვრებას უშუაზე ჰყოფს და მოთავსებულია იქ, საიდანაც იწყება „არჩილის წამება“ — „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ — შედარებით უფრო გვიანდელია და იგივე ხასიათისაა, როგორსაც შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ გადამწერნი აკეთებდნენ დამკვეთთა მოხსენიებით. ეს მინაწერი გაკეთებულია უფრო მოგვიანებით. მას იცნობს და იყენებს „არჩილის წამების“ მეტაფრასტი.

მინაწერში ვახტანგის ცხოვრება ლეონტის არ მიეწერება, რადგან ის ტრადიციით ჭუანჭერისად ითვლებოდა.

13. ლიად რჩება „მატიანე ქართლისაჲს“ როგორც XI ს. ძეგლის საკითხი. ვინაიდან თვით ლეონტიც XI ს. მოღვაწეა, იგი ან ავტორი უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილისაც (კ. გრიგოლია), რაც საეჭვოა თუნდაც ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, ან მას (ე. ი. ლეონტის), როგორც „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი კრებულის შემქმნელს, ხელთ უნდა ჰქონოდა ეს თხზულება (ისევე როგორც „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“) და იგი შეიტანა მასში, რაც უფრო საფიქრებელია, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოტანილი პირველი მინაწერი მას არც ამ ნაწილს აკუთვნებს, ვინაიდან ამ მინაწერის გაკეთების დროს ჯერ კიდევ იცოდნენ, რომ XI საუკუნეში შექმნილი ამ ნაწილის ავტორი სხვა იყო.

Э. В. ХОШТАРИА — БРОССЕ

ИТОГИ ИЗУЧЕНИЯ НАЧАЛЬНОГО ЦИКЛА «КАРТЛИС ЦХОВРЕБА» И ПОПЫТКА ИНТЕРПРЕТАЦИИ СУЩЕСТВУЮЩИХ В ТЕКСТЕ ПРИПИСОК

Резюме

В статье подводятся итоги проведенной в грузинской историографии работы по изучению начального цикла «Картлис цховреба», т. е. связанной традицией с Леонти Мровели части памятника. На основании источниковедческо-текстологического анализа текста делаются выводы относительно составных частей памятника, их авторов и редак-



საქართველოს
წიგნებისა და
არქივების
სამსახური

торской деятельности Леонти Мровели. Особое внимание уделяется интерпретации существующих в тексте приписок, имеющих большое значение для изучения поставленных вопросов.

E. KHOSHTARIA-BROSSE

THE RESULTS OF THE STUDY OF THE FIRST CYCLE OF
„KARTLIS TSKHOVREBA“ AND AN ATTEMPT OF
INTERPRETATION OF THE EXISTING ENTRIES OF THE TEXT

Summary

The present article sums up the works in Georgian historiography concerning the first cycle of „Kartlis Tskhovreba“, it means part of the monument connected with Leonti Mroveli. On the basis of textological analysis and analysis of the text as a source conclusions on the components of the monument, its authors and editorial work of Leonti Mroveli are made. Particular attention is paid to the interpretation of entries of the text, that are very important for the study of the questions raised.

ელიზბერ ხოშტარია-ბროსა

„მატიანე ქართლისაჲში“ ორი ადგილის გაბეზისათვის

„მატიანე ქართლისაჲში“ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ადგილმა, რომელიც ბუნდოვანია და ტექსტის სწორი გაგებისათვის სპეციალურ დაკვირვებას და დაზუსტებას მოითხოვს.

ერთ-ერთი ასეთი ადგილია მოთხრობა გიორგი ბაგრატიის-ძის გამეფების ვითარებაზე. მატიანეში ვკითხულობთ: „და შემდგომად მცირედთა წელიწადთა სამშულდის ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა, და ჩადგა მარაბდათა. და გაუძნელდა სალმობა, და ტახტითა წარმოიყვანეს, და თანა ჰყვა გიორგი კურაპალატი და ყოველი დიდებულნი მისნი. ხოლო გიორგი კურაპალატი გაგებულ იყო წინა, და მოიყვანეს ქართლს მეფე, და ყოველნი დიდებულნი მისნი მუნ მოვიდეს. და მოვიდა დედა მისი მარიაჲ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიაჲ. და შემდგომად მცირედთა დღეთა მიათულა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ყოველნი შეჰვედრა მას...“ (ქ. ც. I, გვ. 314).

აქ კითხვას ბადებს წინადადება: „ხოლო გიორგი კურაპალატი გაგებულ იყო წინა“. არსებობს ცდუნება, რომ ეს ადგილი გავიგოთ, როგორც ადრე დაწინაურებული გიორგი კურაპალატის მიგებება ბაგრატიისადმი¹. მაგრამ ამავ ექველში ცოტა უფრო ადრე მოცემული ანალოგიური კონტექსტი საფუძველს ევაძლევს ვეძიოთ სიტყვა „გაგების“, „გების“ სხვა მნიშვნელობა, განსხვავებული „მიგებებისაგან“. კერძოდ, ტექსტის ამ ადგილას ნათქვამია, რომ ოსთა მეფემ დორდოლეღმა ითხოვა დარბაზობა ბაგრატ მეფისაგან და მიიღო მისგან ნებართვა. „და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს, და ნახა დაჲ მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დედა ტინისკიდის ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა“ (ქ. ც. I, გვ. 313). როგორც ვხედავთ, აქ სიტყვები „გება“ და „მიგებება“ ერთმანეთის გვერდით და სხვადასხვა მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

„წინ მიგებება“ ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც ჩანს თუნდაც შემდეგი ფრაზებიდან: „სიმრავლე დიდძალი მიგებებულ იყო წინა“ (ქ. ც. I, გვ. 289). „გაეგება წინა დედა მისი“ (იქვე, გვ. 157). ხოლო სიტყვა „გება“ და აქედან

¹ ასეა გაგებული და თარგმნილი ეს ადგილი გამოცემებში: Матиане Картლისа. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1976, с. 58; «Летопись Картли». Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982, с. 76.



ნაწარმოები „გებული იყო უწინა“ ან „გაგებულ იყო წინა“ ახსნას კატეგორიულად უკმაყოფილოა.

ვფიქრობთ, ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად ჩანს ლეონტი მროველთან დაცული ერთი ფრაზიდან: „მამინ სპარსთა გება-ყვეს სიმარჯუე ესე, რამეთუ მოიყვანეს მზარეული ერთი, და აღუთქუეს მას კეთილი დიდი და რქუეს ესრეთ, ვითარმედ: „წარვედ და შეეწყყარე ფარსმან ქუელსა, და წარიტანე შენ თანა წამალი სასიკუდინე...“ და მოწამლეო (ქ. ც. I, გვ. 53).

როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა „გება“ („გება-ყვეს“) ნიშნავს გადაწყვეტას, განზრახვას, გაფიქრებას; აქედან „განგება“ ანუ განწყობა (მაგალითად, „ვა-ჰანის ქვაბთა განგება“). ასე რომ, „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოტანილ ტექსტში ორსავე შემთხვევაში ლაპარაკია არა გიორგი კურაპალატის მიგებებაზე, არამედ იმაზე, რომ იგი ადრევე, ზაგრატ მეფის სიოცხლეშივე, წინდაწინვე („უწინა“, „წინა“) „გებულ იყო“ ან „გაგებულ იყო“ მეფედ.

ამასთან დაკავშირებით უთუოდ არსებითია ის გარემოება, რომ გიორგი ადრევე, ზაგრატის საბერძნეთში დიდი ხნის მანძილზე ყოფნის დროს, უკვე იყო ნაკურთხი მეფედ, რის შესახებაც „მატიანეში“ ვკითხულობთ: „ვიდრედა იყო ზაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ზაგრატისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრუნველად მისა ლიპარიტ და პატრონად დაა ზაგრატისი გურანდუხტ დედოფალ...“ (ქ. ც. I, გვ. 304). ამრიგად, გიორგი უწინაც იყო ნაკურთხი მეფედ და მომავალშიც საამისოდ იყო გამზადებული მისი მამის, ზაგრატის გარდაცვალების შემდეგ, რისი ხაზგასმით აღნიშვნაც (ორგზის) მემატიანეს საჭიროდ მიუჩნევია.

უფრო რთულია „მატიანე ქართლისაჲს“ მეორე ადგილის გაგება, სადაც ლაპარაკია სულა კალმახელის მიერ ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობასა და ზაგრატისათვის მის გადაცემაზე: „ხოლო ლიპარიტ და ივანე პყრობილნი სულა წარიყვანნა კალმახს. და მსწრაფლ გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთა ზედა მკმობელნი. ხოლო გურანდუხტ და გიორგი, ძე ზაგრატისი, დგეს ღრტილას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქსა და მუნ მოილოდინეს ზაგრატ. სულთა ზედა მოვიდა ზაგრატ და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჭუარი და ოძრე...“ (ქ. ც. I, გვ. 304—305).

არსებობს მოსაზრება, თითქოს აქ მოხსენიებული „სულთა“ გეოგრაფიული სახელია² და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც გაგზავნა სულამ მკმობელნი ზაგრატთან. ამასთან, ციტატის მეორე წინადადება ისე, როგორც ის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაშია: „შეიყვანეს ახალქალაქსა და მუნ მოილოდინეს ზაგრატ სულთა ზედა, მოვიდა ზაგრატ...“ ამ სახით შინაარსობრივად გუგუბარია. გამოდის, რომ თითქოს ზაგრატი მოვიდა სულთაში — „სულთა ზედა“, რაც გრამატიკულად მიუღებელია: უნდა ყოფილიყო „მოვიდა სულთას“ ან სხვა რაიმე შესაბამისი ფორმა. იგივე ფორმა — „სულთას“ უნდა ყოფილიყო წინა წინადადებაშიც, სადაც ლაპარაკია ზაგრატთან მკმობელთა გაგზავნაზე

2 იხ. Матиане Картелиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипანიдзе. Тбилиси, 1976, с. 53.

გეოგრაფიულ სახელად აქვს გაგებული სიტყვა „სულთა“ ნ. ბერძენიშვილსაც. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ „ეს სოფელი ვხლავ არსებობს სულდას სახელით“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 22). ეს ცნობა უდავოდ ანგარიშგასაწევეია, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენს თვალსაზრისს ამ საკითხზე არ ცვლის.



(და არა „სულთა ზედა“, როგორც ეს ტექსტშია). სხვა არა იყოს ჟეგულისხმობა თანა გეოგრაფიულ სახელად გაგებისას ის შეუსაბამობა იჩინეს თავის სულამ მკმობელნი ბაგრატიან გაგზავნა სულთას („სულთა ზედა“). ხოლო შემდგომ ბაგრატი მოილოდინეს იგივე „სულთა ზედა“, ე. ი. იქ, სადაც ბაგრატი არ ყოფილა და უნდა მისულიყო. თანაც კონტექსტის მიხედვით ბაგრატი ელოდებოდნენ ახალქალაქს, სადაც იგი მივიდა კიდევც.

ამ ადგილის სწორი გაგებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გამოცემულ ტექსტში წერტილის გადასმა იქ, სადაც ეს ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენს მიერ არის ვაკეთებული. ე. ი. წერტილით უნდა გაიყოს წინადადებები: „ახალქალაქს „მოილოდინეს ბაგრატი“ და „სულთა ზედა მოვიდა ბაგრატი“. ასე ლოგიკურად გამოდის, რომ ერთხელ ტექსტში ლაპარაკია იმაზე, რომ ბაგრატიან სულამ გაგზავნა „სულთა ზედა მკმობელნი“. ხოლო მეორედ ნათქვამია, რომ „სულთა ზედა მოვიდა ბაგრატი“. აქ თანდებული „ზედა“ მის სხვადასხვა მნიშვნელობათაგან უნდა ნახმარი იყოს როგორც „ზე“, ან „წინააღმდეგ“, ე. ი. გამოდის „სულეზზე“, ან „სულთა წინააღმდეგ“.

ვფიქრობთ, უფრო პირველი მნიშვნელობა საგულევებელი, ვინაიდან აქ იგულისხმება ბაგრატის რაღაც უფლება დატყვევებულებზე, როგორც მის მტრებზე. თანდებული „ზედათი“ უფლებრივი ნიუანსის გამოხატვის თვალსაზრისით ანალოგია შესაძლოა დავინახოთ „ქართლის ცხოვრების“ სხვა ადგილას, კერძოდ, „არჩილის წამებაში“, სადაც ლაპარაკია არაბი სარდალის ჭიჭინაუშის მიერ არჩილისათვის მიცემულ წინადადებაზე: „და იქმენ სარკინოზ, და სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“ (ქ. ც. I, გვ. 247). ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში კი დატყვევებული ლიპარიტის და ივანეს „სულთა ზედა“, ე. ი. სულეზზე, როგორც შოღალატე ქვეშევრდომებზე ბაგრატის მხრივ მისი უფლების (შეპყრობა, გასამართლება თუ დასჯა) განსახორციელებლად „კმობა“ და „მისვლა“ იგულისხმება, უნდა ითქვას, რომ „მატიანე ქართლისაჲდან“ მოტანილი ციტატის ჩვენს მიერ შემოთავაზებული წაკითხვით (გამოცემულ ტექსტში წერტილის გადასმის შემდეგ) თავიდან ავიციდნით ხელოვნურად შეკოწიწებულ და გაუგებარ წინადადებას, რომლითაც გამოდის, თითქოს დედოფალმა გურანდუხტმა და გიორგი უფლისწულმა, ახალქალაქს შესულებმა „მუნ მოილოდინეს ბაგრატი სულთა ზედა“, ხოლო ბაგრატის შემდეგ წერტილის დასმით წინადადება ლოგიკურად გაიმართება: „სულთა ზედა მოვიდა ბაგრატი და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯვარი და ოძრე...“ ე. ი. „სულთა ზედა“ მისულმა ბაგრატიან უხვად დაასაჩუქრა სულა გაწეული სამსახურისათვის, ანუ ლიპარიტის შეპყრობისათვის.

ჩვენ სხვა არა დავგრჩენია, რომ „სულეზში“ ვიგულისხმობთ შეპყრობილი ლიპარიტი და ივანე, რომელნიც სულამ მიჰგვარა ჯავახეთს (ახალქალაქს).

Э. В. ХОШТАРИА — БРОССЕ

К ПОНИМАНИЮ ДВУХ ФРАЗ В
«МАТИАНЕ КАРТЛИСА» («ЛЕТОПИСЬ КАРТЛИ»)

Резюме

Делается попытка раскрытия смысла двух слов в «Матиане Картлиса». В первом случае слова «гагеба», «геба» должны быть понятны



не как «опережать», «встречать», а как «предначертать», «предрешать». В другом случае слова «султа зеда» должны быть поняты не в смысле «позвать в Султа», а в значении призыва «за душами», «по душам». Такая интерпретация приведенных слов в корне меняет понимание соответствующих фраз текста.

E. KHOSHTARIA-BROSSE

FOR THE INTERPRETATION OF TWO PHRASES IN
„MATIANE KARTLISA“ („The GRONICLE OF KARTLI“)

Summary

In the article an effort to reveal the meaning of two words in „Matiane Kartlisa“. has been made. In the first case „gageba“, „geba“ should be interpreted not as „to outline“, but as „to predetermine“. In the another case words „sultra zeda“ should be interpreted not as „to invade to Sultra“, but as „for soles“. Such an interpretation of the listed words radically changes the interpretation of the corresponding phrases of the text.

ელენე მებრძვილი

სამოხელეო ტერმინები ჩოროგოდი და ოთხმიწდური

ცნობები ივირონის კტიტორთა — ტაოს ჩორდვანელების დიდი ფეოდალური სახლის შესახებ შემოგვინახა სხვადასხვა ხასიათის ისტორიულმა პირველწყაროებმა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის, უფრო ზუსტად, 977 და 981 წლებში შექმნილი ორი ხელნაწერის მომგებელთა ანდერძები. ერთია — ე. წ. „ოშკის სამოთხე“ (Ath 9), გადაწერილი 977 წელს ოშკის მონასტერში ამავე მონასტრის ცნობილი მწიგნობრის სტეფანეს მიერ¹. „სამოთხის“ ხელნაწერს აქვს ორი ანდერძი: ერთია გადაწერილი სტეფანესი, დაწერილი 977 წელს, ხოლო მეორე — მომგებლის — იოვანე-თორნიკისი, დაწერილი შატბერდის ლავრის ცნობილი მწიგნობრის დავითის მიერ, რომელიც იყო მიქაელ მონარქილის დისწული და იოანე ბერას ძმა, მომგებლის ანდერძი დაიწერა 979 წელს, მას შემდეგ, რაც ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული თორნიკე დაბრუნდა ტაოში და განიზრახა ამ ბრძოლაში მონაწილე ქართული მხედრონის, მისი მხედართმთავრისა და ქართველთა მეფის დავით კურაპალატის დამსახურება წერილობით აღებეჭადა, რათა ეს სასახელო ფაქტი ცნობილი გამხდარიყო როგორც მის თანამედროვეთათვის სამშობლოსა და ბიზანტიაში, ასევე მომავალი თაობებისთვისაც.

ქართული მხედრონის მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების შესახებ პირველხარისხოვანი ისტორიული ცნობების გარდა, მომგებლის ანდერძი გვაწვდის ფასდაუდებელ ცნობებს ჩორდვანელთა დიდი ფეოდალური სახლის წევრთა შესახებაც, რომლის ყველაზე წარჩინებული წევრი თვითონ თორნიკე იყო და რომლის პირითაცაა დაწერილი ანდერძი.

ჩორდვანელთა სახლის წევრთა შესახებ მომგებლის ანდერძში მოტანილ ცნობათა შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ თორნიკეს ძმას, თორნიკესთან ერთად „სამოთხის“ მომგებლად წოდებულ იოვანე ვარაზვაჩესა და მისი ოჯახის წევრებს.

იოვანე ვარაზვაჩეს ოჯახის შესახებ ანდერძში ვკითხულობთ: „მე, იოვანე თორნიკე-ყოფილმან და ძმამან ჩემმა იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეუ-

¹ Ath 9 ხელნაწერის აღწერილობა და, მასთან ერთად, ხელნაწერის ანდერძები შემოკლებული სახით გამოაქვეყნა რ. ბლეიკმა (Blake R. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de Laure d'Iviron au mont Athos) ხელშეორედ სრული აღწერილობა ანდერძებითურთ გამოაქვეყნდა 1986 წელს, იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 30—48.



ლისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი... სამოთხისა...
 სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა
 მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითისთვის... და მერმე იო-
 ვანე ვარაზვაჩესთვის და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა: მიქაელისა
 და ჩორდვანელ ზორაჲარისა და ჩოროლოდისთვის და თორნიკ-
 ისთვის, და ძმისწულთა ჩემთა: ჩორდვანელ პატრიკისთვის და ბაგრატ პატ-
 რიკისთვის“².

„ოშკის სამოთხის“ მომგებლის ანდერძის ცნობა იოვანე ვარაზვაჩეს ძეთა
 რაოდენობის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა,
 რისი მიზეზი იყო სიტყვა ჩოროლოდის შინაარსის სხვადასხვაგვარი გაგება.
 ამ ხელნაწერის აღმწერელსა და ანდერძის პირველ გამომცემელს რო-
 ბერტ ბლეიკს მიაჩნდა, რომ ანდერძის მიხედვით იოვანე ვარაზვაჩეს ჰყოლია
 ოთხი ვაჟიშვილი: მიქაელ, ჩორდვანელი ზორაჲარი, ჩოროლოდი და თორნიკ.
 მისი აზრით, ჩოროლოდი ისეთივე საკუთარი სახელი იყო, როგორც სამი და-
 ნარჩენი: მიქაელ, ჩორდვანელი და თორნიკ³.

განსხვავებულად ესმის „ჩოროლოდი“ პ. პეტერსს, რომელსაც ამ სიტ-
 ყვის მნიშვნელობის ძიება დასჭირდა თორნიკეს მეორე ანდერძის შესწავლი-
 სას, რომელიც „განძის“ ხელნაწერს ერთვოდა⁴.

„განძის“ ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთფურც-
 ლიანი მომგებლის ანდერძის სახით, აკინძულია ათონიდან ჩამოტანილი ბერ-
 ძნული ხელნაწერის თავფურცლად. ბერძნული ხელნაწერი ამჟამად ინახება
 მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულ ხელ-
 ნაწერთა სინოდალურ კოლექციაში 62 ნომრის ქვეშ. ანდერძის ფოტო პ. პე-
 ტერსს გაუგზავნა რ. ბლეიკმა. „განძის“ ანდერძის ტექსტი გამოკვლევითურთ
 გამოაქვეყნა პ. პეტერსმა.

სანამ „განძის“ ხელნაწერის ანდერძს განვიხილავდეთ, მოკლედ შევეხებით
 ამ ხელნაწერის შექმნის ისტორიას. „განძის“ ხელნაწერის ანდერძიდან ირ-
 კვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია სომხურენოვან „კარინის ქვეყანაში“
 (ქართულად კარნუ ქალაქში) თორნიკეს საკუთარ მონასტერში, რომელიც მის
 სამფლობელოში მდებარეობდა. გადაწერილია ხელნაწერი 981 წელს ოშკის
 ლავრის სკრიპტორიუმის ცნობილი მწიგნობრის — მიქაელის⁵ მიერ, ხელ-
 ნაწერი შემოსა იმავე ოშკის სკრიპტორიუმის მეორე სახელოვანმა მწიგნობარმა
 სტეფანე დეკანოზმა⁶. მისივე დაწერილია „განძის“ ანდერძის ტექსტიც. სტეფა-
 ნე დეკანოზმა და მიქაელმა გიორგი მწიგნობართან ერთად 978 წელს ოშკის
 ლავრაში გადაწერეს ცნობილი „ოშკის ბიბლია“.

ამრიგად, „განძის“ ხელნაწერი, რომელიც „კარინის ქვეყანაში“ შეიქმნა,

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 47.
 3 Blake R. Catalogue, p. 50.
 4 ჩოროლოდის საკითხს ხეხბა J. Lefort-ი: *ob. Actes d'Iviron, v. I, p. 16, n. 2.*
 5 Peeters P, *Un colophon géorgien de Tornik le moine; Anal. Boll., t. L, pp. 358—371.*
 6 „განძის“ ხელნაწერის გადამწერი მიქაელი და „ოშკის ბიბლიის“ ერთ-ერთი გადამწერი მიქაელი რომ ერთი და იგივე პირია, ამას ადასტურებს ორივე შემთხვევაში მისი ერთნაირი ზედწოდება: „გლანაკი მიქაელ მწერალი“.
 7 სტეფანეს გადართესხავს 977 წლის ხელნაწერი „ოშკის სამოთხე“, „სამოთხის“ ტექს-
 ტი და „განძის“ ანდერძი რომ ერთი პირის — სტეფანე დეკანოზის გადაწერილია, ამას ადას-
 ტურებს ორივე ხელნაწერის კალიგრაფიის იდენტურობა.



თორნიკეს საკუთარ მონასტერში, თორნიკეს განკარგულებით 981 წელს დაწესდა წერის და შემოსეს ოშკის ლავრის ორმა სახელოვანმა მწიგნობარმა და სტეფანე დეკანოზმა, რომლებიც ადრე, 976—79 წლებში, მოღვაწეობდნენ ოშკის ლავრაში, რომლის „უფალნი“ იმ დროს იყვნენ თორნიკე, ძე ჩორღვანელისა და მისი ძმა იოვანე ვარაზუაჩი⁸, 979—80 წლებში ოშკის ლავრაში თორნიკესა და იოვანე ვარაზუაჩეს განკარგულებით გადაიწერა კიდევ ერთი ხელნაწერი (Ath. 3) — გიორგი ალექსანდრიელის „ცხობება იოვანე ოქროპირისა“. სწორედ ამ ხელნაწერის ანდერძში ძმებს ჩორღვანელებს აღადგინებენ მიმართავს როგორც „ღმრთივე დიდებულთა უფალთა და წმიდამამათა“⁹. საფუძვლებელია, რომ ოშკის ლავრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (976 წ.), ოშკის ლავრა ჩორღვანელთა დიდი სახლის საოჯახო მონასტერად გახდა. ამას გვაფიქრებინებს X საუკუნის 70-იან წლებში ოშკში გადაწერილი ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, გარდა თორნიკესა და იოვანე ვარაზუაჩისი, ჩორღვანელთა სახლის სხვა წევრების მოსახსენებლების არსებობა.

„განძის“ ხელნაწერის მომგებლის ანდერძი, ისევე როგორც „ოშკის სამოთხისა“, შეიცავს ცნობებს ჩორღვანელთა სახლის შემადგენლობის შესახებ. ორივე ხელნაწერის მომგებელია თორნიკე. ორივე ანდერძი შედგენილია როგორც მოსახსენებელი და საიდებელი თორნიკეს სულიერი მამის აბულჰერიითისა და ჩორღვანელთა სახლის წევრებისა. ორივე ანდერძის ცნობათა მიმწოდებელი თვით თორნიკეა, ამისდა მიუხედავად, ანდერძის ცნობები ჩორღვანელთა დიდი სახლის წევრთა შესახებ სავსებით იდენტურნი არ არიან, მაგრამ რიც შემთხვევაში ისინი ავსებენ ერთმანეთს და უფრო სრულ სურათს ქმნიან ჩორღვანელთა სახლის შემადგენლობასა და მის ისტორიაზე.

ამ ორ ანდერძში წარმოდგენილია არა მარტო ჩორღვანელთა სახლის წევრების ნათესაური კავშირები, არამედ ზოგი მათგანის სოციალური მდგომარეობაც: თანამდებობები და საპატიო წოდებები, რაც მათ დაიმსახურეს ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებში აქტიური მოღვაწეობისათვის. ეს წოდებებია: სვინგელოზი, პატრიკი, მაგისტროსი, ექუსობიტი, ჩოროლოდი, ზორავარი.

ამ ცნობათა მიხედვით ჩორღვანელთა სახლი წარმოგვიდგება როგორც ტაოს ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალური სახლი, რომლის წევრთა ფართო სამოღვაწეო ასპარეზი, იყო როგორც ტაო — დავით კურაპალატის საგამგებლო, ასევე ბიზანტია.

„განძის“ მომგებლის ანდერძშიც, ისევე როგორც „სამოთხის“ მომგებლის ანდერძში, როგორც შემოთ ითქვა, ცენტრალური ადგილი უკავია იოვანე ვარაზუაჩესა და მისი ოჯახის წევრებს: „აწ გვედრებით ყოველთა მორწმუნეთა, მოივსენენით, რომელნი ესე მივსენებთან: პირველად — მოძღუარი ჩემი იოვანე აბულჰერით, და ძმად ჩემი იოვანე ვარაზუაჩი და შვილნი ჩუენნი სულიერნი და კორციელნი: მიქაელ და ჩორღვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორღვანელი და მცირად თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთან და ძმათა და ყოველთა თვსთა ჩემთა“¹⁰.

⁸ იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია), გვ. 29. Ath. 3 ხელნაწერის ანდერძი. ხელნაწერის მომგებლები არიან თორნიკე და იოვანე ვარაზუაჩი.

⁹ იქვე.

¹⁰ Peeters P. op. cit, p. 360.



ორივე ანდერძში თორნიკე ჩამოთვლის თავის ძმისწულებს. „სამეგრელოში“ ანდერძში ის ასახელებს იოვანე ვარაზვაჩეს, მის მეუღლეს და მის შვილებს: მიქაელს, ჩორდვანელს და თორნიკს. ამის შემდეგ ახსენებს კიდევ ორ ძმისწულს — ჩორდვანელ პატრიკს და ბაგრატ პატრიკს, მაგრამ არ მიუთითებს იმაზე, თუ რომელი ძმის თუ ძმების შვილები არიან ისინი.

„განძის“ ანდერძში იოვანე ვარაზვაჩეს ძენი არ არიან გამიჯნულნი სხვა ძმისწულთა — ბაგრატ და ჩორდვანელ პატრიკებისაგან. თორნიკე თავის ხუთივე ძმისწულს უწოდებს მისსა და იოვანე ვარაზვაჩეს სულ იერ და ხორციელ შვილებს.

ძმისწულთა ამ ჩამონათვიდან თუ გამოვყოფთ თორნიკეს ძმისწულებს ბაგრატ პატრიკსა და ჩორდვანელ პატრიკს, დაგვრჩება მხოლოდ იოვანე ვარაზვაჩეს სამი ვაჟიშვილი: მიქაელი, ჩორდვანელი ექუსოვიტი და მცირაა თორნიკი¹¹ ე. ი. „განძის“ ანდერძის მიხედვით, იოვანე ვარაზვაჩეს მხოლოდ სამი ძე ჰყოლია. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო ჩოროლოდი არ შეიძლება იყოს საკუთარი სახელი. როგორც უკვე ითქვა, ამ დასკვნამდე პირველად მივიდა პ. პეტერსი. მისი აზრით, „სამოთხის“ ანდერძის ჩოროლოდი ადევკატურია „განძის“ ანდერძის ექუსობიტისა (ანუ ექსკუბიტისა), რომელიც სამხედრო თანამდებობის აღმნიშვნელია (ჭჯახაძე:—ჭჯახაძე:რი).

ცნობილმა არმენოლოგმა და ბიზანტინისტმა ნ. ადონცმა ნაწილობრივ გაიზიარა პ. პეტერსის ვარაუდი და დაეთანხმა მას იმაში, რომ ჩოროლოდი არ არის საკუთარი სახელი. ჩოროლოდი მან სომხურ ზედსართავ სახელად მიიჩნია და მიაკუთვნა არა ჩორდვანელს, არამედ ვარაზვაჩეს უმცროს ვაჟიშვილს თორნიკს, რომელიც „განძის“ ანდერძში „მცირაას“ ზედწოდებას ატარებს („მცირაა თორნიკ“). ამასთანავე ნ. ადონცი შეეცადა ჩოროლოდის ეტიმოლოგიის ახსნას. მისი აზრით, ჩოროლოდის ფუძეა სომხური „ორდი“ — ვაჟიშვილი. ეს ზედსართავი ნ. ადონცმა მიაწერა თორნიკს იმიტომაც, რომ ეს საკუთარი სახელიც სომხური წარმომავლობისაა¹². ამრიგად, ვერც პ. პეტერსი და ვერც ნ. ადონცი ვერ ხსნიან ჩოროლოდის მნიშვნელობას, გამოთქვამენ ნაკლებად დამაჯერებელ ვარაუდებს.

დღეისათვის პ. პეტერსისა და ნ. ადონცის მიერ გამოთქმული ვარაუდების შემოწმებისათვის მყარი საფუძველი არსებობს, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია როგორც ჩოროლოდის მნიშვნელობა, ასევე ექსკუბიტორისა:

ჩოროლოდი იშვიათი ხმარების სიტყვაა. ის არის ტერმინი ჩოროლოდის დისიმლირებული ფორმა. ყველაზე ადრე ეს ტერმინი ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურდა ადიშის ოთხთავის მათეს თავში. ჩოროლოდის წარმომავლობა და მნიშვნელობა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მა-

¹¹ ორივე ანდერძში მათი ჩამოთვლის რიგი ერთნაირია, საფიქრებელია, რომ თორნიკეს ძმისწულთა ჩამოთვლაში უფროსობის პრინციპია დაცული. ამავე პრინციპითაა „განძის“ ანდერძში იოვანე ვარაზვაჩეს ძეთა ჩამონათვალი ჩართული თორნიკეს კიდევ ორი ძმისწული — ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი პატრიკი.

¹² Adontz, N. Tornik le moine: Etudes Armeno-Byzantines. Lisbonne, 1965. p. 314, n. 2.



სალაზე (სომხურ და ბერძნულ ოთხთავებთან მიმართებაში) შეისწავლეთ ქვემოთ ჩანაშვილმა¹³.

სომხური ენის
საქართველოში

ჩატარებულმა სამუშაომ მკვლევარს საშუალება მისცა დაედგინა ჩორო-
ლოდის წარმომავლობა და ზუსტი შინაარსი.

სიტყვა ჩოროლოდი მხოლოდ ერთხელ დასტურდება ადიშის ოთხთავის მა-
თეს თავში: „მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს ჩოროლოდსა ჰამბავი იესუისი“
(ს. 14, 1)¹⁴. ჯრუჟ-პარხლის შესაბამის ადგილას კი ვკითხულობთ: „მას ჟამსა
შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესუისი“. ამრი-
გად, ადიშის ოთხთავის ჩოროლოდს შეესატყვისება ჯრუჟ-პარხლის „ოთხთა
სამთავროთა მთავარი“. ეს განმარტება უცვლელად გაიმეორა გიორგი მთა-
წმიდელმა ოთხთავის მისეული თარგმანის ტექსტში, რომელმაც ვულგატის
სახელი დაიმკვიდრა.

ბერძნული შესატყვისი ჩოროლოდისა არის $\tau\epsilon\tau\rho\acute{\alpha}\rho\chi\eta$. ტეტრარხის წო-
დება ჰეროდეთა დინასტიის მეფეებზე, ჩანს, მემკვიდრეობით გადადიოდა.
ტეტრარხის ტიტულს ატარებდა დიდი ჰეროდეს მამა ანტიპატროსი, მისი სი-
კვდილის შემდეგ ტეტრარხოზა რომის იმპერატორისაგან ებოძა დიდ ჰეროდეს,
ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ტეტრარხი გახდა მისი მემ-
კვიდრე ჰეროდე ანტიპა, უკვე იესო ქრისტეს თანამედროვე.

სოფოკლეს ბერძნული ენის ლექსიკონში ტეტრარხი განმარტებულია რო-
გორც ქვეყნის ერთი მეოთხედის მმართველი (the governor of the fourth
part of country), ამასთანავე მოტანილია ტეტრარხის სხვა მნიშვნელო-
ბებიც: გენერალი, მცირე პრინცი, რაზმის კომანდორი¹⁵. ყველა შემთხვე-
ვაში ტეტრარხი ეწოდება დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების (იმ-
პერიის, ქვეყნის) ერთ-ერთი რეგიონის მთავარს, ადმინისტრაციულ და სამხედ-
რო მმართველს. ტეტრარხის თანამდებობა IX საუკუნიდან ბიზანტიის იმპე-
რიის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურებში არ ჩანს¹⁶, ის შეცვალა —
ლუქმა და კატაბანმა.

ტეტრარხი რომ რეგიონის სამხედრო გამგებელიც არის, ეს ჩანს „ოშკის
სამოთხის“ ანდერძიდანაც, სადაც ჩორდვანელი მოხსენებულია ერთდროულად
როგორც „ზორავარი“ და „ჩოროლოდი“.

გარდა ადიშის ოთხთავის მათეს თავისა, $\tau\epsilon\tau\rho\acute{\alpha}\rho\chi\eta$ -ს ქართული თარგ-
მანი ქართული ოთხთავის ძველი რედაქციების ლუკას თავშიც გვხვდება ორ-
ჯერ. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში ეს სიტყვა ლუკას თავში ერთ-
ნაირად არის თარგმნილი როგორც ადიშის, ასევე ჯრუჟ-პარხლის რედაქციებ-
ში: „ოთხთა საბრძანებელთა მთავარი“ (ლ. 3, 19) და „მეოთხედმთავარი“
(ლ. 9, 7). ორივე შემთხვევაში ტეტრარხი ჰეროდეს ტიტულს ვადმოსცემს.
სომხურ ოთხთავში ტეტრარხი ყველა შემთხვევაში თარგმნილია როგორც ჩო-

¹³ ე. დონანაშვილი. ადიშის ოთხთავის კომპოზიტები (ოთხთავის სომხურ და ბერძ-
ნულ ტექსტებთან მიმართებაში) — მსკი, ნაკვ. 29, 1955, გვ. 90, 99; მისივე, მასალები ადიშის
ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. — მსკი, ნაკვ. 32, გვ. 203 და შემდ...

¹⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით,
გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.

¹⁵ Sophocles E. A. Greek Lexicon. თავის ძირითადი მნიშვნელობით ტეტრარხი
სოფოკლეს ლექსიკონში I—II საუკუნეების წერილობით წყაროებშია დადასტურებული.

¹⁶ N. Oikonomides. Les listes de préséance Byzantines des IX^e et X^e siècles,
Paris, 1972.



ჩორდაპეტი, რაც სიტყვასიტყვით მეოთხედის (ჩორორდ) მთავარს (პეტეჩიქუქსუმი ნაჟს¹⁷ შიზლიმთქს

ამრიგად, აღიშის ოთხთავში ტეტრარხის სამი სხვადასხვა თარგმანი გვაქვს: ის ფაქტი, რომ ბერძნული „ტეტრარხის“ ორი უკანასკნელი თარგმანი საესებით ერთნაირია ქართული უძველესი ოთხთავების ორივე რედაქციაში, საესულეებელს ხდის, რომ ტეტრარხის პირველი თარგმანი (ჩოროლოდი) ლიტერატურული გზით (დედნიდან) არ უნდა შესულიყო აღიშის ოთხთავში¹⁸. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი რჩება ზოგი რამ: 1. რატომ გადავიდა სომხური ტერმინი ჩორორდაპეტი ქართულ ოთხთავში სახეშეცვლილი (ჩოროლოდი)¹⁹. ასახსნელია ისიც, თუ რატომ არის „ტეტრარხი“ სხვადასხვა თარგმანით წარმოდგენილი აღიშის ოთხთავის მათესა და ლუკას თავებში. მსგავს ფაქტებს, ჩვეულებრივ, ხსნიან იმით, რომ აღიშის ოთხთავი სულ ცოტა ორი განსხვავებული რედაქციის ტექსტს შეიცავს და ორივე რედაქციას არაერთი რევიზია განუცდია. ა. შანიძე იმასაც ვარაუდობს, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის რევიზიის ერთ-ერთი ცენტრი შატბერდის ლავრა უნდა ყოფილიყო²⁰, სადაც უძველესი ოთხთავის სამივე ხელნაწერი გადაიწერა.

ჩოროლოდი რომ ლიტერატურული გზით არ უნდა იყოს შესული აღიშის ოთხთავში, ამ ვარაუდს მხარს უჭერს ჩოროლოდის დისიმილირებული ფორმის ჩოროლოდის არსებობა „ოშკის სამოთხის“ ორიგინალურ ანდერძში. ამრიგად, დღესდღეობით ქართულ წერილობით ძეგლებში ჩოროლოდი — ჩოროლოდის ხმარების სულ ორად-ორი შემთხვევაა დადასტურებული აღიშის ოთხთავსა და „ოშკის სამოთხის“ ანდერძში. ორივე ხელნაწერი ტაო-კლარჯეთის დიდებულ ლავრებში — შატბერდსა და ოშკშია შექმნილი; პირველი — IX საუკუნის ბოლოს, მეორე — X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ჩანს, ამ პერიოდში ეს სომხურ-ქართული ტერმინი ამ ორიენოვანი რეგიონის სამეტყველო ენაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამავე რეგიონში უნდა განეცადა ჩორორდაპეტთან შედარებით ცვლილებები მის ქართულ ვარიანტს — ჩოროლოდი (ჩოროლოდი).

ის ფაქტი, რომ „სამოთხის“ ანდერძში ჩორდვანელის თანამდებობრივი მდგომარეობა ბიზანტიის იმპერიაში გადმოცემულია ორი სომხური წარმონაველობის ტერმინით (ზორავარი და ჩოროლოდი), გვაფიქრებინებს, რომ ჩორდვანელი უნდა ყოფილიყო მთავარი ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი აღმოსავლური პროვინციისა, სადაც სომხურ-ქართული მოსახლეობაც სახლობდა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ X საუკუნის II ნახევარში ჩორდვანელთა სახლის სხვა წევრებსაც ჰქონდათ ტაოს მეზობელ პროვინციებში (კარინის, ტრაპიზონის, ქალდიის რეგიონებში) თავისი სამკვიდრო მიწები.

17 ამ მასალზე დაყრდნობით ილ. ახუცაძე თავის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ჩორორდს შემდეგნაირად განმარტავს: „ტეტრარქი, „ოთხთა სამთავროთა მთავარი“ ამ „მთავარი ოთხთა სამთავროთაგანისა“. ასევე განმარტავს ტეტრარხს ი. დვორჯიკო: *тетрархъ* — *правитель четырех областей или одной четвертой части области (Древнегреческо-русский словарь)*.

18 ე. დოჩანაშვილი ი. მასალები აღიშის ოთხთავის წარმონაველობის საკითხისათვის, გვ. 205—208.

19 ე. დოჩანაშვილი ი. იქვე, შგნ. 2.

20 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 011.

7. ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII 97



ამრიგად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ 979 წლის წინამდებარე მოთხის ანდერძის ჩოროლოდი არ არის საკუთარი სახელი. ეს წარმომავლობის სამოხელეო ტერმინი, რომლის სომხურა მოდელია ჩორორდაპეტი, ქართულში გავრცელებული ჩორორადი-ჩოროლოდის სახით. თავის მხრივ ჩორორდაპეტი ბერძნული სამოხელეო ტერმინის — ტეტრარხის თარგმანია, რომელიც დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების ერთი მეოთხედის (ერთი რეგიონის) მთავარს ეწოდება. ჩორორადი — ჩოროლოდი IX—X საუკუნეებში გავრცელებული იყო ტაო-კლარჯეთის სამწერლობო და სამეტყველო ენაში და მას გარკვეული რეალური შინაარსი ჰქონდა როგორც სამოხელეო ტერმინს. ამ პერიოდში სომხურა წარმოშობის სამოხელეო ტერმინების გავრცელებას შემთხვევები ტაოსა და კლარჯეთში სხვაც არის ცნობილი — მაგ., ზორავარი და ტანუტერი²¹.

იოვანე ვარაზეჩის ძის ჩორდვანელის ზედწოდება ზორავარი და ჩოროლოდი, ერთად თუ ცალ-ცალკე, უნდა გამოხატავდეს ჩორდვანელის თანამდებობრივ მდგომარეობას X საუკ. მეორე ნახევრის ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურების მიხედვით და უნდა შეესატყვისებოდეს შესაბამის ბერძნულ სამოხელეო ტერმინს. ეს ბერძნული ტერმინი არ შეიძლება იყოს ტეტრარხი, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს ჩორორადი, ვინაიდან IX—X საუკუნეების ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურების რეესტრებში (ტაქტიკონებში) ეს თანამდებობა არ არის შეტანილი²².

ზემოთ ითქვა, რომ პ. პეტერსმა გამოაქვეყნა და შესწავლა 981 წლის „განძის“ ხელნაწერის ანდერძი, შეადარა იგი „ოშკის სამოთხის“ 979 წლის ანდერძს და ამის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი, რომ „ოშკის სამოთხის“ ანდერძში იოანე ვარაზეჩის ძის ჩორდვანელის სამოხელეო მდგომარეობის ამსახველი ტერმინის ჩოროლოდის ბერძნული ადეკვატი უნდა იყოს ექსკუბიტი, რომლითაც იმავე ჩორდვანელის სამოხელეო მდგომარეობაა გადმოცემული „განძის“ ანდერძში.

ვნახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ. მაგრამ, სანამ ექსკუბიტორის მნიშვნელობის გარკვევას შევუდგებოდეთ, გვინდა მოვიტანოთ IX—X საუკუნეების ბიზანტიური ტაქტიკონების გამომცემლის ნ. იკონომიდისის გამოთქმული ზოგადი ხასიათის ცნობა ბიზანტიურ სამოხელეო ტერმინებზე. ის წერს: IX—X საუკუნეების ბიზანტიურ თანამდებობათა ფუნქციები ყოველთვის ბოლომდე ნათელი არ არის. თითოეულ სამსახურს თუ თანამდებობას შეიძლება ჰქონდეს თავისი ძირითადი მოვალეობების გვერდით დამატებითი ფინანსური თუ იურიდიული ატრიბუტები იმ სფეროში, რომელიც მის ადმინისტრაციულ კომპეტენციასთან არის დაკავშირებული. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოზიციასაც, რომელიც ამა თუ იმ თანამდებობის პირს მოპოვებული ჰქონდა საიმპერატორო კარზე²³.

ეს ფაქტორები, ალბათ, გასათვალისწინებელია ექსკუბიტორის ფუნქციების განსაზღვრისათვისაც.

ექსკუბიტორი არის საიმპერატორო სასახლის დამცველი საჯარისო კორპუსის ქირით აყვანილი ჯარისკაცი. ამ კორპუსს მეოთხედი იყო დომესტიკი.

21 ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. — თბ., VI, 1982, გვ. 333; ა. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, გვ. 30.

22 N. Oikonomidés. Les listes de préséance.

23 N. Oikonomidés, op. cit., p. 302.



საიმპერატორო სასახლის შეიარაღებული დაცვა ორი კატეგორიისაა: ერთი — საკუთრივ სასახლის მცველთა კონტინგენტი, რომელიც დაკომპლექტებული იყო უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცებით. ამ სამხედრო კორპუსებს ჰეტერია (hetaireia) ეწოდებოდა, ხოლო ამ კორპუსების მეთაურს ჰეტერიაჩი²⁴. ლეონ VI დროიდან, დაახლოებით 941 წლამდე, არსებობდა სამი ჰეტერია: პირველი — დიდი (μαγάλη), რომელიც დაკომპლექტებული იყო მაკედონელებით, მეორე — საშუალო (μέση), რომელიც ღია იყო უცხოელებისათვის და მესამე — სადაც შედიოდნენ ცენტრალური აზიის თურქები და ხაზარები.

ყველაზე გვიანდელი (X საუკ. უკანასკნელი მეოთხედი) ესკურიალის ტაქტიკონი ასახელებს დამატებით მეოთხე ჰეტერიას, რომელიც დაკომპლექტებული იყო დაქირავებული რუსი ქვეითი ჯარისკაცებით²⁵. ეს სამხედრო კორპუსები უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა, ხოლო ამ სამხედრო კორპუსების მეთაურთა ტიტულები (ჰეტერიაჩი, მანგლაბიტი, პროთოსპათარი ან სამეფო კატეპანი) სამეფო პატივის კატეგორიას განეკუთვნებოდა.

საიმპერატორო სასახლის დაცვის კორპუსები ერთიანდებოდნენ ტაგმაში (სამეფო ჯარის კორპუსები), რომლის გარნიზონები განლაგებული იყო კონსტანტინოპოლში ან მის მოსაზღვრე პროვინციებში. კონსტანტინოპოლის სამეფო ტაგმა დაკომპლექტებული იყო დაქირავებული პროფესიონალი ჯარისკაცებით, რომელთაც მეთაურობდნენ უმაღლესი რანგის ოფიცრები (დომესტიკი, დრუნგარო, დუკი)²⁶.

X საუკუნეში კონსტანტინოპოლის ტაგმას ჰყავდა ოთხი მეთაური, მათ შორის ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა სხოლის დომესტიკი, ე. ი. სასახლის დაცვის კორპუსის დომესტიკი. სხოლის დომესტიკი, როგორც მაღალი რანგის დამოუკიდებელი ოფიცერი, 767 წლიდან ჩანს²⁷.

სხოლე, ისევე როგორც ექსკუბიტი, საიმპერატორო სასახლის რიგითი მცველის წოდებაა, მათ შორის განსხვავება, ალბათ, კონკრეტულ ფუნქციებშია საძებარი.

IX—X საუკუნეების წყაროების მიხედვით, სხოლის დომესტიკი, იმპერატორის კონსტანტინოპოლში არყოფნის შემთხვევაში, იმპერიის უმაღლესი მხედართმთავრის ფუნქციებს ასრულებდა²⁸.

ექსკუბიტთა დომესტიკის თანამდებობა წყაროებში პირველად ჩნდება 765 წ.²⁹ ტაქტიკონის 'ესკურიალის ნუსხაში დასახელებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსკუბიტთა დომესტიკები და ამასთანავე საკუთრივ კონსტანტინოპოლის ექსკუბიტთა დომესტიკი, რომელიც ნ. იკონომიდისის ვარაუდით, უფრო დაბალი რანგის თანამდებობაა, ვინემ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ექსკუბიტები. ნ. იკონომიდისი ფიქრობს, რომ ექსკუბიტთა სამ კორპუსად დანაწილება ხანმოკლე მოვლენა იყო, ვინაიდან XI საუკუნის წყაროებში მოიხსენიება ექსკუბიტთა მხოლოდ ერთი მეთაური (დომესტიკი). ალექსი I კომნენის

²⁴ N. Oikonomidés. op. cit., p. 327.
²⁵ იქვე.
²⁶ იქვე, p. 327—328.
²⁷ იქვე, p. 329.
²⁸ იქვე.
²⁹ იქვე, p. 330. იხ. აგრეთვე p. 270, n. 27.



შეფობის დროს კი ეს თანამდებობა სულ ქრება³⁰. ასეთ ვითარებაში მდებარეობდა ყოფილიყო ჩორდვანელი ექსკუბიტი — რა თანამდებობა ეჭირა მას ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურაში? პირველი, რაც დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ჩორდვანელი უნდა ყოფილიყო არა რიგითი ექსკუბიტი, არამედ ექსკუბიტთა კორპუსის დომესტიკი, ვინაიდან „განძის“ ანდერძის მიხედვით, ის იყო ზორავარი და ჩოროლოდი.

ორივე ამ თანამდებობის მიხედვით, როგორაც არ უნდა გავშიფროთ ისინი — ერთად თუ ცალ-ცალკე, 979 წლის ანდერძის მიხედვით, ჩორდვანელი, ძე იოვანე ვარაზეაჩესი, იმპერიის ერთ-ერთი რეგიონის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველი ყოფილა, ალბათ სამხრეთ ტაოს მოსაზღვრე პროვინციის, სადაც სახლობდნენ როგორც ქართველები, ასევე სომხებიც. 981 წლის „განძის“ ანდერძის მიხედვით კი ჩორდვანელი უკვე ექსკუბიტთა კორპუსის დომესტიკია, რომელიც შედიოდა უშუალოდ იმპერატორის დაქვემდებარებულ ტაგმაში. ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციულ თანამდებობათა შკალის მიხედვით — ჩორდვანელისათვის ეს დაწინაურებას ნიშნავდა. ეს ახალი თანამდებობა და საიმპერატორო პატივი ჩორდვანელმა მიიღო 979—981 წლებში; ე. ი. მას შემდეგ, რაც ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული თორნიკე ქართველთა მხედრონთან ერთად ტაოში დაბრუნდა დიდად დამსახურებული იმპერატორთა წინაშე და სახელმოხვეჭილი. მაღლიერმა იმპერატორებმა სათანადოდ დააფასეს ქართველების მიერ იმპერიისათვის გაწეული სამსახური და მაღალი სამეფო პატივი და მამულები უბოძეს დავით კურაპალატსა და თორნიკეს. ხავსებით შესაძლებელია, რომ ჩორდვანელიც თავის ბიძა — თორნიკესთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბარდას წინააღმდეგ ბრძოლაში (მით უმეტეს, რომ ის ზორავარის ტიტულს ფლობდა იმ დროისათვის), რისთვისაც იმპერატორებმა ისიც დააჯილდოვეს და მიანიჭეს ექსკუბიტთა დომესტიკის პატივი.

ამ ჩვენს ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ ექსკუბიტთა დომესტიკი იმ დროისათვის პრესტიჟულ თანამდებობად იყო მიჩნეული³¹. ამის თაობაზე ნ. იკონომიდისი წერს: IX—X საუკუნეებში „მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციონერთა იერარქიაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. განსხვავებები უფრო დეტალებში ვლინდებოდა. ამ დროს ჩნდება ახალი თანამდებობებიც, ქრება ძველი, უფუნქციო თანამდებობები, ხოლო მოძველებული თანამდებობები მოდიფიკაციას განიცდიან. ყველაფერი ეს ხდება იმპერატორის დეკრეტების საფუძველზე“.

სამოხელეო ტერმინების მოდიფიკაცია ორი სახისა იყო. ხდებოდა ამა თუ იმ თანამდებობის მნიშვნელობის განდიდება ან დაკნინება. მაგ., IX—X საუკუნეებში მეტ მნიშვნელობას იძენს, შესაბამისად იზრდება ექსკუბიტთა დომესტიკის პრესტიჟი. შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული ჩოროლოდის შეცვლა მსგავსი შინაარსის ტერმინით — ექსკუბიტით. ჩორდვანელის ეს ახალი თანამდებობა უფრო აახლოებდა ჩორდვანელს და მის სახლის წევრებსაც საიმპერატორო კართან.

ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ჩოროლოდისა და ექსკუბიტის ტერმინთა განხილვა, კიდევ ერთი სამოხელეო ქართული ტერმინი ოთხმიზღური რომ არ იყოს იმავე ტერმინებთან დაკავშირებული. ჩვენ საჭიროდ ვცანით

³⁰ N. Oikonomidès, op. cit., p. 330.
³¹ იქვე, გვ. 30—31.



ოთხმიზღურს შევხებოდით იმიტომაც, რომ ამ ქართული სამოხელეო ტერმინის რეალური შინაარსი ბოლომდე გახსნილი არ არის.

სამოხელეო ტერმინ „ოთხმიზღურზე“ ქართულ წერილობით წყაროებში მცირერიცხოვანი ცნობები მოიპოვება. ამან განაპირობა ის, რომ დღემდე არ არის დადგენილი ამ სამოხელეო ტერმინის ზუსტი შინაარსი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე გამოთქმულია სხვადასხვა ვარაუდი. ოთხმიზღური რომ „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეა, ეს საერთო აზრია, მაგრამ დღემდე დაუდგენილია ამ მოხელის ფუნქციები და ტერმინის ეტიმოლოგია.

ი. ჯავახიშვილი გელათისადმი ბოძებული ორი სიგელის შესწავლის შედეგად შენიშნავს „ოთხმიზღურის“ შესახებ: „იქნებ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ყოფილიყო ამგვარი სამოხელეო სახელი. არავითარი ცნობები ამ თანამდებობაზე არ მოგვეპოვება. ისიც კი არ ვიცით, დარბაზის კარს მყოფი მოხელე იყო ოთხმიზღური, თუ საქვეყნოდ გამრიგე? თვით აგებულებითაც კი ეს სიტყვა უცნაურია“³².

ოთხმიზღურზე თავისი თვალსაზრისი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, „ოთხმიზღური“ აღნიშნავდა ოთხ-მიზღიანის უფროსს, ე. ი. ჯამაგირიანი ოთხი მსახურის უფროსს და უდრიდა „კარვოსან, აბჯროსან, ქოთლოსანს“³³. ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ი. ანთელავამ, რომელმაც „ოთხმიზღური“ ფისკალურ მოხელედ მიიჩნია, რომელიც საერისთაოს მეოთხედში იღებს გადასახადს³⁴. ეს თვალსაზრისი ემყარება „მიზღურის“ მისეულ გაგებას: გადასახადის ამკრეფი.

„მიზღური“ იშვიათი ხმარების სიტყვაა. მისი ყველაზე ადრეული ხმარება დადასტურებულია ბიბლიის „გამოსლვათა“ წიგნის (XXII, 15) საბასეულ რედაქციაში. „მიზღურის“ ნაცვლად ოშკის ბიბლიაში ვკითხულობთ: „სასყიდლად დადგინებული იყოს“, ე. ი. ქირით აყვანილი. ასევეა ეს გადმოცემული რუსულ ბიბლიაში: „ВЗЯТ БЫЛ ВНАЙМЫ ЗА ДЕНЬГИ“. ამრიგად, „მიზღური“ ნიშნავს დაქირავებულს, საფასით აყვანილ პირს, ხოლო მიზდი კი საბას განმარტებით არის „ასაღები რამ სარგო, ქირა“ და არა ფისკალური გადასახადი³⁵.

ვნახოთ, რა კონტექსტშია ქართულ წერილობით ძეგლებში ნახმარი სამოხელეო ტერმინი „ოთხმიზღური“. დღეისათვის „ოთხმიზღურის“ წყაროებში ხმარებას სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი. აქედან უძველესად ითვლება „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც თარგმნილია ქართულად არაუგვიანეს 1105 წლისა³⁶. ვხვდებით ეს ტერმინი სამეფო სიგელებშიც: 1187 წლის თამარ მეფის სიგელი, ბოძებული გელათისადმი³⁷, 1207/1208 წლის ლაშა გიორგის სიგელი გელათისადმი³⁸, 1261/1262 წლის მეფე დავითის (რუსუდანის ძის) სიგელი³⁹.

1187 წლის სიგელი წარმოადგენს გელათის სატრაპეზოსთვის არგვეთ-ქორვილას ბოძების წიგნს, რათა 12 მწირს, რომელნიც მონასტრის აშენების დრო-

32 ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, ტ. I. — თბ., VI, 1982, გვ. 338.

33 ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. 204—205.

34 ი. ანთელავა. ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII ს. თბ., 1983, გვ. 199.

35 იქვე.

36 დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა. მ. დოლაჭიძემ, ე. გიუნაშვილმა, გ. ნინუამ. თბ., 1975, გვ. 20—21.

37 ქართული ისტ. საბუთების კორპუსი, 1, გვ. 76.

38 იქვე, გვ. 105.

39 იქვე, გვ. 167.



იდან განწესებულნი იყვნენ გელათში, ჰქონდათ მუდმივი საზრდელნი სავსებით სავსებით. თამარი თხოულობს თავისი განწესების დაცვას თავის ქვეშევრდომებს: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩემი, შემდგომითი-შემდგომად მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ოთხმიზდურთა, ნაცვალთა, აჯამეთის აბრამლოთა (?), ტყის მცველთა უხუცესთა, გოვნისასა ციხის ციხისთავთა, კელისუფალთა, ვაზირთა და ყოველთა საქმის-მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუენ მოშალოს“ (გვ. 79).

თანამდებობის პირთა ამ ვრცელ ჩამონათვალში ოთხმიზდურს უკავია მეხუთე ადგილი — აზნაურთა შემდეგ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოთხმიზდური „დიდთა საქმის-მოქმედთა“ (მოხელეთა) კატეგორიას განეკუთვნებოდა. ასეთივე ვითარებაა დანარჩენ ორ სიგელში: 1207 წლის ლაშა გიორგის გელათისათვის ბოძებულ სიგელში ოთხმიზდურს მოხელეთა ჩამონათვალში კიდევ უფრო საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი: სიგელის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: ერისთავთ-ერისთავთა, ოთხმიზდურთა, ნაცვალთა, ტყისმცველთ უხუცესთა და ყოველთა მათ ქუეშეთა კელისუფალთა და საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დაამტკიცეთ და ნუ ენ უშლით ბრძანებასა ამას ჩუენსა“ (გვ. 106).

აქ ოთხმიზდური მოხელეთა ჩამონათვალში უშუალოდ მოსდევს ერისთავთერისთავს და წინ უძღვის — ნაცვალს.

1261/62 წლის მეფე დავითის (რუსუდანის ძის) სიგელშიც ანალოგიური ვითარებაა: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი: ერისთავთ-ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა, ოთხმიზდურთა, ტყისმცველთა-უხუცესთა, ტყისმცველთა და [ყოველთა] საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ“.

აქაც ოთხმიზდური თანამდებობათა ჩამონათვალში მეხუთე ადგილზეა — აზნაურთა შემდეგ, ე. ი. ოთხმიზდური მიეკუთვნება „დიდთა საქმის-მოქმედთა“ ჯგუფს.

სამივე სიგელში მეფის ბრძანება მიმართულია ადგილობრივი მმართველობის მოხელეებისადმი, მაშასადამე, ოთხმიზდურიც არის არა ცენტრალური ხელისუფლების საქმის-მოქმედი ანუ მოხელე, არამედ ადგილობრივი მმართველობის მოხელე, რომელიც ცენტრსაც ექვემდებარება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს „დიდი სჯულისკანონი“, რომელმაც შემოგვინახა ტერმინ ოთხმიზდურის უძველესი (დღესდღეობით) მოხსენიება.

„დიდი სჯულისკანონის“ კანონებრივ განწესებაში წარმოდგენილია ერთი კანონი, რომელიც ეხება ქალის მოტაცების შემთხვევაში მომტაცებლისათვის სასჯელის განწესებას. კანონი ასეა ჩამოყალიბებული: „უკუეთუ ვინმე მხოლოდ აღიტაცოს ვითარ-სახეცა რამე დედაცა, მკვეალი ანუ თავისუფალი, დაღაცათუ მისდა დაწინდებული იყოს, დასჯილი თავისა მოკვეთითა მოკუდებოდენ. ხოლო აღტაცებასა თანაშემწეთა მისთაჲ ჯერ-არს აღტაცებულისა მამათა და ძმათა და მოურავთა და მამულთა და პატრონთადა ჟამთა შინა ზედამოსლვისა მათისა მომკველეობა მათისასა. ხოლო უკუეთუ განივლტენ, ეძიებდენ მათ სამეფოთა ვიდრემე შინა მთავარი და ეპარხოზნი, ხოლო სამთავროთა შინა ყოველნი მთავარი და მკედართ-მფლობელნი და ოთხმიზდურნი და შემამტკიცებლობით მოჰსპოვიდენ“⁴⁰ დამნაშავეს, ე. ი. დამნაშავეის ძებნა, კანონის თანახმად, უნდა ხდებ-

⁴⁰ დიდი სჯულისკანონი, გვ. 180.



ბოდეს როგორც სამეფოს მასშტაბით მთავართა და მცვეთა მიერ, ასევე ცალკეულ სამთავროებში მთავართა-მფლობელთა და ოთხმიზდურთა მიერ.

მოტანილ კანონში მკვეთრად არის გამოჩენილი დამნაშავეის მძებნელთა და დამსჯელთა ორი კატეგორიის მოხელენი: ერთი მხრივ — სამეფოს, მეორე მხრივ — სამთავროთა მოხელენი. ამ უკანასკნელ ჯგუფს მოხელეებისას მიეკუთვნება ოთხმიზდურიც. სამთავროთა სამ დასახელებულ მოხელეთაგან ორი — მკვედართ-მფლობელი და ოთხმიზდური სამხედრო მოხელეთა ტიტულებია. მათ ეკისრებათ დამნაშავეის ძებნა და დასჯა.

სჯულისკანონში ოთხმიზდურის ბერძნული ფარდია დუკი (ბ. ბაძე).

თუ ჩვენ თავს მოვუყრიტ ქართული სიგელებისა და სჯულისკანონის ცნობებს ოთხმიზდურსა და მისი ბერძნული მოდელის დუკის შესახებ, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დუკი — ოთხმიზდური არის ადგილობრივი მმართველობის მაღალი რანგის სამხედრო მოხელე, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო წარმომადგენელია ადგილობრივ მმართველობაში და ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარება. მაგრამ იმისთვის, რომ უფრო ახლოს მივიდეთ ოთხმიზდურის თანამდებობრივი სტატუსის შინაარსის გაგებასთან, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ დუკის სტატუსის ევოლუცია ბიზანტიაში.

დუკი სოფოკლეს ბერძნულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც მხედართმთავარი: *ἡγεμον, στρατηαρχος; αρχηγός*. Lampe-ს ლექსიკონში დუკი განმარტებულია ისტორიულ კრილში: ერთ-ერთი პროვინციის სამხედრო მეთაური იმის შემდეგ, რაც დიოკლეტიანემ გაყო სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა (ძალაუფლება).

ბიზანტიის სამხედრო-ადმინისტრაციული სტრუქტურები და შესაბამისად მოხელეების ფუნქციები განიცდიდნენ ცვლილებებს ღრთოთა მსვლელობაში. მნიშვნელოვან რეფორმებს ჰქონდა ადგილი ბიზანტიის პროვინციულ ადმინისტრაციაში X საუკუნეში. ეს რეფორმა აისახა ნ. იკონომიდის გამოცემულ ტაქტიკონის ესკურიალის ნუსხაში, რომელიც 971—975 წლებით თარიღდება. რეფორმით გამოწვეულ ცვლილებათა გათვალისწინებით, დუკი შემდეგნაირად არის განმარტებული გამოცემაში: X საუკუნის შუაწლებამდე დუკი დიდი სამხედრო მეთაურის ტიტულია. კერძოდ, დუკის პატივს ატარებდა სხოლის დომესტიკი (საიმპერატორო სასახლის დაცვის კორპუსის მეთაური). X საუკუნის II ნახევრიდან დუკო გვევლინება ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო პროვინციების მმართველად, სადაც განლაგებული იყო მცირე მოცულობის საჯარისო ნაწილები; თვით დუკი ამ რეგიონის (პროვინციის) მოზრდილი სამხედრო საჯარისო კორპუსის მეთაური იყო, რომელიც შედგებოდა ტაგმის (საიმპერატორო ჯარის) დაქირავებული კავალერიისაგან. ამ ახალი ფუნქციების მქონე დუკი პირველად მოიხსენიება ნიკიფორე ფოკას მეფობის წლებში (963—969)⁴¹.

დუკის ფუნქციათა ამ განსაზღვრაში ჩვენთვის საინტერესო ორი ძირითადი მომენტი გამოიყოფა: X საუკუნის II ნახევრიდან დუკი არის საჯარისო კორ-

⁴¹ N. Oikonomides op. cit, p. 344. ამავე საკითხს ეხება: Cheynet J. C. Du stralège de thème au duc: Travaux et mémoire, v. 9, 1985, p. 181—185.



პუსის მეთური იმპერიის სასაზღვრო პროვინციებში. ესე იგი დუქნი უფლები ნალური სამხედრო მმართველია, რომელიც მეთაურობს დაქირავებულ ძაებს რისო ნაწილს (კორპუსს).

ამ პოზიციებიდან თუ შევხედავთ დუქის ქართულ შესატყვისს „ოთხმიზდურს“ და გავითვალისწინებთ მის რეალურ სამოხელეო ფუნქციებსა და ადგილს საქართველოს სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, დავრწმუნდებით, რომ ოთხმიზდური სრულ შესაბამისობაშია რეფორმის შემდეგდროინდელ დუქის ფუნქციებთან.

„ოთხმიზდური“ კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი ოთხ-ი—მეოთხედის მნიშვნელობით სახელმწიფო გაერთიანების ერთი რეგიონის აღმნიშვნელია. „ოთხის“ მონაწილეობით შექმნილი სამოხელეო ტერმინი, რომელიც რეგიონალური მოხელის ტიტულატურას წარმოადგენდა, იყო ბერძნული ტეტრაჩი, ასევე კომპოზიტის სახით გადასული სომხურში — ჩორორდაპეტი. ხოლო ქართულში — ჩორორდაპეტის გამარტივებული სახით — ჩოროლოდი — ჩოროლოდი.

როგორც ჩანს, რომის იმპერიის დროიდან ტეტრა-მა მიიღო დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანების რეგიონის, პროვინციის ზოგადი მნიშვნელობა, რომელიც სამოხელეო ტერმინებში აისახა.

ამდენად, ოთხმიზდურის ოთხ-ი მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამოხელეო თანამდებობა ადგილობრივი მმართველობის სამხედრო-ადმინისტრაციულ სტრუქტურას განეკუთვნება, მისი რეალური შინაარსი კი, როგორც ზემოთ ითქვა, შეიარაღებული კორპუსის თუ ჭვუფის მეთაურობაა, რომელსაც სხვა ადმინისტრაციულ მოხელეებთან ერთად რეგიონში წესრიგის დაცვა ევალებოდა.

კომპოზიტ ოთხმიზდურის მეორე ნაწილი მიზდური ამ თანამდებობის მეორე არსებით თავისებურებაზე მიუთითებს, კერძოდ, იმაზე, რომ ის მიზდურია, ე. ი. მიზდით, ხელფასით აყვანილი, დაქირავებული, საფიქრებელია. ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც მისი ინტერესების დამცველი ადგილობრივ მმართველობაში. შესაძლოა დაქირავებული იყო არა მარტო თვით ოთხმიზდური, არამედ ის შეიარაღებული ჭვუფიც, რომლის მეთაურიც იყო ოთხმიზდური, ე. ი. ოთხმიზდური, დღევანდელ ტერმინოლოგიაზე რომ გადმოვიტანოთ, პოლიციის უფროსი იყო ადგილობრივ მმართველობაში.

დავგრაჩა კიდევ ერთი საკითხი გასარკვევი: რა მიმართებაა „ოშვის სამოთხისა“ და „განძის“ ანდერძებში მოხსენიებულ იოვანე ვარაზვაჩეს ძის ჩორდვანელის თანამდებობრივი მდგომარეობის ამსახველ სამოხელეო ტერმინებსა — ზორავარი, ჩოროლოდი და ექსკუბიტი — და ოთხმიზდურს შორის.

პირველი, რაც უნდა ითქვას ამის თაობაზე, ის არის, რომ ქართული სამოხელეო ტერმინი ოთხმიზდური უფრო გვიან არის შექმნილი (XI საუკუნის დამლევს), ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები — ზორავარი, ჩოროლოდი და ექსკუბიტი და არც ერთი მათგანის ადეკვატს არ წარმოადგენს, ამავე დროს აერთიანებს ამ თანამდებობისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. ოთხმიზდური, მსგავსად ზორავარისა, მეთაურია შეიარაღებული ნაწილისა, მსგავსად ჩოროლოდისა — რეგიონალური მმართველია და ბოლოს, მსგავსად ექსკუბიტისა — ცენტრალური ხელისუფლების დაქირავებული (მიზდით აყვანილი) მოხელეა, ამ ხელისუფლების ინტერესების დამცველი რეგიონში.

შველაზე მეტ სიახლოვეს ოთხმიზდური იჩენს რეფორმის შემდგომდრო-
ისდელ დუკთან, რომლის თარგმანსაც იგი წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ
ოთხმიზდური არის ნეოლოგიზმი, შემოტანილი ქართულ სალიტერატურო ენა-
ში არსენ იყალთოელის მიერ დიდი სჯულისკანონის თარგმნის პროცესში, შედ-
გენილი ჩორორდაპეტ-ჩოროროდის კვალობაზე და X—XI საუკუნეებში დუ-
კისთვის დამახასიათებელი ფუნქციური მარჯვენაბლების გათვალისწინებით.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ЧИНОВНИЧЬИ ТЕРМИНЫ «ЧОРОРОДИ» И «ОТХМИЗДУРИ»

Резюме

Статья посвящается разъяснению термина чоророди, упоминавше-
гося в колофонах двух рукописей конца X века и по-разному толкуе-
мого в научной литературе. В этой связи рассматривается также тер-
мин отхмиздурн.

Автор разделяет мнение о связи чоророди с армянским чорорда-
петом, происходившим от греческого тетрарха, означавшего правителя
одной четверти большого государственного объединения, и приводит
в обоснование этого дополнительный материал.

Критически рассматривая высказанные ранее мнения относительно
термина отхмиздурн, автор считает его неологизмом, введенным Арсе-
ном Икалтоели. Наибольшую близость указанный термин проявляет
к пореформенному дуку, являясь его прямым переводом.

E. METREVELI

OFFICIAL TERMS „CHORORODI“ AND „OTKHMIZDURI“

Summary

The article is an effort to define the term „Chororodi“, mentioned in
the entries of two manuscripts of the end of the X century, which has
different interpretations in scientific literature. In this respect the term
„Otkhmizduri“ is also considered.

The author shares the view of the links of „Chororodi“ with Armenian
chorordapet derived from the Greek tetrarkh, meaning the ruler of the quar-
ter of a big state union. The author provides additional materials for further
foundation.

The author critically reviews the views put forward about the term
„Otkhmizduri“. He considers it to be a neologizm, first introduced by Arsen
kaltceli. This term is close to the postreform „Duke“ by being its direct
ranslation.

ვალერი სილოგავა

დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტის
დადგენასთან დაკავშირებული წოგნიერთი საკითხი

დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის (1124) დედანმა თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია (დაილუპა 1919 წ. ჩრდ. კავკასიაში: „საისტორიო მოამბე“, I, 1924, გვ. 276—277) და მისი მიხედვითაა შესრულებული ტექსტის პირველი სამი გამოცემა — ორი თ. ყორდანისი (1895 — ქართულ და რუსულ ენებზე; 1896 — ქართულ ენაზე) და ერთი ს. კაკაბაძისა (1912). ამასთანავე, დედნის ფოტონეგატივის აღმოჩენის შემდეგ (1972), მისი ფოტოპირია ჩვენს განკარგულებაში, რომელიც სამეცნიერო მიზნებისათვის (ტექსტის დადგენა-გამართვა) სავსებით ცვლის დედანს, მისი ტოლფასია. მიუხედავად ამისა, ანდერძის ტექსტის გამომცემელთა და შემსწავლელთა შორის არის სხვადასხვა მოსაზრება ცალკეული ადგილების წაკითხვასთან ან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ზოგჯერ, და უმეტეს შემთხვევაში, ეს განსხვავებები არ სცილდება ორთოგრაფიული ნორმების ფარგლებს და ისინი განპირობებულია იმ მოთხოვნების დონით, რომლებიც წაყენებოდა ტექსტების გამოცემას მათი შესრულების დროს. მაგრამ, არის ისეთი განსხვავებებიც, რომლებიც გამოწვეულია ტექსტის არასწორად ამოკითხვით, ზოგჯერ ქარაგმის არასწორად გახსნიით და სხვ. ცხადია, ყველა კითხვასხვაობის (განსაკუთრებით ორთოგრაფიულის) შესახებ მსჯელობის გამართვა აუცილებელი არ არის, მით უმეტეს, რომ ისინი აღრიცხულია ტექსტის ორი გამოცემის სქოლიოებში („მრავალთავი“, IX და ქისკ, I). მაგრამ ზოგიერთი აზრობრივ-შინაარსობრივი განსხვავება ანდერძის ტექსტის გამოცემებს შორის მაინც უნდა აღინიშნოს.

ამავე დროს, დედანი, რომელიც წითელი მელნით ყოფილა დაწერილი, თავიდან ბოლომდე (სულ რამდენიმე სიტყვის გამოკლებით) გაცხოველებულია, ზემოდან ასო-ასო გადაწერილია შავი მელნით. ეს, ტექსტის ზემოდან ხელმეორედ დაწერა, ანდერძის შედგენის თანადროულია — „შავად“ ტექსტი დაიწერა ბაცი წითელი ფერით და შემდეგ „გადათეთრდა“ შავი მელნით. როგორც ჩანს, ზოგჯერ მთლად ზუსტად ვერ მოხდა ასოს ასოზე დამთხვევა და ამის გამო ზედმეტი ასო ან ასონაკლებობა შეიმჩნევა, რაც იშვიათად, მაგრამ ტექსტის განსხვავებულ გააზრებასაც იწვევს.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი პირველად გამოსცა თ. ყორდანამ 1895 წელს. ეს არის რუსულ ენაზე გამოცემული მცირე ზომის წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ანდერძის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე გა-



მომცემლის ტექსტოლოგიური შენიშვნებით და მოკლე ისტორიული ტარებით!

ძველი ტექსტის ყოველ ან თითქმის ყოველ პირველ პუბლიკაციას, მით უმეტეს, ისეთი ვრცელი და რთული ტექსტისა, როგორც დავით აღმაშენებლის ეს ანდერძია, გარკვეული ხარვეზები მუდამ ახლავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანდერძის ტექსტის პირველი გამოცემიდან დღემდე, თითქმის საუკუნის განმავლობაში, შეიცვალა ის მოთხოვნები, რომლებიც ასეთ პუბლიკაციებს წაეყენება, დაიხვეწა გამოცემის წესები, მეთოდები, ტექნიკური ხერხები და საშუალებები.

ამდენად, დავით აღმაშენებლის ანდერძის ამ გამოცემის ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება, მათი საგანგებოდ გამოყოფა და მათ გარშემო მსჯელობის გამართვა, მისი შეფასება თანამედროვე მოთხოვნებისა და სადღეისოდ ამ საკითხის გარშემო დაგროვებული ცოდნის პოზიციებიდან, ვფიქრობ, გაუმართლებელია და უსამართლოც იქნებოდა. მთავარია, რომ იმ წელს, თითქმის საუკუნის წინათ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ჩვენი წარსულის ერთ-ერთი შესანიშნავი წერილობითი ძეგლი, საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ გამორჩეული და მდიდარი საისტორიო ცნობების შემცველი წყარო და შემოვიდა იმ დროის მოთხოვნების მიხედვით გამართული და შესაბამის მეცნიერულ დონეზე შესრულებული¹.

მომდევნო, 1896 წელს ანდერძის ტექსტი, უკვე მხოლოდ ქართულ ენაზე, თ. ყორღანიამ გამოაქვეყნა შიომღვიმის მონასტრის საბუთების მის მიერ გამოცემად მომზადებულ კრებულში². უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის აბსოლუტურად იდენტური იმ ტექსტისა, რომელიც მან ერთი წლით ადრე გამოსცა ზემოდასახელებულ წიგნში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ გამოცემების ზოგიერთი ნაკლი მაინც უნდა აღინიშნოს, რადგან ისინი თ. ყორღანიას, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი პალეოგრაფის ავტორიტეტის წყალობით, დიდხანს გაჰყვა შემდეგ ამ ტექსტს და გადადიოდა გამოცემიდან გამოცემაში.

ზოგიერთ მათგანზე მიუთითა ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ 1912 წელს და აღნიშნა სწორედ პრინციპული მნიშვნელობის შეცდომები და არა, ვთქვათ, ორთოგრაფიული ხასიათის კითხვასხვაობები.

1. „ძმა“ და არა „ძე“.

ს. კაკაბაძის შენიშვნით, „თ. ყორღანიას გამოცემაში (იგულისხმება ანდერძის ტექსტის ორივე გამოცემა — ვ. ს.) ორიოდ სიტყვა გამოშვებულია და, გარდა ამისა, ერთი მძიმე შეცდომა დაშვებული. მოდისტოს დასახელებუ-

¹ Жордания Ф. Завещание князя Давида Возобновителя, данное Шиомгвимской лавре в 1123 г. Тифлиси. 1895.

² პირველი ბეჭდური ცნობა ანდერძის შესახებ გამოქვეყნდა გაცილებით ადრე, 1845 წ. (Носеланин Г. И. Описание Шиомгвимской пустыни в Грузии. Тифлис, 1845, с. 51—52). ხოლო ტექსტის დაწვრილებითი შინაარსი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ 1881 წელს. (Пурцеладзе Д. П. Грузинские церковные гуджары (грамоты) Тифлис 1881, с. 94—96). დაწვრილებით ანდერძის შესწავლის შესახებ მოგიტობრობთ სხვა ნაშრომში „ანდერძის დედნის თავდადასავალი, აღწერილობა, ტექსტის გამოცემები“.

³ თ. ყორღანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვახანის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 15—19.

ლია ძაგანის ძედ, მაშინ როდესაც დედანში ძმა იკითხვის. გარდა ამისა, თავში მხედრულით დაწერილი რამდენიმე სიტყვა თ. ჟორდანის ვერ წაუკრთნენსა. მართალა, საბუთის დედანში მოდისტოსი ძაგანის ძმად არის დასახელებული და არა ძედ, როგორც ეს თ. ჟორდანის მიერ გამოცემულ ორივე ტექსტშია, მაგრამ უცნაური ის არის, რომ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში თ. ჟორდანია მოდისტოსს ძაგანის ძმად მოიხსენიებს⁴.

2. „ბრძანებითა“, „ნებითა“, თუ „თავსმდებობითა“.

თ. ჟორდანის მიერ გამოცემული ორივე ტექსტის პირველი წინადადება (დავით აღმაშენებლის ხელით მხედრულით დაწერილი სტრიქონი) განსხვავებულია. ამ სტრიქონის წაკითხვა და მისი საბოლოოდ გამართვა ცალკე საკითხია და მასზე შედარებით დაწერილებით შევჩერდებით.

ანდერძის ტექსტის 1895 წლის გამოცემაში თ. ჟორდანის ეს წინადადება ასე აქვს წაკითხული: „ბრძანებითა ლთისაითა შედაის შეწყის (?)“, რომელსაც რუსულ თარგმანში („[Во]лею Божию.“) გაკეთებული აქვს შენიშვნა: „Непрочитанные или, вернее, непонятные нам слова суть: შედაის შეწყის(?). Может быть, эти слова еврейские или арабские“⁵.

1896 წლის მისსავე გამოცემაში ამ წინადადების პირველი სიტყვა წაკითხულია, როგორც „[ნე]ბითა“⁷, ხოლო დანარჩენი ნაწილი ისეა წარმოდგენილი, როგორც პირველ გამოცემაში, ოღონდ, დამატებით, ქარაგმა „ლთისაითა“ გახსნილია — „ლთისაითა“. ამავე დროს, შენიშვნა წაუკითხავი, თუ უფრო სწორად, გაუგებარი სიტყვების სადაპურობის შესახებ მოხსნილია — იქ აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: „რას ნიშნავს „შედაის შეწყის“ ჩვენ არ ვიცით“.

1912 წელს ს. კაკაბაძემ გამოსცა ანდერძის ტექსტი ხუცუბრი შრიფტით და ერთ გვერდზე არქეოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნით. ამ გამოცემას ქვემოთ ცალკე დავუბრუნდები, ხოლო აქ აღვნიშნავ, რომ ანდერძის ტექსტის მხედრულით დაწერილი სტრიქონები მას მხედრული შრიფტითვე აქვს გამოქვეყნებული, პირველ წინადადებას იგი ასე კითხულობს: „[ქ. დიდ]-ბითა ლთისაითა მე დთ მაწყვის“. პირველი სიტყვის ფრჩხილებში ჩასმული ნაწილის ბოლო ასოს („დ“) დართული აქვს შენიშვნა: „აქ სიგელი მოხეულია, მაგრამ ასო დ-ს თავი გარკვევით ჩანს“⁸.

1924 წელს ანდერძის ტექსტის პირველი წინადადების მეორე ნახევრის წაკითხვას საგანგებო წერილი უძღვნა ა. შანიძემ (იგი მას მოხსენებდა წაუკითხავს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომაზე 1923 წლის 29 აპრილს), რომელშიც გადმოსცა საკითხის შემოწარმოდგენილი ისტორია და, რაც მთავარია, დაასვენა შემდეგი: „მე ვფიქრობ, რომ სადავო სიტყვები ასე

⁴ ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომღვიმისათვის დაწერილი. ტექსტი გამოსცა სარგის კაკაბაძემან, ტფ., 1912, გვ. 1.

⁵ Жордания Ф. Завещание, с. 3 (ორგზის), 4. თუმცა, ერთ შემთხვევაში თ. ჟორდანია მოდისტოსს ტექსტის შესავალშიც ძაგანის ძედ («его сын») ასახელებს (გვ. 1). ძაგანის ძედ არის იგი დასახელებული ორგზის ტექსტის რუსულ თარგმანში (გვ. 17). ამის შესახებ უკვე აღინიშნა ჩვენს ისტორიოგრაფიაში: რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ. 100.

⁶ Жордания Ф. Завещание, с. 15, прим. 17.

⁷ თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები, გვ. 15.

⁸ ანდერძი დავით აღმაშენებლისა, გვ. 5.



იკითხება: მე ღვთს მიწყეის, რაიცა ნიშნავს, რომ მე დავითს დამიწესებულნი ანდერძის წერად და იგივე დავითი აბოლოვებს მას⁹.

შემდგომში იგი ამ აზრს ასე ავითარებს: „მაშასადამე, აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ანდერძი დავით აღმაშენებლის მიერ არის დაწყებული მხედრულად, მერმე ხუცურად არის განგრძობილი მწიგნობრის მიერ და შემდეგ დავითის მიერვეა გათავებული და დამტკიცებული მხედრულად. აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს არ ემარჯვებოდა ხუცური წერა და ჩვეულებრივ მას მხედრული ასოებით გამოჰყავდა ხოლმე თავისი აზრი“¹⁰.

ანდერძის პირველი წინადადების წაკითხვის ისტორიის შესახებ შემდეგაც უნდა აღინიშნოს:

1924 წელსვე, ა. შანიძის ამ წერილის შესახებ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ, რომელშიც იგი კვლავ დაუბრუნდა ტექსტის დასაწყისის სიტყვების მისეულ წაკითხვას (1912) და აღნიშნა, „რომ დეფექტიან ნაწილში, შესასწორებლად თავის დროზე ჩვენს მიერ გამოთქმული წაკითხვისა, უნდა იკითხებოდეს პალეოგრაფიულ კოპიში შერჩენილი ხაზების მიხედვით, [ბ]ბთა, ან [ნე]ბითა. მთელი დასაწყისი მაშასადამე იკითხებოდა ამგვარად (დედანი ეხლა უკვე დაკარგულია): [ბ]ბითა ღვთისათა მე ღვთს მიწყეის. პირველი სიტყვის მაგიერად აქ შეიძლება იყოს აგრეთვე — [ნე]ბითა“¹¹.

მაგრამ ს. კაკაბაძის ამ კატეგორიული შენიშვნის საწინააღმდეგოდ ასევე გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძის ტექსტის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალის (ფოტო, პალეოგრაფიული ასლები) მიხედვით, აშკარაა, რომ ს. კაკაბაძის თავდაპირველი, 1912 წლის პუბლიკაციაში გამოთქმული თვალსაზრისი ანდერძის ტექსტის პირველი წინადადების პირველი სიტყვის წაკითხვისა ბევრად უფრო სწორი იყო და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული. ამ პუბლიკაციაში საეჭვოა და, როგორც ჩანს, არ არის სწორი მისეული წაკითხვა პირველი სიტყვისა „[დიდ]ბითა“, ე. ი. „დიდებითა“, მაგრამ აბსოლუტურად სწორია შენიშვნა იმის შესახებ, რომ „აქ სიგელი მოხეულია, მაგრამ ასო დ-ს თავი გარკვევით ჩანს“¹².

ტექსტში დ-ს თავი ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ანდერძის დედნის ძალზე შემცირებული ფოტოს ამ ადგილის გადიდების დროსაც გარკვევით გამოჩნდა 1973 წელს, როდესაც ანდერძის ტექსტი მზადდებოდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“ გამოსაცემად. დ-ს თავის არსებობა დაზიანებულ ადგილას კიდევ უფრო უეჭველი გახადა ი. ახალშენაშვილის მიერ 1880 წელს ანდერძის ტექსტის ამ წინადადების დედნის ზომაზე გადმოღებულმა პალეოგრაფიულმა ასლმა, რომელიც მიკვლეულ იქნა 1989 წელს. მაშასადამე, წაკითხვა ასოთა კომპლექსისა „დბთა“ ანდერძის ტექსტის პირველი სიტყვის მეორე ნაწილში ამჟამად ეჭვს არ იწვევს.

ახლა, რაც შეეხება ამ სიტყვის პირველი ნაწილის წაკითხვას. ცხადია, ზემოთ მიღებულ დასკვნის შემდეგ ამ სიტყვის წაკითხვა, როგორც „ბრძანებითა“, ან „ნებითა“ (თ. ყორდანი, ს. კაკაბაძე) უნდა გამოირიცხოს, ხოლო ს. კაკაბაძისეული თავდაპირველი წაკითხვა („დიდებითა“), რად-

⁹ ა. შანიძე. დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები. — „ჩვენი მეცნიერება“, № 8, 1924, გვ. 48.
¹⁰ იქვე.
¹¹ საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1924, გვ. 292.
¹² ანდერძი დავით აღმაშენებლისა, გვ. 5.



გან მას სხვა წერილობით ძეგლებში ანალოგია არ მოეპოვება და ჩვენს შემთხვევაშიც მიუღებელი ჩანს, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს¹³.

ვფიქრობ, ქართული ისტორიული საბუთების შესავალ ნაწილში მიღებული ფორმულების („თავსმდებობითა და შეწვენითა ღმრთისაითა“, ან „თავსდებითა და შეწვენითა“, რომელიმე წმინდანისა — იხ. ქისკ, I, გვ. 226—ტერმინთა და საგანთა საძიებელი) ანალოგიით, დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის პირველი სიტყვა უნდა აღდგეს როგორც „თავსდებითა“ ან „თავსმდებობითა“. ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ მის დაქარავემბით გადმოცემას ვივარაუდებთ, რაც ფოტოზე გარკვევით აღბეჭდილი ქარაგმის გრძელი განივი ხაზის მიხედვით სწორედ ასეა, თუმცა ი. ახალშენაშვილისეულ ასლზე ეს ხაზი წარმოდგენილი არ არის. მაშასადამე, ანდერძის ტექსტის პირველი წინადადება მთლიანად შეიძლება ასე გაიშართოს: „[ქ. თავსმ]დებობითა ღმრთისაითა, მე, დავითს, მიწყეის“.

3. „მტკიცედ აქციე“ თუ „დაამტკიცე მტკიცედა უქციე“.

თ. ჟორდანიასეულ ორივე გამოცემაში საბუთის ტექსტის ბოლო სტრიქონი, დაწერილი დავით აღმაშენებლის მიერ, წარმოდგენილია ასე: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე“. აქ, როგორც ვხედავთ, „დაამტკიცე“-ს ნაცვლად წაკითხულია „მტკიცე“, ხოლო „უქციე“-ს ნაცვლად „აქციე“. მიუხედავად იმისა, რომ თ. ჟორდანიასეული გამოცემის ეს უზუსტობები გასწორებულია ჯერ კიდევ ს. კაკაბაძესთან (1912), ისინი ი. დოლიძემ (1965) კვლავ თ. ჟორდანიასეული წაკითხვებით წარმოადგინა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, გარდა თ. ჟორდანიას როგორც პალეოგრაფის ავტორიტეტისა, გავლენა იქონია იმანაც, რომ ი. დოლიძის ვარაუდით ს. კაკაბაძის გამოცემას, თითქოს, დართული აქვს საბუთის XVII ს-ის პირის ფოტო¹⁴, და მაშასადამე, ტექსტიც ს. კაკაბაძეს ამის მიხედვით უნდა ჰქონდეს გამოცემული. სინამდვილეში, ს. კაკაბაძის გამოცემისადმი დართული ფოტო საბუთის დედნის ფოტოა, ტექსტიც მას საბუთის დედნის მიხედვით აქვს გამოცემული. მისი წაკითხვის სისწორე სავსებით დაადასტურა 1973 წელს მიკვლეულმა საბუთის დედნის ფოტოპირმა და 1989 წელს მიკვლეულმა პირველი და ბოლო სტრიქონების პალეოგრაფიულმა ასლებმა, ხოლო ეს მასალა ი. დოლიძისათვის მის მიერ ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს (1965), ცხადია, უცნობი იყო.

მთლიანად, ანდერძის ტექსტის ბოლო სტრიქონი, დაწერილი მხედრულით, დავით აღმაშენებლის ხელით, ასე იკითხება: „ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე“ (ქისკ, I, გვ. 59, სტრქ. 165).

4. „პური — ხილი ფურნისაჲ“.

ანდერძში ერთგან აღნიშნულია: „საზრდელი ძმათა პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა ღრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების“ (სტრქ. 66—67). თ. ჟორ-

¹³ ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წაკითხვის შესაძლებლობაც დასაშვებია, რადგან არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს ღვთის საღიღებელი მოხსენიებით დაეწყო თავისი ანდერძის ტექსტი: „ქ. დიდებითა ღმრთისაითა, მე, დავითს, მიწყეის“. ის რომ მსგავსი ფორმულით არ იწყება სხვა წერილობითი ძეგლები, არ შეიძლება საწინააღმდეგო თვალსაზრისისათვის ვადაწყვეტი მნიშვნელობისა იყოს — თვით ეს საბუთი ხომ მრავალმხრივ არაორდინალური წერილობითი ძეგლია.

¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 592 (შემდეგში — ქსმ, II).



დანის მოსაზრებით აქ „ხილი ფურნისაჲ“ გამხმარ ხილს, ჩირს აღნიშნულნი¹⁵ იგი ანდერძის ამ ადგილს ასე თარგმნის: „Пища для иноков: хлеб и фрукты сушеные, весом 500 драм, пусть всегда выдается“¹⁵. ხოლო იქვე სქოლიოში აღნიშნავს: „ხილი ფურნისა — фрукты (высушенные в) печи“¹⁶.

ს. კავაბაძისეული გამოცემა ტექსტისა, როგორც აღნიშნა, ნუსხური შრიფტითაა შესრულებული თანამედროვე პუნქტუაციური ნიშნების გარეშე და ამიტომ არ ჩანს, თუ როგორ ესმოდა გამომცემელს ტექსტის ეს ადგილი, ხოლო ი. დოლიძისეულ გამოცემაში „ხილი ფურნისაჲ“ წარმოდგენილია „პურის“ განმარტებად, რაც სათანადო პუნქტუაციური ნიშნებით არის აღნიშნული: „საზრდელი ძმათა — პური, ხილი ფურნისაჲ“¹⁷ და ა. შ.

ი. ჯავახიშვილს „ქართულ ნუმიზმატიკაში“, წონის აღმნიშვნელ ერთეულ „დრამასთან“ დაკავშირებული საკითხების განხილვისას, მოჰყავს დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის ეს ადგილი საკუთარი კონიექტურით: „პური [ცხობილი ფურნისაჲ ხუთასისა დრამისა წონი ნუმცა უდეს მოაკლდების“¹⁸. როგორც ჩანს, პურის, როგორც „ხილი ფურნისაჲ“ განმარტება მას შეეცდომად ჩაუთვლია და ტექსტს ასწორებს ზემოთ წარმოდგენილი სახით. ანდერძის დედანს ამ ადგილას ტექსტის გადაკეთების, დაზიანების ან სხვა რაიმე კვალი არ ეტყობა (ყოველ შემთხვევაში, დედნის ფოტოზე ტექსტის ეს ადგილი გარკვევით იკითხება) და, ამდენად, წყაითხვა „ხილი ფურნისაჲ“ ექვს არ იწვევს.

როგორც ჩანს, ტექსტის ეს ადგილი ისე უნდა გავიზაროთ, როგორც ეს ი. დოლიძისეულ გამოცემაშია წარმოდგენილი: პური არის ფურნის ხილი, მისი „ნაყოფი“ და მონასტრის ძმობას იგი ხუთასი დრამის წონისა მიეცემოდა.

ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ჩირს თონეშიც ამზადებდნენ. ეს სულ ბოლო დროის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება¹⁹. აქედან გამომდინარე, თ. ყორდანიასეული გააზრება ტექსტის ამ ადგილისა თითქოს გარკვეულ საფუძველს არ არის მოკლებული. და მაინც, რითი არის გამოწვეული, რომ ანდერძის ტექსტში „პურს“ დასჭირდა სავანეებო განმარტება?

ტექსტის თ. ყორდანიასეულ გაგებას ხელს უშლის თვით ტექსტის მონაცემი — თუ პური და ფურნის ხილი სხვადასხვა „საზრდელის“ აღმნიშვნელია, მაშინ „ხუთასი დრამის წონი“ რომელი მათგანი უნდა იყოს? თითოეული სახეობის „საზრდელის“ ოდენობა ხომ ცალ-ცალკე იქნებოდა აღნიშნული. მამასადამე, ამ ფორმალური გარემოების მიხედვითაც, „ხილი ფურნისაჲ“ პურის განმარტებად უნდა მივიჩნიოთ და არა საზრდელის სხვა სახეობად.

„პურის“ ცალკე განმარტება ანდერძის ტექსტში იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი ძველ ქართულში (გარდა თანამედროვე მნიშვნელობისა)

¹⁵ Жордания Ф. Завещание, с. 22.

¹⁶ იქვე, შენ. 49.

¹⁷ ქსძ. II, გვ. 14.

¹⁸ ი. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 70. გარდა ამისა, საბუთის ტექსტის ამ ადგილის სისწორეში ი. ჯავახიშვილი ადრევე დაიკვირებულა და ტექსტის ს. კავაბაძისეული გამოცემის მის კუთვნილ ცალკეში, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, წიგნის აშახუბ, სიტყვა „ხილი“-ს გასწვრივ კითხვის ნიშანი დაუსვამს.

¹⁹ შავ. ლედვისა და ატმის ჩირის თონეში გამოცხობით თუ გამოშრობით დამზადების შესანიშნავი წესებია ჩაწერილი 1930-იან წლებში კახეთში (იხ. მასალები საქართველოს შინა-მრეწველობისა და წვრილი ხელისნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. III, ნაწ. II, საჰმელ-სასმელი, თბ., 1986, გვ. 12—14).



„სადილს“, „წვეულებას“, „ლხინს“ აღნიშნავდა²⁰. ამიტომაც, ანდერძის ტექსტში, როგორც საბუთში, მეტი სიციხადისათვის კონკრეტულად არცაა აღნიშნული, რომ აქ იგულისხმება „პური“, როგორც საზრდელი, როგორც „ფურნის ხლი“, ფურნეში დამზადებული²¹.

5. „ბროლისა ბაზიჯისა ფეშხუემი“.

მართალია, ი. ჯავახიშვილს არ გამოუქვეყნებია თავისი დაკვირვებანი ანდერძის ტექსტის ცალკეული ადგილების წყაითხვასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით (გარდა იმ ერთისა, რომლის შესახებ ზემოთ აღინიშნა), მაგრამ ეს დაკვირვებები ასახულია ანდერძის ტექსტის ს. კაკაბაძისეული გამოცემის მისი კუთვნილი ცალის აწივებზე. წიგნის ეს ცალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. ჯავახიშვილის კაბინეტში (№ 355). რადგან ეს დაკვირვებები მეტად საინტერესოა და არსებითი მნიშვნელობისა, ხოლო ზოგიერთი მათგანი შემდეგი კვლევით მიღებული და დადასტურებული სხვათა მიერ, მათი ერთი ნაწილის აქ წარმოდგენა საჭიროდ მივიჩნევ.

ანდერძის ტექსტში ერთგან აღნიშნულია: „ბროლის, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მომივსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცაჲ ვის უკადრებია გამოღებაჲ“ (სტრქ. 62—63). საბუთის პირველ გამოცემაში (თ. ჟორდანიას) „ბროლისა“ და „ბაზიჯის“ გამოყოფილია მძიმით, და მამასადამე, ეს სიტყვები გაგებულია, როგორც სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული კანდლების აღმნიშვნელი ტერმინები. ასე მეორდება საბუთის ეს ადგილი ყველა შემდგომ გამოცემაში.

უფრო მეტი, თ. ჟორდანიას ანდერძის ტექსტის ამ ადგილს ასე თარგმნის: „Пожертвованные мною хрустальные, базиджевые („ბაზიჯისა“) и стеклянные люстры“ და ა. შ.²² ხოლო სქოლიოში აღნიშნავს: „Значение слова базижи (базиджи) мне неизвестно. Вероятно, базиджи есть ценный металл, из которого на Востоке делали разные дорогие сосуды“²³.

„ბაზიჯი“ ანდერძის ტექსტში კიდევ ერთხელ გვხვდება: „ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუემი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიგმარებოდის“ (სტრქ. 83—84). თ. ჟორდანიას ამ ადგილს ასე თარგმნის: „Хрустальную чашу и дискос из базиджи назначаю на употребление во время обновения даров“²⁴. მამასადამე, აქაც „ბაზიჯი“ გაგებულია როგორც გარკვეული მასალის აღმნიშვნელი ტერმინი.

²⁰ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 343. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იქვე მოტანილი ამ სიტყვის შემოკლები სხვა ტერმინების განმარტება: „პურად მისრული — სტუმარი“, „პურის დამზადება — წვეულების გამართვა“, „პურის უღალი — მასპინძელი“ და სხვ.

²¹ ვფიქრობ, საინტერესოა ი. ჯავახიშვილის შენიშვნა „500 დრამის წონის“ პურთან დაკავშირებით, რომელიც მას გაუკეთებია საბუთის ს. კაკაბაძისეული გამოცემის მისი კუთვნილი ცალის აწივზე: „პური 500 დრამის წონი, თუ 1 დრამა=3,411 გრამს, 500 დრამა — 1705,5 გრამს“, დრამის ოდენობის განსაზღვრა იხ.: ი. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, გვ. 107.

²² Жордания Ф. Завещание, с. 21.

²³ იქვე, შენ. 47.

²⁴ იქვე, გვ. 23.



საბუთის ტექსტის ორივე ადგილისათვის ი. ჯავახიშვილს საგანგებო უფრადლება მიუძღვის. პირველ შემთხვევაში დაკავშირებით მას ს. კაკაბაძის სული გამოცემის ანოთხე მიუწერია შემდეგი შენიშვნა: „ბროლისა ბაზიჯისა ჯ. თხელი, ნაზი, წმინდა, სათუთი“. მასასადამე. აქ „ბაზიჯი“ გაგებულია როგორც ბროლის ხარისხის, მისი ღირსებების განმსაზღვრელი ტერმინი, ე. ი. მეფეს მონასტრისათვის შეუწირავს ბაზიჯი ბროლის, ანუ წმინდა, სუფთა, ნაზი და სათუთი ბროლის და მინის კანდელები. აქედან გამომდინარე, ტექსტის გამოცემებში ეს ორი სიტყვა („ბროლისა“ და „ბაზიჯისა“) მხოლოდ არ უნდა გაიყოს.

საბუთის ტექსტში ამ სიტყვის („ბაზიჯი“) მეორე გამოყენების ადგილას ი. ჯავახიშვილი შენიშნავს შემდეგს: „ბაზიჯისა. ბროლისა სასანთლენი, ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუმი, აქედან ჩანს, რომ ბაზიჯი ბროლი არ იყო“. ეს განმარტება რამდენადმე წინააღმდეგობაშია ამ სიტყვის იმ განმარტებასთან, რომელიც მას პირველ შენიშვნაში ჰქონდა წარმოდგენილი: იქ „ბაზიჯი“ განმარტებულია ბროლის დასახასიათებლად, ხოლო აქ აღნიშნულია, რომ „ბაზიჯი ბროლი არ იყო“. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპირატესობა მაინც პირველ ინტერპრეტაციას უნდა მიეკუთვნოს, რადგანაც „ბაზიჯი“ ი. ჯავახიშვილისავე მიგნებით და განმარტებით, ზედსართავი სახელია, საგნის, მასალის დამახასიათებელი, მისი თვისებების განმსაზღვრელი ტერმინი და არა ამ მასალის აღნიშვნელი სიტყვა. აქედანვე გამომდინარე, საბუთის ტექსტის მეორე ადგილას აღნიშნული „ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუმი“ უნდა გავიგოთ, როგორც ბროლის ბარძიმი, ერთი მხრივ, და ბაზიჯი ბროლის ფეშხუმი, მეორე მხრივ, ან წმინდა, ნაზი, სათუთი მასალისაგან დამზადებული ფეშხუმი.

ბარძიმი და ფეშხუმი, ჩვეულებრივ, ერთი მასალისაგან მზადდებოდა. ამიტომ, ბარძიმი თუ ბროლისა იყო, მისი ფეშხუმიც ბროლისა იქნებოდა; ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უფრო თხელი, ნაზი და სათუთი ბროლისა ყოფილა. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ბარძიმი — ფერჯიანი მაღალი (ფერჯმაღალი) სასმისია“²⁵, ხოლო „ფეშხუმი — თეფში“. ორივე ეკლესიის „სიწმიდის სამსახურებელია“ და ერთად იხმარება ზიარების შემზადების დროს. ეს ორი ნივთი იმდენად განუყოფელია, რომ მათ ხშირად ერთი საერთო სახელით, შეერთებული ტერმინით — „ბარძიმფეშხუმით“ მოიხსენიებენ. ასეა ეს საღმრთო ლიტურგიის უძველეს, იაკობის ქამისწირვაში: „ხოლო რაყამს აღიხმიდენ დიაკონნი ბარძიმფეშხუმთა ზიარებად ერისა, თქუას დიაკონმან“²⁶ და ა. შ.

6. „ფიალა საზედაზე“ თუ „ფიალა ზედაზე“.

ი. ჯავახიშვილს უფრადლება მიუძღვის ანდერძის ტექსტის ერთი ადგილისათვის, სადაც გამოცემების მიხედვით წერია „ერთი ფილას საზედაზე“. მთლიანი სახით ეს ადგილი — თ. უორდანიასეულ გამოცემაში (და ყველა შემდგომ გამოცემაში, თვით უკანასკნელი, „კორპუსის“ გამოცემის ჩათვლით) ასეა წარმოდგენილი: „ოდეს მუხრანს ვიყენეთ, წმიდისა შიოას ხატსა შეგვათხვენენ, სამი სეფისკუწრი, ერთი ფილას საზედაზე და ფარჩითა კაპარი გვევ-

25 ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, გვ. 36, 354.

26 Tarchnišvili, M. Liturgiae Ibericae antiquiores—CSCO, vol. 122, Louvani, 1950, p. 62.



ლოგიონ“ (სტრქ. 131—132). ი. ჯავახიშვილს წიგნის აშოაზე მიწერილ წერილში ნაშეი სიტყვა „ფილას“ შესწორებული აქვს — „ფილა საზედაზე“. აღნიშნოს, რომ ეს სიტყვა ასევე ჰქონდა გააზრებული უკვე თ. ჟორდანიას ტექსტის პირველსავე გამოცემაში, როგორც ეს ანდერძის ტექსტის ამ ადგილის მისივე რუსული თარგმანიდან ჩანს: „Когда мы будем в Мухрани, то пусть (мгвимские иноки) доставят нам икону св. Пино для поклонения и поднесут мне три просфоры, одну чашу вина, назначенного для св. евхаристии (საზედაზე) и в кувшине (ფარჩასა, კორქ). შეცდომა — უნდა იყოს „ფარჩითა“, ვ. ს.) капорцы (კაპირი)“²⁷. მასსაღამე, ქართული ტექსტის „ფილა“ აქ თარგმნილია, როგორც „чаша“. მიუხედავად ამისა, ეს „ფილა“, უფრო ზუსტად „ფილას“, ასევე დარჩა ტექსტის ყველა შემდგომ გამოცემაში. მისი პირველი შესწორება განუხორციელებია ი. ჯავახიშვილს, რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე გამოუქვეყნებელი დარჩა.

ი. ჯავახიშვილის (რაც გასაგებია) და თ. ჟორდანიას დაუსახელებლად ეს სიტყვა („ფილას“) ასევე („ფილა“) განმარტა და ანდერძის ტექსტის შესაბამისი ადგილი, არსებულ გამოცემებთან შედარებით, ჩაასწორა ამ მიზნით სპეციალურად დაწერილ წერილში დ. მეგრელაძემ²⁸. ლექსიკონების მოხმობით იგი განმარტავს „ფარჩის“ და „კაპარს“ და ფაქტობრივად ღებულობს იმავე დასკვნებს, რომლებიც თ. ჟორდანიას ჰქონდა წარმოდგენილი თითქმის 100 წლის წინათ საბუთის ტექსტის პირველსავე გამოცემაში²⁹.

რაც შეეხება საბუთის ტექსტის ამ ადგილს, დ. მეგრელაძის დასკვნით, იგი ასე უნდა გაიმართოს: „ერთი ფი[ლა] <ს> საზედაზე“. ვფიქრობ, ეს ჩასწორება შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს და ამ ადგილას ტექსტის გამართვის სხვა ვარიანტიც იქნეს წარმოდგენილი.

როგორც აღინიშნა, ანდერძის ტექსტში ამ ადგილას წერია: „ოდეს მუხრანს ვიყენეთ, წმიდისა შიოშს ხატსა შეგვამთხვენენ, სამი სეფისკუტრი, ერთი ფილას საზედაზე და ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ“ (სტრქ. 131—132). ამკარაა, რომ ტექსტის ზემოდან გადაწერის დროს მწერალმა ამ ადგილას შეცდომა დაუშვა, იგი ზუსტად ვერ დაამთხვია სინგურით ნაწერ თავდაპირველ ტექსტს. კერძოდ, სიტყვაში „გვევლოგიონ“ მას ე გამოჩენია და იგი ჩაუმატებია სტრიქონს ზემოდან. დ. მეგრელაძე ამ ადგილას სიტყვაში „ფილა“ ა-ს დამწერის მიერ გაზოტოვებულად, ხოლო მის მომდევნო ს-ს მის მიერვე ზედმეტად დაწერილად მიიჩნევს. ამიტომ, მისი აზრით, აქ ტექსტში აღნიშნული იყო, ან უნდა იყოს „ერთი ფილა საზედაშეს“ შესახებ.

27 Жордания Ф. Завещание, с. 30.

28 დ. მეგრელაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთი ადგილის გარკვევისათვის. — მაცნე, ისტორიის... სერია, 3, 1989, გვ. 46—50.

29 დ. მეგრელაძის შენიშვნით, „სამწუხაროდ, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“, საძიებელში 248 გვერდზე სიტყვა „ფარჩის“ ნაცულად გატანილია „ფარჩა“. რაც არაა სწორი“ (იქვე, გვ. 50, შენ. 24). ავტორს ისიც უნდა შეენიშნა, რომ „ფარჩი“ სავესებო სწორადაა გატანილი საბუთის ტექსტის ცალკე პუბლიკაციის საძიებელში („მრავალთავი“, IX, გვ. 104) და აქედან ცხადია, რომ „კორპუსის“ „ფარჩა“ კორექტურული შეცდომაა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ, როგორც თვითონვე აღნიშნავს (იქვე, გვ. 49), არც ძველ ლექსიკოგრაფებში ყოფილა ერთსულოვნება ამ სიტყვის დაწერილობასთან დაკავშირებით; კერძოდ, ს. ს. ორბელიანი ამ სიტყვას წერს „ფარჩი“ ფორმით (ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, გვ. 355), ხოლო ეყრდნობა რა მის განმარტებას, ნ. ჩუბინაშვილი მითითებს ფორმას „ფარჩა“ (ნ. ჩუბინაშვილი. ლექსიკონი ქართული, თბ., 1961, გვ. 392), თუ აქ კვლავ კორექტურულ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე.

მაგრამ, როგორც ცნობილია, შესაწირავ ღვინოს, რომლის ერთი ჭურჭელიც ამ შემთხვევაში მეფისათვის უნდა მიერთობოდა (სეფისკუერთან და კაპართან ერთად), ეწოდება „ზედაშე“³⁰, და არა „საზედაშე“. საზედაშე შეიძლება იყოს საკუთრივ ფილა, ქვევრი, ღოჭი, ყულაზანი³¹, წუმწუმა³², როგორც XVI ს-ში შედგენილ ერთ საბუთშია აღნიშნული ან, ბოლოსდაბოლოს, საზედაშედ შეიძლება გამოყოფილიყო ვენახი³³. არსებობდა ტერმინი „მეზედაშე“, რომელიც „ზედაშეთ მნეს“ ნიშნავდა³⁴. საზედაშე ფილას მეფეს, ცხადია, არავინ მიართევდა. სულ სხვა საქმეა ფილა ზედაშის მართმევა, რაც ასევე იქნებოდა ანდერძის ტექსტში აღნიშნული.

ამიტომ, სიტყვაში „საზედაშე“ მარცვლი „სა“ წინა სიტყვას უნდა მივაკუთვნოთ და ტექსტის ამ ადგილის ჩასწორების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება ასეც წარმოვიღვიწიოთ: „ერთი ფილისსა ზედაშე“. ენობრივად, ცხადია, უფრო გამართული იქნებოდა „ერთი[სა] ფილისსა ზედაშე“, ან „ერთი[თა] ფილი[თა] ზედაშე“. მაგრამ, ცხადია, უნდა დავეყრდნოთ ტექსტის მონაცემებს. ხოლო ამ მონაცემების მიხედვით, ანდერძის ეს ადგილი მთლიანად შეიძლება ასე გაიმართოს: „ოდეს მუხრანს ვიყვენეთ, წ(მიდ)ისა შიოჲს ხ(ა)ტსა შეგვათმუჲვნენ. სამი სეფისკუერო, ერთი ფი(ა)ლისსა ზედაშე და ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ“.

7. „გარდააქცინა“ და არა „გარნა“ ან „გარდა“.

ანდერძის ტექსტში არის ერთი ბუნდოვანი ადგილი, რომელიც მკვლევართა და გამომცემელთა მიერ სხვადასხვაგვარად არის ჩასწორებული და, მასმასადამე, გააზრებული. კერძოდ, ტექსტში აღნიშნულია („კორპუსის“ გამოცემის მიხედვით): „აწ ძაგანმან სადგო[მად] საებისკოპოსონიკაჲ უდიდესნი გარნა სამთავროდ. თვთ აღრიტგან მამობასა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემკირნეს და წილყანი საყდრისა“ (სტრქ. 109—112). ამაყარა, რომ ტექსტი ამ ადგილას გამართული არ არის, განსაკუთრებით, მის დასაწყის ნაწილში. ამის მიზეზია, როგორც ჩანს, ის, რომ დედანი ამ ადგი-

³⁰ ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, გვ. 128.
³¹ იქვე, გვ. 288, 387 — ს. ს. ორბელიანის განმარტებით ეს იგივე „ფილაა“.
³² ასე, მაგალითად, „ერთი წუმწუმა საზედაშე“ მღვდელ-მონაზონ შილას მიერ გოლგოთისათვის შეწირული ერთ-ერთი ნივთია ვერცხლის ერთ ბარძიშთან, ორ თევშთან, ერთ კოვზთან, ერთ კაპარსა და ერთ სატფობთან და კიდევ სპილენძის რამდენიმე ნივთთან ერთად: იხ. XVI ს-ის მინაწერი საბუთი 1155 წლის გოლგოთის სეინაქსარზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 1661, 3v).

³³ იხ. ვანისქვაბთა მონასტრის XV ს-ით დათარიღებული ერთი საბუთი, მიწერილი ვანისქვაბთა განგების ხელნაწერზე (H 399) — თ. ქორდანიძე. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 49.

³⁴ ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, გვ. 204.

³⁵ ტექსტში რომ „ფილისსა“-ს ნაცვლად „ფილისსა“ წერია, ეს საბუთის გადამთვრების შედეგობაა წერილობრივ შეცდომათა ჯგუფს მიეკუთვნება. ტექსტში ასეთი შეცდომები სხვაგვარად: მაგ., „მონაზტრისა“ (სტრქ. 86), მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში (იხ. სტრქ. 34, 37, 52, 70, 78, 112, 113, 136, 137) ყოველთვის სწორი ფორმა — „მონასტრისა“ წარმოდგენილი; ან კიდევ — „სიციბილად“ (სტრქ. 19), უნდა იყოს „სიციბილა“, „მოლესენ“ (სტრ. 46), უნდა იყოს „მოლესონ“, „გამიჩენიან“ (სტრქ. 65), უნდა იყოს „გამიჩენიან“ და სხვ. ამავე რიგის შეცდომებს მიეკუთვნება ა-ს უადგილო დასმა სტრიქონებში: „დაემქუაჲ“, „კათალიკონისათაჲ“, „მთავართაჲ“, „ლაუღაჲს“, „ნუმბიად“, „შემსგავსებულად“, „ეზოიად“, „სხუთაიად“ და სხვ. (იხ. შესაბამისად სტრქ. 27, 47, 51, 63, 68, 108); ორიოდე შემთხვევაში სიტყვის გამოტოვება ტექსტში, რომლის ადგენა აზრობრივად აუცილებელია: „არა“ (სტრქ. 121), „მოსაუენოს“ (სტრქ. 132).



ლას არასწორად გაუცხოველებით, როგორც ამას შენიშნავს თ. ჯორდანია³⁶ მისი მოსახრებით, ნაცვლად სიტყვისა „გარნა“ აქ შესაძლებელია „სადგომად“ ლად ეწერა „გარდა“, მაგრამ დედნის ფოტოასლზე ამ ადგილას უეჭველად იკითხება „გარნა“, რაც, ცხადია, ტექსტის სხვაგვარად დაგდენას მოითხოვს³⁷.

ი. ჯავახიშვილს ყურადღება მიუქცევია ტექსტის ამ ადგილისთვისაც და წიგნის აშიაზე მას მიუწერია „გარნა=გარდააქცინა“-ს; მაშასადამე, ამ წაკითხვით, ტექსტის ეს ადგილი ასე გაიმართება: „აწ ძაგანმან სადგომად[ად] საებისკოპოსონიცაა უდიდესნი გარდააქცინა სამთავროდ“, რაც სავსებით სწორი და მისაღები ჩანს.

ამავე წინადადებაში, როგორც ვხედავთ, ბოლონაკლულია და გამოცემაში აღდგენილია სიტყვა „სადგომად“. ეს სიტყვა ამ სახით, სრულად და დაზიანების აღნიშვნის გარეშე, წარმოდგენილია თ. ჟორდანისა და ს. კაკაბაძისეულ გამოცემებში (ბუნებრივია, ასევეა იგი მომდევნო გამოცემებშიც). მაგრამ, საბუთის დედნის ფოტოასლზე სიტყვის ბოლო გადასულია, ისე, რომ შეუძლებელია დანამდგვრებით თქმა იმისა, თუ რა ეწერა ამ ადგილას. ვფიქრობ, უფრო ზუსტი უნდა იყოს აქ აღდგენა სიტყვისა „სადგომნი“³⁸, რასაც ტექსტში მეტი გარკვეულობა შეაქვს. ცხადია, როგორც ამას თ. ჟორდანიაც შენიშნავს, „тут разумеются церковные вотчины этих кафедр, а не самые кафедры“³⁸.

8. „მამაობასა“ თუ „მამულობისა“.

ასევე ჩასწორებას და განმარტებას მოითხოვს ტექსტის მომდევნო ფრაზა „თუთ აღრითვან მამობასა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ“ (სტრქ. 110—111). ნაცვლად სიტყვისა „მამაობასა“ თ. ჟორდანიასეულ გამოცემაში აღნიშნულია „მამობისა“, რაც რუსული თარგმანის მიხედვით, მის მიერ გააზრებულია, როგორც „при жизни отца моего“, ან „в царствование отца моего“³⁹. ს. კაკაბაძის მიერ ნუსხური შრიფტით გამოცემულ ტექსტში აქ იკითხება „მამლობისა“; მის გასწვრივ წიგნის აშიაზე ი. ჯავახიშვილს მიუწერია. „მამულობა“; „მამლობისა“ იკითხება საბუთის ფოტოპირზე, თუმცა, აშკარაა, რომ დედანი ამ ადგილას გაცხოველებულია.

როგორც აღინიშნა, სულ ბოლო დრომდე მიღებული იყო ამ ადგილას ტექსტში „მამაობასა“-ს წაკითხვა, მაგრამ, როგორც დღეს არსებული მასალებიდან ჩანს, „მამულობისა“⁴⁰, ან „მამულობისა[დ]“ უნდა წაეიკითხოთ.

მაშასადამე, საბუთის ეს ადგილი მთლიანად ასე შეიძლება გაიმართოს: „აწ ძაგანმან სადგომნი[დ] საებისკოპოსონიცაა, უდიდესნი, გარდააქცინა სამთავროდ; თუთ აღრითვან მამულობისა[დ] ეწერა-ყე, საებისკოპოსოდ“, ე ი. ძაგანმა საებისკოპოსო სადგომნი, ანუ საკუთრებანი, უდიდესნი, აღრიდანვე რომ საებისკოპოსო სამამულედ ეწერა (მიკუთვნებული იყო სათანადო საბუთებით), სამთავროდ, ანუ თავის საკუთრებად გადააქცია.

ტექსტის ამ მონაკვეთში ყურადღებას იქცევს საბუთის დამწერის მიერ-ყე ნაწილაკის გამოყენება („ეწერა-ყე“). ეს არის დიალექტური ფორმანტის წერილობითი ფიქსირების უადრესი შემთხვევა. ფორმანტი -ყე დასტურდება

36 Жордания Ф. Завещание, с. 13, прим. 5.
 37 მართლაც, „გარნა“-ს, რომელიც კავშირია და აღნიშნავს: მხოლოდ, მაგრამ, არამედ-ს (ი. ბ. ლ. ა. ძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 91), ტექსტში გაუგებრობა შეაქვს.
 38 Жордания Ф. Завещание, с. 27, прим. 77.
 39 იქვე, შენ. 78.
 40 შტრ. მაკენ, ისტორიის... სერია, 3. 1989, გვ. 62.



XIV ს-ის ერთ სვანურ საბუთშიც — დაწერილი არიშ ღვაჩელიანისა კაილის კევისადმი. სავანგებოდ ამ მიზნისათვის გათლილ ხის ორ ჯოხზე დაწერილი საბუთში იგი ოთხჯერ გვხვდება: „რაცა საზეზეოდ გირჯობდეს-ყე, საზეზოდ ეიჭიროდეთ და რაცა საქვექვეოდა გირჯობდეს-ყე, საქვექვეოდა ვიჭიროდეთ“; ცოტა უფრო ქვემოთ, ტექსტის ბოლოს ნათქვამია: „სად საურავი გირჯობდეს-ყე გიურვოთ. სად შველა გირჯობდეს-ყე, გიშველოთ“⁴¹. როგორც ვხედავთ, ოთხივე შემთხვევაში აქ იგი დასტურდება ზმნა „გირჯობდეს“-თან კომპლექსში.

მიჩნეულია, რომ -ყე ფორმანტი ქართული ენის მთის კილოებისათვის, კერძოდ, რაჭულისა და ზემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი⁴². როგორც ვნახეთ, იგი დადასტურდა ზემო სვანეთის ქართულენოვან წერილობით ძეგლშიც.

დადგენილია, რომ -ყე ფორმანტით აღინიშნება „გრამატიკული ობიექტების, აგრეთვე რეალური სუბიექტის მრავლობითობა“⁴³. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმობთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში „ეწერა-ყე“ აღნიშნავს ძაგანის მიერ მრავალი საებისკობოსო მამულის დაჭერის, მისაკუთრების ფაქტს.

ამასთანავე, ტექსტში ამ ფორმანტის გამოყენება თვით ანდერძის ტექსტის ჩვენთვის უცნობი შემდგენელი, თუ გადამთვრებელ-გამაცხოველებელი მწერლის წარმომავლობის მაჩვენებლადაც შეიძლება გამოდგეს. სამაგიეროდ, ცხადია, სვანია და სვანეთის მკვდარი (საბუთს კალაში წერს), მაგრამ ქართული წერა-კითხვის მცოდნე და ქართული განათლების მქონე, რომელსაც თავის ნაწერში დიალექტური ფორმაც შეუერევია*.

9. მარანი — ციხე ზედაზნის ქედზე.

საბუთის ტექსტის ყველა გამოცემაში „მარანი“ გაგებულია, როგორც ღვინის შესანახი ადგილი და ამის შესაბამისად არის დასმული პუნქტუაციის ნიშნები: „მონასტერისა რაცა იყო, მთასა ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი“ (სტრქ. 112—113); თ. ჟორდანიას თარგმანით: „Находящиеся на горе крепость, винный погреб, принадлежащие церкви и монастырю...“⁴⁴.

41 სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიაელები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ე. სილოგავამ, თბ., 1986, გვ. 224, № 147.

42 ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 429—431, 474; შ. ძიგური. რაჭული დიალექტი. — ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბ., 1970.

43 ბ. ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 429.

44 Жордания Ф. Запещание, с. 27.

* ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვეფხისტყაოსნის -ყე ნაწილაკიანი ფორმები: „რა ისარნი დაელივის, მონანიყე მირთმიდეს“, „მეურნაღნი და დასტაქარნი წამოსაყე მოგითანდეს“ (შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., „მეცნიერება“, 1988, სტრფ. 75,3; 524,2); ან, პირველივე სიტყვები გვიღ თუმანიშვილის ეპიტაფისა ვახტანგ VI-ზე, რომელიც, თურმე, შამიანის (თრიალეთი) წყაროზედ წერია: „მე, უმცირესმან ძმთაგან, ვახტანგ-ყე სახელდებული, ოთხ წელ ვქმენ მცხეთა, ურზნისი, საღვრის კამარა გებული“ და ა. შ. (ე. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფის ავტორი, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 152; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედაქციით, „მეცნიერება“, 1975, გვ. 164—165). ცხადია, ამ ლიტერატურულ ნაწევებებში, როგორც საზოგადო. ისე საკუთარი სახელებისადმი დართული ფორმანტი -ყე სხვაგვარ ინტერპრეტაციას საჭიროებს, ვიდრე ეს დავით აღმაშენებლის ანდერძის „ეწერა-ყე“-ს შემთხვევაშია. აქ მოხმობილ შავილითებში მისი გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელობა შეიძლება იყოს კინონობითობის აღნიშვნა.



...ტექსტის ამ ადგილის გასწვრივ, წიგნის აწივზე, ი. ჯავახიშვილს ეკუთვნის შემდეგი წინადადება: „მცხეთისა საქონებელნი დაემპირნეს ციხე მარანი მატური ციხედ და მარანი მად ჰქონდეს“. მართალია, აქ პუნქტუაციის ნიშნები არ ზის. მაგრამ, „მარანი“ მის მიერ ციხეს სახელად ჩანს გააზრებული. მართლაც, ციხე ასეთი სახელწოდებით ყოფილა კახეთში, როგორც ეს აღნიშნულია „მატიანე ქართლისაში“ 995 წლის ახლო ამბებთან დაკავშირებით⁴⁵: „და ციხე მარანისა ჰქონდა მაშინ, ხახუასა, არმის ძესავე, ძმასა ივანესსა“⁴⁶. „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებში ციხის სახელწოდებად აღნიშნულია „მარანა“ და ერთ რუსულ თარგმანში ამ სახელწოდებას აქვს უპირატესობა მინიჭებული⁴⁷, ხოლო მეორეში — „მარანი“⁴⁸-ს, რაც უფრო სწორი ჩანს, რადგან დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში ციხის სახელწოდებად სწორედ ეს ფორმა დასტურდება.

მაშასადამე, ამ მონაცემების მიხედვით, საბუთის ტექსტის ამ ნაწყვეტში პუნქტუაციის ნიშნები ასე უნდა დაისვას: „მონასტრისა რაცა იყო — მთასა ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი“ და ა. შ.

10. „ლიაკონი“ თუ „დეკანოზი“.

ანდერძში ერთგან აღნიშნულია: „ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა, ჩუეფუსა იოვანეს ქართლის კათალიკოზსა, უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, საშჯულოდ სამრებლოდ არს ყოველგან, თვთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაქმაროს“ (სტრქ. 57—60).

ანდერძის ტექსტის ამ ადგილისათვის, ტერმინ „საშჯულოდ სამრებლოდ“-ს მნიშვნელობის დადგენისას, ყურადღება მიუქცევია ავად. ი. ჯავახიშვილს. მისი დასკვნით, „საშჯულოდ სამრებლოდ სამოსამართლო უწყებასა და ოლქს ჰრქმევიან“, ხოლო მთლიანად საბუთის ამ ადგილს იგი ასე განმარტავს: „აქედან ცხადი ხდება, რომ ყველა სხვა მონასტრებისა და, ეტყობა, თვით შიომღვიმის მონასტრის დანარჩენი, დავით აღმაშენებლისაგან აშენებული ეკლესიის ყმებს გარდა, მცხოვრებნი ქართლის კათალიკოზის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ და მის „საშჯულო სამრებლო“-ს შეადგენდნენ. იოანე კათალიკოზს მეფის პატივისცემით დავით აღმაშენებლისაგან აგებული ეკლესიისათვის განსაკუთრებული უპირატესობა მიუნიჭებია, საკათალიკოზო სასჯულო სამრებლოთაგან ამოუშლია და საკუთარი სამონასტრო მოსამართლის ყოლის უფლება მიუცია. ე. ი. სასამართლო, შეუვალა ოლქსა“⁴⁹.

საბუთის ტექსტის ამ ადგილის განმარტების მეტი დაზუსტებაც შეიძლება. იოვანე კათალიკოზს შიომღვიმეში არა მარტო დავით აღმაშენებლისაგან აშენებული ეკლესიის (ღმრთისმშობლის სახელობისა) კუთვნილი ყმები ამოუშლია სსჯულო სამრებლოსაგან, არამედ საერთოდ მონასტრის კუთვნილი ყმები

⁴⁵ დ. მუსხელიშვილი. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები. — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, 1967, გვ. 86, შენ. 156.

⁴⁶ მატიანე ქართლისა, ქცა, I, გვ. 268: 16.

⁴⁷ Матиане Картлеса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1976, с. 35.

⁴⁸ Детописи Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982, с. 54.

⁴⁹ ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. — თბ. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 336—337.



(საბუთში რომ აღნიშნულია: „რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანნი მღვდელნი და არა მხოლოდ ეკლესიასაო). ხოლო „საკუთარი სამონასტრო მოსამართლის“ საშუალებით მათგან („ყოველგან“) აღებული სისამართლო განჩინებებს ბაეი ეკლესიის ზეთად უნდა მოეხმარათ.

მონასტრის სასჯულო სამრებლოში ვინ ასრულებდა მოსამართლის ფუნქციებს, მას შემდეგ, რაც შიომღვიმის მონასტრის მეფისა და კათალიკოზისაგან სისამართლო შეუვალობა მიენიჭა? საბუთის ტექსტში ამის შესახებ ვკითხულობთ: „თვთ მემღვდისა დიაკონმან მოსამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაქმაროს“ (სტრ. 59). მაშასადამე, ეს ფუნქცია მონასტერში მემღვიმის ანუ წინამძღვრის დიაკონს ჰქონია დაკისრებული.

დიაკონი, როგორც ცნობილია, მღვდელმსახურებაში დამხმარე პირია, „ეკლესიის მსახური — მღვდლის თანაშემწეა“⁵⁰. ს. ს. ორბელიანის განმარტებით იგი „მღვდლის მოსამსახურეა“⁵¹. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „მღვდელმონაზონთა ანუ ხუცეს-მონაზონთა უშუალო თანაშემწედ მღვდელმსახურებასა და ყოველნაირ წირვა-ლოცვაში „მთავარდიაკონნი“ და „დიაკონნი“ იყვნენ“⁵². დიაკონისათვის ასეთი ფართო უფლებების მინიჭება და მისი მოსამართლის ფუნქციითაც აღჭურვა, თუნდაც იგი მონასტრის წინამძღვრის დიაკონი იყოს, თუ საერთოდ არსებობდა ასეთი თანამდებობა, რამდენადმე ეჭვს იწვევს. „დიაკონმან“ საბუთის ტექსტში ამ ადგილას წერია დაქარაგმებით — „დქნმან“. ეს ქარაგმა თ. ჟორდანიამ საბუთის ტექსტის პირველ გამოცემაში გაუხსნელად დატოვა („დქნმან“)⁵³. როგორც ჩანს, აქ „დიაკონმან“ წაკითხვა მას ეეჭვევებოდა, თუმცა, რუსულ თარგმანში იგი წარმოადგინა, როგორც „дьякон“⁵⁴. შეიძლება ამის გამო და იმის გამოც, რომ ქარაგმა „დქნმან“ ბუნებრივია უნდა გაიხსნას როგორც „დიაკონმან“, საბუთის ტექსტის შემდგომ გამოცემებში ამ ადგილას ეს სიტყვაა წარმოდგენილი. რამდენად შეიძლებოდა რომ დიაკონს, როგორც მონასტრის ძმობის წევრს, მოსამართლის ფუნქციებიც დაკისრებოდა?

მონასტრის მთელი ძმობა, „უფლებრივ მდგომარეობისდა მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, სამ მთავარ ჯგუფად, ან... სამ დასად“ იყოფოდა. „პირველისა დასისა“ წევრებს მონასტრის მამასახლისი, ან წინამძღვარი, იკონომოსი და დეკანოზი ეკუთვნოდნენ... ბერმონაზონთა „პირველ დასს“ მონასტრის თანამდებობის პირნი შეადგენდნენ, რომელნიც „კელისუფალთა“ სახელით იყვნენ ცნობილნი. მისივე დასკვნით, „მეორე დასს მღვდელობის პატივის მქონებელნი ბერები შეადგენდნენ“, „ბერთა მესამე ჯგუფს „მწირნი“ შეადგენდნენ“⁵⁵.

⁵⁰ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 212.

⁵¹ ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, გვ. 98.

⁵² ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. — თბ., ტ. VII, გვ. 53.

⁵³ Жордания Ф. Завещание, с. II. მეორე გამოცემაში ეს ადგილი მას ქარაგმის გახსნით აქვს წარმოდგენილი (თ. ჟორდანიას ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 16).

⁵⁴ რუსულ თარგმანში ეს დიაკონი რომ „მემღვდის დიაკონია“, ეს ნიუანსი თ. ჟორდანიას გამორტყეული აქვს. იგი მას თარგმნის «Мгвимский дьякон»-ად. „მემღვმე“, რომელიც მღვიმის წინამძღვარს აღნიშნავს, მას თვით მონასტრის სახელად აქვს მიზნული (Жордания Ф. Завещание, с. 21).

⁵⁵ ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. — თბ., ტ. VII, გვ. 40—41.



როგორც ვხედავთ, აქ დიაკონი არათუ მოსამართლედ არ იხსენიება, ვეც
პირველი დასის წევრთა, ე. ი. მონასტრის ხელისუფალთა შორის ~~დასახელებული~~
ბულიც არ არის.

რაც შეეხება საკუთრივ შიომღვიმის მონასტერს, მის ხელისუფალთა უფ-
ლება-მოვალეობის შესახებ მოიპოვება XII ს-ში შედგენილი საბუთი — გან-
ჩინება მამა სეომეონისა მღვინის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზის
დადგინების წესის შესახებ. საბუთის გამცემი მამა სეიმეონი უნდა
იყოს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდილის დისწული, სეიმეონ ბედიელ-
ალავერდელი, რომელიც განაჩინა შიომღვიმის მონასტრის მეურვედ დავით აღ-
მაშენებელმა 1124 წლის ანდერძის მიხედვით (სტრქ. 123—125: „აჲ სემეონ
ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი
იყოს, იგი იყეოფოდის“).

ამ საბუთის მხოლოდ ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. მოძღვრის და დე-
კანოზის არჩევის წესის აღწერის შემდეგ (რომელიც, სამწუხაროდ, არ შენა-
ხულა, თუმცა დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ცნობილია, რომ შიომღვი-
მის წინამძღვრის არჩევა წმ. შიოს საფლავზე კენჭისყრით ტარდებოდა —
სტრქ. 134—136) განჩინებაში აღნიშნულია: „წინამძღვრისა, მოძღვრისა და
დეკანოზისა ზელთა არს ეკლესიისა საქმე და ძმთა სულიერთა. ამათ სამთა ჯელ-
თა არის ეკლესიისა საქმე, რაიცა დააკლონ, ღმერთმან მათ ჰკითხოს“⁵⁶. რკონის
მონასტერშიც, კახა თორელის დაწერილის (1260 წ.) მიხედვით, სამი პირია
ხელისუფალი — წინამძღვარი, მოძღვარი და დეკანოზი⁵⁷. ასევე, ეს პირებია
მონასტრის უმაღლესი ხელისუფლები ბერთის (ტაო-კლარჯეთში) ოთხთავის
(XII ს.) მომგებლის იოანე ოპიზის მოძღვრის შეწირულების მიხედვით (ხელ-
ნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. II, გვ. 320).

როგორც ვხედავთ, აქ დეკანოზი ერთ-ერთია მონასტრის სამ ხელისუფალს
შორის. ამიტომ, დავით აღმაშენებლის ანდერძში განხილული ადგილის ქარაგმა
„ღღჳწმწ“ ხომ არ უნდა გაიხსნას როგორც „ღ(ე)კ(ან)ოზ(მ)ა(ნ)“ და ამის მიხედ-
ვით ტექსტი ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ მონასტრის მოსამართლის ფუნ-
ქცია დეკანოზს ჰქონდა დაკისრებული და არა დაკონს?

დეკანოზის უფლება-მოვალეობა, მონასტერში მისადმი დაქვემდებარებუ-
ლი პირების საკითხი საგანგებოდ განიხილა ი. ჭავჭავაძემ *„ქართული სა-
საბუთოს ისტორიის“* სათანადო მონაკვეთში. მისი დასკვნით, „სამონასტრო
წესწყობილებასა და ცხოვრებაში მონასტრის ხელისუფალთა შორის საპატიო
ადგილი დეკანოზს ეკუთვნოდა... დეკანოზი იყო „მთავრად ეკლესიისა“. მისი
თანამდებობა ეკლესიის მსახურებასა შინა მდგომარეობდა და იგი ოთველ-
ბოდა „ხუცესთა“ ანუ მღვდელთა და მგალობელთა უფროსად... დეკანოზს
მღვდელმსახურებაში ასე თუ ისე მონაწილე ყველა პირები ექვემდებარებოდ-
ნენ, მათ შორის, რასაკვირველია „კანანახი“, „მემსგეფსენი“, „მემკერენი“ და
„დიაკონნი“-ც“⁵⁸.

⁵⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—
XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,
1970, გვ. 128.

⁵⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX—XIII საუკუნეები. შეადგინეს
და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა,
თბ., 1984, გვ. 100:1.

⁵⁸ ი. ჭავჭავაძის ქართული სამართლის ისტორია. — თბ., ტ. VII, გვ. 62.



ამიტომ, დეკანოზისათვის მოსამართლის ფუნქციის მიკუთვნება ბუნებრივი ჩანს, ვიდრე დიაკონისათვის, რომელსაც მონასტერში დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა და დეკანოზის მორჩილებაში იმყოფებოდა.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია დეკანოზის დახასიათება და მისი უფლებების აღწერა, წარმოდგენილი მამა სვიმეონის შემოდასახელებულ განჩინებაში:

„პატივი ორი დეკანოზისა, რომე ღმრთის-მოშიშებით მსახურობდეს ეკლესიათა. ეკლესიასა შინა შემავალად, დადგომად ეუბნებოდეს; და ანუ შინა შევა და ლოცვასა იჩემებს და სხუათა ეუბნების და ღმრთისა წინააღმდეგობათა და შეურაცხის-მყოფელთა თანა დაისაჯების.

ესრეთ ეკლესიად შესრულთა ეუბნების — მათ ლოცვა ჰგონია და ლოცვა არა არს, სოფლიოთა და კორციელთათჳს მოსრულან. და ყოველთა ზრახვენ და ეუბნებიან. და ესრეთ იქმნების ღმრთისაგან რისხვა, ზრახვითა და უწესოდ დგომითა ეკლესიათა. განიდევნოს და იკონოვი არა მიხუდეს ძმათაგან სამი დღე. და ეკლესიათა კართა მდგომარე იყოს სამ დღე და შენდობასა ითხოვდეს ყოველთა ძმათაგან საღმრთოთა კრებულთა. ძმათა შენდობა მისცენ, მწუხარი და იკონოვი მისცენ.

დეკანოზისა მეტისა კაცისაგან საუბარი არა იკადრების, მანცა თუ დაჭირება იყოს“⁵⁹.

საბუთის ტექსტის ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს დეკანოზის უფლებამოვალეობის ადმინისტრაციული ხასიათი: იგი თვალყურს ადევნებს, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს წესრიგი იყოს დაცული, მას შეუძლია გარკვეული სასჯელი დაადოს იმ პირთ, რომლებიც წირვა-ლოცვის წესს არ დაიცავენ და ეკლესიაში „სოფლიოთა და კორციელთათჳს მოსრულან“. ამ დროს საუბრის გამართვის უფლება, უფრო ზუსტად, ალბათ, შენიშვნის მიცემა მხოლოდ მას შეუძლია, და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შიომღვიმის მონასტერში მოსამართლის ფუნქცია სწორედ დეკანოზს ჰქონდა დაკისრებული და არა დიაკონს. ამის მიხედვით, ტექსტის შესაბამისი ადგილი, ქარაგმის ერთ-ერთი სავარაუდო გახსნის შედეგად, შეიძლება ასე წავიკითხოთ: „თვთ მემღვმისა დეკანოზმან მოსამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჯმაროს“ (სტრქ. 59—60).

ამავე დროს, რადგანაც დეკანოზის უფლება-მოვალეობანი რამდენადმე ადმინისტრაციული ხასიათისაა, საეჭვო ჩანს მისი მოსამართლეობა და მსჯელობა ანდერძის ტექსტის ამ ადგილის გარშემო შეიძლება ასეც წარიმართოს.

სიტყვა „დეკანოზი“, ჩვეულებრივ, დაქარაგმებით იწერება, როგორც „დკნი“, ანუ დაქარაგმებულ კომპლექსში ზ-ს წარმოდგენით, ხოლო „დიაკონი“ — როგორც „დკნი“. მაშასადამე, მხოლოდ ზ-ს არსებობა განასხვავებს დაქარაგმებით დაწერილ ამ ორ სიტყვას ერთმანეთისაგან. ამდენად, რადგანაც ანდერძის ტექსტში ეს სიტყვა წარმოდგენილია ზ-ს გარეშე, მეტი საფუძველი არსებობს აქ „დიაკონის“ წაკითხვისათვის.

ამავე დროს, ეს ტერმინი ანდერძის განხილულ ნაწყვეტში მკიდროდ არის დაკავშირებული მის წინა ტერმინთან — „მემღვმისა“. აქ ისე ჩანს, რომ

⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 128; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 65.



„მემღვმისა დიაკონი“ ერთი, ცალკე მცნებაა და იგი გარკვეული თარგმანების პირის აღმნიშვნელია.

ბერძნული სიტყვა „დიაკონი“ *δίακονος*; მოსამსახურეს, თანაშემწეს, დამხმარეს აღნიშნავს⁶⁰. არ არის გამორიცხული, რომ ისეთი დიდი მონასტრის წინამძღვარს („მემღვმეს“), როგორც შიომღვიმე იყო, დამხმარე, თანაშემწე, ცალკე დიაკონი ჰყოლოდა. მას, ცხადია, გარკვეული გავლენა და უფლებები ექნებოდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მისთვის დამატებით ახალი, მონასტრის მოსამართლის ფუნქციაც დაეკისრებინათ. თანაც, მემღვმეს დეკანოზი არ ეყოლებოდა, დეკანოზი მონასტერს ჰყავდა, ხოლო მის წინამძღვარს, ამ შემთხვევაში მემღვმეს, როგორც შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს ეწოდებოდა, დიაკონი ეყოლებოდა.

ამიტომ, ანდერძის ტექსტში „ღკმწნ“-ის დიაკონად წაკითხვა იქნებ სწორიც იყოს და არაა საჭირო მისი შეცვლა სიტყვით „დეკანოზმან“.

ამ საკითხზე უფრო გარკვეული, რამდენადმე კატეგორიული და ცალსახა დასკვნის გაკეთება იმიტომაა შეუძლებელი, რომ მონასტრების ადმინისტრაციული მოწყობის, სასულიერო ხელისუფალთა ფუნქციებისა და უფლებამოვალეობების საკითხები, აგრეთვე, ქართული სამონასტრო სინამდვილისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ჩვენში ჯერაც არ არის მთლიანად და სრულყოფილად შესწავლილი. მომავალმა კვლევა-ძიებამ ამ საკითხში იქნებ მეტი სიცხადე შეიტანოს.

11. „კვრიაჲს ძალითა“ თუ „კვრასძალითა“.

საბუთის ტექსტში, ვფიქრობ, კონიექტურას საჭიროებს კიდევ ერთი ადგილი: „და ტურათისუბანსა, რომელ მეზურენი დაუსხმან და ზუარნი და მიწანი — ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ კვრიაჲს ძალითა, და თითო კარასეული ღვინო“ (სტრქ. 103—106). მაშასადამე, ტურათისუბანში რომ მონასტერს ზუარი და მიწები ჰქონდა, აგრეთვე „მეზურენი“ ანუ ვენახის მცველნი⁶¹ ჰყავდა დასმული, ამათი შემოსავლიდან ეკლესიას, ანუ მონასტრის ძმობის წევრებს უნდა მისცემოდა თითო პური „კვრიაჲს ძალითა“ და თითო კარასეული, ანუ კრასოველი⁶² ღვინო.

აქ გაუგებარია გამოთქმა „კვრიაჲს ძალითა“. კონტექსტით იგი, თითქოს, უნდა ნიშნავდეს, რომ დასახელებული პური და ღვინო ძმობას უნდა მიეცეს

⁶⁰ Древнегреческо-русский словарь. Составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958, с. 372; Вейсман А. Д., Греческо-русский словарь, СПб., 1899, стб. 307; Sophocles E. A. Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, vol. I, New York, p. 363.

⁶¹ ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, გვ. 204.

⁶² კრასოველი ანუ კარასეული ბერძნული *κρᾶσοφίλων*-ია. იგი ხშირად გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც საწყაოს, ისე ზოგადად ჭურჭლის მნიშვნელობით. განსაკუთრებით ხშირად — ბიზანტიურ გარემოში შექმნილ წერილობით ძეგლებში: „იოვანესა და ვფთუმეს ცხოვრებაში“, ათონის აღაპებში და სხვ. ანდერძის ტექსტში ეს ტერმინი კიდევ გვხვდება — მონასტრის ძმობის წევრებს „პირვეულისა შუდეულისა პარასკევსა თითო კარასეული (ალბათ, ღვინო) მიეცეს, სეფისკუმრსა და თესლსა თანა შესუან ყოველთა“-ო (სტრქ. 90—91). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოების ერთი ადგილის ჩასწორებასთან დაკავშირებით მას საგანგებოდ შეეხო მ. შანიძე (იხ. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ., 1992, გვ. 45—48, იქვე — ძირითადი ლიტერატურა).



კვირის (კვირა დღის) ძალით, რაც, ცხადია, უაზრობაა, ან კვირის, ექვსდღის წმინდანის შეწვევით. ასეთი წმინდანიც უცნობია. არის კვირიკე, კვირა, კვიროს, თვით „კვირიაკე“ ადამიანის, წმინდანის სახელად, მაგრამ „კვირია“ უცნობია. ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევით, კვირია ძველი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღმერთია — იგი განაყოფიერებისა და შვილდობის მფარველი ღვთაებაა⁶³. წარმართი ღმრთაების შეწვევის მოხმობა ქრისტიანული მონასტრის ძმობისათვის ვენახის შემოსავლიდან პურის და ღვინის გამოყოფის საქმეში გამორიცხულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ტექსტის გადამთვრებულმა ეს ადგილი მართლაც ასე გაიზარა, ამიტომ, საბუთის ტექსტში ამ ადგილას სავსებით გარკვევით იკითხება „იმეცემოდის თითოჲ კვირიას ძალითა“. ტექსტის ეს ნაწივეტი საბუთის ღვინის ამჟამად მოღწეულ ფრაგმენტზეცაა (სტკა, 1448, № 2120) შერჩენილი, მისი შემოწმების საშუალება არსებობს ფოტოასლის გარეშეც და მისი ამ სახით წაკითხვა ექვს არ იწვევს. ამიტომაც იგი დედნისეული სახითაა ყველა გამოცემაში წარმოდგენილი.

ტექსტის ეს ადგილი, როგორც ჩანს, ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა მკვლევართა შორის და თ. ჟორდანიას რუსულ თარგმანში იგი საერთოდ გამოუტოვებია. აი, როგორ თარგმნის იგი საბუთის ამ ადგილს:

„Из (доходов от) больших виноградных садов, разведенных на площади Турата (ტურათის უბანსა), где поселены и садовники, равно как из (доходов от) пахотных земель, пусть выдается по одному красеулу вина (на каждого молящегося) и по одному печеному хлебу (в воспоминание души моей)“⁶⁴.

როგორც ვხედავთ, ანდერძის შესაბამისი მონაცვეთის საკმაოდ თავისუფალი გადმოცემაა; გარდა იმისა, რომ გამოტოვებულია ზემოთ უკვე აღნიშნული „კვირიას ძალითა“, „მეზურენი“ გაგებულა მებაღეებად („садовники“, ალბათ, სჯობდა თარგმნილიყო, როგორც „виноградари“, ან „сторожи виноградников“), ჩამატებულია სიტყვა „დიდი“ ვითომც „დიდნი ზუარნი“ („большие виноградники“), ციტატის დასასრულს ზედმეტია „в воспоминание души моей“, ადგილშეცვლილია „პურისა“ და „კარასეული ღვინოს“ დასახელება და სხვ. მაგრამ, ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს თ. ჟორდანიასეული თარგმანის აკარგვიანობის განხილვა, ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

როგორც ჩანს, საბუთის ტექსტში ეს ადგილი უნდა გასწორდეს და ნაცვლად „კვირიას ძალითა“ უნდა აღდგეს, ალბათ, თავდაპირველი „კვრასძალითა“. „კვრასძალი“ კვირა დღის წინა საღამოა ანუ შაბათი საღამო⁶⁵. ასეთი ჩასწორებით მივიღებთ, რომ მეფის განკარგულებით თითო პური და თითო კარასეული ღვინო ტურათისუბნის ზვრებისა და მიწების შემოსავლიდან მონასტრის ძმობის წევრებს უნდა მისცემოდა შაბათობით.

მეფის ამ განკარგულებას საბუთის ტექსტში უძღვის კიდევ სხვა განკარგულება: „ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კვირათა ღამე ყოველ ღამისთევაჲ, ნუვინ შესცვლის ამას წესსა“ (სტრქ. 103—104). მაშასადამე, აქ

⁶³ ი. ჭავჭავაძის ქართული ერის ისტორია, წიგნი I. — თბ., 1979, გვ. 102—105, 109—110.

⁶⁴ Жордания Ф. Завещание, с. 26.

⁶⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, გვ. 264.



აღნიშნულია მონასტერში ყოველი კვირა ღამე არსენ ბერის მიერ დაწესებული დაწესებების უთუოდ შესრულების შესახებ⁶⁶. ნიშანდობლივია, რომ მონასტერში „კვირა“, როგორც ერთ, ისე მეორე ნაწყვეტში ერთნაირი ფორმით „კვირია“ არის გადმოცემული. რადგანაც ტექსტის მიხედვით მეორე ნაწყვეტში უთუოდ კვირის დღის სახელი იგულისხმება და არა ღვთაების საკუთარი სახელი, დაწერილობათა მსგავსების გამო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველ ნაწყვეტშიც კვირის დღის სახელი იყო თავდაპირველად აღნიშნული.

ტექსტის ეს მეორე ნაწყვეტი სხვა საკითხის გასარკვევად გამოგვადგება. ბოლნისის სიონის (V ს.) X ს-ის ერთ წარწერა-საბუთში, რომელიც ტაძრის სამხრ.-დასავ. შესასვლელის თავზეა ამოკვეთილი, უკანასკნელი, „ქართული წარწერების კორპუსის“ (1980) გამოცემის მიხედვით ერთგან იკითხება: „ამას საყდარსა ღამისთევამ არა დებულ იყო. კვრის ძალითა მე დავდევე“⁶⁷. აქ „კვრის ძალითა მე დავდევე“, ცხადია, გაუგებარია. როგორც ჩანს, ტექსტის ამ ნაწყვეტში საჭიროა ქარაგმის ნიშნების სხვანაირად გახსნა და პუნქტუაციის ნიშნების განსხვავებულად დასმა. კერძოდ, აქ უნდა წაიკითხოთ: „ამას საყდ(არ)ს(ა) ღ(ა)მ(ის)თ(ე)ვ(ა)მ არა დ(ე)ბ(უ)ლ(ი)ყ(ო) კ(ვ)რ(ა)სძ(ა)ლთა. მე დ(ავ)დ(ე)ვ და ზ(ედ)აშე ღ(ა)მ(ის)მთ(ე)ველთ(ა)თ(ვ)ს“. წარწერის ტექსტის გ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში (1940), რომელიც ა. შანიძის მიერ არის მომზადებული, ბოლნისის წარწერის ეს ადგილი სავსებით სწორადაა გააზრებული, რაც ჩანს ამ ადგილის თუნდაც რუსული თარგმანიდან: „В этой церкви не было положено всеношного бдения в воскресные кануны“⁶⁸ და ა. შ.

მაშასადამე, თუ დავებრუნდებით დავით აღმაშენებლის ანდერძის განხილულ ადგილს, უნდა დავასკვნათ, რომ ტექსტში აქ საჭიროა კონიექტურა და დედნისეული, თუმცა მინც მეორადი, „კვრიაჲს ძალითა“-ს გასწორება „კვრასძალითა“-თი, ხოლო მთელი წინადადება ასე გაიმართება: „და ტურათისუბანსა, რ(ომე)ლ მეზურენი დაუსხმან და ზუარნი და მიწანი — ამისი პური ეკლე-ის მიეცემოდის თითოა კვრასძალითა, და თითო კარასეული ღვრო“ (სტრქ. 104—106).

⁶⁶ თ. ეორდანიასეული თარგმანი იხე ჩანს, რომ ყოველ კვირას ღამისთევა არსენ ბერს დაწესებია არა მონასტერში, არამედ სოხასტერში — მონასტრის გარეთ მდებარე ერთ სასლოცველოში, რომელიც მეფემ თავისი გადარჩენის (ნადირობის დროს ცხენის წაქცევისაგან რომ დაიმტვრა და სამი დღე უგრძობლად იყო) სამადლობელად ააშენა: „чтобы во все воскресные дни (в Сохастери) отправлялось всеношное бдение, должествующее продолжаться во всю ночь (до рассвета)“ — Жордания Ф. Завещание, с. 26. როგორც ჩანს, თ. ეორდანიასევის თარგმანში ამ ჩამატების საფუძველს წარმოადგენდა არსენ ბერის მიერ მეფის დავალებით სოხასტერისათვის განწესების შედგენა (სტრქ. 96—99). მაგრამ, ჯერ ერთი, თარგმნილი ნაწყვეტის ქართულ ტექსტში სოხასტერი ნახსენებია არ არის — იქ ზოგადად ნათქვამია — ყოველი კვირა ღამე ღამისთევის წესს ნურავინ შესცვლისო, და მეორეც, ამავე ანდერძის სხვა ადგილების მიხედვით, არსენ ბერს მხოლოდ სოხასტერის საქმეები არ ეკითხებოდა, მას მრავალი სხვა საერთო სამონასტრო დავალებაც ჰქონდა მიცემული მეფისაგან.

⁶⁷ ქართული წარწერების კორპუსი, ლამიბარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, № 137, გვ. 248—250.

⁶⁸ Чубинашвили Г. Н. Болнисский Сион. — ენიშქის მოამბე, IX, 1940, გვ. 74—75. ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის ტექსტში ამ ადგილას უნდა წაიკითხოთ „კვრებულისა ძალითა“ (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი. — ენიშქის მოამბე, 111, 1938, გვ. 339), მაგრამ, წარწერის ტექსტის მონაცემებით ეს არ მტკიცდება (შდრ. „მაცნე“, ისტორიკი... სერია, 1, 1990, გვ. 119—120, შენ. 83).

ცხადია, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტის გენასთან დაკავშირებული საკითხები მომავალშიც არაერთხელ იქნება განხილული. არ არის გამორიცხული, რომ აქ წარმოდგენილი შესწორებები და დაზუსტებანი მომავალში გადაისინჯოს — უფრო განმტკიცდეს ან შეიცვალოს.

В. И. СИЛОГАВА

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ, СВЯЗАННЫЕ С УСТАНОВЛЕНИЕМ
ТЕКСТА ЗАВЕЩАНИЯ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ
ШИОМГВИМСКОЙ ЛАВРЕ

Резюме

Статья касается не раз опубликованного грузинского документа 1124 года. Автор критически рассматривает разночтения в публикациях, вызванные неверным раскрытием титулов и плохой сохранностью документа, дошедшего почти до нашего времени (погиб в 1919 г., на Северном Кавказе). Предлагается новое прочтение некоторых мест исследуемого памятника.

V. SILOGAVA

SOME QUESTIONS RELATED TO DETERMINATION OF THE
TEXT OF DAVID THE BUILDER'S WILL CONCERNING
THE SHIOMGVIME MONASTERY

Summary

The article reviews georgian document of the 1124 year which had been already published several times. The author critically reviews contradictory interpretations of publications caused by misunderstanding of abbreviations and the damage done to the document. The document almost reached present times (was lost in 1919 in the North Caucasia). Some cases of new interpretation of the explored written document are being proposed.

ალექსანდრე გვახარია

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი
(ნაღები)

ტარიელმა ხატაეთში დიდი ომი გადაიხადა, პირველად აჩვენა ყველას, განსაკუთრებით თავის სატრფოს, გმირობა და ვაჟკაცობა, ოღონდ რამაზ მეფესთან ხშირად შერკინებისას ხელში დაიჭრა. აი, როგორ აღწერს იგი ამ ეპიზოდს:

„მას აღვილსა ნომარსა გარდავხედით მოსვენებად.
ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა არნაღებად;
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად“¹.

როგორც მეორე ტაეპის დაწერილობიდან ირკვევა, აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას შერწყმული „არნაღები“ წყლულის მსაზღვრელად მიუჩნევიდა, ხოლო მთელი შესიტყვება „არნაღები წყლული“ განუმარტავს, როგორც „მსუბუქი ჭრილობა“.

პირველ საიუბილეო გამოცემაში, ადრინდელ გამოცემათა (მათ შორის ვახტანგისეულის) კვალობაზე, განსხვავებული დაწერილობაა წარმოდგენილი: „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა, არნაღებად“.

მაგრამ უკვე 1957 წლის გამოცემაში გაჩნდა დაწერილობა „არნაღებად“, რომელიც გამეორებულია მეორე საიუბილეო გამოცემაში (1966) და ა. შანიძე — ა. ბარამიძისეულ ტექსტში. ბოლოს, როგორც ითქვა, იგი საერთოდ შერწყმულად დაიწერა. პ. ინგოროყვამ ორივე გამოცემაში (1953 და 1970) ორი ხელნაწერის მიხედვით გაასწორა წაკითხვა „არ დაღებად“, სქოლიოში კი ასეთი დასაბუთება წარმოადგინა: „დაღი“ — დავოდის კვალი (შანიძე) სხეულზე. სიტყვა „დაღი“ ამ მნიშვნელობით იხმარება ძველი ქართული სამართლის ძეგლებში (იხ. ბექა-აღბულას სამართლის წიგნთან დართული ბაგრატი კურაპალატის სამართალი, № 124)².

პ. ინგოროყვას გასწორება გონებამახვილურია, თუმცა არ ჩანს, რითი უპარისპირდება „წყლული“ („დავოდილი“ — საბა) „დაღს“ („ესე არს საბუქდავი გაჭურვებული ცეცხლითა“ — საბა). აქ კი, ჩვენი აზრით, აშკარა დაპირისპირება გვაქვს: ტარიელი გარკვევით ამბობს, რამაზ მეფის ხშირად მიყენებული ჭრილობა მას წყლულად მიჩნდა (თუ აჩნდა), და არა ნაღებად. „და-

¹ აქ და ქვემოთ ვიყენებთ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემას (მეცხრევა, 1988), სტრ. 451.

² შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. პირველი ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1953, 434.



ლები“ (თანაც მრავლობით რიცხვში), თვით ინგოროყვასეული განმარტებით
საფუძველზევე — „დაკოდლობის კვალი (შანთი) სხეულზე“ — აქ უმეტესად
ჩანს.

ჯერ ერთი. ბრძოლაში „დადაღვა“ გამოირიცხებოდა, მით უფრო, რომ პოე-
მაში სიტყვა „დალი“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით (სპ. დაღ-შანთი, გა-
ხურებულნი რკინით დადებულნი ნიშანი) იხმარება: „მითხრა: ეგრე წასვლისა-
თვის ნუ გაჩნია გულსა დალი“ (395,2); „არ მეამს კაცთა ნახვა, მ-დაღვიდეს
გულსა დალი“ (589,3); „მოკვირს, თუ გული აღმასი შავმან წამწამმან დალა-
რად“ (711,3)³. მეორეც, ქართულში უფრო გავრცელებული და ნაცნობი სიტ-
ყვის „დაღებდა“ შეცვლა ძნელად გასაგები „ნაღებდა“ სიტყვით უმრავლესო-
ბა ხელნაწერებში ნაკლებად მოსალოდნელი ჩანს. ისე კი, პ. ინგოროყვას და-
კვირება მოწმობს, რომ ეს ადგილი მართლაც ბუნდოვანია.

ახლა რაც შეეხება ტაეპის, უფრო ზუსტად, სინონიმური წყვილის მეორე
წევრის დაწერილობას. რუსთველოლოგიაში გარკვეულია ამ პოეტური ხერხის,
სინონიმური პარალელიზმის გამოყენების სახეობები პოემის ტექსტში. ერთ-
ერთი მათგანი (კონტრასტული პარალელიზმი) გულისხმობს მეორე (იშვიათად,
პირველი) წევრისათვის „არ“ ნაწილაკის დართვით მისი მნიშვნელობის იმგვარ
შეცვლას, რომ იგი იქცეს პირველი (იშვიათად, მეორე) წევრის სინონიმად.
ამ შემთხვევაშიც (იხევე, როგორც დადებით კონსტრუქციაში) წყვილების ლექ-
სიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია (შეიძლება ორივე ქართული იყოს,
ან ორივე უცხოური. ან ერთი ქართული, მეორე კი — ნასესხები)⁴.

მიუხედავად ამისა, არ არის მკაცრად დადგენილი ამ „არ“ ნაწილაკის და-
წერილობის წესი. თანაბარ ვითარებაში (სახელებთან და სახელზმნებთან) იგი
ხან ცალკეა დაწერილი, ხან დეფისით, ხანაც ერთად⁵. ამასთან დაკავშირებით
საყურადღებოა კ. დანელიას შენიშვნა, რომელიც მან გაკვრით, სქოლიოში გა-
მოთქვა: „პოემის 1957 წ. გამოცემაში არ-ნაწილაკი ხან დეფისითაა შეერთე-
ბული სიტყვასთან (არ-დათოვნა, არ-დამზრალი, არ-გახსნილი), ხან ცალკე დგას
(არ დაზრული, არ სუბუქი, არ გამწყრალი), რაც გამართლებულია. თუ
არ-ნაწილაკი წარმოქმნის საშუალებას, იგი უნდა დეფისით შეუერთდეს სიტ-
ყვას და ეს პრინციპი ბოლომდე გატარდეს, როგორც ეს ა. შანიძის მიერ გა-
მოცემულ ვეფხისტყაოსნის სიმფონიაშია გატარებული“⁶.

აღბათ, აქ კორექტურული შეცდომაა და ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვა
უნდა იკითხებოდეს „გაუმართლებელია“, რადგან, მართლაც, გაუგებარია,
რატომ უნდა დაიწეროს „არ-დამზრალი“ დეფისით, ხოლო „არ დაზრული“

³ სინტერესოა, რომ სამივე შემთხვევაში გულის დადაღვაზეა საუბარი. სპარსულში არ-
სებობს საგანგებო გამოთქმა „დაღე დღე“ („გულის დალი“), რაც ნიშნავს „ტკივილს, გლოვას,
სევდას“.

⁴ იხ. М а р р Н. Я. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из
Рустава и новая культурно-историческая проблема. — ИАН, СПб., 1917; ვუკ. ბე-
რიძე. ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის — რუსთველოლოგიური
შტუდები, კრებ. შეადგინა ი. მეგრელიძემ, თბ., 1961, 134; შ. ძიძიგური. ცნება სინონი-
მური პარალელიზმისა. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 11, 1941; ალ. ბარამიძე. შოთა რუს-
თაველი. თბ., 1975. 303; კ. დანელია. სინონიმურ წყვილთა ხმარება ვეფხისტყაოსანში. —
კრებ. შოთა რუსთაველს, თბ., 1966.

⁵ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემაში (1988), რო-
მელსაც ჩვენ ვუთითებთ, დეფისით გამოყოფა არ ვხვდებმა, რაც გამართლებულია თანამედ-
როვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

⁶ კ. დანელია. დასახ. ნაშრომი, 410.



ცალ-ცალკე. თუ დეფისს გამოვრიცხავთ, როგორც ზემოთ ითქვა, მაშინ არ-
ნაწილაკის წარმოქმნის საშუალებად გამოყენების შემთხვევაში უნდა დავიწყებოდ
უნდა დაიწეროს (ჯალაბი ჩანს არდაჯრილი; არგაშებული ხეხითა; არდავი-
წყება მოყვრისა; ვარდნი ვნახენ არდაზრულნი), მაგრამ სინონიმურ წყვილებში,
ვფიქრობთ, უმჯობესია ამ არ-ნაწილაკის ცალკე დაწერა. თუმცა ხშირ შემთხ-
ვევაში ამას არა აქვს თითქოს აზრობრივი გავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა („არ გაცინება“ და „არგაცინება“ ორივე მწუხარებას ნიშნავს და
„ტირილის“ სინონიმად არის გამოსადეგი), მაგრამ ზოგჯერ შერწყმით დაწერამ
სინონიმური წყვილის მეორე წევრი შეიძლება პირველის განსაზღვრებად გა-
დააქციოს და ამით გაუგებრობა გამოიწვიოს. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა
აღგვენიშნა, რომ „არმაზრების“ ერთად გააზრებისას იგი გავებულ იქნა, რო-
გორც „უსაზღვრო, თვალუწყდენი“ ხარგა, რის შედეგადაც დაიკარგა სინონი-
მური პარალელიზმი („ხარგა“ — სამეფო დიდი კარავა, „მაზრებ“ — სალაშქ-
რო მცირე კარავი)?.

ამ ტიპის მაგალითია ჩვენთვის საინტერესო ტაეპი:

„ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა არნალებად“.

როგორც ითქვა, ასეა ტექსტი დაბეჭდილი 1988 წლის აკადემიური ტექს-
ტის დამდგენი კომისიის გამოცემაში. თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ,
უნდა აღდგეს ადრინდელი ორთოგრაფია და პუნქტუაცია, თორემ დაიკარგება
დაპირისპირება (ისე, როგორც დაიკარგა იგი „არმაზრებ ხარგაში“):

„ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა, არ ნალებად“.

ზემოთ აღინიშნა, რომ სინონიმური წყვილები თავისი მრავალფეროვნე-
ბით გამოირჩევა. შეიძლება ორივე წევრი დადებითი კონსტრუქციით გამოიხა-
ტოს („თამაშად და მიჩანს მღერად“), ან ორივე უარყოფითი კონსტრუქციისა
იყოს („არ მთრვალურად, არ მახმურად“), ან, როგორც ჩვენს შემთხვევაში,
ერთი დადებითი კონსტრუქციისა იყოს, მეორე — უარყოფითი. ასევე მრავალ-
ფეროვანია ამ წყვილების ლექსიკური შედგენილობა.

ჩვენ მიერ განხილულ ტაეპში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული
„წყლული“ და უარყოფითი კონსტრუქციით ნაწარმოები „არ ნალები“. ცხადია,
„ნალები“ უნდა იყოს პირველი წევრის („წყლულის“) საპირისპირო ცნება (ან-
ტონიმი), რომელსაც „არ“ ნაწილაკის დართვა სინონიმად აქცევს. არც ერთ
მკვლევარს, რომელიც კი შეხებია ამ ადგილს, ეკვი არ შეჰპარვია „ნალების“
ქართულობაში.

იუსტ. აბულაძე საკმაოდ ლაკონურ და ბუნდოვან ახსნას გვაძლევს: „ნა-

7 ა. გვახარია. ვეფხისტყაოსნის ლექსიციდან (მაზრები). — ეტიმოლოგიური ძიებანი,
თბ., 1989, 28—34; აქვე შევნიშნავთ, რომ არც ა. შანიძის „სიმფონიაში“ ერთი პრინციპი
გატარებული ბოლომდე (მაგ., „არ მახმურად“ ცალკეა, „არ-ნალებად“ — დეფისით; „არ მაზ-
რები“ გამორჩენილია, მაგრამ „მაზრებთან“ მოტიანილ ციტატაში ცალ-ცალკეა დაწერილი,
მაშინ როცა ანალოგიური ფორმები უმთავრესად დეფისითაა წარმოდგენილი: „არ-კატბანი“,
„არ-ნაღვერი“ და სხვ.). რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოყენებულ ტექსტს (1988), აქ პირიქით—
უმრავლეს შემთხვევაში არ- ნაწილაკი ცალკეა დაწერილი, თუმც ზოგჯერ აქაც გვაქვს, ჩვენი
აზრით, უმართებულო გამოწაკისი: „მარტო ზის, არბარგოსანი“ (1350); „ტირილი, არგაცი-
ნება“ (245); „დაბეჭდული, არგახსნილი“ (362); „არმოყვარულად, მტერთულად“ (1202);
„დალრეკით, არმხიარულად“ (818); ა. შანიძეს ეს მაგალითი ცალ-ცალკე აქვს, როგორც
1975 წ. გამოცემაშია; „ზის მორბმული, არნაღვერი“ (691); „წყლულად მიჩნდა არნალებად“
(451); „სტავრა მბიმე, არმსუბუქი“ (1139). ერთი სიტყვით, თუ გვაქვს ოპოზიცია „ასეთი და
არა ისეთი“, ამ შემთხვევაში არ- ნაწილაკი, ვფიქრობთ, სჯობს ცალკე დაწეროს.



ლები — მინალები⁸. ალბათ, ამ ახსნას დაეყრდნო ნ. ნათაძე, როცა უფრო გაუგებარი და ნაკლებად სარწმუნო კომენტარი შემოგვთავაზა: „ნალებად — მეტყობოდა, რომ ჭრილობა იყო და არა საღებავით შეღებილი“⁹. როდის იყო, რომ ბრძოლის დროს ვინმე საღებავებით იხატავდა ჭრილობას?! კოტეჯისტიმომერი ჩანს აკაკი შანიძის განმარტება: „ნალები-ი: ხელსა ხრმლითა დაფეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ-ნალებად... ისე დაკოდილი ვიყავი ხმლით ხელში, რომ ხელს ვერ ვიღებდი, ვერ ვწევდი ზევითო. ასეთ გაგებას გვავალებს ცოტა ქვემოთ ნათქვამიც: ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება“¹⁰.

ყველაზე ახლოს ჭეშმარიტებასთან, ჩვენი აზრით, ვუკ. ბერიძე მივიდა. მან ხაზგასმით აღნიშნა აქ ჭრილობის ორგვარი სახეობის დაპირისპირება: წყლულისა და ნალებისა. მაგრამ მისთვისაც „ნალები“ ქართულ სიტყვად დარჩა, ოღონდ ა. შანიძისა და ნ. ნათაძისაგან განსხვავებული გააზრებით: „წყლულად მაჩნდა, არ ნალებად — ჭრილობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ბასრი იარაღით გასერილ-გაკვეთილი და ჩლუნგი იარაღით ამოგლეჯილი. აქ ერთმანეთს უპირისპირდება წყლული ჭრილობა და ნალები ჭრილობა. ხრმალს ხელში დავეკოდე, წყლულად, დასერილად მაჩნდა, ამოგლეჯილი არ იყო“¹¹.

მაშასადამე, ვუკ. ბერიძის მიხედვით, „წყლული“ — ეს დასერილი ჭრილობაა (უნდა ვფიქროთ, შედარებით მსუბუქი), ხოლო „ნალები“ — ამოღებული, ამოგლეჯილი ჭრილობა (უნდა ვიფიქროთ, უფრო მძიმე)¹².

ვფიქრობთ, „ნალებს“ არაფერი აქვს საერთო არც „ლებვასთან“, არც „ალებასთან“ თუ „აწევასთან“, არც „ამოლებასთან“ და არც „გალებასთან“. ის უნდა უკავშირდებოდეს არაბულ-სპარსულ სიტყვას „ნაკაბ — ნაყაბ — ნაყებ“, რაც ნიშნავს „გამხვრეტს, გამჭოლს; ხვრელის გამყვანს“, ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიაში იხმარება „ნაწოლის (пролежни), მძიმე ჭრილობის, შემავალი ჭრილობის (проникающие ранения)“¹³. სიტყვა ნაწარმოებია არაბული ძირიდან „ნ-კ-ბ“ (გახვრეტა, გამოთხრა), აქედან „ნაკაბ — სპ. ნაყაბ — „ხვრელი, გვირაბი“. ამავე ძირიდანაა ნაწარმოები „ნაკაბ — სპ. ნეყაბ“ — „დაჩვრეტილი; პირბადე, ეუალი“, საიდანაც მივიღეთ ქართ. „ნილაბი“. ანალოგიურია „ნაკაბ — სპ. ნაყებიდან“ ქართული „ნალების“ მიღება: „შედარებით იშვიათად ვხვდებით მიმართებას კ→ლ, მაგ., ილბალი (იკბლ), ნაღდი (ნაკდ), ნილაბი (ნიკაბ), ნულლი (ნუკლ). ამ შემთხვევებში კ→ლ შესაძლოა განპირობებული იყოს მკლერი თანხმოვნების მეზობლობით, რაც გაამძღვრებდა კ→ს და შესაბამისად ქართულში მოგვეცემა პირის ღრუს უკანა ნაწილში წარმოებულ ერთადერთ მკლერ ღ-ს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია

⁸ იუსტ. აბულაძე. რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1969, 316 (ლექსიკონი).
⁹ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემა, თბ., 1986, 147).
¹⁰ ა. შანიძე. თხზ. V, თბ., 1986, 429 (ლექსიკონი).
¹¹ ვუკ. ბერიძე. ვეფხისტყაოსნის კომენტარი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ს. ცაიშვილმა და ვ. შარაძემ, თბ., 1974, 154.
¹² შდრ. ს. კაკაბაძე: „ნალები — გაღებული, ღია“ (ვეფხისტყაოსანი, 1926).
¹³ Русско-арабский медицинский словарь, М., 1977; ნაღისის სპარსული განმარტებითი ლექსიკონი და სხვ.

ის გარემოებაც, რომ არაბულის ზოგიერთ დიალექტში, ასევე ბედიურებს შორის, ყ წარმოადგენდა მყდერ ბგერას¹⁴.

უფრო სავარაუდოდ მიგვაჩნია, ამჯერად, სესხების სპარსულ წყაროებში ერთი სიტყვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტარიელის ნათქვამში იგულისხმება ბრძოლაში მიღებული შედარებით მსუბუქი ჭრილობა — წყლული¹⁵, და არა მძიმე, შემავალი ჭრილობა — ნაღები. უარყოფითი კონსტრუქციის სინონიმური წყვილებს კანონის მიხედვით ეს იყო წყლული და არა ნაღები. ამდენად, ამ უკანასკნელის ერთად დაწერა და მით უმეტეს „წყლულის“ განსაზღვრებად მიჩნევა შეუძლებელია. ტაეპი ასე უნდა დაიწეროს: „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა, არ ნაღებად“, და განიმარტოს: „ხელში ხმლით დამჭრა, მსუბუქი ჭრილობა იყო, არა მძიმე“.

А. А. ГВАХАРИА

ИЗ ЛЕКСИКИ «ВЕПХИСТКАОСАНИ»
(Нагеби)

Резюме

Сделана попытка толкования одной строки из поэмы Шота Руставели «Вепхисткаосани»: «Я был ранен в руку мечом, та была легкая рана, почти незаметная» (перев. С. Иорданишвили).

В оригинале здесь использован контрастный параллелизм: «Хелса хрмлита давекоде, цклулад мичнда, ар нагебад», т. е. «цклули» (легкая рана, поверхностное ранение) противопоставляется «нагеби». Это последнее понимается как грузинское слово, хотя толкуется оно по разному («окрашенный», «поднятый», «вырванный»), отсюда — с отрицанием «ар — не» выходило то «не окрашенная», то «не поднятая (рука)», то «не рваная». На самом деле это арабское слово («накиб»), означающее «тяжелое проникающее ранение».

A. GVAHARIA

FROM THE VOCABULARY OF „VEPKHISTKAOSANI“ (NAGEBI)

Summary

The article makes an effort to interpret one line from the poem of Shota Rustaveli „Vepkhistkaosani“ („The knight in the panther's skin“) „I

¹⁴ ვ. ლეკიაშვილი. არაბულ ფარინგოლოგიულ თანხმოვანთა ადაპტაცია ქართულ ენაში. — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, № 3, 111.

¹⁵ მ. ანდრონიკაშვილი. არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. — თსუ შრომები, ტ. 105, 1965: ვ. გრუნაშვილი. ლ // ყ-ს წარმოთქმისათვის თანამედროვე სპარსულ ენაში. — თსუ შრომები, № 91, 1960, 75.

¹⁶ „წყლული“ ძველ ქართულში ზოგადად „ჭრილობას, იარას“, აგრეთვე „დაჭრილს. დაკოდის“ აღნიშნავს (იხ. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973), რომლის განკურნება შედარებით ადვილად შეიძლება (შდრ. „ომს ნუ ისწრაფვით, დამრთელდენ ნაკოდნი წყლულნი თქვენია“, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, ტ. II, 3443; „მითხარ, ვინ მოგცა წამალი თქვენ წყლულთა განკურნებისა“, იქვე, 5108). შდრ. ს. იორდანიშვილის თარგმანი: «Я был ранен в руку мечом, та была легкая рана, почти незаметная» (1966, 96).



was wounded in the hand by a sword. It was a light wound, almost imperceptible.

A contrastic parallelism is used in the original: „Khelsa khrlita davecode, tsklulad michnda, ar nagebad“. It means that „tskluli (light wound, surface wound) is opposed to „nagebi“. The latter is understood as a Georgian word, though it is interpreted in different ways („painted“, „lifted“, „torn“); from this with the negation „ar-un“ sometimes were derived the following words: „unpainted“, „unlifted (hand)“, „untorn“. Actually it is an Arabic word („nakib“), meaning „a heavy penetrating wound“.

მარინე ძალაბიძე

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“
ქართული მხატვრული აზროვნების ფორმირების კონტექსტში

ყოველი ერის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს ერთ მთლიანს და მისი გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა ლიტერატურა. ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები, რაც არ უნდა მკაცრ ჩარჩოებში იყოს მოქცეული, მაინც განიცდის სხვა ქანრებს-გავლენას და, თავის მხრივ, თვითონაც გარკვეულად ცვლის მათ. ეს ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდიდრება თითქმის გარდაუვალი პროცესია, რადგან ამა თუ იმ ერის ლიტერატურა ერთსა და იმავე ნიადაგზეა აღმოცენებული და მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთ მთლიან რგოლს წარმოადგენს¹. ერთ რომელიმე ეპოქაში მოღვაწე განათლებულ პირთ ერთმანეთთან აანლოებს საზოგადოებისა და იმ წრის გავლენა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ეს კი გარკვეულად თავს იჩენს მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებში.

თამარის მეორე ისტორია ანუ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ მდიდარ ისტორიოგრაფიულ ტრადიციებზე დამყარებული ძეგლია და ამდენად თავის თავში შეიცავს სხვადასხვა ქანრთა გავლენის სფეროებს. ეს ვლინდება ძირითადად მხატვრულ ფორმათა ნიუანსებში, მათ მრავალფეროვნებაში.

ლომი — მეფის ძლიერების სიმბოლური გამოხატვაა. ისტორიკოსი თამართან მიმართებაში მას შემდეგი ფორმით იყენებს: „გარნა ლომი ბრჭალთავან საცნაურს არს და თამარ საქმეთავან“ (II, 123). შედარება ლომთან ხშირია სახობტო ძეგლებში როგორც სასულიერო, ასევე საერო პოეზიაში: „ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა, მუშკს სურნელება შენგან მიეცა“².

თამარის მეორე ისტორიის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება თამარის პირველი ისტორიისაგან. თამარის მეორე ისტორიის ავტორი აღწერს არა მარტო ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, არამედ ამ ფაქტებისადმი თავის დამოკიდებულებასაც გადმოგვცემს. იგი საოცარი სიცხადით ასახავს თამარის ეპოქას. ნიჭიერი, განსწავლული ადამიანის სხარტი გონების თვალთ არის აღწერილი მოვლენები, ისტორიულ პირთა ხასიათები, გეოგრაფიული გარემო.

მკითხველი აღტაცებაში მოდის, როდესაც ტექსტში თამარის გარეგნობის აღწერას კითხულობს. პოეტური შედარებები და თითქმის ვალექსილ სიტყვათა რითმული წყობა ერთი შეხედვით უცნაურადაც გვეჩვენება ისტორიულ თხზულებაში — „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად, მაგრამ იმდენად ჰარმონიულად ერწყმის ტექსტის შინაარსს, რომ სათქმელს უფრო მძაფრსა და დამაჯე-

¹ ვ. დონდუა, თამარ მეფის ეპოქის ისტორიიდან. — საისტორიო ძიებანი, II, 1973.

² იოანე შავთელი, აბდულმესიანი. — ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1940, გვ. 24.



რებელს ხდის. თამარ მეფის დახასიათება მთელ თხზულებაშია გაბნეულად დასახარებად მარის გარეგნობა, რომელიც სულიერ ღირსებებთან არის შერწყმულად. მისი სულიერობა და სურსათობა პორტრეტს ქმნის: „ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და დაწუთა სპეტაქთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხვ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტბილი პირი, მხიარული და ულიზლო სიტყვის სინარჩარე და ზრახვისა უჩუქნობა“³.

თამარის სულიერი და ფიზიკური სრულყოფა ამავე პერიოდის სახოტბო პოეზიაშიც ასევე მაღალმხატვრული ფორმითაა წარმოდგენილი:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი კმა-ნარჩარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მოქნარი უჩინარი“⁴.

ან კიდევ:

„ლაწუთა არესა შექნი მთვარესა მელნისა ტბანი დგანან მორევად...“⁵

ეპოქალური ნიშანია მეფისადმი „ქების“, „შესხმის“, „შესხმა-მითხრობის“, „ხოტბის“ და სხვა ამ ქანრის ნაწარმოებთა შექმნა. ეს საერთო ტენდენცია აისახა საისტორიო მწერლობაშიც.

„მიმოიხილა სიმსხვილითა ცნობისათა თვისსა გარემო ყოველი და მყისსა, შინა შეემეცნა ხილვითა ოდენ წრფელთა და დრკუთა, გულარძნითა და უმანკოთა, ერთგულთა და ორგულთა, და სიბრძნითა განგებითა თვისითა პირველად ყოველთა ზედა დასხა წყალობა უხუებით, რათა ქამთა საქმეთასა ერთნი ერთგულებით მაღლიერობდენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყვნენ მოგებისათვის სიმატლისა“⁶. ძველის აღნიშნულ ადგილს იმავე ეპოქის მწერლობაში ლიტერატურული პარალელებიც დაეძებნება:

„მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი, წრფელი უცრუო, სიან უზაკებად...“⁷

ან კიდევ:

„მეწე, ლომიერი, ქველი, ძლიერი, პაეროვანი, მტყიცედ მფლობელი,
შარავანდ გირი, ორგულთ გამგირი მტერთა ქვესკენლად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი...“⁸

იმავე ძეგლში მეფის სიუხვისა და სიბრძნის გამომხატველი სტროფია:

„თვალი ზარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშვირთა პური, უსახლო სართული,
მამა ობოლთა, მსაჭელი ქერივთა, შიშველთ სამოსლად, მონიჭებული...“⁹

თხზულების ეს ადგილი მეფისათვის განკუთვნილი ეპითეტებით გვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფს:

³ ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბანიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 116.

⁴ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე. თამარიანი. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 169.

⁵ იქვე, გვ. 192, სტრ. 42/49.

⁶ ქც. II, გვ. 117.

⁷ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე. თამარიანი, გვ. 195.

⁸ ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი. აბდულმესიანი, გვ. 199.

⁹ იქვე, გვ. 205.

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორქმული, გამგებინი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი, წყლიანი“¹⁰.

თამარის მეორე ისტორიაში ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების აღწერისას თამარის დიდებულება და ეპოქის სიღრმადე გაწონასწორებულია. ისინი არ ჩრდილავენ ერთმანეთს. პირიქით, მემატიანის მიერ აღწერილი თამარის ეპოქა თითქოს ქმნის ფონს, რათა უფრო სრულყოფილად და მეტი სისავსით ექნას წარმოჩენილი მეფის სიღრმადე. მოვლენათა აღწერისას ავტორი იქვე აწვდის მკითხველს უხვი მხატვრული ხერხებით შემკულ თამარის დახასიათებას. ყოველი ასეთი შექება-შესხმა ჩართულია სათანადო ადგილას, პარამონიულად ერწყმის ნაწარმოებს და ქმნის ერთ მთლიან გამას, რომელშიაც მწერლის საოცარი გამჭირახობით ისტორია შეხვედბულია პიძნების, პავიოგრაფიისა და ოდა-შესხმის ზოგიერთ ელემენტთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიკოსის ალლო ძეგლის ავტორს სრულიადაც არ აკარგვიანებს ზომიერების გრძობას. ძეგლი თავიდან ბოლომდე ისტორიული თხზულების ტრადიციულ ჩარჩოშია მოთავსებული.

თხზულებას ძირითად ზოლად გასდევს მათიანესათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება: ფაქტების სიზუსტე, ისტორიულ მოვლენათა შეუღამაზებლად აღწერა, ისტორიულ პირთა საქმიანობის გადაცემა, სადაც სრულიად არ იგრძნობა არავითარი სიყალბე, არც მწერლის ფანტაზიის ჩართვა, ან რაიმეს მიკერძოებულად ვადმოცემის მცდელობაც კი.

ისტორიკოსი ცდილობს თამარი ყოველმხრივ შემკულ, სრულყოფილ პიროვნებად დახატოს. თამარი დიდებულია, უნაკლოა, და ამავე დროს თავმდაბალია, განსაკუთრებით კი სასულიერო პირებთან ურთიერთობაში, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის ღვთისმოსაობას. ტექსტში ნათქვამია: „მეგებოდა მათ (სასულიერო პირთ საეკლესიო კრებაზე — მ. ქ.) თამარ დიდითა სიმდაბლითა ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა“¹¹ და აგრეთვე: „თვთა დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არ მეფობით“¹².

თამარის სიბრძნისა და ორატორული ნიჭის გამომხატველია მის მიერ საეკლესიო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა. აღსანიშნავია ტექსტის მელოდიურობა, შიდა რითმები, რომლებიც მუსიკალურ ჟღერადობას აძლევს მას: „წმიდანო მამანო, თქვენ ღმრთისა მიერ გაჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად წმიდასა ეკლესიასა. და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათვს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გულარძნილი, იწყეთ ჩემ ზედა თუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის ბრძოლობისა, ნუ თუალსუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უღებ-პყოფთ სიმცირისათვს, თქუენ სიტყვთა, ხოლო მე საქმით; თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე ვანწურთით, ზოგადელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვენთ: თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“¹³.

¹⁰ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 38.

¹¹ ქც. II, გვ. 118.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

თამარის მემატანე განსწავლული პირია. მან კარგად იცის ბიბლიოგრაფიული საკითხები, მისი სულიერი მშვენიერებისა და სრულყოფის სურათს. ავტორი როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურის კარგი მცოდნეა.

თამარ — „არა ვერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერს თვისსა, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა და სიმართლითა, და უმანკოებითა და ვიითიანითა, სიმშვიდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვთა აბრამისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა, და სამართლითა მისისა მობაძავითა“¹⁴ და ამიტომაც — „ვითარცა მზე სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თვისთა შარავანდედთასა“¹⁵.

უნებურად გვახსენდება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფი:

„ვარღთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“¹⁶.

მეფის შედარება მზესთან ხშირად გვხვდება სახოტბო პოეზიაშიც:

„გემოზ თამარ მზესა, უმზესად ზესა მით, რომელ უცხო ხარ სახილველი, უკლებალ სათნი გვისკრობენ ღაწენი, გტურფობს მოხედვა, ბროლვარდობს ყელი“¹⁷.

ან კიდევ:

„განათლებულო, განახლებულო, განბრწინებულო მზეო ციერო, გაღაღებულო, გაღომებულო, კვლავ გოლიათო გულმობიერო...“¹⁸

თამარის მეორე ისტორიის ტექსტის ზოგიერთი აღგილი თავისი მუსიკალურობითა და შიდა რითმებით იამბიკოთა და საგალობელთა მსგავსად აღიქმება. თუ მათ ლექსის ფორმით წარმოვადგენთ, ასეთ სახეს მიიღებს:

თამარ

—„ისურვებდა და სასურველ იყო,
იწადებდა და საწადელ იყო,
იქებოდა და საქებელ იყო,
ნატრიდეს და სანატრელ იყო“¹⁹.

რადგან

„სახარებელ იყო თბრობათა შინა
და კდემულ განსწავლულობათა,
შემზებელ ღმობილობით და განმწურთელ სიტკობებით,
მგუემელ მოწყალებით და შემრისხველ თანაღმობით...“²⁰.

ანალოგიური შემთხვევის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანოთ, როდესაც თამარის ისტორიის ტექსტის შიდა რითმული დაყოფით მივიღეთ სასულიერო პოეზიის ქარგაზე აგებული საგალობელი. ამის ნათელსაყოფად თამარის ისტორიის ტექსტთან ერთად ჩვენ წარმოვადგენთ იოანე მინჩხის ერთ-ერთ საგალობელს:

14 ქც. II, გვ. 141.

15 იქვე, გვ. 147.

16 შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 40.

17 ჩახრუხაძე. თამარიანი, გვ. 193, სტრ. 50—70.

18 იოანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 208, სტრ. 97.

19 ქც. II, გვ. 148.

20 იქვე, გვ. 149.



„სიმდაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სინშიდე საქებელი, სიმქისე ჭეროვანი, ლობიერება მოწლე, მოწყალეობა თანა-ლობილი უმანკოება უზაკუელი, სახიერება ზოგადი, სიწრფეობა უსიცრუო, სიუხვე აღუზნავებელი“²¹.

„მეფეთა სიმტყეო, მთავართა დიდებაო, უძლურთა ძლიერებაო, მდაბალთა ამაღლებულო, გლახათა განმამდიდრებულო, სათნოდ სიგლახაკესა შინა

ივანე შენ სიბრძნითა სავსემ აართლ-განგებით მსაჯული, ობოლთა მწყალობელი, შემწემ დაწუნებულთაჲ და მსაჯული ქურციეთაჲ“²².

მხატვრული შედარების ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს თამარის დახასიათების ქვემოთ მოტანილი ადგილები ტექსტიდან:

თამარ „ყოველსა ზღუასა აღმოიწრედდა თვსად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი წვიმითა“²³.

თამარ „სანთელ იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუხველ, აღვრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზუდებთათვს, კანონი სირცხვისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვს“²⁴.

დრომ თამარის გონებასა და სიბრძნეს ვერა დააკლო რა: „არაოდეს მომედგარდა ჟამისაგან, არცა უდებ იქმნა ოდესცა განგებისათვს არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათვს, არა დაუმძიმა ერთომასა გონებისასა დამზიდველი რამე ჩუენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიმაღლესა განეყენა, არცა სიტკობება ჟამიერი უმოთნო ყო; ყოველი განზავა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოაჩინოს თავსა შორის თვსსა“²⁵. რამდენადაც თამარ მეფე ძლიერი და ბრძენია, იმდენად როგორც ქალი ნაზია. თუ ერთი მხრივ: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“²⁶, ან კიდევ „უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყუთა“²⁷, მეორე მხრივ, იგი ფაქიზ, კდემამოსილ მანდილოსნად გვევლინება, როდესაც წყდება მისი ქორწინების საკითხი გიორგი ოუსთან: „ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა“²⁸.

როდესაც თამარს სენი გამოაჩნდება, ავტორი მისი სილამაზის „ჩაქრობას“ მზის ჩასვლას ადარებს: „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად და ჰაერმან სხუად ფერად უფერულობა და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად და

21 ქც. II, გვ. 147.

22 იოანე მინჩხი. ქსენებად ღმრთივ-გურგუნოსანისა მეფისა თედოსი მორწმუნისა სასწაულთა მოქმედისაჲ, — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1946, გვ. 332, სტრ. 25, 27.

23 ქც. II, გვ. 148.

24 იქვე, გვ. 149.

25 იქვე, გვ. 148.

26 იქვე, გვ. 123.

27 იქვე, გვ. 125.

28 იქვე, გვ. 120.



თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმეს მიმართეს. კელთა მისა მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა იწყეს მოუძლორგანდ²⁹ ფერკთა მათ მარადის ღმრთისათვის მაშურალთა იწყეს შედრეკად: და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად ფერად იხილვებოდეს²⁹.

ტექსტში სხვა პერსონაჟებიც არიან დახასიათებული. თხზულების ავტორი ყოველი ახალი პირის შემოყვანისას აცნობს მას მკითხველს, მოკლედ, მაგრამ მაინც ამომწურავად ხაზს უსვამს მისი ხასიათის თავისებურებებს. ასეთებია — და ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი: — „ზრდილობითა კეთილად წურთილი, მკნე და მკედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშველდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოველიურთ სრული სიკეთითა“³⁰.

ანტონ საღირის ძე — დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით³¹.

ავტორს მიერ დახასიათებულნი არიან ნიკოლოზ გულაბერის ძე, ანტონ გლონისთავის ძე და სხვანი. მათი დახასიათებისას ნათლად იგრძნობა ავტორის დამოკიდებულება გმირისადმი, განურჩევლად იმისა, დადებითია იგი თუ უარყოფითი. მემბტიანის ტონი დამცინავია და ენაც გესლიანი, როდესაც ათაბაგ ბუბაქარს ახასიათებს: „ათაბაგმა ბუბაქარ აქო თვისი ღონე და ღონიერება, რამეთუ ჯნარტუსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“³², დაცინვით აღნიშნავს იგი.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს ძეგლში ბრძოლის სურათების აღწერა: „და-შთომილნი მათნი“ (იგულისხმება ის, ვინც თამარის ლაშქარს გადაურჩა — მ. ქ.), ვითარცა მელნი იმაღვოდეს და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს მიწათა შინა“³³.

„ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მკედარი“³⁴.

„ვითარ არწივთა მიმართეს და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს“³⁵.

„შემოკრბეს ვითარცა ვეფხნი სიციქასითა, და ვითარცა ლომნი გულითა“³⁶.

„ვითარცა იტყვან გძღარბისათვს ჯმელისასა, შვილ-მრავალ არს ცხოველი ესე და, რაჟამს იხილნეს ნაშობნი თვისნი მრავალად, გამოვალს ბუდით თვისით მართულებით და განაწყობს და გოდლოს მათ ზედა. ხოლო ეგრეთვე ყო ნუქარდინცა: იხილნა რა ფრიადი იგი სიმრავლე შეკრებულად, რომელი ზეშთა იყო რიცხვსა, აღზუავნა გულითა, მსგავსად სენაქერემისა, და ამაღლდა ღმერთსა ზედა, და არა შეშინა პირველთა მათ მზაკუართა ფიცთაგან და სიყუარულისა აღთქუმათა, არამედ ფრიად წინა-უქუმო განმზადა თავი თვისი და მოიწია ქალაქად სევასტიად, და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა“³⁷.

ამგვარად, განხილული ძეგლი მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მისი ავტორი, გარდა იმისა, რომ ღრმად განსწავლული პირია, მხატვრული სახეებით მოაზროვნე ქართული სიტყვის დიდოსტატია. ისტორიკოსი თხზულებაში წარმო-

29 ქც. II, გვ. 144.

30 იქვე, გვ. 112.

31 იქვე, გვ. 118.

32 იქვე, გვ. 127.

33 იქვე, გვ. 125.

34 იქვე.

35 იქვე, გვ. 127.

36 იქვე, გვ. 134.

37 იქვე, გვ. 133.

ჩნდება, როგორც პოეტური გაქანების და ფილოსოფიური სიღრმის მოღვაწე, რომლის ყოველ ფრაზაში გამოსჭვივის თამარისადმი უდიდესი სიყვარული და თაყვანისცემა. ისტორიკოსი ცდილობს სხვადასხვა ხერხით შეამკოს ქების ობიექტი: უხვია შედარებები, ეპითეტები. მხატვრული სიტყვის ძალა იგრძნობა როგორც საზეიმო, ასევე სამგლოვიარო ცერემონიალის აღწერისას. ამ ასპექტში იგი დგება თამარის მეხობებთან — ჩახრუხადისა და იოანე შავთელის გვერდით. ძველი იმავე ლიტერატურული წყაროებითაა ნასაზრდოები და იმავე ემოციებითაა დამუხტული, რაც გამოარჩევს ქართული კულტურის აღმავლობის ხანის საუკეთესო ნიმუშებს, ხოლო ასეთი სიახლოვე საშუალებას ვაძლევს განვიხილოთ თამარისადმი მიძღვნილი ეს ისტორია შესაბამის ლიტერატურულ კონტექსტში და გავიზიაროთ აზრი მისი ავთენტურობის შესახებ.

М. А. КАДАГИДЗЕ

«ЖИЗНЬ ЦАРИЦЫ ЦАРИЦ ТАМАР» В КОНТЕКСТЕ ФОРМИРОВАНИЯ ГРУЗИНСКОГО ХУДОЖЕСТВЕННОГО МЫШЛЕНИЯ

Резюме

Рассмотрен процесс взаимовлияния и взаимообогащения различных литературных жанров на примере древнегрузинского исторического памятника «Жизнь царицы цариц Тамар». Данный памятник вобрал в себя все художественные достижения эпохи расцвета грузинской письменности. В статье найдены и выявлены параллели в синхронных памятниках; показана роль сочинения «Жизнь царицы цариц Тамар» в формировании грузинского художественного мышления.

M. KADAGIDZE

THE LIFE OF THE QUEEN OF QUEENS TAMAR IN THE CONTEXT OF THE MAKING OF THE GEORGIAN ARTISTIC THOUGHT

Summary

The work reviews the process of mutual influence and mutual enrichment of different literary genres on the example of ancient historic monument „The Life of the Queen of Queens Tamar“. This monument symbolizes all artistic achievements of the golden age of Georgian literature.

In this article one can find parallels in synchronous monuments; it shows the role of the work „The Life of the Queen of Queens Tamar“ in the making of Georgian artistic thought.

წიგნი თორთლავი

ერთი სამონასტრო ტიპიკონის შესახებ

ჩვენამდე მოღწეულ მცირერიცხოვან ქართულ სამონასტრო ტიპიკონებს შორის არის ნაწყვეტი უცნობი მონასტრის განგებისა. იგი აღმოაჩინა სარგის კაკაბაძემ გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის საბუთებში (№ 32). ეს ყოფილა „ერთ ნაჰერ ტყავზე (ზომ-თ 58 1/2 X 20 სმ) ნუსხა-ხუცურით ნაწერი ტექსტი, რომელიც ძლიერ იყო დაზიანებული“¹. არშიაზე ჰქონია XVIII ს. ხელით მინაწერი: „წვიმაში გდებულიყო ქვევით ჯევში და მაგიერი ქალაღი კი მივეცეს აქ აღარას ეკმარებოდა“². მეორე გვერდზე დაწერილი იყო 1777 წლის შეწირულების წიგნი გარეჯის მონასტრისადმი.

ტიპიკონის ნაწყვეტი ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა 1914 წ.³ გამომცემელს ტექსტი დაუბეჭდავს შეუცვლელად, ისე, როგორც შეძლო მისი ამოკითხვა. ამ ნაწყვეტს თავი და ბოლო აკლია და თვით გადარჩენილი ნაწილიც საკმაოდ დაზიანებულია.

ძეგლი ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით ხელმეორედ გამოსცა ი. დოლოძემ⁴. გამომცემელი შეეცადა ზოგან აღედგინა შემორჩენილი ტექსტი, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ტექსტის მეტისმეტი ფრაგმენტულობის გამო, ასეთი აღდგენა სათუო და არასაიმედოა“⁵.

ტიპიკონის შედგენის თარიღი ამ ნაწყვეტში არ გვხვდება. მაგრამ, შემორჩენილი ფრაგმენტი, თავისი სიმცირის მიუხედავად, მაინც იძლევა საშუალებას, ძეგლის თარიღი გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოექცეს.

აქ მოხსენიებულია მეფე თამარი და იგი ტიპიკონის დაწერის დროს ცოცხალი უნდა ყოფილიყო: „რა ღიგვრგნოსნისა მეფეთა შს მეფეთა მეფისა თამარის ღღეგრძელობა... და შნდობა უფროსდ აღმატოს“⁶. ამავე დროს არის ცნობა ივანე მხარგრძელის შესახებაც: „ივანე მგარგრძლმნცა მსახრთუხუცესმნ დიდი სსზა და გლს მოღგნება აჩუშნა ამის დედისა ლსა მრთ“⁷. ამ ცნობებზე დაყრდნობით იქნა დათარიღებული ეს ძეგლი. ს. კაკაბაძე ზოგადად აღნიშნავდა, რომ „ტიპიკონი დაწერილი ყოფილა თამარ მეფის დროს,

1 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. 1, ტფ., 1914, გვ. 71.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 71—73.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლოძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 13.

5 იქვე, გვ. 1146.

6 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები..., გვ. 72.

7 იქვე.



მაშინ, როდესაც ივანე მხარგრძელი ჯერ კიდევ მსახურთუხუცესად ყოფილა⁸, მელიქსეთ-ბეგი ძეგლს XIII ს-ის დასაწყისით ათარილებს⁹ მხარგრძელთა ვარნი ამ ტიპიკონს ზოგადად მოიხსენიებენ, როგორც თამარის დროინდელს¹⁰. მხოლოდ ი. დოლიძე ასახელებს კონკრეტულ თარიღს — 1191—1212 წწ.¹¹ იგი თვლის, რომ 1191 წ. ივანე მხარგრძელი გახდა მსახურთუხუცესი, 1212 წ. კი — ათაბაგი, ე. ი. ტიპიკონის შედგენას ათარილებს ივანეს მსახურთუხუცესობის წლებით.

1212 წლის მიჩნევა ივანე მხარგრძელისაგან ათაბაგობის მიღების დროდ, სადავო საკითხია. როდესაც მკვლევარი ამ ძეგლის დასათარიღებლად იღებს 1212 წელს, როგორც ჩანს, იგი მეფე თამარის გარდაცვალების უფრო გვიანდელ თარიღს ეყრდნობა. თუმცა თამარის გარდაცვალების დროც სადავოა, მაგრამ მის შესახებ არსებულ შეხედულებებს შორის საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება ამ მოვლენის 1207 წლით დათარიღების ცდა. თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ ამ თარიღს და გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტიპიკონი თამარის სიცოცხლეშია დაწერილი, მაშინ ტიპიკონის შედგენა 1191—1207 წლებში უნდა ვივარაუდოთ.

რაც შეეხება ტიპიკონს, ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი მონასტრისა იყო ის. ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ ეს განგება ეკუთვნოდა სომხეთის ერთ-ერთ მონასტერს, რომელიც ბოლნისის ახლოს მდებარეობდა: „შესაძლებელია თვით ბოლნისისას, ან წულრულაშენისას“¹². ამ ნაწყვეტში ბოლნისი ორჯერაა ნახსენები: „ბოლნის საღვწეო დავდეით. ესე... ქარცებით ხუარბლი შოვიდოდეს და ბოლნისსა ღვწოჲ მოიღების“¹³. უმკველია, რომ ბოლნისი მონასტერთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ასევე, ცნობილია, რომ მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისა იყო. ამ ნაწყვეტში იგი რამდენჯერმე მოიხსენიება როგორც „ღედა ღმრთისა“.

როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს მონასტერი სამეფო ყოფილა: „ვითა წისა აქამდის პატრონი ღისა სწორნი, ლაშქარნი, სტუმრნი... გაუსტუმრებია, ვერეთვე აწ გაისტუმრებოდეს“¹⁴. ეპიტეტი „ღმრთისა სწორი“ მხოლოდ მეფესთან დაკავშირებით იხმარებოდა. ამიტომ, ამ მონასტრის პატრონად მხოლოდ მეფე შეიძლება ვიგულისხმოთ. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ მონასტრის პატრონი ივანე მხარგრძელია¹⁵.

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ტიპიკონის ბოლოსა და წარმოადგენს და „მონასტრის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ განკარგულებებს შეიცავს“¹⁶. მაგრამ ტიპიკონის ეს ნაწილი მხო-

8 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები, გვ. 71.

9 ლ. მელიქსეთ-ბეგი. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, 1, თბ., 1949. გვ. 80.

10 ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 1. — თხ. VI, თბ., 1982, გვ. 70; შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 258; შ. ბერძინიშვილი. მეფერთმეცე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ. თბ., 1979, გვ. 65.

11 ი. დოლიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 1146.

12 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები, გვ. 71.

13 იქვე. გვ. 72.

14 იქვე.

15 შ. ბერძინიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

16 ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. 1, გვ. 70.



ლოდ ეკონომიკურ საკითხებს არ ეხება. აქ გვხვდება ზოგიერთი კანონიკური წყვეტის დასაწყისში თავმოყრილი მთელი რიგი კანონებისა, რომელთა შორის აშკარად აღიარებულია მათგანის გარჩევა კარგად შეიძლება. მაგ. დასაწყისში არის კანონი, რომელიც, თუმცა ნაკლებია, მაგრამ ჩანს, რომ ის ეხება მხოლოდ ერთი მოძღვრის ყოლის უფლებას. ამას მოსდევს წესი მონაზვნისაგან დიაკონის დამჭირვის შესახებ. შემდეგ არის ორი კანონი, რომელთა გარჩევა კარგად იკითხება, რომ ორივე მათგანის დარღვევისათვის სასჯელი მონასტრიდან გაძევებაა. მათ მოსდევს წესი წინამძღვრის მიერ ძმათა გაგზავნის შესახებ¹⁷. ნაწყვეტის ბოლოს, სადაც შემდგენელი, როგორც ჩანს, აჯამებს ტიპიკონში ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებს, ლაპარაკია წინამძღვრისადმი მორჩილებისა და თვით წინამძღვრის მოვალეობების შესახებ¹⁸. ეს ტიპიკონი, როგორც მისი ავტორი მიუთითებს, საკმაოდ ვრცელი უნდა ყოფილიყო: „...ყოველ წესი და გნგებ ამს მონასტრისა სითრთ და საკცოამ ამს ტპიკონსა შა სდ და უნაკლულოდ დამიწერია“¹⁹.

საინტერესოა, ვინ უნდა იყოს ამ ტიპიკონის შემდგენელი. იგი თავის შესახებ პირველ პირში წერს: „ესე მეტი მით გნვაჩინე...“²⁰, „ბოლნის საღვწე დავდევით“²¹, „ტრაპეზისათს გნვაჩინეთ“²², „სდ და უნაკლულოდ დამიწერია“²³ და სხვ. მონასტრის პატრონი, ანუ მეფე თამარი ალბათ არ შეიძლება ავტორად მივიჩნიოთ, რადგან ტექსტში მის შესახებ მხოლოდ მესამე პირშია საუბარი. შემდგენელი არც ამ მონასტრის წარმომადგენელი ჩანს. მონასტრის წევრებს იგი ასე მიმართავს: „აგარკნი თქნი... შეუვალყენა...“⁴, „ხარკი და ბეგრი ამოგადა...“²⁴ და სხვ., რაც შეუძლებელს ხდის, ავტორი ამ მონასტრის მოღვაწედ მივიჩნიოთ. ასევე, ივანე მხარგრძელსაც ვერ ჩავთვლით წესდების დამწერად, რადგან შემდგენელი მას მესამე პირში მოიხსენიებს.

ამ ტიპიკონის ტექსტის მიხედვით, მისი შემდგენელი მხოლოდ ავტორი არ არის. ის მონასტრის სამეურნეო და ეკონომიკურ საკითხებსაც აგვარებს. მას დაუღია საღვინე, წესდებაში თვითონ იძლევა მონასტრის მეურნეობასთან დაკავშირებულ განკარგულებებს.

რადგან ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვა მწიგნობართუხუცესის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა, ამ მონასტრის, როგორც სამეფო მონასტრის მზრუნველადაც შეიძლება მწიგნობართუხუცესი ვიგულისხმოთ. გამორიცხული არ არის, რომ იგი ტიპიკონის შემდგენელიც ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ სამეფო კარის საგანგებო ყურადღება ამ მონასტრისადმი არ არის გასაკვირი — მონასტერს ეკისრებოდა ისეთი მოვალეობა, როგორცაა პატრონის, ანუ მეფის მასპინძლობა, რასაც ტიპიკონის ამ ნაწყვეტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

ტიპიკონის შემორჩენილი ნაწილი, თავისი სიმცირის მიუხედავად, შეი-

17 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები. გვ. 72.
 18 იქვე. გვ. 73.
 19 იქვე.
 20 იქვე. გვ. 72.
 21 იქვე.
 22 იქვე. გვ. 73.
 23 იქვე.
 24 იქვე. გვ. 72.



ქართული
საბჭოთაო
მეცნიერებათა
აკადემია

ცავს საინტერესო ცნობებს მონასტრის სამეურნეო ცხოვრების შესახებ. ის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მონასტრის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ეს ძეგლი აღსანიშნავია თუნდაც იმის გამო, რომ ქართულმა სამონასტრო ტიპიკონებმა ძალიან მცირე რაოდენობით მოაღწიეს ჩვენამდე და ყოველ მათგანს, მათ შორის ან ნაწყვეტსაც, ასეთ შემთხვევაში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

Н. Т. ТОРТЛАДЗЕ*

ОБ ОДНОМ МОНАСТЫРСКОМ УСТАВЕ

Резюме

Среди немногочисленных дошедших до нас грузинских монастырских уставов имеется фрагмент устава неизвестного монастыря. По содержащимся в этом отрывке данным его можно датировать 1191—1207 годами. Монастырь был царским, посвященным богородице. Он находился близ Болниси. Автор устава неизвестен. Фрагмент содержит сведения о социальной и экономической жизни монастыря.

N. TORTLADZE

ABOUT THE MONASTERY REGULATIONS

Summary

Among not numerous monastery regulations that reached our time there is a fragment of regulations of an unknown monastery.

According to the information obtained by this fragment it can be dated by 1191—1207 years. The monastery was a royal one, devoted to the Holy Virgin. It was situated not far from Bolnisi. The author of the regulations is unknown. The fragment contains information concerning social and economic life of the monastery.

ვარდან არმეელცი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ

ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანი როგორც საქართველოს, ისე საერთოდ კავკასიის ისტორიისათვის, რამეთუ ბაგრატიონები დიდ როლს თამაშობდნენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სომხეთის ისტორიაშიც. ბაგრატიონთა გვარის დაწინაურება იწყება ანტიკურ ხანაში. შემდგომში, აღრეულ შუა საუკუნეებში, ისტორიულ წყაროებში ბაგრატიონთა სახლი საქართველოსა და სომხეთში უდიდესი გავლენის მქონე საგვარეულოდ გვევლინება. ხოლო უფრო გვიან ბაგრატიონები მეფობას აღწევენ სომხეთსა და საქართველოში¹.

ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის საკითხი სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ე. თაყაიშვილის, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, მ. ლორთქიფანიძის ნაშრომებში. ბოლო დროს აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით შეეხო გ. მამულია. ამერიკელი მეცნიერის კ. თუმანოვის სტატიის პასუხად, რომელშიც ბაგრატიონთა დინასტია სომხურ წარმოშობისად არის მიჩნეული, ქართველი მკვლევარი დამაჯერებლად ასაბუთებს ბაგრატიონთა ქართულ წარმოშობას და ამ გვარის სიძველეს².

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და მისი შემდგომი აღზევების შესახებ. ეს მონაცემები ჭეროვნად არ არის შესწავლილი და, რაც მთავარია, არაა ჩართული ბაგრატიონთა გვარის შესახებ კვლევის საერთო კალაპოტში. ჩვენ ვცადეთ ვარდანის ცნობების შეჯერება წერილობით წყაროებთან, რაც ხშირად იძლევა განსხვავებებს, ადასტურებს, ზოგჯერ კი ავსებს კიდევ ბაგრატიონთა გვარის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალას.

უძველესი დროიდან კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა ლეგენდები, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში მდგომ პირთა კანონიერებას მათი ღვთაებრივი წარმოშობით ასაბუთებენ. აღმოსავლეთის ქვეყნებში აღრიდანვე იყო შემუშავებული სამეფო ხელისუფლების გაღმერთების თეორია. ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო ცოცხალი ადამიანის ღმერთად გამოცხადება. სამაგიეროდ, ქრისტიანობის ხანაში გავრცელდა თეორიები სამეფო საგვარეულოთა ღვთიური წარმოშობის შესახებ. ასევე იქმნება საქართველოშიც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვთიური წარმოშობის თეო-


¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 77.

² გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 134—146.



რია³. ლეგენდები ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ ასახულია ქართულ, ისე სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში. ქართული წერილობითი ძეგლების ჩვენება არ ეთანხმება ერთმანეთს, თუმცა არ არის ერთსულოვნება არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში.

კონსტანტინე პორფიროგენეტის გადმოცემით, „იბერიის კურაპალატები იჩემებენ, რომ ისინი ურიას ცოლის შთამომავალი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა. ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისგან, დავითთან რომ შეეძინა, და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისაც, რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი“⁴. შემდეგ ავტორი განაგრძობს, რომ მას ჰყოლია ორი ვაჟი: დავითი და სპანდიატესი. სპანდიატესი უძეოდ გარდაიცვალა. დავითის ვაჟი იყო ბაგრატი, ბაგრატის აშოტი, აშოტის აღარნასე. ამრიგად, კონსტანტინეს ცნობების მიხედვით, პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია ასე უნდა წარმოვიდგინოთ:



კონსტანტინე პორფიროგენეტს აშოტის ვეჟად დასახელებული ჰყავს აღარნასე, რაც სიმართლეს არ შეეფერება და რაც ძლიერ აბრკოლებდა მკვლევარებს. ამ შეცდომის გამო მ. ბროსე და ი. მარკვარტი ვერ ახერხებდნენ დასახელებული აღარნასეს პიროვნების გარკვევას⁵. ს. ჯანაშიამ ვარაუდით შემოიტანა შესწორება ამ სიის პირთა ადგილების შეცვლით⁶. ე. თაყაიშვილი კი აღნიშნავდა, რომ ეს შესწორება მიუღებელია, რადგან შეუძლებელია აშოტ კურაპალატის დავით წინასწარმეტყველის ძედ დასახვა, და ეს მართლაც ასეა. კონსტანტინე პორფიროგენეტის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ აღარნასე II კურაპალატი შევიღე კი არ იყო აშოტისა, არამედ შვილიშვილის შვილი. კონსტანტინეს გამორჩენილი აქვს ორი თაობა. ვარდან არეველცის სრულად მოაქვეს პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია და ამ ცნობათა საშუალებითაც ხდება შესაძლებელი კონსტანტინე პორფიროგენეტის მონაცემების შევსება-შესწორება. ვარდანი, რომელიც ბაგრატიონთა მამამთავრად აშოტს მიიჩნევს, ასეთ გენეალოგიას გვთავაზობს: „აშოტს ჰყავდა ორი ვაჟი: სუმბატი, სომეხ მეფეთა მამამთავარი, და ვასაკი, მამამთავარი ქართველ მეფეთა. მას ჰყავდა ვაჟი

³ მ. ლორთქიფანიძე. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 144—145.

⁴ ს. ყაუხჩიშვილი. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1955, გვ. 255—256.

⁵ Brosset M. Addition et éclaircissements à l'histoire de la Géorgie. 1849, გვ. 143; Marquart J. Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903, გვ. 401.

⁶ ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. — თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 71.



ადარნასე. მისი ვაჟი იყო აშოტი, აშოტისა ბაგრატი, რომლის ძმა იყო გუარამის შვილი მის შემდეგ დავითი, ბაგრატის ვაჟი, რომელიც მოკლულ იქნა თავისი ძმის გუარამის მიერ. დავითის ვაჟი იყო ადარნასე, რომლის ვაჟი იყო დავითი. შემდგომ მისი ძმისშვილი გურგენი, რომლის ძე იყო ბაგრატი, რომელმაც ცოლად შეირთო ვასპურაკანის მეფის სენეჭერიმის ასული⁷. ვარდანის ეს მონაცემები სავესებით ეთანხმება ქართულ წყაროთა ცნობებს. ამ შეცდომის გასწორების შემდეგ გენეალოგია ასე გამოიყურება: აშოტის შვილი იყო ბაგრატი I კურაპალატი, ბაგრატის შვილი დავით I კურაპალატი, ხოლო დავითისა ადარნასე II კურაპალატი.

ქართულ მწერლობაში პირველი ცნობა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ მოეპოვება გიორგი მერჩულეს. გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ ბაგრატიონს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“⁸.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ბაგრატიონთა გენეალოგიას ადამიდან იწყებს და მოჰყავს იგი ჯერ დავით წინასწარმეტყველამდე და შემდეგ დანის ძე სოლომონამდე, რომელსაც ვითომ ჰყოლია ტყვეობაში შექენილი შვიდი შვილი. ესენი წამოსულან პალესტინიდან და მოსულან სომხეთში ისტორიაში უცნობ რაქაელ დედოფალთან, რომელსაც ისინი მოუხნათლავს. სამი მათგანი სომხეთშივე დარჩენილა. ამ სამ ძმაში ერთს რქმევია ბაგრატი და იგი გამხდარა სომეხ ბაგრატიონთა მამამთავარი. დანარჩენი ოთხი ძმა წამოსულა ქართლს. ერთი მათგანი, სახელად გუარამი, ქართველებს თავიანთ ერისთავად დაუსვამთ. სწორედ მას თვლის სუმბატი ქართველ ბაგრატიონთა მამამთავარად⁹.

ლეგენდას ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობის შესახებ იცნობდა სომხური საისტორიო ტრადიცია. ეს ლეგენდა შემონახული აქვს იოანე დრასხანაკერტელის. ის აღნიშნავს, რომ „სომეხთა მეფე ვადარშაკმა ბაგრატი, რომელიც შამბათ ურისისაგან იყო და რომლის შესახებ ამბობენ დავითის ტომისა იყო, თავის გვირგვინისმდებლად დაამტკიცა“¹⁰.

ლეგენდები ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის შესახებ ასახულია სხვა სომხურ წყაროებშიც. ერთ-ერთი უძველესი ლეგენდა შემოინახა სებოსმა. იგი გადმოგვცემს, თითქოს ბაგრატიონთა გვარი მომდინარეობდეს სომეხთა ეპონიმური მამამთავრისაგან ჰაიკისაგან¹¹. ამ ცნობის წინააღმდეგია მოვსეს ხორენაცი. მისი აზრით, სომეხ ბაგრატიონთა მამამთავარია ნაბუქოდონოსო-

⁷ *Մեծին Վարդանայ Բարձրբրգբայ պատմիչն տիեզերական, Մուսկա*, 1861, էջ 111. Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. О. Эмина, М., 1861, с. 78 (ქვემოთ: ვარდან).

⁸ გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. თბ., 1949, გვ. 40.

⁹ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, — ქართლის ცხოვრება, ტ. 1. ტექსტი დაღვენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 372—373; სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ტექსტი გამოსცა. გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გ. არახამიაშ, თბ., 1990, გვ. 41.

¹⁰ იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, თარგმანი ილ. აბულაძის, თბ., 1937, გვ. 3.

¹¹ *Պատմիչն Իսրայիլ, աշխ. 9. Իրապրկանի, Նրեկան*, 1979, էջ 7, 10, 177. Себеос. История Армении, под ред. К. П. Патканова, СПб., 1862, с. 7. 10.



რის მიერ სომხეთში დატოვებული ებრაელი ტყვის შამბატის ვაჟი ბაგრატონი¹² საყურადღებოა ვარდანის ცნობა, რომელიც ბაგრატიონთა სახლს ეკუთვნის. მეფე დინასტიის ფუძემდებელ ფარნავაზთან აკავშირებს. ფარნავაზს ბაგრატიონებთან დაკავშირებით ახსენებენ სებეოსიც და მოვსეს ხორენაციც, მაგრამ განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სებეოსი ჰაიკოსა და მისი მემკვიდრეების მოღვაწეობის შესახებ საუბარს შემდეგ აღნიშნავს, რომ ასურელთა დედოფალმა შამირამმა ბრძოლაში მოკლამშვენიერი არა და დაეუფლა სომხეთს. ამის შემდეგ სომხეთში ასურელები ბატონობდნენ. სომხები აჯანყდნენ და გაათავისუფლდნენ მათი უღლისაგან. მათ მეფედ მოველინათ ზარეპი, მის შემდეგ მეფობდა სარმოგი, მის შემდეგ სარპანგი. შემდეგ შავაში, მის შემდეგ ფარნავაზი. იგი დაემორჩილა ნაბუქოდონოსორს¹³.

ვარდანი მოგვითხრობს, რომ „[არამმა] შვა მშვენიერი არა, რომელიც დაიღუპა შამირასაგან და დასტოვა ვაჟი ანუშავანი... მასთან მოვიდნენ სენეჭერიმის ვაჟები და პატივცემულ იქნენ პარუირის მიერ, რომლის მემკვიდრე გახდა მისი შვილი ჰრაჩე, რომელიც იყო ნაბუქოდონოსორთან იერუსალიმში და მოიყვანა სომხეთში თავისთან ერთად შამბატი, რომლისგანაც წარმოიქმნა ბაგრატუნთანა გვარი. ჰრაჩეს შემდეგ იყო ფარნავაზი“¹⁴. ვარდან არეველცისთან, როგორც აგრეთვე მოვსეს ხორენაციისთან, ფარნავაზი არის „ფარნუაზ“ (*Փարնուազ*) ფორმით, მაგრამ მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ აქ იგივე „ფარნავაზი“ უნდა იგულისხმებოდეს¹⁵.

სებეოსთან ფარნავაზი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის თანამედროვეა. ი. მარკვარტი სპეციალურად იკვლევდა ამის მიზეზს და ასკვნიდა, რომ აქ ალბათ აირეკლა კავკასიაში იბერთა გადმოსახლების შესახებ ნაბუქოდონოსორის მიერ გავრცელებული წარმოდგენა. რადგან ქართლის სამეფოს ფუძემდებლად ქართული ტრადიციის მიხედვით ფარნავაზია აღიარებული, ხოლო ქართველები ქართლში ნაბუქოდონოსორმა მოიყვანა, ამიტომ ფარნავაზი ნაბუქოდონოსორის თანამედროვე უნდა ყოფილიყო¹⁶. ვარდან არეველცისთან და მოვსეს ხორენაციისთან ჰრაჩეს მოსდევს ფარნავაზი. ისინი ჰრაჩეს და არა ფარნავაზს ასახელებენ ნაბუქოდონოსორის თანამედროვედ. ამ ავტორებთანაც ფარნავაზთან კავშირში ჩანს ნაბუქოდონოსორი და სომხეთში ბაგრატუნთა გამოჩენაც ამ ეპოქას უკავშირდება. გ. მელიქიშვილის აზრით, სებეოსის ვარიანტი მკვეთრად გამოიჩენს ბაგრატიონთა საგვარეულოს მამამთავრის როგორც სომეხთა, ისე ქართველთა მმართველ დინასტიებთან, მათ ლეგენდარულ მამამთავრებთან დაკავშირების სურვილით. გადმოცემის ამგვარი მოდიფიკაცია

¹² Մովսես Խորենացի պատմության Հայոց, Տիֆլիս, 1881, էջ 102. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდულაჟი. თბ., 1984, გვ. 102 (ქვემოთ: მოვსეს ხორენაცი).

¹³ სე ბ ე ო ს ი, გვ. 10.

¹⁴ ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 23.

¹⁵ Эмил Н. О. Династический список Хайкидов в истории Армении: Моисей Хоренского, М., 1884, гв. 22; Langlois V. Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, I. Paris, 1867, гв. 198.

¹⁶ Marguart J. Die genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Pr. Moses Xorenaci. — „Caucasica“, 6. Leipzig, 1930, гв. 70.

ბაგრატიონების ან მათთან ახლო მდგომ წრეში უნდა მომხდარიყო¹⁷. ამგვარი ვარდან არეველცის ცნობები ეთანხმება და ამაგრებს სომხურ წყაროთა მონაცემებს ბაგრატიონთა საგვარეულოს ქართლის უძველეს მმართველ ფარნავაზთანა დინასტიიდან წარმოშობის შესახებ.

ყოველი საგვარეულო სახლის წარმოშობა საძიებელია იმ ადგილის მკვიდრ ტომში, რომელიც მათ პირველსაცხოვრის წარმოადგენდა. წყაროთა მონაცემებით, ბაგრატიონთა გვარის მამული სპერში ჩანს. მ. ხორენაცის ცნობით, არტაშეს I (189—161) მმართველობის ხანის ცნობილი მხედართმთავრის სუმბატ ბიერიტიანის (ბაგრატიონის) მამული სპერში იმყოფებოდა¹⁸. სუმბატ ბიერიტიანი ბაგრატიონთა სახლის პირველი რეალური ისტორიული პირია. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვარდანი: „(აშოტ) კბაძედა თავის წინაპარს სუმბატ ბიერიტის ძეს, მთავარს სუმბატავანისა, რომელიცა ციხე სპერის მხარეში“¹⁹. ამრიგად, ვარდანიც ბაგრატიონთა პირველსაცხოვრისად სპერს მიიჩნევს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშოტ მსაკერ ბაგრატუნს (806—826) სუმბატ ბიერიტიანის შთამომავლად თვლის. ვარდანის ამ ცნობას ეთანხმება ფავსტოს ბუზანდი, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს სპერს, როგორც ბაგრატიონების სამშობლოს. აქ იყო, მისი გადმოცემით, მათი გამაგრებული ქალაქი სუმბატავანი, აწენებული სუმბატ ბიერიტის ძის მიერ²⁰. ამრიგად, ვარდანისა და სხვა სომხური წყაროების მონაცემებით, სუმბატ ბიერიტიანის მამული სპერი იყო, ე. ი. წარმოშობით სუმბატ ბიერიტიანი (ანუ ბაგრატიონები) ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარიდან არის.

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ გვაწვდის ცნობებს პირველ ბაგრატიონთა ქართლში მოსვლის შესახებ და გვეხმარება ჭუანშერის მონაცემების გარკვევაში. ჭუანშერის ცნობით, არჩილის (736—786) მეფობის დროს „პიტიახში ვინმე არ შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა“²¹. ჭუანშერის მიერ მოხსენიებულ „პიტიახში ვინმეს“ განმარტავს ვარდანი და მათ 806—826 წწ. სომხეთის ცნობილი მთავრის აშოტ მსაკერ ბაგრატუნის სახლად წარმოგვიდგენს. მ. ბროსესა და გ. მამულიას დაკვირვებითაც ჭუანშერის ამ ცნობაში ბაგრატიონთა სახლი უნდა იგულისხმებოდეს²², რადგან ვარდანის ცნობით: „(აშოტმა) (იგულისხმება აშოტ მსაკერს ბაგრატუნს — ე. კ.) ააშენა კამახი და აქ დაასახლა თავისი სახლულები“²³. ხოლო უფრო ადრე ვარდანისვე მოთხ-

17 გ. მელიქიშვილი. ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ წყაროებში. — მაცნე, № 3, 1967, გვ. 46.

18 მოცესეს ხორენაცი, გვ. 71.

19 ვარდანი, გვ. 107.

20 *Фавстос Бузанди, պատմություն Հայոց, Վենետիկ, 1914, էջ 47.*

21 ჭუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 244.

22 Brosset M. Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie, 1849, p. 159; გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 137—143.

23 ვარდანი, გვ. 105.



რობით, ბაგრატიონთა მფლობელობაში სხვა ტერიტორიებთან ერთად, ²⁴ კონსტანტინოპოლის გავარი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობდა კამახის ტყე.

ამრიგად, ჭუანშერის მიერ მოხსენიებული „პიტიაშნი ვინმეს“ ერთი ნაწილი კლარჯეთში არ შეუშვეს და ტაოში წავიდა. ახლა რა ბედი ეწია მეორე ნახევარს? ჭუანშერის ამ ცნობის გარკვევაში გვეხმარება ვარდანი.

ჭუანშერის ცნობით, „გარდამოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსა ე-დრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელიც იყო ნათესავისგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელის ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა (დედანში წერია დისწული; „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში შესწორებულია ძმისწული; ე. თაყაიშვილის აზრით, აქ უნდა იყოს ძისწული, რაც მისაღებად მიგვაჩნია), რომლისა მამა მზახებელ იყო ბაგრატიონიანთაგან და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხთისასა, და ტყვეობასა მას ყრუისა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისასა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა. და მისცა შულავერი და არტანი“²⁵.

თუ ვინ იყო ის ადარნასე, რომელიც მოსულა არჩილ მეფესთან და უთხოვია მისგან ქუეყანა, ამას გვიამბობს ვარდანი: „აქ უნდა ვთქვათ სომეხთა და ქართველთა მეფობის დასაბამზე, რომელიც ბაგრატუნებისაგან მომდინარეობს. როგორც ზემოთ ითქვა, მამაცი ვარდანის შემდეგ სომეხი უფლისწულები შემთხვევით ინიშნებოდნენ სუმბატ ბაგრატუნამდე. მის შემდგომ მოდის ვასაკის ვაჟი აშოტი, რომელიც დააბრმავეს მამიკონიანებმა. მას ჰყავდა ორი ვაჟი: სუმბატი — სომეხ მეფეთა მამამთავარი და ვასაკი, მამამთავარი ქართველ მეფეთა. მას ჰყავდა ვაჟი ადარნასე. მისი ვაჟი იყო აშოტი, აშოტისა ბაგრატი, რომლის ძმა იყო გუარამი. მის შემდეგ დავითი, ბაგრატის ვაჟი, რომელიც მოკლულ იქნა თავისი ბიძის გუარამის მიერ. დავითის ვაჟი იყო ადარნასე, რომლის ვაჟი იყო დავითი. შემდგომ მისი ძმისწული გურგენი, რომლის ძე იყო ბაგრატი, რომელმაც ცოლად შეირთო ვასპურაკანის მეფის სენეკერიმის ასული. ასეთია თანმიმდევრობა“²⁶.

ამრიგად, ვარდანის ცნობათა საშუალებით ირკვევა, რომ ჭუანშერის მიერ მოხსენიებული ადარნასე ქართლის ცნობილი ერისმთავრის აშოტ დიდი კურაპალატის მამა იყო. ადარნასე კი შვილიშვილი იყო სომეხთა მთავრის აშოტ ბაგრატუნის. აქ სწორდება ჭუანშერის შეცდომა. ის სწორად აღნიშნავს ადარნასეს ჩამომავლობას ბრმა წინაპრიდან, მაგრამ ეს ბრმა წინაპარი აშოტ ბრმა და არა ადარნასე ბრმა²⁷. აშოტ ბაგრატუნი ვარდანის გადმოცემით მამიკონიანებმა დააბრმავეს. მას ჰყავდა ორი ვაჟი: სუმბატი და ვასაკი, ხოლო ადარნასე, რომელმაც არჩილს მფარველობა სთხოვა, ვასაკის ძე იყო. ამრიგად, პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია ასეთია: აშოტ პატრიკიოსი — ვასაკი — ადარნასე, არჩილ II-ის ვასალი — აშოტ I დიდი კურაპალატი.

ამრიგად, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“ ბაგრატიონთა წარ-

²⁴ Marquart J. Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, s. 404; Honigmann E. Die Ostgrenze des byzantinischen Reiches, 1935, s. 220.

²⁵ ჭუანშერი, გვ. 244.

²⁶ ვარდანი, გვ. 111.

²⁷ გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, გვ. 141.



მოშობის შესახებ არსებულ ცნობათა კვლევისა და მათი შეჯერების შედეგად შეიძლება წერილობით წყაროებთან დგინდება: ა) ბაგრატიონთა საგვარეულო უძველესი საქართველო დინასტიიდან ფარნავაზიანებიდან მომდინარეობს; ბ) ბაგრატიონთა პირველსაცხოვრისი იყო სპერი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე; გ) ვარდანის თხზულება გვეხმარება ჯუანშერის ცნობათა გარკვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

Э. Г. КВАЧАНТИРАДЗЕ

ВАРДАН АРЕВЕЛЦИ О ПРОИСХОЖДЕНИИ РОДА БАГРАТИОНИ

Резюме

Изучение истории рода Багратиони важно как для истории Грузии, так и для истории всего Кавказа. «Всеобщая история» Вардана Арвелци, армянского историка XIII века, содержит значительные сведения о происхождении и дальнейшем продвижении рода Багратиони, подтверждает, а иногда дополняет сведения других источников по данному вопросу.

В итоге изучения сведений Вардана Арвелци устанавливается: а) Багратиони происходят от древнегрузинского царского рода Парнавазианов; б) местом их происхождения является Спери, — древнейший грузинский край; в) «Всеобщая история» дает возможность выявить анахронизмы в сочинении грузинского историка, автора жизнеописания Вахтанга Горгасала в «Картлис цховреба».

E. KVACHANTIRADZE

VARDAN AREVELTSI ABOUT THE BAGRATIONS' PROVENANCE

Summary

The study of the history of the Bagrations is important as for the history of Georgia as well as for the history of the whole Transcaucasia. „The World History“ by Vardan Areveltsi, an Armenian historian of the XIII century contains important information on the provenance and extension of the Bagration family. „The World History“ confirms and sometimes completes the evidence contained in other sources on this issue.

After studying information by Vardan Areveltsi we can determine: а) the Bagrations descent from the ancient Georgian Royal family of the Farnavazians; б) the place of their provenance is Spери, ancient region of Georgia; в) „The World History“ makes it possible to find anachronisms in the work of the Georgian historian, author of the biography of Vahktang Gorgasali in „Kartlis Tskhovreba“.

მზია სურგულაძე

კოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულები
ქართველ მეფეთა ტიტულატურაში

მეფეთა წოდებულება¹ (intitulatio) უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია საბუთის ტექსტში მეფეთა იურიდიული უფლებების გავრცელების არეალის შესასწავლად. საინტერესო ინფორმაცია ამ თემაში ჩადებული ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებულ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებზე, მათ იდეოლოგიურ წანამძღვრებზე და ისტორიული რეალობისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართებაზე.

წოდებულების შინაარსი, მისი გამოსახვის საშუალებები: სტერეოტიპული გამოთქმები, ფორმულები, თვით სინტაქსური კონსტრუქციები არ არის უცვლელი XI—XV საუკუნეთა მანძილზე. აქ უნდა გავავლოთ ზღვარი XIII საუკუნის ბოლო ათეულ წლებზე, რომლის შემდგომ ხანებში ამ თემათა გამოხატვის განსხვავებული წესები მკვიდრდება.

საქართველოს მეფეთა ტიტულატურის პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები, ასევე ამ თემის გამოსახატავად გამოყენებული დიპლომატიკური სტრუქტურები საფუძვლიანად არის შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ გვაინტერესებს საკითხის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი.

XI—XIII საუკუნეებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ზუსტად შეესაბამებოდა საქართველოს მეფის პოლიტიკური ძალეუფლების რეალურ შინაარსს². ამ საუკუნეებში ყალიბდება მეფეთა ტიტულატურის პოლიტიკური ფორმულა, რომელიც თითქმის უცვლელად გადადის მომდევნო საუკუნეებში. ტიტულატურაში ასახულია ის ისტორიული რეალობაც, რომ ერთი სახელმწიფოს უფლებების ქვეშაგაერთიანებული პოლიტიკური წარმონაქმნები „საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში კვლავინდებურად ცოცხლობენ... გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წყობილება ადგილობრივი და სათემო თავისებურებების დაცვის პრინციპზე იყო დამყარებული“³. ამავე ეპოქაში დამკვიდრებული წარმოდგენა, რომლის თანახმადაც საქართველოს მეფობა ღვთის ნების გამოხატულება იყო, ასახვას ჰპოვებს პოლიტიკური ტიტულატურის დასაწყის ფორმულაში „ნებითა ღმრთისაათა“. ქართველ მეფეთა ტი-

¹ ეს ტერმინი შემოიღო ი. ჯავახიშვილმა. იხ. „ქართული დიპლომატიკა“, ტფ., 1926, გვ. 94.

² ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. — თბ., VII, თბ., 1984, გვ. 88—94. შ. ბადრიძე. დავით დიდი ტაოელი. — თსუ შრომები 8—9: № 155—156; თბ., 1974; ი. ანთელავა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 103, 104.

³ ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, გვ. 93.



ტულატურა მხოლოდ პოლიტიკური ფორმულისაგან არ შედგება, მასში შეტანილია თანებულია მეორე ფორმულაც, რომელსაც პირობით კულტურულ-საქართველოებრივი შეიძლება ვუწოდოთ. ამ ფორმულაში ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვა მოდის გეოგრაფიულ ცნებებზე: „აღმოსავლეთი“, „დასავლეთი“, „ჩრდილოეთი“ და ერთიანი საქართველოს გამოხატველ ტერმინზე — „ყოველი საქართველო“. ეს ფორმულა ნაირნაირი ვარიანტებით არის წარმოდგენილი, რომლებიც თანაბრად საინტერესოა მისი შინაარსის დადგენისათვის. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ამ ფორმულის ვარიანტთა ნუსხას XI—XIV საუკუნეების საბუთების მიხედვით.

- | | |
|---|---|
| 1170 წ. გიორგი III: შიომღვიმე, | ...აღმოსავლისა და ჩრდილოსა მფლობელისაჲ... |
| 1187 წ. თამარი: გელათი, | ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელმან... |
| 1195/1196 წწ.: მღვიმე | ...ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა... |
| 1207/1222 წწ. გიორგი IV: — ქვათახევი | ...ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით-მპყრობელისა... |
| 1211/1212 წწ. შიომღვიმე | ...ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელისაი... |
| 1261/1262 წწ. დავით რუსუდანის ძე: ხეფინ-სხევი | ...ყოველისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა |
| 1271/1272 წწ. გელათი | ...ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან... |
| 1287/1288 წწ. დავით და ვახტანგ მეფეები — ვახტანგ თულაისძე | ...ყოველისა აღმოსავლეთისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა კელმწიფედ მპყრობელი. |
| 1297/1298 წწ. დავით მეფე — ჭარმახული | ...ყოველისა საქართველოსა კელმწიფედ მპყრობელისა |
| 1338 წ. გიორგი V — ივანე თორელ-ჯავახიშვილი | ...ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი... |
| 1377 წ. გიორგი VII — გუგუნი მაცაშვილი | ...სრულსა საქართველოსა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა კელმწიფედ ფლობით-მპყრობელსა... |

მოტანილი ამონაწერების მიხედვით შემდეგი ვარიანტები დგინდება: 1. აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი, 2. აღმოსავლეთი და დასავლეთი, 3. ყოველი საქართველო და ჩრდილოეთი, 4. ყოველი აღმოსავლეთი, საქართველო და ჩრდილოეთი, 5. ყოველი საქართველო. სრულიად აშკარაა, რომ ფორმულის ყოველ კომპონენტს ერთმანეთის თავისუფალი შენაცვლების უნარი აქვს. ე. ხოშტარიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეს ცნებები ერთმანეთს ცვლის ტიტულატურაში და ეს მოვლენა ახსნა „დადგენილი ფორმულის დარღვე-



ვად“, ან „გადამწერთა დაუდევრობად“. ძირითადი და სწორი გამოუყენებელი მხარით, არის „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“⁴.

ტერმინი „აღმოსავლეთი“ ქართული სამყაროს აღსანიშნავად ხშირად იხმარება ქართულ საისტორიო წყაროებში. თ. ჟორდანიას, როგორც ეს თეოფილე ხუცესმონაზონის ანდერძზე დართული კომენტარიდან ჩანს, „აღმოსავლეთი“ ესმოდა, როგორც საქართველო⁵. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ეს ტერმინი დადასტურებულია დავით კურაპალატის დროიდან⁶. შედიოდა ბაგრატ III-ის ტიტულატურაში ვ. კოპალიანის აზრით, „აღმოსავლეთი“ კურაპალატების ტიტულატურაში ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა. ტერმინში იგი დებს კონფესიურ შინაარსს. „ყოველი აღმოსავლეთი“ უნდა ნიშნავდეს მართლმადიდებელ ყოველ საქართველოს⁷. უფრო ადრე ასეთივე კონფესიური შინაარსი დაინახა ამ ტერმინში ს. ჯანაშიამ. „აღმოსავლეთი“ ნიშნავს აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სამყაროს⁸. შ. ბაღრიძეს „აღმოსავლეთის“ გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოდ ესმის: „რაც შეეხება მთელ აღმოსავლეთს, იგი შეესაბამება კავკასიური და მცირე აზიური ტერიტორიების ერთობლიობას, რომელიც განიხილებოდა არა როგორც ბიზანტიური აღმოსავლეთი, არამედ როგორც საერთოდ აღმოსავლეთი. უფრო მეტიც, ქართველთა გაგებით, ესაა აღმოსავლეთი, რომელიც მათი ხმლითაა დაპყრობილი და მათივე უნდა იყოს“. ამასთანავე მკვლევარი ფიქრობს, რომ თვით ტერმინი თავისი პოლიტიკური შინაარსით ბიზანტიის პოლიტიკურ წრეებში უნდა გაჩენილიყო და აღმოსავლეთის ტერიტორიების მიმართ ბიზანტიის პოლიტიკურ პრეტენზიებს გამოხატავდა. ქართველთა აზრით კი, აღმოსავლეთი ბიზანტიურ დასავლეთთან დაპირისპირებული სამყაროა, რომელიც „შედარებით სტაბილურად კუთვნილ ოლქებთან ერთად მოიცავდა უზარმაზარ მხარეებსაც“⁹. არსებითად აღმოსავლეთის შინაარსის ასეთ გაგებას იზიარებს ი. ანთელავაც და რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში დამოწმებულ გიორგი II-ის ტიტულს — „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა კესაროსი“ — ხსნის, როგორც დასავლეთის (ე. ი. ბიზანტიის) მემკვიდრეობის დაუფლებამზე პრეტენზიას¹⁰. დასავლეთის მიმართ ქართველთა პოლიტიკური პრეტენზიების შესახებ დასკვნა, ჩვენი აზრით, ემყარება ტერმინ „აღმოსავლეთის“ არასწორ ინტერპრეტაციას. აღმოსავლეთი, რა თქმა უნდა, ნიშნავს საქართველოს, როგორც ფიქრობდნენ ს. ჯანაშია და ვ. კოპალიანი, მაგრამ განსხვავებით ამ უკანასკნელის შეხედულებისაგან, მიგვაჩნია, რომ „აღმოსავლეთი“ ოფიციალურ ტიტულატურაში შედიოდა ჯერ კიდევ კურაპალატების დროს. ჩვენი აზრით, „აღმოსავლეთი“, მართალია, მეფეთა ტიტულატურაში შედის, მაგრამ სრულიად არ არის აუცილებელი, რომ იგი პოლიტიკური შინაარსის ტერმინი იყოს. პოლიტიკური ფორმულა ტიტულა-

4 ე. ხ. შტარია. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. — მრავალთავი VI, თბ., 1978, გვ. 191.
 5 თ. ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა I, ტფ., 1982, გვ. 229.
 6 შ. ბაღრიძე. დავით დიდი ტაოელი, გვ. 83.
 7 ვ. კოპალიანი. „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის საკითხისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1972, № 3, გვ. 174.
 8 საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1948, გვ. 219—220.
 9 შ. ბაღრიძე. დავით დიდი ტაოელი, გვ. 83, 86.
 10 ი. ანთელავა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 103.



ტურაში ცალკე არსებობს „აფხაზთა, ქართველთა, რანთა“ და ა. შ., რომელთა წინააღმდეგ სწორედ ქართველ მეფეთა პოლიტიკური უფლებების არეალს მოხატვა. ეს ფორმულა თავისი სტრუქტურით „დაყოფადია“, ანუ ცალკეულ პოლიტიკურ წარმონაქმნებზე არსებული უფლებების კრებითობას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიანი საქართველო ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში გიორგი მერჩულასეული „ფრიადი ქვეყნების“ პოლიტიკური გაერთიანებაა. ხოლო „აღმოსავლეთი“ მთლიანი, განუყოფელი ცნებაა, რომელიც სარწმუნოებრივ ერთობას გულისხმობს. იმავე მერჩულასეული სიტყვით: „პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიპრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ... მიპრონისა კურთხევად ქართლს განაწესა...“¹¹ სწორედ ეს „აღმოსავალი“ განმარტებული, როგორც პოლიტიკურად „ფრიადი ქვეყნები“, რომლებიც ენისა და სარწმუნოების ნიშნით არის „ქართლი“ ანუ საქართველო. ამ ძეგლში „აღმოსავალი“ სარწმუნოებრივ-კულტურული ნიშნით გაერთიანებული საქართველოა. მეფეთა ტიტულატურაშიც აღმოსავლეთი ჩვენი თვალსაზრისითაც ნიშნავს ერთიან, განუყოფელ, მართლმადიდებლურ საქართველოს, ანდა საქართველოს როგორც სარწმუნოებრივ-კულტურულ ერთობას. საქართველო აღმოსავლეთად, რა თქმა უნდა, ბიზანტიისთან მიმართებაში არის გააზრებული, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ქართველ მეფეთა ტიტულატურის თავდაპირველ ვარიანტში ტერმინი „დასავლეთიც“ მოსალოდნელად ჩავთვალოთ. აღმოსავლეთთან ერთად ფორმულის თავდაპირველ ვარიანტში, ან, შესაძლოა, მის ნაცვლად უნდა ყოფილიყო „ჩრდილოეთი“ და არა „დასავლეთი“.

„ჩრდილოეთის“ შინაარსში გასარკვევად მნიშვნელოვანია სვეტიცხოვლის საბუთები, რომლებშიაც ჩრდილოეთი ისევეა გააზრებული, როგორც მეფეთა ტიტულატურაში. პირველად ეს ტერმინი გვხვდება მელქისედეკის დაწერილში: „ესე დაწერილი მოვაქსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უადრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წმიდასა კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა...“¹². ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა ჯამოთქმა „ჩრდილოეთის კედარი“, რომელიც სვეტიცხოვლის ეპითეტად არის გამოყენებული. ეს ეპითეტი ძალზე გავრცელებულია XV საუკუნის სვეტიცხოვლის საბუთებში¹³. „ჩრდილოეთის კედარის“ პარალელურად იხმარება მისი სემანტიკური ვარიანტები: „საქართველოსა კედარი“¹⁴, „ყოვლისა საქარველოსა და აღმოსავლეთისა კედარი“¹⁵. ამ ჯამოთქმათა ადგილისა და ფუნქციის მიხედვით ტექსტში სრულიად ნათელია, რომ „საქართველოს კედარი“, იგეგვა, რაც „ჩრდილოეთის კედარი“ და „აღმოსავლეთის კედარი“. ამჟამად ვარიანტერესებს „ჩრდილოეთის“ საქართველოდ გააზრების საფუძველი. საკითხის გამოსარკვევად საინტერესოდ გვეჩვენება ქართლის მოქცევის ისტორიასთან დაკავშირებულ თხზულებებში სიტყვა „ჩრდილოეთის“ მნიშვნელობა: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნინოს მარშრუტს წარმოგვიდგენს, როგორც სამხრეთიდან ჩრდილოეთით სვლას. „ნინო... წარმოემართა მათათა კერძო ჩრდილო-

11 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 290.
 12 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, თბ., 1984, გვ. 22.
 13 სსცსა 1449—1484, 1449—1486.
 14 სსცსა 1449—1525.
 15 ხელნაწ. ინსტ. Hd—1352.



სათა. და მივიდა მდინარესა მტკუარსა, მიჰყვა და მოვიდა მცხეთა¹⁶ და ვეგოგრაფიული ორიენტაცია და ცული ლეონტი მროველისეულ¹⁷ რებაშიც „ხუდა წილითა მით (ლაპარაკია ქრისტეს სამოსელზე) ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა“¹⁷. „მოქცევაში“ ქართველთა ნათესავის ქვეყანა მხოლოდ ჩრდილოეთია. მაყლოვანში დამკვიდრებული ნინო ფიქრობს: „და მე ვპოვე ცთომასა შინა ჩრდილოასა ესე ქუეყანაა“¹⁸. საბერძნეთიდან მოყვანილი მთავარბისკოპოსიც მირიან მეფესთან საუბრისას მცხეთას „ჩრდილოს ქალაქს“ უწოდებს. იერუსალიმში მყოფ ნინოს ძილში გამოცხადებული ღვთისმშობელი ეუბნება: „წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარებად ძისა ჩემისაა“¹⁹, ქრისტეს კვართის ქართლში სიმბოლური შემოტანისა და ქართველთა განმანათლებლის მიერ განვლილი გზა ერთმანეთს ემთხვევა სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) ჩრდილოეთამდე (მცხეთამდე). ქართველთა საქრისტიანო ჩრდილოეთია იერუსალიმის მიმართ. ასეა ეს გააზრებული ძეგლში. ამავე დროს ლეონტი მროველისეულ ნინოს ცხოვრებაში ჩრდილოეთი იგივეა, რაც აღმოსავლეთი. ნინო ეკითხება სარა ნიაფორს: „სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადათ-იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილხუდა და წარიდეს საწმოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი? მიუგო და რქუა სარა ნიაფორმან, ეთარმედ: „არს აღმოსავლეთით ქალაქი სახელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხთისა...“²⁰. როგორც ჩანს, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ლეონტი მროველისათვის ტოლფარდი ტერმინებია, მაგრამ მცხეთის მიმართ თავდაპირველად („მოქცევაში“) მხოლოდ „ჩრდილოეთი“ იხმარება. „ჩრდილოეთის კედარი“ არის სვეტიცხოველი, რამდენადაც იგი ქართლის (= ჩრდილოეთის) უპირველესი საყდარია. ვფიქრობთ, ზედმეტია ვამტკიცოთ, რომ ეს ტერმინი არ არის პოლიტიკური შინაარსისა არც სვეტიცხოვლის მიმართ (ჩრდილოეთის კედარი) და არც ქართლის მოქცევის ციკლის ნაწარმოებებში. „ჩრდილოეთი“ რეალურ-გეოგრაფიულ პლანში საქართველოა, კულტურულ-სარწმუნოებრივი ასპექტით — ისევე საქართველო, როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლური სამყარო. ასე რომ ჩრდილოეთი იგივეა, რაც აღმოსავლეთი. ამ ორი ტერმინის იდენტურობა დამოწმებულია ლეონტი მროველთან. ასეთივე მნიშვნელობით არის ეს ტერმინები მეფეთა ტიტულატურაში. გიორგი III-ის საბუთში „ჩრდილოეთი“ და „აღმოსავლეთი“ ერთად არის წარმოდგენილი ფორმულაში. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ამ სახით ჩამოყალიბდა იგი. განსხვავება ამ ორი ტერმინის სემანტიკაში მხოლოდ მორიენტირებელი ცენტრების (იერუსალიმი, ბიზანტია) მიმართ დამოკიდებულებაში ძვეს.

თამარის საბუთებიდან მოყოლებული ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურაში შემოდის ცნება „დასავლეთი“. როგორც ჩანს, საბუთების სიმცირით აიხსნება ეს გარემოება, ისე კი მოსალოდნელია, რომ „დასავლეთი“

16 შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 322.
 17 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 78.
 18 შატბერდის კრებული, გვ. 322.
 19 იქვე, გვ. 323.
 20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 79.



ადრეც შედიოდა ტიტულატურაში, რადგან უკვე გიორგი II, „რუს-ურბანის“
 ძეგლისწერის“ მიხედვით, „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესარისა“
 „დასავალი“ ქართულ წყაროებში ბიზანტიას ეწოდება, მაგრამ ბიზანტიაც
 კულტურულ-სარწმუნოებრივი არეალის მნიშვნელობით შემოდის და არა პო-
 ლიტკურის. არ იქნებოდა სწორი ტერმინთა შერჩევისას ერთი ფორმულის
 ფარგლებში კრიტიკიუმი სხვადასხვა შინაარსეულ სიბრტყეზე გვეძებნა. „და-
 სავალი“ ბიზანტიის მიმართ იმასვე ნიშნავს, რასაც „აღმოსავალი“ და „ჩრდი-
 ლოეთ“ საქართველოს მიმართ. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ამ ელემ-
 ენტის გაჩენა მართლაც გარკვეულ პრეტენზიას გულისხმობს, მაგრამ არა
 პოლიტიკურ პრეტენზიას, როგორც ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი²¹, არა-
 მედ კულტურულ-სარწმუნოებრივი გათანაბრებისა და ტოლობისას. ასეთი
 გათანაბრების ტენდენცია კარგად არის ცნობილი X—XIII საუკუნეების ქარ-
 თული მწერლობის ძეგლებიდან, ასეთი იდეა დამკვიდრებულია საზოგადოებ-
 რივ ცნობიერებაში და ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი გამოიხატა
 ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც, როგორც ოფიციალური თვალსაზრისი.
 ქართველ მეფეთა რეალური პოლიტიკური მიღწევები და, შეიძლება, პოლიტი-
 კური პრეტენზიებიც ასახულია ტიტულატურის პოლიტიკურ ფორმულაში,
 ზოლო საქართველოს და ქართველ მეფეთა კულტურულ-სარწმუნოებრივი რო-
 ლი ხაზგასმულია ტიტულატურის მეორე ფორმულაში, რომელიც გეოგრაფიუ-
 ლი ცნებებით არის შედგენილი.

ამ ფორმულის ვარიანტები უჩვენებენ, რომ გეოგრაფიული ცნებები შეიძ-
 ლება ჩაენაცვლოს გამოთქმას — „ყოვლისა საქართველოასა“. ეს, რა თქმა უნ-
 და, არავითარ შეცდომად ან აღრევად არ შეიძლება ჩაითვალოს²², რადგან
 ერთმანეთის ადგილს იკავებს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები, რომელთა
 თავისუფალი მონაცვლეობა ფორმულის აზრს არ ცვლის. კულტურულ-სარ-
 წმუნოებრივი ფორმულა პოლიტიკური ფორმულის შინაარსს კი არ იმეორებს,
 არამედ ავსებს მას. მხოლოდ ორივე ერთად წარმოადგენს საქართველოს მეფის
 სრულყოფილ ტიტულს.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ძლიერების დაცემა, სახელმწიფოს
 ორ ნაწილად გაყოფა (XIII ს. II ნახ.) ტიტულატურის აღნიშნულ პოლიტიკურ
 და სარწმუნოებრივ ფორმულებში არ ასახულა. ეს ფორმულები არსებითად
 არ შეცვლილა XV საუკუნის გასულამდე. პოლიტიკური ტიტულატურა რეა-
 ლურ ისტორიულ ვითარებას ამ დროს უკვე აღარ ასახავს, მაგრამ მაინც გა-
 ნაგრძობს არსებობას უკვე განსხვავებული ფუნქციით. ფეოდალური საზოგა-
 დოებისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი ორიენტაცია წარსულზე. სი-
 ნამდვილის „სასარგებლოდ“ წარსულის ყავლგასული მოვლენების სწრაფი და-
 ეიწყება არ ხდება, წარსული განაგრძობს არსებობას როგორც აზროვნებითი
 კატეგორია და მას მეტი მნიშვნელობაც აქვს საზოგადოებრივ ფასეულობათა

21 ი. ანთელავა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 103.

22 ასე მიიჩნია ე. ხოშტარისა. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 191. მეფეთა ტიტულატურის
 „ყოვლისა საქართველოასა“ იგივე შინაარსის ტერმინია, რაც აღინიშნა, VI—VII საუკუ-
 ნეების „ყოვლისა ქართლისა“. მის სემანტიკაში ძირითადად არის მიჩნეული სარწმუნოებრივი
 ნიშანი და ის შემკრები როლი, რომელიც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ყოველი ქართლის
 „შეკრებაში“ ითამაშა. იხ. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამო-
 კვეთითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 181—186.



სისტემაში, ვიდრე სინამდვილეს²³. ასეთი ზოგადი დამოკიდებულება წინააღმდეგობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტიტულატურის განსხვავებას, რომელიც განსაზღვრავს საბუთთა ტექსტებშიც ზოგიერთი მყარი ენობრივი ტერმინების არსებობას და მათ შორის ტიტულატურის ფორმულისასაც. თქმული არ ნიშნავს იმას, რომ ტიტულატურაში მიმდინარე პროცესები სულ არ აისახებოდა. სარწმუნოებრივ-კულტურული ფორმულა XV საუკუნის საბუთებში ყველა ძველი ვარიანტით გამოიყენება. ამასთანავე ჩნდება ახალი ვარიანტიც „აღმოსავლეთიდან ვიდრე დასავლეთამდის“²⁴. ასეთი ცვლილება ფრაზის კონსტრუქციაში არ შეიძლება არ დავუკავშიროთ ბიზანტიის კულტურული როლის დაცემას აღმოსავლეთისათვის. ძველი პოლიტიკური ფორმულის გვერდით ადგილს იკავებს ახალი პოლიტიკური ფორმულა, რომელშიც ასახვა ჰპოვა XIII ს. შემდგომ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უმთავრესმა მომენტმა, კერძოდ, სახელმწიფოს დაშლამ ორ სამეფოდ და შემდგომმა ხელახალმა გაერთიანებამ. ეს არის „ორისავე სამეფოს“ ან „ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის“ ტახტის მპყრობელობის ფორმულა. ამ ფორმულის ვარიანტები ძალზე ბევრია²⁵. მაგრამ ყველა დადის ამ ორ ძირითად ვარიანტზე. „ლიხთ-იმერი“ და „ლიხთ-ამერი“ იგივეა, რაც ორი სამეფო და ორი ტახტი. ეს ფორმულა, მოსალოდნელია, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს უნდა გაჩენილიყო, მაგრამ მოღწეულ საბუთთაგან პირველად 1393 წ. გიორგი მეფის სიგელში დასტურდება.

ვერ დავეთანხმები მტკიცებას, რომ საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის დაკანონების საფრთხემ წარმოშვა ტიტულატურაში ცნება „ყოველი საქართველო“, როგორც ქვეყნის გაერთიანებისაკენ მისწრაფების გამოხატულება²⁶. „ყოველი საქართველო“ იგივეა, რაც „ყოველი აღმოსავლეთი“ და ამ მტკიცების საილუსტრაციოდ მოხმობილი დავით ნარინის საბუთი არ გამოდგება, რადგან იგივე მეფე თავის მეორე საბუთში „ყოველისა საქართველოს“ ნაცვლად ხმარობს გამოთქმას „ყოველისა აღმოსავლეთისა“.

საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ახალი ფორმულა („ორისავე ტახტი“) თანარსებობს ძველი პოლიტიკური ფორმულის (აფხაზთა, ქართველთა...) გვერდით. ასე რომ, XIV—XV საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულატურამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს ორჯერ გაერთიანების ხსოვნა შეინარჩუნა. ამ ფორმულათა შემადგენელი ელემენტები, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნების აღმნიშვნელები, ნაწილობრივ მაინც განსხვავებულ აზრობრივ დატვირთვას იძენენ („ლიხთ-იმერი“ ახალ ფორმულაში ფარავს „აფხაზთა“-ს, ხოლო „ლიხთ-ამერი“ მოიცავს ძველი პოლიტიკური ფორმულის ყველა დანარჩენ წევრს).

„ორისავე სამეფოს“ ფორმულაში არეკლილია ის ვითარებაც, რომ საქართველოს ხელმეორე გაერთიანება მოხდა აღმოსავლეთ საქართველოდან. ფორმულაში აღმოსავლეთ საქართველოს ლიხთ-ამერი ეწოდება, დასავლეთს ლიხთ-

²³ Гуревич А. Я. Проблемы генезиса феодализма в западной Европе, М., 1970, с. 190.

²⁴ სსცა: 1449—1516, 1449—1519, 1461—14/20, Od—9001, 1446—1242, Hd—1347, 1449—301, 1449—1531, 1449—1230, 1449—1518, Hd—1348, 1448—5027...

²⁵ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები... II, ტფ., 1897, გვ. 200, სსცა: 1449—1512, 1442—1513, 1449—1650, ხელნაწ. ინსტ. H—1055, Ad—6, ქრონიკები II, 287. Sd—2892, Ad—1504. სსცა: 1449—1175, 1448—5016, 1449—1523, 1449—1520, 1449—1523, 1448—5016.

²⁶ ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა..., გვ. 193.



იმერი. ლიხთ-იმერი ისეთივე პოლიტიკური შინაარსის ტერმინია, როგორც „აფხაზთა“ (თვით იმერთა მეფეები თავიანთ ტიტულატურაშიც არ ცვლიდნენ ორიენტაციო სიტყვებს. „ლიხთ-იმერი“ მათთვისაც დასავლეთ საქართველოა). მხოლოდ შემდგომში ხდება ამ ტერმინის („იმერთა“) გეოგრაფიულ ცნებად გადაქცევა.

XV ს-ში გავრცელებულია მეფეთა წოდებულების მარტივი და სრული ვარიანტები. სრულ ვარიანტებში მოცემულია განხილულ ფორმულათაგან ყველა (ორი პოლიტიკური ფორმულა და ერთი სარწმუნოებრივი) ან არსებული სამიდან რომელიმე ორი. მარტივი ტიტულატურის ნიმუშებია „მეფემან“ ან „მეფეთა-მეფემან“ (ასეთი ტიტულატურა ხშირია ალექსანდრე დიდის საბუთებში). სრული ტიტულატურა ჩვეულებრივ საეკლესიო შეწირულების საბუთებშია წარმოდგენილი. ვეაქვს ერთი შემთხვევა, როცა მარტივი ტიტულატურა მხოლოდ რეალურ იურიდიულ უფლებას შეესატყვისება, „კახეთისა მეფემან გიორგი“ ასე იწყება გიორგი მეფის (VIII) 1446 წლის სიგელი²⁷.

XV ს. მეფეთა ტიტულატურას ახასიათებს მეფის პერსონისათვის შექმნილი ეპითეტების სიჭარბე. „ღმრთივ-გვირგვინოსანი“, „ღმრთივ-ზეციით-გვირგვინოსანი“²⁸ და ა. შ. ეს ეპითეტები, ვფიქრობთ, მეფეთა კურთხევის ცერემონიალის სიტყვიერი სიმბოლოებია. ამავე ხანებში ვრცელდება მეფისა და მისი ოჯახის წევრების ეპითეტად სოციალური ტერმინი „პატრონი“²⁹.

XV—XVIII სს. განმავლობაში კვლავ განაგრძობს არსებობას ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა, მაგრამ მის პარალელურად ფეხს იკიდებს ცალკეულ სამეფოთა მეფეების რეალური იურიდიული სტატუსის ამსახველი ფორმულებიც. ამასთანავე ტიტულატურაში ყოველთვის აღსახებოდა ყოველგვარი პოლიტიკური ცვლილება ქართულ სამეფოთა საზღვრებს შორის³⁰.

ნატყუარ სასისხლო სიგელებში ხშირად არასწორად არის შედგენილი მეფეთა ტიტულატურა. ყალბისმქმნელებს, როგორც ჩანს, წერილობითი ნიმუშები ყოველთვის ხელთ არ ჰქონდათ და უფრო ზეპირი ცოდნა გააჩნდათ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შედგენილიყო ფორმულარი. სწორედ ამიტომ ასეთ სიგელებში დაშვებულია უწიგნურობის შეცდომები, განსაკუთრებით ტექსტის იმ ნაწილებში, რომლებიც უკვე ტრადიციული წესით იქმნებოდა და რეალურ სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამებოდა. ასეთი თემათაგანია მეფეთა ტიტულატურა. სამაგიეროდ, ტიტულატურის ფორმულაში დაშვებული შეცდომებია ავლენენ იმ შინაარსობრივ ცვლილებებს, რომლებიც განიცადეს ფორმულებში ადრე დამკვიდრებულმა ცნებებმა. ყალბი დოკუმენტების შემდგენლები, რა თქმა უნდა, ცალკეულ ცნებებში თავიანთი დროისათვის შესაფერის მნიშვნელობებს დებდნენ. ეს ითქმის ზემოთ განხილულ ორივე ფორმულაზე. „გეოგრაფიული ფორმულა“, რომელიც „ღმოსავლეთის“, „დასავ-

27 ლაი H 6, 2—4.
 28 სსცსა: 1461—14/207, 1449—1483. 1449—1524, 1449—1171, 1449—1621.
 29 ხელნაწ. ინსტ. H—2830, 151. Hd—1055, Ad—2050, Ad—1498, სსცსა 1449—777, 1449—1567.
 30 დაწერილებით XV—XVIII სს. ქართველ მეფეთა ტიტულატურის შესახებ იხ. შ. ბერძენიშვილი კრებულში „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, გვ. 78—94.
 31 ჯ. ოდიშელის ქართული სასისხლო სიგელები როგორც ისტორიული წყარო. 1964. ხელნაწერი.
 32 ქუთაისის მუზეუმი, № 591.
 33 ქუთაისის მუზეუმი, № 1650.



ლეთის“ და „ჩრდილოეთის“ კომბინაციისაგან შედგება, უმრავლეს შემთხვევაში სწორადაა გადმოცემული სასისხლო სიგელებში. გვხვდება ისეთი შემთხვევა, რომელიც ამ ფორმულის ერთგვარ განმარტებას შეიცავს. ეს არის თოდოსძეთა სიგელი, ხელის მიხედვით ჯ. ოდიშელი მას ათარილებს XV ს-ით³¹. საბუთის შემდგენს გეოგრაფიული ფორმულის შინაარსი გახსნილი აქვს, როგორც ყოველი საქრისტიანო: „...აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოულისა საქრისტიანოსა პირველდასაბამითგან და ვიდრე უკუთნისამდისა ნებითა ღმრთისათა ხელმწიფედ ფლობით მპყრობელმან...“³² სხვა საბუთში ეს ტერმინები საბუთის შემდგენს გეოგრაფიულ ცნებებად გაუგია და შეუვსია ტერმინით „სამხრეთი“. „აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრის და ჩრდილოეთის... მეფემან...“³³ უფრო ძლიერი შინაარსობრივი ცვლილება განუცდია „აფხაზთა“, „ქართველთა“ და ა. შ. ცნებებს, პოლიტიკური ფორმულის შემადგენელ ელემენტებს. ეს ფორმულა მრავალ სასისხლო საბუთში განერკთილია ქართველური და საერთოდ კავკასიური სატომო სახელებით. აქ შემოდის ისეთი ეთნონიმები, როგორცაა „ჯიქთა“, „ალანთა“, „სომეხთა“, „აფხაზთა“ (ეს უკანასკნელი უკვე განსხვავდება თავისი შინაარსით სწორი ფორმულის „აფხაზთაგან“). სასისხლო სიგელების ამგვარად დამახინჯებულ ფორმულებს საფუძვლად სახელმწიფოებრივი შეგნების დამცრობა და ტომობრივი ფსიქოლოგიის გაქტიურება უდევს. მეფეთა ტიტულატურის პოლიტიკური ფორმულა უკვე ეთნიკური შინაარსით იტვირთება. ასეთ ფორმულებში ხშირად აღრეულია ელემენტთა ჩამოთვლის რიგიც. ფორმულის წევრები სრულიად თავისუფლად გადაადგილდებიან: „...რანთა, კახთა, აფხაზთა, ქართველთა, ჯიქთა, სვანთა, მესხთა, შანშე და შარვაშთა“³⁴. „აფხაზთა, ქართველთა, ჯიქთა, ალანთა, კახთა, სომეხთა მეფე, შენშე, შარვანთა...“³⁵, „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, ჯიქთა, ალანთა მეფე, შანშე შარვანშე...“³⁶, „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, სუვან-ბერძენთა, სომეხთა და ქართველთა, ჯიქთა და ალანთა მეფე“³⁷, „აფხაზთა, კახთა, სომეხთა და ქართველთა, ჯიქთა და ალანთა მეფე“³⁸, „მეფე შარვაშთა, შანშე, რანთა, კახთა, ბერძენთა, სომეხთა, სვანთა“³⁹.

ტიტულატურის ცალკეული ცნებები ამ ფორმულათა ავტორებს ესმით, როგორც ეთნიკურ დაკუთვებათა აღმნიშვნელი ტერმინები და არა როგორც პოლიტიკურ ერთეულთა ისტორიული სახელწოდებები. იგივე შეეხება ტერმინს „აფხაზთა“. სასისხლო სიგელების ტიტულატურაში „აფხაზთა“ დასავლეთ საქართველოს სამეფოს — „ლიხთ-იმერს“ აღარ უტოლდება შინაარსით, როგორც ეს არის ჯერ კიდევ XV საუკუნის საბუთების ოფიციალურ ტიტულატურაში. რადგან ტიტულატურის შემადგენელი ტერმინები პოლიტიკური შინაარსისაგან უკვე დაცლილი იყო, ისინი აღიქმებოდნენ ეთნონიმებად, ამიტომაც ზდება მისი „შეცნება“ ყველა შესაძლო ეთნონიმით.

34 ქუთაისის მუზეუმი, № 59.

35 სსცსა 1448—5036.

36 ქუთაისის მუზეუმი № 1639.

37 სსცსა 1448—5040.

38 ქუთაისის მუზეუმი № 875.

39 ქუთაისის მუზეუმი № 1607.

ПОЛИТИЧЕСКАЯ И КУЛЬТУРНО-РЕЛИГИОЗНЫЕ ФОРМУЛЫ
 В ТИТУЛАТУРЕ ГРУЗИНСКИХ ЦАРЕЙ

Резюме

Отдельные элементы политической формулы титулатуры грузинских царей (царь абхазов, картвелов, ранов...) отражают политическую целостность Грузии, но эта целостность делима, ибо достигнута объединением отдельных политических образований. В XIV веке, после того как страна была заново объединена, появляется новый вариант политической формулы титулатуры (царь Лихт-имери — за Лихским хребтом и Лихт-имери — до Лихского хребта). Следовательно, в XIV веке по своему политическому содержанию Абхазети и Лихт-имери были понятиями равнозначными.

С точки зрения трансформации содержания политической формулы заслуживают внимания дипломатические «ошибки», допущенные в так называемых грамотах выкупа крови при составлении царской титулатуры. Привлекает внимание то, что термин «авхазта» в грамотах выкупа крови XV в. воспринят как этноним. Подобные ошибки, допущенные в титулатуре царей в грамотах выкупа крови, являются явным свидетельством падения в феодальном обществе государственного самосознания и усиления племенной психологии, что наряду с феодальным партикуляризмом предшествовало распаду единой Грузии.

Культурно-религиозная формула царской титулатуры (царь востока, севера, запада...) выражает неделимость грузинского православного мира как единого целого. В формуле термин «север» обозначает христианскую Грузию. Такое значение «севера» берет начало в сочинениях цикла обращения Картли, в которых «севером» названа Мцхета, т. е. место, куда христианская вера проникла с юга (Иерусалима). В грузинских сочинениях термин «восток» также часто употребляется для обозначения православной Грузии, но в семантике данного термина подчеркивается географическое расположение Грузии с православным западом — Византией. Термин «запад» в означенной формуле появляется позже (к концу XII века), чем указанные выше два термина. В работе он оценивается как выражение тенденции культурно-религиозного уравнивания с Византией.

M. SURGULADZE

 POLITICAL, CULTURAL AND RELIGIOUS FORMULAS IN
 THE TITLES OF GEORGIAN KINGS

Summary

Each element of the political formula of the titles of Georgian kings (king of Abkhazians, Kartvels, Rans...) reflects political integrity of Georgia. But this integrity is divisible, it is attained by the union of separate political formations.



In the XIV c. since the country was reunited, a new variant of the political formula (king of Likht-Imeri — beyond Likh mountain ridge and Likht—Ameri till Likh ridge).

Consequently, in the XIV c. Abkhazeti and Likht-Imeri were equivalent to their political meaning.

From the point of view of transformation of substance of the political formula diplomatic „mistakes“ made in composition of royal title in deeds of ransom of blood of the XV c. are worth of attention. It should be noted that the term „abkhazta“ in the deeds of ransom of blood of the XV c. is taken as ethnonym. Such „mistakes“ in the titles of kings in deeds of ransom of blood clearly witness the degradation of state self-consciousness and reinforcement of tribal psychology in feudal society. All this, together with feudal particularity preceded disintegration of united Georgia. Cultural religious formula of the royal title (king of the East, the North, the West) expresses indivisibility of Georgian Orthodox world as one whole. The term „the North“ in the formula means the christian Georgia. Such meaning of „the North“ originates from the works of the cycle of „Conversion of Kartli“ in which „the North“ is used to describe Mtskheta — the place, where christianity penetrated from the South (Jerusalem).

— In the Georgian works the term „the East“ is also often used for the Orthodox christian Georgia, but with the meaning of present term geographical situation of Georgia, vis-a-vis orthodox Western Byzantium is underlined. The term „the West“ in the formula appears later (at the end of the XII c.) than the above mentioned two terms. In the present work it is assessed as an expression of the trend of cultural, religious equalization with Byzantium.

ნანა ბელაშვილი

შაჰ თამაზ I-ის (1524—1576) ანდერძის საკითხის გარკვევისათვის

სეფიანთა ირანში შაჰ თამაზ I-ის (1524—1576) ზეობის მიწურულს სამეფო ტახტის პრეტენდენტთა ორი დაჯგუფება გამოიყვეთა: ერთი მათგანი ისმაილ-მირზას გამეფებას უჭერდა მხარს, ხოლო მეორე დაჯგუფება დედით ქართველ ჰეიდარ-მირზას. მართალია, შაჰ თამაზის უფროსი ვაჟი მუჰამედი იყო, მაგრამ იგი თითქმის უსინათლო იყო და ამის გამო მას ტახტის პრეტენდენტად არავინ თვლიდა. მომდევნო იყო ისმაილი, რომელიც ამ პერიოდში ციხეში იმყოფებოდა.

სპარსული და ევროპული წერილობითი წყაროების თანახმად, შაჰ თამაზს თავის მრავალრიცხოვან შვილებს შორის გამორჩეულად უყვარებია ჰეიდარი; იგი მუდამ გვერდით ჰყავდა, სახელმწიფო საქმეების გარჩევას და გადაწყვეტასაც ხშირად მას ანდობდა ხოლმე. ამასთანავე, სხვა უფლისწულებისაგან განსხვავებით, მას შაჰის სასახლეში ცხოვრების უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული. სპარსული ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის აზრით, ჰეიდარმა შაჰის ნდობა იმით დაიმსახურა, რომ ყველაფერს მამის სურვილისამებრ აკეთებდა¹. ირანის სამეფო კარზე მყოფი ვენეციელი ელჩის ვინჩენცო დ'ალესანდრის (რომელიც 1571 წ. ჩავიდა ირანში) აღწერილობით, ჰეიდარი ტანმორჩილი, მეტად ლამაზი ყმაწვილი იყო, თავის ასაკთან შედარებით (იგი იმ დროს 18 წლის იყო) ძალიან სერიოზული, ჰკვიანი, გამჭირაბი და სახელმწიფო საქმეების შესანიშნავი მცოდნე, ამასთან ერთად, უფლისწული კარგი მოჭირითაც ყოფილა, ურთიერთობაში ტკბილმოუბარი და თავაზიანი. ყოველივე ამის გამო იგი სამეფო კარზე ყველას უყვარდა, განსაკუთრებით კი მამას, მხოლოდ დასა და ძმებს სძულდათ იგი².

შაჰ თამაზის გამორჩეული სიყვარული ჰეიდარის მიმართ, ალბათ, გარკვეულწილად მისი დედის — ქართველი სულთან ზადე ხანუმის მიმართ არსებული გრძნობებით იყო განპირობებული. ირანელი მკვლევარი ნასროლა ფალსაფი საგანგებოდ აღნიშნავს მის დიდ გავლენასა და ავტორიტეტს ირანის სამეფო კარზე. მისი სიტყვით, ჰეიდარ-მირზას დედა, რომელიც ქართველი იყო, შაჰს ყველა სხვა ცოლებზე მეტად უყვარდა. სულთან ზადე ხანუმი ქართველ სარდალთა მეშვეობით, რომლებსაც სამეფო კარზე დიდი ძალა და გავლენა გააჩნდათ, თავისი ვაჟის გასამეფებლად ამზადებდა ნიადაგს³. მართლაც, ჰეი-

¹ თარხ-ე ალამ-არაი-ე აბასი, თალიფ-ე ისქანდერ ბეგ თორქემან, I, თეჰრან, 1335, გვ. 133.

² A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVIIth and XVIII th Centuries, vol. I. London. 1939. p. 44—45.

³ ნასროლა ფალსაფი. ზენდევანი-ე შაჰ აბას-ე ავალ, I, თეჰრან, 1334, გვ. 17.



დართან და სულთან ზადე ხანუმთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა მისი მხარე ალზევეებულ მათ ქართველ ნათესავეებს. თომაზო მინადოს ცნობით, ჰეიდარის თავისი ნათესავეების (დედის მხრიდან) ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ესენი იყვნენ: ზაალ-ხანი, ფირ მოჰამედი, აყთა ჰუსეინი და სხვები⁴. ამასთან ერთად, ჰეიდარის გამეფებას მხარს უჭერდნენ: უსთაჯლუს ყიზილბაშური ტომი, შეიხავენდის, ყაჯართა და თალიშის ტომთა ამირების დიდი ნაწილი.

რაც შეეხება სამეფო ტახტის მეორე პრეტენდენტს ისმაილს, მან უკვე 14 წლის ასაკში თავი ისახელა ბრძოლებში და მამაცი მეთაურობის სახელი მოიპოვა. 1556 წ. შაჰ თამაზმა ისმაილი პერსიის მმართველად დანიშნა. იქ ისმაილი აქტიურად ჩაება სახელმწიფო საქმეებში და მალე ყველა საკითხს თვითნებურად და დამოუკიდებლად წყვეტდა. უფლისწულის თვითდაჯერებულობა და ალზევება უკვე სახიფათო ზღვარს აღწევდა, რამაც ისედაც ეჭვებით შეპყრობილი შაჰ თამაზი კიდევ უფრო შეაშფოთა. სწორედ ამიტომ მან გადაწყვიტა თავგასული შვილის ვნებათაღელვა დროზე მოეთოკა და იგი ალამუთის ციხეში გამოეკეტა. ისმაილმა იქ 19 წელი და 6 თვე დაჰყო. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, ისმაილი უმადურობას იჩენდა მამის მიმართ თავისი საქციელით და ამის გამო შაჰის ბრძანებით იგი ციხეში აღმოჩნდა. ისმაილის დატყვევების შესახებ ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან ევროპული წერილობითი წყაროები⁵.

ისმაილის გამეფების მომხრეები მთლიანად ყიზილბაშები იყვნენ, გარდა ჩერქეზებისა, რომლებსაც აქტიურად ეხმარებოდნენ შაჰ თამაზის ჩერქეზი ცოლები და მათი შვილები. მათ შორის უმთავრესს როლს ასრულებდა შაჰ თამაზის ქალიშვილი (დედით ჩერქეზი) ჰკვიანი და ცბიერი ფერისხან ხანუმი.

ირანის სამეფო კარზე იმ ხანად შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სამეფო ტახტის ორ სავარაუდო პრეტენდენტთაგან, უპირატესობა თითქოს ჰეიდარის მხარეზე იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მუდამ მამის ახლოს იმყოფებოდა, ქართველების ძლიერი დაჯგუფებაც მხარში ედგა; ისმაილი კი შორეულ მთებში, ციხეში იყო გამოკეტილი. ამის გამო ყიზილბაშური ტომთა ბელადები ჩერქეზებთან ერთად ყველა ღონეს მიმართავდნენ, რათა ძალთა თანაფარდობა ისმაილის სასარგებლოდ შეცვლილიყო.

ამკარაა, რომ ქართველები და ჩერქეზები უკვე იმდენად იყვნენ გაძლიერებულნი ირანში, რომ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამეფო კარზე პირველობის მოსაპოვებლად. გამარჯვება კი მას ხედებოდა წილად, ვინც თავის კანდიდატურას აიყვანდა სეფიანთა სამეფო ტახტზე. აღსანიშნავია, რომ და-

⁴ თომაზო მინადო, ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსთ შორის, ტურინი, 1588. იტალიურიდან თარგმნილი პატრი ლაზარე გოზალიშვილისა (საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. კ. კვეციანის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q-149), ფ. 12; ანალოგიური ცნობა დონ ხუან სპარსელის ნაშრომში, იხ. Don Juan of Persia a Shiah Catholic 1560—1604. Translated and Edited with an introduction G. Le Strange, London, 1926, p. 129. c. 121.

⁵ Эфендиев О. А. Азербайджанское государство Сефевидов, Баку, 1981.

⁶ Schah Esmail II. Ein Beitrag zur Geschichte der Safaviden von Walter Hinz, Berlin, 1933, s. 35.

⁷ ისქანდერ მუნში, თარხ-ე ალამ-არაი-ე აბასი, I, გვ. 132—133.

⁸ თომაზო მინადო, ფ. 11; A Cronicle of the Carmelites in Persia, v. 1, p. 44;

Подробное описание Голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг. Составленное секретарём посольства Адамом Олеарием. Перевёл с немецкого Павел Барсов, М., 1870, с. 843.

პირისპირებულობა სამეფო ჰარამხანაშიც არსებობდა ქართველ და ჩერქეზ ქალებს შორის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დინასტიურ ბრძოლაში.

ხსენებულ დაჯგუფებათა შორის ურთიერთობა მეტად გამწვავდა 1573 წ. შაჰ თამაზის ავად გახდომასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი მალე გამოჯანსაღდა და ტახტისათვის ბრძოლაც დროებით მიწელდა. ისქანდერ მუნში გვაცნობებს, რომ მართალია, შაჰმა ყველაფერი შეიტყო, რაც მისი ავადმყოფობის დროს სამეფო ტახტის ირგვლივ ხდებოდა, „მაგრამ ასეთი ამბების მოხდენა აღკვეთა და გამოძიება გარემოებისა არ დაუწყია... სულთან ჰეიდარის მომხრეებმა ახალი სიცოცხლე მოიპოვეს და მატყუარათა ცილისწამებას და ბოროტგანმზრახველთა გინებას გადაურჩნენ“⁹. მოტანილი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ სპარსელი ისტორიკოსის სიმპათიები ჰეიდარისა და მისი მომხრე ქართველებისკენ იხრებოდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სიცოცხლის ბოლო ხანებში შაჰ თამაზმა ყურადღება გაამახვილა ციხეში მყოფი ისმაილის დაცვაზე. საქმე ის იყო, რომ აღამუთის ციხის გამგებელი ხალიფე ანსარ ყარადალღუ დამოყვრებული იყო სამეფო კარის ხაზინადართან — ქართველ ფაროხზად-ბეგთან. ამის გამო შაჰი შიშობდა, რომ ჰეიდარის მომხრე ქართველებს ისმაილის მოკვლა შეეძლოთ¹⁰. დალესანდრის გადმოცემით, შაჰ თამაზი ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა ისმაილი და ამ მიზნით მას ციხეში ლამაზმანებს უგზავნიდა, მაგრამ უფლისწული უკადრისობდა მამის ამგვარ საქციელს¹¹. „ქარმელიტების ქრონიკაში“ ხაზგასმულია, რომ შაჰ თამაზი თავისი ანდერძით ტახტის მემკვიდრედ ისმაილს აცხადებდა. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ უფროსი ვაჟი მუჰამედი ბრმა იყო. ამასთან ერთად, შაჰს სმენოდა, რომ დიდებულები დედით ქართველი ჰეიდარის გამეფებას აპირებდნენ. ყოველივე ამის გამო მან ჰეიდარის მოკვლა განიზრახა. შაჰმა უფლისწული იხმო ვითომცდა მის მემკვიდრედ გამოსაცხადებლად. „ჰეიდარი მაშინვე მორჩილად ეახლა მამას, შაჰ თამაზმა კი ერთ-ერთ მცველს თავისი მოვალეობის აღსრულება უბრძანა. ამ უკანასკნელმა ჰეიდარი ბნელ ოთახში ჩაყეტა, სადაც მან მამის სიკვდილამდე დაჰყო“¹².

სიცოცხლის ბოლო ხანებში შაჰის სიმპათიები რომ ისმაილისკენ იხრებოდა, ამის შესახებ თომაზო მინადოიც აღნიშნავს. მისი გადმოცემით, შაჰმა ანდერძი დატოვა, რომლის თანახმად ისმაილი უნდა გამეფებულიყო, რადგან იგი საღი გონების და მამაცი მემომარი იყო. მართალია, მან უფლისწული ყაჰყაყის ციხეში ჩასვა, მაგრამ მემკვიდრედ მაინც მას ამჯობინებდა¹³.

შაჰ თამაზის ანდერძის თაობაზე განსხვავებული აზრისაა ადამ ოლეარიუსი. მისი ცნობით, შაჰის ანდერძში ტახტის მემკვიდრედ ჰეიდარი იყო გამოცხადებული, რომელიც მამას გამორჩეულად უყვარდა¹⁴.

თვალი გავადევნოთ სპარსულ საისტორიო თხზულებებში დაცულ ცნო-

⁹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუტურაძემ, შენიშვნები დ. კაციტაძის, თბ., 1969, გვ. 27.
¹⁰ ე. მამისთვალიშვილი. სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576—1578). — მაცნე, ისტორიის სერია, 1974, 4, გვ. 108.

¹¹ A Chronicle of the Carmelites, vol. 1, p. 45.

¹² იქვე, გვ. 55.

¹³ თომაზო მინადოი, ფ. 67.

¹⁴ Подробное описание Голштинского посольства в Московию и Персию, с. 843.



ბებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ისტორიიდან ცნობილია 1576 წ. შაჰ თამაზი კვლავ ავად გახდა და უკვე საბოლოოდ ლოგინად ჩავარდა. 14 მაისს შუალამისას შაჰის ბრძანებით ყველა უფლისწულს უნდა დაეტოვებინა სასახლე, გარდა ჰეიდარისა. XVI ს. ისტორიკოსის ბუდა' ყაზვინის გადმოცემით, შაჰის სიკვდილის დამეს სასახლეში ჩაკეტილი ჰეიდარი გაოგნებული იყო და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს „მან საბუთი შეადგინა, რომლის დასაწყისში აღნიშნა, რომ თითქოს ეს მამამისის დაწერილი იყო. ყველა მიხვდა, რომ ეს ყალბი საბუთი იყო“¹⁵.

ახალგაიჭიროებული ცნობაა დაცული ჰასან რუმელუს საისტორიო თხზულებაში¹⁶. შერეფ-ხან ბითლისის გადმოცემით კი, ალი-ხან გურჯიმ და ზაალ-გურჯიმ, რომლებიც ჰეიდარ-მირზას და იმამყული-მირზას ბიძებუ იყვნენ დედის მხრიდან¹⁷, ჰეიდარი სამეფო სასახლის პალატებში დატოვეს, რათა იგი ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტს დაუფლებოდა¹⁸. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შერეფ-ხანი არაფერს ამბობს შაჰ თამაზის ანდერძის შესახებ.

ისქანდერ მუნში უფრო ვრცლად გადმოგვცემს 14 მაისის მოვლენებს. მისი სიტყვით, „ჰეიდარი მამის ბრძანებით, დედის მითითებით თუ ღვთის ნებით სასახლეში დარჩა, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო მიზანთან“. ფაქტობრივად კი იგი სასახლის დაცვის ტყვეობაში აღმოჩნდა, რადგან იმ დამით სასახლეს ისმაილის მომხრეები იცავდნენ. ჰეიდარის დაღუპვაში უმთავრესი როლი მისმა ნახევარ დამ ფერიხან ხანუმმა შეასრულა. მან სწრაფად აუღო ალლო შექმნილ ვითარებას და შაჰის გარდაცვალებისთანავე ჰეიდარს ეახლა. „ქალური ცბიერებითა და მლიქვნელობით“ მოატყუა იგი და ფეხზე ემთხვია მას, ამასთანავე უფლისწულის დედას მოახსენა: „მოწმე ხარ, რომ ფადიშაჰის ფეხზე კოცნა და გამეფების მილოცვა ჩემთვის არავის დაუწრია“¹⁹. ცბიერმა ფერიხან ხანუმმა უფლისწულს შეჰფიცა, რომ თუ იგი სახლში წასვლის ნებას მისცემდა მას, იგი ძმასა და ბიძას მოიყვანდა მის დასახმარებლად. უფლისწული გულუბრყვილობის გამო მოტყუვდა და ფერიხან ხანუმი გაუშვა. ის უკვე იმდენად იყო დარწმუნებული თავის გამეფებაში, რომ თავზე შაჰის გვირგვინიც კი დაიდგა და წელზე მამის ხანჯალი შემოირტყა. ამასთანავე, დასძენს ისქანდერ მუნში, აღმოჩნდა ანდერძი მისი უდიდებულესობის ბეჭდით, რომლითაც ჰეიდარი ცხადდებოდა მემკვიდრედ. მაგრამ საკამათო გახდა ის, ანდერძი თავიდან ბოლომდე მისი უდიდებულესობის დაწერილი იყო თუ უფლისწულმა და მისმა დამხმარებ ყალბად შეადგინეს²⁰.

15 ბუდა' ყაზვინი. ჯავაჰირ-ალ-ახბარ, ფ. 335 ა (სანქტ პეტერბურგის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგი, 288).

16 A Chronicle of Early Safavids being the Ahsanut Tawarikh of Hasan-i Rumlu, ed. by C. N. Seddon, v. II, Baroda, 1931, p. 466.

17 ჰეიდარი და იმამყული შაჰ თამაზს სხვადასხვა ქართველი ქალებისაგან ჰყავდა, ალი-ხანი იყო ჰეიდარის ბიძა, ზაალ-ბეგი კი იმამყულის ბიძა (დაწვრილებით მათ შესახებ იხ. კ. ტაბიძე. შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ.—კაკ, II, თბ., 1962, გვ. 174—176).

18 Шараф-хан Бидлиси. Шараф-наме. Перевод, предисловие, примечания и приложения Васильевой Е. И., т. II, М., 1976, с. 229.

19 ისქანდერ მუნში. თარხ-ე ალამ-არაი-ე აბასი, I, გვ. 192—193.

20 იქვე. გვ. 193.



ამრიგად, ჰეიდარი თავს უკვე ირანის შაჰად თვლიდა, მაგრამ მოვლენები სრულიად საპირისპიროდ წარიმართა²¹. სპარსულ წყაროთა ცნობით, ფეხრეზუნალი ხანუმი თავისი ბიძის ჩერქეზი შამხალის თანხლებით და მისი მომხრეებთან ერთად დაბრუნდა სასახლეში. მათ ადვილად შეაღწიეს სასახლის პარამხანის ნაწილში, სადაც ქალის ტანსაცმლით შემოსილი უფლისწული იმალებოდა და შეიპყრეს იგი. ბუღაყაზინის სიტყვით, ჰეიდარი ჯერ დაახრჩვეს, შემდეგ იუზბაშმა რუმულუმ მას თავი მოკვთა²². გარეთ კი ამ დროს თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველები ზაალ-ბეგის მეთაურობით, რათა ჰეიდარი გადაერჩინათ. ბოლოს, ქართველთა ერთმა ნაწილმა კიდევ მოახერხა სასახლეში შეღწევა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო; მოწინააღმდეგეებმა მათ ჰეიდარის გასისხლიანებული თავი გადმოუგდეს, რითაც ნათელი გახდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო. მეორე დღესვე ისმაილის მომხრეებმა სიკვდილით დასაჯეს ჰეიდარის მომხრე ქართველები, მათ შორის ზაალ-ბეგიც, სამეფო ტახტის დასაკავებლად კი ისმაილი გამოიყვანეს ციხიდან²³.

ამ ტრაგიკული მოვლენების შესახებ ანალოგიურად (მცირე განსხვავებით), მხოლოდ უფრო მოკლედ მოთხრობილია ევროპულ წერილობით წყაროებში²⁴.

როგორც ზემოთ იყო ნახევნები, წერილობით წყაროებში ახრთა სხვადასხვაობაა შაჰ თამაზის ანდერძის თაობაზე. ისტორიოგრაფიაში კი ამის შესახებ დამაჯერებელი დასკვნა არ გვხვდება. ისტორიკოს ო. ეფენდიევის აზრით, უფრო სარწმუნოა, რომ თამაზს მოახლოებული სიკვდილისა არ სჯეროდა და ამდენად არც ანდერძი შეუდგენია. ამით მან ხელი შეუწყო ამბოხების დაწყებას სამეფო კარზე²⁵. სხვადასხვა წყაროთა მონაცემების ანალიზისა და ირანში იმხანად შექმნილი კონკრეტული ისტორიული სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე ჩვენ სხვაგვარი დასკვნა გამოგვაქვს. მიუხედავად ამისა მისაღებია აგრეთვე წყაროებში მოხსენიებულ ისტორიულ სივრცეებთანაა სულიერი სამყარო: მათი ხასიათი, ფსიქოლოგიური განწყობილება, მისწრაფებანი სხვადასხვა სიტუაციისა და გარემოში. საეჭვოა, რომ ნახევარსაუკუნოვანი ზეობის ბოლოს, უკვე მოხუცებულ შაჰ თამაზს ტახტის მემკვიდრეზე არ ეფიქრა ან ანდერძი არ დაეტოვებინა. მითუმეტეს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ავადმყოფობდა, ამასთანავე ინფორმირებული იყო სამეფო კარის ინტრიგების, დაჯგუფებათა შორის მიმდინარე ბრძოლის შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, შაჰ თამაზს გამორჩეულად უყვარდა ჰეიდარი, ისმაილის მიმართ კი მხოლოდ ეჭვები და შიშის გრძნობა ჰქონდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შაჰ თამაზმა თავად შეადგინა ანდერძი (და არა ჰეიდარმა, როგორც ეს ზოგიერთ წყაროშია მითითებული), რომელშიც ჰეიდარს ასახელებდა თავის მემკვიდრედ.

21 ეს მოვლენები ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი (იხ. ე. მაშისთვალისშვილის, კ. ტაბატაძის, ო. ეფენდიევის, ვ. პინცის და სხვათა დასახელებული პუბლიკაციები).

22 ბუღაყაზინი. ჟავაჰირ ალ-ახბარ, ფ. 335 ა.

23 პასან რუმულუ. ასან ათ-თავარის, გვ. 463—475; ბუღაყაზინი. ჟავაჰირ ალ-ახბარ, ფ. 335 ა-ბ; კ. ტაბატაძე. შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 176—177; ისქანდერ მუნში. თარხ-ე ალამ-არაი-ე აბასი, 1, გვ. 192—196.

24 თომაზო მინადოი, ფ. 12—14; დონ-ხუან სპარსელი, გვ. 130. როგორც ჩანს, დონ-ხუან სპარსელმა თავისი თვლით ნახა ეს ამაზრუნეი სურათი და ბევრიც უტრია ჰეიდარის დაღუპვის გამო (დაწერ. იხ. ბ. გიორგაძე. ულუგბეგ ბაიათი და მისი რეალ-ციონი XVI ს. საქართველოზე. — ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, 1, თბ., 1975, გვ. 118—135); A Chronicle of the Carmelites, vol. 1, p. 55.

25 Эфендиев О. А. Азербайджанское государство Сефевидов, с. 125.



ირანის სამეფო კარზე მომხდარი მოვლენების, კონკრეტულად კი ტახტის მემკვიდრისა და ანდერძის საკითხის განხილვისას, აუცილებლად განვიხილოთ წინებელია სხვა გარემოებაც; კერძოდ, შაჰ თამაზის დამოკიდებულება შიღბაშურის ტომების მიმართ. ქვეყნის რეალურ მმართველად გახდომისთანავე (XVI ს. 30-იანი წლების დამდეგს), იგი ფიზიკლად აღეწებდა თვალს ყიზილბაშ ამირათა მოქმედებებს და შეძლებისდაგვარად მათი ზღვარსგადასული უფლებების შეზღუდვას ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ შაჰ თამაზი ყიზილბაშებთან ურთიერთობაში თავისი მამის, შაჰ ისმაილ I-ის (1501—1524) პოლიტიკას აგრძელებდა. კერძოდ, იგი ცდილობდა წინ წამოეწია ირანული ელემენტი და თურქული (აზერბაიჯანული) ელემენტისათვის დაეპირისპირებინა იგი²⁶. შაჰ თამაზისათვის ნათელი იყო, რომ ყიზილბაშ ამირათა წინააღმდეგ საფუძვლიანი წარმატების მისაღწევად საჭირო იყო ირანელებთან ერთად სხვა ეთნიკური ელემენტების დაწინაურებაც. ამიტომ ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ქართველებსა და ჩერქეზებს, რომლებსაც შაჰ თამაზის ზეობის ბოლო პერიოდში უკვე სხვადასხვა მალალი თანამდებობები ეკავათ ირანში. აქედან გამომდინარე უფრო გასაგები ხდება ქართველთა და ჩერქეზთა ესოდენ დიდი აქტიურობა სამეფო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ამასთან, წერილობით წყაროთა მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ მათგან ქართველებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები გააჩნდათ წარმატებისათვის. ამას უთუოდ გრძნობდა შაჰ თამაზი და ითვალისწინებდა კიდევ თავისი მემკვიდრის შერჩევის დროს.

ამერიკელი ორიენტალისტი რ. სეივორი სამართლიანად შენიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში ირანში მიმდინარეობდა ძალაუფლებისათვის ბრძოლა ყიზილბაშებსა და ახლად დაწინაურებულ ელემენტებს — ქართველებსა და ჩერქეზებს შორის²⁷. თ. ეფენდიევის აზრით კი, ხსენებული ეთნიკური ელემენტები (ქართველები და ჩერქეზები) არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას და ზემოთ აღწერილ მოვლენებში ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ. ასე რომ, 14 მაისის ამბები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ყიზილბაშ დიდებულთა შორის გაჩაღებული მორიგი ახალი შინაომი ძალაუფლებისათვის²⁸. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამგვარ მოსაზრებას; ზემოთ განხილული სპარსული და ევროპული წყაროები ხაზს უსვამენ, რომ სწორედ კავკასიელები — ქართველები და ჩერქეზები ედგნენ სათავეში, ამასთან ერთმანეთის პირისპირ, სამეფო კარზე მიმდინარე ბრძოლას. ხსენებული ბრძოლა არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ მორიგ შინაომად, რასაც გამუდმებით ჰქონდა ადგილი სეფიანთა ირანში. მაგალითად, თუ 1524 წ. შაჰ ისმაილ I-ის გარდაცვალების დროს ომი გაჩაღდა ყიზილბაშ ამირებს შორის, ახლა ეს იყო ბრძოლა ყიზილბაშებსა და ახალ გაძლიერებულ ეთნიკურ ძალებს შორის.

ამრიგად, სისხლიანი ტრაგედიის შედეგად დედით ქართველი უფლისწული ჰეიდარი დაიღუპა, მისი მომხრე ქართველების დაჯუჯება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხდა. მიუხედავად ამისა, სამეფო კარზე მო-

²⁶ დაწვრ. ამ ლონსიძეათა შესახებ იხ. The Cambridge History of Iran, vol. 6, Cambridge University Press, 1986, p. 248.

²⁷ Savory R. The Prinspal Offices of the Safavy State During the Reign of Tahmasp I.—Bulletin of the School of Oriental and African Studies, Bd. 34, 1961, p. 71.

²⁸ Эфендиев О. А. Азербайджанское государство Сефевидов, с. 131.

მხდარმა მოვლენებმა ნათლად დაადასტურეს, რომ ირანში დამკვიდრებულ ქართველებს უკვე ჰქონდათ საიმისო რწმენა, ძალა და გავლენა, რომ თავიანთი შესაძლებლობები ისეთ მაღალ დონეზე მოესინჯათ, როგორც იყო სეზენის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება. მარცხის მიუხედავად, მათი მდგომარეობა ირანში არ შერყეულა, უფრო მეტიც, მომდევნო ხანებში მათმა გავლენამ სულ უფრო იმატა.

Н. Г. ГЕЛАШВИЛИ

К ВЫЯСНЕНИЮ ВОПРОСА О ЗАВЕЩАНИИ
ШАХА ТАХМАСПА I (1524—1576 гг.)

Резюме

Сведения письменных памятников XVI—XVII вв. относительно завещания шаха Тахмаспа I существенно расходятся. Согласно некоторым из них, шах своим наследником считал Исмаила, другие утверждают, что он предпочтение отдавал младшему сыну Хейдару — грузину по материнской линии. Некоторые же источники указывают, что шах Тахмасп не оставил завещания, а найденный после его смерти документ был поддельным.

На основе анализа данных, содержащихся в различных источниках, а также учитывая конкретную историческую обстановку в Сефевидском государстве, мы считаем, что шах Тахмасп оставил завещание, где наследником был назван Хейдар.

Указанный вопрос рассмотрен на фоне развернувшейся борьбы за шахский трон, в которой, наряду с кызылбашами, противостояли друг другу грузины (сторонники Хейдара) и черкесы (сторонники Исмаила). Это наглядно указывает на то, что кавказский элемент уже приобрел такую силу и влияние в Иране, что стала возможной борьба за верховную власть.

N. GELASHVILI


FOR THE CLARIFICATION OF THE QUESTION OF THE WILL
OF SHAH TAHMASP

(1524—1576)

Summary

Information of written monuments of XVI—XV cc. concerning the will of Shah Tahmasp considerably differ. According to some of them the shah considered Ismail to be his heir, others assert that he preferred his younger son Heidar, a Georgian by maternal line. Some sources show that shah Tahmasp did not make any will and the document that was found after his death was fake.

On the basis of analysis of information in different sources and also



taking into account concrete historical situation in Safavid State we consider that shah Tahmasp made a will according to which Heidar was mentioned as a heir.

The above mentioned question is surveyed against the background of struggle that raged for the shah's throne, in which together with kizilbash Georgians (supporters of Heidar) and Circassians (supporters of Ismail) opposed each other. This clearly underlines that Caucasian element had already gained such a strength and influence in Iran that it began to struggle for the supreme power.

ახალგაზრდა ბუნება

ერთი უცნობი ხატის წარწერა

(ანუ ლევან II დადიანის მიერ დასჯილი ვეზირის ვინაობა)

1680 წელს არჩილ მეფემ თავისი დესპანის, არქიმანდრიტ მაკარის ხელით რუსეთის მეფეს საჩუქრად გაუგზავნა ორი ხატი — ერთი ღვთისმშობლისა და ერთიც წმინდა საბასი. რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებაში, რომელსაც საელჩო პრიკაში ეწოდებოდა, ეს ხატები დაწვრილებით აღუწერიათ. ამ აღწერილობებში დაცულია რუსული თარგმანები წარწერებისა, რომლებიც ამ ხატების ზურგზე ყოფილა მოთავსებული. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ღვთისმშობლის ხატის წარწერა, ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მისი ქართული დედნისეული ტექსტის აღდგენა რუსული თარგმანიდან შესრულებული უკუთარგმანით. უკუთარგმნისას შევეცადე ქართული ტექსტის იმდაგვარად აღდგენას, როგორადაც ის უნდა ყოფილიყო დედანში. ამისათვის გავი-თვალისწინე შესაბამისი ხანის ქართული წარწერების ენა, სახვეწარ-სავედრე-ბელთა მდგრადი ყალიბები და სხვა თავისებურებანი.

აი, ამ წარწერის რუსული თარგმანი და ჩემეული უკუთარგმანი.

Ты, дивная и пресвятая, несо-
творенного бога слова родитель-
ница избавления и спасения наше-
го ради сотворена пресвятая бого-
родица и присно дева Марня, по-
мошница и заступница и покрови-
тельница. Буди всем свете нашем
и в будущем, которые на тебе на-
дежду имеют Леона Дадиани ве-
зира и правдивого служителя его
возлюбленного АнджеПарижа Па-
пуна и супружницы его Мамия
Дадиани дщери Табас Пирмшо и
возлюбленного нашего чадородия
Мамукая, которые обложили сию
икону златом и украсили камнем
и жемчюги, чтоб помогла в день

შენ საკვირველო და ყოვლადწმიდაო
დაამბადებელო ხელთუქმნელისა სიტ-
ყვისა ღვთისა, ჩვენად შემწედ და მო-
ქენედ მოვლენილო ყოვლად წმიდაო
ღვთისმშობელო, მარადის ქალწულო
მარიამ, შემწევ, მოსარჩლევ და მფარ-
ველო, მეოხ გვეყავ ორსავე ცხოვრება-
სა შინა მსასოებელთა შენთა დადიანის
ლეონის ვეზირსა და ერთგულებითა
მსახურსა, სიქადულსა მისსა პაპუნა ან-
ჯაფარიძეს და თანამეცხედრეს მისსა,
მამია დადიანის ასულსა თაბას, პირმ-
შოსა და საყვარელსა ძესა ჩვენსა მამუ-
კას, რომელთა ამაშენისა ხატისა პატი-
ვი გარეშემოვსჭედეთ ოქროითა და შე-
ვამკეთ. პატიოსნითა ქუეებითა და მარ-
გალიტითა, რათა შეგვეწიო. დღესა მას

той великаго страшнаго суда пред сыном своим, а богом нашим. Амин!.

საშინელსა განკითხვისასა წინაშე ძისა შენისა, უფლისა ჩუენისა.



როგორც ვხედავთ, წარწერა უთარილოა. მიუხედავად ამისა, მასში მოხსენიებულ პირთა ვინაობისა და ცხოვრების ხანის განსაზღვრის გზით, შესაძლებელი ხდება მისი შესრულების ფრიად ზედმიწევნელი თარიღის დადგენა.

ამ წარწერაში მოხსენიებულ პირთაგან ერთ-ერთი, მამია დადიანის ასული თაბა არცერთ სხვა წყაროში არ გვხვდება. რაც შეეხება ამ ქალის სახელს, მართალია იშვიათი, მაგრამ მინც გავრცელებული სახელი ჩანს ძველ საქართველოში. იერუსალიმის ჯვრის ქართულთა მონასტრის აღაპებში, მაგალითად, მოხსენიებულია თაბა, მეუღლე ვარდან გაზნის ძისა².

დღემდის მოღწეულია ერთი უთარილო საბუთი — პირობის წიგნი მიცემული ქაიხოსრო შანგულიას მიერ ლევან II დადიანისათვის (1611—1657), სადაც მოწმედ იხსენიება პაპუნია ამჯაფარიძე (Hd—11204). ვფიქრობ, ეს პაპუნია ამჯაფარიძე და დასათარიღებელი ხატის წარწერისეული ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. ამას ადასტურებს ის ცნობაც, რომელსაც გვაწვდის ლევან II დადიანის ზეობის ხანაში, უფრო ზუსტად 1635—1649 წლებში სამეგრელოში ნაცხოვრები იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.

აი, რას წერს ის: „მაშინ, როდესაც მთავარი, გატაცებული ლიბარტიანის ცოლის სიყვარულით, ცდილობდა თავისი სურვილის დაკმაყოფილებას, სხვა მის ცოლს, დედოფალს ეტრფიალებოდა და უსირცხვილოდ დაუახლოვდა. ეს იყო მისი ვეზირი სახელად პაპუნა — იგი ვითარცა მეორე პირი მეფის შემდეგ, ყოველივეს განაგებდა სახელმწიფოში. ასეთი საქმე ზომ დიდ ხანს არ დაიძალბა და მართლაც, მალე გამოაშკარავდა მთელს კოლხიდაში და თვით მთავრის ყურამდისაც მიაღწია. მთავარი საშინლად გაბრაზდა. მაშინვე გააგდო ცოლი და ბერძენების რჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა...“

რაც შეეხება მის ვეზირს, რადგან იგი ძლიერ პატივცემული იყო მთელს ოდიშში და ქვეშევრდომებს დიდად უყვარდათ, ამისათვის რომ შინაური ომი არ გამოეწვია, მთავარი უფრო გულდამჯდარად მოიქცა... და დაკმაყოფილდა მით, რომ დაატუსაღა და გადასცა გურიის მთავარს, თავის ბიძაშვილს, რათა შეენახა იმ დრომდის, ვიდრე მისი საქმე არ გათავდებოდა³.

ამის შემდეგ ლევან II დადიანი გურიაში შეიჭრა, შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე, თავისი სიძე (დის — მარიაშის ქმარი), მამისმკვლელი სვიმონ გურიელი ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა, ხოლო გურიაში ტყვედ მყოფი თავისი ვეზირი პაპუნა კი ჯერ გააგუდვინა, შემდეგ კი ზარბაზნის ლულაში ჩაატენინა და ნაფლეთებად აქცია⁴.

ილ. ანთელავამ ეს ვეზირი ლუი გრანეეს მიერ მოხსენიებულ სამეგრე-

¹ Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е годы XVII века).

1. Документы к печати подготовил... Г. Г. Пайчадзе. Тбилиси, 1974, с. 19—20.

² ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 72.

³ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1991, გვ. 24.

⁴ იქვე, გვ. 27.



ლოს სამთავროს ვეზირ Cortuga-დ⁵ მიიჩნია⁶. ეს უკანასკნელი კი, სავესტებო მართებულად გააიგივა 1611—1614 წლების დოკუმენტში დასახელებულ ვეზირთან რაბ ქორთოძესთან⁷. ამიტომ, ცხადია, მან არქანჯელო ლამბერტის მიერ ლევან II დადიანის ვეზირად პაპუნას დასახელებას ეჭვის თვალით შეხედა.

„ჩვენი აზრით, — წერს ილ. ანთელავა, — ლამბერტი ცდება, როდესაც ჩვენს უცნობ ვეზირს „პაპუნას“ უწოდებს. კარგადაა ცნობილი, რომ ლამბერტიმ თავისი თხზულება უკვე ოდიშიდან წასვლის შემდეგ გადაიტანა ქალაქლდზე და საფიქრებელია, რომ შეცდომა დაუშვა“⁸. როგორც ვხედავთ, ლამბერტისთან ვეზირ პაპუნას მოხსენიებას ილ. ანთელავა ხსნის ლამბერტის მიერ სამეგრელოში ნანახ-განაგონის ქალაქლდზე გადატანისას მის მეხსიერებაში მოსივე თანამედროვე ვეზირის პაპუა წულუკიძის სახელის ამოტივტივებით ნაცვლად ლევან II-ის მიერ შერისხულ-დასჯილი სხვა ვეზირის სახელისა, მაგრამ, ეს შესანიშნავი მკვლევარი ამაში ცდება, და არქანჯელო ლამბერტის სრულიად უსაფუძვლოდ სწამებს გულმავიწყობას. ლამბერტის ცნობის სისწორე ამ ხატის წარწერამ დაამტკიცა. არადა, მართლაც წარმოდგენილია ამ ფრიად განსწავლულ და დაკვირვებულ იტალიელ მოღვაწეს მისი სამეგრელოში ჩამოსვლამდე სულ რამდენიმე წლის წინ დასჯილი ვეზირისა და იმ ვეზირ პაპუა წულუკიძის (წულუკიას) სახელები აღრეოდა, რომელთანაც მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ლევან II დადიანის მიერ დასჯილი ვეზირი ყოფილა არა მერაბ ქორთოძე, როგორც ეს ილ. ანთელავას ეგონა, არამედ მისი მომღვენო ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე, რომელიც ოდიშის განრისხებულ მთავარს 1625 წელს დაუსჯია⁹.

კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძეს ქრთამის გამოღების წიგნში, რომელსაც მე 1611—1614 წლებით ვათარილებ, გიორგი ლიპარიტიანის შემდეგ და სახლთუხუცეს ქაიხოსრო აფაქიძეზე წინ მოხსენიებული მერაბ ქორთოძე რომ ვეზირია, ეს უდავოა და ეს კარგად დაამტკიცა ილ. ანთელავამ. როგორც უკვე აღვნიშნე, სავესტებით სწორია ილ. ანთელავა, როცა ლუი გრანჟეს მიერ დასახელებულ ვეზირ Cortuga-ს ზემოთ ხსენებულ მერაბ ქორთოძესთან (ქორთუასთან) აიგივებს. მასასადამე, ირკვევა, რომ 1611—1614 წლებში (და ალბათ 1611 წლამდეც და 1614 წლის შემდეგაც) ოდიშის ვეზირად მჭდარა მერაბ ქორთოძე, რომელიც, როგორც ჩანს, ამ სახელოზე პაპუნა ანჯაფარიძეს შეუცვლია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, არჩილ მეფის მიერ 1680 წელს მოსკოვს საჩუქრად გაგზავნილი ღვთისმშობლის ხატის წარწერა (და ცხადია თვით ხატიც) 1615—1625 წლებით უნდა დათარიღდეს.

5 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 180.
 6 ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 63—65.
 7 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 304.
 8 ილ. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 63—65.
 9 იქვე, გვ. 63.
 10 ილ. ანთელავას ეს აზრი გაიზიარა ო. სოსელიამ (იხ. მისი: ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981, გვ. 51).

А. Г. ТУГУШИ



НАДПИСЬ ОДНОЙ НЕИЗВЕСТНОЙ ИКОНЫ

Резюме

В архивах посольского приказа хранится описание одной иконы, подаренной грузинским царём Арчилом русскому государю в 1680 году. В описании приводится русский перевод надписи этой иконы, на основе которой выявляется, что визирем Мегрельского княжества в конце первой четверти XVII века являлся Папуна Анджапаридзе.

A. TUGUSHI

INSCRIPTION OF ONE UNKNOWN ICON

Summary

In the archives of the embassy orders there is kept a description of one icon which was presented to the Russian Tzar by the King Archil in 1680. In this description there is given Russian translation of the inscription of the icon, on the basis of which is revealed that at the end of the first quarter of the XVII century the visir of Mengrelia was Papuna Andjaparidze.

მიხილ სავნიშო

1649 წ. თურქეთის სულთანსა და ზაკორციელ კაზაკებს შორის დადებული ხელშეკრულება შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ (როგორც საისტორიო წყარო)

XVII საუკუნის შუა წლებში ოსმალეთის იმპერია მწვავე კრიზისს განიცდიდა. ამ პერიოდში სტამბოლში გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად სასახლის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რომელშიც აქტიურ მონაწილეობასღებულბდნენ იანიჩარები, სულთან იბრაჰიმ I (1640—1648) ჩამოგდებულ და მოკლულ იქნა. მ აგვისტოს ტახტზე აიყვანეს მისი ვაჟი 7 წლის მეჰმედ IV (1648—1687)¹.

აჯანყებებმა მოიკვეს ანატოლია, სირია, ერაყი და იმპერიის სხვა რეგიონები. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ 1645 წლიდან ოსმალეთი ეომებოდა ვენეციას და ომში დამარცხებას განიცდიდა. ვენეციამ მოახდინა ეგოსის ზღვაში მდებარე არქიპელაგის კუნძულების, 1648 წელს კი დარდანელის სრუტის ბლოკირება. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სტამბოლის სავაჭრო ურთიერთობები ევროპტესა და იმპერიის სხვა პროვინციებთან. დედაქალაქში მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვავის ნაკლებობა. ასევე პროდუქტებით ცუდად მარაგდებოდა სტამბოლი შავი ზღვისპირეთის ქვეყნებიდან, მაშინ, როცა ეს რეგიონი იყო სურსათ-სანოვავის მთავარი მიმწოდებელი².

ვაჭრობის შემცირების შედეგად მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს შემოსავალი. დედაქალაქში შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა, დაიწყო ამბოხებები.

უარესდებოდა ოსმალეთის იმპერიის საგარეო მდგომარეობაც. ვენეციის რესპუბლიკამ ფართო დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. ამ მიზნით მან მიმართა რომის პაპს, აგრეთვე ესპანეთს, გერმანიის სახელმწიფოებსა და პოლონეთს³.

ვენეციამ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯებისა, რათა დაემყარებინა კავშირი ბოგდან ხმელნიცკისთან, რომელიც მიზნად ისახავდა ზაპოროჟიელი კაზაკების ჩართვას საზღვაო ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ 1650 წ. ვენეციის ელჩმა რომში საგრელომ უკრაინაში გააგზავნა ალბერტო ვივინი. ბოგდან ხმელნიცკისთან საუბარში მან განაცხადა, რომ უკვე 22 თვეა, რაც ვენეციის ფლოტმა მოახდინა დარდანელის სრუტის

¹ Воссоединение Украины с Россией. Документы и материалы в трех томах. т. II, М., 1954, д. 46, с. 93.

² Там же, т. II, д. 46, с. 93. д. 60, с. 155.

³ Там же, т. II, д. 46, с. 89, 90.



ბლოკირება და შესთავაზა დაუყოვნებლივ გაეგზავნა ბოსფორის სტამბოლში, რათა შემდეგ ვენეციელთა ფლოტთან ერთად მიეტანათ იერიში სტამბოლზე⁴.

შექმნილ ვითარებაში ოსმალეთის მთავრობა დაინტერესებული იყო, მეგობრული ურთიერთობა დამყარებინა უკრაინასთან და ამით ხელი შეეშალა მისი ჩართვისათვის ანტიოსმალურ კოალიციაში.

ამასთან ერთად, ოსმალეთი ცდილობდა ყაჩაღური თარეშის შეწყვეტას შავ ზღვაზე და ამ რეგიონში ვაჭრობის გაფართოებას.

ოსმალეთის მიერ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების დამპყრობის შემდეგ, ფაქტობრივად, შავი ზღვა იქცა „ოსმალეთის ტბად“, რამაც გამოიწვია ამ რეგიონის ეკონომიკაზე ოსმალეთის კონტროლის დამყარება.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები ამარაგებდნენ სტამბოლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, სხვა საქონლით — ნედლეულით, მონებით და სხვ⁵.

ამრიგად, შექმნილ ვითარებაში, შავი ზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობას თურქეთისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1649 წლის თებერვალში, პერეასლავლში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა პეტმანი ბოგდან ხმელნიცი, ჩავიდა თურქეთის ელჩი ოსმან-აღა. მან განაცხადა, რომ ოსმალეთი მზადაა აღმოუჩინოს კახაკებს სამხედრო დახმარება პოლონეთთან ომში და ხელი მოაწეროს სავაჭრო ხელშეკრულებას. ელჩის სიტყვებით, სულთანმა უკვე უბრძანა ყირიმის ხანსა და სილისტრიის ფაშას მოედნენ პეტმან ბოგდან ხმელნიცისთან დახმარების აღმოსაჩენად⁶.

დაიწყო მოლაპარაკება, რომლის შედეგად ოსმალეთსა და უკრაინას შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება. მას ეწოდება: „ხელშეკრულება, დადებული თურქეთის სულთნის მიერ ზაპოროჟიელ ჯართან და რუს ხალხთან შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ 1649 წელს“⁷. იგი დაბეჭდილია „სახელმწიფო სიგელებისა და ხელშეკრულებების კრებულში, რომლებიც ინახება სავაჭრო საქმეთა კოლეგიაში“. ეს დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია როგორც საისტორიო წყარო შავ ზღვაზე ვაჭრობისა და ნაოსნობის შესასწავლად. სავაჭრო ხელშეკრულება შედგება მოკლე შესავლისა და ცამეტი მუხლისაგან. თავისი შინაარსით ეს ხელშეკრულება მოგვაგონებს იმ კაპიტულაციებს, რომელთა ძალითაც ოსმალეთის სულთანი თავისი ნებით ანიჭებდა პრივილეგიებსა და შეღავათებს ევროპელ ნეგოციანტებს ოსმალეთთან ვაჭრობის საქმეში.

ხელშეკრულების პირველ ოთხ მუხლში საუბარია იმ უფლებებზე და პრი-

⁴ Тушин Ю. П. Русское мореплавание на Каспийском, Азовском и Черном морях, М., 1978, с. 136; Грушевский М. С. История Украины, т. 9, с. 8.
⁵ Inalcik Halil. The Ottoman Empire the Classical Age. 1300—1600, London, 1973, pp. 127—139; Kortepeter Carl M. Ottoman Imperial Policy and the Economy of the Black Sea Region in the Sixteenth Century.—Journal of the American oriental Society, v. 86, nomb. 2, 1966, pp. 86—113.
⁶ Голубецкий В. Дипломатическая история освободительной войны украинского народа в 1648—1654 гг., Киев, 1962, с. 176—178; Костомаров Н. Богдан Хмельницкий, т. II, СПб., 1884, с. 61.
⁷ Собрание государственных грамот и договоров, хранящихся в Государственной коллегии иностранных дел, М., 1822, ч. 3, с. 442—447.



ვილენიუბზე, რომლებიც ენიჭებოდა უკრაინელ კომერსანტებს ოსმალეთის ვაჭრობის დროს⁸.

ოსმალეთის სულთანი უფლებას აძლევდა ზაპოროჟიელ სავაჭრო გემებს თავისუფლად ეცურათ შავ ზღვაზე, შესულიყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ნებისმიერ პორტსა და ქალაქში, აგრეთვე, გასულიყვნენ ხმელთაშუა ზღვაში და თავისუფლად ეწარმოებინათ ვაჭრობა როგორც ოსმალეთთან, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებთან.

იმის გამო, რომ სულთანი მფარველობას უწევდა კომერციულ აქტივობას, იგი ათავისუფლებდა ვაჭრებს ყოველგვარი გადასახადებისა და ბაეებისაგან სავაჭრო და სავაჭრო საქონელზე⁹.

უკრაინელ ვაჭრებს ნება ეძლეოდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების პორტებსა და ქალაქებში ჰქონოდათ საწყობები და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც არ იბეგრებოდა გადასახადით¹⁰.

ზაპოროჟიელი ჯარისა და ვაჭრების ინტერესების დასაცავად სტამბოლში უნდა გახსნილიყო მათი წარმომადგენლის — ნაცვლის რეზიდენცია, რომელიც მოსილი იქნებოდა ყოველგვარი პატივითა და იქნებოდა უსაფრთხოების გარანტია; მეორე მხრივ, ზაპოროჟიელ ჯარსაც „ეყოლებოდა სულთნის ნაცვალის თავის სანავსადგურო ქალაქში“¹¹. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე პასპორტების გაცემა გემებითა და გაღერებით თავისუფალი ნაოსნობისათვის, ამასთანავე გადასახადის აღება არა უმეტეს ერთი ჩერვონეცისა¹².

მომდევნო ოთხი მუხლი ეხებოდა შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოებას და სიმშვიდის დამრღვევთა მიმართ სასჯელს. ამ მიზნით ზაპოროჟიელ ჯარს უნდა აეგო სანავსადგურო ქალაქი დნეპრსა და ბუჯის შესართავამდე¹³.

ოსმალეთის სულთნის წყალობა ზაპოროჟიელი კაზაკებისა და უკრაინელი ვაჭრების მიმართ შემთხვევითი არ იყო. ეს გაპირობებული იყო შავ ზღვაზე რეკმნილი მდგომარეობით.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმები არა მარტო სავაჭრო გემებზე, რომლებიც შავ ზღვაზე დაცურავდნენ, არამედ ოსმალეთის საზღვაო სანაპირო ქალაქებზე — ტრაპიზონზე, სამსუნზე, სინოპზე და თვით სტამბოლზედაც კი. ეს თავდასხმები იმდენად საშიში შეიქნა, რომ ბოსფორზე კაზაკების გამოჩენამ დიდად შეაშფოთა ოსმალეთის მთავრობა. სულთანმა ბრძანება გასცა, ოქროს ყურეში რკინის ჯაჭვი გაეხა და ამით თავი დაეცვათ დედაქალაქზე კაზაკების თავდასხმისაგან¹⁴.

საკვიროა აღინიშნოს, რომ დონისა და ზაპოროჟიელ კაზაკებს დახმარებას

⁸ Собрание государственных грамот и договоров... ч. 3, с. 442—447.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ Тушин Ю. П. Указ. соч. с. 164—166; Смирнов Н. А. Россия и Турция в XV—XVII вв. М., 1946, т. I, с. 89—93.



უწევდნენ და ზოგჯერ მათთან ერთად თავდასხმებში მონაწილეობდნენ ქართველებიც¹⁵.

სულთნის მიზანი იყო აღედგინა შავ ზღვაზე სიმშვიდე და ნაოსნობის უსაფრთხოება, სწორედ ამიტომ მოუწოდა მან ზაპოროჟიელ კაზაკებს, შეეწყვიტათ თარეში ამ რეგიონში და ერთობლივი ძალებით დაესაჯათ დამნაშავენი. ზაპოროჟიელ კაზაკებს უნდა აღმოეჩინათ დახმარება ოსმალთათვის დონის კაზაკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ასევე თავს ესხმოდნენ თურქების გემებს. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა განხილულ დოკუმენტში. თუ ვინმე ზაპოროჟიელი კაზაკთაგანი უნებართვოდ მოახდენს თავდასხმას შავ ზღვაზე, „იგი ზაპოროჟიელმა ჯარმა უნდა გაასამართლოს“¹⁶.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუხლები, რომლებიც ეხება დონის კაზაკებს.

დონის მხრიდან თავდასხმისა და ზღვაზე თარემის შემთხვევაში „თურქების გალერებთან ერთად საჭიროა დამნაშავეის დაჭერა და დასჯა“¹⁷.

ამასთანავე, ოსმალეთის სულთანი კრძალავს კაზაკების გემების, გალერების, მათი ხალხის, აგრეთვე მათი საქონლისა და იარაღის გამოყენებას¹⁸.

ამგვარად, იმისათვის, რომ შავ ზღვაზე „იყოს სიმშვიდე და უსაფრთხოება“¹⁹, ოსმალეთს დახმარება უნდა აღმოუჩინონ ზაპოროჟიელმა კაზაკებმა.

ხელშეკრულების სხვა მუხლები ეხება ვალების გადახდის წესებს, ვაჭართა მემკვიდრეობით უფლებებს, ტყვეების გამოსყიდვას, როგორც ქრისტიანების, ისე მუსლიმების გაქცეულ ტყვეებსა და სხვ²⁰. მაგალითად, ოსმალეთის სახელმწიფოში ვაჭრის გარდაცვალების შემთხვევაში, მთელი მისი ქონება, თანახმად მისი ანდერძისა, გადადიოდა მისი მემკვიდრეების ხელში. კაზაკ ვაჭრებზე ვრცელდებოდა იგივე წესები და კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ ოსმალეთის სახელმწიფოში თვით ოსმალების მიმართ²¹.

ეს დოკუმენტი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას:

ხელშეკრულების შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ იგი დადებულ იქნა ოსმალეთის სულთანსა და ზაპოროჟიელ ჯარს შორის, მაგრამ არაა მითითებული არც სულთნის სახელი, არც მისი რწმუნებულისა და არც ზაპოროჟიელი ჯარის წარმომადგენლისა.

თუმცა ხელშეკრულებაში აღნიშნულია თარიღი — „დაახლოებით 1649 წ.“²², მაგრამ არაა მითითებული ფეე და რიცხვი.

15 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 320—332; ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1966, გვ. 25—28; ს. როდონაია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1960, გვ. 32—37; С в а н и д з е М. Х. Грузия, страны Причерноморья в первой половине XVII в. — В кн. Россия, Польша и Причерноморье XV—XVIII вв., М., 1979, с. 125—130.

16 Собрание государственных грамот и договоров... ч. 3, с. 442—447.

17 იქვე.
18 იქვე.
19 იქვე.
20 იქვე.
21 იქვე.
22 იქვე.

ხელშეკრულებაში არაა ზუსტად ფიქსირებული — რა ხნით დაიწყო ხელშეკრულება. ჩაწერილია, რომ ასი წლით, მაგრამ ახლავს შენიშვნა, თუ არა ასი წლით, „ორმოცდაათით მაინც ან, სულ ცოტა, ოცდაათი წლით“²³.

ასევე არაა მითითებული ხელშეკრულების დადების ადგილი — სახელმწიფო ან ქალაქი.

ჩვენს ხელთ არსებული ხელშეკრულების ტექსტი შედგენილია რუსულ და პოლონურ ენებზე, მაგრამ არ მოგვეპოვება თურქული ტექსტი და არ არის მინიშნება ამის თაობაზე.

ჩვენი აზრით, ყველა ეს „ხარვეზი“ იმით აიხსნება, რომ ეს იყო პრელიმინარული (წინასწარი) შეთანხმება, რომლის საფუძველზე სტამბოლში უნდა შეედგინათ საბოლოო ტექსტი და სულთნის სახელით გაცემულიყო კაპიტულაცია. აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში ოსმალეთი არ დებდა სავაჭრო ხელშეკრულებებს სხვა ქვეყნებთან, ამის სანაცვლოდ სულთანი, ცალმხრივი წესით, თავისი სურვილის მიხედვით, უბოძებდა ხოლმე კაპიტულაციებს, რომლებიც ევროპელ კომერსანტებს რიგ პრივილეგიებსა და შეღავათებს ანიჭებდნენ ოსმალეთთან ვაჭრობაში.

ამრიგად, ეს ხელშეკრულება მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა შვედვაზე ვაჭრობისა და ნაოსნობის შესასწავლად.

М. Х. СВАНИДЗЕ

ДОГОВОР О ТОРГОВЛЕ НА ЧЕРНОМ МОРЕ, ЗАКЛЮЧЕННЫЙ В 1649 ГОДУ МЕЖДУ ТУРЕЦКИМ СУЛТАНОМ И ЗАПОРОЖСКИМИ КАЗАКАМИ, КАК ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК

Резюме

В статье рассматриваются предпосылки заключения торгового соглашения между Османским государством и Украиной к середине XVII века. Изучен текст дошедшего до наших дней договора; дается его источниковедческий анализ; оценивается историческое значение документа.

M.SVANIDZE

THE BLACK SEA TRADE TREATY CONCLUDED IN 1649 BY TURKISH SULTAN AND ZAPOROZHIE COSSACKS

Summary

The author reviews the conditions in which the trade treaty between the Ottoman State and the Ukraine was concluded in the 17th century. The text of the treaty that reached the present time has been studied. The article comprises the analysis of the treaty as a historic source and considers the historic importance of the document.

²³ იქვე.

გიული ალასანი

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის განმარტება
თურქულ წერილობით ძეგლებში

თურქულმა წერილობითმა ძეგლებმა მრავალფეროვანი ცნობები შემოგვინახეს საქართველოს შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მასალა კარგა ხანია შემოტანილია მეცნიერულ მიმოქცევაში და სათანადოდ კომენტირებული. იმის გამო, რომ, ჩვეულებრივ, ოსმალეთის სახელმწიფოს უფლებები დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა (თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც წონასწორობა ირღვეოდა და თურქეთი აღმოსავლეთ საქართველოში შეაღწევდა ხოლმე), თურქი ისტორიკოსები და მოგზაურები თავის თხზულებებსა და ჩანაწერებში უპირატესად მის დასავლეთ მხარეებს აღწერდნენ.

XVII ს.-ის თურქულ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უკავიათ ქაიბ ჩელების და ევლია ჩელების, რომელთა მოღვაწეობა დაახლოებით ერთსა და იმავე ხანას განეკუთვნება — აღნიშნული საუკუნის შუა წლებს. განსხვავება ის არის, რომ ევლია ჩელები მოგზაურია, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნების დათვალიერებას 33 წელი მიუძღვნა. მისი „მოგზაურობის წიგნი“ ძირითადად საკუთარი თვლით ნანახსა და განცდილს ეყრდნობა, თუმცა ავტორი პირად შთაბეჭდილებებს უხვად აზავებს წერილობითი წყაროების ცნობებით — ბერძნული და ლათინური, თურქული, არაბული, სპარსული, როგორც თხრობითი, ასევე დოკუმენტური, ეპიგრაფიკული, ნემიზმატიკური და ფოლკლორული მასალებით. ხოლო ქაიბ ჩელები იყო სწავლული, ფართოდ განათლებული ადამიანი, ენციკლოპედისტი, არაერთი ნაშრომის ავტორი. მის მრავალრიცხოვან თხზულებათ შორის სამში არის ცნობები საქართველოს შესახებ. ერთ-ერთი მათგანი, ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულება „ჯიჰან-ნუმა“ („სამყაროს სარკე“), წყაროთა ფართო წრეს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება კომპილაციური ხასიათისაა, ცნობათა სისრულის გამო მან, როგორც თანამედროვეთა, ასევე მომდევნო თაობათა მაღალი შეფასება დაიმსახურა. საქართველოს და კავკასიის შესახებ, წერილობითი ძეგლების გარდა, ავტორს შეეძლო ზემოთი წყაროებიც ჰქონოდა და ბევრი რამ თვითმზილველთაგან და სანდო პირთაგან გაეგონა, ვინაიდან მონაწილეობდა არზრუმის 70-დღიან ალყაში 1037 (1627/8) წ. და 1045 (1634/5) წლის ერეენის ლაშქრობაში სულთან მურად IV-თან ერთად¹.

¹ ქაიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიძე, თბ., 1978, გვ. 20—22.

საქართველოში ევლია ჩელები 1640—41 და 1646—47 წლებში იმდროინდელი იმპერატორის და აღწერა მისი როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი ნაწილი². დასავლეთ საქართველოს სამთავროებს ავტორი „გურჯისტანის ვილაიეთს“ უწოდებს, ვინაიდან ოსმალეთის საკუთრებად მიიჩნევს; ცალკე იხსენიებს ჩილდირის ვილაიეთსაც, ე. ი. სამცხე-საათაბაგოს. ძალზე საინტერესოდ აღწერს თბილისს. გეოგრაფიულ აღწერასთან და თანამედროვე ვითარების გაშუქებისასთან ერთად ხშირად ისტორიულ მიმოხილვებსაც იძლევა.

ქათბი ჩელების „ჯიჰან-ნუმაში“ საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები 39—40-ე თავებშია წარმოდგენილი: 39-ში თბილისი და მდ. მტკვარი, მე-40-ში აფხაზეთი, იმერეთი (აჩიკ ბაში), ოდიში (დადიანი), გურია (მეგრია), კახეთი (ხაგეში) და სხვა.

წინამდებარე სტატია ეხება ევლია ჩელებისა და ქათბი ჩელების ცნობებს „დადიანსა“ და „მეგრიაზე“, „მეგრელისტანზე“. ქართულ ენაზე ქათბი ჩელების ცნობათა გამოცემისას 1978 წელს ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობა უზუსტობად იქნა მიჩნეული. იქ აღნიშნული იყო — „თუმცა აბუ ბექრთან შედარებით ქათბი ჩელების მონაცემები უფრო სანდოა, ავტორი მაინც ვერ აღწევს თავს მთელ რიგ უზუსტობებსა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებას“. ამის საილუსტრაციოდ მოტანილი იყო შემდეგი მაგალითი: — საქართველოს მხარეთა ჩამოთვლისას ავტორი „დადიანს“ (داديان) და მეგრისს (مگري) სხვადასხვა კუთხედ მიიჩნევს. „აჩიკ ბაშს, დადიანს, მეგრისსა და ყველა სხვას ქართველებს უწოდებენ“. შემდეგ ავტორი ადგენს თითოეული კუთხის საზღვრებს და განმარტავს: „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა. მათი გამგებელი ყოველთვის ებრძვის აბაზას. მისი ერთი მხარე ფაშის მდინარეს აღწევს“, ე. ი. რიონს. ამგვარად, „ჯიჰან-ნუმაში“ მოხსენიებული „დადიანი“ ოდიშია, ხოლო „მეგრიალი მხარეა შავი ზღვის სანაპიროზე; მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფაშის მდინარე შვე ზღვას ერთვის. საზღვარი გონიოს ემიჯნება“, ე. ი. მეგრიალი მოთავსებულია რიონსა და გონიოს შორის, ანუ შეესაბამება გურიას³.

როგორც ცნობილია, სამეგრელოს სამთავროს გურიისაგან მდ. რიონი ყოფდა, ხოლო გურიის სამხრეთ საზღვარი მდ. ჭოროხზე გადიოდა. საზღვარი აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ტექსტში მითითებული არ არის, მაგრამ „ჯიჰან-ნუმაში“ კავკასიის რუკაზე, რომელიც არ ეკუთვნის ავტორს და დარღულია წიგნის გამოცემის დროს, 1732 წელს, იგი მდ. კელასურზე გადის, ანუ ასახავს ვითარებას XVII ს. 80-იან წლებამდე, რის შემდეგაც საზღვარმა მდ. ენგურზე გადაინაცვლა.

თურქულ წყაროებში, ისევე როგორც სპარსულ წერილობით ძეგლებში, ოდიში, როგორც წესი, გვხვდება არა მეგრიალ, არამედ დადიან ფორმით. ასეა XVIII ს. თურქ ავტორებთან — რაშიდისთან, ფუნდუკლულუ მეჰმედ აღასთან; XVII ს. ირანელ ისტორიკოსებთან — მუჰამედ თაჰერთან, ისქანდერ მუნშისთან⁴ და სხვ.

² ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურჩიძემ. ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 29.

³ ქათბი ჩელების ცნობები..., გვ. 46.

⁴ მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოს და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევა. თბ., 1976, გვ. 24; ნ. ჯაველიძე. ოსმალ ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰ-



ჩვენთვის მისაწვდომ თურქულ წყაროებში ოდიშ ფორმა ორჯერ, ხოლო ფაქტობრივად ერთხელ გვხვდება — XVII—XVIII სს. ავტორის ჩეში-ზადეს ნაშრომში და აქედან გამომდინარე XVIII ს. ისტორიკოსთან ვასიფისთან, რომელიც თავისი წინამორბედის ჩეში-ზადეს მონაცემებს ეყრდნობა⁵.

ქათბ ჩელებს „ჯიჰან-ნუმაში“ იხსენიება გურია (گوریا); „გურიელის ქვეყანა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ცალკე გამგებელი ჰყავს. 997(1588/9 20.XI—10.XI) წელს იმ ქვეყანაში რომ ლაზი-გირეი მივიდა, მოსპო და გაანადგურა შემდეგი ციხეები...“⁶ აქ ჩამოთვლილი დაახლოებით 40 დასახელების ციხეებისა და პუნქტების იდენტიფიკაცია, სხვათა შორის, არ ხერხდება. გაუგებარია, რომელი ქვეყანა იგულისხმება. ამავე ავტორის ოსმალეთის ისტორიაში („ფეზლექე“) იხსენიება გურია და გურიის გამგებელი, ძაგრამ კონტექსტის მიხედვით ამ მხარის მდებარეობა გაურკვეველია⁷. არ იცნობს გურიას არც „ჯიჰან-ნუმას“ კავკასიის რუკა (1657—80-იანი წწ.), სადაც დასავლეთ საქართველოში დატანილია მხოლოდ აბაზა (ابسا) — აფხაზეთი, სვანეთი (سوان) და მეგრული (مگრი) აფხაზეთის მეზობლად.

არა აქვს დაზუსტებული გურიის მდებარეობა არც ევლია ჩელების თავის თხზულებაში, თუმცა მას ორჯერ ახსენებს: ერთხელ „გურჯისტანის ვილაიეთის“ მხარეების ჩამოთვლისას. „აჩიკ ბაშის, შავშეთის, დადიანის, გურიელის და მეგრელისტანის ბეგები ყველანი ურჯულოები არიან, მაგრამ მურად მეოთხის დროს ყველანი დამორჩილდნენ. საფარ-ფაშა ამ მხარის გამგებელი გახდა, ახალციხე მის ცენტრად იქცა. ამჟამად მათგან ყოველ წელს მოდის საჩუქრები“. მეორედ იალბუზის მთის აღწერისას — „იალბუზი მეტად დიდი და მაღალი მთაა. გარშემო ოთხი ხელმწიფის (სამფლობელო) და სამხრეთით აბაზას ტომები სახლობენ. მისი სიგრძე დღის სავალია. ამ მთის ძირას სამეგრელოს, გურჯისტანის, აჩიკ ბაშის, შავშეთის, გურიელის, დადიანის ხალხები სახლობენ“⁸.

ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქულმა წერილობითმა ძეგლებმა არ იცის გურიის არსებობა, ან მისი მდებარეობა. XVI ს. I მეოთხედის ერთ-ერთ დოკუმენტში ზუსტად არის მითითებული — „აქედან ქვეით ხეობაში ქუთაისის ქვეყანაა. ეს ის ადგილებია, სადაც სულთან სელიმ-ხანი მოვიდა და საღვთო ომი გადაიხადა (იგულისხმება სულთან სელიმის 1510 წლის ლაშქრობა) უფრო ქვეით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა“⁹. გურიას იხსენიებს მეჰმედ რაშიდი, ვასიფი, როგორც „საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე მხარეს“, აბუ ბეჭრ

მედ ალა დასავლეთ საქართველოს შესახებ. — თსუ შრომები, 250. 1985, გვ. 156; ისქანდერ მუნღის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შენაღვით გამოსცა ვ. ფუთურჩიძემ, თბ., 1969, გვ. 13, 15, 20, 82, 119.

5 ნ. შენგელია-ჯაველიძე. ჩეში-ზადე მუსტაფა რაშიდის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ. — მაცნე, ისტორიის სერია, 1979, № 3, გვ. 137; ნ. შენგელია. ოსმალთა ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ. — ქწ, 111. თბ., 1971, გვ. 303.

6 ქათბ ჩელების ცნობები..., გვ. 137.

7 იქვე, გვ. 222, 237.

8 ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 11, გვ. 32, ნაკვ. 1, გვ. 273.

9 თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 57.



ინ ბაპრამ აღ-დიმიშვი, ქათბი ჩელების „ჯიჰან-ნუმას“ ჩანართების დიდი ნაწილის ავტორი, რომლის ვადმოცემით, „გონიოს ღივა საქართველოს სუბიექტების რებთან მდებარეობს, ზღვის ნაპირზე მდებარე ციხე ყასაბაა. მის სახელწოდებას გურიისა და სამეგრელოს ტომებია“¹⁰.

ევლია ჩელების თხზულებაში, როგორც აღინიშნა, ცნობათა ორი ღენა გამოიყოფა. პირველი XVII ს. 40-იან წლებში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს ემყარება, ხოლო მეორე ნაწილი ზეპირ და წერილობით წყაროებს. ცნობები, რომლებშიც „გურია“ იხსენიება, აშკარად ლიტერატურული წარმოსობისაა. მეორე რიგის მონაცემებში გვხვდება საინტერესო ინფორმაცია სამეგრელოზე. ევლია ჩელების მიხედვით, სამეგრელოს დიდი ნაწილი „დადიანის ქვეყანაა“. დადიანთან ერთად „მეგრელების ტანიც“ იხსენიება — „უბრჩი აზნაურების ქვეყანა“, რომელიც „ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია“¹¹.

გონიოს ციხისათვის ბრძოლის აღწერისას ავტორი რამდენიმეჯერ იხსენიებს სამეგრელოს და მეგრელებს — „აჰმედ-ფაშამ ყველა მუსლიმი ემირი სათათბიროდ მოიხმო და თქვა: „ეს სამეგრელო ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია“, „მდ. ჭოროხზე ფონით რომ გავდიოდით, საფარ-ფაშამ საქართველოს ჯარით დაიწყო სამეგრელოს ნაპიეს დერანიეს რბევა — აკლბა. ეს რომ დაინახა მეგრელებმა მოსახლეობამ, გაქცევა არჩია და მთებში გაიხიზნა“. გონიოს ციხის მტკიცე და ძლიერი კედლის აღწერა: „ტრაპიზონის ვილაიეთში და ბათუმის სანჯაყში შედის. ფაშას ცალკე სახასო აქვს. რამდენადაც სამეგრელოს მისაღვამებზეა და (სახელმწიფოს) ფარგლების დასასრულია, ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს“¹². უკანასკნელი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ევლია ჩელები ამ შემთხვევაში სწორედ გურიას გულისხმობს, ვინაიდან გონიოსთან საზღვარი ოსმალეთსა და გურიას შორის გადიოდა. ასევე განიხილავს, როგორც დავინახეთ, ამ საკითხს ქათბი ჩელები. ამასთანავე, ეს ორი ავტორი ერთმანეთის ნაწრომებით არ სარგებლობენ. და, თუ ქათბი ჩელები თავის თხზულებას ძირითადად წერილობით წყაროებზე ამყარებს, რას გამოც იგი არ არის დაზღვეული ანაქრონიზმებისაგან, ევლია ჩელების ცნობები თვითმზილველს ეკუთვნის, რაც აგრეთვე არ იცავს მათ უზუსტობისაგან, მაგრამ უკანასკნელი ახსნას მოითხოვს.

სხვადასხვა დროს სამეგრელოს და დასავლეთ საქართველოს სახელები იცვლებოდა. ლეონტი მროველი მეგრელებსა წინაპარს ეგრისს მთელ დასავლეთ საქართველოს აკუთვნებს. ამგვარად, ლეონტი მროველის თანახმად, დასავლეთ საქართველო, რომელსაც ბერძნულ-ბიზანტიური წყაროები ჯერ კოლხიდას, ხოლო შემდეგ ლაზიკას უწოდებენ, ეგრისია. მოგვიანო ხანისათვის, იმავე ლეონტისა და ჯუანშერის თხზულებებში ეგრისის მნიშვნელობა უფრო ვიწროც არის. თვით ტერმინი სამეგრელო, დამოწმებული XI ს-ში თხზულების „ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისა“ თავისუფალ, ქართულ, ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში ძეგლის ორიგინალის შესაბამისი კონტექსტის მიხედვით ლაზიკაა, ანუ დასავლეთ საქართველო. დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს ეს ტოპონიმი ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ისტორიის ქართულ რედაქციაშიც (ხელნაწერი 1142 წ.). ანალოგიური ვითარებაა XVI ს-ის მეცნიერისა და მოგზაურის გერბენშტი-

¹⁰ ქათბი ჩელების ცნობები..., გვ. 173.
¹¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, I, გვ. 330.
¹² იქვე, გვ. 94.



ნის ჩანაწერებში¹³ და XV ს. იტალიელ ავტორთან ჯოსაფატ ბარბაროსთან, რომელიც განმარტავს: „სამეგრელო ნაწილია საქართველოსი... მმართველს ჰქვია ბედიანი. მას ხსენებულ ზღვასთან აქვს ორი ცხენისმსგავსი ერთს ჰქვია ვატი (რაც ბათუმს ნიშნავს) და მეორეს — სევასტოპოლი. ამით გარდა, კიდევ აქვს სხვა მრავალი კოშკი და გამაგრებული ადგილი“¹⁴. ფართო მნიშვნელობით ესმის ეს დასახელება XV ს. I ნახევრის ბავარიელ მოგზაურს იოჰან შილტბერგერს, რომლის მიხედვით სამეგრელოს მთავარი ქალაქი შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ბათუმია¹⁵. ამასთან დაკავშირებით XIX ს. II ნახევრის ინგლისელი მოღვაწე ჯ. ტელფერი, რომელმაც თარგმნა ი. შილტბერგერის „მოგზაურობა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში XIV—XV სს“¹⁶, სადაც არის ცნობები საქართველოს შესახებ, გაკვირვებით შენიშნავს, რომ მას არსად შეხვედრია ცნობა, სადაც ლაზისტანში მდებარე ბათუმი სამეგრელოს ნაწილად იხსენიებოდა¹⁷. როგორც ჩანს, სწორედ ამ ხასიათის ცნობებმა ავარაუდებინა ი. ჯავახიშვილს, რომ „ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ წლებში აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროდ არ იყო ქცეული, არამედ აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ქალაქებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ ცხუმი ითვლებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი მაშინ ბათუმი იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურიაც და აჭარაც სჭერია“¹⁸.

საკუთრივ სამეგრელოს აღსანიშნავად ქართულ წყაროებში გვხვდება ტერმინი ოდიში, რომლის პარალელურად დასავლეთ ევროპულ ძეგლებში გავრცელებულია მინგრელია. აღმოსავლური წყაროების მსგავსად, ზოგიერთ სომხურ წერილობით ძეგლში მისი შესატყვისია დადიანი, კერძოდ, არაქელ დავრიჯეცისთან¹⁹. თოვმა მეწოფეცი მეგრელს ასხენებს²⁰. ზაქარია აგულეცისთან დადიანი, ისევე როგორც ზოგიერთ ავტორთან სამეგრელო, დასავლეთ საქართველოს უნდა გულ-სხმობდეს — 1680 წ. „ოსმალეთის სულთანმა მეფე მაჰ-

¹³ ეს საკითხი სპეციალურად არის შესწავლილი თ. ბერაძის ნაშრომში „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“. — საქართველოს გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967. აქ მოტანილი მასალა ამ ნაშრომიდანაა ამოღებული. ტოპონიმის ფართო და ვიწრო მნიშვნელობამ გამოიწვია გ. წულუაის შენიშვნა, რომლის თანახმად ეთნონიმი მეგრელი არ ემთხვევა ეპონიმ ეგროსს ლეონტი მროველის თხზულებაში. პირველი, მისი აზრით, ლაზურ-ჭანურ ტომებს გულისხმობს, ვინაიდან სწორედ მეგრელთა ქვეყანაში ათავსებს ძველი ქართველი ისტორიკოსი ტრაპეზუნდს (Цулая Г. В. Историческая концепция грузинского историка XI века Леонтия Мровели. — ИСССР, 1987, № 4, გვ. 175—187).

¹⁴ XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სიძიებლები დაურთო ე. მამისთვლიშვილმა. თბ., 1981, გვ. 54.

¹⁵ ე. მამისთვლიშვილი. იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ.— თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მეშკეთა შრომები, 1, თბ., 1972, გვ. 166.

¹⁶ Меладзе Н. Г. Записки английских путешественников как источник по истории нагорья Западной Грузии. Автореферат на соиск. уч. ст. кандидата ист. н. Тбилиси, 1991, с. 8.

¹⁷ ე. მამისთვლიშვილი. იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 166.

¹⁸ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III, თბ., 1966, გვ. 435—436.

¹⁹ Аракел Даврижеци. Книга истории. Пер. с армянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. М., 1973, с. 109.

²⁰ თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987, გვ. 24.

მადმა უბრძანა არზრუმის ფაშა იბრაჰიმს „შენი ქვეშევრდომებით წადი საქართველოში, დადიანის ქვეყანაში და ეომე შაჰნავაზ ხანის შვილს შაჰნავაზ-ხანსო“²¹. ივულისხმება არჩილ მეფე, რომელიც იპერეთში მეფობდა.

განხილული მონაცემები, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს შემდგომი კენისათვის: ქათბი ჩელებისა და ევლია ჩელების ცნობები მეგრებისა და მეგრების შესახებ არ უნდა იყოს გაგებული როგორც უზუსტობა ან როგორც მხოლოდ ძველი ტრადიციის ხარკი, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს დასახლება იყო ეგრისი, ხოლო მოგვიანებით სამეგრელო. აღნიშნული ტოპონიმის ფართო მნიშვნელობა, ჩანს, არსებობას განაგრძობდა XVII ს-შიც, რითაც აიხსნება მისი გამოყენება გურიის შესატყვისად ვიწრო, საკუთრივ ოდიშის მნიშვნელობასთან ერთად.

Г. Г. АЛАСАНИЯ

ТОЛКОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ТОПОНИМОВ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В ТУРЕЦКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКАХ

Резюме

Статья ставит целью разъяснение топонимов «Дадиян», «Меграил», «Мегрелистан» в сочинениях турецких историков XVII в. Кятиба Челеби и Евлия Челеби. Прослеживание существовавших традиций и сличение с параллельным материалом на различных языках выявляет и в рассматриваемое время широкое значение топонимов «Меграил» и «Мегрелистан», охватывавшее не только собственно территорию Мегрелии (известной тогда по грузинским письменным памятникам под названием Одиши), но и Гурю.

G. ALASANIA

THE INTERPRETATION OF SOME WEST GEORGIAN TOPONYMS IN TURKISH HISTORICAL SOURCES

Summary

The task of the article is the explication of such toponyms as „Dadian“, „Megril“, „Megrelistan“ in the works of Turkish historians of the XVII century —Katip Chelebi and Evliya Chelebi. The study of the traditions and their collation with the parallel material in different languages in the considered period, reveal the wide meaning of toponyms „Megril“ and „Megrelistan“, covering not only the territory of Megrelia (then known, according to Georgian written sources, as Odishi), but also Guria.

21 ზაქარია აგულეცი. დიური. ნაწილი II—III. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1979, გვ. 98.



მომთაჰენ ოს-სალთანე ფრიად კარგად იცნობს ამ ქალაქის მოქალაქეებს. თბილისში ჩემი რამდენიმე დღით ყოფნა და ის საგანგებო ყურადღებები რეი ჩემდამი იჩენს, ასევე ჩემი საპასუხო ალერსი, მათ ამშვიდებს. ამ ქალაქში რუსეთის ხელისუფლებას ძლიერ აწუხებენ ქართველები. დღე არ გავა, რომ რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე არ დააპატიმრონ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, გიმნაზიელები, ვაჟები და ქალიშვილები.

ამ ქალაქის სატუსაღოები საგნეა პოლიტიკური პატიმრებით. ისინი ყოველდღე რიგრიგობით ჯგუფ-ჯგუფად ხელებზე ბორკილდადებულები დასაკითხად მიჰყავთ. თუკი ვინმე გაქცევას დააპირებს, ან თუ ვინმე რომელიმე მათგანს გამოეხარჩლება, ორთავეს დახოცავენ. თითოეული სიკვდილმისჯილი ქალაქგარეთ მიჰყავთ და იქ მას ათას ხუთას ტყვეას ახლიან. ხელისუფლების ამ სისასტიკეს მიუხედავად, პატიმრები გარბიან, იმ სატუსაღოებიდანაც კი გარბიან, საიდანაც გაქცევა თითქმის შეუძლებელია. პოლიტიკური პატიმრები, როდესაც ისინი დასასჯელად მიჰყავთ, ისეთ გუნება-განწყობილებასუ არიან, თითქოს ქორწილში მიდიოდნენ. მთვარის პირსახიან ქალიშვილებს, რომლებიც დასახვრებად მიჰყავთ, ხალხი ყვავილებს ესვრის, თავად მათ კი უხარიათ, რამეთუ სამშობლოსათვის სულს სწირავენ.

ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი მომხიბლავია. ინფორმაცია პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის შესახებ სულს მიფორიაქებს. იმ შენობის ძირას, რომელშიც მე ვცხოვრობ, ღამლამობით ხშირად სტენენს ხმა მოისმის — ეს პატიმართა გავლის ნიშანია: სტენენს გაგონებოსთანავე, იმის შიშით, რომ ვაიეთუ მათ ვინმე გამოეჟომაგოს და ამით არეულობა გამოიწვიოს, მყისვე რეტება დუქნები და მანინ ჩვენს ყურამდე ახალგაზრდა პატიმართა ბორკილების ყლარუნი აღწევს. მათი ჩავლის შემდეგ დუქნებს ხელახლა ადებენ.

ესთ ბორცვზე დიდი ციხე-სატუსაღოა აგებული, რომელსაც ირგვლივ პატარ-პატარა კარებები აქვს დატანებული. ისინი ქალაქს და მდინარე მტკვარს დადმოჰყურებენ. ყველა კართან შეიარაღებული მტველები დგანან. თუ შორიდან ვინმე ხელს იმ კარებებსაკენ გაიშვერს, მას თოფს ესვრიან. ვაი მას, ვინც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა გაქცევას.

ამ ქალაქში მრავლადაა სეფიანი შაჰების, განსაკუთრებით შაჰ-აბასის ხანის ნაგებობებუ. დიდ სავაჭროში ასევე მრავლადაა ირანის გამგებელთა კვალი. შირიხორშიდას — ლომისა და მზის — ბაიარაღები, რომლებიც საომარი ნადავლია, სამუდამო წყევლას უთვლიან ირანის გამკიდველებს. თბილისელები ირანელებისადმი კეთილად არიან განწყობილნი. მან, ვისაც საკუთარი თვალით არ უხილავს კავკასიის მზარს ეს ცენტრი და სხვა დიდი ქალაქები, ბევრი დაბა ნაყოფიერი მიწები (სავარგულები — ნ. ტ. — ო.) და მდინარეები, ამწვანებული და აყვავებული ველ-მინდვრები, არ უწყის თუ სახელმწიფოს და ხალხის თავკაცების უფუნტრებიოთა და უეცობით ჩვენს საყვარელ სამშობლოს რა დიდი და ძვირფასი ნაწილი ჩამოშორდა და რა უმდიდრესი ქვეყანა იმიერკასპიისპირეთში მტკათად გავეცათ. ღმერთმა ქნა, რაც დავგრჩენია, ის მაინც შევინარჩუნოთ.

მე ვნანობდი ირანისგან კავკასიის ჩამოშორებას, მაგრამ დასახლებული ადგილები, რომლებზეც ჩვენ გავლა გვიხდებოდა, მიღობოდნენ და მეუბნებოდნენ: თუ კი აქამდე ჩვენ ირანის ნაწილი ვიყავით, სად და როდის წარმოიშვა ჩვენი ბედნიერება. პირიქით, ჩვენ კვლავაც გაუდაბურებული დავრჩებოდით და საბალნე აქლემებისა და მებაქლემთა წიხლები უნდა აგვეტანა. ახლა კი



შესწავლის მეთოდის დასადგენად აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ქართული საბუთების გარკვეულ ნაწილზე დართული „მესტრის“ მური“ მინაწერის არსებობა ადრეც იპყრობდა სპეციალისტების ყურადღებას. ნ. ბერძენიშვილის თქმით, XVI—XVII საუკუნეებში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ დიპლომატიკაში, მაგრამ ამას, მეცნიერის აზრით, ფეხი უნდა მოეკიდა ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან. ყოველ შემთხვევაში, როგორც იგი მიუთითებს, XIV საუკუნის ერთ ქართულ საბუთზე სპარსული წარწერა „უკვე გეხვდება“⁴.

ახლა არც იმაზე გავმართავთ მსჯელობას, მივიჩნით თუ არა მსგავსი საბუთები გარკვეულ დრომდე, სახელდობრ, XVI საუკუნის 80-იან წლებამდე, ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებად დღევანდელი გაგებით. ჩვენთვის საინტერესო იყო მათი გამოჩენის საწყისი თარიღის დასახელება. ოღონდ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენას გარკვეულ დრომდე ერთობ კანტიკუნტი ხასიათი ჰქონდა. სამაგიეროდ, სულ სხვა იყო მომდევნო პერიოდი, XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე, როდესაც ჩვენში ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების შექმნას ოფიციალური და თანაც, დრო და ჟამის შესაფერისად, მეტნაკლებად ინტენსიური ხასიათი მიეცა. მათი პირველი გამოცემლის ვ. ფუტურჩიძის მიხედვით, თუ 1580 წ. 30 ივნისს სვიმონ I-ის მიერ გაცემული მამულის წყალობის წიგნი ფრიდონ სააკაძის შვილთა და მისი ძმის იოვანესადმი ერთ-ერთი პირველი ასეთი საბუთია, სამაგიეროდ, 1757 წლის აპრილის „დამდეგით“ დათარიღებული გადაწყვეტილების წიგნი, მიცემული მეითარის-შვილის ქაიხოსროს და პაატას მიერ თუმშალ ქაზუმასადმი, ამ სახის ბოლო საბუთი იყო⁵. აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ფუტურჩიძეს ორენოვანი, ოღონდ გარკვეულად განსხვავებული ხასიათის უფრო გვიანდელი საბუთების გამოჩენა მომავალში შეუძლებლად სულაც არ მიაჩნდა⁶. და, მართლაც, ბოლო ხანებში ცნობილი გახდა ორენოვანი ნასყიდობის წიგნების არსებობა ჩვენს სიძველეთსაცავებში, რომელთა გამოცემაც, როგორც ახლა ირკვევა, კვლავაც გრძელდებოდა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში. მ. თოდუას, მაგალითად, 100-ზე მეტი ასეთი საბუთი აღუწერს ჩვენს სიძველეთსაცავებში⁷.

მაშასადამე, საქართველოს სიძველეთსაცავებში არსებული და მეცნიერებრსათვის ცნობილი ორენოვანი ისტორიული საბუთების ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს, სახელდობრ, XIV საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის შუა ხანებამდე. ამ საუკუნეების განმავლობაში კი ჩვენი ერის ისტორიაში მოხდა არა ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომელთა შორისაც ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ ყიზილბაშობის, შემდეგ ოსმალთა და მერე კვლავ ყიზილბაშობის დამყარება, შემდეგ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და ქართლსა და კახეთში ქრისტიანული სამეფო კარის

4 ნ. ბერძენიშვილი. „დაწერილი“. — თბ., IV, თბ., 1979, გვ. 111.
 5 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. VI.
 6 იქვე.
 7 ნ. თოდუა. XVI—XVIII სს. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) საბუთების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1986, გვ. 111..

აღდგენა, ბოლოს მისი საერთოდ გაუქმება და როგორც ჩვენში, ისე მთელს კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრება-დამყარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოვლად შეუძლებელია, რომ უმნიშვნელოვანესი ხასიათის ისტორიული მოვლენების მანძილზე საქართველოში შექმნილი საბუთები, ერთნოვანი იქნებიან ისინი თუ ორენოვანი, გარკვეული დამახასიათებელი ნიშნების მიუხედავად, წყარომცოდნეობითი კლასიფიკაციის გარეშე დავტოვოთ და მოვაქციოთ ერთ საერთო ქარგაში. ეს მით უფრო შეუძლებელია გაკეთდეს ორენოვანი ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების მიმართ, რომელთა წარმოშობა და არსებობა-მოქმედება უმკიდროესად არის დაკავშირებული ზემოთ უკვე მოხსენიებულ ისტორიულ მოვლენებთან.

მაშასადამე, წყარომცოდნეობითი კლასიფიკაციის თვალსაზრისით, აღნიშნული საბუთების შესწავლისათვის იმ მოვლენათა ხასიათისა და შინაარსის შესატყვისი მეთოდი უნდა მოვიმარჯვოთ, რომელმაც განაპირობა ჩვენში ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების გამოჩენა და წინასწარ განსაზღვრა მათი ფორმისა და შინაარსის თავისებურება. ამისათვის ცალკე უნდა გამოვყოთ პერიოდი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე, ე. ი. 1555 წ. ამასიის ზავიდან, რომლის ძალითაც ირანმა და ოსმალეთმა ერთმანეთში გაინაწილეს ამიერკავკასია, XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლისა და კახეთის სამეფოების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ეს პერიოდი ყველაზე არსებითია, რადგან სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისეთი პოლიტიკური ფორმა, რომელმაც გამოიწვია ორენოვანი საბუთების გამოჩენა⁸.

მაშასადამე, ეს განსაკუთრებით ის დრო, როდესაც ირანი აღმოსავლეთ საქართველოს თავის ხელშეუვალ სამფლობელოდ თვლის და დაქინებით ცდილობს მის გაყიზილბაშებას. ამ მიზნის მისაღწევად კი ირანის შაჰის სამეფო კარმა აქ არაერთი წინასწარ მოფიქრებული და გამიზნული ღონისძიება განახორციელა. სწორედ ამისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო აგრეთვე მათ მიერ საქართველოს სამეფო ტახტზე ამიერიდან გამუსლიმებული მეფეების დასმა, მათი კარის მოწყობა ყიზილბაშური ადმინისტრაციის ყაიდაზე მუსთოფის თანამდებობის შემოღებით⁹ და სარეგისტრაციო დავთრებით და ა. შ.

ოფიციალურად აღიარებული და სახელმწიფოებრივი კანონის მქონე ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთებიც მაშინ დგებოდა სრულიად გარკვეული მიზნით, და, რასაკვირველია ჩვენც სწორედ ისინი, ამ პერიოდის ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები უნდა მივიჩნიოთ „კანონიკურად“ ამ სახის მრავალრიცხოვან და სხვადასხვადროინდელ მსგავს საბუთთა შორის. ამასთან, აქვე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა მხოლოდ ამ პერიოდის საბუთებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებების შესახებაც. საქმე ისაა, რომ დასახელებული ეპოქის ორენოვანი ქართულ-სპარსული დოკუმენტები, როგორც სრულიად სამართლიანად მიუთითებს ვ. ფუთურჩიძე, წარმოადგენენ ერთსა და იმავე ქალღმერთს თუ ეტრატის ნაკვეთზე მოცემულ ერთი და იმავე შინაარსის ორ დოკუმენტს ქართულსა და სპარსულ ენებზე ერთსა და იმავე სა-

⁸ ვ. გაბაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

⁹ მუსთოფის შესახებ იხ. ნ. სურგულაძე. მუსთოფი აღ-მამალექის ინსტიტუტი სეფიანთა სახელმწიფოში. — თსუ შრომები, ტ. 206, თბ., 1979, გვ. 141—145.



განზე, არა ერთმანეთის თარგმანს, არამედ თითქოს დამოუკიდებლად შექმნილი ტექსტებს¹⁰. არანაკლებ არსებითია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ქრისტიანული ორენოვანი საბუთების ორივე ნაწილი შედგენილია ქართული და სპარსული დიპლომატიკის ნორმების დაცვით და ისინი მხოლოდ მთლიანობაში წარმოადგენენ დასრულებულ ისტორიულ წყაროსა და დიპლომატიკურ ფენომენს¹¹.

აი, სწორედ აღნიშნული მომენტები უნდა მივიჩნიოთ, ჩვენი ღრმა რწმენით, მთავარ და განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების კლასიფიკაციისა და წყაროთმცოდნეობითი კვალიფიკაციის დროს.

ახლა წინარე და შემდგომი პერიოდების ორენოვანი საბუთების ხასიათსა და რაობას გადავხედოთ. მაშასადამე განსახილველი გვჩნება საქართველოში ყოზილბაშთა ბატონობის დამკვიდრების წინარე ხანისა და მათი გადაშენების შემდგომი ხანის ორენოვანი საბუთები, როგორი ხასიათის საბუთებად უნდა მივიჩნიოთ ისინი, ან რა წყაროთმცოდნეობითი კვალიფიკაცია მივანიჭოთ მათ?

რაც შეეხება პირველი კატეგორიის საბუთებს, XVI საუკუნის პირველ ნახევარსა და მის წინა პერიოდს რომ ეკუთვნიან, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დროის ამ მონაკვეთში გაცემული ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები ოფიციალურად თითქმის არცა გვაქვს. ვხვდებით მხოლოდ ჩვეულებრივ ოფიციალურ ქართულ საბუთებზე არსებულ სპარსულენოვან მინაწერებს და ისიც მხოლოდ საცნობარო დანიშნულებით¹².

ახლა იმ ორენოვანი ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების შესახებ, რომლებიც ყოზილბაშთა ირანის ბატონობისაგან საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი ხანით თარიღდებიან. როგორი ხასიათის საბუთებად უნდა მივიჩნიოთ ისინი არ როგორი კვალიფიკაცია უნდა მივანიჭოთ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის თვალსაზრისით? შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ისინი ორენოვან ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებად?

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემამდე შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ყოზილბაშთა ირანის 200-წლოვანი ბატონობის ხანა მისგან გამომდინარე არსებითი ხასიათის შედეგებით. ამ ხნის განმავლობაში ირან-ს სამეფო კარი ყველა ღონითა და საშუალებით ენერგიულად ცდილობდა საქართველოში მისთვის დამახასიათებელი ადმინისტრაციის დამყარება-განმტკიცებასთან ერთად აქაური მოსახლეობის გამუსლიმებასა და გაყოზილბაშება-ასიმილაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეში

¹⁰ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. V.

¹¹ თ. აბაშიძე. ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების დიპლომატიკური თავისებურებანი. — მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1974, გვ. 64.

¹² აღნიშნული პერიოდისათვის ქართულ საბუთებზე გაცემებული ასეთი სპარსული მინაწერები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომაც მოგვიანებით ქართული ისტორიული საბუთების პუბლიკატორები ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებსაც მსგავს მინაწერებად მიიჩნევდნენ და გამოსცემდნენ დაუბრკოლებლად, ოღონდ იმის აღნიშვნით, რომ „მეორე გვერდზე (ან აშიაზე) სიგელს თათრული (ან მუსლიმური) მინაწერი აქვსო“. იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. V; იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ „ორიოდ შემთხვევაში ასეთი შენიშვნა გვამცნობს, რომ სპარსული სიგელია მიწერილიო“; ორენოვანი საბუთების ქართული ნაწილები შეტანილ იქნა ე. თაყაიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ჟორდანიას პუბლიკაციებში (ამის შესახებ იხ. ნ. დუნდუას სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 21—22).



ირანის სამეფო კარმა გარკვეულ წარმატებებს მიიღწია კიდეც, განსაკუთრებით ქვეყნის მართვა-გამგეობის ირანულ ყაიდაზე მოწყობის თვალსაზრისით და საქართველოში ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების გზავნილებს მკვიდრებაც სწორედ ამ პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო. და განა შეიძლება ყოველივე ამას თავისი ღრმა კვალი არ დაემჩნია ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ერთბაშად წაშლილიყო იგი საქართველოში ყიზილბაშთა ბატონობის გადაშენებისთანავე ერთი ხელის მოსმით? რა თქმა უნდა, არა! ის კი არა, ეს გარემოება ჩვენში კიდეც დიდხანს იჩენდა თავს და არა მარტო ორენოვანი საბუთების შედგენა გრძელდებოდა, არამედ თითქოსდა უფრო საკვირველი გარემოების მოწმენიაც კი ვართ, რადგან საქართველოში სწორედ მაშინ, ე. ი. ყიზილბაშთა ბატონობის გადაშენების შემდეგ, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის სამეფო კარი ინტენსიურად იწყებს ოფიციალური საბუთების მხოლოდ სპარსულ ენაზე გამოცემას.

საქმე ისაა, რომ, მართალია, საქართველომ ირანისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ მათი ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, გარდა იმისა, რომ ჩვენში ფეხი მოიკადა ჩვენთვის უცხო წესებმა და ადათებმა, ქვეყნის ტერიტორიაც გვარიანად აჭრელდა ყიზილბაშ ტომთა და სხვა ხალხთა წარმომადგენლების კომპაქტური დასახლებებით, ყიზილბაშთა სხვადასხვა ტომები განსაკუთრებით ბლომად ყოფილან ჩამოსახლებული ქვემო ქართლში, საბარათიანოში და კახეთში, მდ. ივრის აუზის გაყოლებაზე, ლორე-ბამბაკის მიდამოებში, მდ. ბერდუჯის აუზში, ე. წ. ქურდვაპურის ხევისა და მისი აღმოსავლეთის, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, მტკვრის სამხრეთით, სადაც ქართული მოსახლეობა ან ძალიან შემცირებულ იყო, ან თითქმის აღარც კი არსებობდა. ტერიტორიულად და პოლიტიკურად კი ისინი საქართველოს სამეფოში შემოდიოდნენ, რაზეც კარგად მეტყველებდნენ როგორც თხრობითი ხასიათის, ისე დოკუმენტური წყაროები. პაპუნა ორბელიანი, მაგალითად, ამ მიდამოებს საქართველოს სამეფოში შემომავალ ტერიტორიებად განიხილავს და, რაც მთავარია, იქვე იმასაც გვაუწყებს, რომ ეს ფაქტი ირანის შაჰმა სპეციალური ბრძანებითა და განკარგულებითაც დააკანონა¹³.

სწორედ აღნიშნული გარემოებები აიძულებდნენ საქართველოს მეფეებს გამოეცათ დოკუმენტები სპარსულ ენაზე, რომლებიც საკმაო რაოდენობით არის დაცული დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ ბაქოს სიძველეთსაცავებშიც¹⁴.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი საბუთები საკმაო რაოდენობით ჩნდება ჩვენში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. საყურადღებოა, რომ თბილისში კვლავაც განაგრძობს არსებობას შარიათის სასამართლო, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე სპარსული საბუთი გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ¹⁵.

ყოველივე ზემოთქმული სავსებით აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოში ყიზილბაშთა ორსაუკუნოვან ბატონობას უშედეგოდ სულაც არ ჩაუვ-

¹³ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სიძიებელი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 156.
¹⁴ ტ. მ. მუსხევი, აზერბაიჯანის შუასაუკუნეების ისტორიის სპარსულენოვანი საბუთები, ბაქო, 1977 (აზერბაიჯანულ ენაზე).
¹⁵ კ. ტაბატაძე, რამდენიმე სპარსული საბუთი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდიდან. — თსუ შრომები, № 241, თბ., 1983, გვ. 274—289.



ლია და დაგვიტოვა თავისი მიმივე მემკვიდრეობა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატება საბუთების შესაღვენად სპარსული ენის გამოყენებით, ოღონდ ამდროინდელ ორენოვან საბუთებს იმათთან საერთო არა აქვს რა, ჩვენ რომ მე-2 ჯგუფში გავაერთიანეთ.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ვ. ფუთურიძე როდი გამოორიცხავდა იმაზე უფრო გვიანდელი ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების გამოჩენის შესაძლებლობას, რომლებიც თვითონ გამოსცა. იგი მიუთითებდა, რომ „შეიძლება მომავალში აღმოჩნდეს რამდენიმე უფრო გვიანი თარიღის მქონე ორენოვანი საბუთი, მაგრამ უდავოა, რომ ქართულ-სპარსული სიგელები და მოუყიდებელი ქართლ-კახეთის მეფეების სამდივნოდან უკვე აღარ გამოსულა, რადგანაც აღარ არსებობდა ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ჰქმნიდა აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო საბუთების ორ ენაზე გამოცემის საჭიროებას“¹⁶.

მაშასადამე, ვ. ფუთურიძეს უფრო გვიანდელი თარიღის მქონე ორენოვანი საბუთის გამოჩენა კი არ მიაჩნდა შეუძლებლად, არამედ ადრე გამოცემული საბუთების ანალოგიური სახის მქონე საბუთების გამოჩენა ეეჭვებოდა პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, რომელთა ქართული ნაწილები შედგენილი იქნებოდა ქართული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით, ხოლო სპარსული ნაწილი კი მისგან დიამეტრულად განსხვავებული სპარსული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით. ეს კი სავსებით მართებულად ჩანს და, მართლაც, შემდგომ ხანებში გამოჩენილი და შედგენილი ორენოვანი ქართულ-სპარსული თუ ახლა უკვე სპარსულ-ქართული საბუთები სრულიად განსხვავებული სახისა და ხასიათის მატარებელი არიან და მეთოდოლოგიურად მკვეთრად გამოირჩევიან წინა ეპოქის ჩვენს მიერ მე-2 ჯგუფში გაერთიანებული ორენოვანი ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთებისაგან.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც საბუთი, მართალია, ორენოვანია, მაგრამ ქართულ-სპარსული კი არა, არამედ სპარსულ-ქართული და საერთოდ შეუძლებელია მისი ჩვენს მიერ დასახელებული ორენოვანი საბუთების რომელიმე კატეგორიაში შეტანა.

სამისო მაგალითებს კი მოვიტანთ ზემოთ არაერთხელ დასახელებულ საბუთების პუბლიკაციებიდან.

ჯერ იმის ნიმუშად, რომ ორენოვანი საბუთის სპარსული ტექსტი დამოუკიდებელ დიპლომატიკურ სახეს აღარ ატარებს და ფაქტობრივ მხოლოდ საცნობარო ფუნქციის მატარებელია, გამოდგება ვ. ფუთურიძის პუბლიკაციიდან ერთი საბუთი, რომელიც იქ წარმოდგენილია 188 ნომრად. იგი დათარიღებულია 1751 წლის აპრილის „დამდეგით“ და წარმოადგენს გადაწყვეტილების წიგნს. მიცემულს მეითარის-შვილს ქაიხოსროს და ბაატას მიერ თუშმალ ქაზუმასადმი. საბუთში ნათქვამია: „ეს გადაწყვეტილების წიგნი მოგეცით მე, მეითარის შვილმა ქაიხოსრომ და ბაატამ, შენ, თუშმალს ქაზუმას, მუსტაფის შვილს, ასე რომე ბატონთან მიჩივლე აბანოზედ, ბატონის ბრძანებით სამართალი გაიყვეს, მე ჩემი წილი მომცეს და იმას, თავისი. ორნივე დავსჯივდი. დღეს რომ ქაზუმას წილი უჭირავს აბანოსი, იმასთან არც მე მქონდა საქმე და არც მამაჩემს, თუ სხვა ჩემის მამულის ადგილი ეჭიროს, იმასთან სადაო მქონდეს. დღუქნებს გარდა, ჩემი ძმის ათი თუმანი, თუთმეტის თუმნის თამასუქი

16 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. VI.



ქაზემასათვის რომ მიეცა აბდულა ბეგს აბანოს გულისათვის, მუქაბუქა მუქაბუქა ვე მომცა. ამ თეთრის და ამ თამასქის ლაპარაკი თუ ჩემმა ძმამ აბდულა ბეგ ლაპარაკი დაგიწყოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. მე, სიონის კანდელაკის შვილს ისაკს, დამწერია და მოწმეცა ვარ. დაიწერა აპრილის დამდგეს, ქორონიკონს უმე, არის ამისი მოწმე მიწკარბაში ალა სახლბუჯცესი ოსე, თავილდარი ყორ-დანაშვილი ქაიხოსრო, რევაზ გაბაშვილი“¹⁷.

სპარსული ტექსტი ბევრად უფრო მოკლეა და, როგორც ზემოთაც აღი-ნიშნა, თითქოს დამოუკიდებელ დოკუმენტს კი აღარ წარმოადგენს, არამედ უფრო საცნობარო ხასიათი აქვს. აქვე მოგვეყავს ეს საბუთიც გამომცემლის თარგმანში: „როგორც ტექსტში დაწვრილებით არის ქართულად აღწერილი, ამ დავის (მონაწილე) ორივე მხარე (ამ გადაწყვეტილებას) ადასტურებს და აღიარებს: თანხა ათი თუმანი აბდულაბეგის თხოვნითი თუმნის თამასქით მოპამედ ქაზემ-ბეგმა პაატა-ბეგს და მის მშობელს დაუბრუნა და მათაც აგ-რეთვე აბანოს ხელწერილი (ყაბალა) დაუბრუნეს. ამიერიდან აბანოს და დუქ-ნების შესახებ მათ ერთმანეთთან სალაპარაკო არ აქვთ. დაიწერა დიდებული შაბანის თვეს 1171 წ.“¹⁸.

საბუთის სპარსულ ტექსტს, როგორც ვხედავთ, აღარ ახლავს ძველებუ-რად სპარსული დიპლომატიკური ტრაფარეტები, მრავალსიტყვაობანი, იგი პირ-დაპირ საქმეზე გადადის და გადმოგვცემს საბუთის ქართული ნაწილის შინა-არსს მოკლედ და მომჭირნედ.

სწორედ ამ ძირითადი ნიშნით ვაერთიანებთ ყიზილბაშობის შემდგომდრო-ინდელ ორენოვან ქართულ-სპარსულ საბუთებს წყარომცოდნეობითი თვალ-საზრისით პირობითად წოდებულ მსგავს საბუთთა მე-3 ჯგუფში.

დაბოლოს, იმის საჩვენებლად, რომ ორ ენაზე შედგენილი ყველა საბუთი არ შეიძლება ჩაითვალოს ორენოვან ქართულ-სპარსულ დოკუმენტად. სამაგა-ლითოდ ერთ საბუთსაც მოვიტანთ ნ. დუნდუას პუბლიკაციიდან. იქ 24-ე სა-ბუთი წარმოდგენს ზაზა თარხნიშვილის არზას¹⁹, შედგენილს სპარსულ ენაზე ზედ თეიმურაზ II-ის განკარგულებით. მეფის ეს განკარგულება კი სპარსულ ენაზე შედგენილ არზას ახლავს ქართულად. გამომცემელს მისთვის უწოდებია „ბრძანება თეიმურაზ II-ისა ზაზა თარხნიშვილისადმი“. მაგრამ წინასიტყვაო-ბიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ მას მშვენივრად ესმის ამ საბუთის რაობა. ეტყვი არ არის, იცის ისიც, რომ მსგავსი დოკუმენტის, არზის, გამომცემის დროს ჯერ მთხოვნელის საბუთი უნდა იყოს წარმოდგენილი და შემდეგ მის თხოვ-ნაზე შემდგომი ორგანოს წარმომადგენლის დადებული განკარგულება. პუბ-ლიკაციაში კი პირიქით არის გაკეთებული, ალბათ, იმ ცდუნების გამო, რომ შიგ წარმოდგენილი ქართულ-სპარსული საბუთების რიცხვი გაზრდილიყო.

17 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 455.

18 იქვე, გვ. 455—56.

19 არზის, ისევე როგორც სპარსული დიპლომატიკის სხვა სახის საბუთების დახასიათება-განმარტებას ცალკე პარაგრაფი — „სპარსული დიპლომატიკა“ — დაუთმო ი. ჯავახიშვილმა წიგნში. „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“, ტფ., 1926, გვ. 21—24. იქვე გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი არზის განმარტებასა და წარმოშობის ისტორიის ჩვენე-ბას (იხ. გვ. 41 და შიგ.).

უფრო მეტი თვალსაზრისით აქვე მოვიტანთ საბუთის სპარსულ ნაწილსაც საკუთარი წაკითხვითა და ქართული თარგმანით:

عرضه داشت کمترین بندگان زازا ترخان اعلیٰ بذروه عرضی بندگان عالی میر ساند که چون کمترین از میا من اقبال بی زوال بندگان عالی و حسب التعلیقہ رفیقہ جمعی کہ فریب سی چهل سل قبل ازین و رعایای گرجستان کہ سوی محل اخصیحه رفیقہ بودند بعضی خاک بعضی بد الاجت آورده حال جمعی از موارث و سایر سکنه گرجستان ادعای رعایا مینما یند ا ستدعا میدارند کہ تا مدت ده سال یا پانزده سال کہ رفیقہ باشند از فرق مزبور مضایبه ننمایند تا مقرره فرمائید تمامی را تسلیم المراسم سرکار عالی نمایند تا مقرره داشته و روحی ندارند کہ هر آینه عند الله و عند رسول ضایع نخوا شد باقی امره الله العالی

„არზა უცნინესი მონათავანის ზაზა თარხნიშვილისა, რომელიც მოახსენებს უმაღლესი და უზენაესი მეუფის მონის ბრწყინვალე სმენას მარადიული ნეტარებისა და წარმატებათა სურვილებით. მაღალი განკარგულების ძალითა და იმ ლტოლვილ გლეხთა და სხვათა სახელით, რომლებიც ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ ქართლიდან ახალციხის მხარეში გადაიხვეწნენ და მერე იქიდან ზოგი თვითონ შემოგვეხიზნა და ზოგსაც ჩვენ წარმოვუძებით და მოვიყვანეთ. ახლა კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მათი მემკვიდრეები, მათ თავს რომ გვედავებია. იმათი სახელით, რომელთა ჩვენთან მოსვლის შემდეგ უკვე ათი-თხუთმეტი წელიწადია გასული გვაჯებით, რომ გამოსცეთ ბრძანება და განკარგულება, რომ ყველა მათგანი გადაცემულ იქნას მაღალი სარქარის წარმომადგენლებისადმი, რათა ასეთი ბრძანებისა და განკარგულების შემდეგ მათთან ხელი აღარავის ჰქონდეს და ღვთისა და წინასწარმეტყველის უნებური არა მოხდეს რა. დანარჩენი კი თქვენს უმაღლეს ნებაზეა“.

შემდეგ ამას მოსდევს თეიმურაზ მეფის შემდეგი შინაარსის განკარგულება: „ქ. ჩენი ბრძანება არის: თარხნიშვილო ზაზავ, თხუთმეტს წელიწადს უწინ რაც ქართველი კაცი ქართლიდამ აყრილა და ჯავახეთს გადასულა და იქიდამ შენთან მოსულა, ის გლეხი შენთან იყოს, ხელი არავის აქვს. შენთვის მოგვიბარებია. მანამ მოვიკითხვედნეთ, შენა გყვანდეს. (დაიწერა) იანერის კდ, ქ(რონი)კ(ონ)ს ულდ“. (24 იანვარი, 1746 წ.).

როგორც ვხედავთ, საბუთი მართლაც ორენოვანია, ოღონდ ახლა უკვე სპარსულ-ქართული, თანაც შინაარსითაც სრულიად განსხვავებული ჩვენთვის ცნობილი ორენოვანი საბუთებისაგან და, ამიტომაც, ზემოთ ჩვენს მიერ წყაროთმცოდნეობითი მეთოდის თვალსაზრისით დასახელებულ ვერცერთ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ. აღვნიშნავთ კი, რომ ეს არის ძალიან საინტერესო შემთხვევა და სავსებით იმსახურებს საგანგებო შესწავლას.

Handwritten text in Georgian script, likely a letter or document, written on aged paper. The text is arranged in several lines, with some words appearing to be in a different script or dialect. A small, dark rectangular stamp or mark is visible on the right side of the page.

К МЕТОДИКЕ ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ДВУЯЗЫЧНЫХ ГРУЗИНСКО-ПЕРСИДСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ДОКУМЕНТОВ

Резюме

Наличие надписей на «мусульманском» (персидском) языке на некоторой части грузинских исторических документов давно привлекало внимание ученых. Такие надписи нередко обнаруживались на документах XIV в., но с 80-х годов XVI в., и в особенности с середины последующего столетия, это стало почти обычным явлением. Не придавая особого значения этому факту, ученые Грузии (Э. Такайшвили, Ф. Жордания, Н. Бердзенишвили), включая грузинские части подобных документов в свои публикации исторических документов, просто указывали на наличие персидской надписи. Позднее В. Шутуридзе удалось объяснить суть этого явления и установить существование двуязычных грузинско-персидских документов, которые с 80-х годов XVI в. регулярно издавались здесь как результат 200-летнего владычества кызылбашского Ирана в Восточной Грузии.

В дальнейшем использование персидского языка при составлении определенной части документов продолжалось как в период самостоятельного существования грузинской государственности, так и после появления здесь администрации русского самодержавия.

Для выработки методики классификации и изучения подобных документов, учитывая время их издания и характер содержания, мы предлагаем разделить их на три категории.

В первую категорию включаем документы со времени их появления до 80-х годов XVI в., когда персидская надпись на них имела сугубо познавательный характер.

Во второй группе предлагаем объединить документы, специально изданные на двух (грузинско-персидском) языках, не являющиеся переводом с одного языка на другой, составленные на одну и ту же тему, но грузинская часть по нормам грузинской, а персидская — по нормам персидской дипломатики периода кызылбашского владычества.

В третью группу нами вносятся документы, составление которых на двух языках уже диктовалось не политическими соображениями, а продолжалось как по традиции, так и по надобности в условиях увеличения числа мусульманского населения страны иметь краткое содержание грузинского документа на понятном для него персидском языке.

K. TABATADZE

TOWARDS THE METHODS OF SOURCE-STUDY OF BILINGUAL GEORGIAN-PERSIAN HISTORICAL DOCUMENTS

Summary

The presence of inscriptions in the 'Mussulman' (Persian) language on a part of Georgian historical documents has long since attracted the attention of scholars. Such inscriptions have often been found on the 14th century do-



cuments, becoming almost regular practice from the 1580s, and especially from the mid-17th century. Not attaching particular importance to this fact, Georgian scholars (E. Taqaishvili, Th. Zhordania, N. Berdzenishvili) included the Georgian part of such documents in their publications of historical documents, merely indicating the presence of a Persian inscription. Later, V. Puturidze succeeded in explaining the essence of this phenomenon and in establishing the presence of bilingual Georgian-Persian documents which from the 1580s were regularly issued as the result of the 200-years-old rule of Kizilbash Iran in Eastern Georgia.

Subsequently, the use of the Persian language in compiling some documents continued both during the existence of independent Georgian statehood as well as after the establishment of the autocratic Russian administration here.

With a view to developing a method of source-study classification of research into such documents the author proposes to divide them into three categories, with account of the time of issue and the character of the contents.

Included in the first category are documents dating from their appearance to the 1580s, when a Persian inscription on them bore a non-committal, purely cognitive character.

The second group comprise documents specially issued in the two languages (Georgian and Persian), not being a translation from one language into the other: compiled on the same theme—the Georgian part according to the norms of the Georgian language, and the Persian part according to the norms of Persian diplomatics of the period of Kizilbash rule.

The third group should comprise documents whose compilation in the two languages was no longer dictated by political considerations, but continued by tradition, as well as by the need of having a synopsis of the Georgian document in Persian, i. e. a language comprehensible to the growing Muslem population of the country.

მამის ბარანოვილი

ტერმინ „ქართულის“ მნიშვნელობისათვის

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისის ქართულ იურიდიულ წყაროებში საკმაოდ ხშირია სიტყვა „ქართულის“ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები. ეს გარემოება ცხადს ხდის, რომ სიტყვას უკვე ტერმინის დანიშნულება მიუღია. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა შინაარსი აქვს ცნება „ქართულს“, აუცილებელია ამ სიტყვის წყაროებში დამოწმების ყოველი ცალკეული მაგალითის გათვალისწინება.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის № 173 მუხლში ვკითხულობთ: „დახუთვისა ასრე იქნას, ქვეყანაში ამისი ყადაღა კელმწიფისაგან უნდა იყოს და არის, რომე, რაგინდ დიდი საქმე, სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დაიხუთავს. თუ ვისმე ქართული ქონდეს, ან კელმწიფეს შემოსჩივლოს, ან მის მდივანბეგსა და მოსამართლესა და ისრე თავისი საქმე გაარგოს, თორემ, თავის-თავად ვინც ან მოიტაცოს რამე, ან დაიხუთოს, ექვსი თუმანი საკელმწიფო ჯარიმა გამოიღოს და წანართმევი ისრევე პატრონს მისცეს“¹.

ამ მუხლში ხაზგასმულია, რომ მოქალაქეს არ შეუძლია თვითნებურად გადაწვიტოს ვალისა და სისხლის საქმე, ვისაც საამისო „ქართული“ აქვს, იმან ამ „ქართულის“ საფუძველზე ხელმწიფეს ან მის მდივანბეგს და მოსამართლეს უნდა შემოსჩივლოს და ისე გაარგოს საქმე. კონტექსტით სიტყვა „ქართული“ მისი პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნახმარი და საჩივრის საფუძველს, საჩივრის დამადასტურებელ მოწმობას აღნიშნავს. სწორედ ასე გაუზარებია ეს სიტყვა ძეგლის გამომცემელს ი. დოლიძეს და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს დართულ ლექსიკონში მისთვის ასეთი განმარტება მიუცია: „ქართული — სიტყვა, ბრძანება“².

მაგრამ ტერმინ „ქართულს“ აქვს სხვა ნიუანსებიც. ამის ცხადსაყოფად მივმართოთ ამ ტერმინის ხმარების სხვა მაგალითებსაც.

1697 წლის 11 ნოემბრის ნასყიდობის წიგნით სომხითის მელიქმა ავთანდილმა, მისმა ძმებმა, ბიძაშვილებმა და შვილებმა გივი თუმანიშვილს მიჰყიდეს თავიანთი „სამკვიდრო, ალალი გამოყოლილი, უცილობელი მამული შამირხას ნასოფლარი“. ნასყიდობის დამამტკიცებელ ნაწილში შემდეგს ვკითხულობთ: „არავინ იყოს მოცილე და მოდავე ამისი, თვინიერ მხოლოდ ღთისა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1963. გვ. 524.

² იქვე, გვ. 768.



მეტი, და თუ ვინმე გამოჩნდეს მოდავე და მოლაპარაკე ან სიჭკვიანობა, ან ქართულითა, ყოელს ფერში პირისა და მასუხისა გამოცემნი ჩვენ ვიყუნეთ“³.

კონტექსტით ცხადი ხდება, რომ ნასყიდობაზე შეცილება სამი რამით ყოფილა შესაძლებელი — სიტყვით, წიგნითა და ქართულით. ეს გარემოება უკვე გამორიცხავს ცნება „ქართულში“ მხოლოდ სიტყვისა და ბრძანების მნიშვნელობას.

1676—1693 წწ. შუალედის საფიცრის წიგნში, რომელიც გაცემულია პაპუა ტატიშვილისა და მისი შვილებისაგან მათი ბატონის ელიზბარ დავითიშვილის შვილისადმი, მოთხრობილია შემდეგი: პაპუა ტატიშვილი თავის ბატონს სთხოვს აპატიოს აქამდე ჩადენილი ყველა დანაშაული, სამაგიეროდ იგი სამუდამო ერთგულებას პირიბდა. ერთგულების პირობა შემდეგ მუხლებს შეიცავს: ბატონის ბრძანების მორჩილება, ბატონის საქმეში დახმარება, სხვისი იურგულობის გამოქვდავება, საერთოვლო რჩევების მიცემა ბატონისათვის, საიდუმლოდ შენახვა, ყმობიდან წაუსვლელობა, მამებლად სამსახური, ბატონის ნტრის მტერი უნდა იყოს და მოყვრის მომსახურე, არ უერთგულოს ბატონის ნოქიშვს⁴.

საფიცრის წიგნებში მიღებული ამ ჩვეულებრივი და საყოველთაოდ გავრცელებული პირობების გარდა პაპუა ტატიშვილის საფიცარში შეტანილია კიდევ მხოლოდ ამ საფიცრის დამდებთათვის დამახასიათებელი სამი მომენტი: 1. არც ამილახორსა, და იმის ძმას და სახლიკაცს არცა ვმსახუროთ, არცა ერთგული ვიყოთ. 2. შენის ძმის ხოსიასთვინაც კარგი ვიყოთ. 3. არც ბატონის დედის თქვენის ურიგო ქართული არას ქვეყანასა და არას უამხედ არა ვთქვათ“⁵.

ამ შემთხვევაში „ურთიგო ქართული“ ურიგო, უწყესო სიტყვას ნიშნავს, მაგრამ ისეთ სიტყვას, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ექნება მოფიცრისაგან ერთგულების პირობებიდან გადასვლის შემთხვევაში.

რომ „ქართული“ სწორედ გარკვეული სამართლებრივი შინაარსის ცნებას გამოხატავს, ეს უფრო ნათლად ამ ტერმინის ხმარების სხვა მაგალითებიდან ჩანს.

ვახტანგ VI-ის ერთ-ერთ ბრძანებაში (რომელიც 1703—1709 წლებშია გაცემული) ნათქვამია: „ჩვენი ბრძანება არის ავლაბრის ხასადარო! მერც: ეს თათრიშვილი რამაზა ჩვენდა უბრძანებლად არავ აუყარო. თუ ვისმე ქართული ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, თორემ ნურვის დაანებებთ“⁶.

ხასადარი მეფის ის მოხელეა, რომელიც განაგებს მეფის საკუთარ მამულებს. ავლაბრის ხასადარს კი ავლაბარში მოსახლე სამეფო ყმების მეურვეობა ევალება. ზემომოყვანილი ბრძანებით მეფე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახასო ყმების აყრა მეფის ბრძანების გარეშე შეუძლებელია. და თუ ვინმე ამას გააკეთებს რაიმე „ქართულის“ მეშვეობით, მან ეს ქართული მეფეს უნდა

³ საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909. გვ. 117.

⁴ იქვე, II, გვ. 293—296. ეს საფიცარი XVII ს. ბოლო მეოთხედშია დადებული. ეს ჩანს შემდეგიდან: პაპუა ტატიშვილი წერს: „გიორგი მეფის შემცოდე ვიყო და მისი შვილის ბაგრატის მკვლელი“. აქედან ცხადია, რომ საბუთი დაწერილია გიორგი XI-ის მეფობაში (1676—1688, 1703—1709 წწ.), მაგრამ მისი მემკვიდრის — ბაგრატის — სიცოცხლეში. ბაგრატის კი გარდაიცვალა 1693 წელს. ამ ნიშნით საფიცარი უნდა დადებულიყო გიორგის მეფობის პირველ პერიოდში — 1676—1688 წწ. შუალედში.

⁵ იქვე, გვ. 295.

⁶ იქვე, გვ. 297.



წარუდგინოს. ამ შემთხვევაში „ქართული“ ქონებრივი უფლების დამდასტურებელი საბუთია — წერილობითი ან სიტყვიერი — მაგრამ საბუთი, რომელიც მის მფლობელს გლეხის აყრის უფლებას ანიჭებს.

ტერმინ „ქართლის“ მნიშვნელობას განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისის დოკუმენტური და ეპისტოლური მასალა ორბელიანთ სახლიდან.

1661 წ. გარდაიცვალა ქვემო ქართლის დიდი ფეოდალური სახლის — საყაფლანიშვილ-ოს — მეთაური ყაფლან ორბელიანი. მისი სიკვდილის შემდეგ გვარში უფროსობა მის უფროს ვაჟ პაპუნაზე გადავიდა. პაპუნა უშვილო იყო და გადაწყვიტა ეშვილა თავისი ერთ-ერთი ძმის — ვახტანგის — ვაჟიშვილი. ვახტანგ მდივანბეგს რვა ვაჟიშვილი ჰყავდა, ამათგან უფროსი სულხანი — საბეროდ გამაზადებული — გვარის გამაგრებულად აღარ გამოდგებოდა და პაპუნამაც მისი მომდევნო ძმა (შემდეგში მდივანბეგი) ერასტი აიყვანა შვილად.

ამის თაობაზე პაპუნა ორბელიანს 1684 წ. 17 იანვარს ძმებთან ასეთი შინაარსის პირობის წიგნის დადება მოუხდა: „ჩვენდა შვილად ჩვენი ძმისწული ერასტი ვიშვილეთ. და ამ მიზეზით ძმათში სამდღურავი ჩამოგვივარდა და ლაპარაკი შეგვექმნა. და რადგან მდივანბეგისა და სარდლის (მდივანბეგი ვახტანგ და სარდალი თამაზი პაპუნას ძმები არიან. — მ. ბ.) ქართული ერთი იყო, მეც თქვენკენ მოვიწიე, ჩემს ძმას ასლანს და ძმისწულებს დაველაპარაკენით. თუ ამა პირობით ყაბული ქნან, რომ თქვენში საუფროსო და საუმცროსო აღარ იყოს, ჩემს საუფროსოს არავინ წამოეჭიდოს, ძმანი ხართ და საყვარლად იყავით და ერთობა ქენით“⁷.

ამ პირობის წიგნით ცხადი ხდება, რომ პაპუნა ორბელიანს, თუმცა კი შვილი აუყვანია და თავისივე ძმისწული თავის მემკვიდრედ უქცევია, მაგრამ რაკი პაპუნას საუფროსო წილის გამო ძმებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, გადაუწყვეტია საუფროსო ნაშვილები ძმისწულისათვის კი არ მიეცა, არამედ საკუთარ ძმათა შორის გაენაწილებინა. პაპუნამ ამ ფიცის წიგნით დაადასტურა, რომ იგი ოჯახის გაუყრელობის მომხრეა. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებამდე პაპუნა მიიყვანა ძმების — ვახტანგ მდივანბეგისა და თამაზ სარდლის ერთნაირმა პოზიციამ — ერთნაირმა ქართულმა ა. ქართული ამ შემთხვევაში საგვარეულო საკუთრების ფლობის იურიდიულ დასაბუთებას, სამართლებრივ ძალას აღნიშნავს.

პაპუნას პირობის წიგნი არ გამოდგა მყარი. რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა ნაშვილებმა ძმისწულმა ერასტიმ თავისი მამობლის საუფროსოს საკუთრივ დაუფლება მოინდომა. ერასტის ეს სურვილი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ერასტი მდივანბეგს, უშვილო ბიძის — პაპუნას — ნაშვილებს, თავადაც არ შეეძინა ვაჟიშვილი და მამობილსავეთ უმემკვიდრო შეიქმნა. 1707 წ. მას გარდაეცვალა მომდევნო ძმა ვახუშტი და ერასტიმაც ვახუშტის ობლები — ვახტანგ და ელიზბარ ყაფლანიშვილ-ორბელიანები შვილად აიყვანა. ეს ნაშვილობა შემდეგში სათანადო დოკუმენტითაც გაამაგრა⁸. ყაფლანიშვილ-ორბელიანთა საგვარეულოში ამ გარემოებამ განაახლა მათ მამა-ბიძებში 30-წლის წინანდელი სამდღურავი. კვლავ გაიხსენეს პაპუნას საუფროსო. პაპუნას მემკვიდრემ — ერასტიმ — მამობილის ნაანდერძევის შეცვლა — საერთო სამშო

7 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 96.
8 იქვე, გვ. 214.



მფლობელობის გასაყუთრება — მოინდომა. როგორც ჩანს, ერასტიმის სურვილი ავლანთში მყოფ ქართლის მეფე გიორგი XI-ისათვის განეკუთვნება.

მაგრამ გიორგი მეფე პაპუნას ანდერძის მოშლის წინააღმდეგია, იგი გვიჩვენებს დაუშლელობის მომხრეა. ამის შესახებ მას კიდევ მიუწერია ერასტისათვის. ერასტის უფროსმა ძმამ საბამ კიდევ ერთხელ სთხოვა მეფეს პაპუნას საუფროსო წილი ერასტისათვის დაემკვიდრებინა. მაგრამ გიორგი XI-მ საბასაც უარი შემოუთვალა: „პაპუნას საუფროსოსი რომე მოგვეწერათ, ახლა მე რომ კიდევ ერთი წიგნი დავწერო და გამოვგზავნო, რას აქნევთ იმისთანა წიგნსა? რა ექართული მქონდა, ყველა მდივანბეგის ერასტისათვის მომიწერია და, როგორც მომეწეროს, ისრე ქენით. ვისაც ის წიგნი აქვს, თუ გაყრა უნდა, რას მალავს, და თუ სახლიაკობა უნდა და ინათ რას მალავს, რას გამოადგება? მეც რომ არ ვიყო, ასრე გარიგებულია პაპუნას საუფროსო, სულ ქვეყანამ იცის“⁹.

მეფეს ამ წერილში გულახდილად გამოუთქვამს თავისი აზრი პაპუნას საუფროსოს შესახებ. მეფის აზრი ანუ გარდაწყვეტილება საუფროსოს გარიგებას შესახებ წერილში გადმოცემულია სპეციალური ტერმინით — „ქართულით“. „რა ექართული მქონდა, ყველა ერასტისათვის მომიწერიაო“. ე. ი. ქართული აქ აღნიშნავს გადაწყვეტილებას, დადგენილებას, ბრძანებას, კანონს. ამავე მნიშვნელობით ხმარობს გიორგი XI სიტყვა ქართულს იგივე წერილის სხვა ადგილშიც: „იმერეთს რომე უშვილო კაცი მოკულების და მალი გაყრა მოხდა, ეგებ ამით იქნას და მიეცეს იმ სახლისკაცსა. თვარემ თუ დაგვიანდა და ეს სახლისკაცმა გვიან გაიყარა, ბატონის მზემ, ბატონის არის უშვილო კაცის მამული. თვარემ რას ჰქვიან ამ ისთანა ქართული? რას ხსნის გარიგებული საქმე არის, ვინ იცის! ვინ მოშლის ამ საქმესა“¹⁰.

წინაარსით „ქართული“ აქ სამართალს, კანონს უდრის.

გიორგი XI-ის კატეგორიულმა თქმამ, რომ არ გადაისინჯება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი გადაწყვეტილება ანუ „ქართული“ საგვარეულო ქონების გადანაწილების შესახებ უშვილო კაცის გარდაცვალების შემთხვევაში, ორბელიანთა საგვარეულოს მიანიც არ ააღებინა ხელი პაპუნას საუფროსო წილზე.

ერასტი ორბელიანს პაპუნას საუფროსო ახლა კიდევ ერთხელ მყოფ ლევან ბატონიშვილისათვის უთხოვია. ლევანი ასეთ პასუხს აძლევს ერასტის ამ თხოვნაზე: „ჩემი ჩანიშინი მანდა ზის, ილაპარაკეთ, ქართველმა ბერმა და ერმა ყველამ იცის. ვინც მოკუდა, თვარემ ვინც ცოცხალს არიან ხო მაშინ დაესწრენ, ტყუილს ხომ ვერ იტყვიან? ჰირობა ასრე დაზღვეს და წიგნი, რომე პაპუნას საუფროსო ყველამ სწორედ გავყოთო. ახლა თუ ჩემზედ მოაგდებენ და დამეკითხვიან, მის ქართულს მე ვპოვნი და მოვსწერ, თუ როგორ იყო. ჩემად მაგიერ ეგ არის ბატონი, მიდით, იჩივლეთ და რა ქართული დაასკვნათ, მომწერეთ, თვარემ მე რომ კიდევ აქ ერთი ბარათი ჩუმიად დავაწერიო,

⁹ ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლური წყაროები XV ს. — 1763 წწ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო შამისა ბერძნიშვილმა. თბ., 1989. გვ. 37—38; საქართველოს სიძველენი. II, № 180.

¹⁰ ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, გვ. 38.



სხსიყეციყ ჟათორაჟ¹⁶, რაც ქართულად ასე ითარგმნება: მაგრამ დაწვეტს საეკლესიო სამართალი, ე. ი. „ქართული“ ეკვივალენტური **ჟათათაჟან** — ია მოცემული, რაც საეკლესიო სასამართლოს, სამართალს, განაჩენს, გარდაწვეტილებას უდრის. ანუ „ქართული“ აქაც სამართლის მნიშვნელობით იხმარება. სომხური სიტყვა **ჟათათაჟან** (სამართალი) ქართველ მთარგმნელს მისი დროისთვის მიღებული ტერმინით — ქართულით — გადმოუცია¹⁷. (იხ. ხუდაბაშიანის სომხურ-რუსული ლექსიკონი, გვ. 507).

რაც შეეხება ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიას, იქ ტერმინი ქართული მოტანილია № 369 მუხლში შემდეგი კონტექსტით: „ქ. ორთა მეფეთა შორის რომლისა საქმისათვის რომ ქართული იქნების, იმათ ვინცავენ შეკრებულნი ერნი ახლავან, მათთვისცა ჯერ არს, რათა ბძანება მათი დაამტკიცონ“¹⁸.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი „სამართალი ბერძელის“ წყარობს შეადგენს XIV ს-ის გამოჩენილი იურისტის კონსტანტინე არმენოპულოს იურიდიული სახელმძღვანელო „Hexabiblos“ ანუ „ექვსი წიგნი“ და იმავე XIV ს-ის მოღვაწის — საეკლესიო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის მათე ვლასტარის სინტაგმა. „სამართალი ბერძელის“ ამ ორ ძირითად წყაროზე ჯერ კიდევ დავით ჩუბინაშვილმა მიუთითა¹⁹. შემდეგში ჩუბინაშვილი ეს აზრი განავითარა ვლ. სოკოლსკიმ²⁰.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ბერძნული სამართლის ქართული ტექსტ-ს ორი ხელნაწერი — S—3683 და Q—575. ამ ორი ხელნაწერის საფუძველზე ი. დოლიძემ განახორციელა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის გამოცემა²¹.

მაგრამ გასარკვევი დარჩა ერთი საკითხი — ქართველმა მთარგმნელმა თვითონ შეაერთა კონსტანტინე არმენოპულოსა და მათე ვლასტარის შრომებთან ამოკრებილი მუხლები, თუ ბერძნულადვე არსებობდა ამ ორი იურიდიული ძეგლის შენაერთი. ამ კითხვაზე პასუხი გაცა თ. ბრეჯაძემ, რომელმაც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მიაკვლია სხვადასხვა სამართლის ძეგლების მიხედვით შედგენილ სასამართლო წიგნთა კრებულს ბერძნულ ენაზე (Gr 10). ამ ხელნაწერში შესული იყო არმენოპულოსა და ვლასტარის სამართლის წიგნების სწორედ ის მუხლები, რომელთა ქართული თარგმანი ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულშია შესული.

¹⁶ *История Религиозно-Православных Церквей в Грузии* . . . *Православие* 1880. მუხლი 44.

¹⁷ ა. პაპოვიანის რუსულ თარგმანში მხითარ გოშის სამართლის ეს ფრაზა გადმოცემულია შემდეგნაირად: «Однако, подобные дела подсудны не светским, а судам церковным», — Армянский судейник..., часть первая, церковные каноны, с. 44, с. 69. აქ, როგორც ვხედავთ, სომხ. *ჟათათაჟან სხსიყეციყ* (ჩვენი მთარგმნელის „მღვდლის ქართული“) გამოხატულია церковный суд-ით. „ქართული“ უდრის რუს. „სუდ“-ს.

¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 214.

¹⁹ Brosset M. Histoire de la Géorgie. SPb., 1854. წინასიტყვაობა გვ. XXX.

²⁰ Сокольский В. Греко-римское право в Уложении грузинского царя Вахтанга VI. — ЖМНП, IX, 1894, с. 56—93.

²¹ ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 127—221.



თ. ბრეგაძემ შეისწავლა ეს ბერძნული ძეგლი. ამ ძეგლში ერთგვარად არის წარმოდგენილი ძველი, ბიზანტიური და ახალი ბერძნულის ტექსტები. თან ტექსტი გადატვირთულია დიალექტური ფორმებით და მათში გარკვევა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. თ. ბრეგაძემ წარმატებით დასძლია ეს სიძნელე და განახორციელა ბერძნული სამართლის ამ ძეგლის გამოცემა მისი ქართული ვერსიის პარალელურად. ტექსტების ურთიერთშეჯერებით მიღებულია დასკვნა, რომ ქართული ვერსია არ წარმოადგენს ბერძნული ტექსტის ადეკვატურ თარგმანს და რომ ქართველი მთარგმნელი ცდილობდა მხოლოდ ტექსტის შინაარსის გადმოცემას²².

ამ ვითარებაში ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში დამოწმებული ტერმინი „ქართული“ ამ ცნების ქართულ სინამდვილეში ფართო გავრცელების მაჩვენებელია და ბერძნული ტექსტი მხოლოდ ქართული ტერმინის მნიშვნელობის გარკვევაში თუ დაგვეხმარება.

ვახტანგის სამართლის
წიგნების კრებულის ბერძნული
სამართლის მუხლი № 371²³

ორთა მეფეთა შორის რომლისა საქმისათვის რომ ქართული იქნების, იმათ ვინცა ვინ შეკრებულნი ერნი ახლავან, მათთვისცა ჯერ არს, რათა მათცა ბძანება მათი დაამტკიცონ.

ბერძნული ხელნაწერის
(Gr 10)
მუხლი № 311

Ἡ ἀρχαιότης τῶν νόμων ἀναμνηστικῶς τῶν πατρῴων καὶ ἐκ πατριάρχων: ὁ νόμος ἔσται ἡ ἀρχαιότης.²⁴

ქართულ ტექსტზე დაკვირვებით გამოდის შემდეგი: თუ ორი მეფე რაიმე საქმეზე გარკვეულ გადაწყვეტილებას მიიღებს, მათი თანმხლები პირებიც ელდებულნი არიან დაამტკიცონ მეფეთა ეს ბრძანება. გადაწყვეტილების მიღება ქართულში გამოხატულია გარკვეული იურიდიული ტერმინოლოგიით — „რომ ქართული იქნების“ — რაც ბერძნული ტექსტის ἡ ἀρχαιότης ἔσται (გადაწყვეტილების მიღება) სიტყვა-სიტყვითი თარგმანია. ბერძნული ტექსტის გამოცემელს თ. ბრეგაძეს თანდართულ ლექსიკონში ტერმინი ἀρχαιότης; განმარტებული აქვს როგორც გადაწყვეტილება, ბრძანება, განზრახვა. ძველ ბერძნულში კი ამ სიტყვას კიდევ სხვა მნიშვნელობებიც აქვს: სასამართლო გადაწყვეტილება, დადგენილება, განაჩენი²⁵.

ქართველ მთარგმნელს კი ასეთი მრავალფეროვანი მნიშვნელობების შემცველი ტერმინის — ἀρχαιότης-ის გადმოსაცემად შეურჩევია მისი დროისათვის ფართოდ გავრცელებული და ყველასათვის გასაგები ტერმინი — სიტყვა „ქართული“.

ამ მიმოხილვით ცხადი ხდება, რომ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში საქართველოში ხმარებულ ტერმინს „ქართულს“ ჰქონია საერთოდ სამართლისა და კერძოდ დავის, დადგენილების, გადაწყვეტილების, ბრძანებულების მნიშვნელობა.

²² ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულიდან. ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ. თბ., 1964, გვ. 090—091.

²³ ქართულ სამართლის ძეგლებში ეს მუხლი 369 ნომრითაა აღნიშნული.

²⁴ ბერძნული სამართალი, დასახ. გამოცემა, გვ. 175.

²⁵ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958, с. 22.

К ЗНАЧЕНИЮ ТЕРМИНА «КАРТУЛИ» («ГРУЗИНСКОЕ»)

Резюме

В грузинских юридических памятниках конца XVII — начала XVIII вв. неоднократно встречается слово «картули» (букв.: «грузинское») не в своем первоначальном значении. Рассмотрев все случаи употребления этого слова в источниках того времени, приходим к заключению, что «картули» приобретает значение юридического термина. Под этим термином подразумевается право и правосудие в целом и постановление, иск, указ и повеление, в частности.

M. BERDZNISHVILI

TO THE MEANING OF THE TERM „KARTULI“ („GEORGIAN“)

Summary

In the Georgian juridical monuments of the end of the XVII—beginning of the XVIII century the word „kartuli“ (literally Georgian) often can be met not in its primary meaning.

Considering particulars of the usage of this word in the sources of that time we come to the conclusion that „kartuli“ has acquired the meaning of juridical term.

Under this term law in general and resolution, edict, action, command in particular are implied.

ლიანა ღაბლიანიძე

ტირ ოჰან ვოსკერჩიანის ცნობები საქართველოს შესახებ

XVIII ს-ის ერთ-ერთმა სომეხმა ავტორმა ტერ ოჰან ვოსკერჩიანმა თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი თბილისში გაატარა. თუმცა აქ გადმოსახლება მდევ, ეტყობა, კარგად იცნობდა საქართველო-სომხეთის ურთიერთობას ახლო წარსულში, რამაც ასახვა ჰპოვა მის ნაწარმოებში.

ო. ვოსკერჩიანი დაიბადა 1761 წელს, ისფაჰანში. მამამისი ნადირშაჰის ოქრომჭედელი ყოფილა, აქედანაა მათი გვარი წარმომდგარი (სომხურ ენაში „ვოსკ“ ოქროს აღნიშნავს). ნადირის გარდაცვალების შემდეგ ის გადასახლებულა საცხოვრებლად არარატის მხარეში. ოჰანი სასწავლებლად ეჩმიაძინის სამონასტრო სკოლაში მიუბარებიათ. იქ, სომეხთა კათალიკოსის სიმეონის შუამდგომლობით, მხატვარ ოვნათამს მოსთვის უსწავლებია საბეჭდავების კეთება და წიგნის აკინძავაშიც დახელოვნებულა.

1794 წელს ო. ვოსკერჩიანი მღვდლად უკურთხებიან ვალარშაპატში. 1804 წელს, რუსეთ-ირანის ომის დროს ერევნის სახანოს მოსახლეობა დიდ ჯგუფებად გარბოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში. მათ შორის ყოფილა ჩვენი ავტორიც. ლტოლვილების ერთი ნაწილი მოსულა თბილისში, სადაც მათთვის საცხოვრებლად გამოუყვიათ მაშინდელი გარეუბნები, კერძოდ, რუსული ბაზრის მიდამოები და ახლანდელი ავლაბრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. ო. ვოსკერჩიანს, როგორც მღვდელს, სამსახური დაუწყია ავლაბრის წმ. გიორგის ეკლესიაში და სიცოცხლის ბოლომდე დარჩენილა თბილისში. გარდაიცვალა 1834 წელს¹.

ო. ვოსკერჩიანის ნაწარმოებებს შორის ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმ შრომა, რომელიც შეიცავს სამ მოთხრობას: ა) ერეკლე მეფის ერევანში ლაშქრობას 1779 წელს, ბ) ომარ-ხანის მიერ ლორეს ქარხნის დარბევას და გ) თბილისის აკლესიას ალა-მაჰმად ხანის მიერ. სამივე ეს ნაწარმოები ერთად დაიბეჭდა ქურონალ „კრუნიკში“ („*Круник*“ — „წერო“) 1862 წ.² მათი რუსული თარგმანი შესრულებულია ა. ერიცოვის მიერ³. გამოქვეყნდა 1873 წელს.

ო. ვოსკერჩიანის აღნიშნულ შრომებში, როგორც სათაურებიც მიუთითებს, ასახულია ერეკლე II-ის მეფობის 1779, 1785 და 1795 წლების მოვლენები. ავტორი თანამედროვეა მის თხზულებებში აღწერილი ამბებისა და ზოგჯერ, შე-

¹ Ерицов А. Д. Летопись протоиерея Тер-Огана Воскерчянци. — КС, год I, Тифлис, 1873, с. 192.

² *Круник*, 1862, 4, *Տիփլիսი* էջ 278—286.

³ Ерицов А. Д. დასახ. ნაშრომი, გვ. 192—198.



სამღებელია, თვითმხილველიც. სამივე ამბავი, რაზედაც მოთხრობილია, ავტორს, კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამდენად, მხოლოდ იმ დეტალებს შევხებით პირველი ორი მოთხრობიდან, რაც მას დაბტებით აქვს მოცემული.

იმ მოთხრობის დასაწყისში, რომელიც შეეხება ერეკლეს ლაშქრობას 1779 წელს ერევანში, ავტორი აღნიშნავს: „ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ქართველთა მეფე ერეკლე გაძლიერდა, დაიკავა ქალაქ თბილისის ციხე-სიმაგრე და სპარსეთის მიერ დაყენებული მცველები ზოგი განჯაში გააძევა, ზოგი ერევანში და ზოგიც იმ მთის ძირას დაასახლა, რომელზედაც ციხე-სიმაგრე დგას“.

1747 წ. ერეკლე ყიზილბაშებთან ერთად ებრძოდა ანტონ კათალიკოსის ძმას არჩილ იესეს ძეს, ანუ აბდულა ბეგს, რომელიც თეიმურაზ II-მ ირანში გამგზავრების წინ ქართლის დროებით მმართველად დააყენა ერეკლესთან ერთად (იმ დროს აბდულა-ბეგი სამშვილდის ციხეში ცხოვრობდა), მაგრამ, როგორც ცნობილია, მან გადაწყვიტა ქართლს სამუდამოდ დაპატრონებოდა. ერეკლეს სურვილი საქმის მშვიდობით მოგვარებისა, არ განხორციელდა.

აბდულა ბეგმა საბარათიანოს ხალხითურთ თავისი უფროსი შვილი გამოგზავნა თბილისის ციხე-სიმაგრეში, რათა ყიზილბაშებთან ერთად ერეკლეს შებრძოლებოდნენ. ქართული წყაროებიდან ამ ამბავთან დაკავშირებით უფრო უხვ ცნობებს შეიცავს პაპუნა ორბელიანის ნაშრომი. მისი სიტყვით, „შეიქნა უფიცხე ომი, რომ ზარბაზანი და ყუნბარა ასე მოდიოდა ქალაქზე, რომ ვითა ცეცხლი წვიმსო, მარა ბრძანებითა ღმრთისათა ვერარა ავნებდინა მყოფთა ქალაქისათა. მოუმართეს მეტეხით ზარბაზანი და ესროდიან სასახლესა მეფისასა... მაგრამ არა მოუძღურდა მეფე ერეკლე და უმხნეს იქცეოდა და გოლიათობისა ძალსა გამოიჩინდა“. ერეკლემ მოწინააღმდეგეს დიდი ზარბაზანი დაუპირისპირა. მეოთხე რომ ჰკრეს... „მოვიდა ქართველთა და კახთა ჯარი და მთლივ ციხეს გარს შემოეხვივნეს... აიღეს ციხე და იავარ ყვნეს საქონელი, შიგა მყოფნი კაცნი ზოგი ცოცხალი მოართვეს მეფეს ერეკლეს და ზოგთა თავი წარკვეთეს“⁴. პაპუნა ორბელიანი თან იმასაც აღნიშნავს, რომ ციხეში „მცირედნი კაცნი იყვნესო“, ასეთ შემთხვევაში არც „თავწაჩვეთილნი“ იქნებოდა ბევრი. დავით ბატონიშვილიც ადასტურებს სპარსთა და ბარათიანთა ძლევას, „ესრეთ, რომ ერთი იპყრობდა ათსა... და უკუნ იქნენ სირცხვილეულნი“⁵. ე. წ. „ფურცელანთეულ ქრონიკაში“ (1747 წლის ქვეშ) ვკითხულობთ: ციხის აღების დროს „თორმეტი ციხის თათარი მოკვდა და ვაზდულაბეგის ოთხი კაცი ცოცხალი დაიპირეს“⁶. ამრიგად, ქართული წყაროების მიხედვით, ბრძოლის პროცესში არც ერთი მხრიდან მსხვერპლი დიდი არ ყოფილა, ხოლო შემდეგ, როგორც ვოსკერჩიანი აღნიშნავს, მეფე ერეკლეს ირანელთა მიერ დაყენებული ციხის მცველები ზოგი განჯაში გაუძევებია, ზოგი ერევანში და ზოგიც დაუსახლებია იმ მთის ძირში, სადაც დგას ციხე-სიმაგრე, ხოლო სამასი კაცი ჩაუყენებია ისევ ციხეში. ერეკლეს ასეთი ქმედება კანონზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული. მართალია, მაშინ ირანი დაცემის გზაზე იდგა, მაგრამ, როგორც

4 პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, ლექსიკონი და სამიღებლები დაურთო ე. ცვაკარიშვილმა, თბ., 1981, გვ. 142.
 5 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც. თბ., 1941, გვ. 14.
 6 თ. ვოსკერჩიანი. ქრონიკები III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ქორდიანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 613.



ადილ შაჰი, ასევე შემდეგ მისი ძმა იბრეიმ ხანი ერეკლეს პატერნული უფლებები ბოძენენ. კიდევ უფრო მეტად გასათვალისწინებელია ის მომენტი, როდესაც ქართლის მეფე თეიმურაზ II ირანის შაჰის კარზე იმყოფებოდა, ხოლო ომის მსვლელობის დროს მოიტანეს „მეფის თეიმურაზის მშვიდობიანი ამბავი, ადილ-შაჰ ყაენისაგან მრავლის საქონლის მიცემა და ქართლის ვაკეთების და გამდიდრების პირობა“⁷. ახალგაზრდა ერეკლეს გულმოწყალებამ საერთოდაც იზი-ნა თავი, მან შეირიგა და საუფლისწულო მისცა თავის მტერს აბდულა-ბეგს, ასევე დანაშაული აპატია ბარათაშვილებსა და ყაზახელ თათრებს, რომლებიც იმ დროს ერეკლეს წინაღობდნენ გამოდიოდნენ⁸.

ამ ცნობის შემდეგ ო. ვოსკერჩიანი ეხება ერევნის ხანის ჰუსეინ აღის განდგომას და ერეკლეს გალაშქრებას ერევნის მიმართულებით 1779 წელს. ეს გალაშქრება რომ აგრესიული პოლიტიკის შედეგი იყო, კარგად არის ცნობილი. ერეკლესათვის როგორც ამ გალაშქრებას, ასევე შედარებით სუსტი წინამორბედი ბრძოლებისათვის ერევანში, საფუძველი ის იყო, რომ ჯერ კიდევ თეიმურაზ II-ის დროიდან საქართველოს მოხარკედ ქცეული ერევნის სახანო დროდადრო განდგომის გზაზე დგებოდა და ხარკის ძლევაზე უარს ამბობდა. 1778 წელს, როგორც ჩვენი ავტორი აღნიშნავს, აჯანყდა ერევნის ხანი ჰუსეინ აღი და ერეკლეს წარგზავნილებს ხარკი არ მისცა. ჰუსეინ აღი ხანის განდგომა შარვანის მპყრობელის ფათალი ხანის წაქეზებით უნდა მომხდარიყო⁹. მას ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანის ყაენობა სურდა და ამ მიზნისათვის ჯერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დამორჩილებას ლაშობდა. ამასთან დაკავშირებით, 1779 წელს ერეკლემ ერევანში ილაშქრა. დავით ბატონიშვილი სულ ორიოდ სიტყვით აღნიშნავს: „არღარა ინება ხანმან ერევნისამან უსეინ-აღი ხან ხარკისა მოცემად ქართველთა, რომლისა გამო წარვიდა მეფე მას ზედა, იქმნა მუნ ბრძოლა... სძლო მეფემან ერევნელთა მხედრობასა, მოხარკე ჰყო და მსწრაფლ მოიქცა“¹⁰.

ომან ხერხეულიძე უფრო დაწვრილებით აღწერს ბრძოლის მიმდინარეობას¹¹, მაგრამ არ ეხება დეტალებს, რაზედაც საუბარი აქვს ო. ვოსკერჩიანს. მაშინ, როდესაც ერეკლე ერევნის მახლობლად სოფ. აშტარაკთან მდგარა, ერევნის ხანის დავალებით მასთან მისულა სომეხთა კათალიკოსი სიმეონ ერევანცი და მშვიდობა უთხოვია, დაპირებია წინა წლების გადასახადსაც, მაგრამ ერეკლე არ დათანხმებულა და პირდაპირ ერევნის ციხისაკენ აულა გეზი.

იქნებ ერეკლეს ირანის ბატონობის ალაგმვა და ერევნის სახანოს უშუალოდ შემოერთება ეწადა? ყოველ შემთხვევაში ის კი აღსანიშნავია, რომ სომეხთა კათალიკოსი, რომელიც თავის „მემუარებში“ დაწვრილებით აღწერს ერეკლეს გალაშქრებებს ერევანში 1765, 1767 და 1769 წლებში, არც ერთი სიტყვით არ ახსენებს 1779 წლის ბრძოლას. იქნებ, ეს ფაქტი ამ დროს მისი დიპლომატიის მარცხითაც აიხსნას.

ოჰან ვოსკერჩიანის ნაშრომში მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა ხალხებისაგან შემდგარი ერეკლეს გალაშქრის მო-

7 ვაჰუტუნა ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

8 შარ. მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის გათავისუფლება ირანის ბატონობისაგან. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 610—611.

9 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 448.

10 დავით ბატონიშვილი. დასახ. გამოც., გვ. 16.

11 ოჰან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 93—97.



ძრობის შედეგებზე სომხეთის ტერიტორიაზე, ლაშქარში მუცლის საშენი
 ებიღემიაზე და მრავალი მოლაშქრის დაღუპვაზე. ამ ბრძოლის დამთავრების შემდეგ
 მიზეზადაც ო. ვოსკერჩიანი სწორედ ამ ფაქტს მიიჩნევს. ქართული წყაროები
 კი ერეკლეს წინააღმდეგ წამოსული ალექსანდრე ბაქარის ძის გამოჩენას ასა-
 ხელებენ. როგორც ომან ხერხეულიძე ამბობს, ერეკლეს მოუვიდა წიგნი სა-
 ქართველოდან, მოვიდა ბაქარ მეფის შვილი ალექსანდრე იმერეთს და მეცა-
 დინეობს, რათა ქართველნი გადაიბიროს¹². შეიძლება ორივე მიზეზი საკ-
 მათ იქნეს მიჩნეული ერეკლეს უკან დასაბრუნებლად.

საყურადღებოა ო. ვოსკერჩიანის მიერ დასახელებული ის სოფლები თა-
 ვიანიტი მელიქეტიუტო, საიდანაც ერეკლემ მოსახლეობა აპყარა და თან გაი-
 ყოლა საქართველოში. ამ ამბავს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, რამდენადაც
 თვითონ ერეკლემ რამდენიმეჯერ შეუცვალა მათ ადგილსამყოფელი აღმოსავ-
 ლეთ საქართველოში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ჩამოსახლებულთა
 შორის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰუსეინ ალი ხანმა გამოუგზავნა მძევლად ერეკ-
 ლეს თავისი შვილი გულამ ალი და საჩუქრები, აგრეთვე იმ ხარკის ნაწილი,
 რასაც მას უხდიდნენ ბრძოლის დაწყებამდე ყოველწლიურად, თან სთხოვდა
 დაებრუნებინა ერევნის სახანოდან გასახლებული სომხები. ერეკლემ ნება
 დართო, ვისაც სურვილი ჰქონდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მრავალი და-
 ბრკოლების შემდეგ მხოლოდ ნაწილმა მიაღწია თავის კერას.

როგორც აღინიშნა, ჰუსეინ ალი ხანს ერეკლესათვის ამჯერად მხოლოდ
 ხარკის ნაწილი გაუგზავნია. ცნობილია, რომ ერევნის ხანები ერეკლეს უხ-
 დიდნენ როგორც ნატურალურ, ასევე ფულად გადასახადს. სომხეთის კათალი-
 კოსი სიმეონ ერევანცი თავის მემუარებში ერთგან აღნიშნავს: „ხანი ერეკლეს
 დაპირდა 50 ხარვარ სურსათს, რაც მოთხოვნილის ნახევარი იყო“¹³. ირანული
 ხარვარი XIV ს-დან დაახლოებით უტოლდებოდა დიდი ზომის 1000 მანს ანუ
 288 კგ-ს¹⁴. ამდენად, ერეკლე ითხოვდა ერევნის ხანისაგან 30 ათას კგ სურ-
 სათს. ეს, ალბათ, ლაშქრობის შემთხვევაში ხდებოდა, ძირითადად კი ხანი მას
 ფულად გადასახადს უხდიდა. ერევნის ხანების წერილებში ქართლ-კახეთის მე-
 ფეებისადმი ხარკის ფულადი ნაწილი განსაზღვრულია ოთხი ათასი თუმნის
 რაოდენობით,¹⁵ რასაც ომან ხერხეულიძეც ადასტურებს — „დაიდვა ხარკი
 (ერევნის ხანმა) ოთხი ათასი თუმანი“.

გარდა ამისა, საქართველოს მეფეები ხანისაგან ღებულობდნენ მისართ-
 მეველს: აბრეშუმის ქსოვილებს, იარაღს, ცხენებს, ჯორ-აქლემს და სხვ. ეს
 ძღვენი მუდმივი ხასიათისა არ იყო და იგზავნებოდა დღესასწაულებზე და სხვა
 ბედნიერ შემთხვევათა გამო მეფის ოჯახში. ჩვენს კერძო შემთხვევაშიც გაუ-
 გზავნია ხანს საჩუქარი ერეკლესათვის. თუმცა, ჩანს, სახანოს შემოსავალი
 იწმენდა შემცირებული ყოფილა, რომ ჰუსეინ ალი ხანს განსაზღვრული ხარ-
 კის გადახდაც კი ვეღარ მოუხერხებია.

აქ გასახსენებელია სიმეონ ერევანცის მიერ 60-იანი წლებ-ს ბოლოს შედ-

¹² ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

¹³ *Սիմեոն Երևանցի, Յիշատակարան, Դիվան Հայոց պատմութիւն, Տիփլիս, 1894, էջ 91.*

¹⁴ Х и н ц В. Мусульманские меры и веса, М., 1970, с. 94.

¹⁵ ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ერევნის ხანების წერილები ქართლ-კახეთის მეფეებისადმი, თბ., 1960, გვ. 335.



გენილი ერთი საბუთის შინაარსი, სადაც აღნიშნულია: — ჩვენი ქვეყნის მკვლევარ-სუფალმა, როდესაც დაინახა, რომ ყველამ თვითმმართველობაში აღმოაჩინა ძლიერმა სუსტი გათვლა, გადაწყვიტა ქართველთა მეფეს მიკედლებოდა და გაეხადა ის თავის დასაყრდენად მტერთაგან თავდაცვის საქმეში. ამ მიზნით მან ხარკის გადახდა იკისრა ყოველწლიურად... ამის შემდეგ ჩვენი ქვეყანა უშეშრად იყო გარეშე მტრის მიმართ, რადგანაც მაშინ ყველამ იცოდა ქართველთა მეფის უძლევლობის შესახებ. მაგრამ რადგანაც ყველგან არეულობა ხდებოდა და ყველა დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა, ამიტომ ამათაც დიდხანს ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ ის წესები, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს. ის, ვინც ხარკს ლებულობდა, ცდილობდა წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მოეთხოვა, ხოლო ვინც იხდიდა, მისი შემცირებისაკენ ისწრაფოდა. ასეთი მისწრაფებები ხშირად იწვევდა კონფლიქტს მათ შორის¹⁶.

ჩვენი ავტორის მეორე ისტორიული მოთხრობა — „ომარ ხანის მიერ ლორეს ქარხნის დარბევა“ ეხება XVIII ს-ის 80-იანი წლების მოვლენებს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ვითარება მკვეთრად გაუარესდა ლეკიანობის საკითხთან დაკავშირებით. ამ დროს ერეკლე იძულებული გახდა ლეკთა ბელადებისა და რაზმელებისათვის წლიურად ჯამაგირის სახით რამდენიმე ათასი მანეთი ეძლია¹⁷. ლეკიანობის ერთ-ერთი უმკაცრესი გამოვლინება ქართველთა ქვეყნისათვის იყო ხუნძახის მფლობელის ომარ-ხანის ლაშქრობა. ამ მომენტთან დაკავშირებით ქართული და სხვაენოვანი წყაროები საკმაოდ ცნობებს იძლევიან. მიუხედავად ამისა, ო. ვოსკერჩიანის ნაწარმოები ყურადღებას იმსახურებს თავისი განსხვავებული მიდგომით მომხდარი ფაქტისადმი. ავტორის მითითებით, აღსანიშნავი მომენტია ერეკლეს შენელებული მოქმედება მომხდურის მიმართ. მაშინ, როდესაც ომარ ხანმა ლორეს მადნებს მიაღწია, ერეკლე ქართველთა ლაშქრით და სამასი რუსი ჯარისკაცით უკან ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ ისეთი წელი ტემპით, თითქოს „კოჭლობსო“. მადნების ბერძენ მოსახლეობას, რომლებიც ერეკლესათვის მუშაობდნენ, მოუთხოვიათ მისთვის ბრძოლით ეხსნა ისინი ომარ ხანის უღმობლობისაგან, მაგრამ ერეკლეს არც თვითონ უღონია რაიმე და არც „რუს მეთაურს“ (იგულისხმება ბურნაშოვი) მისცა ბრძოლის დაწყების უფლებაო. ო. ვოსკერჩიანი დიდი გულისტკივილით ასკვნის: ერეკლეს უმოქმედობით გალაღებულმა ომარ ხანმა მრავლად გაუღიჭა ლორეს მეზობლად მდებარე სოფლებში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა, ხოლო შემდეგ ახალციხეში დააძლო თავის მეზობლთა ხმლები უცოდველთა სისხლითო. ჩვენი ავტორი ცდილობს ახსნას ერეკლეს უმოქმედობის მიზეზი და ამბობს: — რადგანაც აღნიშნული ადგილები ეკუთვნოდა ერეკლეს შვილს გიორგის და მის სიძეს დავითს (ორბელიანს), მეფე ამ მხარეს იმდენად ყურადღებას არ აქცევდა, მას მხოლოდ თავისი წილი ქვეყნის მშობროდ დასახლება აინტერესებდაო. იყო აგრეთვე სხვა მიზეზიც. რადგანაც ბერძენები მეტად გამრავლდნენ და გამდიდრდნენ, თავისი მტრული ბუნების გამო აღარ ემორჩილებოდნენ ერეკლეს, ზოგჯერ კი თავის მოვალეობაზეც ივიწყებდნენ მის წინაშე და ფარულად უკავშირდებოდნენ გიორგისა და დავითს. ერეკლე ამას ხედავდა და ამ მიზეზით დიდად თავი არც გამოიღო.

¹⁶ მატენაძე-ბერი, ფონდი 243, დოკუმენტი 50.

¹⁷ შალ. წ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 462.



უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: როგორც პ. ბუტკოვი აღნიშნავს¹⁸, ზურნაშოვი კი ურჩევდა ერეკლეს თვითონ გადასულიყვნენ შეტევაზე, მაგრამ მეფე ამ აზრს წინ აღუდგა¹⁸. დავით ბატონიშვილის სიტყვით კი, პირიქით, მამაცობისა და ერთგულების სულით გახურებულ ქართველებს ბრძოლა სწავდათ, მაგრამ რუსი პოლკოვნიკი ომში გამოუცდელი კაცი იყო და, როგორც მან, ისე მეფის ერთმა მოსაზროვნაში იმეორებდა, ერეკლეს შეტევაზე გადასვლა დაუშალეს¹⁹. გ. ქიქოძის მიხედვით, მოწინააღმდეგეები ერთხანს პირისპირ იდგნენ უმოქმედოდ. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ომარ ხანმა ვერ გაბედა მტერთან შეტემა²⁰. არის ასეთი მოსაზრებაც: როცა ერეკლე ომარ ხანთან საბრძოლველად გაემართა, არტილერია და ყუმბარები დროულად ვერ მიამოწვეს. როდესაც დაღესტნელები უკვე ბორჩალოში იყვნენ და ახტალას ალყა შემოარტყეს, ერეკლე მარნეულში ჩავიდა, მაგრამ ომარ ხანის ჯარს ვერ მიეწია და იმავე დღეს მტერმა ახტალა აიღო და დაანგრია²¹. ნ. ბერძენიშვილი უფრო სხვაგვარად ხსნის ერეკლეს პასიურობას: მეფემ ქართლის ჯარი ვერ შემოიყარა, რადგანაც ახალციხის მხრიდან ლეკ-ოსმალთა შემოსევისა ეშინოდა, კახელებისა და რუსთა რაზმის სიმცირის გამო ომარ ხანთან შეტემა ძნელი ჩანდა²².

ყველა ამ მოსაზრებაში ერთია საერთო: ერეკლეს ნელი ქმედება, რომლის მიზეზი სხვადასხვაგვარად არის ახსნილი. ჩვენი ავტორის მოსაზრებაც ერთგვარად ანგარიშგასაწევი, რადგანაც კარგად არის ცნობილი, რომ ერეკლესა და მის უფროს შვილს გიორგის შორის ნაკლებად გულთბილი დამოკიდებულება არსებობდა, რადგანაც ერეკლე „დედოფლისა გამო, დედინაცვლისა, პირმოოსა გიორგისათვის იყოფებოდა მერყეობასა და აგრილებდნენ გულსა მისსა გიორგისადმი“. ცნობილია ისიც, რომ „შთაგონებითა დედოფლისა და ძეთა მისთა, მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მისსა სარდალსა და სახლთუხუცესსა დავით ყაფლანიშვილსა, თამარისა მეუღლეს, მოულო მეფემან სალთხუცობა და მიუბოძა ესე სიძესა თვისსა მუხრანის-ბატონისა იოანეს“. ეს ამბავი დაახლოებით მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც ომარ ხანმა საქართველოში ილაშქრა (1785 წ.), რადგანაც, პლ. იოსელიანის სიტყვით, „ესრეთმან მეფისა მოქცევამან მოსწყლო გული მეფის ასულისა თამარისა“²³ და იგი 1786 წელს მწუხარებისაგან გარდაიცვალა. ასეთი ურთიერთობის პირობებში წარმოიშვა, ალბათ, ის აზრი, რომ მეფე ერეკლემ თავისი ძის გიორგისა და სიძის — დავით ორბელიანის სამკვიდრებელის გადასარჩენად თავი არ გამოიღო და ომარ ხანს უმოქმედოდ მიჰყვებოდა, რაზედაც დაბეჯითებით მიუთითებს სომეხი ავტორი.

რაც შეეხება ო. ვოსკერჩიანის მესამე მოთხრობას — „თბილისის აკლესიას აღამაჰმად ხანის მიერ“, ის ეხმიანება სხვა სომეხ ავტორთა ნაწარმოებებს ამავე საკითხზე და უმჯობესია მათი ერთად განხილვა.

¹⁸ Бутков П. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. I, СПб, 1869, с. 189.
¹⁹ დავით ბატონიშვილი. დასახ. გამოცემა, გვ. 18.
²⁰ გ. ქიქოძე. ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 127.
²¹ მ. დუმბაძე. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV, თბ., 1973, გვ. 704.
²² ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 233.
²³ პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 14.

СВЕДЕНИЯ ОГАНА ВОСКЕРЧЯНА О ГРУЗИИ

Резюме

Армянский писатель второй половины XVIII века Оган Воскерчян во время русско-иранской войны 1804 г., когда население Ереванского ханства бежало в разные места, оказался в Тбилиси, где служил священником до конца своей жизни.

Для нас представляют интерес три его сочинения: 1. Поход царя Ираклия против Ереванского ханства в 1799 году, 2. Разрушение Омар ханом дорийских рудников, 3. Разорение Тбилиси Ага-Мохаммед ханом.

Все эти события, имевшие место в период царствования Ираклия II, хорошо известны в грузинской историографии, но у данного автора приводятся и некоторые другие, дополнительные сведения. Оган Воскерчян, как современник описываемых им событий, глубоко проникает в суть происходившего.

L. DAVLIANIDZE

INFORMATION BY OHAN VOSKERCHIAN CONCERNING GEORGIA

Summary

The Armenian writer of the second half of the XVIII century Ohan Voskerchian was in Tbilisi during the Russian—Iranian war, when the population of the Erevan khanate had fled to different places. He started there to serve as a priest until the end of his life.

Three of his works are interesting for us:

- I. Campaign of King Irakli against the Erevan khanate [in 1779.
- II. Destruction of the mines of Lore by Omar khan;
- III. Destruction of Tbilisi by Aga-Mohammed khan.

All these events of the period of the reign of Irakli II, are well known in Georgian historiography, but the author gives some additional information. Ohan Voskerchian, as the contemporary of those events, thoroughly investigated the essence of all those happenings.

იონი ნაჭყალი

ამდე შობების ცნობები ჯანიკის შესახებ

1805 წელს ნაპოლეონმა საიდუმლო მისიით გაგზავნა ირანში ფაოქ ალი შაჰთან, თავისი ნდობით აღჭურვილი პირი, შემდგომში ცნობილი ფრანგი დიპლომატი და ორიენტალისტი ამედე ჟობერი (1779—1847). ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან აღწერა წიგნში „მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805—1806 წწ.“ ფრანგი ავტორის ნაშრომში აისახა თვითმხილველის მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაცია XIX საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის იმპერიასა და ირანზე. სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად ფრანგი ავტორი ოსმალეთის იმპერიაში შემავალი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ჯანიკის ოლქსაც აღწერს, რაც წიგნის სათაურში ასახული არ არის.

ჟობერის ცნობები ამ ოლქის შესახებ საინტერესოდ მივიჩნიეთ, რადგან, როგორც ცნობილია, ჯანიკი ქართულად ჰანეთს ნიშნავს¹, ხოლო ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ სექტორს, სადაც ძირითადად ჰანები ბინადრობდნენ, დასავლეთი საზღვარი კი მდ. ყიზილ-ირმაკი (ძვ. პალისი — ი. ნ.) იყო. თურქებმა ჯანიკი უწოდეს².

ირანიდან სამშობლოსკენ ოსმალეთის გავლით მიმავალი ჟობერი ჯანიკში 1806 წლის 5 სექტემბერს მოხვდა; ფრანგ დიპლომატს არ ჰქონდა მიზნად ჯანიკში გაჩერება, მაგრამ იქ მიმდინარე სამოქალაქო ომმა, რომლის თვითმხილველიც თავად გახდა³, მისი შემდგომი მგზავრობა სექტემბრის ბოლომდე შეაფერხა.

მასალა ჯანიკის შესახებ გვხვდება „მოგზაურობის“ XII, XLII და XLIII თავებში; XII თავი მთლიანად ჯანიკის აღწერას და იქ მიმდინარე მოვლენებს ეთმობა. აქ ერთმანეთშია გადახლართული თვითმხილველის შთაბეჭდილებები, სხვათაგან მიღებული ინფორმაცია და ცნობები, ამოკრებილი წერილობითი წყაროებიდან, რომელთაც, ჩვენი აზრით, ჟობერი ყოველთვის არ უთითებს.

ამჯერად ჩვენ ნაშრომის XII თავში არსებულ იმ ზოგიერთ ცნობას შევეხებით, რომლებიც შემდეგი საკითხებს ირგვლივ შეიძლება დაჯგუფდეს:

1. ჯანიკის ადმინისტრაციული საზღვრები;
2. ჯანიკის მოსახლეობა;
3. ჯანიკის ფაშა თაიარი.

¹ Заврнев Д. С. К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции. Тбилиси, 1947, с. 166.

² გ. გოზალ იშვილი. მითრიატე პონტოელი. თბ., 1962, გვ. 165.

³ Jaubert P. A m. Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805—1806. Paris, 1821, pp. 387—391.



ყობერის ცნობით, ჯანაყი, რომელსაც იგი საფაშოს უწოდებს, პონტოს ნაწილს შეადგენდა⁴ და მდ. ყიზილ-ირმაყიდან ანუ წითელი მდინარიდან გირესუნამდე ვრცელდებოდა⁵. ასეთსავე ფარგლებშია მოცემული ჯანაყის სანჯაყი⁶ XVII საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაურისა და გეოგრაფის ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“⁷. ამ ორი ავტორის ცნობათა შედარება მოწმობს, რომ ჯანაყის საზღვრები არ შეცვლილა საუკუნე-ნახევრის მანძილზე და ამ ინფორმაციის მოწოდებისას ყობერი რეალურად არსებულ ადმინისტრაციულ დანაწილებას ეყრდნობოდა. აღსანიშნავია, რომ 80-იან წლებში სმირნაში საფრანგეთის გენერალურ კონსულს კარლ პეისონელს თავის ნაშრომში არა აქვს მოწოდებული ცნობები ჯანაყის ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ, თუმცა კი მას როგორც ოლქს (district) ისე იხსენიებს⁸.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ჯანაყის“ გვერდით ჩნდება სახელწოდება „სამსუნია“. სანჯაყის მთავარი ქალაქის, სამსუნის სახელის მიხედვით. ფრანგი ავტორის კუინეს ნაშრომში ჯანაყს უკვე სამსუნის სანჯაყი ეწოდება, ჯანაყი კი ფრჩხილებში წერია⁹. ამ საკითხთა მკვლევარი წ. ბაწაში წერს, რომ ოსმალეთის იმპერიის პერიოდში დღევანდელი სამსუნის ვილაიეთი შედიოდა ტრაპიზონის ვილაიეთში როგორც სანჯაყი და „იწოდებოდა ჯანეთად, ჯანიად და ჯანაკად, ე. ი. ჰქონდა თავისი ისტორიული ქართული სახელი, ხოლო ვილაიეთის სტატუსის მიღების შემდეგ მას სამსუნია უწოდეს“¹⁰. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სახელწოდება „ჯანაყი“, რომელიც ამ ოლქს დიდი ხნის მანძილზე ეწოდებოდა, თურქებმა მისი ეთნოგრაფიული შინაარსის გამო განდევნეს¹¹, ქემალისტების დროს კი მას სამსუნია ეწოდა¹².

ჯანაყის მთავარ ქალაქად ყობერი მდ. ყიზილ-ირმაყის შესართავთან მდებარე ქალაქს — ბაფრას ასახელებს¹³. მის თანახმად, ბაფრაში იყო ლამაზი ხედი, შადრევნები და კარგად შემონახული ბაზარი¹⁴. ჩანს, ყობერის მიერ

4 ის, რომ სამსუნის (ჯანაყის) სანჯაყს ეჭირა პოლემონის პონტოს ძველი ტერიტორია, ფრანგი მეცნიერის, ვიტალ კუინეს ნაშრომშიც არის მოხსენიებული — Cuinet V. La Turquie d'Asie. 4 vol. Paris, 1895, p. 99.

5 Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

6 „სადროში“, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში, ვილაეთის ან ვილაიეთის შემადგენელი ნაწილი.

თავის ნაშრომში ჯიფორდ პალგრევი წერს: «Санджаки» или «пашалыки»; Пальгрев Дж. О провинциях Анатолии за 1867-68 и 1872 годы. Тифлис, 1882, с. 102), რაც გვაფიქრებინებს, რომ ვეროპოლი ავტორები ამ ტერმინებში რაიმე სავანებო შინაარსს არ დებდნენ, გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებს აღნიშნავდნენ.

7 ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურჩიძემ. ნაყვ. I, თბ., 1973, გვ. 160.

8 Peyssonel K. Traité sur le commerce de la mer Noire. Paris, 1787, T. I, p. 91.

9 Cuinet V. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

10 წ. ბაწაში. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988, გვ. 9.

11 გ. გოზალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

12 Завриев Д. С. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

13 Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

14 იქვე.



ნახსენები ხიდი მართლაც აღსანიშნავი იყო, რადგან ჯერ კიდევ ევლია ჩელები იხსენიებს ამ ხიდს და საგანგებოდ აღწერს კიდევაც მას: „...ცისარტყელის მსგავსი, საოცარი, სანიმუშო ხილია“¹⁵.

ჯანიკის ბუნებას ფრანგი დიპლომატი მოკლედ და ამომწურავად ახასიათებს: „ეს მრავალი მდინარით დასერილი მთიანი ქვეყანა ნოტიო ჰავით ხასიათდება“...¹⁶ ამ ცნობის შემდეგ კი იგი ჯანიკის მოსახლეობას ახასიათებს. იგი წერს: „ჩვენს მიერ აღწერილი ქვეყნის მოსახლეობა ძველთაგანვე მოსინიკების, ხალიბების და ტიბარენების სახელით იყო ცნობილი. ისტორია მათ მეტად ველურებად წარმოგვიდგენს“¹⁷. სიტყვა ველურების გამო იგი სქოლიოში სტრაბონის „გეოგრაფიის“ შესაბამის გვერდს უთითებს. ჩვენ მოვიძიეთ სტრაბონის ნაშრომის ქართულ თარგმანში შესაბამისი ადგილი — „...ყველა ამ მთების მოსახლენი სრულიად ველურები არიან“¹⁸.

მართალია, ჟობერიძე ჯანიკში 1806 წელს იმოგზაურა, მაგრამ მისი ნაშრომი პირველად მხოლოდ 1821 წელს გამოიცა. გასათვალისწინებელია, რომ ჟობერიძე, რომელიც თავად აღმოსავლეთმცოდნე და იმ დროისთვის მეტად განათლებული პიროვნება იყო, სავსებით გამიზნულად იხსენიებს თავიდან ჯანიკის მოსახლეობას ანტიკური ავტორების მიხედვით, შემდეგ კი მათ უწოდებს: „ჯანიკის მოსახლეობა“, „ჩვენს მიერ აღწერილი ქვეყნის მოსახლეობა“, „ამ ქვეყნის მცხოვრებნი“, რითაც იმდროინდელ განათლებულ მკითხველს მიაწვდის ჯანიკის მოსახლეობის ეთნიკურ განსხვავებას ოსმალთაგან.

ჩვენთვის ფრანგი ორიენტალისტის ეს ინფორმაცია იმდენად არის საინტერესო, რომ, როგორც ცნობილია, ტიბარენებს, მოსინიკებს და ხალიბებს მეცნიერთა უმრავლესობა — ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური და სხვანი ქართველურ, კერძოდ კი მეგრულ-ქანურ ტომებად მიიჩნევენ¹⁹.

შემდეგ ჟობერიძე ჯანიკის მოსახლეობის კარჩაკეტილ ცხოვრებას აღნიშნავს: „სხვა ადამიანებს მოცილებულნი, თვითონაც ნაკლებად იცნობდნენ მათ და ამიტომ ნაკლებ ცნობილნი იყვნენ — დღემდეც ასეა. თუმცა დიდი ხნის ცივილიზაციის მქონე მეზობლები ჰყავდათ, ჯანიკის მოსახლეობას მათთან მხოლოდ უმნიშვნელო ურთიერთობა ჰქონდა და ნაკლებად სჭირდებოდა“²⁰...

ისე რომ, ჯანიკის მოსახლეობას XIX საუკუნის დასაწყისში „ნაკლებ ცნობილად“ მიიჩნევდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ოსმალეთის მთავრობა პოლიტიკურა მოსაზრებების გამო შეგნებულად აფერხებდა ევროპელთა შეღწევას შავი ზღვის სანაპიროს აღნიშნულ მონაკვეთში. ამას მოწმობს მასკატში საფრანგეთის საკონსულოს მდივნის, ბოშამის ცნობაც (მან სანაპიროზე 1797 წელს იმოგზაურა — ი. ნ.), რომლის თანახმად, ოსმალეთის მთავრობას უფარი უთქვამს მათთვის სანაპიროს ამ ნაწილის დათვალიერებაზე, იმ მიზეზით,

¹⁵ ევლია ჩელები. დასახ. ნაშრომი, ნაკვ. I, გვ. 17.

¹⁶ Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

¹⁷ იქვე.

¹⁸ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 202—203.

¹⁹ Ломоурн Н. Ю. К истории Понтийского царства. ч. I, Тбилиси, 1979, с. 139.

²⁰ Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

რომ ლაზები²¹ მიუყარებელნი, ველურნი და თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ და მათ არ სურდათ საფრანგეთის მთავრობასთან უსიამოვნებამდე მისვლა. შამს და მის თანამგზავრთ იქ რაიმე შეემთხვეოდათ²². ეს ინფორმაციები ნიშნებს, რომ პორტა კატეგორიულად არ უშვებდა ევროპელებს თავისი იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრისკენ, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა საქართველოს.

უობერი ჯანიკის მოსახლეობის საქმიანობასაც ეხება: „მოსახლეობა ნაკლებად მისდევს მიწათმოქმედებას და რადგან დასვენებაზე უფრო მეტს ფიქრობს, ამიტომ წაბლით, სიმინდით და რძის პროდუქტებით იკვებება. ადგილობრივი ჯიშის ალუბალი, კაკალი და თხილი მათი საკვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია“²³.

ფრანგი მოგზაურის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯანიკის მოსახლეობა ნაკლებად მისდევდა მიწათმოქმედებას და დასვენებაზე მეტს ფიქრობდა, მეტად ჰკავს პროკოპი კესარიელის მიერ ჰანების აღწერას: „...ცინიდან ჰანები სრულიად უქნარანი არიან და მათთვის მიწათმოქმედების სამუშაოები უცხოა“²⁴. სავარაუდოა, რომ ფრანგი მეცნიერი იცნობდა ბიზანტიელი ისტორიკოსის ნაშრომს, ისარგებლა მისი ცნობებით, მაგრამ არ მიუთითა.

ალუბლის შესახებ უობერი შემდეგ განმარტებას იძლევა: „როგორც ცნობილია, ალუბლის ხის ნერგები რომაელებმა ევროპაში სწორედ ამ ქვეყნიდან გაგზავნეს. ჩვენში ეს ხილი თავისი ჯიშის გამო ძვირად ფასობს“²⁵. რადგან უობერი არც ამ იმფორმაციის წყაროს უთითებს, შევეცადეთ დავედგინა მის მიერ დამოწმებული რომელი ავტორის ნაშრომში იქნებოდა დაცული ეს ცნობა. ეს ინფორმაცია ორ ავტორთან მოვიძიეთ — პლინიუსთან²⁶ და ამიანე მარცელიანთან²⁷. შესაძლოა, ფრანგი ავტორი ზემოხსენებული ორივე ავტორის ცნობას იცნობდა, მაგრამ არც ერთი არ მიუთითა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ ნაშრომში თურქეთის შესახებ, ფრანგი ავტორი ვიტალ კუინეტ იხსენიებს ლუკულუსის მიერ რომში ალუბლის ხის გატანას²⁸.

²¹ ს. ჯანაშიას თანახმად, სახელწოდება „ჰანი“, რომელიც დაცული აქვს ცნობილ ბიზანტიელ მწერალს პროკოპი კესარიელს, ძირითადად განდევნილ იქნა ტერმინ „ლაზის“ მიერ, მაგრამ მთლიანად იგი არასდროს არ გამოქარა. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. — შრომები, III, თბ., 1959, გვ. 4—5.

²² Beauchamp. Mémoires sur Trebizond. Paris, 1813, p. 264—265.

²³ Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

²⁴ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე შეესწავლილი გამოცემა. ტ. II, თბ., 1965, გვ. 217.

²⁵ Jaubert P. Am. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

²⁶ „ლუციუს ლუკულუსის მიერ მითრიდატეს წინააღმდეგ წარმოებულ ომში გამარჯვებამდე, რაც ქრ. დაბადებამდე 74 წელს მოხდა, იტალიაში არ იყო ალუბლის ხეები (ეგრახია). ლუკულუსმა პირველმა ჩამოიტანა ეს ხეები პონტოდან და 120 წლის განმავლობაში მათ გადალახეს ოკეანე და ბრიტანეთამდეც კი მიალაქეს“. Pliny. Natural history. vol. IV. London. Cambridge, Massachusetts, 1960, p. 359.

²⁷ „(ციდეე არის) კერასუნტი, საიდანაც ლუკულუსმა ამ სახლის ხილი მოიტანა... გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. I, თბ., 1961. გვ. 109.

²⁸ Guinet. დასახ. ნაშრომი, გვ. 73.



„მოგზაურობის“ XII თავში ყობერი იხსენიებს თაიარს²⁹, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ნიკის ფაშას უწოდებს. მისი ცნობით, „მდიდარ და შემძლე ოჯახს შეეძლო მიეცა ჯანიკისთვის მმართველი, რომელიც ფაშას ტიტულით მხოლოდ პატრიარქალურ ძალაუფლებას ანხორციელებდა და დროულად გზავნიდა კონსტანტინეპოლში მირის³⁰ წლიურ და ხალხის სხვა გადასახადებს“³¹.

ის ფაქტი, რომ თაიარი და მისი ოჯახის წევრები დიდი გავლენით სარგებლობდნენ ჯანიკოში, რამდენიმე სხვა ცნობითაც დასტურდება. ყობერის თანამედროვე ფრანგი ორიენტალისტის ე. ტანკუანის თანახმად, ლაზები მხოლოდ თაიარ-ფაშას ემორჩილებოდნენ³². ცნობილი გერმანელი მეცნიერის კარლ რიტერის ინფორმაციით „ფაშას ტიტულს ჭანეთში მხოლოდ Tahir Pascha-ს საგვარეულო ატარებდა; ის დამოუკიდებელი და პატრიარქალური ძალაუფლების მქონე იყო“³³. რიტერის ცნობის მეორე ნაწილი სრულიად ემთხვევა ყობერის ინფორმაციას; აღსანიშნავია, რომ გერმანელი მეცნიერიც ყობერის თანამედროვე იყო.

რუსი თურქოლოგის ა. მილერის თანახმად, თაიარის პაპას — ჯანიკის ალი ფაშას, მამას — ბათალ ფაშას და თვით თაიარს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ ჯანიკის და ტრაპიზონის რაიონებში³⁴. იმ ამბავს, რომ თაიარის პაპას, ჯანიკის ალი ფაშას დიდი გავლენა ჰქონდა პორტაში, ადასტურებს ო. გიგინეიშვილის ნაშრომში მოტანილი ცნობაც: „ქაიხოსრო აბაშიძის იმერეთის ტახტზე აყვანა დავალებული ჰქონდა ჯანიკლი ალი ფაშას, რომელიც 20 ათასი ჯარისკაცით იმერეთში უნდა შეჭრილიყო“³⁵.

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში ჯანიკოში ძალაუფლება ჯერ კიდევ მემკვიდრეობით გადადიოდა ადგილობრივ ძლიერ ფეოდალურ ოჯახში და, პორტასათვის ყოველწლიური სავალდებულო გადასახადის გავზავნის მიუხედავად, იგი დამოუკიდებლად მიიჩნეოდა თავს. ეს კარგად ჩანს თაიარის მიერ სულთან სელიმ III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებიდანაც³⁶.

²⁹ „Tâher“ Jaubert. დასახ. ნაშრომი, გვ. 100; ეს სახელი განსაკუთრებული ტრანსკრიფციით გვხვდება სხვა ავტორებთან; „Tahir“, Ritter K. Die Erdkunde. Th. XVIII, I Buch. West-Assien, Band. I, Berlin, 1858. p. 808. «Таяр» — Миллер А. Ф. Мустафа паша Байрактар. Оттоманская империя в начале XIX века. М., Л., 1947, с. 84; „თერი“. ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია XIX ს. თბილისი, 1954, გვ. 70; „თაიარი“. მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. თბ., 1957, გვ. 217; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II, თბ., 1965, გვ. 402—403. „თოიარი“ ნ. ქორთუა. საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. თბ., 1964, გვ. 156.

³⁰ მირი — სახელმწიფო ხაზინა ოსმალეთის იმპერიაში. Миллер А. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

³¹ Jaubert. დასახ. ნაშრომი, გვ. 103—104.

³² Tancoigne J. M. Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie. t. II. Paris, 1819, p. 201.

³³ Ritter, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

³⁴ Миллер А. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 61, 109.

³⁵ ო. გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982, გვ. 69.

³⁶ ი. ნაჭყებია. ა. ყობერის ცნობები ჯანიკის 1805 წლის აჯანყების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. პრეპრინტი, თბ., 1990, 11 გვ.



ყობერის მიერ ჯანიკის ფაშის ამგვარ დახასიათებას მხარს უჭერს უკვე ცნობილი გრევის ნაშრომიც. ინგლისელი ავტორის თანახმად, სულთან მაჰმუდ II-ის (1808—1839) მიერ შემოღებულ გარდაქმნებამდე ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო რაიონებში ძალაუფლება ძირითადად დერე-ბეების — ხევისთავების ხელში იყო. პალგრევის განსაზღვრით, ისინი „ჰევანან ჩვენი შუასაუკუნეების ფეოდალ ლორდებს“³⁷. შემდეგ ავტორი წერს, რომ ზოგ მათგანს მიწა სამხედრო ან სხვა დამსახურებისთვის ჰქონდა ბოძებული, ზოგი კი მემკვიდრეობით ფლობდა მას ჯერ კიდევ ოსმალთა დაპყრობამდე. წარმოშობის მიუხედავად, ისინი განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდნენ თავის ტერიტორიაზე, დერე-ბეებს პორტას წინაშე ორი ვალდებულება ჰქონდათ: 1. წლიური გადასახადი; 2. საკუთარი ხარჯით ჯარის გამოყვანა³⁸. ინგლისელი დიპლომატის ამგვარი შეფასება დერე-ბეებისა საკმაოდ ემთხვევა ყობერის მიერ ჯანიკის ფაშის დახასიათებას.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ ფრანგულ ორ მეტად ანგარიშგასაწევე განმარტებით ლექსიკონში შემდეგი ცნობები გვხვდება ჯანიკის შესახებ:

1. „ჯანიკი (Djanik) მხარე აზიურ თურქეთში (მცირე აზიაში), ყიზილ-ირმაქსა და კერასუს შორის. მთავარი ქალაქია ბაფრა. მთიანია და დასახლებულია ბარბაროსული ტომებით“³⁹.

2. „ჯანიკი (Djanik). აზიური თურქეთის (მცირე აზიაში) რეგიონი, ჩრდილოეთით შავ ზღვას, დასავლეთით — ყიზილ-ირმაქს და აღმოსავლეთით — კერასუს შორის. მთიანია, დასერილია მდინარეებით და დასახლებულია ველურ-ხალხებით, ძირითადი ქალაქია ბაფრა“⁴⁰.

ეს ინფორმაციები თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ერთმანეთს და ორივე ერთად კი ყობერის ზემოთ განხილულ ცნობებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყობერი მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში — ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, იყო საფრანგეთში „გეოგრაფიული საზოგადოების“ და „აზიური საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ამ უკანასკნელი საზოგადოების პრეზიდენტი⁴¹, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოტანილი სალექსიკონო მასალის შედგენისას ავტორებმა ამავე ყობერის ინფორმაციაც გაითვალისწინეს.

И. Н. НАЧКЕБИА

СВЕДЕНИЯ АМЕДЕЯ ЖОБЕРА О ДЖАНИКЕ

Резюме

В труде французского дипломата и ориенталиста А. Жобера «Путешествие по Армении и Персии в 1805—1806 гг.» содержится интересный материал об одной из причерноморских провинций Османской

³⁷ Пальгрев Дж. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 79.
³⁸ იქვე, გვ. 80.
³⁹ Dezobry Ch., Bachelet Th. *Dictionnaire général de biographie, de l'histoire de mythologie, de géographie ancienne et moderne*. Paris, 1869, t. I, p. 810.
⁴⁰ Larousse P. *Grand dictionnaire universel du XIX siècle*. t. X. Paris, 1873, . 933.
⁴¹ Jaubert P. *Am. Voyage en Arménie et en Perse, précédé d'une notice sur l'auteur par M. Sédillot*. Paris, 1850, pp. XIX—XXVI.



империи — Джанике, что в грузинском переводе означает Чанети. Как известно, упомянутые Жобером древние племена (халибы, тибарены, моссиники), населявшие юго-восточное побережье Черного моря, являются западно-картвельскими племенами.

I. NACHKEBIA

SOME INFORMATION ABOUT DZANIK BY P. A. JAUBERT

Summary

The work of the french diplomat and orientalist—P. A. Jaubert „A journey through Armenia and Persia in 1805 — 1806“ contains interesting material about the Black Sea province of the Ottoman Empire—Dzanik, that in georgian translation means Chaneti. It is known, that the ancient peoples mentioned by Jaubert in his work (Chalibs, Tibarenis, Mossynoekoi), lived on the south—eastern coast of the Black Sea and are the west—kartvelian tribes.

ნათელა კვიციანი-გვინია

იოანე ბატონიშვილი კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულოების წარმოშობის შესახებ

ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერეკლე მეორის შვილიშვილს — იოანე ბატონიშვილს (1768—1830). იოანემ — მწერალმა და მეცნიერმა — მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ყველასათვის ცნობილია მისი „კალმასობა“ — ქართული მწერლობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის გამოქვეყნებულია „კალმასობის“ მხოლოდ რამდენიმე ნაწილი. გამოუქვეყნებელ ნაწილებს შორის უურადლებას იპყრობს „ისტორია ქართლისა“ — „კალმასობის“ ერთ-ერთი პერსონაჟის ბერი იონას პირით მოთხრობილი საქართველოს ისტორია. „ისტორია ქართლისა“ „კალმასობის“ სიუჟეტურ ქარგაში ორგანულადაა ჩამჯდარი, მაგრამ იმდენად ფართოდ და საფუძვლიანად არის მასში განხილული საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVI ს.-ის დასაწყისამდე, რომ ის დამოუკიდებელი ნაწარმოების ხასიათს ატარებს. იოანეს ეს ნაშრომი დაწერილია ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა და თვით იოანესავე მოპოვებული მრავალმხრივი წყაროებისა და ლიტერატურული ძეგლების გათვალისწინებით. შრომა შეიცავს ავტორის მრავალ ორიგინალურ მსჯელობასა და დაკვირებას.

ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც იოანე ბატონიშვილს ქართული საისტორიო მწერლობის მიღწევათაგან განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი, არის ქართულ საგვარეულოთა წარმოშობის ისტორია.

„ისტორია ქართლისაში“ იოანე ბატონიშვილი ყოველი ისტორიული პირის ხსენებისას ცდილობს მის გეოგრაფულ წარმოშობაზეც ილაპარაკოს. გვარების წარმოშობის შესახებ — განსაკუთრებით თავად-აზნაურთა საგვარეულოს წარმოშობაზე — იოანეს მოეპოვება სპეციალური ნაშრომი „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა“ (საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S № 3729).

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანია კახეთის ზოგი საგვარეულოს წარმოშობის ისტორია იოანე ბატონიშვილის ამ ორი ნაშრომის — „ისტორია ქართლისასა“ და „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა“ — (დაიბეჭდა 1884 წელს „ივერიაში“) მიხედვით.

ქართული სამეფო ხელისუფლება, მთის შემომტკიცების მიზნით, ხშირად მთიელთა შორის გამორჩეულ პირთ ბარში ასახლებდა, ყმა-მამულთ ასახუქრებდა, თავისთვის მტკიცე დასაყრდენს ქმნიდა და ამით საბოლოო ანგარიშში ფეოდალთა კლასს ამრავლებდა.



საერთოდ, ფეოდალურ საზოგადოებაში გავრცელებულია შეხედულება რომ ფეოდალთა საგვარეულოები უცხო წარმოშობისა არიან — ყოველმხრივ ჩინებული საგვარეულო ცდილობს თავისი წინაპარი რომელიმე სხვა მხრიდან მოსულად წარმოაჩინოს — ამით თითქოს თანასწორუფლებიან თემის წევრებზე ერთ-ერთი მათგანის გაბატონებას უფრო კანონიერი საფუძველი ენახება. ბატონყმური ურთიერთობების წარმოშობას ყმათა საზოგადოება უფრო ადვილად ეგუება იმ შემთხვევაში, როცა ბატონი სხვა მხრიდანაა მოსული, ძალითა აქვს დაპყრობილი თავისუფალი თემი, ანდა ეს თემი მეფისაგან აქვს ბოძებული გაწეული ერთგული სამსახურის სამაგიეროდ, მაგრამ იოანე ბატონიშვილი ყოველთვის ასე როდი იტყევა. თავადთა უცხოური წარმოშობის ტრადიციული თქმულებების გვერდით მას მოაქვს არაერთი მაგალითი ძველი საგვარეულოების ადგილობრივი წარმომავლობისა (ასეთია მაგ., ევარსლან ბაქურციხელი — XIII ს. საქართველოს ცნობილი ფეოდალი. მის შესახებ იოანეს ნათქვამი აქვს, რომ ის იყო ალათონის ძე, კახა ქორიკოზების ჩამომავალი, გვაროვნობით ს ა ა კ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა ნ დაკავშირებული — ისტორია ქართლისა, გვ. 661 ბ. H—2134).

კახეთის თავადთაგან ვახუშტი ბაგრატიონს უწარჩინებულესად მიაჩნია ჩოლაყაშვილი, მყაყაშვილი და ენდრონიკაშვილი. იოანე ბაგრატიონიც იმეორებს ქართულ სინამდვილეში გავრცელებულ აზრს და კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულოების შესწავლას ჩოლაყაშვილით იწყებს.

თავადი ჩოლაყაშვილი: „ესენი არიან ერნი გენუშლნი (რომელ არიან ერნი იტალიისანი) და ამათი დიდი ხალხი მოვიდნენ და დაიპყრეს ყირიმი წელსა ქრისტეს აქეთ 1100-სა“. რამდენიმე ხნის შემდეგ 1297 წ. გენუელთა კოლონა ყირიმში ვენეციელებმა დაიკავეს. მათ გააჩაღეს ვაჭრობა პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე. გენუელთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შეარჩია დალესტინის მხარეს ადგილი სახელით გემრი და თავის ხალხიანად აქ გადმოსახლდა. იოანეს თქმით, ამ ადგილს მის დროსაც უწოდებდნენ „გენოელთა და ქოფაჩთა“. მართლაც, დალესტინის ტერიტორიაზე ავარიის მხარეს არის ადგილი, რომელსაც ეწოდება გენუ (იგივე გიმრა), („ხუთვერსიანი რუკა“ Ж—564—30).

გენუელთა მთავარს კი დალესტინელებმა შეარქვეს ჩოლაღა, რადგან „ჰყვა მრავალი ცხოვარი და ზროხა. და ვაკე ადგილთა ხმარობდა იგი და აწუხებდა მუნებურთა“ (S—3729, გვ. 25 ბ).

ამ შემთხვევაში, იოანე ცდილობს ეტიმოლოგიური ახსნა მოუძნახოს ჩოლაყაშვილის გვარს. როგორც ჩანს, ჩოლაყა მას მიაჩნია მრავალი ცხოვარისა და ზროხის და ვაკე ადგილების მფლობელის აღმნიშვნელად. სხვა შემთხვევაშიც ჩოლაყაშვილის წინაპარი მას მიაჩნია მრავალი მინდვრის მპყრობელად, რის გამოც თათარნი მას ჩოლაღას უწოდებდნენ (S—3729, გვ. 81 ა). ეტყობა მას ჩოლაყის ასეთი მნიშვნელობა მონღოლურ ენაში ეგულება.

იოანეს თხრობისდა მიხედვით, დალესტანში დამკვიდრებული გენუელთა საგვარეულო იმდენად აწუხებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ „აღიღეს შური ჩოლაღაზე, იავარყვეს ყოვლითურთ და ასრე გააღარიბეს, რომელ ერთისა ჯარისა საკიდარითა ძლივლა მოვიდა სახლეულობითა თსისთა დარუბანდის გზით მეფისა ვიორგისათანა, წელსა ქრისტეს აქეთ 1320-სა“ (იქვე, გვ. 25 ბ—26 ა). ვიორგი ბრწყინვალემ პატივით მიიღო ჩოლაღა, რადგან „აქუნდა პირველვე საქართველოს მეფეთა ზედა სამსახური ამათ წინაპართა და შემდგომ ამა ჩოლაღასაცა“. წარსული სამსახურის გამოისად მეფემ ჩოლაღა თა-

ვადად მიიღო, ე. ი. თავადობა და მამულები უბოძა. იოანე ასახელებს ჩოლა-
ლასადმი ბოძებულ მამულებს კახეთში: „ბეთალმანი თავადის, ბეთალმანი მისი
(რომელი იყო ირებაქ კახოსის შთამომავლობათაგანი), ძველადვე ადგილსა
ჰსტორის გეობასა მდგომარე და უბოძა მუნ სოფლები, და აგრეთვე ახმეტას
და თიანეთს ნაწილი მამული. და არიან მუნ იდგან თავადნი პირ-
ველნი თითქმის კახეთსა შინა“.

აქ იოანე ბატონიშვილი ყურადღებას ამახვილებს ორ გარემოებაზე — 1. ჩოლაღას შთამომავალი არიან პირველი თავადთა შორის, და 2. ეს საგვარე-
ულო თითქმის მთელ კახეთშია გავრცელებული. მისი დროისათვის კახეთში
ჩოლაყაშვილთა 8 განაყოფი სახლობს: 1. დურმიშხანის შვილები. 2. ჯარდა-
ნის შვილები. 3. გვიის შვილები, 4. ქაიხოსროს შვილები. 5. ჯიმშერის შვილები,
6. ერასტის შვილები, 7. დიმიტრის შვილები, 8. ჯამასპის შვილები.

თავისი შრომის სხვა ადგილას იოანე განმარტავს, თუ სახელდობრ რა
დამსახურება ჰქონდათ ჩოლაღას წინაპრებს ქართველი მეფეების წინაშე: მისი
სიტყვით, როდესაც დავით აღმაშენებელმა ილაშქრა ყივჩაღეთში (— „განი-
მხედრა ამა ყივჩაღთა ზედა“), მას დიდად დეხმარა საფრანგეთიდან მოსული
და ყივჩაღეთის ქალაქ სვაჯაში (სუნჯაში) დასახლებული ჩოლაღა. ამ სამსა-
ხურის სამაგიეროდ დავით აღმაშენებელმა ჩოლაღას „უჩინა მხედრობანი და
თვით ჩოლაღა დაუდგინა მათ გამგედ“ (გვ. 83 ბ). ამ საგვარეულოს შემდგომი
თავგადასავალი ერთგვარი განსხვავებით აქვს მას გადმოცემული. იმავე დავით
აღმაშენებლის დროს თათართა იძიეს შური და გამოაძეს ესე ჩოლაღა, „...ერ-
თის ჯარის საკირით გამოვლო დარუბანდი და მოვიდა მეფისა წინაშე“ (გვ.
83 ბ) — თუმცა თათართა (მონღოლთა) ხსენება ამ დროისათვის ანაქრონიზმია.
მეფემ მას თავადობა და ამოწყვეტილი თავადის ირუბაქიდის¹ მამული უწყალო-
ბა 1123 წელს და ამიტომ ირუბაქიდებად იწოდებოდნენ გიორგი ბრწყინვა-
ლებმდე, შემდეგ კი ისევ პირველწოდებული ჩოლაყაშვილის გვარი დაიბრუ-
ნეს (იქვე, გვ. 83 ბ).

ორივე ამ გადმოცემით ჩოლაყაშვილი ევროპიდან კავკასიის მთიანეთში
დასახლებული პირის ჩამომავალია, რომელსაც საქართველოს მეფემ ამო-
წყვეტილი ირუბაქიდის მამული და თავადობა უბოძა.

შემდეგ მნიშვნელოვან გვარად კახეთის თავადთაგან იოანე ბატონიშვილს
ჩათვლილი აქვს ენდრონიკაშვილთა საგვარეულო. იოანეს ფიქსირებული აქვს
ის გადმოცემა, რომელიც ამ საგვარეულოს წარმომავლობას შეეხებოდა.
„უ სენი არიან გუარით მანოელ კეისრისა მისწულნი, რომ-
ელნიც გამოძებნილ იქმნენ საბერძნეთიდან და მოვიდნენ საქართველოსა შინა
დროსა მეფისა გიორგისასა, წელსა 1144-სა. ხოლო მეფემან დიდად მიიღო ესე
ანდრონიკე სახლეთლობითურთ თვისით და უბოძა კახეთსა შინა მამული სოფ-
ლებითურთ, და დაუშენნენ მუნ, რომელსაცა ადგილსა მას ეწოდების აწ სა-
ენდრონიკო. და სცხოვრობენ მუნიდგან წოდებით თავადად ენდრონიკაშვი-
ლებად“ (იქვე, გვ. 24 ბ).

გამორკვევა იმისა, რომ ენდრონიკაშვილები ბიზანტიის იმპერიიდან გად-
მოსახლებულ ანდრონიკესაგან მომდინარეობენ, საკმაოდ ძნელია. თუმცა ჩვენს
სახისტორიო წყაროებში დაცულია ცნობა, რომ გიორგი III-ის მეფობაში სა-
ქართველოში ჩამოვიდა ანდრონიკე კომნენი ცოლ-შვილით და დისწულით.

¹ იოანე ხმარობს აგრეთვე ირუბაქიდის პარალელურ ფორმას — ირებაქ კახოსის ძე.



ეს ანდრონიკე ყოფილა ბიზანტიის იმპერატორის მანტილ I კომნენის (1118-1180) ძმისწული. გიორგი III-მ იგი კეთილად შეიწყნარა და მისი გვარის შესაფერისი ყმა-მამული მისცა². ამ ოჯახის შემდეგი ბელი ჩვენს წყაროებში ჭკრთალად აისახა. ცნობილია, რომ ანდრონიკე საქართველოში არ დარჩენილა, 1183 წელს 67 წლის ასაკში ის ბიზანტიის ტახტზე ადის და მისი მეფობა უზომო სისასტიკით აღინიშნა. ანდრონიკეს ვაჟი ალექსი შემდეგში 1204 წელს ტრაპიზონის პირველი იმპერატორი გახდა ალექსი I კომნენის სახელით.

ანდრონიკაშვილების გვარში დარჩენილი ტრადიცია მათ წარმოშობას ანდრონიკე კომნენის სახელს უკავშირებს. იოანე ბატონიშვილი კი იძლევა ამ გვარის განსახლების ისტორიას XVII—XVIII სს. მანძილზე. მისი სიტყვით, ენდრონიკაშვილები შვიდ შტოდ განსახლებულან. 1. პაპუაშვილები. 2. თამაზიშვილები. 3. სოლომონისშვილები. 4. მდივანბეგისშვილები ანუ ქაიხოსროსი. 5. მუჭკაბუჯისშვილები. 6. ზურაბისშვილები აწ. ზაალის შვილებად წოდებულნი. 7. ერასტიშვილები. ერასტიშვილები კი თავის მხრივ სხვა მოსახლეებად არიან დაყოფილი: 1. დავითისშვილები, 2. დიმიტრისშვილები, 3. ივანესშვილები, 4. პეტრესშვილები.

„ისტორია ქართლისა“ ენდრონიკაშვილების შესახებ დამატებით ცნობებს იძლევა: „აგრეთვე ამა ენდრონიკეს მოყოლილს თავადს ბაზიერთუხუცესს მიეცა ამოწყვეტილის თავადის რობიტას მამული და მიიღეს გუაროცა რობიტაშვილისა“ (H—2134. გვ. 625 ა). „გვარების ისტორიაში“ კი იოანე ბაგრატიონს რობიტაშვილებზე განსხვავებული აზრი აქვს მოტანილი. ამ შემთხვევაში რობიტა ჰქვია რობიტაშვილის წინაპარს და არა მისთვის მიცემული მამულის პატრონს. ამასთან „ისტორია ქართლისა“ უჩვენებს აგრეთვე რობიტაშვილების საცხოვრებელ ადგილსაც — ფხოელს და იმასაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში რობიტაშვილები კონსტანტინეშვილებად იწოდებიან.

იოანე ბატონიშვილს მოცემული აქვს კახეთის მცირე თავადთა საკმაოდ ერცელი ნუსხა. ამათგან ჩვენ დღეს თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ჭავჭავაძეთა და ჭანდიერთა საგვარეულოებზე.

იოანე ბატონიშვილს გადმოცემული აქვს საინტერესო ცნობები ჭავჭავაძეთა გვარის შესახებ. მისი სიტყვით, ეს საგვარეულო ორი სხვადასხვა ოჯახისაგან შედგება — ერთი ყვარელში ცხოვრობს, მეორე — წინანდალში. ორივე ამ ოჯახის წინაპარი ფშავის მთებში მდებარე ადგილიდან ჭავჭავაძეთაგან არის წამოსული. ჭავჭავაძეთა მსახლობელი ამ საგვარეულოს წინაპარნი ასევე მთის თავადები ყოფილან. ლევან კახთა მეფის დროს, 1529 წელს, ამ ოჯახის წარმომადგენელნი გადმოსახლებულან „გაღმა მხარს, ყვარელსა შინა“, სადაც მეფეს (ლევანს) მათთვის მიუცია ადგილები. ყვარელს დასახლებული ჭავჭავაძენი ორ შტოდ იყოფა: გლახასშვილებად და მელქისადეკისშვილებად.

წინანდალს მსახლობელ ჭავჭავაძეთა წინაპარიც ასევე ფშავის ჭავჭავაძეთაგან არის მოსული. ეს საგვარეულო დიდად დახმარებია ერეკლე I ნაზარალი-ხანს თუშეთში, იმ პერიოდში, როცა ის, რუსეთიდან დაბრუნებულნი, ქართლში გამეფებას ცდილობდა. როგორც კი ნაზარალი-ხანი ქართლში გამეფდა (1688 წ.), მან ამ ოჯახს აზნაურობა უბოძა და წინანდალს დაასახლა. მეფე თეიმურაზ I-მა კი, „აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა“ (S—3729, გვ. 30). იოანე

² ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი. — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 16—17.



ქვეყნაძეთა ამ განშტოების გაძლიერებას ერეკლე II-ის ხანაში „მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჰავჭავაძეთა“. მანამდე კი ეს გვარი იწოდებოდა მამუჩისშვილად. წინანდელ ჰავჭავაძეთა განაყარია მამუჩისშვილი, ივანესშვილი, ბერინაზაძისშვილი და გარსევანიშვილი.

ჯანდიერების შესახებ იოანე ცნობებს გეგუდის: „ჯანდიერისშვილი თავადი, გლდანისელნი, მცხოვრებნი გლდანს, პირველ ლეონისშვილებად წოდებულნი მდაბალნი აზნაურნი, ხოლო უკანასკნელ, ამათი შთამომავლობისა ჯანდიერ იქმნა წარჩინებულ მხნეობითა დროსა მეფისა ბაგრატისასა და იწოდა მისგანვე თავადად ქრისტეს აქეთ 1391 წელს. და მუნედგან იწოდებიან ჯანდიერისშვილებად, კახეთსა შინა დასახლდნენ ქრისტეს აქეთ 1471 წელს“ (S—3729. გვ. 82 ბ). იოანე ბატონიშვილი თავისი შრომის სხვა ადგილას იძლევა ჯანდიერთა გვარის გლდანში დარჩენილთა ისტორიასაც. მისი სიტყვით, გლდანში მოსახლე ჯანდიერ ლეონიშვილმა, აზნაურმა, თეიმურაზ II-ის დროს განაკეთრებული მხნეობა გამოიჩინა. მან სთხოვა მეფეს შეიარაღებული რაზმი მიეცა მისთვის და ის თურქებთანააგან აღებულ ქალაქს გაათავისუფლებდა. მეფემ დიდი რაზმი გადასცა ჯანდიერ ლეონიშვილს. ამან ქვეითი ჯარი თბილისის მი-სადგომთან — ბაღებთან დამალა, თვითონ და მისმა სახლ-სკაცებმა სახედრებს ფიჩხი აჰკიდეს, ფიჩხში მათ თოფ-იარაღი ჰქონდათ დამალული და ქალაქის კოჭრის კარს მიადგნენ. ქალაქის მცველებს ეგონათ, ფიჩხი შემოიჭანეს გასა-ყიდადო და ციხის კარი გაუღეს. ქალაქში შესულმა ჯანდიერმა და მისმა თანამებრძოლებმა ფიჩხიდან იარაღი გამოაძრეს, „მოსრნეს მეკარენი იგი და თვით ფამაგრეს კარისა მის კოშკში და მისცეს ნიშანი დამალულთა ჯართა, რომელნიცა შემოესიგნენ და აღიღეს ტფილისი და მოსრნეს მას შინა მყოფნი მცველნი“ (იქვე, გვ. 27). ამ გმობა-მოხერხებისათვის თეიმურაზმა 1628 წ. ჯანდიერს თავადობა და კახეთის სახასო მამული ლაქბა (ლაქბის ხეობა არის ქიზიყის დასავლეთით) უბოძა. იოანე მისი დროის ჯანდიერებზე ამბობს, რომ ისინი ცხოვრობენ კალაურში და რამდენიმე განაყარა არიან დაყოფილი: 1. ზაალისშვილი, 2. ფრიდონისშვილი, 3. ნიკოლოზისშვილი, 4. ომანისშვილი, 5. თარხნისშვილი, „რომელ არიან ლუარსაბისა და ბიძინასშვილები. ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან ჩაკაშვილებად და არიან აზნაურნი“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამდაგვარი ფაქტი — ქალაქის ციხის აღება მოტყუებით შეშის მიტანით — მოთხრობილი არ არის. სეხნია ჩხეიძე მსგავს ფაქტს გადმოგვცემს 1724 წლის ნოემბერში გორის შესახებ. ქალაქი გორი და მისი ციხე ურუმებს (ოსმალებს) ეპყრათ. ქართველთა ჯარი ღამით შეიპარა გორის ქალაქში და სახლებში დაიმალა. თურქები ამ დროს ციხეში ძელებს ეზიდებოდნენ. ოთხი გამორჩეული ვაჟკაცი ძელების შემტანთ შეერია, ძელები შეიგდეს მხრებზე და ციხის კარისაკენ გაემართნენ. მათ ისე უნდა დაეყარათ ეს ძელები ციხის კართან, რომ ციხეში მყოფ ოსმალთ ვეღარ მოხერხებინათ ციხის კარის გამოკეტვა. სახლებში დამალულმა ჯარმა იხელთა და გამოვიდა, შეესია გორის ციხეს, ძელების შემტანთ იარაღი ჰქონიათ დამალული. ისინიც დაერჩნენ ციხის მცველთ და ამრიგად გაათავისუფლდა გორი ურუმთაგან.

როგორც ვხედავთ, სეხნია ჩხეიძისაგან მოთხრობილი გორის ციხიდან ოსმალთა გამოდევნისას ზმარებული საომარი ფანდები ემსგავსება იოანეს მიერ

3 საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე. ზ. კიკინაძის გამოც. თბ., 1913, გვ. 45—46.



მოტიანილ გლდანელ აზნაურთა გმირობა-მოხერხებულობას. შესაძლოა, რომ სცხნიას მონათხრობში ნახსენები ოთხი გამორჩეული ვაჟკაცი სწორედ ამ დიერთა საგვარეულოდან ყოფილიყვნენ. იოანე ბატონიშვილს კი მათი მემკვიდრის მოთხრობა ერთგვარი სახეცვლილებით მოეტანოს.

იოანე ბატონიშვილის დამსახურებაა ამგვარი ფაქტების მოტიანით ისტორიის ცოდნის გამდიდრება. საერთოდ, იოანე ბატონიშვილი ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველია, ვინც ყურადღება შეაჩერა საგვარეულოთა წარმოშობის ისტორიაზე. ჩვენი ვალია, ღირსეულად დავაფასოთ იოანეს დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე.

Н. М. КБИЛЦЕЦХЛАШВИЛИ

ИОАНН БАГРАТИОНИ О ПРОИСХОЖДЕНИИ ФЕОДАЛЬНЫХ РОДОВ КАХЕТИ

Резюме

Вопросы происхождения феодальных родов Грузии Иоанном Багратиони рассмотрены в двух произведениях — «Истории Картли» (неопубликованной части основного труда Иоанна Багратиони «Хождение по сбору или учение в шутках») и в специальном очерке «Сокращенное описание проживающих в Грузии княжеских и дворянских фамилий» (опубликовано в 1884 г. в газ. «Иверия»). Иоанн Багратиони на основании показаний письменных и устных источников, легенд и сказаний воспроизводит детали происхождения феодальных родов Грузии.

В данной статье основное внимание уделено высказываниям Иоанна Багратиони об истории происхождения некоторых княжеских фамилий из Кахети (Чолокашвили, Андроникашвили, Чавчавадзе, Джандиери).

Иоанн Багратиони делает своеобразную попытку уяснения конкретных причин, обусловивших возвеличение названных выше княжеских домов. Приведенные им факты обогащают наше знание истории в этой конкретной области.

N. KBILTSETSKHLASHVILI

IOANN BAGRATIONI ABOUT LINEAGE OF FEUDAL FAMILIES OF GEORGIA

Summary

The questions related to the lineage of the Georgian feudal families are considered by Ioann Bagrationi in his two works „The history of Kartli“ (unpublished part of Ioann Bagrationi’s basic work „Raising of tribute or teaching in jokes“) and in a special essay „Short description of the princely and nobiliary families of Georgia“ (published by the newspaper Iveria in 1884). Ioann Bagrationi, using information provided by written



and oral sources, legends and stories, reproduces in his work the details related to lineage of Georgian feudal families.

The present article is focused on Ioann Bagrationi's evidence concerning the lineage of some princely families from Kakheti (Cholokashvili, Andronikashvili, Chavchavadze, Jandiery).

Ioann Bagrationi makes an original effort to understand the concrete reasons leading to exalting of the above—mentioned princely families. Facts given by him enriches our knowledge of the concrete field of history.

ნათელა ნაცვლიძე

ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ წყაროთმცოდნეობითი
შესწავლის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება XIX ს-ის ქართული ლიტერატურის ძეგლებს, რომლებიც ერის სულიერ მდგომარეობას ასახვენ ქართველი ხალხის მუდმივ ძნელბედობის ხანაში.

ეს კარგად ესმოდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობდნენ სწორად გადმოეცათ ქართველი ხალხის სატიკვარი და მათი მოთხოვნილებანი.

„დიდმა ილიამ, — წერს თავის საგულისხმო შენიშვნაში ნ. ბერძენიშვილი, — მოხვეისა და სახალხო მთქმელის პირით საქვეყნოდ გამოსთქვა სამოცანელთა რომანტიკული იდეალი“, რომელიც „სასომიხდილობის ნიშანი კი არ იყო, არამედ საბრძოლო ლოზუნგი მომავლისაკენ“¹.

ჩვენი აზრით, ნ. ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისაში“ ქართველი ხალხის ღირსებებისა და ხასიათის განჭვრეტით გადმოგვცა ის რთული ვითარება, რომელიც შეიქმნა საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ.

პოეტმა შთამომავლობას დაუტოვა მრავლისმთქმელი, ფაქტებით უხვი, ქვეყნის ძველი და ახალი ისტორიული ეპოქების ამსახველი მოვლენების აღქმისა და გაგების მოთხოვნილებებით აღსავსე ვითარება, რომელიც ღირსეულ შემართებასა და მოქმედებას მოითხოვდა მამულიშვილთაგან.

ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ მუდამ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რადგან აქ განხილულია ერისათვის მეტად მტიკინეული და მუდამ ფიქრის აღძვრელი ამბავი საქართველოს ისტორიისა და მისი ბედისა, რომლის შესახებ გულისტკივილით შენიშნავდა ვახტანგ ორბელიანი: „ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი, ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი“.

ამ შესანიშნავი პოემის განხილვის დროს თავიდანვე მოჰყავთ პოემის ის ადგილი, სადაც გადმოცემულია სოლომონ ლიონიძისა და მეფე ერეკლეს დიალოგი და რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. გასაგებია, რატომ!

მაგრამ სრულიად უყურადღებოდ რჩება ნ. ბარათაშვილის მიმართვა, რომლითაც იწყება პოემა. ეს მიმართვა ეკუთვნის კახელებს, რომელთა გმირული შემართებით აღტაცებული პოეტი არ იშურებს თბილ სიტყვებსა და მაღალ შეფასებას.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., გვ. 335 (სქოლიო).



„მანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით, თქვენიმ აღზო-
დილა პატარა კახი მეფედ და გმირად“. შეიძლება მიმართვაში — „ნამდვილ
ქართველნო“ — ხედავენ უხერხულობას და თვალს არიდებენ. მაგრამ სწორედ
ეს არის ყურადღების მისაქცევი და ამ პოემის ძირითადი მიზანი.

ნ. ბარათაშვილი ცნობილი იყო საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნით.
მან შესანიშნავად იცოდა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და
თვით ქართველების, თანამემამულეების დაუფიქრებელ, გაუთვალისწინებელ,
უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეგოისტურ განწყობილებებსა და მოქმედებას
გულისხმობს პოეტი, როცა გულისტკივილით შენიშნავს — „ჩვენმა უხეირო-
ნამ დავეღუპაო“ და სავსებით სწორი იყო იგი ამ შეფასებაში. ის, რაც ბატო-
ნიშვილებმა და ქართველმა საზოგადოებამ გამოამჟღავნეს ერეკლეს გარდა-
ცვალების შემდეგ, თავისი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში, მდგომარეობის შე-
ფასებასა და გათვითცნობიერებაში, სწორედ რომ ასეთ შეფასებას იმსახუ-
რებს — უხეირონი აღმოჩნდნენ მართლაც!

ნ. ბარათაშვილი ამ რთულ ვითარებაში უპირატესობას ანიჭებს კახეთის
თავადაზნაურობას. სწორედ მან აღიმაღლა ხმა მეფის რუსეთის დამპყრობ-
ლური პოლიტიკის წინააღმდეგ და პროტესტი გამოთქვა იმ უკანონობის გა-
ნა, რომელსაც რუსეთის იმპერატორმა ჩაიდინა საქართველოს მიმართ.

პოეტი ალტაცებულია კახეთის თავადაზნაურობის გამოსვლით და მათი
ფაქტუალური შემართებით; იგი სიამაყის გრძნობით აღვსილი მიმართავს მას,
რომელთა შორის აღიზარდა მომავალი გმირი — პატარა კახი, მამოძრავებელი
სული და გული ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და საქართველოს
მთლიანობისათვის ბრძოლისა.

ნ. ბარათაშვილი ერთხელ კიდევ შეახსენებს ქართველ ხალხს ამ ბრძოლის
მნიშვნელობას და წარსულის ფონზე ცდილობს გამოაცოცხლოს მის თანამე-
დროვე საზოგადოებაში მიძინებული პატრიოტული სულისკვეთება. ეს არის,
ჩვენი აზრით, პოემის მთავარი მიზანი. ავტორი პირდაპირ მიმართავს თავის
თანამედროვეებს — იყვნენ ღირსეული მემკვიდრენი თავიანთი სახელოვანი
წინაპრებისა, რომელთა „ღვაწლს ქართლი ვერ დაიდუმებს“ და რომელთა
„სახელი განქრა პაერში“, მაგრამ იქვე შენიშნავს: „თქვენ სახსოვარი გაქვთ
თვით განგებით: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების საშვილიშვილოდ
გარდაეცემის“.

ნ. ბარათაშვილი ღირსეული შეფასებელია თავისი დიდი წინაპრისა —
ერეკლე მეფის, რომელმაც მრავალი წინააღმდეგობის დაძლევით შეძლო სა-
ქართველოს მთლიანობის შენარჩუნება. ამიტომაც დიდი მოწიწებითა და პა-
ტივისტულობით არის გამსჭვალული და მუხლს იყრის მისი საფლავის წინაშე.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ ურთიერთსაწინა-
აღმდეგო აზრებს იწვევს დღეს, როცა რუსეთი დამპყრობელი და არა მოკავ-
შირე აღმოჩნდა და ერეკლეს არჩევანიც დასაწუნი გახდა. მაგრამ განა კი იყო
სხვა გამოსავალი?

ეს ნ. ბარათაშვილმა და მისმა თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ, რამე-
თუ რუსეთს არ დაუყოვნებოთ თავისი დამპყრობლური ზარახვების გამოძვლავ-
ნება.

მაგრამ პოეტის განწყობისა და მოვლენების შეფასებისათვის ჩვენ კვლავ
ლექსის ავტორს მივმართავთ და თვით ლექსის შინაარსს განვიხილავთ:

„ვამ-ვითარებით გარდახვეწილ შენი შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფილებით აღსავსე სული
უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მზურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!“

ცხადია, რუსეთში მიღებული განათლების მნიშვნელობას გულისხმობს პოეტი, და ამის მაგალითია მიხეილ ბარათაშვილი; მისი ღვაწლი ქართული მონეტებს შექმნის საქმეში ფასდაუდებელია საქართველოს ისტორიისათვის.

ეს ნაყოფიერი შემოქმედებითი კვლევა-ძიება იყო იმ მშვიდობიანობის შედეგი, რომელიც ერთადერთ სიკეთედ მოვევლინა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და რისთვისაც იღწოდა „მეფე ხმოვანი“, — ამბობს მგოსანი.

მთლად მართებული არ აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის პროგნოზი, რომელიც რუსი მოხელის — პოზენის ჩამოსვლასთან დაკავშირებით იმედოვნებდა საქართველოს ცხოვრებაში ცვლილებების შეტანას: პოზენს არ დასცალდა თავისი დაწყებული საქმის დაბოლოება ნიკოლოზ I კარზე დატრიალებული ინტრიგების გამო და ნ. ბარათაშვილიც ვერ მოეწრო რუსი „ლიბერალი“ მოხელის — ვორონცოვის ხელისუფლებას.

ნ. ბარათაშვილის წერილებიდან ჩანს თუ როგორი ყურადღებით ადევნებდა თვალს პოეტი თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს, რომელიც ამჯერად ერთმორწმუნე ქვეყნის მიერ დაპყრობილი, შეურაცხყოფილი და განადგურებული დაფარვდა სულს. ძნელი იყო ამ ვითარების ატანა და გულგრილად ყოფნა. თუმცა ქართველი თავადაზნაურობა შეეცადა დაკარგულ უფლებათა აღდგენას, მაგრამ დამარცხდა. რა შეეძლო პატარა ქვეყნის წინააღმდეგობას ევროპის საერთაშორისო ყანდარმის წინაშე! მაგრამ ამბოხი სული თავისუფლებისა არ უნდა ჩაქედეს, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა შეუპოვარი ამართლებს ყოველ სულიერს:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

ეს იყო ნ. ბარათაშვილის პოეზიისა და არსებობის კრედო — მოქმედება, ბრძოლა, რომელიც ყველა ამ სოფლის კაცის ვალია თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ნ. ბარათაშვილის განცდები მთელი ერის განცდებია, რომელიც გამოწვეულია თავისი სამშობლოს მძიმე მდგომარეობით, მისი უფლებობითა და მიმძლავრებულობის შიშით. პოემაში მთელი სიმწვავეთ არის გადმოცემული საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული შიში.

თვით ამ საკითხებმა კი, რომლებიც ასეთი ვაბედულებით, ტრაგიკული სიმკვეთრითა და პირდაპირობით არის აღძრული ბარათაშვილის თხზულებაში, დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ქართველთა ლიტერატურაზე, არამედ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზეც. პ. ინგოროყვა თავის მონოგრაფიაში „ნ. ბარათაშვილი“ წერს: „მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია აქ პოულობს თავის დასაყრდენს, აქედან გამოდის, იზრდება, მიემართება ახალი იდეალებისაკენ. ნ. ბარათაშვილი არის დიდი წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ არის მომდევნო ეპოქის პასუხი იმ საკითხებზე, რომელიც ბარათაშვილმა აღძრა“.



პოემის ძირითადი მიზანი, როგორც ზემოთ ვთქვით, იყო თანამედროვე საზოგადოების გამოღვიძება. ამისთვის მიმართავს პოეტი თავისი ერის წარსულს, სადაც, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მეფე ერეკლესა და სოლომონ ლიონიძის საუბარი საქართველოს მომავალზე; ნ. ბარათაშვილის მიერ გადაწყვეტილმა ჩანაფიქრმა თავის მიზანს მიაღწია — მისმა ნაწარმოებმა სიცოცხლისა და აღორძინების სული შთაბერა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ხოლო რაც შეეხება ერეკლეს გადაწყვეტილებებისადმი პოეტის დამოკიდებულებას, რასაც ასე გულმოდგინედ ეძიებს ჩვენი საზოგადოება, იგი დადებითია. ასე რომ არ იყოს, ნ. ბარათაშვილი არ გააღმერთებდა თავის ეროვნულ გმირს — ერეკლეს, რომლის ხმაღმადგებელი ბრძოლა ხოტბის საგანია და ქართველი ერისთვის მისაბაძი.

პოემა ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი და ღრმად დამაფიქრებელი. აქ წამოჭრილია არა მარტო წარსულის აქტუალური საკითხები, როგორცაა საქართველოს რუსეთთან დაკავშირება, კრწანისის ბრძოლა, სოლომონ მსაჯულის შეგონებანი და სხვა. ამ ნაწარმოებში ნ. ბარათაშვილი თავის თანამედროვეობისათვის მტკივნეულ მოვლენებსაც ეხება, ისეთს, როგორიც არის საქართველოსა და ქართველი საზოგადოების მომავალი, რომლის გაუმჯობესებისა და აღმავლობისათვის არაერთარ ზრუნვას არ ამქლავნებს დროსტარებაზე გადასული თავადაზნაურობა; რომ ეს საზოგადოება გადაგვარებისაკენ მიექანება. სტრიქონებს შორის ჩართული პოემის ავტორის ამონაკენსი გვამცნობს იმდროინდელი მოწინავე, ჭეშმარიტი მამულისშვილის მწარე სატივიარსა და განცდებს.

ჩვენთვის ეს განწყობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორიული წარსული, რომლის გაცოცხლებაც მაშინდელი საზოგადოებისათვის გარკვეულ მიზანს ისახავდა.

პოეტი ცდილობს გააღვივოს თავის მოძმეთა გულში ჩაფერფლილი სამშობლოს სიყვარული, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ფიქრი და ოცნება. ის სოლომონ ლიონიძის გამომწვევი სიტყვებით ლაპარაკობს:

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებთან რუს ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

რაც არა ერთხელ გამოქვამდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ქართველმა ხალხმა, რომელმაც მხოლოდ მშვიდობისათვის „განისყიდა თავისუფლება“, ვერ აიტანა რუსთა დამპყრობლური ბუნება. თავისუფლებისმოყვარე, დაუმორჩილებელი ერი უნდა აღმდგარიყო ახალი მხაგვრელის წინააღმდეგ, რომელიც მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, განადგურებითა და მოსპობით ემუქრებოდა ქრისტიან ქვეყანას.

არ ერიდება პოეტი გადმოსცეს შინაური ამბებიც — ქართველთა შორის განხეთქილება, რომელიც იმით გამოიხატა, რომ ქართლის თავადაზნაურობა არ ერთგულობდა ერეკლეს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბავრაციონთა ქართლის სამეფო შტოს წარმომადგენლები პრეტენზიას აცხადებდნენ ერეკლეს მიმართ, თითქოს მას უკანონოდ ეჭირა ტახტი.

„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზე დავასრულე,
რომ ძლიეს ივინი გავეერთგულე“

და ამ დროს სხვა სიძნელე წამოიჭრა, კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი: ძეთა თვისთა უპირობა, შური და მოღალატეობა ურთიერთშორის და სახელოვანი მამის წინააღმდეგ მოუზრდებელი, გამყიდველი მოქმედება. მათი „ურთიერთ ბძარვა“, ახარებდა ირგვლივ შემოსეულ ოსმალოს, ლეკს, მაგრამ განა ამას გრძნობდა მომხვეჭელობისა და ტახტის დაპყრობის უნით გახელე-ბული რომელიმე ბატონიშვილი:

„აბა რომელ შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს ღარღვეულს“, —

ეკითხება მწარე ნაღველით შეპყრობილი ერეკლე სოლომონ ლიონიძეს და ნ. ბარათაშვილიც იზიარებს მის გულისტკივილს: „დიდხანს დაპყოფდა ბატონი ჩემად, დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად“.

ბარათაშვილს სურს, რომ სოლომონ ლიონიძის თავდადებული აღშფოთებით აღსავსე განწყობილება და სასოწარკვეთა, გამოწვეული მამულის დამოუკიდებლობის დაკარგვით, გადასდოს თავის თანამედროვე ქართველ საზოგადოებას, სადაც აღარავის სურს „ნახოს ქართლის კვლავ ამბოხება“. ეს უკვლავს გულს პოეტს — რომ ქართველი ერი არ მიეჩვიოს უმოქმედობას და გადაგვარების გზაზე არ შედგეს. „რად დაგრჩომია სხვაზედა თვალი, ოდეს მეფეცა და დედოფალი გყვანან კეთილნი და ღირსეულნი და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი“.

ცალკე თემაა ნ. ბარათაშვილის პირადი შეხედულებანი და განწყობილება მეფის გადაწყვეტილების მიმართ. მისი მოუსვენარი გონება ცდილობს საზოგადოების გათვითცნობიერებას ამ საკითხში, რათა დაარწმუნოს ერეკლე მეფის გადაწყვეტილების სისწორესა და შორსმჭვრეტელობაში, თუმცა ერთგან უენიშნავს, რომ

„ბევრჯერ ღეთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერ მიხედების!“,

მაგრამ, თავის მხრივ, ნ. ბარათაშვილი მოვლენების ანალიზითა და საერთო მდგომარეობის შეფერებით არკვევს სწორედ საქართველოს მომავლის საკითხს.

ნიშანდობლივია პოემის დასასრული, მისი ბოლო სურათი, რომელიც ავტორს ისე აქვს გადმოცემული, რომ ცხადად წარმოიდგენს მკითხველი განადგურებულ, აოხრებულ საქართველოს, რომელსაც შველა უნდა და ეს მშველელი კი არსაით ჩანს. მოხუცდა ერთგული მცველი და ბატონი მეფე ერეკლე, რომელსაც ჯერ კიდევ უჭრის ხმალი, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს ასე. მძ-მე მდგომარეობა საეჭვოდ ხდის მისი ქვეყნისა და ხალხის არსებობას.

უკანასკნელი, რაც შეეძლო გაეკეთებინა თავისი ქვეყნისათვის, ეს იყო ძლიერი მფარველის გამოჩახვა. გარშემოვლებულ მაჰმადიანურ სამყაროში ძლიერ მოკავშირედ ჩანდა ერთმორწმუნე, ქრისტიანული რუსეთი, რომლის საფარქვეშე საქართველომ „უნდა იყაროს ჯაგრი სპარსეთის“. ამას შეძლებდა საქართველო რუსეთთან „მტკიცე კავშირითა და სარწმუნოებით“.

ნ. ბარათაშვილი მისთვის ჩვეული მიგნებითა და მოვლენების სიცხადით ცდილობს არსებული ვითარების მთელი სიმწვავისა და შეუზრდებლობის გადწოდებას. ამ მიზნით მან ალა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევაც ამ



პერიოდს მიუსადაგა, რათა უფრო აშკარად ეჩვენებინა საქართველოს მიმართ განოუვალ მიდგომარეობა. პოეტი აფრთხილებს, რომ გარშემოწვეული მტრები დღეს თუ არა, ხვალ თავს დააცხრებოდნენ თავის მსხვერპლს, როგორც კი მას დაუძღვრებულს დაიგულებდნენ. ამიტომაც, ბართათაშვილის აზრით, „ამაო იყო ყოველი“ და ერეკლეს გადაწყვეტილებაც ურყევი.

საქართველოს მიმედ პოლიტიკური მიდგომარეობა, საიმედო ძალთა არარსებობა — აი, ძირითადი მიზეზი საქართველოს რუსეთთან დაახლოებისა, მაგრამ იმპერამ ვერ მოდრიკა თავისუფლებისმოყვარე, საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართველი ერი, რომელიც დაუმორჩილებელი ბრძოლით იკვლევდა გზას მომავლისაკენ.

ნ. ბართათაშვილი თავისი უტყუარი აზლითი და მახვილი გონებით სწორად აფასებს საქართველოს წარსულს, 1783 წლის ტრაქტატსა და მშობელი ქვეყნის თანამედროვე მიდგომარეობას.

წარსულსა და მომავალში წარმოუდგენელია ქართველი ხალხის არსებობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე, რომლის მოპოვებისთვის ბრძოლაშია იმთავითვე. გარდა შეუპოვარი ბრძოლისა, საჭირო იყო ვითარების შესაფერისი პოლიტიკის წარმოება, რომელიც აცდენდა ქართველ ხალხს გაჰანადგურებელ, საზიანო მოვლენებს. აუცილებელი იყო ზოგჯერ დათმობა, უკან დახევაც კი, მით უმეტეს როცა ქართველი ყოველთვის მასზე ათჯერ, ასჯერ მეტ მტერს ებრძოდა ხოლმე.

პოემა „ბედი ქართლისა“ სწორედ ამ მიდგომარეობის ამსახველია, საქართველომ თავი გადაირჩინა და დროებით შეისვენა; მშვიდობიანობას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად ესმოდა შორსმჭვრეტელ მეფეს, ბრძენსა და შამაც ერეკლეს, რომელმაც თავისი ქვეყნის მომავალი თავის სიცოცხლეშივე გადაწყვიტა.

ამრიგად, პოემა „ბედი ქართლისა“ ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს უსამართლობისადმი შეურიგებელი, თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის თავდადებული პოეტის განწყობილებაზე; პოემა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის, მასში ასახულია ბართათაშვილისდროინდელი ქართველი საზოგადოების მიდგომარეობა და პოეტის დამოკიდებულება მისდამი.

ყოველივე ამას ზედმიწევნით ოსტატურად ახერხებს პოეტი; წარსულის ფონზე თანამედროვე ამბების მოტანით, შეფასებითა და ზოგჯერ კრიტიკული მიდგომით იგი გასაგებს ხდის შველვისთვის მეტად საინტერესო მოვლენებს.

Н. Д. НАЦВЛИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ
ПОЭМЫ Н. БАРАТАШВИЛИ «БЕДИ КАРТЛИСА»
(«СУДЬБА ГРУЗИИ»)

Резюме

В грузинской письменности значительную роль играют литературные памятники, с древнейших времен сопровождавшие и дополняющие историографию нашей страны. Рассматриваемая поэма Н. Бараташвили — «Беди Картлиса» («Судьба Грузии») является важным

источником сведений об общественно-политической истории Грузии
30—40-ых гг. XIX века.

Вслед за поражением заговора 1832 года последовала депрессия и падение общественной жизни. Поэт замечает эту морально-политическую апатию грузинской общественности и на фоне исторического прошлого старается помочь восстановлению жизненных сил для борьбы за счастье и свободу своего народа.

Главный призыв поэмы — борьба на благо своей страны.

N. NATSVLISHVILI

SOME ASPECTS OF THE STUDY OF BARATASHVILI'S POEM
„BEDI KARTLISA“ („FATE OF GEORGIA“) AS A HISTORICAL SOURCE

Summary

The Georgian written literary monuments that followed and completed historiography of our country since ancient time has an important role.

The considered poem „The fate of Georgia“ is an important source for the social and political life of Georgia in the 30—40 of the XIX century.

The defeat of the plot of 1832 was followed by depression and fall of social life. The poet observes moral and political apathy of the Georgian society and against the background of the historic past he tries to restore vital forces to fight for happiness and freedom of his people.

The main call of the poem is motion, struggle for the welfare of his own country.

ჯეოზილ გიუნაშვილი

„ხიდაბან“ სიტყვის წარმომავლობისათვის სპარსულში

ლექსემა „ხეივანი“ თანამედროვე ქართულ ენაში იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. გზა, რომლის ორივე მხარეს ხეებია ჩამწყკრივებული; 2. ლატანზე გასული ვაზი, — ტალავერი. ეტიმოლოგიურად სიტყვა „ხეივანი“ უკავშირდება სპარსულ „ხიდაბან-ს“¹, რომელიც თანამედროვე სპარსულში ნიშნავს: 1. გაშორს, პროსპექტს, 2. ბაღში, პარკში გაყვანილ ბილიყს².

თემურიანთა პერიოდის სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰაფეზ აბრუ (გარდაიცვალა 1430 წ.) ქალაქ პერათისა და მისი შემოგარენის აღწერისას იხსენიებს ტოპონიმ „ხიდაბანს“: „ხიდაბანის მაზრა (ბოლუქ-ე ხიდაბან). ეს მაზრა მდებარეობს მდინარისა და ქალაქის ჩრდილოეთით... ქალაქის მკვიდრთა საფლავები უმეტესწილად ხიდაბანის საგარეულებშია განლაგებული. გამოჩენილ ადამიანთა აკლამები იქ ბევრია“³. მეტად მნიშვნელოვანი ცნობა შემოგვინახა შოინ ად-დინ ესფეზარელმა ხიდაბან-ის მაზრის შესახებ თავის „ქალაქ პერათის აღწერილობაში“ (შედგენილია 1491—1493 წწ.): „(პერათის ხიდაბანი) გამორჩეულია ჰაერის სიმშვენიერით, საოცარი ხუროთმოძღვრებით, მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე წმინდა აკლამებისა და ნაგებობათა სინატიფითა და სიდიადით... ეს ადგილი ძველად, როგორც წარმართობის ეპოს, ისე ისლამის ხანაში... იყო ადამიანთა სულის მანუფეშებელი... ამ ადგილს ძველად ეწოდებოდა ქუა-ე ხოდნაგან, ხოლო ფორსის ენაზე⁴ ხოდნაგან მეფეს ნიშნავს“⁵. გეოგრაფიული რეალიების იდენტიფიკაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ბეიჰაყის „ისტორიის“ (XI ს.) „ხოდნან-ის ველს“ (დაშთ-ე ხოდნან)⁶ და აკუთის (XII—XIII ს.) ხოდნან-ს⁷ შეესატყვისება ზემოთ აღნიშნული „ხიდაბან-ის მაზრა“ (ბოლუქ-ე ხიდაბან) და „მეფის უბანი“ (ქუა-ე ხოდნაგან). ჩვენთვის საინტერესო ლექსემის ფონეტიკური გარდაქმნის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აბდალა ანსარისა (XI ს.) და აბდუ-

¹ ქველ. VII, თბ., 1964, გვ. 1370—1371.

² Персидско-русский словарь, I, М., 1970, გვ. 591.

³ გვ. 21, 1349, حافظ ابرو، جغرافيا، تصحيح مايل هروي، تهران،

⁴ ფორს (ფორს) — იგულისხმება ფალაური ენა.

⁵ გვ. 84—86. معين الدين اسفزارى روضات الجنات فى اوصاف مدينة هرات، تهران، جلد اول، 1338

⁶ გვ. 784, 1346, تاريخ بيهقى، تصحيح دکتر على اكبر فياضى، كابل،

⁷ გვ. 405. 3 ج، 1323، ق، باقوت، معجم البلدان، مصر،

خدا بان بضم اوله وبعدا لالف باء هو حده و آخره نون، من نواحى هرات.



რამან ჯამის (XV ს.) მიერ გადმოცემული ერთი და იგივე ამბის ტექსტი
შეპირისპირებითი განხილვა:

ანსარი

ჯამი

შეახ ულ-ისლამმა თქვა: ფუშანგიდან მივიდიოდი ჰერათში... ლაას ფუშანჯეს⁸ საფლაი⁹ ხოდან¹⁰ შია¹⁰.

შეახ ულ-ისლამმა თქვა: ფუშანგიდან წავედი ჰერათში... ფუშანჯის¹¹ საფლა-ვი¹² ხნან¹³ შია¹³.

ამრიგად, ოთხი საუკუნის განმავლობაში მოტივირებული ლექსემა ხოდან¹⁰-იდან (<ხოდან¹⁰) მივიღეთ არამოტივირებული ხნან¹³-ი.

შემდგომ პერიოდში ხნან¹³-ი კარგავს ტოპონიმის მნიშვნელობას და იხმარება როგორც საზოგადო სახელი. ცნობილი ირანელი ფილოლოგის ჯ. მაიანის დაკვირვებით, სეფიანთა მეფეების მმართველობის დროს (XVI—XVIII სს.) ირანის ქალაქებში ჩნდება ხნან¹³-ები — კეთილმოწყობილი სავალი და სასეირნო ფართო გზები, რომელთა ორივე მხარეს, როგორც წესი, გაყვანილი იყო რუბები¹⁴. ისქანდერ მუნშის ცნობით შაჰ-აბასის ბრძანებით ისპაჰანის ნაყუშე ჯაჰან-ის ბაღიდან მდინარე ზაიანდერუდამდე გაიყვანეს ხნან¹³-ი, რომლის ორივე მხარეს გაშენებულ ბაღებში აგებული იყო შესანიშნავი შენობები¹⁵. XIX საუკუნიდან ხნან¹³-ი იქნეს „სკვერის“, „პარკის“ მნიშვნელობას. ნასერ ელ-დინ შაჰის (1848—1896) ევროპაში მოგზაურობის დღიურებში ვკითხულობთ: „ზღვისპირადან იწყებოდა ბაღები და ხნან¹³-ები... ამ ხნან¹³-იდან რე ხნან¹³-ში მივყავდით..., ერთი სიტყვით შენობებისა და ხნან¹³-ების დათვალიერებას ბოლო არ უჩანდა...“¹⁶. მეოცე საუკუნის დამდეგიდან ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მთავარ მნიშვნელობად გვევლინება „გამზირი“, „პროსპექტი“¹⁷.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სპარსული ხნან¹³-ი სწორედ სეფიანი მეფეების მმართველობის დროს შემოდის ქართულ ენაში და მკვიდრდება ორი ფორმით: ხევან-ი და ხეივან-ი. ორივე ფორმა დადასტურებულია ს.ს. ორბელიანთან. „ხევანი“ სიტყვის კონაში წარმოდგენილია მნიშვნელობით — „ხეთ რიგით დგომა“¹⁸, ხოლო ხეივანი ფრაგმენტში „მოგზაურობა ევროპიდან“ — „...და მსხველს ხეივანზედაც აქათ იქით სრულ ისევ იმ სიგანე ჩაწყობილი კენჭები

⁸ پوشنده

⁹ گور

¹⁰ 83- 513 , 1321 , کابل ، طبقات انصاری ، خواجہ عبدالہ انصاری ،

¹¹ پوشندی

¹² قبر

¹³ 83- 350 ، 1337 ، تهران ، جامی ، تفحات الانس من حضرات القدس ،

¹⁴ 83 61-65 ، 1371 ، شماری ، ا. ، جلال متینی ، خیابان ، ایران نامه ، سال اول ، شماره 1 ،


¹⁵ 757 1325 ، تهران ، تصحیح ایرج افشار ، جلد دوم ،

¹⁶ 83- 37=38 ، ناصرالدین شاه ، سفرنامه (مسافرت سال 1390 ق به اروپا)

اصفهان ، 1343

¹⁷ ჯ. მაიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

¹⁸ ს.ს. ორბელიანი. სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 901.



იყო¹⁹. ბუნებრივი ხიანი ლამაზი ადგილის აღსანიშნავად მწერალთა ხმაობს „ხევნარ“²⁰ სიტყვას: „...ერთი ტყე იყო... ხევნარითა და ყვაილთა მისა წალკოტსა მისის კეკლუცობისა მეშურნეობითა თავისი პირი პირბადესა შიგა დაეფარა...“. სიტყვა ხეივანი გ. ორბელიანთან: „გრძელ ხეივანში დაედოდენ ეკიპაენი, დატვირთულნი ქალბატონებით და ქალებით“.

ლექსიკოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ XIX ს. მიწურულამდე ხეივანი ნიშნავდა „ხენი რიგით დარგულნი ერთობიად ან ორიბიად“²¹, „გზა, რომლის ორივე მხარეს ხეებია ჩამწყვრივებული“²².

რაც შეეხება მნიშვნელობას „ლატანზე გასული ვაზი, — ტალავერი“, რგი უფრო გვიანი პერიოდის სემანტიკურ გადაწევის უნდა მიეკუთვნებოდეს.

Дж. Ш. ГИУНАШВИЛИ

О ПРОИСХОЖДЕНИИ СЛОВА „ХИЙАБАН“ В ПЕРСИДСКОМ

Резюме

На основе изучения персоязычных нарративных сочинений, персидских и грузинских лексикографических и других источников устанавливается следующее: топоним Күй-и Ходайган — «Царский квартал» (до XI в.) // Дашт-и Ходабан (XI в.) > топоним Хийабан > хийабан — «широкая прогулочная аллея с арыками и насаждениями по обочинам» (XVII—XVIII вв.) > «сквер», «парк» (XIX в.) > «проспект» (XX в.).

Перс. хийабан — «прогулочная аллея, дорога с насаждениями по обочинам» > груз. хевани // хейвани (XVII—XVIII вв.); груз. хейвани до конца XIX в. — «аллея с насаждениями по обочинам». Семантический сдвиг — «конструкция из подпорок и перекладин для виноградника», — видимо, хронологически относится к XX веку.

J. GIUNASHVILI

ABOUT ETHYMOLOGY OF THE WORD „KHIYĀBAN“ IN PERSIAN

Summary

On the basis of study of Persian narrative works, Georgian lexicography and other sources, the following conclusions can be made: toponym Küiy-i Khodāygan—„The royal block“ (till the XI c.)//Dasht-i Khodāban (XV c.)> toponym Khiyābann>Khiyāban—broad walking alley with aryles and plantations

¹⁹ ეს ფრაგმენტი და მომდევნო მაგალითები მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალების მიხედვით.

²⁰ ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 561; ხევნარი, „ნერგი“, ტყე, ხეები.

²¹ დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 1731.

²² ქეგლ. VIII, გვ. 1370.

along the sides of the road (XVII—XVIII cc.), „public garden“, „park“
(XIX c), „avenue“ (XX c).

Persian khiyabān—walking alleys, road with plantation along the sides
of the road>Georgian khevani//kheivani (XVII—XVIII); Georgian kheivani till
the end of the XIX c.—„alley along the sides of the road“. Semantic change—
„construction from props and crossbeams for the vineyard“—seems to belong
chronologically to the XX century.

ლ. კუშპარიოვი

საზოგადოებრივი აზრის ძიებლთა ადგილი წყაროთა
საკლასიფიკაციო სისტემაში

ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის პრობლემა იმ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ქართული წყაროთმცოდნეობა თავისი განვითარების წიგნ მანძილზე განიხილავდა. ამ საკითხს შეეხო ჩვენი ქვეყნის ისტორიის წყაროთმცოდნეობის პირველივე კონსპექტური კურსი, რომელიც ცნობილმა სპეციალისტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მ. ა. პოლიევქტოვმა შეადგინა¹. განსაკუთრებული გამოცოცხლება ამ პრობლემის დაბრუნებაში შეიძინევა 70-იანი წლებიდან, რამაც საბოლოოდ ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში თვისებრივად ახალ ეტაპამდე მიგვიყვანა, რომელიც კვლევითი მუშაობის, კერძოდ კი თეორიული წყაროთმცოდნეობის დარგის საერთო გააქტიურებით ხასიათდებოდა².

ქართული ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის პრობლემის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა გ. ალასანიამ³, განსაკუთრებით თავის სერიოზულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში⁴. ეს მონოგრაფია მან წარმატებით დაიცვა რო-

1 მ. ა. პოლიევქტოვი, სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა (კონსპექტი). თბ., 1936. ამ სახელმძღვანელოს შესახებ იხ.: Аласания Г. Г. Учебник источниковедения истории СССР. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 1987, № 2, გვ. 126—128.

2 ამის შესახებ დაწერილებით იხ.: Кикинадзе Р. К., Пушкарев Л. Н. Новое в грузинском источниковедении. — მაცნე, ისტორიის სერია, 1991, № 1, გვ. 24—25; Кикинадзе Р. К. Источниковедческие проблемы современной грузинской историографии. — ИР, 1985, Тбилиси, 1988.

3 გ. ალასანია, წერილობითი ისტორიული წყაროების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხები (თეზისები). — საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. თბ., 1984; მისივე, ქართული ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის საკითხები. — ქწ, VI, თბ., 1985; მისივე, ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები. — ქწ, VII, თბ., 1987; მისივე, Некоторые вопросы классификационной характеристики древнегрузинской исторической литературы. — ИР, 1982, Тбилиси, 1985 და სხვ. ნამუშევრები. იხ. აგრეთვე: მ. სურგულაძე, ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის პრინციპებისა და დიპლომატიური ტერმინების ურთიერთმიმართებისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1984, № 2; Натмеладзе М. В. Принципы классификации и систематизации источников по истории Великой Отечественной войны Советского Союза (по материалам Грузии). — ИР, 1985, Тбилиси, 1988.

4 Аласания Г. Г. Классификация грузинских письменных исторических источников. Тбилиси, 1986.



გორც სადოქტორო დისერტაციამ. გ. ალასანიამ გაიზიარა წყაროთმცოდნეობის კლასიფიკაციის დაახლოებული ისტორიული წყაროების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია⁵, დაახლოებული იგი, გაამდიდრა პრინციპული დებულებებით, მაგალითებით ქართული წერილობითი წყაროებიდან და ასე დაამტკიცა მისი ვარჯისანობა საერთოდ წყაროთმცოდნეობისათვის⁷. ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის სფეროში შესრულებული ქართველ წყაროთმცოდნეთა შრომები ორგანულად ჯდება თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო ხანებში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. ჩვენი ქვეყნის ფილოსოფიური⁸ და, კერძოდ, ლოგიკურ-მეთოდოლოგიური მეცნიერების⁹ ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ ის კლასიფიკაციას მალაღ ვნოსეოლოგიურ და შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს. ამ აზრს სამართლიანად უსვამს ხაზს ო. მედუშევსკაია, რომელსაც კლასიფიკაცია ესმის, უპირველეს ყოვლისა, როგორც „ისტორიული წყაროების საერთო თვისებების შემეცნების“ ერთ-ერთი საშუალება¹⁰. და ეს სავესებით სამართლიანია: ისტორიული წყაროების კლასიფიკაცია არ არის მხოლოდ ისტორიული წყაროების შესწავლის დროს მათი სიმრავლის დაყოფის საშუალება ან მხოლოდ წყაროთმცოდნეობის თეორიის დაწვავლებისას მისი აღქმადობის გაძლიერების მეთოდური ხერხი. კლასიფიკაცია — ეს არის ისტორიული წყაროების მთელი კომპლექსის არსის და ინფორმაციული სიმდიდრის შეცნობის მძლავრი იარაღი. ჩვენთვის კი განსაკუთრებით არსებითია ის, რომ კლასიფიკაცია ხელს უწყობს ისტორიულ წყაროში სინამდვილის ასახვის და განხორციელების პრინციპების გაგებას¹¹ — ეს კი გადამწყვეტია ისტორიკოსისათვის წყაროს ღირებულების შეფასებაში.

⁵ Аласаниа Г. Г. Классификация грузинских письменных исторических источников. Автореф. дисс. ...докт. ист. наук. Тбилиси, 1986.

⁶ Пушкарёв Л. Н. Типологическая классификация русских письменных источников по отечественной истории. Автореф. дисс. докт. ист. наук. М., 1969.

⁷ ამის შესახებ დაწერილებით იხილეთ ლ. პუშკარიოვის რეცენზია ამ წიგნზე: ИСССР. 1968. № 6.

⁸ პირველად ამაზე საუბარი იყო დიდი ხნის წინანდელ ნაშრომში: Розова С. С. Классификация как метод научного познания (опыт анализа функций классификации в познавательной деятельности). — Научн. труды Новосибирского гос. ун-та: Философская серия. Вып. I. Новосибирск, 1975, с. 255—279. იხ. აგრეთვე მისი ბოლო მონოგრაფია: Розова С. С. Классификационная проблема в современной науке. Новосибирск, 1986.

⁹ Терешко М. Н. О разработке логико-методологических проблем классификаций исторических источников в современной польской методологии истории. — Труды Томск. гос. ун-та, т. 256. Томск, 1974, с. 108—110; Пушкарёв Л. Н. Методологическое значение классификации исторических источников в современной историографии. — ИР, 1985. Тбилиси, 1988, с. 22—31.

¹⁰ Медушевская О. М. Теоретические проблемы источниковедения. М., 1979, с. 55; Пушкарёв Л. Н. Источниковедческие проблемы истории русской общественной мысли эпохи феодализма. — АПИИПИИ. Всесоюзная научная сессия. Кутаиси, 18—20 октября 1988 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1988.

¹¹ იხ. ამის თაობაზე: Пушкарёв Л. Н. Втілення і відображення дійсності в історичному джерелі. — Український історичний журнал. 1969. № 10, с. 56—55; Ковальченко И. Д. Методы исторического исследования. М., 1987, с. 106—127; Пушкарёв Л. Н. Некоторые вопросы источниковедения истории русской общественной мысли X—начала XIX в. — Спорные вопросы отечественной истории XI—XVII вв. М., 1990.



უკანასკნელ ხანს ფილოსოფოსები და ისტორიკოსები სულ უფრო ხშირად განმარტავენ საზოგადოებრივ აზრს, როგორც რეალურად არსებული და არსებადი სინამდვილის (ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების) შეგნებულ და სოციალურად მნიშვნელოვან ასახვას მოცემულ დროს მოცემული საზოგადოების (კლასის, სოციალური ჯგუფის და ა. შ.) იდეების და შეხედულებების ისტორიულად განპირობებული დინამიური სისტემის სახით¹². ეს საკმაოდ ფართო და ამავე დროს სავსებით განსაზღვრული დეფინიცია გულისხმობს იმ ისტორიული წყაროების ნაირგვარი ტიპების და სახეების გამოყენებას, რომლებიც შეიცავენ მასალას საზოგადოებრივი აზრის შესახებ და ამით იძლევიან მისი ისტორიის აღდგენის საშუალებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისტემის და სარწმუნოების სხვადასხვა ხარისხით საზოგადოებრივი აზრი განსახიერდებოდა ადრე და განსახიერდება ახლა ისტორიული წყაროების პრაქტიკულად ყველა ჩვენთვის ცნობილ ტიპსა და სახეში. საზოგადოებრივი აზრი კაცობრიობის სულიერი კულტურის თავისებური კონცენტრატია, რომელიც ისტორიული წყაროების ყველა ტიპსა და სახეში არსებობს.

ეს ყველაფერი თვალსაჩინოდ შეგვიძლია დავინახოთ ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ციკლური სისტემის სქემაზე, რომლითაც დიდი ხანია სარგებლობს მეცნიერება¹³. სქემის ცენტრში აშკარად გამოიყოფა წყაროთა მასალის ის წრე, რომელიც ფაქტებს შეიცავს საზოგადოებრივი აზრის სფეროდან. სქემაზე ეს არის ყველა ტიპის ისტორიული წყაროს სქემის ცენტრის მუქად დაშტრიხული ნაწილი, სხვა სიტყვებით, ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის სისტემაში საზოგადოებრივი აზრის გრაფიკული გამოსახულება.

როგორც ეს სქემიდან ჩანს, საზოგადოებრივი აზროვნების აღსადგენად საჭირო მასალა ყველა ისტორიულ წყაროს მოეპოვება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ სხვადასხვა ტიპის წყაროების ხვედრითი წონა ჩვენი თემის განხილვაში სხვადასხვანაირი იქნება. საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსისათვის წყაროთა მნიშვნელოვანი ტიპი იქნება წერილობითი ისტორიული წყაროები. მართალია, საზოგადოებრივი აზრი (როგორც თვითონ საზოგადოება) ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე წერილობითი ისტორიული წყაროები გაჩნდებოდა და პირველ ხანებში გამოიხატებოდა ზეპირსა და ეთნოგრაფიულ წყაროებში, მაგრამ პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობის განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორიის აღდგენა სისტემით შეუძლებელია¹⁴. ამიტომაც არის, რომ მკვლევრები ამ დროისათვის შეფარდებით ლაპარაკობენ არა საზოგადოებრივ აზრზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ შეგნებაზე და ესმით

¹² იხ. ამის თაობაზე: Пушкаръов Л. Н. Методологичні проблеми вивчення історії суспільної думки. — Український історичний журнал. 1984. № 3, с. 55—65; მისივე. Содержание и границы понятия общественной мысли. — ИСССР. 1992. № 4.

¹³ Пушкарев Л. Н. Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975. С. 259; მისივე. Классификация и систематизация исторических источников и природа исторического познания. — Вопросы методологии истории. историографии и источниковедения. Томск, 1987. с. 125—126.

¹⁴ თუმცა მისმა ცალკეულმა მხარეებმა და ასპექტებმა უკვე საკმაოდ სრული ასახვა პირველ ცნობილ ნაშრომებში (Энгельс Ф. Происхождение семьи, частной собственности и государства; Френзер Д. Д. Золотая ветвь; Левин-Брюль Л. Первобытное мышление; Морган Л. Г. Древнее общество; Афанасьев А. Н. Поэтические воззрения славян на природу; Косвен М. О. Очерки истории первобытной культуры; Рыбаков Б. А. Язычество древних славян и др.).



ის, როგორც კატეგორია, რომელიც წინ უსწრებდა საზოგადოებრივ ფილოსოფოსება ისეთ ცნებებს ხმარობენ როგორც მსოფლშეგრძნება, მსოფლშეგნება, მსოფლმხედველობა, მსოფლმკვრეტელობა¹⁵ და სხვა. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი შეგნების ამ დონეზე და მხოლოდ ნაწილობრივი რეკონსტრუქცია გავუკეთოთ მათ უფრო გვიანი ხანის საბუთთა საფუძველზე. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი უფრო მაღალი რანგის ცნებაა და იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი შეგნების ისეთ სოციალურ-იდეოლოგიურ კრილს, რომელიც უმთავრესად წერილობით წყაროებში პოულობს ასახვას. უკვე ამის გამო არიან ისინი ჩვენთვის მთავარი.

როგორც ცნობილია, წერილობითი ისტორიული წყაროების ტიპი ორ სახეობად იყოფა: თხრობითი (ნარატიული) და დოკუმენტური. ამ ორი სახეობიდან საზოგადოებრივი აზრის ისტორიის აღდგენისათვის უმთავრესია, რა თქმა უნდა, თხრობითი წყაროები. სწორედ ისინი გადმოგვცემენ მწყობრად ცალკეულ პიროვნების ან გარკვეული სოციალური ჯგუფის, კლასის და თუნდაც მთელი საზოგადოების იდეებისა და შეხედულებების რთულ სისტემას მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მაგრამ, როცა ამას ვამტკიცებთ, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ დოკუმენტურ წყაროებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევის საქმეში. ჩვენ მათში ასევე შეგვიძლია ვიპოვოთ ზუსტი, ხანდახან კი უნიკალური ცნობები არზების, პატაქების და სხვ. ავტორთა იდეებსა და შეხედულებებზე. ამას გარდა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ისტორიის აღდგენისას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით საქმისმწარმოებლურ დოკუმენტაციას, რადგან ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციების ჩარჩოებში ვითარდებოდა ყოველგვარი საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. ხშირია შემთხვევები, როცა დოკუმენტური ძეგლ-საერთოდ ერთადერთი და ამდენად ყველაზე ფასეული და ავტორიტეტული წყაროა ამა თუ იმ პიროვნების შეხედულებათა სისტემის აღსადგენად. ასეთია დეკარტისტების საგამოძიებო საქმის ფართოდ ცნობილი მასალები ან, მაგალითად, „მაქსიმ გრეკის სასამართლო საქმე“, რომელმაც ბევრი ახალი მონაცემი შეგვძინა კულტურის ამ გამოჩენილი მოღვაწის შეხედულებების დახასიათებისათვის.

მაგრამ ფეოდალიზმის, განსაკუთრებით ადრე ფეოდალიზმის პერიოდის საზოგადოებრივი აზრის ისტორიას ჩვენ უმთავრესად თხრობითი წყაროების საფუძველზე აღვადგენთ. ცნობილია, რომ XVI საუკუნის რუსეთის უმდიდრესი სახელმწიფო არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი სტიქიური უბედურებების ხანძრების და ომების დროს განადგურდა. მაგრამ XVII საუკუნიდან დაწყებული საქმის წარმოების მასალები ფართოდ გამოიყენება მეცნიერებაში როგორც საზოგადოებრივი აზრის აღდგენის ფასდაუღებელი წყაროები.

თხრობითი წყაროები მრავალრიცხოვანი და მრავალგვარია. საზოგადოებრივი აზრის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თხრობითი ძეგლების ბევრი სახე და სახესხვაობა გვაძლევს მასალას მისი ისტორიისათვის. ეს არის, უბირ-

¹⁵ Чижова Л. В. Анализ исторического развития общественного сознания в первобытности. — Историческое знание и современность: Сб. научных трудов. Свердловск, 1987, с. 135—142; см. также: Смирнов Ю. И. О народном самосознании. — Культура и общество в эпоху становления наций. М., 1974.
¹⁶ Орлова Э. А. Мировоззрение как категория марксистско-ленинской теории культуры. — Культура и мировоззрение. Вып. 2. М., 1985, с. 7.



ველეს ყოვლისა, მოაზროვნეების, პუბლიცისტების, საზოგადოებრივი მოღვაწეების ჩვენამდე მოღწეული თხზულებები. მათ შრომებში ეპოქობით მათგან ნაქადაგები იდეების და შეხედულებების გამოხატულებას. სწორედ ეს გვაძლევს ამ სისტემის ანალიზის შესაძლებლობას და უფლებას — ეს ზომ საავტორო წყაროებია! ამას მოსდევს საპროგრამო დოკუმენტები — მანიფესტები, მოწოდებები, სააგიტაციო ფურცლები; შემდეგ — მიმართვები, სიტყვები, დარჩებები და მათი კრებულები. პირველი რიგის წყაროთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს მატრიანეები, ცხოვრებანი, მოთხრობები, ძველი რუსული პუბლიცისტთა. ძალიან ძნელია და ალბათ აუცილებელიც არ არის ამ წყაროების მთელი მრავალფეროვნების ჩამოთვლა. მაგრამ მათ შორის აუცილებლად უნდა გამოიყოს ე. წ. პირადი წარმოშობის საბუთები — დღიურები, მემუარები, ზოგიერთი წერილი, რომლებიც ზოგჯერ უნიკალურ მასალას შეიცავენ ამა თუ იმ მოღვაწის შეხედულებების დასახასიათებლად, საზოგადოების და მისი დოკუმენტაციის განვითარების გვიანდელ ეტაპებზე კი პირადი წარმოშობის წყაროთა ჭკუფი წამყვან ადგილს იკავებს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის წყაროებს შორის — პრესის, გაზეთების და ჟურნალების მასალების გვერდით.

ეს მოკლე და, რა თქმა უნდა, არასრული ჩამოთვლაც კი მოწმობს, რომ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ფაქტები მოიპოვება წერილობითი ისტორიული წყაროების ბევრ სახესა და სახეობაში. მათ შორის ყველაზე რეპრეზენტატულები ზემოთ ჩამოთვალეთ, მაგრამ ამით შემოფარგვლა არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ კვლევის მიზნის მიხედვით, წყაროთა ხან ერთი, ხან მეორე სახეობა ხდება მთავარი და ძირითადი. ზოლო დანარჩენი — დამხმარე. ამასთანავე, ამავე ან მონათესავე თემაზე წარმოებულ სხვა გამოკვლევაში წყაროთა ამ სახეობებს შეუძლიათ მუშაობისას თავიანთი ფუნქცია და მნიშვნელობა შეიცვალონ. საერთოდ, ხაზი უნდა გაესვას, რომ დროთა განმავლობაში წერილობითი წყაროების ზოგიერთი სახეობა და სახე თავისი მნიშვნელობის დაკარგვას იწყებს. სხვები კი, პირიქით, დომინანტური ხდებიან საზოგადოებრივი აზრის ისტორიის აღდგენაში.

ახლა შევჩერდეთ იმ ისტორიული გამოკვლევების და ნაშრომების ადგილსა და მნიშვნელობაზე, რომლებსაც მკვლევრები ხშირად იყენებენ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის დაწერისას არა მხოლოდ ისტორიოგრაფიული, არამედ წყაროთმცოდნეობითი კუთხითაც. დიდი ხანია დადგენილია ის ფაქტი, რომ ბევრი ისტორიული გამოკვლევა ჩვენთვის ისტორიულ წყაროებს ცვლის, თუ ის შრომები და წყაროები, რომლებსაც ავტორები თავიანთი გამოკვლევების წერისას ეყრდნობოდნენ. ამა თუ იმ მიზეზით დაკარგულია. ამისი კლასიკური მაგალითებია ჰეროდოტეს და სხვა ძველი ბერძენი ისტორიკოსების ნაშრომები, XVII საუკუნის რუსი ისტორიკოსებს შრომები. ნ. კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“, ვ. ტატიშჩევის „რუსეთის ისტორია“ ან, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“. ყველა ამ ავტორს ხელთ ჰქონდა დღეისათვის უკვე დაკარგული წყაროები¹⁷. ამ შემთხვევაში მათი შრომები, რა თქმა უნდა, სათანადო წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შემდეგ, შეიძლება გა-

17 Кикнадзе Р. К. Очерки по источниковедению истории Грузии: Парсидан Гордиджанидзе и «Картлис цховреба». Тбилиси, 1980; Рыбаков Б. А. Русские летописцы и автор «Слова о полку Игореве». М., 1972; Милов Л. В. Татишевские портреты-характеристики и «Симонова летопись». — ИСССР, 1978. № 6, с. 76—93.



მოყენებული იქნას როგორც საზოგადოებრივი აზრის ისტორიის წყაროები. უკველია, რომ ისტორიული გამოკვლევები, რომლებმაც გამოსვლისას საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს, შეიძლება იქცნენ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შექმნისას მნიშვნელოვან, შეუცვლელ წყაროებად. მაგრამ მხოლოდ იმ პერიოდისათვის, როცა ეს გამოკვლევა დაიწერა¹⁸. აი, სარწმუნო მაგალითი: ს. სოლოვიოვის ნაშრომი „Публичные чтения о Петре Великом“ ეს არის არა მხოლოდ ღრმა და ბრწყინვალე ისტორიული გამოკვლევა (რისთვისაც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა სერიაში: „Памятники исторической мысли“), არამედ XIX საუკუნის 70-იანი წლების საზოგადოებრივი აზრის ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელმაც იმ დროს საგაზეთო პერიოდიკის და ინტერესებელი გამომხატურებები გამოიწვია და ორგანულად ჩაჯდა პოლემიკაში რუსეთის განვითარების გზების შესახებ, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა¹⁹.

საზოგადოებრივი აზრის ისტორიის წყაროებთან მუშაობის მეთოდის, რომელიც პრინციპში არ განსხვავდება უკვე საკმაოდ დამუშავებული ზოგადწყაროთმცოდნეობითი ხერხებისაგან, მაინც აქვს გარკვეული სპეციფიკა. იგი განსაკუთრებით ცხადად ვლინდება, როცა ისტორიკოსს საქმე აქვს სხვა ტიპის წყაროებთან, მაგალითად, ნივთიერ (ძირითადად, სახვით) ძეგლებთან. საზოგადოებრივ აზრს მხოლოდ წერილობითი ძეგლები — მატჩანეები, ცხოვრება — ხომ არ გამოხატავს. ამას ემსახურებოდა აგრეთვე დიდი მხატვრების ტილოები, ხუროთმოძღვრული და, განსაკუთრებით, ფოლკლორული ძეგლები. მაგრამ ამ სახეობის ძეგლთა მთელი შთამბეჭდავი ძალის, მთელი მათი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის მიუხედავად, მათ არ ძალუძთ ჩვენამდე მოიტანონ იმ იდეების და შეხედულებების მთელი სირთულე, მრავალმნიშვნელოვნება და სიღრმე, პოლიტიკური სიმწვავე, რომლებიც სისტემურ კავშირში გამოხატავენ საზოგადოებრივი აზრის არსს. ეს შეუძლიათ მხოლოდ სიტყვიერების ძეგლებს. თუმცა მათთან ერთად, როგორც ზემოთ ვთქვი, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სახვითი წყაროები, ხელოვნების (და არა ხელოსნობა) ნაწარმოებები, რომლებიც ყოველთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და ზნობრივი იდეალებითაა გაშუქებული. მათი შემქმნელების მიზანია საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებების, საზოგადოებრივი და ზნობრივი შეხედულებების, იდეების, განწყობილების გამოხატვა, საზოგადოების აღზრდა. არსებობს მრავალნაირი მაგალითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან. მაგალითად, მატჩანეთა მინიატურისტები ისწრაფოდნენ თავიანთ ნახატებში აესახათ ის, რაც ამა თუ იმ მიზეზით არ თქვეს თვითონ მემატჩანებმა: მინიატურა ავსებს მატჩანეს, აფართოებს მკითხველის საზოგადოებრივ და ზნობრივ თვალსაწიერს და აქტიურად მონაწილეობს აღსაწერი მოვლენის საზოგადოებრივ შეფასებაში. თავგანწირვის, ხალხის სამსახურის, დედობრივი სიყვარულის, თანაგრძნობის, ველმოწყალების, სამშობლოს სიყვარულის მაღალზნობრივი

18 Медушевская О. М. Теоретические проблемы источниковедения в советской историографии 20-х — начала 30-х годов. — Источниковедение: Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 189.

19 Пушкирев Л. Н. «Публичные чтения о Петре Великом» С. М. Соловьева как памятник исторической и общественно-политической мысли. — Соловьев С. М. Публичные чтения о Петре Великом. М., 1984, с. 178—204.

გრძნობების და ზოგადასაკაცობრიო იდეალების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო ძველი ხატები. ბევრი ჩვენამდე მოღწეული ხატი ეს არის ქვეშაირთა პაშვი შრომის, თავგანწირული სიყვარულის, ჩაგრულთა დამცველების გმირობის საღიღებლად²⁰.

კულტურის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპზე საზოგადოებრივი იდეების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ პრიმიტიული ხე-წიგ ამოჭრილი სურათები და გრაფიკები²¹. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კლასიკური მხატვრობა თითქმის მთლიანად გამსჭვალული იყო ადამიანთრობის, სიკეთის, სიწმინდის, სამშობლოს სამსახურის იდეებით²².

ამგვარადვე ძველი ტაძრები მხოლოდ საკულტო ნაგებობები როდია, არამედ სიერცის არქიტექტურული ორგანიზაციის, აგრეთვე სულიერი იდეების მისაღმი სწრაფვის ზოგადასაკაცობრიო იდეების გამოხატვის არსებითი ელემენტი. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბევრი ტაძარი ამავე დროს სამახსოვრო სიბოლოები იყო, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ შთამომავლობისათვის შეენახათ მოგონებები ქვეყნის ისტორიის გარდამტეხ მოვლენებზე. ასეთია, მაგალითად, კულიკოვოს ბრძოლის, ყაზანის აღების, 1812 წლის ომის სახსოვრად აგებული ეკლესიები და სხვ.

ადრეული ფეოდალური ხანის რუსეთის ისტორია არ არის მდიდარი სკულპტურული ძეგლებით. მაგრამ ისინიც, რამაც ჩვენამდე მოაღწია, გვეხმარებიან უკეთ ჩაეწვდეთ ჩვენი შორეული წინაპრების გრძნობებს და აზრებს, მათ შეხედულებებს ხალხის სამსახურის მაღალ იდეალებზე, ადამიანებისა და საზოგადოების წინაშე მოვალეობის მათეულ გავებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ხის ქანდაკება, რომელიც განასახიერებს უბრალო ადამიანებს, მსვენელებს და ტყის მჭრელებს, მეთევზეებს და დურგლებს. მეორე მხრივ, ძველი რუსული ქვის ტაძრების რელიეფურ სამკაულებში აისახა რუსი ადამიანის მსოფლმხედველობა, მისი წარმოდგენები ვარე სამყაროზე. არაჩვეულებრივად საინტერესო და ინფორმაციით დატვირთული არიან გამოყენებით ხელოვნების ძეგლები, რომლებსაც, სამწუხაროდ, იშვიათად იყენებენ საზოგადოებრივი აზრის ისტორიის აღდგენაში. არადა, ამ ისტორიულ წყაროებში გვხვდება წინარეისტორიული რწმენების სახეები (სიციოცხლის ხე, ცხენი, დათვის, ირმის კულტის ელემენტები ნაქარგებზე) მიწათმოქმედის შრომის, როგორც ადამიანთა ცხოვრების საფუძვლის თავისებური განდიდება, სამშობლოს

²⁰ Брюсова В. Г. Фрески Ярославля XVII — начала XVIII века. М., 1969. მისივე. Русская живопись 17 века. М., 1984.

²¹ Кузьмина В. Д. Рыцарский роман на Руси: Бова, Петр Златых Ключей. М., 1964; Пушкирев Л. Н. Повесть о Еруслане Лазаревиче в русской Лубочной картине XIX века. — Русская литература на рубеже двух веков (XVII — начала XVIII в.). М., 1971, с. 351—370; მისივე. Русский лубок как памятник народной культуры. — Проблемы взаимосвязи литературы и фольклора. Воронеж, 1984, с. 86—96; Агеева О. Г. Гравюра петровского времени как один из источников изучения идеологии русского абсолютизма. — АПИИПНИ. Тбилиси, 1988, с. 8—10.

²² Брюсова В. Г. Гурий Никитин. М., 1982; მისივე Федор Зубов. М., 1985.



დამცველთა გმირობის და პატიოსნების ხოტბა ცხენის აღკაზმულობის, საბრძოლო იარაღისა და აბჯრის მორთულობაში²³.

ხელოვნების ძეგლთა ანალიზის მეთოდთა იმაში მდგომარეობს, რომ მათი კომპლექსური წყაროთმცოდნეობითი ღრუბულება გამოვლინდება მხოლოდ მათი შედარებისას შესაბამის წერილობით ან სხვა რომელიმე წყაროსთან. მხოლოდ ანალიზის წყაროთმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდების ორგანული შერწყმა მოგვცემს ნაყოფიერ შედეგს. ამას გარდა, საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ხელოვნების ძეგლებში საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების ასახვის ხატოვანება, ამ ასახვის მრავალმნიშვნელოვნება, ხელოვნების ძეგლთა ავტორების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების აღქმის მომეტებული სუბიექტიურობა. ყველაფერი ეს განაპირობებს მათი განმარტების მრავალფეროვნებას. ისტორიული წყაროების სხვა ტიპებთან შეპირისპირების გარეშე, იზოლირებულად აღებული ხელოვნების ძეგლები ვერ იქნებიან სრულფასოვანი რეპრეზენტატიული წყაროები საზოგადოებრივი აზრის ისტორიის დასაწერად. მაგრამ ეს შეიძლება იყოს შესანიშნავი (ზოგჯერ უბადლო) მასალა, რომელიც ავსებს წერილობით ისტორიულ წყაროებს, გაშლის სხვადასხვა იდეებისა და შეხედულებების დამკვიდრების ხატოვან ფორმას, რომელიც ბევრად განსაზღვრავს როგორც ამ შეხედულებათა გავრცელების არეს, ისე მათ კმედითობას და მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გარკვეული სპეციფიკა ფოლკლორულ წყაროებთან მუშაობის მეთოდისაკენ აქვს. დიდი ხანია ცნობილია, რომ წერილობითი წყაროები შესაძლებლობას გვაძლევს მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინოთ უმთავრესად სახელმწიფოს მმართველი კლასის საზოგადოებრივი აზრის ისტორია, ხოლო იმ დროს ჩავრული მასების იდეების და შეხედულებების სისტემა მხოლოდ სულ ბოლო ხანს გახდა ჩვენი მეცნიერების აქტიური კვლევის საგანი²⁴. ამის ასხნა შემდეგნაირად შეიძლება: ისტორიკოსები ფეოდალური ეპოქის მშრომელი მასების შეხედულებების და იდეების სისტემის აღსადგენად ფოლკლორულ წყაროებს იშვიათად იმიტომ მიმართავენ, რომ ფოლკლორული წყაროები თავის თავში შეიცავენ ინფორმაციას ერთდროულად რამდენიმე ეპოქის შესახებ და გამოცალკევება იმისა, რაც რომელიმე გარკვეულ დროს მიეკუთვნება, ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც²⁵. ამავე დროს სწორედ ამ წყაროებში აისახა

²³ Рождественская С. Б. Русская народная художественная традиция в современном обществе. М., 1981; Традиция и современность в фольклоре. М., 1988.

²⁴ დავასახელებთ მხოლოდ ძირითად ნაშრომებს: Коган Л. А. Народное миропонимание как составная часть истории общественной мысли. — ВФ, 1963, № 2, с. 82—92; Чистов К. В. Русские народные социально-утопические легенды XVII—XIX вв. М., 1867; Игнатов В. И. Мирозозрение русского народа в эпических произведениях начала XV в. Ростов-на-Дону, 1970; Клибанов А. И. Народная социальная утопия в России: Период феодализма. М., 1978; Пушкарев Л. Н. Общественно-политическая мысль России: Вторая половина XVII века. — Очерки истории. М., 1982, с. 76—165.

²⁵ ამის თაობაზე დამწერლებით იხილეთ: Соколова В. К. Фольклор как историко-этнографический источник. — СЭ, 1960, № 4, с. 11—16; Пушкарев Л. Н. Специфика фольклора как исторического источника. — Современное состояние народного творчества. Л., 1970, с. 21—22; Путилов Б. Н. Методология сравнительно-исторического изучения фольклора. Л., 1976, с. 187—191.



ყველაზე მეტი სისრულით და სიმართლით ექსპლუატირებული კლასობრივი და მოლოდინი. სად არის გამოსავალი ამ ჩიხიდან?

გამოსავალი ალბათ ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზისას თვით მათი ფიქსაციის ფაქტის გათვალისწინებაშია საძებნელი. რადგან მოცემული ფოლკლორული ან ეთნოგრაფიული ნაწარმოები ჩაწერილ იქნა, ესე იგი, როგორც ფოლკლორისტიები ამბობენ, „გავრცელებული იყო“ იმ დროს, სისხლსავე ცხოვრებით ცხოვრობდა, გამოხატავდა ხალხის ინტერესებს, აკმაყოფილებდა მათს ესთეტიურ და საზოგადოებრივ ინტერესებს. მაშასადამე, თუნდაც ძალიან დიდი ხნის წინ შექმნილი, იგი აგრძელებდა ფოლკლორის მატარებელი და დამცველი ხალხის ინტერესების გამოხატვას. მაშასადამე, ამ ნაწარმოებთა ჩაწერის დროისათვის ისინი უდავო ისტორიული წყაროები იქნებიან, რომელთა გამოყენება სავსებით შესაძლებელია ამ ძეგლების ჩაწერის დროს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის აღსადგენად.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრების კლასობრივი შეფასებანი, საზოგადოებრივი აზრის კლასობრივი ასპექტები საერთოდ არ არის დასაბამიერი. საზოგადოებრივი აზრის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ზნეობრივ-ეთიკური და მორალური ხასიათის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომლებიც მთელ ხალხს, მთელ საზოგადოებას აღელვებდა. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსის პირველი რიგის ამოცანაა ისეთი წყაროების ანალიზი, რომლებიც ააშკარავენ იმ დროის საზოგადოების მიერ მსოფლიოს სტრუქტურის, ბუნებაში და საზოგადოებაში ადამიანის ადგილის, ადამიანის სიცოცხლის მიზნების, მის მიერ ადამიანური ურთიერთობების ეთიკის და ესთეტიკის, ცხოვრების აზრზე და ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე მისი წარმოდგენების აღქმას²⁶. ყველა ამ ნააზრევს შუა საუკუნეებში, როგორც წესი, რელიგიური საფარველი ჰქონდა²⁷. ამიტომ რელიგიური მსოფლალქმის ანალიზი ძალიან ხშირად აუცილებელ გასაღებს გვაძლევს ძველი საზოგადოებრივი აზრის ყველაზე არსებითი მხარეების გასაგებად. კიდევ ერთხელ გაუფხვამთ ხაზს: ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის ის წყაროებია, რომლებიც შეიცავენ მასალას მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის დახასიათებისათვის, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ჩასაწვდომად.

ყველაფერი ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს საზოგადოებრივი აზრის ანალიზის კლასობრივ ასპექტსაც, რადგან ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი და პოსტულატები ყოველთვის შემოსილი იყო კონკრეტულ-ისტორიული (მათ შორის კლასობრივი) საფარველით, რომლის გამოვლენა და ანალიზი ისტორიკოსის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ცხადია, რომ ყველაზე უფრო ნაყოფიერი შედეგების მისაღწევად აუცილებელია მაქსიმალურად ფართო წყაროთა ბაზის ანალიზთან ერთად ამ ამოცანებისადმი ღრმა კომპლექსური წყაროთმცოდნეობითი მიდგომა, წყაროთმცოდნეობითი მეთოდების და ბერძენების შერწყმა ისტორიის მომიჯნავე დისციპლინების საკვლევ მეთოდებთან.

²⁶ ამის შესახებ დაწერილებით იხ.: Отечественная общественная мысль эпохи средневековья (Историко-философские очерки): Сб. научн. трудов. Киев, 1988 и рецензию Л. Пушкарева на эту книгу — Украинский историчний журнал, 1989, № 11, с. 141—143.

²⁷ ამის შესახებ დაწერილებით იხ.: Философско-эстетические проблемы древнерусской культуры: Сб. статей. ч. I. М., 1988.

Л. Н. ПУШКАРЕВ

О МЕСТЕ ПАМЯТНИКОВ ОБЩЕСТВЕННОЙ МЫСЛИ В СИСТЕМЕ КЛАССИФИКАЦИИ ИСТОЧНИКОВ

Резюме

Рассматривается классификация как средство познания сущности и информативного богатства всего комплекса исторических источников. Под общественной мыслью понимается осознанное и социально-значимое отображение реально существующей действительности в виде исторически обусловленной динамической системы идей и взглядов данного общества в данное время. Так как общественная мысль воплощается во всех известных типах и видах источников, предлагается их последовательная характеристика с этой точки зрения.

L. PUSHKAROV

THE ROLE OF MONUMENTS OF SOCIAL THOUGHT IN THE SYSTEM OF CLASSIFICATION OF SOURCES

Summary

The classification is viewed as means of understanding the importance and informational value of the whole system of historic sources. Social thought is understood as socially important description of existing reality as a historically determined dynamic system, ideas and views, dominating in given society in given time. Social thought is reflected in all known types of sources and they are reviewed by the author from this position.

მეცნიერება

მასალები კითხვან დედოფლისა და საჰარტველოს შესახებ
გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის
ნ ა შ რ ო მ შ ი

ძველ სლოვაკურ ლიტერატურაში აღმოჩნდა პიესა, რომელსაც საფუძვლად უდევს ფაქტი, აღებული საქართველოს ისტორიიდან: ეს არის ქეთევან დედოფლის მოწამებრავი აღსასრულის ისტორია. ნაწარმოები განეკუთვნება კათოლიკურ სამყაროში ფრიად გავრცელებულ „სასკოლო პიესათა“ რიცხვს. ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ამ პიესების მიზანდასახულობის შესახებ. ისინი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ და თემატიკის შერჩევაც შესაბამისად ხდებოდა: პიესებისათვის მასალას იღებდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ხშირად იყენებდნენ ეპიზოდებს ქრისტეს, ღვთის. მშობლის, იოანე ნათლისმცემლის და წმინდანთა ცხოვრებიდან, იყენებდნენ აგრეთვე ანტიკური და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიებსაც. საყურადღებოა, რომ საქართველოსთან დაკავშირებულ პიესაში ერთდროულად ორი თემა იქნეს თავს — წმინდანის ცხოვრება და აღმოსავლეთის ისტორია. პიესა დაიწერა 1701 წელს სლოვაკიის პატარა ქალაქ სკალიცაში, რომელიც განთქმული იყო თავისი იეზუიტური გიმნაზიით: სწორედ აქ განხორციელდა პიესის დადგმა. პიესის ავტორის ვინაობა უცნობია და იგი პირობითად „ანონიმ სკალიცელ იეზუიტად“ იხსენიება. მისი პიესის სათაური ასეთია — „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით მორთული, სცენაზე წარმოდგენილი“, — „Katerina, kralövna gurzianska, vlastni krvi ozdobená, na divadlo predstavená“ — „Katarina, gurziarum regina, proprio sanguina purpurata, theatro data“. პიესის სრული ტექსტი ჯერჯერობით ზიკვლევული არ არის, შემორჩენილია მხოლოდ ე. წ. სინოპსისი ანუ მოქმედებათა დაწვრილებითი შინაარსი, რომელიც შესრულებულია სლოვაკურ და ლათინურ ენებზე. პიესას ახლავს შესავალი — „მოკლე ისტორიული მიმოხილვა“, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს:

„მოკლე ისტორიული მიმოხილვა

იმ სპარსელ მონარქთა შორის, რომელნიც ქრისტიანობის პერიოდში მეფობდნენ, იყო შაჰ-აბასი. იგი ერთ-ერთი თავისი ცოლის გამო, რომელიც ქრისტიანი იყო, ცბიერობდა, თითქოს მორწმუნე იყო და დიდ პატივს სცემდა ქრისტეს მოძღვრებას, სინამდვილეში კი ურჯულო ცხოვრებას ეწეოდა და ამასთანავე სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. ორმოხად წოდებული კუნძული,



სადაც მრავალი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, პორტუგალიის მეფეს რადგან შიშობდა — იქ მაჰმადი არ დაევიწყებინათ. გეორგიანელებს, რომელნიც ქრისტიანები იყვნენ, ხშირად ავიწროებდა ომებით. როდესაც მესამედ დაიძრა მათ წინააღმდეგ, ტამერ ხანი, იმ ქვეყნის მეფე, დაამარცხა, გაანადგურა ქვეყანა და მრავალი შებოროკილი გეორგიანელი ისფაჰანში გარეკა, ხოლო ალტჰემის თანახმად, თუ გამარჯვებული დაბრუნდებოდა, აპირებდა თითოეული მათგანი ერთ ახად ანუ სპარსულ გროშად გაეყიდა. სხვა ნადავლთან ერთად, რომელიც ამ გამარჯვებით მოიპოვა, იყო კატერინა, ქართველთა დედოფალი, წარჩინებული და დიდი სილამაზის ქალი. მეტად კეთალშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. კატერინა შაჰ-აბასს ცოლად, მეოთხე დედოფლად უნდოდა (სხვა სამი უკვე ჰყავდა), ხოლო რადგან კატერინას წმინდა ცხოვრების, უმწიკვლო ქცევისა და ასევე ქრისტიანული მოძღვრების სახით, რომელიც მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის ნებას რთავს, დიდ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას ხვდებოდა, ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ამ წარმართს ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე განედევნა და მის ადგილას ურჯულო მაჰმადი დაეყენებინა. მაგრამ ყველა ეს ცდა ამოუღონდა, რადგან დედოფლის სიმტკიცე კლდესავით უტეხი რჩებოდა. შაჰმა ვერანაირი მუქარით, მხაკრობითა და პირმოთენობით ვერ დაიმორჩილა კატერინა, რათა თავის მსხნელ სარწმუნოებაზე უარი ეთქმევინებინა. დედოფალმა სასტიკი სიკვდილი ამკობინა, სისხლის სამოსით და გამარჯვებული ტრიუმფით წარუდგა თავის მსხნელს — ქრისტეს. ასე წერს ბისელიუსი, *Illustres ruinae, Decas IV, 2* და ოლეარიუსი, *De rebus gestis Schach-Abae*, გვ. 645“.

თუ გავითვალისწინებთ დროისა და ადგილის (სლოვაკიას XVII საუკუნის ბოლოს არავითარი პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა საქართველოსთან) ფაქტორს, სკალიცელი იეზუიტი საქართველოს ისტორიის საქმოდ კარგ ცოდნას ამჟღავნებს და თვითონვე იძლევა იმის პასუხს, თუ საიდან აქვს მას ეს ინფორმაცია. მას უსარგებელია ორი ავტორის ნაშრომით, რომელთაგან ერთ-ერთი, ბისელიუსის ნაშრომი, ქართველი მეცნიერებისათვის უცნობი იყო. ბისელიუსის ნაშრომი „*Illustres ruinae*“, რომელიც ლათინურ ენაზეა დაწერილი, საქმოდ ვრცელია. ვაჭვეყნებთ მხოლოდ იმ ნაწყვეტის თარგმანს, სადაც ლაპარაკია ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე. ბისელიუსის შესახებ ჭეჩერობით მწირო ცნობები მოგვეპოვება: ცნობილია ის, რომ იგი დაიბადა 1601 წელს ზადენჰაუზენში (შვაბია), გარდაიცვალა 1677 წელს, ამბერგში. იყო გერმანელი იეზუიტი. მისი წიგნი ორჯერ გამოიცა, პირველად 1654—1664 წლებში, მეორედ კი უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1679 წელს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში იგი, როგორც ჩანს, საქმოდ პოპულარული ავტორი ყოფილა, რაკი მისი ნაშრომი ასეთ მოკლე ინტერვალში ორჯერ გამოიცა. აღმოსავლეთის, კერძოდ, ირანის ისტორიით დაინტერესებული ავტორი იცნობდა იმ დროს არსებულ შესაბამის ლიტერატურას: მაგალითად, იგი ასახელებს „ბოტერის ახალ გამოცემას“, ოლეარიუსს, ვინმე ვაჭრებს — ხონდიან ატლანტიკს და ისტიგიას ატლანტიკს, ზუასარდს და მის „ისმაილს“. იგი ყურადღებით ეკიდება ტოპონიმების საკითხებს, გულმოდგინედ აღარებს ამა თუ იმ ქალაქისა და ქვეყნის ძველ და ახალ სახელწოდებებს.

მადლიერი უნდა ვიყოთ სკალიცელი იეზუიტისა, რომ მისმა პუნქტუალო-



ბამ შემოგვინახა ჩვენთვის უცნობი მასალა ქეთევან დედოფლის, თეველს შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ხდის თვალსაჩინოს, როდენ დიდი იყო დასავლური სამყაროს ინტერესი საქართველოს მიმართ.

ქვემოთ მოგვყავს ერთი მონაკვეთი ამ წიგნიდან*.



იოანეს ბისელიუსი იესოს საზოგადოებიდან.

IV დეკადის მე-2 ნაწილი

„მნიშვნელოვანი დამხობანი სამყაროს შექმნიდან“ უზენაესის ნებართვით.

დიოლინგი, აკადემიური ფორმატი, იგნაც მაიერთან.

XIII (1663 წ.)

სპარსეთის სამეფოს დამხობა

(გვ. 892—1099)

(გვ. 1039): ახლა ჩვენ ვსაუბრობთ შედარებით დაშორებულ ავტორებზე, თუმცა ისინიც ქრისტიანულ დროს ეკუთვნიან; რადგანაც საკმარისია ბერძნული საეკლესიო ძეგლების, ასევე ბარონიუსის¹ კალენდრებისა და მატაიანეების ნახვა. მე მზედველობაში მაქვს საბორო, ისდიგეტრა, კაბადა, კოსრო² და სხვები.

შაჰ-სეფი მირზამ³, რომლის გამგებლობა ჩვენ გვახსოვს და რომელიც 1642 წელს გარდაიცვალა, რამდენი საშინელი რამ ჩაიდინა! რამდენი წარმოუდგენლად მძევლვარე საქციელი მოუვლინა მან მთელს აღმოსავლეთს! ეს ვისი ხელის ნაშთებია, სისხლით მორწყული, ამ ცოტა ხნის წინ სამზერად გამოფენილ-? (გვ. 1047). გეგონებათ, რომ ისინი ადამიანს კი არ ეკუთვნის, არამედ ვეფხეს (გვ. 1048).

არავის, მისი ნათესაეების ჩათვლით, არ ჰქონდა რაიმე სხვა მიზეზი დაეხოცათ ისინი, გარდა დაუღთან, ვინმე პრეტორთან, სისხლს ნათესაობისა (მაკ⁴ რამ ყოვლად უღანაშაულო), რომელმაც სეფის მახვილი ესროლა და თურქეთის მიწაზე მიიშალა, რადგან იმამ-ყულის⁵ ძმა იყო. ძალიან ბევრი დრო დასჭირდება სეფის სისასტიკის ყველა დასაბუთების ცალ-ცალკე ჩამოთვლას.

* ბისელიუსის ეს წიგნი: „Illustrum, ab orbe Conditio, Ruinarum, Decadis IV, Pars II, p. 892—1099. Delingae 1663. აღმოჩნდა მოსკოვის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის „წიანის მუზეუმში“. მისი ქსეროასლის გადაღება ვერ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო: ჩვენს მოთხოვნაზე უარი მივიღეთ იმიტომ, რომ წიგნის გადაშლა ასლის გადასაღებად შეუძლებელია („похождению“). ტექსტის წარმოდგენილი მონაკვეთი ხელით აღმოგვწერეთ.

1 ბარონიუსი (ცეზარ ბარონიუსი) — რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ისტორიკოსი; იყო ორატორიუმის წევრი, შემდეგ მიიღო კარდინალის წოდება და გახდა ვატიკანის ბიბლიოთეკარი. მისი ცნობილი ნაშრომებია „Annales, ecclesiastici a Christo nato ad annum 1189“ (12 ტ. ტომი, 1588 წ.) სადაც იგი იცავს პაპიზმის ინტერესებს და „Martyrologium Romanum“ (რომი, 1586 წ.).

2 სავარაუდოა, რომ იგულისხმებიან შაჰურ I (241—272 წწ.); ივზიდგერდ I (399—420 წწ.); კავად I (488—496 წწ.); (498/9—531 წწ.); ხოსრო I ანუ შირვანი (531—579 წწ.).

3 შაჰ-სეფი I — 1629—1642.

4 იმამყული (ხანი), ალავერდი ხანის შვილი, წარმომობით ქართველი, გვარად უნდილაძე-იმამ-ყული-ხანი სიკვდილით დასაჯეს 1631 წ., შაჰ-სეფი I-ის ზეობის დროს მისი ძმის დაუღ-ხან უნდილაძის აჯანყების გამო.



ისინი ძალიან ბევრია. იგი მძვინვარებდა თორმეტი წლის განმავლობაში, თვეში რომ იდგა.

დიდად არ დასცილებია მას ის მისი ოლიუდიც, რომელიც კანონის მიხედვით კერძო პირის შთაბეჭდილებას ტოვებდა; ეს სწორედ მან, ბევრის, მათ შორის, პერსიდელი დიდგვაროვნების მოსარჩლეობის მიუხედავად, გადასცა შეურაცხყოფილ ნათესავეებს, რომლებიც მის სიკვდილს მოითხოვდნენ, ვინმე ჰელველუს ფიგურინი. ამას გარდა, მიუხედავად უმორჩილესი ვედრებისა, სიკვდილის უამს, მან დალუბა თავისი მოსამსახურე და საათის შინაური ოსტატი, მანამდე რამდენიმე წლის განმავლობაში პატივცემული. არ დაკმაყოფილდა რა იმით, რომ მოსამსახურე შეუმჩნეველად დაიჭირეს, მან იგი უამრავი ცემა-გვემით დასაჯა; ამას გარდა, საჯაროდ, პერსიდელი კანონების და ქრისტიანული დადგენილებების მიუხედავად, ბრძანა დაესაჯათ იგი ლოყებში ცემით. ამ გზით მისთვის ადამიანური ღირსების აყრა სურდა (გვ. 1053). ამ სასჯელში სეფი დაუოკებელი იყო. დაკიდევ, როდესაც სასიკვდილოდ განწირულს კისერზე ჩამოაცემედა ხის ჯაჭვს (ძველები აცვამდნენ რკინის საყელურს), და ასობდა მკვდარს მოკლე ხმლებს (აკინაკის) არა ერთხელ, არამედ ბევრჯერ და ღრმად, მხოლოდ ამის შემდეგ უთმობდა იგი გვამს რისხვით გამწარებულ ნათესავეებს. აძლევდა, შეპყრობილი შურისძიების და ადამიანის მოკვლის ბოროტი სურვილით და არა სიყვარულისა და სამართლიანობისადმი მისწრაფებით. ჰელვეციუსი გამწარებული იყო თავხედობის გამო, ვინაიდან სპარსთა მფევე აძულებდა მას დაუსჯელობის პირობით შესულიყო მუჰამედის სექტაში, რომელიც საძულველ რელიგიურ საზოგადოებასთან არსებობდა: მაგრამ მან უშიშრად განაცხადა, რომ ურჩევნია სიცოცხლეს და მეფის კეთილგანწყობას გამოესალმოს. ვიდრე ქრისტეს. ვინაიდან სეფი რისხვის უმაღლეს წივტილამდე მივიდა, ჰელვეციუსი გარდაუვალ მახვილს ელოდა; მას კი სხვა რამ ებოძა. იგი ემზადებოდა ქრისტე-მებრძოლის ეკლის გვირგვინის მისაღებად. ამრიგად, წამებულად ადამიანს არა მარტო მახვილი აქცევს, არამედ დიდი საქმე და ჭეშმარიტი რწმენა. ჰელვეციუსმა თვით მოიპოვა გვირგვინი თავისი სიმტკიცით: როდესაც საკრამენტარების წევრები, ისფაჰანელი ქურუმები, შევიწროებულნი ავგუსტინელთა რელიგიის მომხრეების მიერ, ხშირად ცდილობდნენ ჰელვეციუსის კათოლიკობაზე მოქცევას, იგი ბოლო ამოსუნთქვამდე თავისაზე იდგა, მედგრად უწევდა მათ წინააღმდეგობას: ამით მან უკვდავყო არა მარტო ცვინგლიანეს მოძღვრება, არამედ (გვ. 1054) სიკვდილის წინაშე თავისი პირველი მასწავლებლის სიმტკიცეც.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, შაჰ-აბასმა დაწვრილებით გაიმეორა ეს და ზოგიერთი სხვა სახეობა მკვლელობისა და დასჯისა. მე თვითონ არ ვუშვებ, რომ მოუნდებ, ან გაბედავს უარყოს შემდეგი სასტიკი და ჭეშმარიტი ტრაგიკული საქციელი: ის, რომ მან ვაიცი კი არ დაინდო, რომელიც მმართველობის მემკვიდრედ იყო დანიშნული, სეფი მირზა, ჭაბუკი, შემკული მრავალი

5 საკრამენტარები ან წმინდა საიდუმლოების თაყვანისმცემელი ბენედიქტელები, ქალთა რელიგიური ორდენი; ჩამოყალიბდა პარიზში 1631 წელს მეხტილდას მიერ.
 6 ავგუსტინელთა ორდენი, რომლის წევრებიც ცხოვრობენ ეპისკოპოსის და მწერლის წმ. ავგუსტინეს (430 წ.) წესების მიხედვით.
 7 ულრიხ ცვინგლი, შვეიცარიელი მღვდელი, 1484—1531 წწ., პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ფორმის მქადაგებელი.
 8 შაჰ-აბას I — 1587—1629.
 9 მუჰამედ-ბაყერ-მირზა, შაჰ-აბას I-ის ვაჟი, ცნობილი სეფი-მირზას სახელით.



თანდაყოლილი და შეძენილი ღირსებით, შობილი ქრისტიანი ქალის მიერ (გვ. 1059). სეფი მოკვდა, იგი წარჩინებული პერსიდელის, ბებუთბეგის ქვეყნის ჩამოგდებული ცხენიდან და განგმირული მახვილით, ხოლო მისივე ქვეყნის ქვეყნის რეზული ადგილიდან გამოიტანა დასანახად და არ მოასვენა; მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მისი სხეული დამარხული იქნა მაღალი პირების ზრუნვის შედეგად. ამის შემდეგ მეფემ თავისთან დაპატიჟა სახელმწიფოს წარჩინებული ადამიანები, დასვა სამეფო ქაგიდასთან და შხამი შეასვა; და მაშინვე უბრძანა სიკვდილს შებრძოლებოდნენ, თვითონ კი უყურებდა და კითხულობდა, თუ რატომ ვარდებოდა ძირს და კვდებოდა ყველა მათგანი.

მირზას დაღუბვას არ ჰქონდა სხვა მიზეზი, გარდა უდანაშაულობისა და კეთილგონიერი გულუბრყვილობისა: ვილაცამ დიდგვაროვანთა ბანაკიდან, რომელსაც სურდა მირზა რაც შეიძლება სწრაფად მოსულიყო ძალაუფლების სათავეში, მისწერა წერილი და შეუგდო ოთახში. მან კი მაშინვე მამას გადასცა. რათა ამით გაეჭარწყლებინა ასეთი მემამოხური და ვერაგული წერილის შინაარსი. ამის შემდეგ მეფეს გულში ჩაისახა ეჭვი, ხომ არ სურს ვაყის დროზე აღდგა დეპატრონის ძალაუფლებასო; ამგვარად, მამობრივმა სიყვარულმა ნელ-ნელა დაიწყო გადაზრდა ორგულობასა და ლალატისადმი სიძულვილში. ამრიგად, მან მოკლა ის¹⁰, ვისაც ბედისწერისა და სხვა ვითარებათა გამო, როგორც მშობელმა, სიცოცხლე უბოძა, თუმცა იგი მისთვის ძვირფასი იყო. შემდეგ მისი გვამი, მოკვეთილი ხელებით, მოათავსა თავისთან ნათელ და წყნარ ადგილას (გვ. 1060). ამგვარად, იყო რა საზარელი, თავის მემკვიდრედ კიდევ უფრო საზარელი ვინმე აირჩია, შაჰ-სეფი, მირზას შვილი და თავისივე შვილი-შვილი. ამავე გზით დაამხო მან ბებუთბეგი, მირზას, მეფის შვილის მკვლეელი (როგორც ზემოთ ვთქვეთ) და მისი ქონება მიითვისა. ბრძანა მომდევნო შვილისათვის ყელი გამოეჭრათ, თავი და თავმოკვეთილი გვამი კი მეფის სამხედროდ უნდა გამოეფინათ.

შემდგომ შაჰ-აბასი დიდ ადგილს უთმობს თავის ძალაუფლებას და ყოფას. იგი კეთილმოსურნედ ექცეოდა ქრისტიან საცოლეს. რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხილი; იგი მას ნებას რთავდა ევლო ავგუსტინელთა ორდენის მიმდევრებთან, ისფაჰანის რეზიდენციაში, სამეფო ქალაქ საღისში¹¹ და თვითონაც ხშირად ტრიალებდა მათ შორის, რათა თავისთვის და ასევე მათი უბიწო წმინდანებისათვის ყელზე ჩამოეკიდა მსგავსად გულქანდისა სახე მათი საერთო ქომაგისა. რადგან იგი წინდახედული იყო, ზოგჯერ უერთდებოდა მათ, რადგანაც აქამდე თვითონაც ხსნის გაურკვეველ გზაჯვარედინზე იმყოფებოდა. ეს ქომაგი, ვიმეორებ, საერთოა, მაგრამ არის სხვა ბევრი ქომაგი, რომელნიც ჩვეულებრივ ღრუბლიან დროს აშუქებენ, წარმოსახავენ რა ქრისტიან წმინდანს; მაგრამ მან ბევრი ისეთი რამ ჩაიდინა, რაც არ შეესაბამებოდა ქრისტიანთა წესებს და დადგენილებებს; ბევრიც რამ ისეთი, რაც მათ

¹⁰ ამავე დროს აბას I იყო დაუნდობელი და ექვიანი დესპოტი, მხოლოდ შერისმგებლობით ზრძანა თავისი უფროსი ვაჟის, პოპულარული სეფი მირზას მოკვლა (История Ирана, под редакцией проф. Н. С. Иванова, М., 1977, გვ. 126).

¹¹ შაჰ-აბას I-ის დროს ისფაჰანი რადიკალურად გადაეცეთებულ იქნა და იგი ირანის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად იქცა. მდინარე ზაენდერუდზე, რომელზეც გაშენებულია ისფაჰანი, აშენდა ქვის ხიდები... ერთ-ერთ ხიდს მიჰყავს ქალაქის შემოგარენ საადათაბადში (Иванов М. С. Очерк истории Ирана. М., 1952, გვ. 72). ელიქრობთ, ბისელიუსის მიერ ნახსენები საღისი საადათაბადი უნდა იყოს.

დენასთან, ასოთმოლებასთან და განადგურებასთან არის დაკავშირებული ნიდან თვით მას (ისევე, როგორც ბევრ მის წინაპარს და მის შემდეგ მის შვილში — სეთის (გვ. 1061) ჰყავდა ერთდროულად სამი ცოლი და, ამას გარდა, რამდენიმე ასეული ხასა. კუნძული არმუზია¹² (ძველებთან მას ორმუზს უწოდებენ), სადაც მრავალი ვაჭარი იყო, მან ცოტა ხნის წინ წაართვა ლუ-ნიტანელებს¹³, რათა იქ შემდგომ ქრისტეს კულტს არ ეძლია მაჰომედანელთა საუკეთესო რასმებისათვის; ამას გარდა, გეორგიანელებს, რომლებიც ქრისტიანობას აღიარებენ, როგორც ზემოთ ვთქვით, ტომს, რომელიც არმენიის მთებს იგივე ცხოვრობს, ხშირად და ხანგრძლივად ტანჯავდა იარაღით; მან ჯარი დაძრა მათი მეფის, ტამერ ხანის¹⁴, სიმონ არმენის¹⁵ შვილის წინააღმდეგ, პირველად¹⁶ სათავეში ჯარს ძლიერი მებრძოლი კარისკაცი ედგა; მეორედ¹⁷, თავისი არყოფნის დროს მან გასცა ისეთი ბრძანება, რომელიც შეუსრულებელი აღმოჩნდა ტამერის დაუმარცხებელი სიძლიერის გამო; პერსიდაში დაბრუნების შემდეგ მან მოკლა ყველა, თუმცა მათი ერთადერთი ბრალი ხომ იმაში მდგომარეობდა, რომ მათი იარაღი უღებლო აღმოჩნდა; ესე იგი, თუ კიდევ იყო დანაშაული, ეს შემთხვევითობა იყო, და აბა ვინმემ სცადოს შემთხვევითობის დაძლევა.

ამის შემდეგ მან მესამედ¹⁸ დაიწყო ლაშქრობა, თვითონ ჩაუდგა მას სათავეში. შეეჭრა გეორგიაში ჯარის კიდევ უფრო დიდი ნაწილით და დაეპატრონა მას; ცხრა თვის შემდეგ გააჩანაგა იგი, მანამდე კი ფიცის კანონის შესაბამისად დაიფიცა: რომ თუ შეძლებდა გამარჯვებული ჯარით დაბრუნებას,

12 პორტუგალიელებმა ორმუზი, მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი სპარსეთის ყურეში, XVI საუკუნის დასაწყისში დაიპყრეს (ალბუკერკემ იგი 1507 წელს დაიპყრო). ორმუზი ხშირად ექცეოდა აღმოსავლეთით დაინტერესებული ვაჭრების ყურადღების არეში. „თეთრ ზღვაზე გაშენებული ქალაქი ურმუზი. ამ ქალაქს აქვს ნავსაყუდელი, აქ მოდიან გერმანელი, ინგლისური და ფრანგული გემები. ამ ქალაქს ურმუზიდან საქარავნო გზებით, იმ ქალაქების გავლით, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ისფაჰანში, სპარსეთის სამეფოში, გერმანელი ხალხი საქონლით და ფულით ჩადიოდა ჩით-აბრეშუმის საყიდლად“ («Хождение купца Феодота Котова в Персию», публикация Н. А. Кузнецовой, М., 1958, გვ.94. „1622 წელს შაჰ-აბასმა მოხერხებულად ისარგებლა ინგლისელებსა და პორტუგალიელებს შორის არსებული წინააღმდეგობით და ინგლისელების დახმარებით პორტუგალიელები პორმუზიდან განდევნა. პორმუზის დაპყრობით შაჰ-აბასს საშუალება ეძლეოდა ირანის აბრეშუმი ზღვით სამხრეთ ირანიდან ევროპაში გაეტანა“ (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII, თბ., 1971, გვ. 279—280).

13 Lusitania (ლათ.) — პორტუგალია; ლუნიტანელები — პორტუგალიელები.

14 ლაპარაკია თეიმურაზ I-ზე, დავით I-ის ძეზე. თეიმურაზ I კახეთის მეფე იყო 1606—1616; 1625—47; ქართლ-კახეთის მეფე 1625—1633, ტყვეობაში გარდაიცვალა 1663 წ.

15 სიმონ არმენი — როგორც ჩანს, ლაპარაკია სიმონ I-ზე; ქართლის მეფე 1556—1569; 1579—1599. „არმენი“ ძველი არაბული წყაროების გავლენა უნდა იყოს. თავისთავად. შეუსაბამობაა თეიმურაზ I-ის სიმონის ვაჟად ჩათვლა.

16 პირველად შაჰ-აბასმა საქართველოზე 1614 წელს მოაწყო ლაშქრობა და უშუალო მონაწილეობა მიიღო მასში. „ძლიერი მებრძოლ კარისკაცში“, შესაძლებელია, გიორგი სააკაძე იგულისხმებოდეს.

17 სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმება ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება მარტყოფის ეკლზე 1625 წლის 25 მარტს.

18 აქ, ჩანს, ლაპარაკია 1616—1617 წწ. შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრებაზე. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, ამ ლაშქრობაში შაჰ-აბასმა უშუალო მონაწილეობა მიიღო. მაშასადამე, ბისელიუსს პირველ (1614) და მეორე (1616—1617) ლაშქრობებს შორის მოუქცევია 1625 წლის 25 მარტის აჯანყება, რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა, რაც აშკარა ანაქრონიზმია.



მაშინ ყველა გეორგიანელი ტყვე, ორივე სქესისა, გაყიდულ იქნებოდა აბასი¹⁹. ერთი (გვ. 1062) აბი — ეს არის სპარსული ფული, მოჭრილი მტყუნ აბის დროს, რომელიც უტოლდება რვა ევროპულ დინარს. ცოდვილმა ფიცმა წარმატება ჰპოვა. საბოლოოდ ტამერი დამარცხდა; გაიმარჯვა შაჰ-აბასმა; დამორჩილებულია ურჩი ტომი; პერსიდაში, ქალაქში, რომლის სახელი ისფაჰანია, წაიყვანეს შებოროკლი ქართველების უზარმაზარი რაოდენობა. იქ დღესაც შეიძლება მათი შთამომავლობის ნახვა და ასევე ქრისტიანთა ნაშთებისა. იქ დღესაც დასტირიან დედოფალ კლემენციას გალულ ფენს; აიძულებდნენ რა მონობას, იგი გამოემშვიდობა სიცოცხლეს, მაგრამ მისი სული დარჩა.

მაგრამ მსხნელი სარწმუნოება ყველასათვის განურჩევლად არ დაუტოვებიათ: არა მხოლოდ იმ ტომთა უპირველესი პირებისათვის, რომლებიც მაშინ უღელქვეშ გაგზავნეს. ჯერ ერთი, მათ რიცხვში იმყოფებოდა კეთილშობილი სახელის რამდენიმე წინამძღოლი, ასევე სხვა წარჩინებული პირებიც; ბევრი მათგანი გეორგიანელი. შაჰ-აბასმა ყველა მათგანი აიძულა დაეტოვებინათ მშობელი მიწა, მაგრამ ვერ აიძულა ჩვენს სიწმინდეთა მიტოვება; მან ბრძანა ზოგიერთის ვერავლად მოკვლა. ამ პირთა გარდა, ტყვეთა შორის იყო კატერინა, გურზიანთა დედოფალი — ქრისტიანული კულტურის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად — ორთოდოქსელისა; გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, ჩამომავლობით და ღირსებით.

ამ მიზეზების გამო, შაჰ-აბასი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა იგი დემორჩილებინა თავისი გავლენისათვის (გვ. 1063); იგი თავის მეოთხე ცოლად გაწინააღმდეგა, პარველი სამის გარდა, მაგრამ მაშინ დაინახა, რომ იგი მის სურვილებს უპირისპირებს, ერთი მხრივ, წმინდანებს და მეფურ ზნეობრივ სისპეტაკეს და, მეორე მხრივ, — ქრისტეს კანონს ქორწინების შესახებ ერთისა ერთთან; მაჰადალიან მეფეს არ გამოჰპარვია კეთილშობილი მეგრძობი ქალწულის არც ერთი ცდა ვედრებით მიემართა ქრისტესათვის: შაჰ-აბასმა უბრძანა „ალყორანის“ გადამწერს მისთვის მიეწერა. მაგრამ ყველაფერი ამო იყო, რადგანაც დედოფლის სიმტკიცე მუდამ ურყევე რჩებოდა. ვერანაირი შუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებით და დაფიცებით ვერ შეძლო შაჰ-აბასმა დაეყოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმაზე, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა. და, აი, სასტიკი წამებით იგი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი; მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასევე ავგუსტინელები, რომლებმაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით. ქრისტეს შობიდან 1617 წელს იგი ცად იქნა წაყვანილი. მისი სიცოცხლიდან განსვლის მეტორმეტე წელს მას მიჰყვა (მაგრამ სხვა სამყაროში) ბოლოსდაბოლოს შაჰ-აბასიც“.

* * *

გარდა იმისა, რომ ყველა ახალი უცხოური მასალა, სადაც ქეთევან დედოფლის ისტორიული ამბავია გადმოცემული, თავისთავად საყურადღებოა, ბისელიუსის ამ უცნობი ნაშრომისადმი საგანგებო ინტერესი შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: ანონიმი ავტორის პიესა თავდება ეპილოგით, რომელშიც

¹⁹ შაჰ-აბას I-ის დროს გატარდა ფულის რეფორმა; ახალი ფულის ერთეული — აბასი — შეიცავდა 4,6 გრ ვერცხლს და უდრიდა 200 დინარს.



ქეთევან დედოფალი „ცისკენ დიდებული ტრიუმფით მიმავალ წამებულს“ არის მოხსენიებული, რაც მიგვანიშნებს, რომ სკალიცელი იეზუიტი მას წმინდანად თვლიდა: „ირისი (ღმერთების წარგზავნილი — მ. ნ.) მიცვალებული კატერინას სხეულს საფლავში მალავს და საფლავის მარმარილოს უკვდავი ამარანტიო მოსავს. ხორციელ კავშირთაგან გათავისუფლებული სხეული ცისკენ მალდებდა. ხელოვნების ქალღმერთი, რომელიც ამზადებდა მის განსვლას, სკოლის გენიას შესთხოვს, რომ მადლიერების ნიშნად გიოსინგერების²⁰ მთელი ოჯახი ცისკენ დიდებული ტრიუმფით მიმავალ წამებულს ჩააბაროს, რათა ამ წამებულმა მარადიული მფარველობა გაუწიოს ამ ოჯახს და ილოცოს მისთვის თავის ციურ დიდებაში, რასაც ის შეისმენს“.

კათოლიკური ეკლესიის მიერ ქეთევან დედოფლის წმინდანად შერაცხვის საკითხი, როგორც ცნობილია, საერთოდ პრობლემურია და არც ადამ ოლეარიუსის ნაშრომში არის გადაჭრილი; მეორე მხრივ, სკალიცელი იეზუიტი სათანადო ცნობის გარეშე ვერ გაბედავდა ქართველი დედოფლის წმინდანად მოხსენიებას; ამის შემდეგ რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი, რომ პიესის ავტორმა ეს ცნობა ბისელიუსისაგან აიღო. ამ მხრივ იოჰანეს ბასელიუსის ეს ნაშრომი მართლაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან ეს ვარიანტი გამართლდა: ბისელიუსი ქეთევან წამებულს კათოლიკური ეკლესიის წმინდანთა შორის შერაცხილად მიიჩნევს. იგი წერს: „შემდგომ შაჰ-აბასი დიდ ადვილს უთმობს თავის ძალაუფლებას და თავის ყოფას, იგი უხვად ტყებუა ქრისტიან საცოლესთან ურთიერთობით, რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხილი“. როგორც კონტექსტიდან ირკვევა, „ქრისტიან საცოლედ“ ბისელიუსი ქეთევან დედოფალს მიიჩნევს. ძნელია იმის თქმა, თუ რამ მისცა საფუძველი ბისელიუსს, რომ ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანობის საკითხი ეჭვგარეშე დაეყენებინა. როგორც მკვლევარი რობერტო გულბენციანი თვლის თავის გამოკვლევაში, ქეთევანის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შერაცხვის საკითხი თავიდანვე მრავალ სირთულეს დაუჯავშირდა. ამისათვის იღვწოდნენ წმ. ავგუსტინეს ორდენის სპარსეთში მოღვაწე ბერები, რომელთაც საკუთარი მისიონერული ინტერესები ჰქონდათ და თვლიდნენ, რომ საქართველოში მისიონის წარმატებას ხელს შეუწყობდა ის ფაქტი, რომ ვატიკანს ქეთევან დედოფალი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად ეცნო. მაგრამ მართლმადიდებელი დედოფლის — ქეთევან წამებულის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად აღიარების აუცილებელ წინაპირობას ის შეადგენდა, რომ ქართველმა დედოფალმა კათოლიკობა მიიღო. ამისთვის კი ვატიკანს რეალური ფაქტები ესაჭიროებოდა: იყო თუ არა დედოფალი კათოლიკე? ოფიციალურად აღიარა თუ არა მან პაპის მორჩილება? მამა ამბროჯიომ კარგად იცოდა, რომ არა, მაგრამ თავის „ნამდვილ ცნობებში“ მოერიდა ამის დაზუსტებას. ერთი კი ცხადია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დიდ სიფრთხილეს იჩენდა; 1629 წლის 15 აგვისტოს „პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალებმა განაცხადეს: „რაც შეეხება სხვა უფლებებს, რომლებსაც ისფაჰანელი ავგუსტინელები ითხოვენ საქართველოს დედოფლისა და სხვა მამების მოწამებრივი სიკვდილის პროცესის დასასრულებლად, ჩვენმა ბატონმა განაცხადა,

²⁰ ანტონ გიოსინგერი, ბრატისლავის ციხე-სიმაგრის სამხედრო მოხელე, სკალიცის გიმნაზიის მეცენატი.



რომ ამის უფლებას მაშინ მიიღებენ, როცა რიტუალების წმ. კონგრეგაციის წარადგენენ ანგარიშებს მათი მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. საქიროა გააფრთხილოთ ისინი, რომ გულმოდგინედ და ჭეშმარიტების საფუძველზე შედგენილი ეს ანგარიშები ხსენებულ წმ. კონგრეგაციაში გამოაგზავნონ**.

ამრიგად, მოთხოვნა მკაცრი და ურყევი იყო. აღსანიშნავია, რომ 1630 წელს ლისაბონში გამოქვეყნდა „მოკლე ცნობები ქრისტიანობის შესახებ“, რომელსაც შემდეგი კომენტარი ახლავს: „ამგვარი იყო სახელოვანი სიკვდილი ქეთევან დედოფლისა, რომელსაც ჯერჯერობით წამებულს ვერ ვუწოდებთ, რადგან „ცნობიდან“ არ ჩანს, აღიარა თუ არა მან მორჩილება რომის პაპისადმი, თუმცა, როგორც ზოგი აღნიშნავს, დედოფალმა ეს თავისი საქციელით მაინც მოიმოქმედა. დედოფალს სიხარულსა და ნუგეშს ჰგვრიდა წმინდა მამის საუბარი რომის ეკლესიის შესახებ, განმარტება იმისა, თუ რატომ იყო რომის პაპი მსოფლიო ეკლესიის მეთაური. უდიდეს კათოლიკეს ხედავდა ნასში წმინდა მამაც, თავისი ამალის აღსარებისათვის დედოფალმა რომელი მღვდელი მოიხმო, ჩვენს ეკლესიაში ისმენდა წირვას და ლოცულობდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა რომის პაპის მიერ ნაკურთხი ჯვრებისა და მედალიონების მიღება, თავისი სახლის სამკაულებით ეხმარებოდა ჩვენს ეკლესიას დღე-ასწაულების ჩატარებაში. ყოველივე ეს მიუთითებს მის სულიერ კათოლიკობას, ჩვენთვის და მისთვის საერთო რჯულის აღიარებას, რომლისთვისაც იგი კვდებოდა, მიუ უმეტეს მას შემდეგ, რაც მან მოისმინა და მიიღო**.

ქართველი დედოფლის მიერ გამოჩენილი არაჩვეულებრივი თავდადება რჯულისათვის და საზარელი მოწამებრივი სიკვდილით აღსრულება „უჩვეულო შემთხვევად“ იქნა აღიარებული კათოლიკურ სამყაროში (რომელიც ერთხანს, დაუჯერებლადაც კი მოსჩვენებიათ), მისთვის წამებულის გვირგვინის დადგმა აუცილებლად მიუჩნევიათ, როგორც შემდეგი ტექსტიდან ჩანს: „ბოლოს მოვა უფრო ცხადი ცნობა, დარწმუნდებიან ამ უჩვეულო შემთხვევის უტყუარობაში, მაშინ ეკლესიაც იმუშავდგომლებს“ და დედოფალს წამებულად გამოაცხადებს. რაც ღმერთის უმაღლესი დიდება იქნება. უმაღლესი დიდება იქნება თვით ეკლესიისთვისაც, წამებულის გვირგვინი დაადგას სამეფოსა და მოწამეს. ეს დიდი პატივი და ნუგეში იქნება მათთვის, ვინც ღმერთმა შეიწყნარა წამებული დედოფალდედის მეფური ღისხლით, რომლის წამებაც აუცილებლად იყვავილებს და უხვ ნაყოფსაც გამოიღებს***.

ამ არგუმენტებმა მაინც ვერ შეცვალა წმ. კონგრეგაციის და „პროპაგანდა

* ციტირებულია: რ. გულბენკიანი. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, თბ., 1987, გვ. 20—21 (აქ და შემდეგში ხაზი ჩემია — მ. ნ.).

** იქვე, გვ. 21.
*** იქვე, გვ. 22.



ვიდეს“ პოზიცია. საკითხი კარგა ხანს რჩებოდა ყურადღების არგობის და საზოგადოების ცხოველ ინტერესს აღძრავდა.

საგულისხმოა, რომ მალენგრი ამტკიცებდა, სიკვდილის წინ დედოფალმა „სასწრაფოდ გაგზავნა კაცი ავგუსტინელი წამების თავშესაფარში და სთხოვა მისთვის მღვდელი გაეგზავნათ. მასთან წინამძღვარი მამა ამბროზიო და მამა ანტონიო მოვიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან დედოფალმა, რომელიც წინათ სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი იყო, მამა ამბროზიოს გავლენით აღიარა კათოლიკობა, აღსარება უთხრა და მისგანვე მიიღო უკანასკნელი ღვთა-კურთხევა“*.

თუმცა მალენგრი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ თითქოს ქეთევან დედოფალმა მამა ამბროზიოს გავლენით აღიარა კათოლიკობა, მისი ეს აზრი ვერ დატურდება, რადგან თვით უშუალო მოწმე ქეთევან დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელი წუთებისა, იგივე მამა ამბროზიო, უარყოფს, თითქოს დედოფალმა კათოლიკობა მიიღო — ქართული წამებული მართლმადიდებლად აღესრულა: „1640 წ. რომში ყოფნის დროს მამა ამბროზიომ ბოლო მოუღო ეპიკვებს და აღიარა, რომ ქეთევანს ქართული ეკლესია არ მიუტოვებია. მან განაცხადა: „საკარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის ღიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მის დევედა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმ. კათოლიკურ ეკლესიას და ყველა ლათინელს. მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა მათ. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია წმ. კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო“**.

ამრიგად, ეპეგარეშეა, რომ ქეთევან წამებული მართლმადიდებლად აღესრულა, ხოლო მართლმადიდებელი ქეთევან დედოფალი კათოლიკურ ეკლესიას წმინდანად არ შეურაცხავს. მაგრამ ეს საკითხი კათოლიკურ სამყაროში იმდენად აქტუალური ყოფილა, რომ მან ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. შესაძლებელია, იმ მასალის საფუძველზე, რომელსაც ბისელიუსი იცნობდა, მან გამოიტანა დასკვნა, რომ ქეთევან დედოფალი კათოლიკური ეკლესიის წმინდანად იქნა შერაცხილი. ის, რომ ქეთევან დედოფალი მართლმადიდებლად აღესრულა და კათოლიკობა არ მიუღია, არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური საკითხიც იყო.

ბისელიუსმა წამებული დედოფლის წმინდა ნაწილებსაც არ აუარა გვერდი: „აქ (ივულისხმება — ისფაჰანში — მ. ნ.) დღესაც დასტორიან დედოფალ კლემენციას (Clementiae) გაღუულ ფეხს: აიძულებდნენ რა მონობას, იგი გამოემშვიდობა სიცოცხლეს, მაგრამ მისი სული დაარჩა“.

წამებული დედოფლის კლემენციად მოხსენიება შემთხვევითი არ უნდა იყოს. Clementiae ლათინურად „სათნობას“ ნიშნავს. მამა ამბროზიოს ცნობაში არის ასეთი რამ: „მეც მიხაროდა ასეთი მორწმუნის, ჩვენს წმინდა რწმენასთან ესოდენ დაკავშირებული ადამიანის ხილვა და ვეთაყვანებოდი მის სათნობას, სათნობას, რომელზეც მისი სახლეული მომიტხრობდა: სათნობას, მასთან ყოფნისას თავად რომ ვხე-

* რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
** იქვე, გვ. 22.



დავდიო*^{*}. აქედან აშკარად ჩანს, რომ ქეთევანის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებული სათნოება. რაც შეეხება დედოფლის წმინდა ნაწილებს, ისევ მამა ამბროზიოს „ნამდვილ ცნობებს“ უნდა მივმართოთ, სადაც საკმაოდ დაწვრილებით არის საუბარი ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებზე და მათ ადგილსამყოფელზე: „სხეთლის ყველა ძვალი გაშიშვლებული იყო. მხოლოდ მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი იყო ისეთივე თეთრი და ლამაზი ხორციით დაფარული, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა სახელგანთქმულ წამებულს. მაჰმადიანთა ღვარძლიანი ბუნების გამო შეეკვებოდა, რომ ჩვენი მონასტერი შირაზში საიმედო საფარი იქნებოდა ასეთი ძვირფასი განძისათვის. გარდა ამისა, შირაზი სახელოვანი დედოფლის წამების ადგილი იყო. ამიტომაც მისი ცხედარი ისფაჰანში მიმავალი ორი ბერის ხელთ ჩვენს წმ. ავგუსტინეს მონასტერში გავგზავნე“^{**}.

რაც შეეხება დედოფლის წმინდა ნაწილებს, ბისელიუსი საკმაოდ სწორ ინფორმაციას იძლევა მათ შესახებ. როგორც მამა ამბროზიო დუშ ანჟუის „ცნობებშია“ ნათქვამი, წმინდა ნაწილთა შორის მართლაც მოიძევებოდა „მარცხენა ფეხი“. ეს წმინდა განძი ისფაჰანში ინახებოდა 1626 წლის მარტამდე. ამ დროს ისფაჰანში ავგუსტინელთა მოღვაწეობა აკრძალული ყოფილა, ამ ორდენის ბერები კი დაუპატიმრებით და შირაზში გაუგზავნიათ. 1627 წელს თებერვალში შაჰმა მათ ნება დართო კვლავ ისფაჰანში დაბრუნებულიყვნენ. ქეთევან დედოფლის ნეშტი მათ თან ჩამოიტანეს და ისევ ავგუსტინელთა მონასტერში შეინახეს^{**}. ღღეისათვის მათი კვალი დაკარგულია. შესაძლებელია, რომ იმ დროს, როდესაც ბისელიუსის წიგნი იწერებოდა, ე. ი. XVII საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჯერ კიდევ ისფაჰანში იმყოფებოდა.

აღსანიშნავია, რომ იოჰანეს ბისელიუსი თავის ნაშრომში იშვიათად ასენებს თარიღებს. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია დედოფლის გარდაცვალებასთან: „ქრისტეს შობიდან 1617 წელს იგი (ქეთევანი — მ. ნ.) ცად იქნა წაყვანილი. მისი სიცოცხლიდან განსვლის მეორე მუხტე წელს მას მიჰყვა (ოლონდ სხვა სამყაროში) ბოლოსდაბოლოს შაჰ-აბასიც“^{***}.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია და პირველ რიგში ამას თვითმხილველი, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი მამა ამბროზიო, აღასტურებს, ქეთევან დედოფალი შაჰის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს აწამეს. მაშ საიდან გაჩნდა ის თარიღი ბისელიუსთან? ვფიქრობ, ამ აშკარა ანაქრონიზმის მიზეზი ის არის, რომ ქეთევან დედოფალი 1617 წელს შირაზში ჩაუყვანიათ და ბისელიუსსაც, როგორც ჩანს, სწორედ ეს თარიღი მიუჩნევია მისი აღსასრულის თარიღად. ქეთევანის აღსასრულის თარიღს ბისელიუსი მჭიდროდ უკავშირებს შაჰ-აბასის გარდაცვალების თარიღსაც, რომლის მიხედვითაც ეს 1629 წელი გამოდის და სრულიად შეეფერება სინამდვილეს. ეს თარიღი აქვს მოყვანილი

* რ. გულბენკიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

** იქვე, გვ. 42—43.

*** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, II, მეცნიერება, 1986, გვ. 131.

21 შაჰ-აბას I-ის სიკვდილის შემდეგ, რაც 1038 წ. ჯოჰადი ალავალეს 24 (1629 წ. 19. I) მოხდა. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურძემ, თბ., 1969, გვ. 145).



შაჰ-აბასის ისტორიკოსს ისქანდერ მუნშის²¹. სხვათა შორის, ბისელიუსს სწამდა, რომ დასახლებული შაჰ-სეფის გარდაცვალების თარიღი — 1622 წელიწადი — ნაშრომიდან ჩანს, რომ ბისელიუსისათვის ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია თავად ფაქტი, ვიდრე თარიღი, რადგან შიში ნაშრომიდან გამომდინარე შაჰ-აბასმა ჯერ ორმუზი დაიპყრო (1622 წ.), შემდეგ კი ილაშქრა საქართველოზე (1614 წ.), რაც აშკარა ანაქრონიზმია. მეორე, რაც ყურადღებას იქცევს ორმუზთან დაკავშირებით, ის არის, რომ ბისელიუსი არ ახსენებს ორმუზს, როგორც ვაჭრობაში მეტად მნიშვნელოვან პუნქტს. იგი ორმუზის დაპყრობას რელიგიურ ასპექტში განიხილავს — შაჰმა იმიტომ დაიპყრო ორმუზი, რომ იქ ქრისტიანობას არ გაემარჯვებინა.

ბისელიუსის ნაშრომში საყურადღებო ცნობები მოიპოვება შაჰ-აბასის მტრეალობის შესახებ: იგი მკითხველს მოუთხოვს სამეფო კარის ინტრიგის ნიადაგზე როგორ მოაკვლევინა შაჰ-აბასმა ვინმე ბებუბეგს თავისი უფროსი ძეგი მირზა, რომლის დედაც, როგორც საგანგებოდ აღნიშნავს ბისელიუსი, ქრისტიანი იყო; როგორ „გუმასპინძლდა“ იგი საშალით ნადიშვე მიწვეულ დიდებულებს და ტანჯვით დახოცა ისინი, ბისელიუსი იმასაც კი აქცევს ყურადღებას, რა მიზანობაშია სპარსული ფული ევროპულთან. არის სხვა საინტერესო ცნობებიც.

М. Н. НАЧКЕБИА

СВЕДЕНИЯ О ЦАРИЦЕ КЕТЕВАН И ГРУЗИИ В ТРУДЕ НЕМЕЦКОГО ИЕЗУИТА ИОГАННА БИССЕЛИУСА

Резюме

Публикуется отрывок из неизвестного до настоящего времени труда немецкого иезуита Иоганна Бисселиуса (1601—1677) «Разрушение персидского царства», изданного в Амберге в 1663 году. В статье дан анализ некоторых его сведений о Грузии и царице Кетеван, принявшей мученическую смерть по приказу шаха Аббаса в 1624 году, которая, по мнению Бисселиуса, была причислена к лику святых католической церкви. На основе сопоставления этого сведения Бисселиуса с фактами, приведенными в реляции августинца дос Анжоса, очевидно мученической смерти грузинской царицы, делается вывод, что царица Кетеван, оставшись верной православному вероисповеданию, не была канонизирована как святая мученица католической церковью. Наряду с этим в работе освещается ряд других исторических фактов.

M. NACHKEBIA

SOME INFORMATION ABOUT QUEEN KETEVAN AND GEORGIA IN THE WORK BY GERMAN JESUIT IOHANNES BISSELIUS

Summary

Here we have the extract from the work by German jesuit Johannes Bisselius (1601—1677) — „Destruction of Persian Kingdom“, published in Amberg (1663), but unknown till nowadays. The article analyses some of the



საქართველოს
რეპუბლიკის
საქართველოს
საქართველოს

author's information about Georgia and Queen Ketevan, tortured by Shah-Abbas in 1624; Bisselius thinks that she was canonized by Catholic Church.

Comparing Bisselius opinion with the facts given in the relation by Avgustin dos Anjos eye-witness of the torture suffered by Queen Ketevan we can conclude, that the Queen kept her orthodoxy pure all her life and was not canonized by Catholic Church.

Besides, this work contains a lot of other interesting historical facts.

ნოვარ უინგლია

ორი თურქული ფირმანი თბილისის უნახებ

ქვემოთ ვაქვეყნებთ ორ თურქულ ფირმანს, რომელიც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს ეხება. პირველი ფირმანი შედგენილია 1135 წლის 15 შეგვალს (1723 წლის 19 ივლისს), მეორე კი 1137 წლის ზილ-პიჯეს მიწურულს (1725 წლის 9 სექტემბერს). ორივე ფირმანი ქართლში ოსმალობის შემოღების დასაწყისშია შედგენილი.

პირველი ფირმანის არქეოგრაფიული აღწერილობა ასეთია: დოკუმენტი ნაწერია თეთრ ქაღალდზე, შავი მელნით, ქაღალდი ზოგან გაყვითლებულია, ნაწერის ბოლო სტრიქონი დაზიანებულია. ზომა 6,5×61,8 სმ. შიფრი: 'НБКМ ფონდი: 1. არქ. ერთ. 18380. ფ. 1.

მეორე ფირმანის აღწერილობა კი ასეთია. საბუთი ნაწერია სქელ მოყვითალო ქაღალდზე, შავი მელნით. თურქის ზევით ერთ ადგილას შუაში ოდნავ ამოხეულია, ზომა: 47×64,1 სმ. შიფრი: 'НБКМ ფ. 1. არქ. ერთ. 2515.

ორივე ფირმანი ინახება ბულგარეთში, ქალაქ სოფის კირილესა და მეოთხედს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ზელნაწერთა განყოფილებაში. აქ, როგორც არაერთგზის ითქვა, უამრავი თურქული მასალა ინახება საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

პირველი ფირმანი ეხება ქართლში ოსმალობის დასაწყისს. როგორც ვთქვით, იგი შედგენილია 1723 წლის 19 ივლისს: „ოსმალთა“ ქართლში დამყარდა 1723 წლის ივნისში, დოკუმენტი კი შედგენილია ივლისში. ფირმანში ეს საგანგებოდაა მითითებული და გამოთქმულია აღფრთოვანება ოსმალთა მიერ თბილისის დაპყრობის გამო. თბილისის ოსმალთა ზელში გადასვლა მართლაც დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ოსმალთათვის. ფირმანის მიხედვით, ტრაპიზონის ნავსადგურში გავზავნილია პროდუქტები, რომლებიც ტრაპიზონიდან ყარსში წავა. ეს პროვიანტი ჯებეხანესაც გაუწაწილდა. ამ ტვირთს თბილისში ურმებით ჩაიტანენ. ფირმანში საგანგებოდაა მითითებული, რომ ტვირთი ყოველგვარი წესების დაცვით გაიგზავნა და ერთი დღით ადრე ჩაეიდა თბილისში. მათ მრავალი სახედრის დაჭირაება მოუხდათ პროდუქტების თბილისში მისატანად. აღნიშნული ღონისძიების ხარჯების დაანგარიშებისას შარიათის პუჯეთი იქნა შედგენილი. ფირმანიდან აშკარაა, რომ იგი სამეურნეო ხასიათისაა. მასში საუბარია მხოლოდ დედაქალაქიდან პროდუქტების თბილისში ჩამოტანაზე.

მეორე დოკუმენტი კი უფრო გვიანაა შედგენილი. იგი, როგორც ვნახეთ, 1725 წლის სექტემბერსაა. ფირმანი ეგზავნება სახელმწიფო დავთრს ქაითბს თბილისის მხარის აღწერის დროს სახელმწიფოს მიერ დანიშნულ პირს მუს-



ტავა რუპის, რომლის მოვალეობას შეადგენს მოსახლეობის აღწერაში მისი მიღება. ფირმანი მას მოუწოდებს, რომ თბილისში გაჩერდეს და აქვე დაიდონ ბნა, ხოლო როდესაც ფირმანი აღნიშნულ პირამდე მიაღწევს, მაშინ შეუძლიათ თბილისიდან აიყარონ და ერევნისკენ გაემართონ. ფირმანიდან ჩანს, რომ იგი დანიშნულია ერევნის ციხის მცველად, ცნობილი პირია, რომელსაც ვეალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის აღწერაში. მისი საქმიანობა საკმაოდ გახმაურებულია და აღიარებული. საამისოდ საგანგებო ფირმანიცაა გამოსახული. ამ ფირმანით მას უდასტურდება გარკვეული სარგო-გასამარჯელო, რომელიც ებოძა კიდევ. იგი ვალდებულია ამ სარგოთი დაკმაყოფილდეს.

ამრიგად, ქვემოთ მოტანილი ორი ფირმანი საინტერესოა ქართლში ოსმალთა შემოღების პირველი პერიოდის შესასწავლად. პირველსავე წლებში მათი ხელისუფლება ინტენსიურად ცდილობდა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური იმპერიუტეტების დამკვიდრებას. ეს ფირმანები უთუოდ ხელს შეუწყობს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობაში უფრო ღრმად ჩაწვდომის საქმეს.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი (ფ. 1. არქ. ერთ. 18380. ფ. 1)
ის ალაპი (შეეწოოს)

განდიდებულთა და წარჩინებულთა შორის უპირველესს, არზრუმის საბაჟოს ემინს, ვეკილ² ილჰაჯ ოსმანს, იმატოს მისმა სიდიადემ, როდესაც სამეუფეო დეკრეტი მოაღწევს, ეცნობოს შემდეგი: იმის გამო, რომ მოხდა სასიამოვნო ფაქტი და თბილისის ციხე დაპყრობილი და აღებული იქნა და ჯებეჯიებ-ს³ ხელთაა, ჩემი ბედნიერების სხივმოსილ კარიბჭეში ვბრძანებ, ტრაპიზონის ნავსადგურისაკენ გაგზავნილი ჯაბახანას⁴ საბრძოლო შეჭურვილობა ტრაპიზონიდან ყარსს გაიგზავნოს, ტრაპიზონის საბაჟოს ემინის მოხერხებულობით და საქმიანობით დაიტვირთოს და ყარსში წავიდეს. მიაღწევს თუ არა ხსენებული აღჭურვილობა ყარსს, იმის გარდა, რაც ყარსის ციხეში გადაიზიდება, თბილისის ციხეში ჩვეულებისამებრ საჭირო გასამარჯელოდ გასაგზავნად ჯაბახანას აღჭურვილობა ურმეზუხე დაიტვირთოს. რადგან ჩემი ფირმანი არსებობს, სახელმწიფო ხაზინის ქონებიდან გაცემის პირობით საჭირო რაოდენობის გამოწვევი ძალისათვის მოხერხებულობა გამოიჩინე, თადარიგი დაიჭირე და ხსენებული აღჭურვილობა სახედრებით სასწრაფოდ დასახელებული ციხისაკენ გადაიზიდინე, გააგზავნიე და ჩააბარებინე. შენ რომ შემოხსენებული ოსმანი ხარ, იმატოს შენმა სიძლიერემ, იდილოს შენმა სახელმა, ჩემი ბედნიერების დედაქალაქიდან გამოგზავნილი ფირმანის თანახმად, როდესაც ჯაბახანას აღჭურვილობა ტრაპიზონიდან ყარსში გადაიტანება, ყარსიდან დაუყოვნებლივ და შეუჩერებლად თბილისში გადასატანად რაც კი გამოწვევი ძალა იქნება საჭირო, სასწრაფოდ მოამზადებინე და დაატვირთვინე. ცნობილი კარის მიერ ხსენებული ციხის დასაცავად დანიშნულ ჯებეჯიებთან მგზავრობის დროს მოხერხებულობით, ვილაიეთის მოსახლეობით და ყარსის მუთესელემის მიერ გამოყოფილი ადამიანებით კარგად იყვენ და ცალკე. ერთი დღით ადრე უვენებლად და მშვიდობიანად თბილისის ციხეში ჩასასვლელად და იმათთვის გადასაცემად, ვინც დაპყრობის სამსახური გასწია, დიდი გულმოდგინება და ზრუნვა გამოიჩინონ. ხსენებულ ციხეში შესვლა, აღჭურვილობის ერთი დღით ადრე ადგილზე ჩაბარება მნიშვნელოვანი და აუცილებელი რად-



გან არის, საჭირო გამწევი ძალის მომზადებას და გადაზიდვას დიდი მანძილზე და ყურადღება აღმოეჩინოს. ხსენებული სურსათის ყარსიდან თბილისში გადასატანად რამდენიც იქნება საჭირო, სახედარი და მასში ფასი რაც შეიცემა, ამის დაანგარიშების დროს, აღრიცხვის ჩატარებისას შარიათის⁷ ჰუჯეთი შეადგინონ. ამ პატიოსან ჩემს ბრძანებასთან ერთად გახსოვდეთ, რომ ხსენებული აღჭურვილობის გადატანისას დაყოვნებას ერიდონ და ფრთხილად იყვნენ და გადასაზიდვად მისაცემი ფასის თაობაზეც ძალიან ეცადონ და იზრუნონ. სახელმწიფო ზაზინაში ფასი რომ იქნება დაანგარიშებული, მთლიანად მზად იყვნენ. ზაზინაში რალაცნაირად ფასის დაანგარიშების პირობით ამას წინათ ჩემი დედებული ფირმანი გამოვიდა იმის შესახებ, რომ რაც ბოძებულია, ყველაფრის გადატანას და გაგზავნას ძალზე ეცადონ. ვბრძანებ, როდესაც ეს პატიოსანი ჰუჯეი მოაღწევს, ნათქვამის მიხედვით დიდებულ პატიოსან ბრძანებას აუცილებლად დამორჩილდნენ და საჭირო გულმოდგინებით და გამგონობით იმოქმედონ. წინააღმდეგობისაგან თავი შეიკავონ. ასე იცოდენ, პატიოსან ნიშანს ენდონ.

დაიწერა შვეალის 15-ს, წელი 1135⁸,
ლეთივდაცულ კოსტანტინეში.

ასლი დედანთან სწორია, გადაწერა ალაჰის გლახაკმა, იდილოს მისმა სახელმა, მეჰმედ ემინმა, ქალაქ არზრუმის ყადიმ, შეუდლოს უფალმა:


თბილისის ციხისათვის გამოყოფილი ჯაბახანას აღჭურვილობისათვის არზრუმის საბაყოს ემინის ვეჭილი ოსმანი დაინიშნება, იმატოს მისმა სიდიადემ. აღასეიდ ვაჰიდე..... ძე მუსტაფა.

هـ

(1) قسوت الاماچد و الاعيان ارضروء كمرکى امينى و كيملى انچاچ
عثمان زيد مجده توقع رفيع همايون واصل اوليچق معلوم اولوا
که لطع اولنديقى فتح و تسخيرى مشير اولان تقليس قلعہسى
جيهجندہ موجود بولنمق ا وزره استانه سعادتده سنای اوله
طره بزون اسکلهسنه ارسال اولنان مهمات جيهخانه

(2) طره بزوندن قارصه وارنجه طره بزون كمرکى امينى معرفتيه
و کارياره تحمیل و قارصه ارسان فرمانم اولوب قارصه وار
دقدد مهمات مزبور و بوندن غيرى قارصر قلعہسنده نقل اولنه
حق مهمات جيهخانه نك دخي تقليس قلعہسى نقللرى ايچون معتاد
اوزره اقتضا ايدن اجر تارى عربہ کره اولان

(3) ا موال ميريدن و برلمك شرطيه قدر كفایه لازمی اولان
مكاريلرى سنكى معرفتكه تدارك و مهمات مزبور مكاريلر يله
عجانته قلعہ مزبوره نقل و ارسال و تسليم ايتدرلمك فرمانم
اولمغله سنكى مومى اليه عثمان زيد مجده سن انشا اولندوغى
استانه سعادتندن كرندير بلان فرمان جيهخانه



ფ. 1/არქ. ერთ. 2515


თურა¹⁰: აჰმედ შაჰი, იმეჰმედ ხანის ძე¹¹, მუდამ გამარჯვებული
წერილთა შემდგენელო, კანცელარიის მუშაკთა ნიმუშო, საყრდენო სიტყვისა და კალმის ხელოვნებისა, სამეუფეო დავთრის¹² ქათიბთაგანო¹³. ამას წინათ თბილისის მხარეში აღწერის სამსახურში დანიშნულ მუსტაფა რუჰი, იმატოს შენმა ღირსებამ. როდესაც მოაღწევს უმალღესი სამეუფეო დეკრეტო, მაშინ ცხადი გახდება, რომ შენ ზემოხსენებული პირი ხარ. რადგან ამჟამად თბილისში გაჩერება და ცხოვრება აუცილებელია, როდესაც ჩემი პატიოსანი ბრძანება მოაღწევს, აიყარეთ, ერევნის ციხეს მიადწიეთ, კეთილშობილი ვეზირის უმალღესი მრჩევლის სამყაროს მომწესრიგებელის, ამჟამად ერევნის ციხის მცველის ჩემი ვეზირის ილაჯ რეჯებ ფაშას, ღმერთმა ხანგრძლივ ჰყოს მისი სიდიადე, მონღომებით დანიშნული აღწერის სამსახურს მთელი მონღომებით რომ შეუდგეთ, ამის შესახებ დიდებული ფირმანია გამოსული. ვბრძანებ, რომ, როდესაც მოაღწევს, ამ საქმეში, დაწერილის შესაბამისად,



პატიოსან ფირმანს დამორჩილდნენ, დაუჯერონ და გამგონობით წინააღმდეგობისაგან თავი შეიკავონ და ერიდონ. ასე იცოდენ, პატიოსან ნიშანს ენდონ.

დაიწერა ზილ-ჰიჯეს მიწურულს, წელი 1137¹⁴.
ღვთივდაცულ კოსტანტინეში.
რუჰი ბეგისადმი [ბოძებული] ფირმანია.
დაიწერა რუჰის თანამშრომლობით, იმატოს მისმა სიძლიერემ.

- (1) قدوت ارباب التحریر و القام عمدن اصحاب التقرير و
الرقم دفتر حاقانی کاتبانندن اولوب بوندن اقدم
تفلیس طرفنده تحریر حزمته تعیین اولنان مصطفی روحی زید
قدرت توقیع رفیع همايون واصل اولیجق معلوم اولاکه سنکه
- (2) مومی الیه سن شمدیکمه حالده تفلیسده مکث و اقا متک لزومی
اولمغه ایشبو امر شریفم وسوانده قالقوب روان قلمه سنه واروب
دستور مکرم مشیر مفخم نظام العالم حالاً
- (3) روان قلعه سی محافظی اولان وزیرم الحاج رحب پاشا ادام
الله تعالی اجلاله معرفتیه تعیین ایلدو کی تحریر حزمته
قیام و بزل اهتمام ایلمک باینده فرمان عالیشانم
- (4) صادر اولمشدر بیوردومکه
- (5) وصول بولدقده بو باده وجه مشروح اوزره شرفیاته صدور
اولان فرمان واجب الاتباع و لازم الامثالک مضمون اطاعت مقرونیه
عا مل اولوب خلانندن بغایت احتراز و اجتناب ایله سن شویله به
سن علامت شریفه
- (6) اعتماد قیله سن تحریراً فی اواخر ذی الحججه سنه سبع و
ثلثین و مایه و الف
قسطنطنیه المحروسه م
روحی بک فرماندر
تحریرات مامور روحی زید قدرت



Handwritten text in Georgian script, appearing to be a letter or a document. The text is very faint and difficult to read due to the quality of the scan and the age of the paper. It consists of several lines of cursive writing.

1) ემინი — ნდობით აღჭურვილი პირი, რწმუნებული, რომელსაც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. მაგალითად, ზარაფხანის ემინი ფულის მოჭრას უწევდა კონტროლს, ჯიზიას ემინი — ჯიზიას გადასახადების გაწერასა და აკრფას, მადენ ემინი — მადნეულის მოპოვებას. იყვნენ საბაქოს ემინი, ლენის ემინი და სხვ. ემინის სხვადასხვა ამბულაში არსებობის შესახებ. იხ. Z. Karamursal. Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler. 1940. Ankara, გვ. 132. Nikoara Beldiceanu. Recherche sur la ville Ottomane au XV siècle. Etude et Actes. Paris. 1973. გვ. 63—73.

2) ვექილი — გარკვეულ საქმეთა გამგებელი, მოხელე, რწმუნებული, წარმომადგენელი, ზედამხედველი, მფარველი, დამცველი (გ. წერეთელი. არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., გვ. 292). ვ. გაბაშვილის განმარტებით, «ვექილი ეწოდებოდა შაჰის რწმუნებულს, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფალს შორის, რომლის კარზეც ის სავანგებო დავალებით იყო წარგზავნილი. შარდენის სიტყვით, ყველა მმართველი და ოლქის სხვა დიდმწიფე მოვალე იყო თავის კარზე ჰყოლოდა აგენტი, რომელსაც ვექილს ეწოდებდნენ. ვექილებს, ირანის სახელმწიფოს მოთხოვნისთანავე, უნდა მიეწოდებინათ საქირო ცნობები ხელისუფლების სავამგეო ოლქში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. ვექილის სამოხელეო ფუნქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ვეზირისა. მეფეალყურე ვეზირის მსგავსად, ვექილსაც შაჰის ინტერესების დაცვა ევალებოდა. ვექილი იყო ირანის შაჰის მოხელედ ირანის შაჰისავე მოხელესთან» (ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს. თბ., 1958, გვ. 392—393).

3) ჭებეჯი — შეიარაღებუი, მებაჯრეები, ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. მათ მოვალეობას შეადგენდა იარაღის დამზადება, მისი დაცვა. გადახდა და განაწილება. ჭებეჯიების მეთაური იყო ჭებეჯი ბაში. იხ. Z. Karamursal... გვ. 130. 148 I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. II. 1944. Ankara. გვ. 3—30.

4) ჭებეჯანე (ჯაბახანა) — «ჯაბა», «ჭებე» — ჯავშანი) — საომარ მასალას ჯავშანიარაღსა და მათ საწვობს ეწოდებოდა. ჯაბახანა ეწოდებოდა სტამბოლისა და სხვა ქალაქების არსენალებს, აგრეთვე ციხეების იარაღისა და საომარი მასალის საერთო სახელი იყო. ასევე ეწოდებოდა იმ საომარ მასალას, რომელიც ლაშქრობაში თან მიჰქონდა ჯარს (ევლია ჩელები. «მოგზაურობის წიგნი», ნაკვ. II..., გვ. 174).

5) ფირმანი — ბრძანება, განკარგულება, წერილობითი დოკუმენტი, გაცემული უმაღლესი კარის მიერ, გარკვეული კატეგორია ოფიციალური დოკუმენტისა.

6) მუთთესელიმი — ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის — ვალის თანაშემწე, რომელიც ხელმძღვანელობდა გადასახადების აკრფას.

7) შარიათი — მუსლიმური სამართალი, კოდექსი, რომლის საფუძველსაც ემყარებოდა ოსმალეთის სახელმწიფო. მუსლიმთა რელიგიური წესები და კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობდა უმაღლესი რელიგიური სასამართლო.

8) ჰუჯეთი — სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ამა თუ იმ პირს უღასტურდებოდა საკუთრების უფლება უძრავ, ფულად და სხვა ქონებაზე.

9) 1135 წლის 15 შევეალი — 19.7.1723 წელი.

10) თულრა — სულთნის მონოგრაფია, რომელსაც სულთნის სახელით კანცელარიიდან გამოსული ფირმანის, ბერათის, «სებები თაპირი ჰუქმის» თავში გამოიყვანდა სპეციალური მოხელე — ნიშანჯი. თულრაში იკითხება ამა თუ იმ სულთნის სახელი, ამის სახელი სათანადო ტიტულითა და ეპითეტებით. იხ. ს. ჯიქია. XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. — თსუ შრომები, № 91, თბ., 1960. გვ. 169—170.

11) აჰმედ შაჰი, მეჰმედ ხანის ძე — სულთან აჰმედ III (1703—1730).

12) დავთარი — წიგნი, საანგარიშო — სააღრიცხვო დავთარი, დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ანგარიში გარკვეულ სფეროში. დავთარი დგებოდა ოსმალეთის ყველა უწყებაში.

13) ქათიბი — მწერალი, გადაწერი, მდივანი, სხელმწიფო დაწესებულებათა კანცელარიის მოხელე.

14) 1137 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1725 წლის 9 სექტემბერი.

Н. Н. ШЕНГЕЛИА

ДВА ТУРЕЦКИХ ФИРМАНА О ТБИЛИСИ

Резюме

Публикуются два турецких фирмана, хранящихся в отделе рукописей Народной библиотеки имени Кирилла и Мефодия г. Софии. Документы касаются фактов установления господства турок в Картли и датируются 1723 и 1725 годами. В одном из них речь идет о доставке продуктов в Тбилиси, в другом — о проведении переписи населения.

N. SHENGELIA

TWO TURKISH FIRMANS ABOUT TBILISI

Summary

Two turkish firmans kept in the department of manuscripts of Cyril and Mephodius Public library in Sophia are published.

The documents concern the facts of establishment of domination of Turks in Kartli and are dated back to 1723, 1725 years. In one of them the question is about delivery of food supplies to Tbilisi, in an other document,—about holding of census of population.

ცისნა აბულაძე

ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი

ქრისტიანთა გამაჰმადიანება უძველესად რთული და მძიმე ფსიქოლოგიურ-სოციალური პროცესი იყო. მაჰმადის სჯულის აღიარების წესი კი ამ სირთულის ფონზე ძალიან მარტივად გამოიყურება. საკმარისი იყო უცხო სარწმუნოების პირს რამდენიმე მუსლიმის თანდასწრებით ყურანის ენაზე სამჯერ წარმოეთქვა — „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი მოციქულია“, რომ იგი მაჰმადის სჯულს მალიარებლად ეცნოთ¹. სამაგიეროდ, ასე „იოლად“ გამაჰმადიანებული პირი, თუ მოინდომებდა ქრისტიანული სარწმუნოების წიაღში დაბრუნებას, სასტიკად დაისჯებოდა. მას დააპატიმრებდნენ და, ვიდრე „გონს არ მოეგებოდა“, ციხეში გამოკეტავდნენ². ამრიგად, მაჰმადის სჯულს მიღება შეუქცევადი ფაქტი იყო.

თურქების მიერ დაპყრობილი ბალკანეთის ქრისტიანი ქვეყნების ქალაქებში „ურწმუნოთაგან“ ისლამის აღიარება პრაქტიკულად ხდებოდა ქალაქის მასშტაბით საგანგებო სხდომებზე, მუსლიმური ჯამათის (მუსლიმური ჯამათები ფიქსირებულია თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დავთარში³) პატივდებული წევრების თანდასწრებით.

ქრისტიანთა გამაჰმადიანების თაობაზე დოკუმენტური წყაროებით შემავრუბლ ამ ტრადიციულ ცოდნას ახალი ინფორმაციით ავსებს ქ. ტუბინგერის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული № 1488 ოსმალური ხელნაწერი წიგნი, გადაწერილი 1739 წელს. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. იგი შეიცავს ცხრა ოსმალთა ავტორის სხვადასხვა ეთიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებას⁴. მათ შორის XVIII ს-ის I ნახევრის ოსმალთა პოეტის აჰმედ ქელიმის

¹ Петрушевский И. П. Ислам в Иране в VII—XV веках. М., 1966, с. 63.

² Турски документи за македонската историја 1818—1927. 1957, с. 8.

³ Желязнякава А. Некоторые аспекты распространения ислама на Балканском полуострове в XV—XVIII вв. Османская империя. М., 1986, с. 114.

⁴ კრებულში 267 ფურცელია, ტექსტი დაწერილია სხვადასხვა ქალაქზე ორი განსხვავებული ხელით — გამოყვანილი კალიგრაფიული და გუხუმოვნილი წერილი ნასხით. კრებულში შესულია ეთიკურ-მორალისტური შინაარსის სუფიური თხზულებები, კერძოდ, 1. სულიმან ნაიფის (გარდაიცვალა 1728 წელს), 2. შაჰ იბრაჰიმ შაჰის (გარდაიცვალა 1772 წელს), 3. სადიკი პელაჯი-ზადე მეჰმედ ეფენდის (XVII ს-ის ავტორია) დიდაქტიკური ლექსები და სუფიურ-ეთიკური მესნევი, 4. ბაღდადი აზიზ მეველი შაჰის 1737 წლის დარიგებები, 5. სეჰიდის (ცხოვრობდა XVII ს-ის მეორე ნახევარში) ხანიფიკური კატეხიზმი და ეთიკური ლექსები, 6. იაჰია ბეგის მორალისტური თხზულებები راجعاً



ისტორიული შინაარსის ყასიდები, დარიგებები, ფეთვები, არზა შეიხ-
ლამთან, არაბული სხარტი გამონათქვამები და, კატალოგის შემდგენლის
პ. გოტცის განსაზღვრებით, „ისლამური სარწმუნოების უმოკლესი მონახაზი“,
რომლის ერთი ნაწილი ქართულ ენაზეა, მაგრამ ჩაწერილია არაბული გრა-
ფიკული ნიშნებით.

წიგნი ჩვენი მხედველობის არეში მოექცა ხელნაწერთა ინსტიტუტში და-
ცული ადგ-ლობრივი კოლექციის თურქულენოვანი ხელნაწერების კატალოგის
შედგენაზე მუშაობისას. მისდამი ინტერესი უპირველესად აღძრა ქართული
ტექსტის არაბიკათი გადმოცემის ფაქტმა. ზაქმე ის არის, რომ ჩვენამდე მოღ-
წეულია სხვადასხვა ენარის ბევრი თურქულენოვანი თხზულება, დაწერილი
ქართული ასო-ნიშნებით, რომელიც საუკეთესო წყაროა მრავალმხრივი ლინ-
გვისტური კვლევისათვის (გაცილებით მეტია, როგორც ენარობრივად, ისე
რიცხობრივად, სომხური, ებრაული, ბერძნული და სლავური გრაფიკებით
ჩაწერილი ოსმალური ტექსტები). ქართული ტექსტის არაბიკათი გადმოცემის
ფაქტი კი იშვიათია. ჩემთვის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი — დიდ-
ვეზირის გურჯი მეკმედ ფაშას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლო
წერილის ქართულად დაწერა არაბული გრაფიკით.

1988 წლის ზაფხულში ქ-ნ ელენე მეტრეველისა და ცნობილი ქართვე-
ლოლოგის იულიუს ასფალგის ხელშეწყობით მივიღე აღნიშნული ხელნაწერი-
დან სასურველი 4 გვერდის ქსეროპირი. მასზე სათაურით **تفاح احد كليب**
— თქვა აჰმედ ქელიმიზ* აღმოჩნდა გამაჰმადიანების ოსმალური წესი, ქართული
ტექსტი კი გამოდგა ამ წესის საილუსტრაციო ნაწილი*.

აჰმედ ქელიმის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ გამაჰმადიანების (არ ჩანს ძა-
ლით თუ ნებით) მოსურნე ქრისტიანს უნდა ეთქვა ალაჰის ერთადერთობის,
ერთღვთაებრიობის ანუ „თევზიდისა“ და ისლამის აღიარების ანუ „შეჰადეთის“
ფორმულები, შემდეგ კი იგივე ტექსტი უნდა წარმოეთქვა მშობლიურ ენაზე.
თურქ ავტორს გამაჰმადიანების ეს წესი ნაჩვენები აქვს ქართველის მაგალით-
ზე. იგი წერს: „ცნობილია, რომ ქაფირი, რომელსაც სურს წმინდა ისლამით
გაბატონდეს, წარმოთქვას (ერთი ღმერთის არსებობისა) თევზიდისა და
(ისლამის აღიარების) შეჰადეთის სიტყვებს. შემდეგ აღმსარებელმა პირმა საჰი-
როა, ისლამის ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარების აღნიშნული სიტყვები
წარმოთქვას თავის მშობლიურ ენაზეც. მაგალითად, ისლამის მალარებელმა

ს. ბაის ლაზელები. 106r-დან 134v-მდე კი არის აჰმედ ქელიმის თხზულებები. კრებული აღ-
წერილია მანფრედ გოტცის მიერ. აქ მოტანილი ცნობები მის მიერ შედგენილი კატალოგი-
დანაა ამოღებული. იხ. Manfred Götz. Türkische Handschriften, T. 2, Wiesbaden,
1968, № 41, 102, 128, 181, 199, 206, 211, 292, 383.

* დაახლოებით 10 წლის წინათ ფელეატიულ გერმანიაში მცხოვრებმა ბერძენმა თურქო-
ლოგმა თეოდორიტისმა სერჯი ჩიქიას გამოთვზავნა არაბული ანბანით დაწერილი ქართული
ტექსტი — სულ რამდენიმე სტრიქონი და მისი თარგმნა სოხოვა. ბ-მა სერჯიმ ჩვეული თავა-
ზიანობით შეასრულა თხოვნა და ადრესანტს თარგმანთან ერთად დაუბრუნა გამოგზავნილი
ტექსტიც. მერე კი დარღობდა — ნეტა გადმომიწერა და ჩემთვისაც დამიტოვენიწო. მაგრამ
გვიან იყო... რატომღაც თეოდორიტისთან მიწერ-მოწერაც შეწყდა. ისე რომ ბ-მა სერჯიმ დღემ-
დე არ იცის, მიიღო თუ არა ბერძენმა კოლეგამ მისი წერილი.

ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესის ქართული ნაწილი სწორედ ის ტექსტი
აღმოჩნდა, რომლის გარკვევა სოხოვა თეოდორიტისმა ბ-ნ სერჯის, ამიტომაც წინამდებარე
სტატია მოხსენების სახით წაითხულ იქნა 1988 წელს ოქტომბერში გ. წერეთლის სახელობის
აქროსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში აკად. სერჯი ჩიქიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი
მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.



ქართველმა კაცმა უნდა თქვას, რომ...„და მოაქვს თევზიდისა და ქართული ტექსტი, ჩაწერილი არაბული ანბანის ნიშნებით. ასოებშია საგულდაგულოდ გაშლილი ნასხრით და აკურატულად უზის ხმოვნის ნიშნებზე. 20-მდე სიტყვასა და წინადადებას ქვემოთ უფრო წვრილი ასოებით აქვს მიწერილი სათანადო თურქული თარგმანი. ამგვარად შესრულებულ ქართულ ნაწილს მოსდევს „თევზიდისა“ და „შეჰადეთოს“ ოსმალური ტექსტი: „არ არის ღვთაება თვინიერ ალაჰისა და მუჰამედი ალაჰის მოციქულია. ვამტკიცებ, რომ მაღალი ალაჰი ერთია და მუჰამედი მისი მონა და მოციქულია. ალაჰის გარდა ღვთაება არ არის. ჩვენი წინასწარმეტყველი მუჰამედი, იყოს მასზე მშვიდობა, არის ალაჰის მსახური და ამავე დროს მოციქული. ჩვენი წინასწარმეტყველი იესო, იყოს მასზე მშვიდობა, ალაჰის მონაა და ამასთანავე მისი მოციქული. დედა მარიამი ალაჰის მონაა და თან მხეველი მისი. ჯანვზორდი ფუჟ სარწმუნოებას და მივიღე ისლამის სჯული. ვირწმუნე დიდი იმამის მოძღვრება“. მას მოსდევს ყურანის პირველი სურას სახელი „აჰ და არაბული ფრანზა **ص ۱۶۱** — 'ალაჰ დაილოცე'.

სრული დამთხვევა ქართულ და ოსმალურ ტექსტებს შორის არ არის. როგორც მოსალოდნელი იყო, მათში მოცემულია ისლამის მოძღვრების დოგმატიკური საფუძველი, მისი იდეური საყრდენი და არაფერია ნათქვამი დანარჩენ ოთხ საფუძველზე — სალავათის, საურის, ზაქათისა და ჰაჯის სახელით ცნობილ რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და ვალდებულებებზე. ეს არის ისლამის მიღების დროს წარმოსათქმელი შეჰადეთის ტექსტი. ქართულ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ისლამის ძირითად თეორიულ დოგმაზე — ერთღვთაებრიობაზე და შესაბამისად გავრცობილი სახითაა მოცემული „თევზიდის“ ფორმულა. ხოლო მუჰამედის წინასწარმეტყველური მისია თითქმის დავიწყებულია. უფრო მეტიც, თავგზააბნეული ქართველი სიტყვა „მოციქულს“ უზენაესის მნიშვნელობით ხმარობს და ღმერთს განსაზღვრებად წაუმძღვარებს ხოლმე. იგი „ალაჰის“ ნაცვლად ამბობს „მოციქული ღმერთი“, რითაც იმთავითვე მიუტყეველ შეცდომას სჩადის: — „მოციქული ღმერთი ერთი არი. იმის მეტი ღმერთი არ არი. მოციქულ ღმერთსა ტოლი არა ყავს, წორი არა ყავს, არავეს არა გავს. არავენც იმასა გავს. არას ჩაიცვამს, არასაც ქამს, არასა სვამს. დედა არა ყავს, მამა არა ყავს, ცოლი არა ყავს, შვილი არა ყავს. ვაჟი არა ყავს, ქალი არა ყავს. არც ეკადრება. მოციქული ღმერთი ცაში არ არის, ქვეყანაში არ არის, ზეით არ არის, ქვეით არ არის, წინ არ არის, უკან არ არის. მარჯვნით არ არის, მარცხნით არ არის. როგორ იქნება, რომა ცა და ქვეყანა ცადაქვეყანაშია. ცა და ქვეყანას შუვა რაც რომ არის, იმან გააჩინა. იმის მეტი გამჩენი არ არის“⁵.

ისლამის მონოთეისტური მოძღვრების თანახმად, „არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა“, სხვათა არსებობის გაფიქრებაც კი მძიმე დანაშაულია. ყურანის მთავარი იდეა არის ალაჰის ერთადერთობა, მისი აბსოლუტურობა. ყურანი უარყოფს ქრისტიანული სარწმუნოების სამების ერთარსებას; ერთარსება სამებისა შას მიაჩნია მრავალღმერთიანობის აღიარებად — **۱۶۹** ამბობთ სამი, თავი შეიკავეთ“ (მეთთხე სურა, 169, 171 მუხლი)⁶; მისთვის „ქრისტე, ძე

⁵ შურა: ყურანი, 112 სურა „ჯანწმენდა“ Коран. Перевод и комментарий Н. Ю. Крачковского, М., 1963, с. 489.

⁶ იქვე, გვ. 88.



მარიამისა, არის მხოლოდ მოციქული ალაჰისა“. ამის კვალობაზე ქრისტიანობის დამგმობ, მაჰმადის სჯულის მალიარებელ ქართველს ათქმევიწინებდა და „მარიამი, იმისი შვილი იესო მოციქულ ღმერთმა გააჩინა, დედისგან მოციქული ღმერთის მსახური არიან. მოციქულ ღმერთმა იესუსა ცნობა მიცა წმიდათ ვაჩინა“. შდრ. ყურანის ქვეთხე სურა, 169 მუხლი⁷ — „ქრისტე, ძე მარიამისა, მხოლოდ ალაჰის მოციქულა და მისი სიტყვა, რომელიც დაუგდო მან მარიამს“. ამრიგად, ყურანი იმეორებს სახარებას და ქრისტეს ჩასახვას ღმერთის სიტყვას მიაწერს, აქედან წარმოდგება ქრისტეს ეპითეტად **و كلمه الله** „სიტყვა და სული ალაჰისა“⁸.

ყურანისგან განსხვავებით, „თევზიდის“ ქართულ ნაწილში მარიამი წმინდანად მოიხსენიება, ხოლო ქართველის სჯულს (ტექსტში შეცდომით „ქვერთელის“ წერია) უპირისპირდება თათრის სჯული, როგორც ქრისტიანულ სარწმუნოებას მაჰმადიანური: „მუჰამედი ჩვენი წმინდა ადამიანი არი, მოციქული ღმერთის მოსამსახურე არი. იმის ჯული რომ თათრის ჯული ხარის, სუფთა არის, წმინდა არის, მოციქული ღმერთის რჩეული არის — დავიჯერე. ქვერთელის რჯული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ბილწი იყო, ეშმაკის რჩეული იყო — დავადე“. ეს არ არის ქართველისა და ქრისტიანის სინონიმური მნიშვნელობით ხმარების იშვიათი შემთხვევა. ცნობილია, რომ უცხო თესლის ბატონობის დროს სარწმუნოება ეროვნული შინაარსით იტვირთება. გამაჰმადიანებულ აჭარაშიც „ყველაფერს ქრისტიანულს ქართული ერქვა სახელით“⁹. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ქრისტიანული სარწმუნოების წიაღში დაბრუნებას აქ „გაქართველებას“ უწოდებდნენ¹⁰.

სულიერ ღირებულებათა რთულ კომპლექსში ეთნიკურ და რელიგიურ გრძნობებს თანაბარი ადგილი ეჭირა. პიროვნების შინაგანი მხნობრივი კრიზისისა და კონკრეტული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ხდებოდა ხოლმე მათი დაცელება. მაგრამ ეროვნული გრძნობა უფრო მდგრადი იყო და სძლედა რელიგიურს. XVIII ს-ის ერთი ოსმალური საბუთი გვამცნობს, რომ თურქთაგან დაპყრობილი ახალციხის რაიონის სოფ. მამაქიხეთში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველს, ვინმე დავითს, უარი უთქვამს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, რაც მას თიმარის — მამულის დაკარგვის ფასად დაუჯდა (ანალოგიური შინაარსის სხვა ცხევრი დოკუმენტია ჩვენს სიძველეთსაცავებში შემორჩენილი¹¹).

გამაჰმადიანება იყო უაღრესად მძიმე ფსიქოლოგიურ-სოციალური მოვლენა, ნაკარნახევი პიროვნული თვისებებითა და სოციალური მოტივებით. ნაჰმადიანდებოდნენ უპირატესად მაღალი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მემკვიდრეობითი სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობათა დასაჭერად. ტრტულების მისაღებად (შდრ. ვახუშტი, სამცხეში „მთავარნი და


⁷ Коран, გვ. 88.

⁸ იქვე.

⁹ Казбег Г. Н. Три месяца в Туреккой Грузии. — ЗКОИРГО, кн. X, вып. I, Тифлис, 1876, с. 32.

¹⁰ ზ. კიკინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათუმი, 1912, გვ. 198.

¹¹ ვ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქულ დოკუმენტთა კოლექცია Turd 152, 232, სტია Ar Turd 62 და სხვა.



წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი¹²). ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც ოფიციალურად სჯულშემოყენებლობით და¹³, ბეგის ტიტული მხოლოდ გამაჰმადიანებულებს ეძლეოდა. მაჰმადიანდებოდნენ უპირველესად მამაკაცები. თჯახს ქრისტიანობას, ისევე როგორც წმობლოურ ენას, აშკარად თუ მალულად, უნარჩუნებდა ქალი, დედა, რომელიც უპირატესად ქმარ-შვილის ზნეობრივი სიმამლისა და სულიერი სათნობისათვის იღვწოდა და არა მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

ჩვენ არ ვიცით აჰმედ ქელიმის მიერ ფიქსირებული წესით მაჰმადიანდებოდა „სალეთო ომებასა“ და „ტყვეთა სყიდვის“ მანე ინსტიტუტის შედეგად ოსმალეთში მონად გაყიდული ქართველი თუ „პატივისათვის ნებით“ ოსმალთაგან ინკორპორირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები დიდგვაროვანი*. ერთი კია: ჩვენში, ოსმალური მხალი არ დაპირისპირება ქრისტიანულ საჩუმეობებს. თურქთაგან „შემოთავაზებული“ გამაჰმადიანების ოფიციალური ფორმის ნებაყოფლობითი იყო. სინამდვილეში გამაჰმადიანება თითქმის აუცილებელ პირობად ედო ოსმალურ ეკონომიკურ რეჟიმს, სამხედრო-ლენერ სისტემას. მას კი ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიაში ზანგრძლივად თუ დროებით მოხედრალი ყველა ქვეყანა, მათ შორის ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად სამცხე-საათაბაგო, აჭარა და ოსმალობის დროინდელი ქართლი. და მაინც, XVI—XVIII სს. საქართველოში ოსმალური კულტურულ-იდეოლოგიური პროპაგანდა არ წარმართულა საგანგებო ოფიციალური აქციებით — აქ კანტი-კუნტად ჩანან დერევიში მისიონერები, რომლებიც ასე მასობრივად მოედვენ ბალკანეთის ქვეყნებს; არ შექმნილა ვაკუუმები და სავაკუუმო კომპლექსები, აჭარაში მხოლოდ თანზიმათის პერიოდში (XIX ს.) ჩნდება სავაკუუმო მამულები და ისლამური სკოლები¹⁴. დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, პარხალსა და მურღულში მცხოვრებნი 1833 წლამდე ქრისტიანები იყვნენ¹⁵. სამცხესა და აჭარაში გამაჰმადიანების პროცესი ინტენსიურად წარიმართა XIX ს-ში, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ რუსეთის დამკვიდრებამ კავკასიაში, მეორე მხრივ კი მომთაბარე თურქმანებისა და გამაჰმადიანებული ქურთების დეპორტაციამ ამ მხარეში.

გამაჰმადიანების ოსმალური წესის თაობაზე აჰმედ ქელიმის მიერ მოწოდებული ცნობა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი მომენტია გამაჰმადიანების რთული პროცესისა. ქრისტიანის ნებაყოფლობითი გამაჰმადიანების თურქული წესის ოპტიმალური მოდელის აღდგენა შესაძლებელია ბულგა-

¹² Весела З. К вопросу о положении христианской церкви в Османском государстве. Османская империя — государственная власть и социально-политическая структура. М., 1990, с. 118—131.

* 1703 წელს ანდუყაფარ ამილახორმა, გვი ამილახორის ძემ საკუთარი ნებით მოისურვა გამაჰმადიანება. თბილისშივე „მოიყვანა მოლა, იქნა მოჰმადიანი და წინადაცევა“. ყაზუმტის თქმით, მაჰმადიანობის მიღება და მასთან დაკავშირებული რიტუალები (წინადაცევა) მანამდე მხოლოდ სპარსეთში სრულდებოდა. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 480—481.

¹³ ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლების წინ, XIX ს-ის 70-იან წლებში), ბათუმი, 1960, გვ. 94—100.

¹⁴ Бакрадзе Д. З. Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Акад. Наук в Чорюхский бассейн, Батуми, Арвини и Ардануджи. — Записки Имп. Акад. наук, т. 37, кн. I. СПб., 1892.



ურს და ხშირია გურულშიც¹⁷. „ცუღის“ მნიშვნელობით აქაც სიტყვა „ცუღი“ გამოყენებული.

კატალოგში აღნიშნულია, რომ აჰმედ ქელიმი იყო XVIII ს-ის I ნახევრის ოსმალთა პოეტი და ისტორიკოსი; იქვე დასახელებულია რამდენიმე ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ქელიმის დივანის ხელნაწერი ნუსხები (ჰალე, ლალა ისმაილი და მიჰრი შაჰი)¹⁸. მიღებული საერთაშორისო წესის მიხედვით, კატალოგში მოცემულია დივანის დასაწყისი (ყასიდებია), რომელიც რენეგატის გულმხურვალეობით არის დაწერილი:

وئی دربار اغو برتر حمل شیطانه
ایدر لر ظلم ایماه اولور لر کافر بالله

‘ესენი უკეთურ ადგილად იწოდებიან. ისინი ეშმაკს მიუტოვეს ვფიცავ ალას, გაიურები მოგეგვიან ქეშმარიტ სარწმუნოებას’.

ჩანს; შემდეგაც ისეთი სტრიქონებია, რომ მ. გოტცმა ყასიდების დასასრულად გამაჰმადიანების დროს წარმოსათქმელი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ოსმალური ტექსტის ბოლო ნაწილი მოიტანა შეცდომით¹⁹.

ქვემოთ ქვეყნდება გამაჰმადიანების ოსმალური წესის შემცველი როგორც ქართული, ისე თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და ფაქსიმილეთი. არაბული ანბანით ჩაწერილი ქართული ტექსტი გამართულია თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმების კვალობაზე, ხელნაწერისეული ფორმები კი ჩატანილია სქოლიოში, ხოლო ქართული ტექსტის თურქული შესატყვისები, რომლებიც ცალკეულ ზიტყვებსა თუ წინადადებებს ქვემოთ აქვს მიწერილი, ჩავსვით ფრჩხილებში.

თქვა აჰმედ ქელიმიმ

წმინდა ისლამით გაპატიოსნების მოსურნე ქაფირი ცნობილია რომ წარმოთქვამს თევზიდისა და შეჰანდეთის სიტყვებს. შემდეგ კი აღმსარებელმა პირმა საჭიროა ისლამის ქეშმარიტი სარწმუნოების აღიარების აღნიშნული სიტყვები წარმოთქვას თავის მშობლიურ ენაზეც. მაგალითად, მუსლამის მაღიარებელმა ქართველმა უნდა თქვას — „მოციქული¹ ღმერთი ერთი არი. იმის მეტი ღმერთი არ არი. მოციქული ღმერთსა ტოლი არა ყავს, სწორი² არა ყავს, არავის არა ვავს. არაფერც³ იმასა ვავს. არას ჩაიცვამს⁴, არასაც⁵ ქამს⁶. არასა სვამს⁷. დედა არა ყავს. მამა არა ყავს. არც ცოლი⁸ არა ყავს, შვილი არა ყავს. ვაჟი არა ყავს. ქალი არა ყავს. არც ეკადრება⁹. მოციქული ღმერთი ცაში¹⁰ არ არის. ქვეყანაში¹¹ არ არის; ზეით არ არის, ქვეით არ არის, წინ¹² არ არის, უკან არ არის, მარჯვნივ არ არის, მარცხნივ¹³ არ არის. როგორ იქნება რომმა ცა¹⁴ და ქვეყანა ცა და ქვეყანაშია¹⁵. ცა და ქვეყანა შეუვეა რაც¹⁶

¹⁷ ა. ჩიქობავა, ფერეიდუნის მთავარი თავისებურებანი. — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, XII, თბ., 1926, გვ. 214.

¹⁸ G 5 1 z M. Türkische Handschriften, გვ. 268.

¹⁹ იქვე, გვ. 267.

ტექსტშია: 1. მოწიქული, 2. მორი, 3. მარჯვნივ, 4. ჩაიწვამს, 5. არასან, 6. ჩამს, 7. სვამს, 8. ჩოლი, 9. ვეადრება, 10. ჩაწი, 11. ქვეყანაში, 12. ჩინ, 13. მარცხნივ, 14. ჩა, 15. ქვეყანაშია, 16. რაც.

რომ არის იმან გააჩინა, იმის მეტი გამჩენი არ არის. წმინდა¹⁷ მარიაში, იმის
შვილი იესო მოციქული ღმერთმა გააჩინა. დედა-შვილნი მოციქული ღმერთის
მოსამსახურენი არიან, მოციქული ღმერთმა იესუსა მცნება¹⁸ მიცა¹⁹ წმიდათ²⁰
გააჩინა, მუჰამედი-ჩვენი²¹ წმინდა²² ადამიანი არი. მოციქული ღმერთის მოსამ-
სახურე²³ არი. იმის ჯული რომ თათრის ჯული²⁴ არის, სუფთა არის, წმინდა
არის, მოციქული ღმერთის რჩული არის დაეჭერე²⁵, ქართველის²⁶ ჯული
რომ ბოროტი²⁷ იყო, გონჯი იყო, ბილწი²⁸ იყო, ეშმაკის რჯული იყო დავაგ-
დე²⁹. დასრულდა.

არ არის ღვთაებამ თვინიერ ალაჰისა! მუჰამედი-ალაჰის მოციქულია. ვა-
ლიარღმ, რომ მაღალი ალაჰი ეზოთა და მუჰამედი-მისი მონა და მოციქულია.
ალაჰის გარდა ღვთაება არ არის. ჩვენი წინასწარმეტყველი მუჰამედი, იყოს
მასზე მშვიდობა, არის ალაჰის მსახური და ამავ დროს მოციქული. ჩვენი
წინასწარმეტყველი იესო, იყოს მასზე მშვიდობა, ალაჰის მონაა და ამასთანავე
მისი მოციქული. დედა მარიაში ალაჰის მონაა და თან მხევალი მისი. განვმორ-
დი ფუჰ სარწმუნოებას და მივიღე ისლამის სჯული. დავეთანხმე დიდი იმამის
მოძღვრებას.

დასაწყისი: „ალაჰ დაილოცე!“

گفت احمد کلیمی

- [1] معلوم اولکه شرف اسلاملا مشریف [2] اولماق استین
- کافره کلمه توحیدی و [3] کلمه شهادتی تلقیندن صکره
- ملقن [4] اولان کلمه ملقن مزبوره ایمان اسلام [5] مذکورک
- لسان اوزره احما لا تعبير [6] لازمدر مثلا کورجی اولان کلمه
- [7] ملقن دیمک کرککی
- موچقلى غمرتی [8] ارت اری امس مطی غمرتی ار اری
- [9] موچقلى غمرتسه طولی (اشی) اره قوس چوری [10]
- اره قوس اره وس اره کاوس (کلمه بکره مز) اره ونج [11]
- امسه کاوس (کلمه بکره مز) اراس چایچوس (بر شی کیمز)
- [12] ارسه ساوس (برشی اجمز) دده اره قوس (اناسی یوقدر)
- ماما اره قوس (با باسی یوقدر) [13] چولی اره قوس (عورتی یزقدر)

16. რამ. 17. წმინდა. 18. მცნება. 19. მიცა. 20. წმიდათ. 21. ჩვენი. 22. წმინდა. 23. მოსამსახური.
24. ჯული. 25. დაეჭერი. 26. ქართველის. 27. ბოროდი. 28. ფილწი. 29. დაეგდე.

- شولی آره قوس (اوغلی یوقدر) وازی آره قوس، (یعنی اوغلی یوقدر) [14] کالی آره قوس (قزدن منز یوقدر) ارچ اکر به موچقلى غمزن چاچی ارارس (یعنی کو کده دکلدر) [15] کو قونچی اررس (برده دکل) زیت اررس (یعنی یوقارده دکل) کویت اررس (یعنی اشافده دکل) [16] چین اررس (او کده دکل) اوکن اررس (ارتده دکل) مارچونت اررس (یعنی صاغده دکل) [17] مارچینیت اررس (یعنی صولده دکل) روکور اکتبه زوممه چده کو قنه [18] قهچنده کو قنه چیه چاده کو قنه شووه راج روم اررس [19] امان کاجینه امس مطی کامچنی اررس (یعنی اندن غیرى یارادجی یوقدر) [20] چمند مریم امس شولی یسوموچقلى غمرتمه [21] کاجنه دده شولن موچقلى غمرتمس موسماخزنی [22] ارین (یعنی خدمتچیلر بدر) موچقلى غمرتمه یسو سه [23] مچنیه مچه (یعنی عسی علیه السلام پیغمبرلوك ویردی) چمدت کاجنه (یعنی پاک یاراندى) محمدی چنی (یعنی پیغمبر) [24] چمنده ادمیانی اری (یعنی پاک) موچقلى غمرتمس موسما خوزی [25] اری امس جولنی روم تترس جولنی اررس [26] سوپته اررس چمنده اررس موچقلى غمرتمس [27] رجولنی اررس دو جری کاورتس جولنی روم [28] برودی آقو کونجی آقو بلج آقو اشمکس [29] رجونی آقو دوه کدی تمت لا اله الا الله [30] محمد رسول الله اشهدان لا اله الا الله [31] و اشهدان محمدا عبده و رسوله الله تعالی [32] بدر اندن غیرى الله یوقدر محمد پیغامبر [33] علیه السلام الله قولیدر هم رسولدر عیسی [34] پیغامبر علیه السلام الله تعالیک قولیدر [35] هم رسولدر مریم انه الله قولدر هم قراوشدر [36] یزار اولدم باطل دیندن اسلام دیننی اخذ [37] اتمم امام اعظم مذهبن قبول اتمم [38] فاتحه اللهم صاب

Handwritten text in Georgian script, likely a list or index, with several lines of text visible.

Handwritten text in Georgian script, continuing the list or index, with several lines of text visible.

ОСМАНСКОЕ ПРАВИЛО ОБРАЩЕНИЯ ХРИСТИАН В МУСУЛЬМАНСТВО

Резюме

Публикуется турецкий текст с грузинским переводом и факсимиле правила обращения христиан в мусульманство, записанный османским поэтом и историком XVIII в. Ахмедом Келими.

Текст указанного правила наряду с различными этико-моралистическими сочинениями содержится в рукописи Mus. Og. Quart, 1488 государственной библиотеки г. Тюбингера.

Христианин, пожелавший принять мусульманскую веру, должен был произнести формулы «тевхида» и «шехадета» сначала на арабском, а затем на родном языке. Этот ритуал Келими показывает на примере грузина.

Грузинский текст «тевхида» и «шехадета» записан в арабской графике. В грузинском варианте формула «тевхида» представлена в развернутом виде, пророческая же миссия Мухаммеда вовсе не подчеркивается.

Учитывая данные османских документов, хранящихся в Восточном отделении Народной библиотеки имени Кириллы и Мефодия, можно восстановить оптимальную модель процесса добровольного обращения христиан в мусульманскую веру.

Ts. ABULADZE

OTTOMAN RULE OF CONVERSION OF CHRISTIANS TO ISLAM

Summary

The Georgian translation and facsimile of the rule of conversion of Christians to Islam written by the Ottoman poet and historian of the XVII century Ahmed Kelimi is presented in the article.

The text of the mentioned rule together with different ethic and moral works can be found in the manuscript of the State Library of Tubinger.

The Christian, who had expressed his will to convert to Islam was obliged to pronounce formulas of „tevhid“ and „shehadet“ first in Arabic then in his native language. Kelimi shows this ritual on the example of a Georgian.

The Georgian text of „tevhid“ and „shehadet“ is written in Arabic letters. In the Georgian variant the formula of „tevhid“ is presented in details but prophetic mission of Mohammad is not underlined at all.

Taking into account the information of Ottoman documents kept in the oriental Department of the Public Library named after Cyril and Mephodyus in Sophia one can reconstruct the optimal model of process of voluntary conversion to Islam.

ნაზარ ბერ-ოვანესი

იაკობ დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ

ჩვენთვის უცნობ და ამასთანავე საყურადღებო არაერთ ფაქტს შეიცავს XIX ს-ის დამლევისა და XX ს-ის დამდეგის ცნობილი ირანელი განმანათლებლის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის იაკობ დოულათაბადის „მოგონებები“, რომლის ერთი თავი ავტორმა თბილისს მიუძღვნა¹.

იაკობ დოულათაბადი დაიბადა 1862 წ. ისფაჰანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ დოულათაბადში. მამამისი ჰაჯ მირზა ჰადი დოულათაბადი ბაბიზმის რელიგიური სექტის მიმდევარი და აქტიური მოღვაწე იყო. 1878 წლიდან მოყოლებული იაკობ დოულათაბადიმ მამასთან ერთად რამდენჯერმე იმოგზაურა ათაბეგის ერაყში, ხორასანსა და თეირანში. ერაყში არსებულ შიიზმის წმინდა ცენტრებში სასულიერო განათლების მიღების შემდეგ იგი ჯერ ისფაჰანს ჩავიდა, ხოლო იქიდან თეირანს წაიშურა.

ირანში 1905—1911 წლების რევოლუციის პერიოდში კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ იაკობ დოულათაბადიმ აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღა, არაერთ მედრესესა² და საზოგადოებას ჩაუყარა საფუძველი, რამაც ასახვა ჰპოვა მ-ს „მოგონებებში“.

1908 წ. აგვისტოში, როცა ირანში კონსტიტუციონალიზმი ბობოქრობდა, იგი სტამბოლს გაემგზავრა და მას შემდეგ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. ჩვენი აზრით, იგი თბილისში სწორედ ამ დროს უნდა ჩამოსულიყო, რის საფუძველსაც გვაძლევს „მოგონებებში“ მოტანილი არაერთი ისტორიული ფაქტი.

სტამბოლში მან გაიცნო ჰაჯი ზეინ ოლ-აბედინ მარაღელი — „იბრაჰიმ-ბეგის მოგზაურობათა წიგნის“ ავტორი და მირზა ჰოსეინ-ხან დანეშ ისფაჰანი. აქვე დაამყარა მან მჭიდრო ურთიერთობა ირანელ ემიგრანტთა საზოგადოებასთან „საადათთან“ (ბედნიერება) და ისტორიულ სარბიელზე გამოსულ „ახალგაზრდა თურქებთან“. 1909 წ. იაკობ დოულათაბადიმ გამოჩენილ ირანელ სწავლულთან დეჰხოდასთან ერთად დააარსა სპარსულენოვანი გაზეთი „სორუში“. იმავე წელს კონსტიტუციონალისტთა გამარჯვების შემდეგ იგი თეი-

¹ خاج میرزا یحیی دولت آبادی. حیات یحیی. جلد سوم، تهران، ۱۳۳۰ ه. ش. ص. ۲۱-۱۷.

² هادی باهاد. شرح حال رجال ایران در قرن ۱۲ و ۱۳ و ۱۴ هجری، جلد ششم، تهران، ۱۳۵۱، ص. ۲۹۰-۲۹۱.

³ სასულიერო სასწავლებელი მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებში.



რანში ბრუნდება. მოგვიანებით, ქერმანის ოლქის მოსახლეობა მას მეტად მისი თვის დებუტატად ასახელებს, რაზედაც იგი, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, უარს ამბობს და თავის საქმიანობას ევროპაში განაგრძობს. 1913 წ. იგი ირანში ბრუნდება, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და სამშობლოში შექმნილმა მეტად მწვავე საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

1915 წ. ნოემბერში დევნილ კონსტიტუციონალისტებთან ერთად იგი ჯერ ყუმში ჩადის, ხოლო იქიდან კი იძულებულია კვლავ თურქეთს გადაიხვეწოს. სტამბოლში ყოფნისას დაწერა მან რომანი „შაჰნაზი“, რომელსაც ირანელი მკვლევრის იაჰია არინფურის თქმით, აშკარად ატყვია თურქული რომანის გავლენა. ხასიათდება რთული, დვარქნილი და მეტისმეტად ჩახლართული სიუჟეტით, რაც შეეხება მის პუბლიცისტიკას, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ირანში კონსტიტუციური მოძრაობის განვითარების საქმეში.

1918 წ. ოქტომბერ-ნოემბერში იაჰია დოულათაბადი სამშობლოში ბრუნდება, სადაც ამჯერად ისუჰანის ოლქმა იგი მეჯლისის მეხუთე მოწვევის დებუტატად აირჩია. გარდაიცვალა იაჰია დოულათაბადი 1939 წ.⁴

იმედია, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ირანელი პოლიტიკოსების ბიოგრაფიებს, მისი თვალთ შეხედავს XX ს-ის თბილისსა და თბილისელებს. ქვემოთ სრულად გთავაზობთ თბილისისადმი მიძღვნილი თავის თარგმანს:

ტექსტი

„ქალაქი თბილისი ქართველების დედაქალაქი და კავკასიის ოლქის ცენტრია. ეს ქალაქი გამოჩნეულია თავისი ხუროთმოძღვრებითა და ადგილმდებარეობით, მდინარე მტკვრით, რომელიც მის შუაგულში მოედინება, და მშვენიერი ბუნებრივი პირობებით. რუსეთის მთავრობამ იგი ევროპულ ყაიდაზე ხეივანებით, სავაჭროებითა და სახლებით დაამშენა. ამიტომაც ხალხს აქ ეცხოვრება. თბილისში მრავალად არიან მკვიდრი და არამკვიდრი მუსლიმები. ირანელი მოჯაჰიდების ჯგუფის მთავარი ადგილსამყოფელიც აქ არის. ამ ქალაქის ქართველებს და სომხებს თავისუფლება სურთ. ისინი მზარს უჭერენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ირანელებს. სულ ახლახან მათი შეიარაღებული ჯგუფი აზერბაიჯანში (ივულისხმება ირანის აზერბაიჯანი — ნ. ტ.-ო.) ჩავიდა, სადაც მოჯაჰიდებს ეხმარებოან.

ამ ქალაქში ისტამბება გაზეთი „მოლა ნასრედინი“⁵. მოჯაჰიდების ჯგუფში მუდამ დიდი აქტიურობაა, მაგრამ დანარჩენი ირანელები, ირანში მცხოვრები თავიანთი თანამოძმეების მსგავსად, ყოველმხრივ უსუსურნი და უდარდელნი არიან, უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩვეულება, რომელიც ირანში გააუქმეს, მათ შორის დღესაც ცოცხლობს.

⁴ დაწვრილებით იაჰია დოულათაბადის ცხოვრებისა და მისი ოლვაწიობის შესახებ იხილეთ:

اسماعيل آرينفوري - از صبا تا نياما (ترتیب) ۱۵۰ سال آباد
 (فارسی)، جلد ۴م، تهران، ۱۳۵۱ ه. ش. ص. ۲۷۱-۲۷۲.

⁵ „მოლა ნასრედინი“ იყო ყოველკვირეული, ილუსტრირებული პირველი აზერბაიჯანული სატირული ჟურნალი. გამოდიოდა 1906-1918 წლებში თბილისში, 1921 წელს თავრიზში, 1922-1931 წლებში ბაქოში. რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალიშვილი მამედყულიხანდე. იბეჭდებოდა არაბული შრიფტით. თბილისში გამოვიდა 340 ნომერი.



რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ირანში საყოველთაოდ გავრცელდა მოხელეობა, ირანელმა მოხელეებმა ამ გზით უცხოეთში კეთილი საქმეები შექმნეს. მაგალითად, კავკასიაში მოღვაწე ირანელმა მოხელეებმა მირზა ჰასან-ხან მოშარი, ოდ-დოვლეს თანადგომითა და წახალისებით, რომელიც იმ ხანად რუსეთში ირანის სრულუფლებიანი მინისტრი იყო, თბილისში ირანელებისათვის საქველმოქმედო საზოგადოებას ჩაუყარეს საფუძველი. მათვე შეადგინეს კარგი წესდება მედრესეს დასაარსებლად და იგი ხელმისაწერად რუსეთის ხელისუფალთ წარუდგინეს. კიდევაც დააარსეს მედრესე, რომელსაც „ეთთფაყი“ უწოდეს. თეირანში ეროვნული საბჭოს მეჯლისის მოშლის შემდეგ ეს საზოგადოებაც დაკნინდა და ამჟამად აღარ მოქმედებს.

თბილისში ჩასვლისას, რამეთუ არაფერი ვიცოდი ირანელთა საკრებულოს არსებობის შესახებ, ერთ ცნობილ სასტუმროში დავბინავდი და ღამეც იქ ვავითე. შენდევ ვაცნობე ჩემი ჩამოსვლას ამბავი მოჰამად თაყი სადევყუს — მოჯაჰიდების ჭკუფის წარმომადგენელს და გულისხმიერ ახალგაზრდას. ნელ-ნელა ირანელებმა შეიტყვეს ჩემი ამბავი და მეორე დღეს მე სასტუმრო „აზერ-ბაიჯანში“ გადამიყვანეს. იმ ხანებში მირზა მოჰსენ მოთამედ ოლ-თოჯარი შარ ოლ-ოლამა ისფაჰანი-თაერინის შვილიშვილი და მისი ძმები, აგრეთვე მირზა მოჰამადი შარიფ ოლ-ოლამას შვილი, უფრო შარიფ-ზადეს სახელით ცნობილი, თბილისში ამ სასტუმროში იმყოფებოდნენ. ვინაიდან უწინ მათთან ახლო ოჯახური ურთიერთობა მქონდა, ამ შეხვედრამ ძალზე გამაზარა. შევხვდი ხალხს, რომელსაც იგივე აწუხებს, რაც მე, და იღწის თავისი მისიის შესასრულებლად. ჩემს მსგავსად მათაც ვერ შეძლეს სამშობლოში ცხოვრება.


ორი რამის გამო კიდევ ორი დღე ვრჩები თბილისში. ამისი ერთი მიზეზი გახლავთ გასაუბრება იმ ბატონებთან, რომლებთანაც ერთად, როგორც დავთქვით, სტამბოლს უნდა ვავემგზავროთ, რათა იქ სამშობლოდან გადახეწილი ირანელებსა და უცხოეთში მცხოვრები ირანელი პატრიოტებისაგან შევადგინოთ საკრებულო (სამბლეა), რომელიც მომავალში რჩევა-დარიგებას მისცემს ქვეყანას და ხალხს, ვიღონოთ ყველაფერი, რაც კი სამშობლოს ბედნიერებას მოუტანს. რადგან სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლა მოჯაჰიდების უმეტესი ნაწილი სამშობლოდან გადახეწილი ხალხია, და ამიტომ თუ ისინი არ გააკეთებენ სასლვარგარეთ იმ საქმეს, რაც უნდა აკეთონ, ამით ისინი თავიანთ თავს დასჯიან. მანამ, სანამ მათი ძალები დაქსაქსულია, არავის არაფერი გამოუვა. ჩემი აზრით, ამ საზოგადოებისათვის ყველაზე საუკეთესო ადგილია სტამბოლი, რადგანაც ნებისმიერს შეუძლია ყოველი კუთხიდან იქ ჩასვლა. გინდ ევროპიდან, გინდა სხვა ადგილებიდან. თუმცა ევროპის ზოგიერთი ქალაქი ამ საქმისათვის უფრო მოსახერხებელი ჩანს და სრული თავისუფლება გააჩნია, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო სტამბოლი სხვა დანარჩენ ადგილებს მირჩევნა. ჯერ ერთი, ადგილმდებარეობის გამო და იმითაც, რომ იგი ისლამის ცენტრია. მეორეც, იმ კავშირის გამო, რომელიც „ახალგაზრდა თურქებსა“ და ირანელ მოჯაჰიდებს შორის წარმოიშვა. ასეთი შეკრება სტამბოლში ამ კავშირს სრულყოფს და სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს.

მესამე, ის, რომ ოსმალთა კონსტიტუციურ ყაიდაზე მოქცევამ ზოგადად მსოფლიო მუსლიმთა და, კონკრეტულად, ირანელთა გული ამ ცენტრისაკენ მიაპყრო, რამაც ირანელი თვითმპყრობელები ძალზე შეაფთოთა. დიახ, ირანელი თვითმპყრობელები ვარაუდობენ, რომ თუ ნაციონალისტებისა და რეფორმატორების მიზნები არ განზორციელდა და მათ ვერ შეძლეს ძალების

თავმოყრა და მტარვლებისაგან გაერთიანებული ძალებით თავიანთუბნების გამოგლეჯა, მაშინ ისინი იძულებული იქნებიან, საზღვარგარეთს მიმართონ და დახმარება ითხოვონ ოსმალეთის ისლამური ცენტრიდან. თუმცა ამ ვარაუდს გონიერი ხალხი მიუღებლად თვლის, რამეთუ კარგად უწყის, რომ ირანის დამოუკიდებლობის მოსაზრების უმოკლესი გზა მისი პოლიტიკის ოსმალეთის პოლიტიკა-სადმი დაქვემდებარებაში მდგომარეობს. მაშინ, როდესაც ასეთი აზრები ირანის თვითმპყრობელობის ცენტრში ასე თუ ისე მოაზრდია, ყოველ შემთხვევაში, ის ვარაუდიც დასაშვებია, რომ ამ საკრებულოს არსებობა სტამბოლში ხელს შეუწყობს ირანში დასახული მიზნების განხორციელებას. სინამდვილეში ეს აზრები ჩვენ ძალას გვმატებენ. ამათ გარდა, დღესდღეობით ირანის პოლიტიკა რუსეთ-ინგლისის 1907 წლის ხელშეკრულების დაწოლას განიცდის. მათი ვარაუდით, თუ ოსმალეთი უწინდელ მდგომარეობაში დარჩება, ან ოსმალეთის პოლიტიკა გერმანელთა ხელში აღმოჩნდება, მაშინ შესაძლებელია, რომ სხვა გარემოებანიც გამოჩნდეს და საქმის არსიციფიცევალოს. მაგრამ ოსმალეთში კონსტიტუციური მოძრაობის ფონზე ის პოლიტიკური ასპექტი, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული, საერთოდ არ ფიგურირებს, ანდა მისი როლი ძალზე უმნიშვნელოა. ყოველ შემთხვევაში, სტამბოლში ან კიდევ სხვა ადგილას ირანელთა აუღლოლოვითა დაქსაქსელი ძალების თავმოყრა კარგი საქმეა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ სად და როდის იქნება შესაძლებელი ამ საკითხის განხილვა, კიდევ ერთ-ორ დღეს თბილისში დავრჩები.

თბილისში ჩემი დარჩენის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ საქველმოქმედო საზოგადოების „ეთთეფაყისა“ და კავკასიაში გენერალური კონსულის მომთაქნის ოს-სალთანის თხოვნა, გავცნობოდი მედრესე „ეთთეფაყს“ და ირანელთა საზოგადოებას და, თუ შეეძლებოდა, გამოემსწოებინა მათი ნაკლოვანებები. საზოგადოება „ეთთეფაყს“ სოლიდური წესდება აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ირანის ეროვნული საზოგადოებების წესდებების მსგავსად სიტყვა საქმედ ვერ იქცეა. საზოგადოების წევრებთან ბევრი ვისაუბრე, ახლა კი მოგახსენებთ, რომ ირანელთა გული ქვეყნისა და ხალხის საქმის გაუმჯობესების საკითხში კავკასიელ მუსლიმებთან არის, ხოლო კავკასიაში — თბილისთან. თბილისში კი არსებობს ერთი საზოგადოება, რომელიც სასიკეთო საქმეებისათვის უნდა იყოს მომართული, მაგრამ მისი მდგომარეობა კი ისეთია, რომ ჯერაც არ განუხორციელებია თავისი საშინაო რეფორმა. აქედან გამომდინარე, მის საგარეო საქმეებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, ვსაყვედურობ მათ და იმავდროულად ვაგულისანებ კიდევაც. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ ისინი დაიცავენ წესდებას, მედრესე „ეთთეფაყისათვის“ აირჩივენ განსწავლულ და უნარიან ხელმძღვანელს და შეუქმნიან ხელსაყრელ პარობებს საქველმოქმედო საქმიანობისა და მედრესეს გასაძლიერად.

მოკაჩაძეების ცენტრალური ჯგუფის საზოგადოება შეძლებისდაგვარად ირჩება. მან სომხებისა და „ახალგაზრდა თურქების“ ეროვნულ საზოგადოებებთან ხელშეკრულებები დადო. თუმცა ისინი არცთუ ისე განსწავლულნი და ინფორმირებულნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, მათთან მოკავშირეობს ბევრი საქმის მცოდნე და სწავლული, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მსოფლიოს ეროვნულ საზოგადოებებთან. ამდენად, იმედი უნდა ექონიოთ, რომ შეძლებენ საქმის გაკეთებას.



მომთაპენ ოს-სალოანე ფრიად კარგად იცნობს ამ ქალაქის მოკაპიდებს. თბილისში ჩემი რამდენიმე დღით ყოფნა და ის საგანგებო ყურადღებები, რიგი ჩემდამი იჩენს, ასევე ჩემი საპასუხო ალერსი, მათ აწმეიდებს. ამ ქალაქში რუსეთის ხელისუფლებას ძლიერ აწუხებენ ქართველები. დღე არ გავა, რომ რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე არ დააპატიმრონ, განსაკუთრებით ახალ-გაზრდები, გიმნაზიელები, ვაყები და ქალიშვილები.

ამ ქალაქის სატუსალოები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. ისინი ყოველდღე რიგრიგობით ჭკუფ-ჭკუფად ხელებზე ბორკილდადებულები დასაკითხად მიჰყავთ. თუკი ვინმე გაქცევას დააპირებს, ან თუ ვინმე რომელიმე მათგანს გამოესარჩლება, ორთავეს დახოცვენ. თითოეული სიკვდილმისჯილი ქალაქგარეთ მიჰყავთ და იქ მას ათას ხუთას ტყვიას ახლიან. ხელისუფლების ამ სისასტიკეს მიუხედავად, პატიმრები გარბიან, იმ სატუსალოებიდანაც კი გარბიან, საიდანაც გაქცევა თითქმის შეუძლებელია. პოლიტიკური პატიმრები, როდესაც ისინი დასასჯელად მიჰყავთ, ისეთ გუნება-განწყობილებასაც არიან, თითქოს ქორწილში მიდიოდნენ. მთვარის პირსახიან ქალიშვილებს, რომლებიც დასახერხებლად მიჰყავთ, ხალხი ყვავილებს ესვრის, თავად მათ კი უხარიათ, რამეთუ სამშობლოსათვის სულს სწირავენ.

ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი მომზიბლავია. ინფორმაცია პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის შესახებ სულს მიფორიაქებს. იმ შენობის ძირას, რომელშიც მე ვცხოვრობ, ღამლამობით ხშირად სტეენის ხმა მოისმის — ეს პატიმართა გავლის ნიშანია: სტეენის გაგონებისთანავე, იმ-ს შიშით, რომ ვაითუ მათ ვინმე გამოეჭომავოს და ამით არეულობა გამოიწვიოს, მყისვე რკეტება დუქნები და მაშინ ჩვენს ყურამდე ახალგაზრდა პატიმართა ბორკილების ყლარუნი აღწევს. მათი ჩავლის შემდეგ დუქნებს ხელახლა ადებენ.

ერთ ბორცვზე დიდი ციხე-სატუსალოა აგებული, რომელსაც ირგვლივ პატარ-პატარა კარებები აქვს დატანებული. ისინი ქალაქს და მდინარე მტკვარს გაღმოჰყურებენ. ყველა კართან შეიარაღებული მცველები დგანან. თუ შორიდან ვინმე ხელს იმ კარებებსაცვენ გაიშვერს, მას თოფს ესვრიან. ვაი მას, ვინც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა გაქცევას.

ამ ქალაქში მრავლადაა სეფიანი შაჰების, განსაკუთრებით შაჰ-აბასის ხან-ის ნაგებობები. დიდ საეპროში ასევე მრავლადაა ირანის გამგებელთა კვადრი. შირთხორში — ლომისა და მზის — ბაირალები, რომლებიც საომარი ნადავლია, სამუდამო წყევლას უთვლიან ირანის გამყიდველებს. თბილისელები ირანელებისადმი კეთილად არიან განწყობილნი. მან, ვისაც საკუთარი თვალით არ უხილავს კავკასიის მზარის ეს ცენტრი და სხვა დიდი ქალაქები, ბევრი დაბა ნაყოფიერა მიწები (სავარგულები — ნ. ტ. — ო.) და მდინარეები, ამწვანებული და აყვავებული ველ-მინდვრები, არ უწყის თუ სახელმწიფოს და ხალხის თავაკაცების უგუნურებითა და უფიცობით ჩვენს საყვარელ სამშობლოს რა დიდი და ძვირფასი ნაწილი ჩამოშორდა და რა უმდიდრესი ქვეყანა იმიერკასპისპირეთში მუქთად გავეცათ. ღმერთმა ქნას, რაც დაგვრჩენია, ის მიიწვ შევიწარჩენოთ.

მე ვნანობდი ირანისაგან კავკასიის ჩამოშორებას, მაგრამ დასახლებული ადგილები, რომლებზეც ჩვენ გავლა გვიხდებოდა, მიდიოდნენ და მეუბნებოდნენ: თუ კი აქამდე ჩვენ ირანის ნაწილი ვიყავით, სად და როდის წარმოიშვა ჩვენი ბედნიერება. პირიქით, ჩვენ კვლავაც გაუდაბურებული დავრჩებოდით და საბალნე აქლემებისა და მეთაქლემთა წიხლები უნდა აგვეტანა. ახლა კი



ჩვენთვის ჩვენი ძარღვები და ოფლი ერთმანეთს შეადუღება და ეცოდნენ ჩაშვება. თქვენ ჩვენთვის ცუდი რატომ გსურთ?

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდოდა თბილისიდან ბათუმში ჩავსულიყავით, ხოლო იქიდან სტამბოლში, მაგრამ ჭირის გაჩენისა და ბათუმში კარანტინის არსებობის გამო გემები მგზავრების გადაყვანაზე უარს ამბობენ. იძულებული ვარ, ოდესაში ჩავიდე და იქიდან სინოპს გავემგზავრო, იქ მოვიზადო კარანტინი და ბოლოს სტამბოლს წავიდე. მეტი რა გზაა, ჩემს თანამგზავრებთან ერთად თბილისიდან ოდესას მივემგზავრები“.

Н. К. ТЕР-ОГАНОВ

СВЕДЕНИЯ ЯХЬИ ДОУЛАТАБАДИ О ТБИЛИСИ И ТБИЛИСЦАХ

Резюме

Делается краткий обзор деятельности известного иранского просветителя, общественного деятеля и публициста конца XIX — начала XX вв. Яхьи Доулатабади. Он является автором весьма интересных «воспоминаний», одна из глав которых посвящена описанию Тбилиси.

Приведенные в упомянутой главе сведения представляют собой немалый интерес не только для изучения истории Тбилиси, грузино-иранских взаимоотношений, но также и для исследования деятельности иранской иммиграции в Тбилиси, некоторых вопросов иранской революции 1905—1911 гг., выявления политических связей иранских революционеров с «младотурками» и т. д.

Учитывая ценность сведений персидского источника, в статью предлагаем полный перевод соответствующей главы.

N. TER-OGANOV

EVIDENCE OF IAHIA DOULATABADI ABOUT TBILISI AND IT'S INHABITANTS

Summary

The article briefly reviews the activities of the well-known Iranian educationalist, public figure, and author of the end of the XIX and beginning of the XX century, Iahia Doulatabadi. He is the author of the very interesting „Reminiscences“. One of the chapters of the Reminiscences describes Tbilisi.

The above mentioned chapter contains information which is of great interest not only for the study of history of Tbilisi and Georgian-Iranian relations, but also for exploring the activities of Iranian immigration in Tbilisi, some problems of the Iranian revolution of 1905—1911 exposing the political ties of Iranian revolutionaries with „Young Turks“ etc.

Considering the great value of the Persian source, the article provides the complete translation of the chapter.

კარლო ტაბატაძე

დიდი საზოგადოებრივი მროვეული საგმი

ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების ისტორიის შესასწავლად დოკუმენტური ხასიათის წყაროების მნიშვნელობა რომ ძალიან დიდია. ამაზე სიტყვას აღარ გვაგვრძელებ. სხვა წყაროებისაგან განსხვავებით დოკუმენტური ხასიათის წყაროები ჰარბად შეიცავენ უტყუარსა და პირველხარისხოვან ცნობებს როგორც პოლიტიკური, ისე ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ-ისტორიისათვის და ცოცხლად გვაგრძობინებენ შესასწავლი ეპოქის მაჯისცემას. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, როცა ისინი ანა, თუ იმ ქვეყნის საზოგადოების ვიწრო შინაური, ჩარჩოებით არ იფარგლებიან და უხვად შეიცავენ ცნობებს მომიჯნავე ქვეყნებისა და ხალხების მეზობლური თანაცხოვრებისა და პოლიტიკურ ურთიერთობათა შესასწავლად. სწორედ ასეთი ნიშნებით ხასიათდება საქართველოს სიძველეთსაცავებში (საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი) საუკუნეთა განმავლობაში დაუნჯებელი სპარსული ისტორიული საბუთების სხვადასხვა სახეობანი, რომელთა ერთი ნაწილის პუბლიკაცია ფაქსიმილეთი და რუსული თარგმანითურთ გასულ წელს მიიღო ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ. ეს გახლავთ სპარსული ფირმანებისა და ჰოქმების პუბლიკაცია სპარსული საბუთების თბილისური კოლექციიდან. ამ გამოცემას, გარდა წმინდა წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნული, ქართული საღმრთაველეთმცოდნეო სკოლისა და კერძოდ, ირანისტიკის განვითარების დღევანდელი მაღალი დონისა და ადგილის წარმოსაჩენად მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე.

ჩვენს სიძველეთსაცავებში საკმაოდ უხვად დატული სპარსული ისტორიული საბუთების მეცნიერულ შესწავლას ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს საფუძველი ჩაუყარა ადოლფ ბერკემ, რომელმაც ორმოცდაათამდე დოკუმენტი გამოაქვეყნა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში¹.

ამ საქმეს გამგრძელებლები გამოუჩნდნენ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, როცა 1936 წ. ი. ნ. მარის (1893—1935) პირადი ხელმძღვანელობით და ინი-

¹ Тбилисская коллекция персидских фирманов, т. II. Составили М. А. Тогуа и Н. К. Шаме. Подготовка к печати, перевод, комментарий и словарь М. А. Тогуа, Тбилиси, 1930.

² Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Под редакцией А. Берге, т. I—XII, Тбилиси, 1856—1904.

ცოტივით კ. სმირნოვმა და ჯ. ლაბოვმა გამოაქვეყნეს სპარსული ტექსტების ერთი წყება.³

50 სპარსული საბუთი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა (ახლა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი) ფონდიდან გამოაქვეყნა მაკარ ხუბუაძე.⁴

საქართველოს სიძველეთსადაცვებში დაცული სპარსული საბუთების შესწავლისა და პუბლიკაციის ახალი საფეხური დაკავშირებულან განთქმული ირანისტის ვ. ფუთურიძის (1893—1966) სახელთან, რომელმაც სხვადასხვა დროს 136 სპარსული საბუთი გამოაქვეყნა ოთხ წიგნად.⁵

ზემოთ მოხსენიებულ ირანისტებს თითქმის ყველას, გამონაკლისის გარეშე, საამისო სწავლა-განათლება და ნათანადო მეცნიერულ წვრთნა მიღებული ჰქონდათ რუსეთისა თუ სხვა უცხოურ სამეცნიერო ცენტრებში. ამიტომაც არ იყო საკვირველი მათი ესოდენ რთულსა და ძნელ საქმესთან შექცევა, როგორც სპარსულ ხელნაწერებზე მუშაობა, რაც უაღრესად მაღალ სამეცნიერო კვალიფიკაციასთან ერთად მკვლევრისაგან უზარმაზარი ენერჯის დახარჯვას, დიდ მორალურ სიმტკიცესა და თავდადებას მოითხოვს. ამიტომაც არის, რომ მსოფლიო მეცნიერებას ამ დარგში მომუშავე თითებზე დასათვლელი სპეციალისტი ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთ აღიარებულ სპეციალისტად ითვლება ირანში სწავლა-განათლებამიღებული ამ პუბლიკაციის რედაქტორი აკოფ ფაფაზიანი. ყოველივე ამის ფონზე სასიხარულოა მ. თოდუას სარეცენზიო პუბლიკაციის გამოჩენა და ის გარემოება, რომ მის პუბლიკატორს ამ დარგში ერთობ შესაფერი მაღალი მეცნიერული კვალიფიკაცია შექმნილი აქვს ჩვენს

³ Передняя Азия в документах, кн. I. Нахичеванские рукописные документы XVII—XIX вевов. Перевод и комментарий К. Н. Смирнова и Дж. Ганбова, под редакцией Ю. Н. Марра. Тифлис, 1936.

⁴ იხ. მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, 1, თბ., 1949.
⁵ იხ. სპარსული ისტორიული-საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი 1, ნაკვეთი 1; გამოცემა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1961; წიგნი 1, ნაკვეთი 2, თბ., 1962; წიგნი 1, ნაკვეთი 3, თბ., 1965 და წიგნი 1, ნაკვეთი 4, თბ., 1977. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი ნაკვეთის სასტამბოდ გამოაღება და გამოცემა ბ-მა ვლადიმერმა თვითონ ვედარ მოასწრო და, როგორც გამოცემისათვის წამოღებულ წინათქმა გუაუწყებს, მის პარტეში დაცული მასალა გამოსაკემად მოამზადა მისმა მოწაფემ ა. კეიშვილმა. მანვე დაურთო საბუთებს არქეოგრაფიული აღწერილობა და საძიებლები. იქვეა ნათქვამი იმის შესახებაც, რომ „სპარსული ტექსტის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის გარკვევაში მონაწილეობა მიიღეს ჯ. გუენაშვილმა და მ. ფაფაზიანმა“. წინასიტყვაობა კი ევთენის ამ ნაკვეთის რედაქტორსა და გამოცემის მოვარ ინციანტორის რევაზ კიკნაძეს, რომელიც აქ განგებ არაფერს ამბობს ამ საქმეში პირადი წვლილისა და ღვაწლის შესახებ. დ. რაკვი სიტყვამ მოიტანა, ურიტო არ იქნება აქვე გაიხსენოთ ის გარემოება, რომ ბ-ნ ვლადიმერს ასევე გამოუქვეყნებელი დარჩა ცნობილი სპარსული ისტორიკოსების ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა გამოშუერება-გამოცემისათვის ასევე ენერგიულად იღვაწა რევაზ კიკნაძემ და ორივე მათგანი გამოქვეყნდა მისივე რედაქტორობით (იხ. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოცემა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1956; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული თარგმანითა და შესავლით გამოცემა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969). ამ მეორე პუბლიკაციის წინათქმაში აღნიშნულია, რომ „ისქანდერ მუნშის ცნობათა ქართული თარგმანის ზოგიერთი ნაკლები ადგილი საქართველოს შესახებ უცხოური წყაროების კომისიის დაავლებით შევსო კარლო ტაბატაძემ. ხოლო შენიშვნები დაურთო დავით კაციაძემ“. იქვე აღნიშნულია აგრეთვე ქვეშიდ გუენაშვილისა და ანდრეაფარ კეიშვილის ღვაწლიც ახელნაწერთა სასტამბოდ გამოაღებისა და გამოცემის საქმეში.



ეროვნულ უნივერსიტეტში ცნობილი ირანისტების იუსტინე აბულაძის, დავით კობაძის, მაკარ ხუბუასა და ვლადიმერ ფუთურძის ხელმძღვანელობით მან ამ დარგში ფრიად მაღალი კვალიფიკაცია მოიპოვა, ამაზე, გარდა აღნიშნული პუბლიკაციისა, ისიც კარგად მეტყველებს, რომ ბ-ნი მაგალი თვითონაც ერთობ ნაყოფიერად იღვწის მაღალკვალიფიკურ ირანისტა ახალი თაობის აღსაზრდელად და უკვე არა ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტ მეცნიერების ამ დარგშიც დაულოცა გზან.

ზემოთქმულთან ერთად ამ ძნელი საქმის ყოველ ნაბიჯზე სარეცენზიო პუბლიკაციის ავტორის დიდი ორგანიზაციული ნიჭიც ძალუმაღ ჩანს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მის მომზადება-გამოქვეყნებაში მონაწილეობა აქვს მიღებული მეცნიერებაში ფართოდ აღიარებულსა და ცნობილ თითქმის ყველა ქართველ ირანისტს. გარდა იმისა, რომ პუბლიკაციის რეცენზენტებად გვევლინებან ალექსანდრე გვახარია და რევაზ კიკნაძე, პუბლიკაციისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ბ-ნი მაგალი არაბისტების თ. მარგველაშვილისა და მ. ნედოსპასოვას გვერდით დიდ მადლობას უხდის აგრეთვე ახალგაზრდა ირანისტებს თ. აბაშიძესა და გ. ბერაძეს.

პუბლიკაციის რედაქტორად, როგორც აღინიშნა, მსოფლიოში ფართოდ ცნობილი ირანისტი აყოფ ფაფაზიანი გვევლინება. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული მუჟენადარანში თავმოყრილი სპარსული საბუთების მეცნიერული დამუშავება და პუბლიკაციები უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ ბ-ნ აყოფს კარგად იცნობდა და ხშირად მიმართავდა რჩევისადვის სხვადასხვა საკითხებზე თავისი პუბლიკაციების დროს ვ. ფუთურძემ⁸.

ყოველივე ზემოთქმული, ბუნებრივია, თავისთავად მეტყველებს ამ პუბლიკაციის უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე და, რასაკვირველია, მისი მისამართით დავით კაციტაძის და ნუგზარ ტერ-ოგანოვის რეცენზიებში გამოთქმულ საქებას სიტყვებს მეც სასესებით ვიზიარებ⁹.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, იმისი საწინდარიც გახლავთ, რომ მომავალში კვლავაც ვიხილავთ ქართველი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ მსგავს პუბლიკაციებს. საამისოდ, როგორც ვხედავთ, საქართველოს სპეციალისტებიც შესაფერისი ჰყავს და, რაც მთავარია, ამ მხრივ ჯერჯერობით „სამკალიც ფრიად არს“. საქმე ისაა, რომ ჩვენში დღემდე გამოქვეყნე-

⁶ მათ შორის უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ჩვენგან ნაადრევად წასული ნუგზარ დუნდუა, რომელიც წარმატებით სწავლობდა ორენოვან ქართულ-სპარსულ საბუთებს და აგრძელებდა ვ. ფუთურძის ვაკეაღულ გზას.

⁷ სხვადასხვა დროს ა. ფაფაზიანს გამოქვეყნებული აქვს: *Персидские документы Матенадарана, I, Указы, выпуск первый*. Составил А. Д. Папазян, Ереван, 1956; *Персидские документы Матенадарана, I, Указы, выпуск второй*. Составил А. Д. Папазян, Ереван, 1959; *Персидские документы Матенадарана, II, Купчие, выпуск первый*. Составил А. Д. Папазян, Ереван, 1968.

⁸ ამაზე კარგად მეტყველებს ბ-ნი ვლადიმერის მადლობის სიტყვები თავის პუბლიკაციათა წინათქმაში (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვეთი 1, გვ. 015; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვეთი 3, გვ. 6.).

⁹ დ. კაციტაძე, საქართველოს ისტორიის ძვირფასი წყარო (სპარსული დოკუმენტების ასალი პუბლიკაციის გამო) — *ლიტერატურული საქართველო*, 1991, 1 მარტი; ნ. ტერ-ოგანოვი, სპარსული ფირმანების თბილისური კოლექცია. ტ. II, 1990, — სახალხო განათლება, 1990, 12 ივლისი.

ბული სპარსული საბუთების რიცხვი ამათი ჩათვლითაც კი ოდნავ სჭარბობს 400 ერთეულს. მაშინ როცა ვლადიმერ ფუთურძის დაანგარიშებით, ჩვენს სიძველეთსაცავებში 2000-მდე სხვადასხვა სახის სპარსული საბუთია თავმოყრილი, რომლებიც ელიან გამომცემელს. ამასთან, ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ მაგალი თოდუას მიერ შესწავლილსა და გამოქვეყნებულ საბუთებს ჯერ არა აქვთ მიცემული ქართული მეცნიერებისათვის საბოლოოდ დასრულებული სახე, რადგან ისინი თარგმნილი არიან რუსულად და მათი ქართული გამოცემა მომავლის საქმეა. ამის საჭიროებას თვითონ ბ-ნი მაგალიც კარგად ვრძნობს და სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს წინასიტყვაობაში მოცემული მისი ახსნა-განმარტებაც. სადაც იგი აუწყებს საზოგადოებას, რომ „წინამდებარე წიგნი შედგენილი იყო ქართულ ენაზე, მაგრამ ვინაიდან მისი აწყობა და დასტამბვა გათვალისწინებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, მანვე შეადგინა ამ გამოცემის რუსული ვარიანტი“⁹.

მართლაც დასაწინაა, რომ ამჯერად ქართული ვარიანტის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, მაგრამ მეორე მხრივ ახლა იქნებ ასე ჯობდა და, აი, რატომ. ჩვენ ზემოთ მართალია მრავალი ქართველი მაღალკვალიფიციური ირანისტი სპეციალისტი მოვიხსენიეთ რეცენზენტებისა თუ მრჩეველ-შემწეთა სახით. მაგრამ ამ საქმეში მთავარი და გადაწყვეტი რილი მაინც რედაქტორს ეკუთვნოდა. მას, გარდა იმისა, რომ დაკვირვებით უნდა გაესინჯა თითოეული სიტყვისა და ფრაზის დედნიდან ამოკითხვის სისწორე, უნდა შეემოწმებინა მთარგმნელისაგან მათში ჩადებული მნიშვნელობის სიზუსტეც. პირველი თუ ორსავე შემთხვევაში ერთნაირად წარმატებით გაკეთდებოდა, მეორეს სრულფასოვნად შესრულება, ე. ი. დედნის ქართულ თარგმანთან შეჯერება, ძალიან გართულდებოდა.

სპარსული საბუთების დედნებიდან ტექსტის სწორად ამოკითხვის საქმეში ზშირად მოსდით შეცდომები საქვეყნოდ აღიარებულ სპეციალისტებსაც კი, მაგრამ კიდევ უფრო რთული და ძნელია საბუთის უკანა მხარის, ე. ი. ზურგის მხარეზე გაკეთებული წარწერების ამოკითხვა, სადაც სხვადასხვა საკანცელარიო პროცესების აღნიშვნებია თავმოყრილი. მაგალითად, ამ საქმის ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმა, როგორებიც არიან ვ. ფუთურძე, ა. ფაჯაზიანი, პ. ბუხე და ლ. ფეკეტე, მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს მათი გაშიფვრა-ამოკითხვა. ბ-ნი მაგალის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი არ აარიდა ამ რთულ საქმეს და წარმატებით იღვაწა ამ მხრივაც.

ერთი სიტყვით, დიდი საშვილიშვილო საქმე გაკეთებულია; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ქართული ვარიანტიც მალე გამოჩნდება.

დაბოლოს, ორაოდე მოკრძალებულ სურვილს გამოვთქვამთ შენიშვნების სახით, რომელთა გათვალისწინება შეიძლება სასარგებლო გახდეს ამ პუბლიკაციის ქართული ვარიანტის მომზადების დროს.

პირველი, რამაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, არის ერთგვარი შეუსაბამონა პუბლიკაციისათვის წამძღვარებულ სათაურსა — „სპარსული ფირმანების აბოლისტი კოლექცია“ — და სინამდვილეში შიგ წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტების სახეობათა შორის. ასეთი სათაური თავისთავად იმას გეუბნებოდა, რომ მის ქვეშ გაქვეყნული ხასიათის დიპლომატიკური ფენომენი,

⁹ Тбилисская коллекция персидских фирманов, т. II, составили М. А. Тодуа и Н. К. Шамс, с. 8.



„ფირმანი“, ე. ი. ქვეყნის უზენაესი ხელისუფლის, ამ შემთხვევაში შაჰის მიერ გამოცემული ერთი და იგივე სახისა და ხასიათის დოკუმენტები იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში აქ ასე არ არის. ამ უზერხულ მდგომარეობას, როგორც ჩანს, წინასწარ გრძნობდა პუბლიკატორი და სწორედ ამიტომაც შესავალში ფირმანის ფენომენზე საუბრისას საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „პრობითად ჩვენ ასე ვუწოდებთ შაჰების ბრძანებებს, როგორც თვითონ ფირმანებს, ისე ჰოქმებსო“¹⁰. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოცემული პრობითად აიგივებს მათ, თორემ მათ შორის გარკვეულ განსხვავებას თვითონაც აღიარებს. იმავე მიზნით უნდა იყოს ისიც, რომ იქვე, სადაც იგი იძლევა ზოგერთ განმარტებას, ნათქვამი აქვს, რომ „ჩვენს სერიაში, გარდა შაჰების ფირმანებისა, ჩართულია ფათხალი შაჰის (1797—1834) მემკვიდრე პრინცი აბას-მირზას (1769—1833) ჰოქმებიც, რადგანაც იგი განაგებდა ირანის უზარმაზარ პროვინციას და მამასთან ერთად წარმართავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას“¹¹. ამ დოკუმენტებს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით, მაგრამ ეს ამონაწერი აქ იმის საჩვენებლად მოვიტანეთ, რომ პუბლიკატორი აშკარად ასხვავებს ერთმანეთისაგან ფირმანებსა და ჰოქმებს, რადგან პირველს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს უზენაესი გამგებელი, ამ შემთხვევაში, ირანის შაჰი გამოსცემს, ხოლო ჰოქმი შეიძლება გამოსცეს მასზე დაბლა მდგომმა მოხელემაც, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის პროვინციის გამგებელმა უფლისწულმა აბას-მირზამ.

ასეთი შესავლის შემდეგ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ პუბლიკაციაში, გარდა შაჰების ფირმანებისა და აბას-მირზას ჰოქმებისა, შეტანილია სრულიად სხვა კატეგორიისა და სახის დოკუმენტებიც არზების სახით, რომლებიც რატომღაც აქ ჰოქმებად იწოდებიან. მათი რიცხვი კი საქმაოდ დრდა!¹²

ფირმანისა და ჰოქმის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. რაც შეეხება არზას, იგი მათგან სრულიად განსხვავებული დიპლომატიკური ფენომენია და წარმოსდგება არაბულიდან სპარსულში, ხოლო შემდეგ იქიდან ქართულში შემოსული იმავე სახელწოდების ტერმინისაგან, რომელიც სათხოვარსა თუ საჩივარს აღნიშნავს¹³. ასეთი საჩივრით, ე. ი. არზით ცალკეული პირი თუ მთელი სოფლის საზოგადოებაც კი ხშირად მიმართავდა სახელმწიფოს მმართველობის მაღალი ინსტანციის წარმომადგენლებს (შაჰებს, ხანებს, უფლისწულებს), რომლებიც საჩივარზე აწერდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებს „ჰოქმის“ სახით. მაგრამ ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის და თუნდაც თვითონ შაჰისა თუ მეფის რეზოლუციის დადებით დოკუმენტისა და საბუთის რაობა არ იცვლებოდა და იგი კვლავაც არზად რჩებოდა. ამიტომაც სპარსული დოკუმენტების პუბლიკაციის დროს, როგორც წესი, ჯერ ყოველთვის არის მოტანილი მონიშვნისა თუ მითხვენელის არზა და მერე მას მოსდევს ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის, თვით ირანის შაჰისა თუ სხვა დიდი თანამდებობის პირის ჰოქმი, ანუ გამოტანილი გადაწყვეტილება. შორს რომ არ წაი-

¹⁰ Тбилисская коллекция персидских фирманов, гл. 5.

¹¹ იქვე, გვ. 6.

¹² იხილეთ იქვე. დოკუმენტები №№ 5, 8, 10, 17, 27, 29, 32, 33, 35, 36, 41, 42, 66, 67, 113 და 169, გვ. გვ. 24, 26, 30, 39, 54, 58, 61, 62, 65, 67, 71, 72, 98, 99, 156 და 217.

¹³ არზის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ი. ჭავჭავაძის შრომა „ქართული დიპლომატიკა ანუ სიგელთა მოწოდება, თბ., 1926, სადაც მე-8 პარაგრაფი სპეციალურად ეძღვნება სპარსულ დიპლომატიკას და მათ შორის არზასაც.

დეთ, ასეთი დოკუმენტები მაკარ ხებუას პუბლიკაციაშიც გვხვდება. მისი მათზე რეზოლუციების დამდებთა პოქმებად კი არ იწოდებიან, არამედ მავანთა თხოვნად ზედ შაჰისა თუ სხვათა „განაჩენით“ თუ „ბრძანებით“. მაგალითად, მის პუბლიკაციაში 43-ე ნომრად წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც 1744 წლ-ით დათარიღებულ იუზბაშ ყაფლან ბარათაშვილის მიერ ნადირ-შაჰისადმი მივრთმეულ არზას წარმოდგენს (عروضه اشا... قتل برات علی یوزباشی), გამოცემლისაგან წამდღვარებული აქვს სათაურად: „იუზბაშ ყაფლან ბარათაშვილის თხოვნა და ნადირ-შაჰის განაჩენი თეიმურაზ მეფის სახელმძღვანელოდ“¹⁴. იქვე, მომდევნო დოკუმენტს ასეთი სათაური აქვს: „ყაფლან ბარათაშვილის თხოვნა და ნადირ ბრძანება თეიმურაზ მეფისა გაფანტულ გლეხთა მოვროვების შესახებ“¹⁵. 46-ე ნომრით წარმოდგენილ საბუთს კი ასეთი სათაური აქვს: „ყაფლან ბარათაშვილის ძეთა თხოვნა (عروضه اشا) ნადირ-შაჰის განაჩენით“¹⁶. ამისდაკვალად საბუთები (მხედველობაში მაქვს დედანიც და თარგმანიც) წარმოდგენილია ჯერ სათხოვარის თუ არზის და შემდგომ კი შაჰისა და სხვათა განკარგულებების ანუ პოქმების სახით.

იგივე ვითარება გვაქვს სპარსულ დოკუმენტთა სხვა პუბლიკაციებშიც. მაგალითად, თ. მუსაევისთან, რომელსაც ბ-ნი მაგალი კარგად იცნობს და აქვე ინოწმებს კიდევაც, ასეთივე დოკუმენტი არის წარმოდგენილი 133-ე გვერდზე. მაგრამ იქაც ჯერ მოსახლეობის თხოვნის საგანია გადმოცემული და მერე მოსდევს მას ირანის შაჰის განკარგულება ანუ პოქმი. სათაურადაც სწორედ ასე აწერია — „შაჰის რაიათის არზა და შაჰ-აბას II-ის პოქმი“¹⁷. სხვა მსგავს დოკუმენტს იქვე მოყოლებით ასეთი სათაური აქვს „ფანაჰ-ხანის არზა და ერეკლე მეორის განკარგულება“ ანუ „პოქმი“¹⁸.

ასევეა სპარსული დოკუმენტების ყველა სხვა პუბლიკაციაში, თუკი, რასაკვირველია, იქ მსგავსი ხასიათის დოკუმენტი გვხვდება. მაგრამ ახლა ეს მაგალითებიც სავსებით კმარა საკითხის ნათელსაყოფად.

და ბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართული საბუთების პუბლიკაციებსაც, სადაც ამ სახის დოკუმენტები გამოცემულია იგივე მეთოდების დაცვით. ი. დოლიძის გამოცემული ქართული სამართლის ძეგლების VII და VIII ტომები მთლიანად ასეთი საბუთებისადმი მიძღვნილი და სათაურადაც „სასამართლო არზა — ოქმები“ აქვს¹⁹.

ყველაფერი ეს, უიქველია, მშვენივრად უწყის ბ-ნმა მაგალი თოდუამაც. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ამ პუბლიკაციაში ასეთ საბუთს შაჰისა თუ სხვათა პოქმები ეწოდება, შეცვლილია მათი შინაგანი წყობაც. ეს კი იმით გამოიხატება, რომ ჯერ სწორედ ეს პოქმებია წარმოდგენილი და მერე მოსდევთ მათ მთხოვენლ-მომჩივანთა არზა. სავსებით ცხადია, რომ ბატონი მაგალი გარკვეული მიზნებითა და მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ორიოდ სიტყვით ზომ უნდა ეთქვა ამის შესახებ?

14 მ. ხებუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ოქმები, გვ. 80.

15 იქვე, გვ. 82.

16 იქვე, გვ. 86.

17 ტ. მ. მუსაევი. აზერბაიჯანის შუა საუკუნეების ისტორიის სპარსულენოვანი საბუთები. ბაქო, 1977, გვ. 133 (აზერბაიჯანულ ენაზე).

18 იქვე, გვ. 210.

19 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981; ტ. VIII, თბ., 1985.



ეს რაც დიპლომატიკის სფეროს შეეხება. ახლა საბუთში ზოგიერთი ტერმინის შინაარსის გაგებისა და რუსულ თარგმანში მათი გადმოცემის სისწორის შესახებ. სამისოდ, უპირველეს ყოვლისა, პუბლიკაციაში წარმოდგენილი ის საბუთები შევარჩიე, რომლებიც დაკავშირებული არიან ირანელი უფლისწულის აბას-მირზას სახელთან. ასეთი არჩევანი შემთხვევით არ გამოკეთებია. საქმე ისაა, რომ ამ ათიოდე წლის წინ საგანგებოდ გავცეან სპარსული საბუთების ამ კოლექციას და ვაპირებდი კიდევაც მათ გამოქვეყნებას ქართულ თარგმანთან ერთად. მაგრამ, შემდეგ ამისაგან თავი შევიკავე გარკვეული მიზეზების გამო და მათ სანაცვლოდ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რამდენიმე საბუთი გამოვაქვეყნე ქართული მეფეების სპარსული საბუთების ცნობილი კოლექციიდან²⁰. ახლა კი, რაკი აბას-მირზას სახელთან დაკავშირებულ სპარსულ საბუთებზე გვირავიანი შრომა მქონდა გაწეული, ბუნებრივია, ყველაზე პირველად სწორედ ისინი ვადავათვალე რე ამ პუბლიკაციის გაცნობის დროს. იქ კი ერთი არსებითი განსხვავება მომხდდა თვალში ზოგიერთო მათგანის დედანში ნახმარი ტერმინის აქაურ შინაარსსა და რუსულ თარგმანში მისთვის მიჩნეებულ მნიშვნელობას შორის.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ უფლისწული აბას-მირზა ძალიან დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. მაგრამ მისი როლი და ადგილი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა 1804—1813 წლების ირან-რუსეთის ომის დროს, როცა იგი პირადად სარდლობდა ირანის არმიას. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი 214 დოკუმენტიდან 90 დაკავშირებულია მის სახელთან, მათი დიდი ნაწილი კი დასახელებული ომის მსვლელობასთან.

ამ ომში ირანის მხარე ამიერკავკასიიდან რუსეთის განსადევნად და აქ თავისი ძველი პოზიციების აღსადგენად იბრძოდა. ამაში მას თითქოს მხარდამჭერებაც ჰყავდა ევროპის სახელმწიფოებისა (ინგლისი, საფრანგეთი) და თურქეთის სახით. ჰყავდა მომხრეები საქართველოშიც ვაკლენიან თავად-აზნაურთა და მოსახლეობის ერთი ნაწილის სახით, რომლებსაც რუსეთის ვერაგულმა მოქმედებამ თავიანთი სანუკვარი იმედები გაუტრუა და თვითონ მოგვლინა დამპყრობლად ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ხალხებს. მათ შორის იყვნენ ირანში გადახვეწილი უფლისწულებიც, ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე, გიორგი XII-ის ვაჟი თეიმურაზი და სხვები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში.

ომის დასაწყისში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ირანის მხარემ მერე და მერე, 1810 წლის შუა ხანებისათვის ენერგიულად დაიწყო ძალების მოკრება და სამხადისი მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად. ამას კი ძალიან დიდი პოლიტიკურა აქტიურობა უძღოდა წინ. ირანის შაჰი და აბას-მირზა უხვად უგზავნიდნენ სპეციალურ მიმართვებს ამიერკავკასიის ხალხებს, აუწყებდნენ მათ ირანის ჯარის მომავალი გადამწყვეტი იერიშისათვის მზადების შესახებ და მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ ირანისათვის ამ საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბას-მირზას მრავალმხრივი მეცადინეობა საქართველოს მოსახლეობას მისამხრობად. გარდა იმისა, რომ გვერდიდან არ იცილებდა ალექსანდრე ბატონიშვილს, აბას-მირზა ენერგიულად

²⁰ იხ. კ. ტაბატაძე, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რამდენიმე სპარსული საბუთი. — ქვ. VI, თბ., 1985, გვ. 127—147.

იღწოდა იმისათვის, რომ მიემხრო და თავის მხარეზე დაერაზმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა. იგი სწორედ ამ მიზნით უგზავნიდა სპეციალურ მიმართვა-მოწოდებებს იქაურ თავკაცებს. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პუბლიკაციაში წარმოდგენილი აბას-მირზას მიმართვები ქართლის, გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის, ქსნისა და ორივე ლიახვის, არაგვის ხეობისა და კახეთის მოსახლეობისადმი, რომლებიც აქ წარმოდგენილი არიან 117, 118, 119, 120, 121 და 122 ნომრებად²¹.

აღნიშნულ დოკუმენტებში, რომლებიც, როგორც ბ-ნი მაგალი თვითონ აცხადებს, შესავალში, და ამაში, რასაკვირველია, ჩვენც სავსებით ვუძეერთ მხარს, ერთი და იმავე საკითხისადმი არიან მიძღვნილი, ირანელი უფლისწული საქართველოს დასახელებული მხარეების დიდებულებსა და თავკაცებს ენერგიულად მოუწოდებდა შეეკრბათ თავიანთი სამხედრო ძალები და შეერთებოდნენ ირანის ლაშქარს მტერზე გადამწყვეტი იერაშის მისატანად. სხვათა შორის, იქვე მინიშნებული იყო ისიც, რომ ირანელთა ლაშქარს დიდი ხაზინაც გამოჰყვებოდა თან.

1810 წლის აგვისტოში ირანელთა 10 ათასიანი ლაშქარი ჰოსეინ-ხანის მეთაურობით, რომელსაც აღქქსანდრე ბატონიშვილი ახლდა თან, ერევნიდან დამრტული ყარსის გამოვლით მართლაც მოადგა ახალციხეს, მაგრამ იმავე წლის 5 სექტემბერს გამართულ ბრძოლაში პულუჩმა ისინი დაამარცხა და უკუაგდო.

მაგრამ ახლა ჩვენთვის საინტერესოა იმისი გარკვევა, თუ ვის სახელზე მიმართავდა აღნიშნულ დოკუმენტებში აბას-მირზა საქართველოს დასახელებული მხარეების მოსახლეობას. ქართლის მოსახლეობისადმი გამოგზავნილი მიმართვის სათაურშივე საამისოდ ჩამოთვლილი არიან: **زرگان و اعظام**.

ع. ا. و اعظام و اشرف و ارباب علم حاد و کار تیل — „ქართლის მიდა-მოგზას დიდებულები, წარჩინებულები, სახელმოხვეჭილები, პატივდებულები, კეთილშობილები და **علم ارباب**, რომლებმაც უნდა უწყოდნენ, რომ... და ა. შ. ჩამოთვლილთა შორის გაუტყვეველი ვერჩება ტერმინ **علم ارباب** საგულისხმებო აღრესატები, ვინ უნდა იყვნენ ის-ნი? **ارباب** ლექსიკონებში ახსნილია როგორც: **владельци, хозяева, господа, одаренные; хозяини, господини**²² ასევე აქვს გაგებული ბ-ნი მაგალისაც, მაგრამ საკამათოდ გამოიყურება მეორე ტერმინის **علم**-ის მისებური გაგება.

აღნიშნული ტერმინი **علم** ხმოვანდება ორნაირად ალამ და ელემ. ამისდაკვალად პირველ შემთხვევაში (ალამ) იგი აღნიშნავს: **знак, значок, знамя, флаг** და ა. შ. (მამასადამე) ქართულად: **ნიშანი, ალამი, დროშა** და ა. შ.). მეორე შემთხვევაში კი სხვანაირი გახმოვანებით (ელმ) ნიშნავს: **знание, веление, учение, наука**²³, ე. ი. ცოდნა, მცნება, მოძღვრება, მეცნიერება და ა. შ.

თუ რომელი მნიშვნელობით უნდა გავიაზროთ ეს ტერმინი, ჩვენ ეს უნდა გვიკარნახოს ორიგინალის ხასიათმა და ჩვენმა მეცნიერულმა აზრომ. ვინ

²¹ Тбилисская коллекция персидских фирманов, с. 161—175.

²² Гафаров Мирза Абдулла. Персидско-русский словарь, т. II, М., 1927, с. 18.

²³ იქვე, ტ. II, М., 1927, с. 564.



სკირდებოდა ყველაზე მეტად აქაური თავკაცებიდან მაშინ აბაქურაძე-საკვირველია, დროშასთან (ე. ი. აქაურ სადროშოსთან) დაკავშირებული ხალხი და არა ქართლის მაშინდელი მეცნიერები. ბ-ნ მავალის კი რატომღაც მეორე მნიშვნელობა აურჩევია და ამიტომაც მის თარგმანში იგი ასე ეწერს: „ученые господа“, „ученые люди“, „благородные ученые“.

პუბლიკაციაში 118 ნომრად წარმოდგენილი აბას-მირზას მიმართვა გულამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობისადმი ორიგინალში იწყება ასეთი სიტყვებით: حکم والا شد آنکه عالیشان عزت و سعادت نشانان
مجدت و ارادت بنیان زیدی الاماجد والا کابرزگان واعظام و
اشراف و ارباب عام گودامقار و پشاو و خوسور . . . بدانند . . .

რაც ბ-ნ მავალის რუსულ თარგმანში ასე გამოიყურება: „вышел высокий указ (о следующем): Высокочтимые; символы достоинства и благополучия; основы величия и любви; сливки (среди) славных, великих, знатных, могущественных, знаменитых и ученых Гудамакари, Пшави и Хевсурети... пусть знают“ и т. д.

აქ დასახელებული ტერმინის მეორე ვარიანტის გამოყენებისა და, მაშასადამე, მისი შენაარსის მცდარად გაგების გამო საერთოდ აღარ ჩანს, თუ სახელდობრ ვის ეგზავნება ირანელი უფლისწულის ეს მიმართვა.

მაგრამ აღნიშნული ტერმინის მეორე მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში ვიღებთ ასეთ სურათს: „გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ მაღალირსეულნი, პატივისა და დიდების მსახველნი, სიდიადისა და მოკრძალებს ზაუფქველნი, სახელოვანთა და დიდებულთა შორის აღმატებულნი გულამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის დიდებულები, წარჩინებულები, კეთილშობილები და დროშის თავკაცები უწყოდნენ, რომ...“ და ა. შ.

როგორც ჩვენ გვგონია, აქ ამ ტერმინის მნიშვნელობა ნათელია და თან ბუნებრივადაც გამოიყურება.

იგივე ტერმინი ახლა როგორც „благородные ученые“ ისე გადმოცემული პუბლიკაციაში 119 ნომრად წარმოდგენილ აბას-მირზას ქსნისა და ორივე ლიანხეს მოსახლეობისადმი მიმართვის რუსულ თარგმანში, ხოლო მომდევნო საბუთის თარგმანში საერთოდ აღარ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტერმინოლოგია საერთოდ არ გვხვდება ირანის იგივე პოლიტიკური და სამხედრო სწემის მესვეურთა მიერ სხვათა მისამართით გაგზავნილ მსგავსი ხასიათის მიმართებებში, რადგან სხვაგან ლაშქრის თავშეყრის სხვა წეთოდებს იყენებდნენ და ქვეყნის სადროშოებად დაყოფის სისტემები არა ჰქონდათ²⁴.

ჩვენი შენიშვნები, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ ბღალავს ამ პუბლიკაციის დიდ სამეცნიერო ღირსებებს. იგი კემშართად წარმოდგენს ქართული წყაროთმცოდნეობის უძვირფასეს შენაძენსა და ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დღევანდელი მაღალი დონის უტყუარ მოწმობას, რომელიც უსათუოდ დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ირანისტიკაში.

²⁴ სადროშოების შესახებ იხ. ა. კლიშიაშვილი. მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. — XV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1973, გვ. 231—242.

მ ო ზ ო ნ ე ბ ა ე ბ ი

ჩ ე მ ი რ ე ზ ო

მეორე მსოფლიო ომის ხანძარი ახალი ჩამქრალი იყო. 1947 წლის ზაფხულში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისიდან ჩამოვედი დედაქალაქში და საბუთები შევიტანე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ახლადგახსნილ დიპლომატიურ განყოფილებაზე. რადგან საშუალო სკოლა ოქროს მედლით მქონდა დამთავრებული, მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან თავისუფალი ვიყავი, აუცილებელი იყო მხოლოდ ჩემი გასვლა საგანგებო ვასაუბრებაზე, რომელსაც ესწრებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს რომელიღაც მუშაკი (დამამახსოვრდა მხოლოდ გვარი — შანიძე) ფაკულტეტის რამდენიმე წარმომადგენლის თანდასწრებით, საუბარი შეეხებოდა არა მარტო იმდროინდელ საერთაშორისო მდგომარეობას, არამედ ომის გარკვევას, თუ როგორი საერთო მომზადების დონე ჰქონდათ აბიტურიენტებს, როგორ ფლობდნენ ისინი რუსულ და რომელიმე დასავლეთურ ენას და ა. შ. ჩვენ ხომ დიპლომატები უნდა გავმხდარიყავით! საბუთებთან ერთად უნდა შეგვესო და ჩაგვებარებინა რაღაც ანკეტა რუსულ ენაზე, რომლის მსგავსი მანამდე არ მენახა (კითხვები: „იყავით თუ არა საზღვარგარეთ?“, „ნათესაებ-დან ვინა გყავთ საზღვარგარეთ?“, „იყავით თუ არა ტყვედ?“, „ნათესაებიდან ვინ იყო ტყვედ?“, „ვინ გყავთ დაბატირებული?“, „მიუთითეთ დედის გვარი გათხოვებამდე“ და მისთანანი). რაიმე შეცდომა რომ არ დაგვეშვა და ანკეტა არ გავვეფუჭებინა, ფაკულტეტის მდივანი (აწ გარდაცვლილი სიმპათიური ქალბატონი ეთერ ბარამიძე) ყველას გვეუბნებოდა: „გვერდით ოთახში იკითხეთ რეზო კვიციანი და ის დაგეხმარებათ ანკეტის ზუსტად შევსებაში“.

...ჩემს წინ იდგა მაღალი, გამხდარი, სრულიად ახალგაზრდა რეზო (ჩემზე ოდნავ უფროსი), სანდომიანი სახითა და მოციმციმე თვალებით, პირზე ოდნავ უკრთოდა ღიმილი. რამდენიმე წუთში უკვე თავისუფალი ვიყავი. „აბა, გისტურებთ ვასაუბრების კარგად ჩატარებას“, — გზა დამილოცა.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო ვასაუბრება. ჩემი ჭერი რომ დადგა, აუდიტორიაში შევედი, თუმცა ფეხები უკან მრჩებოდა, ვნერვოულობდი, საქმე ცუდად რომ წავიდეს, ქუთაისში როგორ დავბრუნდებოდი. უცებ კომისიის წევრთა შორის შევნიშნე ნაცნობი სახე, ღიმილიანი... ეს რეზო იყო. იმედი ნომეცა, გავმხნევედი. ერთი-ორი შეკითხვა თვითონაც დამისვა. ვასაუბრებიდან თითქოს კმაყოფილი გამოვედი, მაგრამ სულ თავში მიტრიალებდა, ნეტა ვინ არის ეს რეზო კვიციანი, უკვე უნივერსიტეტდამთავრებული, თანამდებობის პირი ხომ არ არის-მეთქი. პირველ სექტემბერს სწავლას შევუდექით. ლექციის შემდეგ შესვენებაზე გამოვედი. ჩვენს გვერდით აუდიტორიაში ფაკულტეტის



მეორე კურსის სტუდენტებსაც ჰქონდათ ლექცია. ჩვენთან ეტაპულადაა გამოვიდნენ. გავიხედოთ, მათ შორის რეზოც ტრიალებს... თურმე ის მხოლოდ და მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტი ყოფილა, არა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს უნივერსიტეტში ან საგარეო საქმეთა სამინისტროში რაღაც მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა. შემდეგში გავიგე, რომ ომის მონაწილეც ყოფილა.

მეორე სემესტრში ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდა. პირველკურსელები მასში მონაწილეობას არ იღებდნენ. ისინი მხოლოდ მოხსენებებს ესწრებოდნენ. ერთ-ერთი მომხსენებელი რეზო გაზღდათ. დღემდე მახსოვს მისი მოხსენება — „ემისი დებეშა“ (ბისმარკის მიერ განზრახ დაახინჯებული დებეშა, რომელიც 1870—71 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომის საბაბი გახდა). მე, დამწყებ დიპლომატს, მომეჩვენა, რომ რეზო უკვე დასრულებული დიპლომატი იყო და მისგან დიდი პოლიტიკოსი დადგებოდა. მაგრამ ჩემი ოცნებები საპნის ბუშტივით გაქრა. მომდევნო წელსვე ე. წ. „დიპლომატიური განყოფილება“ გააუქმეს მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის გამო. „დიპლომატები“ ერთბაშად „საერთაშორისო ურთიერთობათა“ ნომავალ სპეციალისტებად ვიქცით, შემდეგ წელს კი უკვე „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიკოსებად“ მოგვანათლეს. დავამთავრეთ უნივერსიტეტი და რეზო და მე ორიენტალისტი პროფესიონალი ისტორიკოსები გავხდით (მოგვიანებით, როცა ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით, რეზომ ხუმრობით გულახდილად მითხრა: „შენგან ხეირიანი დიპლომატი მინც არ გამოვიდოდა“).

უნივერსიტეტში სწავლისას (რეზოს სახელობითი სტიპენდიაც ეძლეოდა) ჩვენ ორივეს დიდი ბედნიერება გვხვდა — გვესწავლა ბრწყინვალე პროფესორ-მასწავლებელთა მთელი პლეადის გარემოცვაში. რეზო „სპარსულ ჯგუფში“ იყო და გამოჩენილი ირანისტის, ბ-ნ ვლ. ფუთურაძის ხელმძღვანელობით სპარსულ ენასა და ირანის ისტორიას ეუფლებოდა. ბ-ნი ვლადიმერის ნათელი სახე, მისი ადამიანური მომხიბვლელობა და ღრმა განსწავლულობა, რეზოს იდეალი იყო მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე (მე კი „არაბულ ჯგუფში“ ვსწავლობდი და ბ-ნი გიორგი წერეთლის საოცარ ლექციებს ვ-სმენდი). რეზოს „სპარსულობას“ და ჩემს „არაბობას“ სრულიადაც არ შეუშლია ხელი ჩვენი მომავალი ურთიერთობისათვის, რამაც ბოლოს ერთ დიდ სამეცნიერო დაწესებულებაშივე მიგვიყვანა. ეს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

ასე ჩავყარა საფუძველი ჩვენს უანგარო მეგობრობას, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. იგი დღესაც გრძელდება, რადგან მგონია, რომ რეზო დღესაც ჩვენთანაა, ინსტიტუტის მესამე სართულზე მისი განყოფილების ოთახთან მიკრულ ერთ პატარა უკარო კუთხეში, სადაც იგი დიდ და სასახელო საქმეებს აკეთებდა.

ეს იყო ყოფილი ძერეინსკის, ახლანდელ ინგოროვას ქუჩაზე, აკადემიის ძველ შენობაში. სწორედ ამ ოთახში, ძველი ისტორიის განყოფილებაში, რეზოს მიჩენილი ჰქონდა ერთი კუთხე საწერი მაგიდით, ქერამდე ასული წიგნებით. რეზო ჩვენი განყოფილების სხდომებსაც ესწრებოდა. ხშირად კამათშიც ჩაერთვებოდა. ისე ჩანდა, თითქოს ისიც იყო ამავე განყოფილების თანამშრომელი, სადაც შრომობდა ახალგაზრდების მთელი თაიგული ბ-ნი გიორგი მე-

ლიქიშვილის ხელმძღვანელობით — მ. ინაძე, ნ. ხაზარაძე და დ. ხახუტაიანი, ნ. ლომოური, ე. მენაბდე, ლ. ჯანაშია, არჩ. ბარამიძე, სწორედ ამ განყოფილებაში ჩაისახა იდეა ისეთი პერიოდული გამოცემისა, რომელშიც გამოქვეყნდებოდა ძველი ისტორიისა (ძველი აღმოსავლეთი, ძველი საქართველო) და ახლა საუკუნეების აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი ნაშრომები. რეზოს წინადადებით, მომავალ კრებულს „აღმოსავლური კრებული“ დავარქვით. რეზო ამ კრებულის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი იყო, თუმცა კრებულის მომზადებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მთელ საქმიანობას იგი წარმართავდა. 1960 წ. გამოქვეყნდა ამ კრებულის პირველი ტომი, რომელსაც შემდგომ არაერთი გამოსაშურობა მოჰყვა. „აღმოსავლური კრებულიდან“ ნომდევნო წლებში მივიღეთ ახლა უკვე კარგად ცნობილი „კავკასიურ-აზღმოსავლური კრებული“, რომლის IX ტომი მომზადებულია და გამოქვეყნებას ელის. მართალია, მოგვიანებით მისი რედაქციის წევრი რეზო აღარ იყო, იგი მხოლოდ თავისი განყოფილების მასალას ამზადებდა, მაგრამ ჩვენ ყურადღებას და დახმარებას, განსაკუთრებით ნაშრომის პუბლიკაციის საქმეში, მაინც არ გვაკლებდა.

ჩვენი განყოფილების ოთახში რეზოს ყოფნა მთელი ბედნიერება იყო. რას არ მოიგონებდა! მახსოვს, როგორ ვიხდიდით „ჭარბებს“ ლაპარაკში უღვგილოდ ჩართული რუსული სიტყვების ან წინადადებებს გამო. დასაწყისში ამის გამო საკმაოდ სოლიდური „თანხა“ გროვდებოდა, მაგრამ მოგვიანებით უკვე ვფრთხილობდით მკაცრად მოქმედი „კანონის“ შიშით და თანხაც შემცირდა. თანხა მთლიანად ჩვენ გვხმარდებოდა: წინასწარ შედგენილი გრაფიკით, რეზო ჩვენს დაბადების დღეს შეგვახსენებდა, რაღაც პატარა სამახსოვრო საჩუქარს მოგვიძღვნიდა და მოხუცი მცირე სასმისით გვადღეგრძელებდა (სათანადო მასალა სახლდან მოჰქონდა). ამ დროს ედუარდ მენაბდე იუბილარს წაუკითხავდა „ადრესს იუმორისტული მეგობრული შეგონებით (ედუარდს ამისი დიდი ნიჭი ჰქონდა). „ზეიმის“ დასასრულს ნოდარ ლომოური იუბილარს მიაჩვენებდა სახელდახელოდ დახატულ მას „პორტრეტს“, რაც ჩვენ ატყუებას იწვევდა (ნოდარი განყოფილების სხდომის დროსაც არაჩვეულებრივ პორტრეტებს ქმნიდა — განყოფილების თანამშრომელთა იუმორისტულ მეგობრულ შარყებს ხატავდა). ყოველივე ეს ისე მოგვწონდა, რომ ხველანი მოუთმენლად ველოდით ჩვენს დაბადების დღეს, ვიცოდით, რეზო რაღაცთა გავგახარებდა.

ყველაზე „წაგებული“ მე გამოვიდიოდი, რადგან ჩემი დაბადების დღე ზაფხულის გავანია სიცხეშია და ყოველთვის ქალაქგარეთ ვიყავი გასული. ერთხელ ჩემს ოჯახთან ერთად ქვიშხეთში ვისვენებდი. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად ძვირფასი სტუმარი გამოგვეცხადა — რეზო გვესტუმრა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი მომიბრუნდა და მითხრა: „დაბადების დღეს გილოცავო“. გამახსენდა, რომ მე იუბილარი ვიყავი. ახლაც სათუთად ვინახავ რეზოს ჩამოტანილ საჩუქარს: — ვერცხლით მოგარაყებულ პატარა ყანწს წარწერით: „კუჭურის ოსკარებისაგან. 28. VII. 1961“. („ოსკარები“ ჩვენ განყოფილების წევრებს ედუარდმა შეგვარქვა).

ვგონებ, როგორ ბრწყინვალედ ერკვეოდა საგამომცემლო საქმეში. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, ინსტიტუტის მთელს საგამომცემლო საქმიანობას რომ იგი წარმართავდა. ხელმძღვანელობდა სპეციალურ კომისიას, რომელსაც ევალებოდა გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომების შემოწმება. ვერ იტანდა, როცა გარკვევოდა, რომ მავანსა და მავანს „ტყუილი ნაშრომი“



ჩეხარებიანა. იცოდა, ასეთი ნაშრომი მომავალ წელს აუცილებლად დაეცემოდა და დავკარგავდით ჩვენთვის ესოდენ საჭირო და ძვირფას თაბახებს, რომლის ნაკლებობას ინსტიტუტი ყოველთვის განიცდიდა. ამ დროს კი რამდენიმე ათეული თაბახი წყალში იყრებოდა. ამიოდ ებრძოდა რეზო ამ მდენე პრაქტიკას, კომისიის წევრებიც მას მხარში ვედევით, მაგრამ... იგი შენდეგშიც გრძელდებოდა.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1960 წელი — აკად. გ. წერეთლის მრავალწლიანი ძალისხმევით გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომლის შესახებ ბ-ნი გიორგი სტუდენტობის დროიდანვე გვესაუბრებოდა. საჭირო გახდა მთელი აღმოსავლური სამეცნიერო ძალების თავმოყრა ახლად დაარსებულ ინსტიტუტში. ამის შედეგი იყო ის, რომ ისტორიის ინსტიტუტი დატოვა რამდენიმე თანამშრომელმა, მათ შორის ერთ-ერთმა ჩვენმა მასწავლებელმა ბ-ნმა ვალერიან გაბაშვილმა, რომლის განყოფილების თანამშრომელიც რეზო იყო (მახსოვს, ბატონი ვალერიანის წასვლამ როგორ გაანაწყენა ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი ბ-ნი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც კატეგორიულად წინ აღუდგა ამ ამბავს იმ მოტივით, რომ ვ. გაბაშვილი საქართველოს ისტორიას უფრო სჭირდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთისას). სწორედ ამ პერიოდში გადაწყდა, რომ ძველი აღმოსავლეთის მკვლევარნი ინსტიტუტში დარჩენილიყვნენ. ბ-ნი ვალერიანის განყოფილება კი ჩვენი ინსტიტუტში გაუქმდა და რეზო თავისი სურვილით რამდენიმე თანამშრომელთან ერთად წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში გადავიდა, რომელსაც ბ-ნი ვარლამ დონდუა ხელმძღვანელობდა. ჩემი აზრით, სწორედ ამ დროიდან იწყება რეზოს განუსაზღვრელი ინტერესი ქართული წყაროთმცოდნეობისადმი, რასაც მან შესწირა მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე.

1965 წ. ჩვენს ინსტიტუტს თავს დაატყდა დიდი უბედურება — გარდაიცვალა ჩვენი დირექტორი ბატონი ნიკო ბერძენიშვილი. რეზო და მე ერთად შევეუდევით აღმართს მთაწმინდის ბანთეონისაკენ. ასეთი დაღვრემილი და უხსაიათო რეზო არასდროს მენახა, ხმას არ იღებდა. ამ უბედურებას შემდგომ მეორეც მოჰყვა — 1969 წელს სამუდამოდ დაგვტოვა ბ-ნმა ვარლამ დონდუამ — სახელოვანმა მეცნიერმა და უაღრესად კოლორატულმა ფიგურამ. დიდი იყო წყაროთმცოდნეობის თანამშრომელთა, მათ შორის რეზოს მწუხარება. კარგა ხანს ეს განყოფილება უხელმძღვანელოდ იყო. ბოლოს, ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი გიორგი მელიქიშვილის არჩევანი რეზოზე შეჩერდა. მალე ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილება ერთ-ერთი საუკეთესო გახდა მთელს ინსტიტუტში. ქართულ, ისევე როგორც ზოგად წყაროთმცოდნეობას, რეზომ ახალი სული შთაბერა.

საკანდიდატო დისერტაცია რეზომ და მე ერთ წელს (1956) დავიცავით. თითქმის თხუთმეტი წლის შემდეგ ერთ-ერთი საუბრისას რეზო შემეკითხა, სადოქტორო დისერტაციას რატომ არ იცავო. გამეცინა, შენ გელოდები-მეთქი. ჩემთვის ჯერ აღრეაო, მოხბრა. არ ვიცი, რას გულისხმობდა, რატომ იყო მისთვის აღრე და ჩემთვის დროული. სადოქტორო დისერტაცია თითქმის მზად მქონდა, მაგრამ ორი-სამი წელი ველოდებოდი ბერლინში გასამგზავრებელ ნებართვას, ხეთურ თეზაურუსზე (არქივში) სამუშაოდ. სულ უარით მისტუმრებდნენ. რეზომ ეს მშვენივრად იცოდა. ერთ დღეს აკადემიის საგარეო საქმეთა განყოფილებაში გამომიძახეს. განყოფილების უფროსი დ. გურგენიძე გა-

იმდენად ხალასი, უშუალო და ბუნებრივი იყო, რომ მისი სხვაგვარი ქმედების შესაძლებლობაც კი არავის გაუვლია გულში. ყველაფერი ეს, როგორც მე მეჩვენება, იყო შედეგი არამართო გონივრული ოჯახური აღზრდისა, არამედ წინაგანი ბუნებისა, რომელიც მას გენეტიკურად მოსდევდა. რეზო კიკნაძეს მძიმე, მაგრამ საინტერესო ცხოვრებისეული გზა ჰქონდა გავლილი, რასაც, როგორც ჩანდა, უკვალოდ არ ჩაუვლია. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მეორე მსოფლიო ომის წლებში ხანგრძლივი ჯარი და მშობლიური გარემოსაგან მოწყვეტა, არ შეიძლებოდა მძიმედ არ დაჩნეოდა ბატონი რეზოს ფაქტზე, ადამიანის მოყვარულ სულს. ამბობენ, ომი აუხეშებს ადამიანის ხასიათსო. ამ აღიარებული ტექნიკიტებისადმი უდავოდ ეშვი გაგიჩნდებოდათ, როცა რ. კიკნაძეს ახლოს გაეცნობოდი.

მე ბედნიერება მქონდა 1946 წლიდან მისი გარდაცვალების დღემდე ბ.ნი რევაზ კიკნაძის პატივსმცემელი ვყოფილყავი და ასე ვარ დღესაც. ჯერ ჩვენ პარალელური კურსით მივდიოდით, იგი როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი და ასპირანტი, ხოლო მე როგორც ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი და ასპირანტი. განვებამ იგი გავეცნაზღვრა, რომ ასპირანტურის კურსის დათავრების შემდეგ, ორივეთა ერთი სამეცნიერო დაწესებულება-ს თანამშრომლები აღმოვჩნდით. არ ვადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ რეზო კიკნაძე სამაგალითო იყო ყველასათვის, ხოლო ჩემთვის იგი მისაბამი იყო როგორც პიროვნება, როგორც მკვლევარი, როგორც შრომის მაღალი კულტურისა და შეუღარებელი პასუხისმგებლობის მატარებელი. უფრო მეტიც: რეზო კიკნაძის გვარდით მუშაობის დაწყების შემდეგ მე თითქოს თავიდან მომიხდა მეტყველებისა და წერის კულტურას ათვისება, მან მაჩვენა, როგორი მრავალმხ. როგორ უკეთესად გამეკეთებინა ესა თუ ის საქმე. თანაც ამას ყოველთვის ისეთი კეთილმოსურნეობით აკეთებდა, რომ არასოდეს იგრძნობდით უხერხულობას. ჩემი ძვირფასი განსვენებული მეგობრის ბრალი სულაც არ არის, რომ მე ბევრს ვერაფერს მივაღწიე, მაგრამ იგი ყოველთვის წრფელი, კეთილმოსურნე და ბაჯალლო, ხალასი იყო. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ იგი შემდგომი ღრთისათვის გადასდებს თუნდაც მცირედი სანაცვლო მიზნს შიგნით თავის კეთილისმყოფელსა და მეგობარს. პირადად, სიცოცხლის ბოლომდე შემჩნება ნაკლოვანების გრძნობა, რომ ვერ მოვახერხე სიცოცხლეშივე მეგრძნობინებინა მისთვის, თუ როგორ დავალებული ვიყავი მისგან და რამდენად პატივს ვცემდი მას.

როგორც ყოველი ხალასი, კაცური, ჰუმანური ბუნების ადამიანი, რეზო ბოლომდე ანცი ბავშვივით ხუმარა დაჩჩა. ჩემო რეზო, წარუხოცელ მოგონებად ჩამჩჩა მებს-ერებაში, ერთხელ როგორ ოსტატურად ჩამიდე პორტფელში და გამატანე სახლში რამდენიმე კილოგრამიანი მარმარილოს პრესპაპიე, რომელიც ჩემს საწერ მაგიდაზე იდგა. მახსოვს. მთელი წელი როგორ გულიანად ვხარხარებდით, როცა შენს ამ ცელქობას ვიხსენებდით.

ძვირფასო რეზო. შენი ნათელა სახე ყოველთვის მახსენებს, რომ ადამიანი მხოლოდ სიკეთეს უნდა თესავდეს.

შენი დავით ხახუტაიშვილი

რევან კიკნაძე იმ გამორჩეულ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, გონიერთა შორის რომ მოეკითხებათ ჭკუა. მუდამ საინტერესო აზრით დატვირთული, იგი დიდი მონღოლებით, შინაგანი მოთხოვნილების კარნახით უშუალოდ უზიარებდა კოლეგებს თავის მოსაზრებებს. გამორჩეულად პასუხისმგებლობის გაფაქიზებული გრძნობით, უმნიშვნელო მეგობრულ თხოვნასაც არასოდეს დატოვებდა ყურადღების გარეშე. მისი ორგანიზატორული ნიჭის, ვიმეორებ, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, ინსტიტუტში ხშირად ევალეობდა (თელი საკითხების მოგვარება).

დღესაც თვალწინ მიდგას და არა მარტო მე. საბჭოს მრავალ წევრს ახლაც ესახება, როგორ მოახსენებს ბატონი რუზო სამეცნიერო საბჭოს მისი განყოფილების ან საგამომცემლო საქმის (რომელიც მას ჰქონდა ჩაბარებული) საჭიროებოტო საკითხებს. — ლაბარაკობდა წყნარად, აუჩქარებლად, ჩინებული ქართულით. ჰქონდა ექსტრეულაციისა და დგომის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული მანერა. საუბრისას იმზირებოდა ზევით, გარეგნული შთაბეჭდილებით იმ დროს იდეით გატაცებულ კათოლიკე პატრს მოგაგონებდათ.

შესანიშნავი დახვეწილი იუმორით დაჯილდოებულს, მოსმენის შესანიშნავი უნარიც ჰქონდა. მეგობრულ წრეში თბილი თანამეინახე, უზადო მოსაუბრე გახლდათ.

მე მომიწია ბედნერებამ, მასთან ერთად მემოგზაურა მახლობელ აღმოსავლეთში. მოგზაურობისას კი ხშირად ადამიანის ისეთი თვისებები მოჩანს, ჩვეულებრივ გარემოში რომ ვერც კი შენიშნავ. ადამიანურ ურთიერთობებში, თანაცხოვრებაში არასოდეს არაფერი შეშლია. მახსოვს, როგორ აღიქვამდა რუზო ეგვიპტის პირამიდებს, ლუქსორისა თუ კანაქის სასახლეთა ბრწყინვალეობას. ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის შინაგანი კულტურით იოლად ითვსება მსოფლიოს იმ საოცრებებს, რომელთა ხილვაც ახალგაზრდობაში ზღაბრად თუ გვზმანებია.

სასაუბროდ განწყობილს თვალის უბეებში ეშმაკური ათინათი ჩაუდგებოდა. ერთხელ ეგზალტაციით ცნობილი მეცნიერის ლექციაზე დასასწრებად შევევატიყე. არაო — მითხრა, ერთი მსახიობის თეატრი არ მიყვარსო.

დღესაც მეჩვენება ხოლმე, რომ კიდევ შემხვდება ინსტიტუტის შენობაში, თითქოს კიდევ მომცემს მეგობრულ რჩევას, მოვიკითხავ და მომიკითხავს.

ადრე, უდროოდ წავიდა ჩვენგან ღირსეული, საშირო კაცი და, რა თქმა უნდა, ძნელია საუბარი რუზო კიკნაძეზე წარსულ დროში.

ჭუმბერ ოდიშელი

რევან კიკნაძის მოსაუბრად

რევან კიკნაძეს უნივერსიტეტშივე ვიცნობდი სალმით, ვითარცა წარჩინებულ სტუდენტსა და ასპირანტს, მაღალ, გამხდარ, აზროანი შესახედაობის ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს.



ასპირანტთა კონფერენციაზე მისი მალალმეცნიერული მოხსენებები მისმენია. შევხვედრივარ მას ბევრჯერ სხვადასხვა სიტუაციაში. უფრო დავუახლოვედი 1964 წლის შემდეგ, როცა ლიტერატურის ინსტიტუტიდან ისტორიის ინსტიტუტში გადმოვედი სამუშაოდ. არაერთხელ მომისმენია მისთვის საინსტიტუტო კრებებსა, სამეცნიერო საბჭოს სხდომებსა თუ სესიებზე.

1983 წლიდან, როცა ისტორიის ინსტიტუტის დირექციაში დავიწყე მუშაობა, კვირა ისე არ გავიდოდა, ბატონი რეზო არ მობრძანებულყო სხვადასხვა სამეცნიერო, საგამომცემლო თუ საზოგადოებრივ საკითხებზე სასაუბროდ.

იგი ჩინებული მოსაუბრე იყო, დინჯი, აუჩქარებელი, პრინციპული, აკადემიური, ყველაფერზე უწინარეს საქმით დაინტერესებული მოაზროვნე ადამიანის შთაბეჭდლებას სტოვებდა, მაგრამ ყურადღებიანი ადამიანი მის რბილ, გულთბილ, გულწრფელ დამოკიდებულებასაც შეამჩნევდა.

ბატონი რეზო მარტო მეცნიერ-მკვლევარი კი არა, მეცნიერ-ორგანიზატორიც იყო, რასაც მოწმობს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარებული წყაროთმცოდნეთა სამეცნიერო კონფერენციები და სესიები. ორგანიზაციის — ბათუმსა და ოზურგეთში ასეთ სესიებზე მეც ვახლდი მას...

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ოთხი წლის წინათ, 1989 წლის ივლისში ეს სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე უდროოდ დავკარგეთ.

მისი სახით ჩვენს საზოგადოებას გამოაქლდა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წევრი, ჩინებული პატრიოტი და მოქალაქე, ქართულ ისტორიოგრაფიას ნიჭიერი მკვლევარი, ბრწყინვალე ქართულ ოჯახს — მზრუნველი მეუღლე და მამა, ივანე ჯავახიშვილის ინსტიტუტს — ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მეგობრებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს — გულითადი მრჩეველი და მასწავლებელი. ყველას ჩვენ კი — დიდად განსწავლული, მომთხოვნი, მაგრამ გულსხმიერი პიროვნება...

ისღა თუ დავგრჩა სანუგეშოდ, რომ მან დავგვიტოვა დიდებული ქართული ოჯახი, მისი საქმის უნარიანად განმგრძობი არც თუ მცირე მოწაფენი და ბრწყინვალე მონოგრაფიული გამოკვლევები, მუდამ რომ მოაგონებენ შთამომავლობას მათს ნიჭიერ შემოქმედს, გამოჩენილ ისტორიკოსს — წყაროთმცოდნესა და ტექსტოლოგს რევაზ კიკნაძეს.

ამას ამბობდა და ფიქრობდა კიდევ ალბათ ყველა მისი მეგობარი, თანამშრომელი და თანამოაზრე, ვინც ზაფხულის იმ პაპანაქება ღლეს დამწუხრებული ეთხოვებოდა ბატონ რეზოს.

მიხეილ გაფრინდაშვილი

უდროოდ დაღუპული მეგობარი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ გაიხადა მეომრის ფარაჯა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა, გაცდენილი წლების ანაზღაურების მიზნით გაათკეცებული ენერგიით დაიწყო სწავლა და მეცნიერების საფუძვლების დაუფლება. მათ შორის იყო რევაზ კიკნაძე, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.



რევან კიკნაძე სამოცი წლის წინ გავიცანი, ერთად ვსწავლობდით ლაში ათი წლის მანძილზე. იგი იმთავითვე გამოჩნეოდა მოსწავლეთა შორის. ჩვენს კლასში, სადაც ათამდე ფრიადოსანი იყო, რევან კიკნაძე აღიარებული ლიდერი გახლდათ. მისი ნიჭიერება, ბეჯითობა და შრომისმოყვარეობა საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა.

ჯარიდან დაბრუნებული რევან კიკნაძე ჩვეული გატაცებით შეუდგა მეცადინეობას. იგი არ კმაყოფილდებოდა სასწავლო გეგმითა და პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებით. გულმოდგინედ სწავლობდა ჩვენს წარსულს, განსაკუთრებული ინტერესით ეწაფებოდა საქართველოს ისტორიის ქართულ და აღმოსავლურ წყაროებს, ეუფლებოდა უცხო ენებს, პირველ ნაბიჯებს დგამდა მეცნიერულ ასპარეზზე. მუყაითობითა და მომზადების მაღალი დონით რევან კიკნაძემ აღრვევ მიზნით პროფესორ-მასწავლებლებთან, — განსაკუთრებით ვალერიან გაბაშვილის, ვარლამ დონდუასა და ვლადიმერ ფუთურჩიძის, ყურადღება. არსებითად მათი ხელმძღვანელობით მოხდა მისი სულიერი ფორმირება და მეცნიერული ნათლობა. რევან კიკნაძემ ჯეროვნად გამოიყენა ღვაწლმოსილ მასწავლებლებთან გატარებული წლები, საფუძვლიანად აითვისა მათი სახელოვანი ტრადიციები და მალე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველ მედიევისტთა შორის.

რევან კიკნაძე იყო ერთდირებული მკვლევარი და მეცნიერული მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, ჩუმი და მოკრძალებული, უპრეტენზიო სწავლული, ახალგაზრდა წყაროთმცოდნეთა საიმედო წინამძღოლი, ამასთანავე, ძალზე პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი. ნათელმა ნიჭმა და ანალიტიკურმა გონებამ, დაუსრეტელმა ენერჯიამ და მეცნიერულ ინტერესთა სიფართოვემ, ჩინებულმა ვანსწავლულობამ და საქართველოს წარსულის ღრმა სიყვარულმა მას დამსახურებული ავტორიტეტი შეუქმნა მკვლევართა ფართო წრეებში.

რევან კიკნაძე შორს იყო თავმომწონეობისა და პატივმოყვარეობისაგან, ოდნავადაც არ ელტვოდა სამსახურებრივ კარიერას. შეუწელებელი ინტერესით იღვწოდა ქართული საისტორიო მეცნიერების სარბიელზე, ერთგულად ემსახურებოდა თავის ერსა და ქვეყანას. პირადი ღირსებებით უზვად შემკული მკვლევარი, რომელიც გამოირჩეოდა კოლეგებისადმი ყურადღებით, მოწაფეებისადმი გულისხმიერებით, ადამიანური კეთილშობილებით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მუშაობდა და ამითაც გამაპირობებდა მისი რენომეს დღითი დღე ზრდას ქართველ საზოგადოებრიობაში.

რევან კიკნაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში, აამალა და დააწინაურა ეროვნული წყაროთმცოდნეობა, ახლებურად გააშუქა არაერთი პრობლემა, ნათელი მოპოვნა ბურუსით მოცულ ბევრ საკითხს. საყოველთაო აღიარება პოვა მისმა არაერთმა წიგნმა — მონოგრაფიამ თუ ძველი ძეგლის პუბლიკაციამ. რომელი ერთი დავასახელო? — „ფარსადან გორგჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (1975). „ფარსადან გორგჯანიძე და „ქართლის ცხოვრება“ (1980), „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“ (1982). „ასწლოვანი მატრიანე“ (1987) და სხვ.

ერთობ დიდი და განსაკუთრებულია რევან კიკნაძის დამსახურება ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიგონოთ ის მეცნიერული შეკრებები, რომლებიც რეგულარულად იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, სადაც რევან კიკნაძე



თავს უყრიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების წყევან წყაროთმცოდნეებს, აგრეთვე მისი თაოსნობით მომზადებული კრებულებანი „წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“ (1984, 1985, 1988), „ქართული წყაროთმცოდნეობა“ (1989) და სხვ., — რომლებიც ქართული წყაროთმცოდნეობის მზარდი აღმავლობისა და რევავ კიკნაძის მეცნიერულ-შემოქმედებითი გამარჯვების მაჩვენებელია. მისი თავდაუზოგავი შრომითა და რულუნებით თბილისი წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად იქცა.

რევავ კიკნაძე, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ წყვეტდა მეცნიერულ მუშაობას, რომელიც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვთარებას უმსუბუქებდა და მოახლოებულ კატასტროფაზე ფიქრისათვის დროს აღარ უტოვებდა. და მაინც, მას განუზოროციელებელი დარჩა არაერთი ჩანაფიქრი, შეუსრულებელი დარჩა მომავალ სამუშაოთა ვრცელი გეგმა. იმედია, ეროვნული მეცნიერების დიდ დანაკლისს რევავ კიკნაძის კოლეგები და აღზრდილები შეავსებენ, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით განაგრძონ საქმე, რომელსაც ასე თავდადებით ემსახურებოდა უდროოდ დაღუპული ჩემი მეგობარი.

ლევან მენაბდე

ი უ მ ე ლ ი რ ი

როდესაც რეზოს მუშაობის სტილს (შემოქმედებითს თუ ორგანიზატორულს) თვალს ვადევნებდი, ყოველთვის იუველირი მახსენდებოდა. ალბათ სხვაგვარადაც შეიძლებოდა მისი შრომის დანახვა, მაგრამ მე ასე ვხედავდი. იუველირის შრომა ყურადღების სრულ კონცენტრაციას თხოულობს, გარე სამყაროსაგან თავის დაცვას, მასალასთან და საკუთარ თავთან მარტო დარჩენას.

ჩვენს მშფოთვარე დღეებში ასეთი მუშაობა უკვე თითქმის შეუძლებელი გახდა. ძნელია შეინარჩუნო სულიერი წონასწორობა, ძნელია არ მოექცე გარე სიტუაციების ტყვეობაში, ძნელია სერიოზულად იფიქრო ოდესღაც ვიდაცის მიერ დაწერილ სიტყვასა თუ წინადადებაზე, როდესაც შენი ქვეყანა ყოველ წუთს ახალ-ახალი საბედისწერო განსაცდელის წინაშე დგება. ძნელია, მაგრამ საჭირო რომ არის? ხომ ცხადია, რომ ჩვენი მეცნიერება ძლივსა დეტავენს, მხოლოდ ინერციით მუშაობს, მხოლოდ პუბლიცისტურ-პოლიტიკურ პრობლემებს მიჰყვება და ისიც დიდი გაჭირვებით.

როდესაც ამ პატარა გასახელებლის დაწერას ვაპირებდი, ვფიქრობდი, შესძლებდა კი რეზო დღევანდელ სიტუაციაში იუველირის მსგავს ოსტატად დარჩენილიყო? შეიძლება მეშლება, მაგრამ მგონია, რომ შესძლებდა. ამას რომ გავიფიქრებ, იმედოც მესახება: ხომ არ შეიძლება რეზო ერთადერთი ყოფილიყო. ალბათ სადღაც კიდევ არიან ისეთები, რომლებმაც ამ ძნელსა და არეულ, მასობრივი პოლიტიზაციის ხანაშიც არ დაკარგეს თავისი თავი და შეინარჩუნეს პროფესიონალიზმი. ასეთებმა, რეზოსნაირებმა, უნდა გადაარჩინონ დღეს ჩვენი მეცნიერება, რათა მომავალ თაობას ცოცხალი ესტაფეტა გადასცენ.

ზაზა ალექსიძე



გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი *

ჩემო რეზო! ვიცოდი, რომ მიძიმე სენმა დაგისაკუთრა. ვიცოდი, რომ განწირული იყავი. მაგრამ ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ შენთვის განკუთვნილი სიცოცხლის გზა, რომელიც ასე ღირსეულად განვლე, დასასრულს უახლოვდებოდა.

ვერ გიმეტებდი, ვერა!

უკანასკნელად მოსკოვში გამგზავრების წინა დღით გინახულე. შენთვის ჩვეული სიღინჯით ეთხოვებოდი შენს მეგობრებს, კოლეგებს. ემშვიდობებოდი კეთილშობილი, ნათელი, ოღნავ ფერმკრთალი. სევდიანი ღიმილი გიოამაშებდა სახეზე. თვალები მაინც იმედით გქონდა სავსე. თითქოს აქეთ გვაშვიდებდი, გვეუბნებოდი: „მალე განკურნებული დაგიბრუნდებითო“. სასწაულს ელოდი. სასწაული საქართველოს სამსახურისათვის, საყვარელი დარგისათვის, მეგობრებისა და ახლობლების თანადგომისათვის გპირდებოდა. ამ სასწაულისათვის თავგანწირვით იბრძოლე შენს მყუდრო და ლამაზ ოთახში, იქ, სადაც არაერთი შესანიშნავი გამოკვლევა შეგიქმნია, ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარების ახალი მიმართულებები დაგისახავს, შენი მრავალრიცხოვანი მოწაფეების მომავალზე გიფიქრია, მეცნიერთა სხვადასხვა ფორუმებისათვის ვინ მოთვლის, რამდენი პროსპექტი თუ პროგრამა შეგიდგენია, სხვათა ნაშრომების გულმოდგინე რედაქტირება გაგიწევია, გიოცნებია, სიხარულისა და ბედნიერების წუთები გქონია. იქ, სადაც შენი მომავალი წიგნების ხელნაწერებით სავსე საქალაქეები და თაროებში ერთგულად ჩამწკრივებული წიგნები ახლა უკვე ამაოდ გელოდებიან...

მისაბაძი იყავი ყველასათვის არჩეული საქმისადმი უსახლდრო თავდადების, მაღალი ზნეობის, ფართო განათლების, ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული მზრუნველობის, მეგობრებისადმი ერთგულების, ცოლშვილისადმი სიყვარულის, საკუთარი თავისადმი უაღრესად დიდი მომთხოვნელობისა და კიდევ მრავალი სიკეთის გამო, ასე უხვად რომ მოგანიჭა განგებამ.

მწარეა შენთან განშორების ეს უღმობელი უკანასკნელი წუთები. მწარეა იმისი შეგნება, რომ ველარასოდეს გიხილავთ ჩვენს შორის, ისტორიის ინსტიტუტში შენს განყოფილებაში საწერ მაგიდასთან, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სააქტო დარბაზში... უკანასკნელი შენი საჯარო გამოსვლა საქართველოს ისტორიის კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტის განხილვას მიეძღვნა. ლელავდი, კათედრასთან იდექი მკაცრი და მომთხოვნი, როგორც ყოველთვის საკითხში ღრმად ჩახედული პროფესიონალი, ისტორიული მეცნიერების ჭეშმარიტი ჭირისუფალი და გულშემამტყვარი, მისი უკეთესი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი. ბევრი შენიშვნა გქონდა პროგრამის პროექტის მიმართ. უფრო მეტი საქმიანი, ყოველმხრივ გააზრებული და არგუმენტირებული ახალი მოსაზრება, რჩევა, წინადადება... შენ ხომ სხვაგვარად არ შეგეძლო... შენ ხომ ბოლომდე უნდა დახარჯულიყავი... შენ ხომ სხვაგვარად ერთი დღეც არ გიცხოვრია... შენ ხომ

* სიტყვა წარმოთქმული თბილისში. საბურთალოს სასოფლო მოღვაწეთა პანთეონში 1989 წლის 23 ივლისს, დაკრძალვის დღეს.



უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეგიწყვეტია ფიქრი და ზრუნვა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაზე, ქართულ წყაროთმცოდნეობაზე, მის დღევანდელ და ხვალისდელ დღეზე.

წახვედი და დავგვიტოვე გულის ტკ-ვილი, უდროო განშორების სინანული, ...ნუგეშად შენი შესანიშნავი შემოქმედება გვრჩება, რომელსაც სიკვდილი არ უწყერია! ნუგეშად გვრჩება ისიც, რომ შენთან მრავალწლიანი ურთიერთობისა და მეგობრობის ბედნიერება გექონდა!

ნანა ხაზარაძე

რევაზ კიკნაძის სამეცნიერო შრომების სია

1. ქაშთაღმწერლის ერთი სპარსული წყაროს შესახებ. — თსუ ასპირანტთა მეექვსე კონფერენციის თეზისები. 1952.
2. Низами-Гянджеви. — Газ. «Молодой сталинец». 1953, № 152.
3. Города и городская жизнь в государстве Хулагуидов. Издательство АН ГССР, 1956.
4. ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა XI—XII საუკუნეებში. — კრ. «ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან». 1957.
5. მონღოლთა შემოსევები. — კრ. «ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან». 1957.
6. ქალაქები ილხანთა ირანში. — კრ. «ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან». 1957.
7. ილხანთა ირანი XIII საუკუნეში. — კრ. «ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან». 1957.
8. არაბული და სპარსული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ. — ჟურნ. «ცისკარი». 1958.
9. XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან. — ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, I, 1960.
10. თამლა ილხანთა სახელმწიფოში. — «აღმოსავლური კრებულები» 1, 1960.
11. Грузинско-персидские исторические документы. — «აღმოსავლური კრებულები», 1, 1960.
12. ქაშთაღმწერლის სპარსული წყაროები. — კრ. «კავკასიურ-აზღოაღმოსავლური კრებულები», 11, 1962.
13. ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის «თარიხ-ე ამინი». — კრ. «კავკასიურ-აზღოაღმოსავლური კრებულები», 11, 1962.
14. Из истории ремесленного производства (кархане) в Иране. — Сб. «Ближний и Средний Восток», 1962.
15. Sources Persanes du chroniqueur anonyme Géorgien.—Revue de Kartvelologie, 1963, XV—XVI.
16. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. — გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1963, № 21.
17. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის მოკირანახულე (ვ. ფუთურძის 70 წლისთავი). — გაზ. «თბილისი», 1963, № 105 (ა. გვახარიასთან ერთად).
18. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XI საუკუნის მეორე ნახევარში. — ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964.
19. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. — თსუ შრომები, ტ. 108, 1964.
20. წიგნი ფირდოუსის შესახებ ქართულ ენაზე (სპარსულ ენაზე). — ჟურნ. «ფაიაშე ნოვინ», თბილისი, 1964.
21. სპარსული საბუთები და მათი მკვლევარი — ჟურნ. «ცისკარი» № 11, 1965.
22. Исследователь истории Кавказа (70-летие В. Дондуа). — Газ.: «Заря Востока». 1965, № 236 (თ. ყაუხჩიშვილთან ერთად).
23. Курдов государство. — СИЭ, 8, 1965.
24. კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. — კრ. «საქართველო-რუსთაველის ხანაში», 1966.



25. პასან რუმუს ცნობები საქართველოს შესახებ. „მეცნიერება“. 1966 წ. (გ. კვინიტაძის ძეგლთან ერთად).

26. ყორღოლანგი — სულ — სულთანიე. — კრ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966.

27. Памяти Н. А. Бердзенишвили. «История СССР», 1966, № 2 (ე. ღონღუასთან ერთად).

28. ვ. ფუტურიძის ხსოვნას (სპარსულ ენაზე), — ჟურნ. „ფაიაშე ნოვინ“, თეირანი, 1966.

29. ულუღბეგი. „ნაქადული“, 1968.

30. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების წყაროების საკითხისათვის. — კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ II, 1968.

31. Памяти В. Д. Дондуа. — «История СССР», 1959, № 4.

32. რედაქტორის წინასიტყვაობა (სპარსულ ენაზე). — წიგნში: ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. 1969.

33. ჰამდალას ყაზვინის ერთი ცნობის განმარტებისათვის. — ისტორიის ინსტიტუტის სესიის თეზისები, 1970.

34. «Зихи Курагони» Грузиада. — «Фан ва турмуш», 1970, № 1 (უზბეკურ ენაზე).

35. ფ. გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 2.

36. ეამთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4.

37. Некоторые сведения грузинских источников о Тимуре. — «Грузинское источниковедение, III», 1971.

38. ელაღიმერ ფუტურიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა. — კრ. „აღმოსავლური ფილოლოგია“ II, 1972.

39. ახალი მასალა XIII ს. საქართველოს ისტორიისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 2.

40. XIII ს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 4.

41. ერთი გეოგრაფიული სახელწოდების განმარტება ეამთაღმწერლის თხზულებაში. — კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ IV, 1973.

42. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ეამთაღმწერლის თხზულებაში. — კრ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, 1973.

43. ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. „მეცნიერება“, 1974.

44. ფ. გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „მეცნიერება“, 1975.

45. XIV ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან. — კრ. „ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან“, 1976.

46. ეამთაღმწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი. — „ძველი ქართლის ცხოვრება“. ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო კრებული, 1976.

47. რამდენიმე დაკვირვება ეამთაღმწერლის თხზულების ტექსტზე. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 2.

48. И. А. Джавахишвили и источниковедение Грузии. Издательство «Мецниереба», 1976.

49. „ისტორიათა და აზმათა“ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის განმარტება. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 4.

50. ეამთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4.

51. საურმაგ კაკაბაძის ხსოვნას. იქვე (ი. მეგრელიძესთან და ე. ზოშტარიასთან ერთად).

52. რედაქტორისაგან (От редактора) წიგნში: სპარსული ისტორიული საბუთები, 1, 4. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

53. „სამყაროს საკვირეულებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.

54. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა. — კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, V, 1978.

55. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1978.

56. ხორეზმელები საქართველოში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979.

57. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 111, 1979.

58. ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნის დასრულების წესები. „მეცნიერება“, 1977.

59. От редактора. В кн.: Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Издательство «Мецниереба», 1978.

60. Вопросы методики издания текстов грузинских исторических сочинений. — Тезисы Всесоюзной сессии ВНИПИИГ, 1979.

61. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картლის იხვრება». Издательство «Мецниереба», 1980.

62. მეცნიერი და მამულიშვილი (ვ. გაბაშვილის 70 წლისთავი) — გაზ. „სამშობლო“, 1981 № 10 (ს. ჯიქიათან ერთად).

63. წყაროთმცოდნეთა რესპუბლიკური სესია. — გაზ. „გამარჯვება“, 1981, № 57. (შ. ძიძგურთან ერთად).

64. წყაროთმცოდნეობა. — ქსე, სექტომი, 1981.

65. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, 1. „მეცნიერება“, 1982.

66. Актуальные проблемы источниковедения истории Грузии. — Тезисы Всесоюзной сессии АПИИПИИ, 1982.

67. საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან. — „ახლო აღმოსავლური კრებული“, 1983.

68. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 2.

69. წყაროთმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. — საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის თეზისები. 1984.

70. მონღოლთა ბატონობა საქართველოში. — ქსე, 1984.

71. ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში დიდი სამამულო ომის წლებში. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 2.

72. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი. — კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ VI, 1985.

73. Актуальные проблемы источниковедения истории Грузии. — Сб.: «Источниковедческие разыскания, 1982». 1985.

74. საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი (ვ. დონდუას 90 წლისთავი). — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 3.

75. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი (ვ. დონდუას დაბადების 90 წლისთავი). — გაზ. „კომუნისტი“, № 284, 12. XII, 1985.

76. Источниковедческие проблемы грузинской советской историографии. — Тезисы Всесоюзной сессии АПИИПИИ, 1985.

77. ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები. — კრ. „ისტორიული მეცნიერება საბჭოთა საქართველოში“ (მ. ჩხარტიშვილთან ერთად), 1986.

78. თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა. — კრ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ VII, 1987.

79. О предмете и структуре источниковедения. — Сб.: «Историкографическая и источниковедческие проблемы отечественной истории». Днепропетровск, 1988.

80. Источниковедческие проблемы современной грузинской историографии. — В сб.: «Источниковедческие разыскания, 1985», 1988.

81. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии, „მეცნიერება“, 1990 (ვ. ფუტურძეს თან ერთად).

82. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, II, „მეცნიერება“, 1992.

83. საქართველოსა და მსაზღვრე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“ (იბეჭდება).

ქ.ა. რაჭ., წყნ. დას. მწერლობა, 1988
მ/სეს. - ილიაშვილი, 1984
8/

236² 309 (!)
[К.Р.К. Пышкарев А.Н., 2-й (1991), 2/1

1. გ. ჩხარტიშვილი. შუა საუკუნეების ისტორია (V—XV საუკუნეები). პედაგოგიკური-საოცნის თბ., 1963.
2. პასან რუმელს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1966.
3. 5. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968.
4. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. თბ., 1969.
5. ს. ლუზინიანი. ოსმალეთის პორტის წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია. ინგლისურ ტექსტს შესავალი წაემძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ბ. სილაგაძემ. თბ., 1973.
6. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.
7. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი 1, ნაკვ. 4. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ., 1977.
8. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Пер. В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тб., 1978.
9. Вопросы изучения и издания письменных источников по истории Грузии. Всесоюзная научная сессия 9—10 окт. 1979 г. Кутаиси. Тезисы докладов. Тб., 1979.
10. არსენი საგვარელი. განყოფილათეს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.
11. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.
12. Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия, 26—28 октября. 1982 г. г. Сухуми. Тезисы докладов. Тб., 1982.
13. ლ. ტუტაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., 1983.
14. ბ. სილაგაძე. ქართველი მამულეები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1758—1807 წლებში. თბ., 1984.
15. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, 10—12 ოქტომბერი. ქ. ზუგდიდი. მოხსენებთა თეზისები. თბ., 1984.
16. Источниковедческие разыскания. 1982. Тб., 1985.
17. Жизнь царицы царя Тамара. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзиншвили. Тб., 1985.
18. Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. 17—19 октября 1985 г. г. Батуми. Тезисы докладов. Тб., 1985.
19. ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი. 111. 1985.
20. Джуаншер Джуаншеряни. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тб., 1985.
21. Г. Г. Аласаниа. Классификация грузинских письменных исторических источников. Тб., 1986.
22. ქართული წყაროთმცოდნეობა VII, 1987.
23. მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. «ცხოვრება წმიდისა ნინოსისა». თბ., 1987.
24. გ. არახშია. ძველი საგვარეულო მატრიანები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბ., 1988.
25. ი. ანთელავა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988.
26. Источниковедческие разыскания. 1985. Тб., 1988.
27. Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия, г. Кутаиси, 18—20 октября 1988 г. Тезисы докладов. Тб., 1988.

28. ქართული ეპისტოლური წყაროები I. XV ს. — 1762 წ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა. თბ., 1989.

29. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Такайшвили. Редакция, обработка, исследование и комментарий М. С. Чхртишвили. Тб., 1989.

30. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1989.

31. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სესია. „ძველი ქართლის ცხოვრება“. თბილისი, 1989 წლის 25—27 აპრილი. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1989.

32. სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახშიამ. თბ., 1990.

33. ბედის ჩიტი, სპარსული ხალხური ზღაპრები. სპარსულიდან თარგმნა კ. ტაბატაძემ. თბ., 1960.

34. ე. იანი. ბათო-ზანი. თარგმანი ჭ. ნადირაძისა, თბ., 1961.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- ენიმპი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ბაბ — კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. თბილისი.
- ლანი — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.
- მსპი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი.
- სსცსა — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი.
- ქეზლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
- ქისპ — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. თბილისი.
- ქსმ — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქსძ — ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი.
- ქც — ქართლის ცხოვრება.
- ქწ — ქართული წყარომცოდნეობა. თბილისი.
- АПИИПИИ — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тбилиси.
- БЧ — Бартольдовские чтения. М.
- ВДИ — Вестник древней истории. М.
- ВИИПИИГ — Вопросы изучения и издания письменных источников по истории Грузии. Тбилиси.
- ВФ — Вопросы философии. М.
- ЖМНП — Журнал Министерства народного просвещения, СПб.
- ЗКОИРГО — Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества. Тифлис.
- ИАН — Известия Академии Наук.
- ИР — Источниковедческие разыскания. Тбилиси.
- ИСССР — История СССР. М.
- КВС — Кавказско-ближневосточный сборник. Тбилиси.
- КС — Кавказская старина. Тифлис.
- НБКМ — Народная библиотека им. Кирилла и Мефодия.
- СИЭ — Советская историческая энциклопедия.
- СМОМПК — Сборник материалов по описанию местностей и племен кавказа. Тифлис. Махачкала.
- СЭ — Советская этнография. М.
- ТГУ — Тбилисский государственный университет.
- Ana l Boll — Analecta Bollandiana. Bruxelles. Paris.
- An St — Anatolian Studies. Ankara. London.
- ARAB — Ancient Records of Assyria and Babylonia.
- BGA — Bibliotheca geographorum arabicorum. Edidit M. J. de Goeje. Lugduni. Batavorum.
- CSCO — Corpus Scriptorum Christianorum Orientalium.

ს ა რ ჩ ი ვ ი

გიული ალასანია, რ. კ. კიკნაძე

3

კონარბთული წყაროთმცოდნეობა

ნანა ხაზარაძე, სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი გვიანხეტურ სამეფოებში	9
თინათინ ყაუხჩიშვილი, საირხის ბერძნული გრაფიკო	15
მარიკა ნასიძე, ვიენისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრაფიკოს შესწავლისათვის	21
მერი ინიძე, სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის (ფრიქსოპოლისი-იდეესა)	27
გიორგი ანჩაბაძე, ეთნონიმ „ხაზარის“ მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში“	40
ზურაბ რატიანი, „ევსტათი მცხეთელის მარტილობა“ როგორც საქართველოს საზოგადოების აღნაგობის შესწავლის წყარო	49
მარინა ჩხარტიშვილი, „არაკი სინდოა მეფისა“	55
ბენიამინ სილაგაძე, ალ-მას'უდის თხზულების „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ“-ის ერთი ცნობის გაგებისათვის	68
ედუარდ ხოშტარია-ბროსე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლის შედეგები და ტექსტში არსებული მინაწერების ინტერპრეტაციის ცდა (ამოსავალი დებულებები და არგუმენტები)	81
ედუარდ ხოშტარია-ბროსე, „მატიანე ქართლისაჲს“ ორი ადგილის გაგებისათვის	88
ედუნე მებრეველი, სამოხელეო ტერმინები „ჩოროროდი“ და „ოთხმხედრი“ ვალერი სილოგაძე, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	106
ალექსანდრე გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი (ნაღები)	126
მარინე ქადაგიძე, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ქართული მხატვრული აზროვნების ფორმირების კონტექსტში	132
ნინო თორთლაძე, ერთი სამონასტრო ტიპიკონის შესახებ	139
ეკა კვაჭანტირაძე, ვარდან არველი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ	143
მზია სურგულაძე, პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ფორმულები ქართველ მეფეთა ტიტულატურაში	150
ნანა გელაშვილი, შაჰ თამაზ I-ის (1524—1576) ანდერძის საკითხის გარკვევისათვის	161
აბესალომ ტულუში, ერთი უცნობი ხატის წარწერა (ანუ ლევან II დღიანის მიერ დასერილი ვეზირის ვინაობა)	169
მიხეილ სვანიძე, 1649 წ. თურქეთის სულთანსა და ზაპრორეველ კაზაკებს შორის დადებული ხელშეკრულება შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ როგორც საისტორიო წყარო	173
გიული ალასანია, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტომონიმის განმარტება თურქულ წერილობით ძეგლებში	178
ქარლო ტაბატაძე, ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის მეთოდოლოგიისათვის	184
მამისა ბერძენიშვილი, ტერმინ „ქართლის“ მნიშვნელობისათვის	195



ლიანა დავლიანიძე. ტერ ოპან ვოსკერჩიანის ცნობები საქართველოს შესახებ	218
ირინე ნაჭყეზია. ამედე ჟობერის ცნობები ჟანიკის შესახებ	218
ნათელა კბილცეცხლაშვილი. იოანე ბატონიშვილი კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულოების წარმოშობის შესახებ	218
ნათელა ნაცვლიშვილი ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ზოგიერთი ასპექტი	225
ჯემშიდ გიუნაშვილი. „ხიზაბან“ სიტყვის წარმომავლობისათვის სპარსულში	232

ზოგადი წყაროთმცოდნეობა

ლევ პუშკაროვი. საზოგადოებრივი აზრის ადგილი წყაროთა კლასიფიკაციის სისტემაში	236
--	-----

ბიბლიოგრაფია

მაკა ნაჭყეზია. მასალები ქეთევან დედოფლისა და საქართველოს შესახებ გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ნაშრომში	246
ნოდარ შენგელია. ორი თურქული ფირმანი თბილისის შესახებ	259
ცისანა აბულაძე. ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი	268
ნუგზარ ტერ-ოვანოვი. იაჰია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ	280

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კარლო ტაბატაძე. დიდი საშვილიშვილო ეროვნული საქმე	286
--	-----

მომონებები

ჩემი რეზო. გრიგოლ გიორგაძე	295
ჩვენი მეცნიერების სიახაყე. დავით ხანუტიშვილი	299
ადრე წასული საჭირო კაცი. ჯემბერ ოდიშელი	301
რევაზ კიენაძის მოსაგონრად. მიხეილ გაფრინდაშვილი	301
უდროოდ დაღუპული მეგობარი. ლევან მენაბდე	302
იუველირი. ზაზა ალექსიძე	304
გამოსათხოვარი. ნანა ხაზარაძე	305
რევაზ კიენაძის სამეცნიერო შრომების სია	307
შემოკლებანი	312

СОДЕРЖАНИЕ

Г. Г. Аласаниа, Р. К. Кикиадзе 3

КОНКРЕТНОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

Н. В. Хазарадзе. Порядок наследования царской власти в позднехеттских царствах	14
Т. С. Каухчишвили. Греческие граффити из Саирхе	19
М. Г. Насидзе. К изучению граффити, обнаруженных на территории Гизноса	26
М. П. Инадзе. К интерпретации одного сообщения Страбона (Фриксополис-Идеесса)	38
Г. З. Анчабадзе. Значение этнонима «хазар» в летописном своде «Картлис цховреба»	47
З. П. Ратиани. «Мученичество Эвстати Мцхетели» как источник по истории социальной структуры Грузии	53
М. С. Чхартишвили. «Притча царя сиидов»	66
Б. Г. Силагадзе. К вопросу понимания одного сведения труда ал-Мас'уди «Мурудж аз-захаб ва ма'адин ал-джавахар»	79
Э. В. Хоштариа-Броссе. Итоги изучения начального цикла «Картлис цховреба» и попытка интерпретации существующих в тексте приписок	86
Э. В. Хоштариа-Броссе. К пониманию двух фраз в «Матриане Картлиса» («Летопись Картли»)	90
Е. П. Метревели. Чиновничьи термины «чоророди» и «отхмиздури»	105
В. И. Силогава. Некоторые вопросы, связанные с уточнением текста завещания Давида Стронтеля Шномгвимскому монастырю	125
А. А. Гвахариа. Из лексики «Вепхисткаосани» (Нагеби)	130
М. А. Кадагидзе. «Жизнь царицы царя Тамар» в контексте формирования грузинского художественного мышления	138
Н. Т. Гортладзе. Об одном монастырском уставе	142
Э. Г. Квачантирадзе. Вардан Арвелци о происхождении рода Багратиони	149
М. К. Сургуладзе. Политические и культурно-религиозные формулы в титулатуре грузинских царей	159
Н. Г. Гелашвили. К выяснению вопроса о завещании шаха Тахмаспа I (1524—1576)	167
А. Г. Тугуши. Надпись одной неизвестной иконы	172
М. Х. Сванидзе. Договор о торговле на Черном море, заключенный в 1649 году между турецким султаном и запорожскими казаками, как исторический источник	177
Г. Г. Аласаниа. Толкование некоторых топонимов Западной Грузии в турецких исторических источниках	183
К. Г. Табатадзе. К методике источниковедческого изучения двуязычных грузинско-персидских документов	193
М. М. Бердзишвили. К значению термина «картули» («грузинское»)	203



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა
 216

Л. С. Давлианидзе. Сведения Огана Воскерчяна о Грузии	
И. Н. Начкебия. Сведения Амедея Жобера о Джанике	
Н. М. Кбилеццхлашвили. Иоани Багратиони о происхождении феодальных родов Кахети	223
Н. Д. Нацвлишвили. Некоторые аспекты источниковедческого изучения поэмы Н. Бараташвили «Беди Картлиса» («Судьба Грузии»)	230
Дж. Ш. Гиунашвили. О происхождении слова «Хийабан» в персидском	234

ОБЩЕЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

Л. Н. Пушкарев. О месте памятников общественной мысли в системе классификации источников	245
--	-----

ПУБЛИКАЦИЯ

М. Н. Начкебия. Сведения о царице Кетеван и Грузии в труде немецкого иезуита Иоганна Бисселиуса	257
Н. Н. Шенгелиа. Два турецких фирмана о Тбилиси	267
Ц. А. Абуладзе. Османское правило обращения христиан в мусульманство	279
Н. К. Тер-Оганов. Сведения Яхьи Доулатабади о Тбилиси и тбилисцах	285

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

К. Г. Табатадзе. Дело, которое будет жить в веках	286
---	-----

ВОСПОМИНАНИЯ

Г. Гиоргадзе. Дорогой Резо	295
Д. Хахутайшвили. Гордость нашей науки	299
Дж. Одишели. Рано ушедший, нужный всем нам человек	301
Л. Менабде. Безвременно ушедший друг	302
З. Алексидзе. Ювелир	304
Н. Хазарадзе. Прощание	305
Список научных трудов Р. К. Кикнадзе	307
Сокращения	312

CONTENTS

G. Alasania. R. K. Kiknadze.	3
--------------------------------------	---

CONCRETE SOURCE-STUDY

N. Khazaradze. Order of inheritance of royal power in late-Hittite kingdoms	14
T. Kaukhchishvili. Greek graffiti from Sairkhe	20
M. Nasidze. Study of graffiti discovered on the territory of Gienos	26
M. Inadze. For interpretation of one evidence by Strabo (Frikopolis-Ideessa)	38
G. Anchabadze. The meaning of „Khazar“ in the chronicle „Kartlis Tskhovreba“	47
Z. Ratiანი. The „Martyrdom of Evstati Mtskheteli“ as a historical source for the social structure of Georgia	54
M. Chkhartishvili. „The parable of the King of Sinds“	67
B. Silagadze. To the question of interpretation of an evidence contained in the work of al-Ma'sudi „Muruj al-zahab va m'adin al-Javhar“	79
E. Khoshitaria-Brosse. The results of the study of the first cycle of „Kartlis Tskhovreba“ and an attempt of interpretation of the existing entries of the text	87
E. Khoshitaria-Brosse. For the interpretation of two phrases in „Mati- ane Kartlisa“ („The Chronicle of Kartli“)	91
E. Metreveli. Official terms „Chororodi“ and „Otkhizduri“	105
V. Silogava. Some questions related to determination of the text of David the Builder's will concerning the Shiomgvi monastery	125
A. Vakharisa. From the vocabulary of „Vepkhistkaosani“ (Nagebi)	130
M. Kadagidze. The life of the Queen of Queens Tamar in the context of the making of the georgian artistic thought	138
N. Tortladze. About the monastery regulations	142
E. Kvachantiradze. Vardan Areveltsi about the Bagratians' provenance	149
M. Surguladze. Political, cultural and religious formulas in the titles of Georgian Kings	159
N. Gelashvili. The clarification of the question of the will of Shah Tahmasp (1524—1576)	167
A. Tugushi. Inscription of one unknown icon	172
M. Svanidze. The Black sea Trade treaty concluded in 1649 by Turkish Sultan and Zaporozhie cossacks	177
G. Alasania. The interpretation of some west georgian toponyms in turkish historical sources	183
K. Tabatadze. Towards the methods of source-study of bilingual georgian- persian historical documents	193
M. Berdznishvili. To the meaning of the term „Kartuli“ (Georgian)	203
L. Davlianidze. Information by Ohan Voskerchian concerning Georgia	210
I. Nachkebia. Some information about Dzanik by P. A. Jaubert	217
N. Kbiltsetskhilashvili. Ioann Bagrationi about lineage of feudal families of Georgia	223
	317



N. Natsvlishvili. Some aspects of the study of Baratashvili's	231
„Bedi Kartlisa“ („Fate of Georgia“) as a historical source	
J. Giunashvili. About etymology of the word „Khiyābān“ in Persian	234

GENERAL SOURCE-STUDY

L. Pushkariov. The role of monuments of social thought in the system of classification of sources	245
---	-----

PUBLICATION

M. Nachkebia. Some information about Queen Ketevan and Georgia in the work by German Jesuit Iohannes Bisselius	257
N. Shengelia. The turkish firmans about Tbilisi	267
Ts. Abuladze. Ottoman rule of conversion of christians to Islam	279
N. Ter-Oganov. Evidence of Iahia Doulatabadi about Tbilisi and it's inhabitants	285

CRITIQUE AND BIBLIOGRAPHY

K. Tabatadze. The work that will live for ever	286
--	-----

REMINISCENCES

Dear Rezo. G. Giorgadze	295
The pride of our science. D. Khakhutaishvili	299
Early gone man whom we lack much J. Odisheli	301
To Rezo Kiknadze's memory M. Gaprindashvili	301
My friend who prematurely deceased L. Menabde	302
The jeweller. Z. Aleksidze	304
Farewell. N. Khazaradze	305
List of R. K. Kiknadze's scientific works	307
Abbreviations	312

სბ 6019

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. კვინიკაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი
გამომშვები ი. სახვაძე

გადაეცა წარმოებას 5.11.1992; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.1993;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მალალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 28.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21.48;

ტირაჟი 150; შეკვეთა № 1535.

ღასი სახელშეკრულება.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Издательство «Мешнереба», Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекли, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекли, 19

019/91



ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

VIII

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1993



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა